ჭანრიკა ჯინტოფიდანი

*

ველის ნეფერი ვარ

*

• წიგნი მეორე •

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1970

თარგმნეს

ნათელა ლორთქიფანიძემ

და

დიანა თათარაშვილმა

თავი XVI

პერის დაბრუნებამდე რამდენიმე დღით ადრე უმაღლესი სასამართლოს ადვოკატის, მაქს ბერნარდის ბინაზე დილაადრიან მოიყარეს თავი ფინანსისტებმა. ისინი წინათაც შეიკრიბნენ, რათა განეხილათ საკითხი, თუ რამდენად შესაძლებელია იუტლანდიის დასავლეთ სანაპიროზე ღია პორტის შექმნა.

ამ შეხვედრაზე ივენიც მოვიდა, თუმცა მეტად ნაღვლიანი კი იყო. სანამ ფანჯარასთან მდგარი დანარჩენი ბატონები გაცხოველებულ მასლაათში იყვნენ, ოთახში დადიოდა და ნერვიულად ფურცლავდა მაგიდაზე დალაგებულ გაზეთებსა და წიგნებს.

ივენს მეტისმეტად აწუხებდა ის ამბავი, რომ ბერეგრავი და პერი ერთმანეთისათვის ვერ შეეხვედრებინა. რა თქმა უნდა, ფიქრადაც არ მოსვლია, პერი მაშინვე დამთანხმდება შერიგებაზეო, მაგრამ საპასუხო წერილში იგი ისე იხსენიებდა პოლკოვნიკს, ივენს ყოველგვარი იმედი გადაუწყდა. ყველა წერილში, რაც იტალიიდან გამოაგზავნა, პერს მეტად აგდებული ტონი ჰქონდა. ახლაც იმავე ტონით ნახევარ გვერდზე ჩამოეწერა ირონიული შენიშვნები პოლკოვნიკის მისამართით და ურჩევდა — მწვანე ფერით შეღებეთ პოლკოვნიკი და მაცხოვრის ეკლესიის სამრეკლოზე გამოკიდეთ, „რათა ყველა დააფრთხოსო“.

მაგრამ ივენი იმ დროს ყურს უყრუებდა გონებამახვილობის ასეთ მარგალიტებს, მით უფრო, რომ ამ ენამახვილობას გულწრფელობა არ ეტყობოდა. ივენს ვერ გაეგო, პერი თავის პროექტს და მის ბედს ასე გულგრილად რად ეკიდებოდა. როცა ივენმა აცნობა სასიხარულო ამბავი — მაქს ბერნარდმა წყალობა მოიღო, შენს მხარდაჭერას აპირებსო და გამოთქვა იმედი, ალბათ შევძლებ თავი მოვუყარო ხალხს, ვინც დიდ თანხებს ფლობსო, პერმა მოკლედ უპასუხა:

„კაცი ვინმე გარდამოვიდოდა იერუსალიმით იერიქოდ, და ავაზაკნი დაესხნეს“.

შემოუსხდნენ მაგიდას, სადაც გაშლილი იყო ნახაზები, რუკები, ხარჯთაღრიცხვები და ა. შ.; მაქს ბერნარდმა გახსნა სხდომა და განაცხადა: სამწუხაროდ, ბატონმა სალამონმა ვერ შესძლო პოლკოვნიკ ბერეგრავსა და ბატონ სიდენიუსს შორის თანხმობის ჩამოგდება და ამიტომ პოლკოვნიკის თანამშრომლობის იმედი ჯერჯერობით არ უნდა გვქონდეს. მაშასადამე, აქ შეკრებილმა ხალხმა უფრო გადამჭრელი პოზიცია უნდა დაიკავოს ამ საკითხში, რათა საბოლოოდ გადაწყვიტონ, ვინ შეევა იმ საზოგადოების გამგეობის შემადგენლობაში, ამიერიდან რომ უნდა ჩამოვაყალიბოთო.

ბერნარდის შემდეგ სიტყვა ივენმა აიღო. მან შეახსენა დამსწრეთ, უკვე წინა შეხვედრაზე, თავს ნება მივეცი, ეჭვი შემეტანა, რომ გენიალური პროექტის ახალგაზრდა შემქმნელი და ძველი სკოლის ინჟინერი ურთიერთთანამშრომლობას შესძლებენო. ამიტომ, დაბეჯითებით გთხოვთ, ჩემი პოლკოვნიკთან მოლაპარაკების ფუჭად ჩავლის გამო დაწყებული საქმის რწმენას ნუ დაკარგავთო. პირადად მე, ამბობდა ივენი, დარწმუნებული ვარ, რომ პროექტის განსაკუთრებული მნიშვნელობა დრომოჭმული შურიანი ავტორიტეტების დაუხმარებლადაც თავისთავად გასაგები გახდება ფართო წრეებისათვის, საკმარისია მხოლოდ ენერგიულად მოვკიდოთ საქმეს ხელი და, თუ განცხადებებს საკმაოდ გამოვაქვეყნებთ, ან იქნებ რაიმე სხვა გზითაც — პრესაც მხარს დაგვიჭერსო.

მაქს ბერნარდმა ამაზე უპასუხა, მე სავსებით მჯერა პრესის უდიდესი გავლენა, მაგრამ სულაც არ ვარ დარწმუნებული, რომ ფართო საზოგადოებას საგნებზე საღად მსჯელობის უნარი შესწევსო. მისმა სიტყვებმა ყველა გააცინა. შემდეგ ბერნარდმა თქვა, არ ვიზიარებ ივენის შეხედულებას შექმნილ მდგომარეობაზე და, ასე მგონია, სასურველ ურთიერთ თანამშრომლობას ვერ მივაღწევთო. თუმცა პოლკოვნიკი ბერეგრავი აშკარად შეგვპირდა თავის მხრივ ხელის შეწყობას და მხოლოდ ერთი საკმაოდ გონივრული და უბრალო მოთხოვნა წამოგვიყენა, მაგრამ სწორედ ის პირობა ჯამდე არ შესრულებულაო. ამიტომაც მე, მაქს ბერნარდი, გირჩევთ მივმართოთ სიდენიუსს უფრო კონკრეტულად ჩამოყალიბებული მოთხოვნით და წინადადება მივცეთ, რაც შეიძლება

მალე მოუღოს ბოლო წმინდა პირადულ უთანხმოებას პოლკოვნიკ ბერეგრავთანო.

ივენი, რაც კი შეეძლო, თავს იცავდა. მან ხაზი გაუსვა იმ ამბავს, რომ ეს საქმე სრულიადაც არ ეხება პირად მტრობას. კონფლიქტი აქ გაცილებით ღრმაა. ეს კიდევ ერთი ამოხეთქვაა ძველთაძველი დავისა უფროს და უმცროს თაობებს შორის. პოლკოვნიკი ბერეგრავი და ბატონი სიდენიუსი სხვადასხვა შეხედულებისანი არიან, როგორც ინჟინრებიც და როგორც ადამიანებიც და ამას აღარაფერი მოევლება.

მაქს ბერნარდმა სიტყვა შეაწყვეტინა. თქვა, აქ დამსწრე ბატონებს სრულიადაც არა სურთ ღრმად გაერკვნენ თეორიულ ამბებში, რადგან ეს არავისთვის არ არის საჭირო, ყველა დარწმუნებულია, პოლკოვნიკი ბერეგრავი სწორედ ის ადამიანია, ვისაც ძალუძს წამოწყებას საჭირო მხარდაჭერა გაუწიოს და რამდენადაც უკვე ამაზე თანხმობა განაცხადა, ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისთვის ნათელი უნდა იყოს, როგორ მოიქცეს კაცი ასეთ შემთხვევაშიო.

ყველა დაეთანხმა მაქს ბერნარდის აზრს. და, რადგან ამით საკითხი გადაწყვეტილად ითვლებოდა, დამსწრენი აქციების კურსისა და ფულადი ბაზრის მდგომარეობის განხილვაზე გადავიდნენ.

ბოლოს მაქს ბერნარდმა განაცხადა. ამიერიდან საზოგადოება დაარსებულად ითვლება და სასურველია შესაფერისი განცხადება რაც შეიძლება მალე დაიბეჭდოს პრესაშიო. მიუხედავად იმისა, რომ ყველა დამსწრემ (გარდა მას ბერნარდის რწმუნებულის ბანკირ გერლოვისა და ახალგაზრდა სტივენსონისა, ბერნარდის დამქაში რომ იყო) აზრი გამოთქვა, მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთო, უკვე მეორე დილით კოპენჰაგენის გაზეთების უმრავლესობამ თავიანთ სტატიებში შეაქეს პერის პროექტი და მრავალისაღმთქმელი სათაურიც კი მისცეს: „გრანდიოზული საერთო ეროვნული წამოწყება.“

პერის სახელი სტატიაში არ იყო ნახსენები, თავად სტატიაც საკმაოდ ზერელედ იყო დაწერილი და იწყებოდა სიტყვებით „ბირჟაზე ხმები დადის“... მაგრამ უკვე ერთი დღის შემდეგ იგივე გაზეთები იტყობინებოდნენ, რომ პროექტს მხარი დაუჭირა „რიგმა ცნობილ პირთა და დიდად პატივცემულმა საფინანსო დაწესებულებებმა.“

მაქს ბერნარდმა იჩქარა საზოგადოების ყურადღება მიეპყრო პროექტისადმი, თუმცა თავიდანვე თითქმის არა სწამდა რა მისი და მაშინვე დაივიწყებდა, როგორც კი ეს პროექტი თავის საქმეს გააკეთებდა. ბერ-

ნარდს მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა: იმედოვნებდა, ამ გზით ჩანასახშივე ჩაეხშო კოპენჰაგენის პროექტი, ამიტომაც არ დაუსახელა გაზეთებს პერის სახელი, სურდა, რაც შეიძლება მეტ ხანს დაეფარა, თუ სახელდობრ რომელ გეგმაზე იყო ლაპარაკი. ყოველივე ამასთან ერთად, მას სრულიად არ სწამდა პერის, როგორც დამპყრობისა, რაკი საერთოდ დანიის სასულიერო პირთა შთამომავლობა დიდად არ ეპიტნავებოდა. მხოლოდ ერთხელ ნახა პერი სალამონებთან, ივენი მაშინ ყოველნაირად ცდილობდა, ისინი ერთმანეთისათვის შეეხვედრებინა, მაგრამ მაქსი ხელად მიხვდა, რომ ეს მყვირალა და თვითკმაყოფილი ახალგაზრდა, სემინარისტს რომ ჰგავდა, იმ მასალისაგან არ იყო შექმნილი, მას რომ სჭირდებოდა.

ბერნარდი კიდევაც აპირებდა, თუ საჭირო იქნებოდა, პერისთვის გვერდი აევლო და უფრო დამთმობი კაცით შეეცვალა იგი; უკვე მხედველობაშიც ჰყავდა ასეთი კაცი, — ვინმე ინჟინერი სტეინერი, ვინაც ახლახან პროვინციულ გაზეთში დასავლეთ იუტლანდიის ღია პორტის სხვა პროექტი გამოაქვეყნა. თუმცა პროექტი აშკარად ნასესხები იყო, რომ პირდაპირ არა ვთქვათ მოტაცებულიც კი პერისგან, ცალკეულ დეტალებში სრულიად დამოუკიდებელი გახლდათ და ყოველ შემთხვევაში, მისთვის განკუთვნილი როლის შესასრულებლად მშვენივრად გამოდგებოდა.

* * *

ქარიანი და ნოტიო გაზაფხულის მიუხედავად, სალამონების ოჯახი მაისის პირველ რიცხვებში უკვე სკოვბაკენში გადაბარგდა.

იაკობას გულისთვის აჩქარდნენ ასე: იაკობამ მოისურვა, რაც შეიძლება ადრე გადასულიყო აგარაკზე. სოფლის სიჩუმეც იზიდავდა, სუფთა ჰაერიც და ისიც, რომ ხანგრძლივად სეირნობას შესძლებდა.

წინათ იაკობა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ რამეს იტკივებდა, არასოდეს არ ზრუნავდა თავის ჯანმრთელობაზე, რადგან განკურნებისა არ სჯეროდა, ახლა კი თავს მეტისმეტად ფრთხილად ეჭცეოდა. ქალმა ცხოვრების მიზანი მოიპოვა და იმედი გაუჩნდა, იქნებ ჩემი საბრალო სუსტი სხეულიც ოდესმე გაჯანსაღდესო.

იმ მრავალრიცხოვან წიგნებსა და ჟურნალებს შორის, რაც მაგიდაზე დაეზვინებინა. ახლა იპოვიდით სამედიცინო შრომებსა და ჟურნალებს

ჰიგიენის საკითხებზე, ამ საკითხებს იაკობა გულმოდგინედ სწავლობდა. ქალი გმირულად ცდილობდა სპარტანულად გაკაჟებულიყო: ყინულივით ცივ წყალს ივლებდა ტანზე და ბევრს დადიოდა ფეხით. ჯერ კიდევ კოპენჰაგენში დაიწყო დილდილაობით სეირნობა. ცუდ ამინდშიაც კი გაისეირნებდა ხოლმე ლანჰენლინიემდე და მერე უკან ბრუნდებოდა, ეს კი დიდად სიამოვნებდათ ბრედჰადელ ნაცნობებს: ისინი ფანჯრებს მიეკრობოდნენ და უცქეროდნენ, სრულ ცხრა საათზე იაკობა რომ წინ ჩამოუვლიდათ. ქალი განზომილი ნაბიჯებით დადიოდა, ხელში გაშლილი ქოლგა ეჭირა.

მაგრამ, რაც არ უნდა ეღონა, არაფერი გამოდიოდა. ყველა ხედავდა, რომ იაკობა დღითიდღე დნებოდა. ღრმა სევდა სტანჯავდა. ბოლო დროს ადამიანთა დანახვაც არ შეეძლო. ღამეებიც მარადისობასავით უსასრულონი გახლდათ. ბუზის გაბზუილებაც კი ძილს უტეხდა.

თუმცა ცუდ ხასიათზე იშვიათად იყო. არც პერისადმი მიწერილ წერილებში ჩიოდა რამეს და არც თავად მას არ ეტყობოდა არაფერი, ყველაზე უფრო მძიმე წუთებშიაც კი იმედებით იყო აღსავსე. ბავშვობიდანვე ისე შეჩვეოდა სნეულებას, კარგა ხანია ავადმყოფობა აღარავითარ გავლენას აღარ ახდენდა მის სულიერ მდგომარეობაზე. სამაგიეროდ, სხვა იდუმალი საზრუნავი სტანჯავდა.

იაკობა დღითი დღე უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ ორსულად იყო. ახალმა ნიშნებმა განუმტკიცეს ეს ეჭვი, თუმცა, როცა დედამ საჩოთირო კითხვები დაუსვა, კეთილგონიერმა იაკობამ არაფერი გაუმხილა. პერისადმი მიწერილ ბარათებშიც ქალს სიტყვა არ დასცდენია ამაზე, მით უფრო, რომ დარწმუნებით ჯერ არაფრის თქმა არ შეეძლო, რადგან მისი ორგანიზმი მანამდეც მოშლილი იყო ზოგჯერ.

მომავალ დედობაზე რომ ჩაფიქრდებოდა ხოლმე, ეშინოდა, ეჭვიეპარებოდა, ეყოფოდა თუ არა ძალა, რომ შვილი ეშობა. ზოგჯერ ამაზე ფიქრი იაკობას შემოდგომის მზის სხივებივით ნაზი და სევდიანი სიხარულით უვსებდა გულს. მაგრამ, საერთოდ, ორსულობა გაცილებით ნაკლებად აწუხებდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. ყოველთვის, როცა კი თავის მდგომარეობა გაახსენდებოდა, ფიქრებს მაშინვე პერს მიაპყრობდა. უფრო მეტად ეჭვიანობა სტანჯავდა, ვერაფრით ვერ ამოეგდო გულიდან ეჭვი.

მას შემდეგ, რაც პერის შინ გამოძახება გადაწყდა, იაკობა განუწყვეტლივ მღელვარებაში იყო. ივენმა ბევრჯერ სთხოვა, მაგრამ ერთი

სიტყვითაც არ შეცდილა, პერზე გავლენა მოეხდინა, თუმცა თავად იაკობასაც ვერ გაეგო, რად ჩარჩა პერი ამდენხანს რომში, იმ ქალაქში, თავდაპირველად სულ რომ არ შედიოდა მის მარშრუტში და სადაც მას, პროფესიონალური თვალთახედვით, არაფერი ჰქონდა გასაკეთებელი. თუ იმისათვის შეყოვნდა, პერი ასე იწერებოდა, რომ ბიუსტის დამთავრებას ელოდა, ეს იაკობას, სხვა რომ არაფერი, შეუწყნარებელ თავქარიანობად მიაჩნდა.

თანაც, ბოლო დღეებში, ქალმა ორი მეტისმეტად უთავბოლო წერილი მიიღო პერისაგან, წერილები მშრალად კი არ იყო დაწერილი, პირიქით, ალერსიანად, მაგრამ ამ ბარათებმა იაკობა სერიოზულად ჩააფიქრა. თუმცა, როგორც კი მოვიდა ტელეგრამა, პერის მალე შინ დაბრუნებას რომ იუწყებოდა, ყოველგვარი შიში გაუქრა. მარტო რომ დარჩენილიყო, იაკობა ტყეში წავიდა, ქალმა თავის სიცოცხლეში პირველად ინანა, ღმერთი რატომ არ მწამსო და არ იცოდა მადლი ვისთვის მიეზღო, ვინ განედიდებინა.

იმ დღეს, პერს რომ ელოდნენ, იაკობა უთენია ადგა და ისე მშვიდად და მოთმინებით შეუდგა ჩაცმას, უძლიერესი სულიერი განცდების დროს რომ იცოდა ხოლმე. სადგურში წასვლამდე რამდენიმე საათით ადრე ქალი უკვე მზად იყო. პერი დილის ჩქარი მატარებლით უნდა ჩამოსულიყო და ეშინოდა არ დაგვიანებოდა.

ბოლო დღეებში კარგი ამინდი დადგა. დილით, იაკობა მატარებლის დასახვედრად რომ მიდიოდა, მზე ისე ბრწყინავდა, როგორც ზაფხულში იცის.

პერმა ამ დროს უკვე მშობლიურ მიწაზე შემოაბიჯა, — მატარებელს ის ზელანდიაში მოჰყავდა. ერთთავად ყოყმანში იყო. რომიდან წამოსვლისას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ჩაეშალა თავისი და იაკობას ნიშნობა, მაგრამ ამ გადაწყვეტილების შეტყობინება ვერ გაბედა; ამიტომაც, სანამ ნივთებს ალაგებდა და გასამგზავრებლად ემზადებოდა, ძალიან ღელავდა. ერთი ფიქრი ისიც იფიქრა, გზად მიუნხენში ან ბერლინში შევჩერდები და ცოტა გონს მოვიკრებო.

მაგრამ რაც უფრო მიიწევდა ჩრდილოეთისკენ, მით უფრო ეფლობოდა მოგონებებში. ტყით დაფარული მთების დანახვამ, სულ რამდენიმე თვის წინ მისი და იაკობას სიყვარულის სამოთხისებური თავშესაფარი რომ იყო, განსაკუთრებით გაუღვიძა მოგონებები. როცა მატარებელმა ალპებს გადაუარა, პერმა მთელი ღამე კუპეს ფანჯარასთან

გაატარა მთვარით განათებულ ფერდობების ცქერაში. იცნო მწვერვალ-დათოვლილი ტყიანი ქედი, ის და იაკობა შორიდან რომ ხედავდნენ სეირნობის დროს... და გული ძალიან დაუმძიმდა.

პერი თავისთვის განსჯაში იყო. ჭეშმარიტი სიდენიუსის შეუცნობელი პირმოთნეობით ცდილობდა თავისი სისუსტე პრაქტიკული ხასიათის მოსაზრებებით გაემართლებია. პერი თავის თავს ეკითხებოდა: გონივრულია თუ არა ამ კავშირის გაწყვეტა ახლა, როცა სწორედ ამას შეუძლია ფასდაუდებელი სამსახური გამიწიოს იმ ბრძოლებში, წინ უეჭველად რომ მელისო? შევძლებ თუ არა „ჰო“ და „არას“ კარგად აწონ-დაწონის შემდეგ უარი ვთქვა სალამონების ოჯახის მხრივ მუდმივ მხარდაჭერაზეო? ეს კი ერთადერთი მოსაზრებაა, რითაც უნდა ხელ-მძღვანელობდეს ახლა პერი. წინ ელის ბრძოლა სრულ გამარჯვებამდე, ან სრულ დამარცხებამდე. დიდი ხანია, ხელები ექავება ბრძოლის დაწყებად. როცა ფაბრიკებით ახმაურებულ გერმანულ ქალაქებს ჩამოუარა, სადაც უზარმაზარი სადგურებია და საქარხნო მილებიც ტყესავით მოსჩანს, პერი მოუთმენლობამ აიტანა, მგზნებარე წყურვილმა, რაც შეიძლება მალე შესდგომოდა მუშაობას რომში დიდხანს უსაქმურად ყოფნის შემდეგ. მერე რითიღა გავიმართლებ თავს, — ასე მსჯელობდა საკუთარ თავთან — თუ განსაცდელში ჩავაგდებ, ან თუნდაც რისკის ქვეშ დავაყენებ მთელი ჩემი ცხოვრების საქმეს ვინმე სანდომიანი ქალის გამოო?

პერს დრო სამყოფად ჰქონდა ასეთი ფიქრებისათვის — თითქმის საღ-ღეს დაატარებდა მატარებელი ევროპაში. იგი არ შეჩერებულა არც შიუნხენში, არც ბერლინში. პერი მოერია თავს. ჯერჯერობით უნდა ვრიდოს ყველაფერს, რასაც შეუძლია გადადოს მისი საქმის წარმატება. ან გაართულოს საბოლოო გამარჯვება. ახლა ყველაფერი საქმეს უნდა მოუტანოს მსხვერპლად, ყველაფერი, სიყვარულის სიხარულიც კი. სულ ერთია, პერისთვის, არის თუ არა იაკობა ის ქალი, ვინც მას სჭირდება, — ახლა გონივრული ის იქნება, უარი არ თქვას ერთხელ გაკეთებულ არჩევანზე. ოჯახური ბედნიერება სულაც არ ადარდებს პერს. ადამიანები, ვისაც ბედმა დიდი საქმე მიანდო, მეფის შთამომავალთა მსგავსად, ჩვეულებრივ ობივატელურ კანონებს არ ექვემდებარებიან, მათ პირადი გრძნობები უმაღლეს მიზნებს უნდა დაუმორჩილონ.

მატარებელი უკვე შევიდა კოპენჰაგენის სადგურის თაღში, პერი

კი ჯერ ისევ ყოყმანით იტანჯებოდა. მაგრამ ამ დროს მთლად მოულოდნელი ამბავი მოხდა.

იაკობა რომ დაინახა — ქალი პლატფორმაზე იდგა და მის წინ გასრიალებული ვაგონების ფანჯრებში თვალებით პერს ეძებდა, — უეცარი გარდატეხა მოხდა პერში, გულზე თბილი ტალღა მოაწვა. უნებურად თავი გამოყო ფანჯრიდან და შლიაპა დაუქნია ქალს.

უნდა ითქვას, იაკობა დღეს მშვენივრად გამოიყურებოდა. ახალი განიერფარფლებიანი საზაფხულო შლიაპა ეხურა და ძალიან უხდებოდა. მღელვარებისა და სიგრილისაგან ლოყები ასწითლებოდა. აბრეშუმის მაქმანის წამოსასხამიანი ბაცი ფერის მსუბუქი კაბა ლამაზად შემოსალტვოდა წერწეტ ტანზე... ყოველივე ამან ფრიად აამა პერის თავმომწონეობას — ეს კი თავიდათავი გრძნობა გახლდათ იმ რთულ გრძნობებს შორის, მას რომ იაკობასთან აკავშირებდა.

პერი ვაგონიდან გადმოხტა და თუმცა ბაქანზე ბევრი ხალხი იყო, მაშინვე ხელი გაუყარა ქალს, არც კი უფიქრია, რომ მათი ნიშნობა ჯერ საიდუმლოდ ითვლებოდა; ხელგაყრილებმა გაიარეს მოსაცდელი დარბაზი. პერი გაოცებისაგან გაოგნებული იყო, იაკობას რომ ასე გაახალგაზრდავებულს და გალამაზებულს ხედავდა. ქალი ახლა უფრო ნაკლებადაც ჰგავდა ებრაელს, ვიდრე პერს ნანისთან შეხვედრის შემდეგ ეჩვენებოდა.

იაკობა სიხარულისაგან კრინტსაც ვერ სძრავდა, მაგრამ მზერას ვერ აცილებდა ვაქის სახეს და როცა ხალხში გზას მიიკვლევდნენ, ქალს ისე უცემდა გული, პერს, ხელგაყრილი რომ მიჰყავდა იაკობა, ქალის გულის ცემა ესმოდა. პერი ღიმილით ჩასცქეროდა თვალებში ქალს. თვალებიც იწვევდნენ ბევრ ნაზ მოგონებას. ვაქმა თავისკენ მიიზიდა ქალის ნიდაყვი და ჩასჩურჩულა: „ჩემო კარგო“...

მერე დახურულ კარეტაში ჩასხდნენ. იაკობა მკერდზე მიეკრო ვაქს და პერს ყოველგვარი ყოყმანი თავიდან ამოუვარდა. კარეტა სწრაფად მიჰქროდა და გონს მოსვლა ვერც კი მოასწრეს, რომ უკვე ოტელის წინ გაჩერდა.

ვიდრე პერი ნომერს შეუკვეთავდა, იაკობა კარეტაში უცდიდა და სასწრაფოდ ლამაზდებოდა მგზავრობის შემდეგ; მერე იმავე კარეტით აგარაკზე წავიდნენ. გადაწყვიტეს, მატარებელს შელეოდნენ — ძალიან ბევრი სათქმელი დაგროვებოდათ და გარეშეთა ყურებს ერიდებოდნენ

სანაპიროს გზაზე რომ გავიდნენ, შეჩერდნენ და კარეტას თავი გადახადეს. შუადღის მზე აცხუნებდა, ჰაერი არ იძროდა.

პერი ღრმად სუნთქავდა. მთელი მისი არსება, ეჭვით ხანგრძლივი ტანჯვის შემდეგ, თავისუფლების ნეტარმა გრძნობამ მოიცვა, გული კი იაკობასადმი მადლიერების გრძნობით ჰქონდა სავსე: რაკი ქალი ახლა ასე ლამაზი იყო და ასე გაუხარდა მისი ჩამოსვლა, ამით პერი მთლად გამართლებული გახლდათ. სასიამოვნო იყო იმის შეგრძნება, რომ სიცოცხლის გზა უშეცდომოდ იყო მიგნებული და არც ისე დიდი ძალის დატანება დასჭირდა თავისთვის, როგორც წარმოედგინა, რათა საკუთარ სინდისთან საბოლოოდ მორიგებულიყო. მერე რაოდენ სასიამოვნო იყო იმის შეგრძნება, რომ შენ ისევ შინ ხარ და ირგვლივ მშობლიური ლაპარაკი გესმის! იაკობას ხელი პერს ხელში ედო. გაშლილი ფოთლების, ყურეში აფრიანი გემების დანახვამ პერი დაამშვიდა, რომელიღაც ვილის თავზე მოფარფატე დროშას რომ თვალი მოჰკრა, მაშინ კი მთლად აუჩვილდა გული.

— ღმერთო, ჩვენი ძველი დანებროგი! — წამოიძახა მან.

მაგრამ ამ დროს იაკობამ დიურინგები ახსენა.

— ისინი მხოლოდ გუშინ დაბრუნდნენ. მთელი ქვეყანა შემოიარეს. შენ ხომ შეხვდი მათ იტალიაში. როგორ გგონია, რა დამოკიდებულება აქვთ ერთმანეთთან?

— როგორ დამოკიდებულებაში არიან? აბა, საიდან მეცოდინება?

— მე ვფიქრობ, უკვე მოაბეზრებდნენ ერთმანეთს თავს. ყოველ შემთხვევაში, ნანი უწინდელივით ისევ კუნტრუშაა. დღეს მოვა სადილად. ამბობდა, მოხარული ვიქნები, პერთან საუბრით იტალიური შთაბეჭდილებები აღვიდგინოო.

პერმა ისე მოისმინა ეს ამბავი, იაკობასათვის სახეში არ შეუხედია: ბოლო სიტყვებზე გაღიმებაც კი სცადა, მაგრამ თქმით არაფერი თქვა და მარჯვედ გამოცვალა საუბრის თემა.

ნანი მართლაც მოვიდა სადილად, უფრო სწორად — ნახევარი საათი იყო გასული, რაც ყველანი მაგიდას მიუსხდნენ, ნანი რომ გამოჩნდა და ყველისთვის არც დაუცდია, ისე გაქრა, — სადღაც სტუმრად მიეჩქარებოდა. ყველაფერზე ეტყობოდა, რომ მშვენიერ გუნებაზე გახლდათ, ყვავილებიან ყვითელ კაბასა და ალისფერ — წითელ აბრეშუმის ესპანურ მანტილიაში თვალისმომჭრელად ლამაზი ჩანდა.

თუმცა კრიტიკიზმმა, რითაც წინასწარ შეიარაღდა პერი, მაინც შეს-

ძლო მასში ნაკლოვანების პოვნა. პერს განსაკუთრებით აუტანლად ის მოეჩვენა, რომ ნანის შეეძლო შეუსვენებლად ელაქლაქა. იქ, რომში, ნანის კოპენჰაგენური გამოთქმა პერს სამშობლოს ახსენებდა, აქ კი აღიზიანებდა. პერმა სიამოვნებით შენიშნა, რომ ნანი ვულგარული ქალი იყო.

და მაინც, ნანი რომ წავიდა, შვებით ამოისუნთქა. სანამ ის მაგიდასთან იჯდა, პერს დიდი ძალის დატანება უხდებოდა თავისთვის, რაღაა მშვიდად ყოფილიყო და იაკობასთან თავი არ გაეცა.

მაგრამ ვერც ნანის წასვლის მერე დაკმაყოფილდა. თუმცა ვერ იტყოდა ცუდად შემხვდნენო (ფილიპ სალამონმა ბრძანა, ამ საზეიმო მოვლენასთან დაკავშირებით მაგიდაზე შამპანიურიც კი მოეტანათ), დაბრუნების სიხარული მალე ჩაუქრა და ოდნავ სევდიანი გრძნობა დაუტოვა რაღაცის დაკარგვის თუ სიცარიელისა — თავადაც ვერ გაეგო რისი.

პერს მოაგონდა, რომ ეს განწყობილება ახალი არ იყო მისთვის. თუმცა სტუმრად ყოფნა მომავალ სიმამრთან მოსწონდა, მაინც მთლად ისე ვერ გრძნობდა აქ თავს, როგორც შინ. სალამონების ცხოვრების ნირი, ოჯახის წევრების ურთიერთდამოკიდებულება, მისთვის უაღრესად უცხო იყო. მათი ცხოვრების წმინდა ებრაული, ან ძველაღთქმური ნირი კი არ აფრთხობდა მას (სალამონების ოჯახი და მათი ნაცნობები საერთოდ არ გამოირჩეოდნენ ამით). უფრო მეტად მეტისმეტად თანამედროვე, სახლის მეტისმეტად გაევროპულებული ტონი ზოგჯერ ისე მოქმედებდა მასზე, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო. ნასადილევს ჩვეულებისამებრ ახლომახლო ვილებში მცხოვრებმა ამ ოჯახის მეგობრებმა (უმთავრესად ებრაელებმა) რომ შეიყარეს თავი, პერს უეცრად მოეჩვენა, თითქოს კვლავ საზღვარგარეთ იყო.

პერი და იაკობა ბაღში ჩავიდნენ. ხელიხელგაყრილები დასეირნობდნენ ხეივანში წყლის პირად, აქ ნაკლებად იყო მოსალოდნელი სტუმრებთან შეხვედრა.

თუმცა იაკობას სულაც აღარ სჭირდებოდა, ყველას დამალვოდა. ამ დღეებში სკოვბაკენში სტუმრების დიდი მიღება უნდა გამართულიყო ნანისა და დიურინგის შეუღლების გამო და იაკობამ იცოდა, რომ მშობლებს უნდოდათ ესარგებლათ შემთხვევით, რათა ბარემ მისი დანიშვნაც საჯაროდ გამოეცხადებინათ. განსაკუთრებით დაჟინებით ამას მოითხოვდა დედა, პირდაპირ ამბობდა კიდეც, დიდი ცოდვა არ იქნებო-

და, თქვენც გეფიქრათ ქორწილზეო. სწორედ ამიტომ წაიყვანა იაკობამ პერი ბაღში. უნდოდა მოლაპარაკებოდა ამის თაობაზე და თან თავისი ორსულობის ამბავიც გაემეღავნებინა პერისათვის. ქალი უკვე დარწმუნდა, რომ ნამდვილად ორსულად იყო.

მაგრამ ლაპარაკი იაკობას უცბად არ დაუწყია, ჯერ პერთან ერთად ვაჟის მხარზე თავდაყრდნობილი ბილიკზე დასეირნობდა და წამდაუწუმ უშვერდა ტუჩებს საკოცნელად. პერი მის მგზნებარე ალერსს, ცოტა არ იყოს, მოკრძალებით პასუხობდა. მიხვდა, რომ ნანის მიმართ ჯერაც არ იყო გულგრილი. ყოველთვის, როცა კი იაკობას ტუჩები პერის ტუჩებს ეხებოდა, ნანის ჩრდილი დგებოდა მათ შორის და აკრთობდა პერს.

იაკობას ძალაუნებურად გადაედო პერის თავშეკავებულობა და გადაწყვიტა ჯერ არ ეთქვა არაფერი, მით უფრო, რომ სულაც აო ჰქონდა წარმოდგენილი, როგორ შეხვდებოდა ამ ამბავს პერი. ბოლოს საერთოდ გადაწყვიტა დალოდებოდა უფრო ხელსაყრელ მომენტს, როცა კვლავ მთლად ერთმანეთისა იქნებოდნენ.

იაკობა შეჩერდა, გულზე პერის ხელი მიიდო და სთხოვა, ხვალ დღისით ნურსად წახვალ, მე თვითონ მოვალ შენთან სასტუმროშიო.

ჯერ იყო და პერმა თავი ისე დაიჭირა, თითქოს ვერ მიხვდა, რაზე იყო ლაპარაკი:

— ვაი რომ, ეს შეუძლებელია ძვირფასო, მე ივენის პირით შევპირდი მაქს ბერნარდს, ათი საათისთვის მოვალ თქვენთან შეხვედრაზე-მეთქი. დროა, საქმეს მოვკიდო ხელი!

— მაშინ, დილით კი არა, ცოტა მოგვიანებით მოვალ. როცა გეცლება.

— არა, ასე არ შეიძლება. აქ ფრთხილად უნდა ვიყოთ.

იაკობამ გაკვირვებით შეხედა. ამას რომ ამბობდა, პერმა ისე ჩაიცინა, იაკობამ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი.

ქალმა გზა განაგრძო და შეწყვეტილი საუბარი აღარ განუახლებია.

ხეივანი ჩათავდა, პერი და იაკობა ნაპირზე გავიდნენ. აქ, წყლის პირას, სოკურას ქვეშ სკამი იდგა. მზე ის იყო ჩავიდა, ცაზე ვარდისფერი ღრუბლები გაწოლილიყო. ზუნდი ლითონივით ბზინავდა. კუნძულ ვენის ქვიშიანი ნაპირები პრიალებდა. დიურეხავენიდან მოდიოდა შეუწყვეტელი ხმაური, ქარის ჩადგომის შემდეგაც კარგა ხანს რომ ისმის ხოლმე ტყეში. თუ ამ ხმაურს არ ჩავთვლით, ირგვლივ სიჩუმე

იღგა. პერსა და იაკობას მკაფიოდ ესმოდათ შორეული ნავის ნიჩბების თქაფანი.

არასასიამოვნო შეკითხვები რომ თავიდან აეცდინა, პერმა დაიწყო წყალში კენჭების სროლა. ბავშვობაში ძალიან ოსტატურად ისროდა ხოლმე კენჭებს წყალში და რომ ნახა, ამდენი ხნის მერეც არ დავიწყებოდა, გაუხარდა. იაკობა წინ წაწვდილიყო და ხელისგულებზე ნიკაკადაბჯენილი უთვალთვალებდა. პერი ყოველი მარჯვე სროლის შემდეგ მისკენ მობრუნდებოდა ხოლმე, აქაოდა, მომიწონეო, იაკობა უღიმოდა და თავს უქნევდა. მაგრამ როგორც კი პერი მიბრუნდებოდა, ქალს მაშინვე სერიოზული და ჩაფიქრებული უხდებოდა სახე.

— ხედავ?.. რვა ჭავლია! — ზეიმობდა პერი.

ის ძალიან გაერთო თავისი საქმით, გულდაგულ არჩევდა შესაფერის კენჭებს. ბოლოს, უფრო მარჯვედ რომ ესროლა, სერთუკიც გაიხადა. დაბრუნების სიხარული, ადამიანებთან შეხვედრამ რომ გაუქარვა, ხელახლა დაუბრუნდა ამ უკაცრიელ ნაპირზე. ქვიშიან ნაპირს მიხეთქებული ტალღების მსუბუქი შხაპუნი, უჩინარი ნავის ნიჩბების ყრუ თქაფანი, ზურგს უკან ტყის განუწყვეტელი შრიალი — ყველაფერი, ყველაფერი ელამუნებოდა სმენას და პერის გულს სიხარულით ავსებდა. მას არაფერი უთქვამს იაკობასთვის, მაგრამ ეჩვენებოდა, რომ ეს ბგერები ერთმანეთს ერწყმოდნენ საყვარელ, მშობლიურ სიტყვებად: „კეთილი იყოს შენი მობრძანება“, ეს კი პერს ძალიან ენატრებოდა.

* * *

პერი და ივენი შეთანხმდნენ, მეორე დილით შეევლო ივენს სასტუმროში და ერთად წასულიყვნენ მაქს ბერნარდთან, სადაც სხვა დაინტერესებული პირებიც უნდა გამოცხადებულიყვნენ. მგზავრობით დაღლილი, დღის მრავალი ურთიერთსაწინააღმდეგო შთაბეჭდილებებით მოქანცული პერი ადრე გამოემშვიდობა სკოვბაკენს, შინ მოსვლისთანავე დაწვა, გულიანად დაიძინა და მხოლოდ ტრამვაის ზარმა გამოაღვიძა.

როგორც კი ოდნავ გონს ძოვიდა და მოისაზრა სად იყო და რა მნიშვნელოვანი საქმეები ელოდა, ძილი მაშინვე გაუფრთხა და საჩქაროდ ადგა. თუმცა, იმ უცნობი საქმოსნებისადმი, ვისაც ახლა ყველაფერში უნდა მინდობოდა, ვისთვისაც უნდა დაეთმო თავისი „მე“-ს

რაღაც ნაწილი, არამეგობრულად გახლდათ განწყობილი, მაინც აეტანა სურვილს, მუშაობას შესდგომოდა. პერი იმედოვნებდა, რომ თავისი აქ ყოფნით გაბედულს გახდიდა მერყეე მებირაჟეებს, სულ რომ არ გააჩნდათ ფანტაზია, უფრო ნათელ წარმოდგენას შეუქმნიდა მათ, თუ რა ამოცანების წინაშე იდგნენ.

პერი პირის გასაპარსად ფანჯრის ალათაზე სარკეს ჰკიდებდა, შემთხვევით სასტუმროს წინა მოედანს გადახედა და ქვემოთ გავლილი ხალხი რომ დაინახა, ფუნჯი ხელში გაუშეშდა: ეს იყო ეგრეთწოდებული სენის ბაზარი, — უსწორმასწორო ფორმის გრძელი მოედანი, — ამ მოედანს რომ დაინახავდი, მაშინვე შეატყობდი, რა ხელმიშვებული იყო მთელი ქალაქი. სახელდახელოდ აგებულ „პალაცოებს“ შორის, სტილით სულ რომ არ განსხვავდებოდნენ თანამედროვე ევროპულ კაფეებისაგან, ეყარა მიწა, რასაც საუკუნოვანი, დატოტვილი ხეივნის ნაწილი შერჩენოდა. ამ მთლად სოფლურ პეიზაჟს ემატებოდა ქარის წისქვილიც, რომლის ფრთებიც ყოველ შემოტრიალებაზე ქვაფენილს ჩრდილად ეფინებოდა.

ღამით ნაწვიმი, ჯერ ისევ სველი და ჭუჭყიანი დიდი მოედანი მზის შუქს გაეჩახჩახებინა. ხმაურიანი დილა იყო, ის დრო, როცა მაღაზიებით, სკოლებით და მოდური სახელოსნოებით მდიდარი ქალაქის ცენტრი გარეუბნის მოსახლეობას იზიდავს. ხალხის ნაკადი ვესტერბრუზე მიედინებოდა და ტალახში დაგებული ქვაფენილის გასწვრივ ორ რიგად ტოტდებოდა.

„დანიელი ხალხი!.. ჩემი ძვირფასი სიდენიუსები!“ — გაიფიქრა პერმა და გაუღიმა ამ ჯუჯა ხალხს (მაღლიდან ასე ჩანდნენ), რომელთაგანც ყოველი კაცი თავისი ნაცნობი ეგონა, ხოლო ყველანი ტყუპებივით ჰგავდნენ ერთმანეთს.

პერი ჩაფიქრდა.

ამგვარად, შეუძლია ხელი მოკიდოს თავისი დიადი გარდამქმნელი გეგმის შესრულებას. როგორღაც ძნელი წარმოსადგენიც კია. მრავალი წლის ეჭვების, ფიქრის, ხანგრძლივი მზადების და ამაო იმედების შემდეგ ბოლოს და ბოლოს, დღეს, თოთხმეტ მაისს დაიდება პირველი ქვა იმ ახალი სამეფოს საძირკველზე, ბავშვობაში, თეთრმეტი წლის ბიჭის აზრების ქაოსში რომ იბადებოდა. ფანჯრის ქვეშ კი მიედინება ბრბო, ვისაც ეჭვიც კი არაფრისა აქვს — ნედლი მასალა მომავალი და-

ნიისათვის, მკვდარი თიხა, საიდანაც მან ღმერთის მსგავსად უნდა გამოძერწოს თავისნაირი, თავისივე მსგავსი და სიცოცხლე ჩაბეროს.

პერმა ისევ გაიღიმა და ლოყები შეისაპნა. ახლა ხვდებოდა, რომ ყოველივე ამაში სიგიჟეც ერია, მაგრამ სიგიჟე არ აშინებდა. პირიქით, სასიამოვნო და დამამშვიდებელიც კი იყო იმის შეგნება, რომ შენშიც არის გიჟი, — ვის შესახებაც ჯერ კიდევ რომში ლაპარაკობდა პატარა, ცხოვრებისეული სიბრძნით დამძიმებული მხატვარი, — სწორედ ის, ურომლისოდაც ვერც ერთი ადამიანი ვერ შესძლებდა თუნდაც სულ მცირე მნიშვნელობის გამარჯვების მოპოვებას თავისივე მსგავსებზე.

როგორც კი პარსვას მორჩა, პერმა დაურეკა მოსამსახურე ქალს; მან ახალი გაზეთები და დილის ყავა მოართვა. პერს შიოდა, ნამდვილი დანიური საჭმელებით გაწყობილი სუფრის დანახვამ კი მადა გაუღიზიანა. რაოდენ გემრიელი ეჩვენა შავი პურიც და მარილიანი კარაქიც, რაოდენიმე თვე იყო, მსგავსი რამ არ ეგემა.

პერს დიდი ხანია ასე გემრიელად არ უჭამია. სამაგიეროდ, გაზეთები ფრიად დაუდეკრად გადაათვალიერა. ქვეყნის საშინაო მდგომარეობა ნაკლებად აინტერესებდა, ხოლო კარგა ხანია ჩვეულებად ჰქონდა, რომ სტატიები თეატრზე, ლიტერატურაზე და გამოფენებზე — არ წაეკითხა.

უეცრად თითქოს პერს ვიღაცამ ხელი ჰკრა, წამში სახეც გაუქვავდა. მისი მზერა შემთხვეკით მოხვდა განცხადებას, სადაც ნახსენები იყო მისი დის, სიგნეს სახელი: „მუსიკის გაკვეთილები დამწყებთათვის“, — ასე იწყებოდა განცხადება; სიგნეს სახელს ქვეშ ნაჩვენები იყო მისამართი, სადღაც ვესტერბრუს რაიონში, ერთერთ ვიწრო ქუჩაზე, ჰამლე კუნგეკის დასაწყისში.

იტალიაში ცხოვრებისას პერს მთლად გადაავიწყდა თავისი ოჯახი. თუმცა ერთი-ორჯერ (ისევე, როგორც დრეზაკში) შუაღამისას გაეღვიძა, თითქოს ვიღაცამ უბიძგაო და ეს ნიშნავდა, რომ დაესიზმრა, თითქოს ისევ პასტორის სახლში ცხოვრობდა; ცხადში კი ბოლო თვეების განმავლობაში ერთხელაც არ გახსენებია თავისიანები. როგორც ჭაბუკობაში იცოდა ხოლმე, ახლაც განგებ გული აარიდა ამ მოგონებებს; მაგრამ ახლა შეწინააღმდეგების სურვილით ან მტრობის გრძნობით კი არ მოსვლია ეს, არა, უბრალოდ მიხვდა, რამდენად აუცილებელი იყო მისთვის ახლა (და რა აუცილებელი იყო წინათ) ყოველგვარი ოჯახური ბორკილებისაგან განთავისუფლება, რათა უფრო საიმედოდ

შეენარჩუნებინა თავისი დამოუკიდებლობა. პერი ცდილობდა თავი იმით ემართლებინა, რომ მისდევდა ქრისტეს მცნებას: თავი ანებე მამას შენსა და დედას შენსა და მიჰყევი შინაგან ძახილს სულისა, რათა დაადგე სრულყოფის გზასო.

პერს თვალი ვერ მოეწყვიტა პატარა განცხადებისათვის. მოაგონდა, რომ ჯერ კიდევ მამის დასაფლავებაზე იყო ლაპარაკი, ტყუპების გულისთვის აპრილის დასაწყისში საცხოვრებლად კოპენჰაგენში გადასულიყვნენ.

ერთი მათგანი კოპენჰაგენის მეაფთიაქესთან მოეწყო სამუშაოდ, მეორე კი — წიგნის სავაჭროში; ახლა, როგორც ჩანს, თითქმის მთელი ოჯახი აქ გადმობარგებულა.

ამ დროს კარზე დააკაკუნეს და ნომერში ზარბაზნის ყუმბარასავით შემოვარდა იღლიაში ვეებერთელა პორტფელამოჩრილი ივენი.

ივენმა ყვავილები და იაკობას მოკითხვა გადასცა პერს. საკუთარი ინიციატივით მშობლებისაგან მოკითხვაც დაურთო, რათა ამითი ეგრძნობინებინა, მოხუცები ძალიან გახარებული არიან შენი ჩამოსვლითო, თუმცა ივენი სულაც არ აზვიადებდა არაფერს. ფილიპ სალამონი ფრიად ნასიამოვნები და გაოცებული იყო პერის ასე შეცვლით.

— ახლა კი საქმეს მივხედოთ! — მოუთმენლად შეაწყვეტინა ივენს პერმა და სკამიდან წამოხტა. ის ჯერ ისევ უსერთუქოდ იყო და ფოსტლები ეცვა.

— საქმეს მივხედოთ, საქმეს! — ნაღვლიანად გაიმეორა ივენმაც და სავარძელზე მიეგდო. ცალი ხელი კისერზე ისე მიედო, თითქოს უცბად საყელომ წაუჭირა ყელშიო. ივენმა არ იცოდა საიდან დაეწყო, როგორ გაეცნო პერისთვის საქმის ვითარება და როგორ მოემზადებინა ის მოთხოვნისათვის, მოსალოდნელ შეხვედრაზე რომ უეჭველად წაუყენებდნენ.

დრო რომ მოეგო, პერს იმის ხელახლა მოყოლა დაუწყო, რაც უკვე მიწერილი ჰქონდა წერილში... ეს იყო პირველი შეხვედრის ამბები და პროექტის თაობაზე გამოთქმული სხვადასხვა მოსაზრებანი.

პერი დროდადრო რაიმე შენიშვნას ჩაიბურდღუნებდა ხოლმე. ის ხელახლა დადგა სარკის წინ, გულმოდგინედ იკრავდა ჰალსტუხს და მაინცა და მაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდა ივენს. ფიქრებით დედასთან იყო. ვერ დაეჯერებინა, რომ დედა ამავე ქალაქში ცხოვრობდა — და იქნებ სადმე ახლოსაც კი, სულ რაღაც ათასიოდე ნაბიჯზე.

ივენმა ცოტა ხანს იყუჩა და მერე მეტისმეტად საბრალო ხმით პერს უთხრა:

— ნება მომეცი ერთი შეკითხვა მოგცე.

— აბა, თქვი.

— მითხარი... როგორ... აი როგორ... მე მინდა გკითხო, შეურიგდები ბერეგრავს?

პერი ნელა შემობრუნდა მისკენ. ჯერ იყო და არ იცოდა გაბრაზებულიყო თუ ყველაფერი ხუმრობაში ჩაეტარებინა. მერე ხუმრობა არ-ჩია.

— მომისმინე, ჩემო პატარავ, — მიუგო მან და ხელახლა მიბრუნდა სარკისკენ. — მგონი, თქვენ ყველანი ცოტა შეიშალეთ მაგ ბებრუხანაზე. თავად ჩაგიჭედათ თავში, რომ მაგას ვერ შეელევით. ჰოდა, მოკითხვა გადაეცით ჩემი სახელით და უთხარით, შეაყოლოს... მხოლოდ, გეთაყვა, ნუ გეშინია. როცა ძაღლი ყეფს, მას ეშინია კბენისა.

— რა თქმა უნდა... ცოტათი... ცხადია, შენ მართალი ხარ, — მიუგო ივენმა. — თავისთავად... თუ ასე ვიმსჯელებთ... სისულელეა მისი მხარდაჭერისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მინიჭება. მაგრამ მეორეს მხრივ, რამდენადაც ჩვენს ძვირფას თანამოაზრეებს ვერ გადაარწმუნებ, რომ ბერეგრავმა ამ საქმეში აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა და რაკი თავად მოინდომა ჩვენი წამოწყებისათვის დახმარების გაწევა... ერთის პირობით, მაშასადამე...

— რა მაშასადამე?

— არაფერი, მე უბრალოდ ვფიქრობდი... — ივენი დაიღრიჯა, თითქოს ჭვალი დაადგა, — მე უბრალოდ ვფიქრობდი, საქმის სასარგებლოდ...შენ რომ დაგვთანხმებოდი ასეთ... ასეთ დათმობაზე, რომელსაც ის... მოითხოვს...

— ყველაფერი სისულელეა, ჩემო კარგო. შენ უბრალოდ არ გესმის, რას ამბობ. ახლა მე თვითონ მექნება საქმე იმ შენს თანამოაზრეებთან: ვიმედოვნებ, ისინი ისეთი სულელები არ აღმოჩნდებიან, ვერ მიხვდნენ, რომ მე არ შინდა და არც შემიძლია დავეთანხმო, ვინმემ გაბიწიოს მეურვეობა.

— ამას არც არავინ ამბობს, ჩემო ძვირფასო! მათ მხოლოდ ფართო საზოგადოებისათვის სჭირდებოდათ მისი სახელი. მე შემიძლია შეგპირდე, რომ ბერეგრავი ალერსიანად მიგიღებს: მას შემდეგ, რაც გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობა შენი პროექტის თაობაზე, მღელვარები-

საგან კვერცხის მდებელი ქათამივით აქეთ-იქით აწყდება. ბიძაჩემმა მითხრა.

— რას დავეძებ. კმარა, აღარ მსურს მის შესახებ რაიმე მოვისმინო.

— ერთი სიტყვაც მომისმინე, ხომ იცი, საერთოდ ყოველნაირად ვუჭერ მხარს შენს მისწრაფებას, იყო დამოუკიდებელი. მაგრამ ამჟამად — გთხოვ, მაპატიო, — ამჟამად შენ არა ხარ სწორი. განსაკუთრებით იმაში, რაც მაქს ბერნარდს ეხება.

ამ სახელის ხსენებისას პერს მთლად გაუწყდა მოთმინება. შემოუბრუნდა ივენს და მკვახედ უთხრა:

— მომეშვი მაგ თქვენი ბერნარდით! ბოლოს და ბოლოს საქმეს მე ვწყვეტ, ეშმაკმა დალახვროს, შენ ნურაფერზე ნუ ზრუნავ. ახლა კი წავიდეთ.

როდესაც ნახევარი საათის შემდეგ ისინი მაქს ბერნარდის ელეგანტურ, პარიზულ ყაიდაზე მოწყობილ კაბინეტში შევიდნენ, იქ უკვე ყველას მოეყარა თავი ბანკირ გერლოვის და თვით სახლის პატრონის გარდა. კაბინეტის ერთერთ მაღალ ფანჯარასთან შეგროვილნი პერს მებირჟეებისთვის დამახასიათებელი ცივი ქედმაღლობით შეხვდნენ.

პერს წამით საქციელი წაუხდინა ამან. ასეთ შეხვედრას არ მოელოდა. იმისი უფრო ეშინოდა, რომ იქ შეკრებილნი მეტისმეტად დადნებოდნენ თავაზიანობით, რაკი მისი პროექტით გამდიდრებას იმედოვნებდნენ. ამის მაგიერ კი მათ მისალმებაზე ძლივს უპასუხეს. თანაც „ყოფილმა მიწათმფლობელმა“ ფრიად უცერემონიოდ მიაშტერა თავისი თეთრწამწამებიანი გოჭის თვალები და მისალმებისას ჯიბეებიდან ხელებიც არ ამოუღია.

პერმა ერთი კი ახედ-ჩახედა, მერე მიუბრუნდა ივენს, გაცნობის ცერემონიალს რომ მეთაურობდა, და უთხრა:

— ამ ბატონის სახელი კარგად ვერ გავიგონე.

— ბატონი ნერეხავე, — ჩასჩურჩულა ივენმა და წონასწორობა ერთი ფეხიდან მეორეზე გადაიტანა, მთლად თავზარდაცემული იყო მეგობრის გამომწვევი ქცევით იმ ადამიანების მიმართ, ვისზედაც მისი ბედი იყო დამოკიდებული.

— ჰო, მაშ ასე, — გაჭიანურებით თქვა ბერმა, თავადაც მიაშტერდა მიწათმფლობელს და ვიდრე წამოჭარხლებულმა ნერეხავემ, თან რომ ზიზღით რაღაცას ბუზღუნებდა, ზურგი არ შეაქცია, თვალი არ მოუშო-

რებია. თუმცა ნერეხავემ ხელები ჯიბეებიდან მაინც ამოიღო და სერთუკის კალთებს ქვეშ ზურგზე შემოიწყო.

ეს ამბავი სულ უბრალოდ აიხსნებოდა. ეს ბატონები მეტისმეტად შიშობდნენ, გონივრულად თუ მოვიქეცით, ჩვენი სახელით რომ დავპირდით მხარი დაგვეჭირა ავანტიურისათვის, რაც ისედაც არა გვწამს და მხოლოდ მაქს ბერნარდისადმი ურყევი რწმენის ხათრით მოვკიდეთ ხელი. ბევრი პერს მოხერხებულ გაიძვერად თვლიდა, აი, მესმის მოხერხება, — თვით მაქს ბერნარდი მოატყუა. ახლა მხოლოდ ერთი საწუხარი ჰქონდათ — როგორმე ისე ლამაზად გამომძვრალიყვნენ ამ ამბიდან, მაქს ბერნარდი არ განერისხებინათ.

ამ დროს მეზობელი ოთახიდან თვითონ მაქს ბერნარდი გამოვიდა ბანკირ გერლოვის თანხლებით. ყველანი ოთახის შუაში მდგარ დიდ მაგიდას შემოუსხდნენ, რის შემდეგაც ნელა, ფრთხილად შეუდგნენ მოლაპარაკებას. თუმცა პირველად საუბარი ჩამოვარდა ისეთ საგნებზე, რომელთაც თითქმის არავითარი დამოკიდებულება არა ჰქონდათ პერის პროექტთან. ზოგმა ადრე შეწყვეტილი ლაპარაკი განაახლა, ზოგი მისთვის საინტერესო საქმეებზე მასლაათობდა, მსჯელობდნენ ბირჟის ახალ ამბებზე, ერთმანეთს ყველანაირ ჭორებს უზიარებდნენ, ახალგაზრდა სივერტსენმა თავის მეზობელს ანეკდოტებიც კი უამბო ერთერთ პოპულარულ კოპენჰაგენელ მსახიობ ქალზე.

მაქს ბერნარდი იძულებული იყო რამდენჯერმე დაეკაკუნებინა საჩაზავი მაგიდაზე, რათა შეკრებილთათვის მოეწოდებინა, რაც შეიძლება მალე გადასულიყვნენ საქმეზე.

— ამგვარად, ბატონებო, ჩვენ ვიმყოფებით ერტინგის ყურეში. აბა, ფცადოთ და ყველას მიერ ხოტბაშესხმული ჩრდილოეთის ზღვა აქციეზად ვაქციოთ! — დაიწყო მან ხუმრობის ტონით. ასეთი ტონით იწყებდა ზუდამ ყველაზე მნიშვნელოვან მოლაპარაკებასაც კი.

ივენი ისე წრიალებდა, თითქოს ნაკვერცხლებზე იჯდა. ფარულად, ნაღვლიანად გახედავდა ხოლმე სიძეს. პერი სკამის ზურგზე გადაწოლილიყო და სახის გამომეტყველებაზე ეტყობოდა, კარგს არაფერს აპირებდა. ჯერჯერობით ზოგჯერ დასმულ შეკითხვებზე პასუხს იძლეოდა, თუმცა ძალიან მოკლედ და უცხვირპიროდ კი პასუხობდა და თან ბრაზისაგან ცახცახებდა. ჯერ იყო და, ცდილობდა ქედმაღლურად შეხვედროდა იმას, რაც აქ ხდებოდა. თავს ჩასჩიჩინებდა, აბა, სხვას რას უნდა მოველოდე ადამიანებისაგან, ვისაც აშკარად მხოლოდ მოგება აინტე-

რესებთო. მაგრამ დიდხანს თავის შეკავება არ შეეძლო. გარდა ამისა, ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო გონს მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ მისიანები კოპენჰაგენში გადმოსულიყვნენ საცხოვრებლად. თუმცა ამაზე ფიქრით თავს არ იმტვრევდა, მაინც რაღაცნაირი შეუცნობელი გრძნობა სტანჯავდა და ეს გრძნობა კიდევ უფრო აღიზიანებდა. ძალიან უნდოდა ამდგარიყო და წასულიყო აქედან.

პერი ხედავდა, რა შემწყნარებლურად, დაუდევრად და უაზროდ ლაპარაკობდნენ ეს ბირჟის ზვიგენები იმ საქმეზე, ამდენი წლების განმავლობაში რომ მთელი მისი გულის ზრახვებს ეუფლებოდა და მთელი მისი ცხოვრების აზრს შეადგენდა და ეჩვენებოდა, თითქოს ისინი თვით მას ყნოსავდნენ და სინჯავდნენ.

პერი ვერ ამჩნევდა, რომ მაგიდის იმ ბოლოდან, სადაც სავარძლის სახელურზე დაყრდნობილ მაქს ბერნარდს ლამაზ თეთრ ხელზე შავთმიანი თავი დაებჯინა, ჩაციებით, ყურადღებით უმზერდნენ. თვალებქვეშ მოლურჯო ჩრდილი ჩაწოლოდა, მძიმე, შეშუპებული ქუთუთოები ჩვეულებისამებრ ნახევრად ჩამოსწეოდა ისე, რომ ვერავინ ხედავდა, საით იყურებოდა მაქს ბერნარდი; ის კი მხოლოდ პერს უმზერდა.

ბერნარდის ყურადღება კრიჭაშეკრულ პერს და მის მაღალ, გამობერილ შუბლზე ამობურცულ ძარღვებს მიეპყრო, რადგან სწორედ ბერნარდს უთქვამს ხშირად, ჩემს ანდერძში პრემიას დავუნიშნავ იმას, ვისაც ცოტათი მაინც სხვანაირი თავი აღმოაჩნდება დანიის ნაციად წოდებულ მრგვალთავიანთა გროვაშიო.

ბერნარდი განაცვიფრა პერის თვალსაჩინო და მთლად ევროპულმა გარეგნობამ, სრულიად რომ არ შეესაბამებოდა ფილიპ სალამონის სახლში პირველი შეხვედრის შედეგად შექმნილ მის შთაბეჭდილებას. მაშინ მას პერი სემინარიელის და მუქთახორის არასასურველ ნარევად მოეჩვენა. ნუთუ ასე შეცდა? ნუთუ დანიის სამღვდელოებამ გამონაკლისის სახით ნამდვილი მამაკაცი წარმოშვა?

შეურიგებლობა, რასაც პერი ბერეგრავის მიმართ იჩენდა, ახლა სულ სხვაგვარად წარმოუდგა თვალწინ და პირველად ჩაუფიქრდა: ღირს კი, ამ საქმეში გაერიოს? არაფერი ისე არ აშინებდა ბერნარდს, როგორც ადამიანები, რომელთა ნებას ვერ დაიმორჩილებდა.

რაკი ასე თუ ისე ორაზროვანი მდგომარეობა ჰქონდა, ბერნარდი მტერს და მეტოქეს ხედავდა ყველა იმათში, ვისაც მის წინაშე ქედის მოხრა არ სურდა და რაც უფრო მეტად აკვირდებოდა პერს, მით უფრო

ნათელი ხდებოდა მისთვის, რომ ეს საშიში ადამიანი იყო და რაც შეიძლება მალე უნდა გაეუვნებლებინა, ან საერთოდ ჩამოეშორებინა გზიდან.

აკი ჰყავდა კიდეც შესაფერისი კანდიდატურა — გაიძვერა ინჟინერი სტეინერი; და რაკი თავად ასეთი წინდახედულება გამოიჩინა, პროექტთან დაკავშირებით ერთხელაც არ უხსენებია პრესაში პერის სახელი, შეიძლებოდა ისე შეეცვალა ისინი, ვერაფერიც ვერ გაეგოთ.

ამასობაში სიტყვა ჩამოვარდა იმაზე, თუ როგორ მიეღწიათ პრესის მხარდაჭერისათვის. ბანკირმა გერლოვმა მამობრივი ტონით განაცხადა, რომ პერი დაუყოვნებლივ უნდა მისულიყო როგორც დედაქალაქის, ისე რამდენიმე პროვინციული გაზეთის რედაქციაში. მან ჩამოთვალა მსხვილი გამომცემლობების სახელები და ურჩია წინასწარ უზრუნველეყო აუცილებელი უფლებამოსილება, რათა გაზეთებს თანხას შეჰპირებოდა განცხადებებისათვის. „ზოგან ამას ძალიან მწყალობლობით ეკიდებიან“, — გაიხუმრა მან.

ჰერმა თავი ისე დაიჭირა, ვითომ არაფერი გაუგონია და ზურგიც კი შეაქცია.

ამ დროს სიტყვა მაქს ბერნარდმა აიღო. ის სავსებით დაეთანხმა თავის მეგობრის წინადადებას და, გარდა ამისა, დააყენა საკითხი პოლკოვნიკ ბერეგრავის შესახებ. ჩვეული ხუმარა ტონით მან პერს მიმართა:

— ძალიან არასასიამოვნო ამბავია, თუ თქვენ და პოლკოვნიკი, თუ დავუჯერებთ ხმებს, ოდესღაც თმებში ეცით ერთმანეთს, ცხადია, პირდაპირი გაგებით არა, რადგან პოლკოვნიკი, ისევე, როგორც პოლკოვნიკების უმრავლესობა, ვაი რომ, — მელოტია.

ყველამ გაიღიმა; ახალგაზრდა სივერტსენმა ვირივით ჩაიყროყინა, პერს კი ტუჩები გაუთეთრდა.

— როგორც უკვე ვთქვი, ეს ძალიან არასასიამოვნოა, — განაგრძო მაქს ბერნარდმა, — რადგან პოლკოვნიკი ბერეგრავი ერთერთი ჩვენი მეტად ჰატივცემული სპეციალისტთაგანია და შეეძლო საქმისთვის მაქსიმუმი სარგებლობის მოტანა, თუ აღარ გავიხსენებთ, რომ ის მეტად უხერხული, მე ვიტყოდი — საშიში მოწინააღმდეგეა. თქვენთვის, ალბათ, ცნობილია, რომ ჩვენ უკვე მივაღწიეთ მუშაობაში მონაწილეობაზე პოლკოვნიკის თანხმობას იმ პირობით, თუ თქვენს შორის კონტაქტის დამყარებაში პირველ ნაბიჯს სწორედ თქვენ გადადგამდით. თუ

გავითვალისწინებთ მის ასაკს და საზოგადოებრივ მდგომარეობას, ამ მოთხოვნაზე ვერ ვიტყვით — მეტისმეტიაო.

ყველამ პერს მიაპყრო მზერა, რადგან იგი ისე იქცეოდა, დამსწრენი თუმცა არ ამჟღავნებდნენ, იბნეოდნენ კი. პერს დიდხანს არ დაუყოვნებია პასუხი.

— მე გადაჭრით უარს ვაცხადებ ყოველგვარ მეურვეობაზე, — დაიწყო მან, — გეგმა ყოველგვარი დახმარების გარეშე დავამუშავე და მომავალშიც არ მსურს შევიძინო თანამშრომლები.

ივენს ოხვრა აღმოხდა, დანარჩენებიც მთლად თავზარდაცემულები იყვნენ: მეტისმეტად გაოცდნენ, რომ აღმოჩნდა ადამიანი, თანაც ახალგაზრდა და ყველასთვის უცნობი კაცი, ვინც გაბედა და აშკარად წინ აღუდგა მაქს ბერნარდის განზრახვას. თავად მაქს ბერნარდსაც კინაღამ პირზე შეაშრა ხუმრობა. მაგრამ ბერნარდმა შეინარჩუნა ტონი და რათა პერს ამ უტაქტობის გამოსწორებაში დახმარებოდა, ღიმილით უთხრა:

— ბატონი სიდენიუსი, როგორც ჩანს დღეს მარცხენა ფეხზეა ამდგარი! — მერე პერს მიუბრუნდა და დაუმატა: — როგორ შეგიძლიათ ასე მოუტეხებლად მოექცეთ მოხუც, პატივცემულ ადამიანს, ომის ვეტერანს და სამშობლოს დამცველს? ასეთი ადამიანები ხომ ამბორის ღირსნი არიან!

რაკი თავისი მოვალეობა კარგად ახსოვდა, ბატონმა სიეერტსენმა უურთასმენის წამღები ხმით გადიხარხარა, მაგრამ უცბად შენიშნა, რომ სხვები სერიოზულად ისხდნენ, ამიტომ ჩაჩუმდა და ხველა აიტეხა. ახლა კი პერმა მთლად დაკარგა გონი, მაგიდას მუშტი დაჰკრა და გაფითრებული წამოვარდა.

— მე მინდა შევახსენო დამსწრე ბატონებს, რომ მე ვჭირდები მათ და არა ისინი მე. ამიტომაც მიმაჩნია, რომ პირობები უნდა წამოვაყენო მე, და არა თქვენ ან ვინმე სხვამ.

იქ მყოფთ ენა ჩაუვარდათ. პერი დაჯდა. ყველას თვალები მაქს ბერნარდისთვის მიეპყრო, მაგრამ ის წინანდებურად თავქვეშხელამოდებული და ნახევრად თვალებდახუჭული იჯდა. გაფითრებულ სახეზე ავისმაუწყებელი, გაყინული გამომეტყველება აესახა, ასეთი გამომეტყველება ჰქონდა მუდამ, როცა ვინმესთვის გუნებაში სიკვდილის განაჩენი გამოჰქონდა. მან მოასწრო, გერლოვისთვის თვალით ენიშნებინა. გერლოვმა ხელები მაგიდაზე დააწყო, ხოლო დიდი მძიმე თავი ისე ჩამოეკიდა გულზე, თითქოს დამჯდარი თვლემდა, სინამდვილეში კი ყუ-

რადღებად იქცა და თანხმობის ნიშნად, ოდნავ შესამჩნევი თავის დაკვრით გადაწყვიტა პერის ბედი.

— ამგვარად, თქვენ განზრახული გაქვთ, — კარგად გათამაშებული გულგრილობით დაიწყო მაქს ბერნარდმა, — არ წახვიდეთ იმ დათმობებზე, რასაც მოითხოვს პოლკოვნიკი ბერეგრავი, და, მაშასადამე, ჩვენც...

— დიახ, ასე მაქვს განზრახული.

— ეს თქვენი საბოლოო პასუხია?

— დიახ, საბოლოო.

— მაშ ასე, ბატონებო, მეტი სალაპარაკო აღარაფერი გვაქვს. რაკი ჩვენს წინადადებას არ ღებულობენ, ჩვენც ხელებს ვიბანთ. მე მგონი არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ჩვენ წინათაც არ მოვკიდებივართ განსაკუთრებული აღფრთოვანებით ამ საქმეს, ამიტომაც ძალიან არ უნდა ვიდარდოთ ეს სამწუხარო შედეგები.

თქვა ეს მაქს ბერნარდმა და ადგა. მას მიჰყვნენ დანარჩენებიც; შვებით ამოისუნთქეს, რაკი ასე მოულოდნელად და ადვილად განთავისუფლდნენ ამ, მათი შეხედულებით, მკვდრადშობილი პროექტისაგან. მხოლოდ ცოტანიღა იყვნენ უკმაყოფილონი საქმის ასეთი სწრაფი დასასრულით. ყველაზე მეტად გულს აკლდა მიწის მფლობელ ნერეხავეს, ვისზედაც პერმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. პერი საჩქაროდ გამოეთხოვა ყველას და ივენის თანხლებით ტყვიასავით გავარდა ოთახიდან, ნერეხავემ მას თავისი ღორის თვალების მზერა გააყოლა.

პერმა კარი გაიხურა თუ არა, მაქს ბერნარდი ხელახლა ალაპარაკდა:

— საჭიროდ არ მიმაჩნია დაგიწყოთ დარწმუნება, რომ სრულიადაც არ ვაპირებ ღია პორტის პროექტზე უარის თქმას. იმასაც გაცნობებთ, რომ უახლოეს მომავალში ხელს მოვკიდებთ სხვა, — მე ასე მგონია — გაცილებით გონივრულ პროექტს. მაშ ასე, მალე შეხვედრამდე, ბატონებო.

* * *

ამ დროს იაკობა სკოვბაკენში სეირნობდა. ქალი უგუნებოდ იყო. ბოლო დღეების დაძაბულობამ, ჰერთან შეხვედრამდე დარჩენილ საათებს რომ ითვლიდა და ძალიან გადაღალა, ახლა უწია. თვით შეხვედ-

რამაც გაცილებით უფრო მეტად ატკინა გული, ვიდრე ამაში თავის თავს უტყდებოდა.

იაკობას არ ასვენებდა იმის ფიქრი, რომ პერი ძალიან გამოიცვალა. ის უფრო თავდაჭერილი გამხდარიყო, დარბაისელი, მაგრამ ამ ცვლილებამ, ასე რომ გაახარა მოხუცი სალამონები, იაკობა მხოლოდ დაანაღვლიანა იმიტომ, რომ ეს აგონებდა იტალიიდან მოწერილ ბოლოდროინდელ წერილების უცნაურ ტონს. თუ თავდაჭერის ახალი მანერა მხოლოდ ხელოვნური სითამამე იყო, იაკობა ამას ადვილად მოერეოდა, ვინაიდან ასეთი სითამამე პერს სრულიად არ ამშვენებდა. იაკობას უყვარდა ის გაუთლელი დათვი, როგორიც იყო პერი მათი გაცნობის დროს, როგორიც იყო ამ ორი თვის წინ ლაუჰენვალდში. ყოველთვის, როცა კი ისინი ერთად იყვნენ ხალხში, იაკობა იდუმალი თრთოლვით ელოდა, აი, ახლა ითავხედებს პერი, ან ვინმეს აწყენინებს, აი ახლაო, მაგრამ ქალი თავისი სურვილით იტანჯებოდა და არ უნდოდა ამაზე უარი ეთქვა. მას თითქოს ეშინოდა, რომ თუ ადამიანები ღირსეულად დააფასებდნენ პერს, აღარ ეყვარებოდა ეს კაცი. ვიდრე იაკობა თავისი ნაღვლიანი ფიქრებით იყო გართული, ივენი დაბრუნდა. იაკობა და დედამისი ხეივანში ისხდნენ, როცა მათთან იღლიაში განუყრელპორტფელამოჩრილი ივენი შემოვარდა და მაქს ბერნარდთან შეხვედრის შედეგები აუწყა.

ივენს რომ მოუსმინა, იაკობამ გაიცინა. მომხდარი ამბავი მოულოდნელად ყოველივე იმის მგზნებარე პროტესტად მოეჩვენა, რაზედაც თავად ფიქრობდა, ხოლო დარეტიანებული დედისა და თითქმის ატირებული ძმის დანახვაზე კმაყოფილებაც კი იგრძნო. ახლა ქალმა ხელახლა შეიცნო პერში თავისი წინანდელი ველური.

მაგრამ სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა, მალე იაკობაც მოიღუშა. როდესაც კარგად დაუფიქრდა და ივენისგანაც მოისმინა, რა მოუფიქრებლად და უგუნურად მოიქცა პერი, იაკობა უფრო მეტად გაბრაზდა, ვიდრე ივენი და დედამისი, და პერის გამო სირცხვილით დაიწვა. იმდენად იმაზე კი არ ფიქრობდა, რა მოელოდა ახლა პერს — და, მაშასადამე, მასაც, თუმცა მომავალში ხელახლა ცარიელი იმედებით ცხოვრების პერსპექტივა მის მდგომარეობაში სულაც არ იყო საბარბიელო, რამდენადაც იმაზე ბრაზობდა, ასე გულგრილად რად მოეკიდა პერი მამაჩემისა და განსაკუთრებით ივენის ზრუნვას მისდამიო.

ნასადილევს პერმა ტელეგრამა გამოგზავნა, თქვენთან მოსვლას ვაპირებო. იაკობამ მის შესახვედრად ტყით გასწია. პერმა შორიდანვე სიცილით დაუყვირა:

— გაიგე ახალი ამბავი? მე ხომ, ქრისტეს მსგავსად, ტაძრიდან გავაძევე მეწვრილმანეები.

იაკობა კიდევ უფრო მეტად განაწყენდა, თუმცა ქალი შესანიშნავად მიხვდა, რომ ამით პერს სურდა თავისი დარცხვენა დაეფარა. პერი რომ მოხვეოდა და კოცნით შეეჩერებინა ქალის ბაგეთაგან გადმომსკდარ საყვედურთა ნიაღვარი, — ო, მაშინ იაკობა იმწუთსვე აპატიებდა ყველაფერს და მის მკერდზე გაიქარვებდა ნაღველს. მაგრამ პერი სულაც არ მოქცეულა ასე. მან მაშინვე წაიკითხა იაკობას სახეზე საყვედური და, თუმცა თვითონაც, ცოტა არ იყოს, ნაწყენი იყო იმ მოლაპარაკებათა სამწუხარო შედეგებით, რაზედაც ამდენ იმედს ამყარებდა, იაკობას მუნჯური გაკიცხვა არასამართლიანად ეჩვენა და უფრო განაწყენდა. პერი მოელოდა, რომ ეს ქალი მაინც გაუგებდა და მიხვდებოდა მის მიერ ბირჟის მოსაქმეთა გამოწვევის მნიშვნელობის ფასს, რადგან იაკობა მუდამ გაცხარებით ლაპარაკობდა ხოლმე ამ უსინდისო გამომძალველებზე და აღშფოთებული იყო იმით, რომ მაქს ბერნარდის მსგავს კაცს შეუძლია გახდეს თანამედროვე საზოგადოების ერთერთი ბურჯთაგანი.

მაგრამ პირველივე მარცხის შემდეგ აღმოჩნდა, რომ თურმე არც იაკობა ყოფილა არაფრით სხვებზე უკეთესიო, ნაღვლიანად გაიფიქრა პერმა. მასშიც ცოცხლობს ვაჭრული სული და შესაფერის შემთხვევას ელის, რათა მისი სიამაყე დასძლიოს. ებრაელებსაც ჰყავთ თავიანთი კერპები: ყველაზე თავისუფლად მოაზროვნენიც კი მათ შორის ოქროს ყღარუნის წინაშე ბრმად იხრიან ქედს და მუდამ მის მონებად დარჩებიან.

ტყის პირს მიუახლოვდნენ. დაღლილობის მიუხედავად იაკობას არ უნდოდა მაშინვე შინ წასულიყო და ხის ქვეშ სკამზე ჩამოჯდა. ის გაიწია და კაბა ისე შეიკეცა, თითქოს პერი დასაჯდომად მიიპატიჟა. მაგრამ პერი არ დაჯდა, ბოლთას სცემდა სკამის წინ, თითების ბოლოები ჟილეტის ჯიბეში ჩაეყო და ცდილობდა აეხსნა მიზეზი, რამაც აიძულა მოქცეულიყო სწორედ ასე და არა სხვანაირად. იაკობა სკამის ზურგს გადააწვა და ხელი ზედ ჩამოდო. ის თვალს აყოლებდა პერის თვითეულ მოძრაობას და ფიქრობდა, ასე რამ გამოცვალაო. „ნეტა რა დაემართა?“ ფიქრობდა ქალი და მის გამომცდელ შავ თვალებში პირველად გაიელ-

ეა უნდობლობის ჩრდილმა. ხომ არ დაუმალა პერმა იაკობას რაიმე, რითაც მისი უცნაური თავშეუკავებლობა აიხსნებოდა? იქნებ მის გუშინდელ გულჩახვეულობას და დღევანდელ გულფიცხობას ერთი და იგივე საფუძველი უდევს?.. თანაც, მისი ბოლოდროინდელი იტალიური წერილები?.. რატომ ფიქრობდა პერი ასე დიდხანს შინ დაბრუნებაზე?

იაკობამ ხელი გადაისვა მოღუშულ შუბლზე, თითქოს ცდილობდა სევდიანი ფიქრები განედევნა. არ უნდოდა პერზე რაიმეში ეჭვი შეეტანა.

— ყველაზე მეტად ივენი მეცოდება, — თქვა მან და ოდნავ იბრუნა პირი პერისკენ. — გული გეტკინება, ისე იყო მოწადინებული, მგონი ამაზე მეტად მაშინაც არ გაირჯებოდა, მის საკუთარ მომავალს რომ ეხებოდეს საქმე.

ჯერ იყო და პერს არ უნდოდა ეპასუხა იაკობასათვის. მას თანდათან ნერვებს უშლიდა ივენის დამსახურებებზე გამუდმებული ლაპარაკი, რაკი თავად დიდ მნიშვნელობას არ აძლევდა ამას.

— სამწუხაროა, სამწუხარო. მართლაც ძალიან მებრალება შენი ძმა... მაგრამ რას იზამ. ივენი თავიდანვე უნდა მიხვედრილიყო, რომ ასეთ ხალხთან არ შევეხვედრებინე.

— აკი თავად აღშურვე ამ უფლებით.

— ჰო, მაგრამ მე იმათ არ ვიცნობდი. ერთი გენახა მათი მეშჩანური ქედმაღლობა. ყველას ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს უდიდეს პატივს მდებდნენ თავიანთი თანხმობით, რომ ჩემს პროექტზე ხელი მოეთბოთ. თუ ახალი დროის ადამიანები სწორედ ასეთები არიან, მაშინ ვაის გავყრივართ და ვუის შევყრივართ.

— ახლა რას აპირებ? — ჰკითხა იაკობამ მცირე დუმილის შემდეგ.

— ბევრს არაფერს: განვაგრძობ დაწყებულ საქმეს. დავამტკიცებ, დავწერ, ავტეხ განგაშს, ვიდრე ხალხი არ გამიგებს. მარტო ბირჟის ზვიგენებს ხომ არ უნდა ველაპარაკო. აბა, ერთი წარმოიდგინე, ისე გათავხედდნენ, მირჩიეს კიდეც, ფეხქვეშ გაეგე გაზეთის რედაქტორებსო! ამაზე რაღას იტყვი? დიურინგისთანა მჯღაბნელების წინაშე უნდა დამემცირებინა თავი!

— მერე რა მოხდა?

პერი უეცრად შეჩერდა და დაუფარავი გაკვირვებით შეხედა ქალს.

— შენ მგონი მოგწონს კიდეკაც ეს ამბავი?

— თუ ეს საქმეს არგებდა, თანაც ეჭვი არ მეპარება, რომ ნამდვილად არგებდა, რატომ არ შეიძლებოდა რედაქციებში მისულიყავი?

— შენ სერიოზულად ფიქრობ ასე? არა, დღეს ნამდვილად მაოცებ.

— მე ვფიქრობ, როცა კაცს რაიმეში დახმარება სჭირდება და სურს დაეხმარონ, სულაც არ იქნება მისი ქცევა სულელური, თუ აღიარებს იმათ უფლებებს, ვისაც ნამდვილად ეკუთვნის ეს უფლებანი და არ ჩაეძიება, როგორ და რა გზით მოიპოვა ამ ხალხმა ის.

— მაპატიე, გეთაყვა, მაგრამ მე სხვა აზრისა ვარ ადამიანის მოვალეობებზე თავისი თავის მიმართ. საერთოდ არ მესმის, რატომ არის ნაკლებად სამარცხვინო ოქროს სხეულაკისადმი თაყვანისცემა, ვიდრე ჯვარცმისადმი? დღევანდელი ამბის მერე კი ისე მეზიზღება ყოველგვარი საქმიანი მაქინაციები, რომ საეჭვოა მალე გამიაროს ამ ზიზღმა.

იაკობამ არაფერი უპასუხა, ქალს ის სტანჯავდა, რომ პერი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორ გაემართლებინა თავი. იაკობას უნდოდა, პერს შეეწყვიტა თავისმართლება, ქალის თვალში ეს მხოლოდ თავის დაძვრენა, მხოლოდ თვითდარწმუნების გაშმაგებული ცდა იყო.

მაგრამ პერი არ ჩუმდებოდა. იაკობას მხრივ აშკარა გაკიცხვა, უარი მისგან, რომ კარგად გაეგო მიზეზები, რამაც პერი აიძულა აჯანყებულიყო, დაბოლოს თავისივე უმწეობა, უუნარობა, აეხსნა იაკობასთვის და საკუთარი თავისათვის შინაგანი მოტივები, რამაც აიძულა სწორედ ასე მოქცეულიყო, — ყოველივე ეს ერთად აღებული პერს საბრძოლველად აქეზებდა.

— პირდაპირ გულს მიჩვილებს შენი აღფრთოვანება მაქს ბერნარდით და მისი დამქაშებით. შენ არ იყავი ასეთი. იმედია, ეს დღევანდელ მოვლენათა შედეგი არ არის?

— ვთქვათ, დღევანდელი ამბავი უბრალოდ არ გამიგია, — მიუგო იაკობამ მშვიდად, მაგრამ მეტად სერიოზულად, — უპირველეს ყოვლისა, საერთოდ არ მაგონდება როდის გამომიხატავს აღფრთოვანება, მით უფრო მაქს ბერნარდით, თუმცა, მგონია, ის კაცი უფრო უკეთესია, ვიდრე რეპუტაცია აქვს. შემთხვევით გავიგე, რომ თურმე საიდუმლოდ ქველმოქმედებას ეწევა და რამდენიმე კოპენჰაგენელ ღარიბ ებრაულ ოჯახს ეხმარება.

— ალბათ, იმიტომ, რომ გამოისყიდოს ბოროტება, ასობით ოჯახისათვის რომ მიუყენებია მთელ ქვეყანაზე. ალბათ, ერთი და ორი დაღუპული კაცის ბედი არ აწევს სინდისზე.

— ჰო, ის ხომ მეომარი კაცია. ამბობენ, თითქოს ერთხელ უთქვამს კიდევაც: „ომი — ეს ჩემი ხელობაა“. დაუნდობელი და ულმობელია,

ხოლო დროდადრო — სასტიკიც. ამიტომაც, თავის დროზე სერიოზულად მაფიქრებდა, სულ უფრო და უფრო რომ იზრდებოდა მისი ძლიერება, ამაში მართალი ხარ. მაგრამ, შესაძლოა ვერ ვუგებდი, ან საერთოდ საკმაოდ ვერ ვაფასებდი ასეთ ადამიანებს. იქნებ სწორედ ასეთი ადამიანები სჭირდება ქვეყანას, სადაც თანდათან მიავიწყდათ, როგორია ნამდვილი, ნებისყოფიანი ადამიანი.

— ახ, ესე იგი, ეს კაცი საერთოდ იდეალი ყოფილა და ყველა ჩვენთაგანის ჭკუის მასწავლებელი?

— შესაძლოა. ყოველ შემთხვევაში — დამპყრობი კი არის. რაღაცით ჰგავს კეისარს.

— აბა, ერთი თქვი, რამდენი თვითმკვლელობა მოხდა, როგორც ამბობენ, მისი დანაშაულით?

— ეს სულელური მითქმა-მოთქმა იყო.

— მაგრამ, შენ ხომ უნდა აღიარო...

— მერე რა, ასეც რომ იყოს? სწორედ ის ხმაური, მუდამ რომ ატყდება ხოლმე, როცა ბერნარდი იყენებს თავის ძალას, რათა უვნებელი გახადოს მორიგი მოწინააღმდეგე, ან დააწინაუროს თანამებრძოლი, ნათლად ამტკიცებს, რა ძნელი გასაგებია ჩვენი საზოგადოებისათვის ის ფაქტი, რომ, თუ ღებულობ მიზანს, უნდა მიიღო საშუალებებიც და არ ეკინკლაო დაუსრულებლად საკუთარ თავს და სხვებსაც.

პერმა უსიტყვოდ შეხედა იაკობას. ქალის ნათქვამმა სულ სხვანაირად იმოქმედა, ვიდრე მას უნდოდა, ან ფიქრობდა.

— ხედავ, რა მარჯვე ხარ! — უთხრა ქალს და ძლივს შეიკავა თავი, რომ უხეშად არ მოქცეულიყო. მას უნდოდა იაკობასთვის ეთქვა, თუ მართლაც იმ იდეებით ხელმძღვანელობა დამჭირდა, ასე თავგამოდებით რომ მიქადაგებ, მაშინ დღეს ჩვენი ერთად საუბარი უკანასკნელიაო. მაგრამ პერმა მხოლოდ ის უთხრა, ამ საკითხში შენგან არაფერი მესწავლებაო. პერს შეუძლია დაარწმუნოს იაკობა, რომ თავის მხრივ ბევრჯერ ჰქონდა შემთხვევა, აეწონა მიზანი და საშუალებანი, და თანაც დღევანდელზე უფრო მნიშვნელოვან საკითხებში. საერთოდ კი იაკობას მიერ წამოყენებულ დებულებებზე საკამათო არაფერია, პერს მხოლოდ ის აკვირვებს, როგორ შეუძლია იაკობას დაიცვას მაქს ბერნარდის მსგავსი გაიძვერა ადამიანი, ვისი ქვენა გრძნობებიც მხოლოდ ერთი რამისკენ არის მიმართული: მოიკლას ძალაუფლების იაფფასიანი წყურვილი. ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, გაისქელოს ჯიბე; აბა როგორ უნდა

დაიცვას გაიძვერა, ვინც ყოველი თავისი საქციელით მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ მავნე და ბილწი ადამიანია... აქ პერს უნდოდა ეთქვა „ებრაელი“-ო, მაგრამ დროზე შეიკავა თავი და თქვა: „ბირჟის ყაჩაღიო.“

— თუმცა, დასაშვებად მიმაჩნია, — დაუმატა მან, მხრები აიჩეჩა და პირი იბრუნა, — დასაშვებად მიმაჩნია, რომ შენში არსებობს ბუნებრივი წინაპირობა იმისათვის, რათა დაიცვა ასეთი ადამიანები. მე კი ეს, სამწუხაროდ, არ გამაჩნია.

იაკობამ ერთი კი ახედა, მაგრამ დუმილი არჩია და ხელახლა აარიდა თვალი.

— მაგრამ, როგორც თავიდანვე ვამბობდი, — განაგრძო პერმა, — მთელი ეს ისტორია ამდენ ხმაურად არ ღირს. შენ მას მეტისმეტად სერიოზულ ამბად იღებ. საერთოდ, კონტურნებისადმი საბედისწერო სისუსტე აღმოგაჩნდა.

— კონტურნებისადმი კი არა, პერ, კოტურნებისადმი.

— გეთაყვა, დღეს მაინც ნუ დაატან ჭკუას ძალას.

— მაშინ, კეთილი ინებე და, თქვი როგორც წესია. ისღა გაკლია, ორთოგრაფიის დარგში იკისრო გარდაქმნები.

ასე გაგრძელდა, ერთ შეურაცხმყოფელ სიტყვას მეორე მოჰყვა, ვიდრე იაკობამ უცბად თვალებზე ხელი არ აიფარა და თავს არ მოერია. არა, არა! მას არ სურს რამეში დაეჭვდეს პერზე. ყურს არ დაუგდებს ეჭვიანობის ხმას. არ სურს იფიქროს საშიშროებაზე.

იაკობა ადგა, ხელებით თავი აუწია პერს და აიძულა მისთვის თვალებში შეეხედა.

— პერ, — უთხრა მან, — აბა, როგორ არ გრცხვენია? ის არა სჯობს მაკოცო? დავივიწყოთ მწარე სიტყვები, რაც ერთმანეთს ვუთხარით. თუ გინდა თქვი, რომ ყველაფერში მე ვიყავი დამნაშავე, ოღონდ ისევ კარგი გახდი. მოდი, შევპირდეთ ერთმანეთს, რომ ასეთი რამ აღარასოდეს აღარ დაგვემართება, კარგი? მაშ დავიფიცოთ!

პერი მაშინვე მოლბა. ამ ბოლო დროს მასზე ძალიან ჭრიდა ტკბილი სიტყვები.

— მართალი ხარ. სულელურად ვიქცევით, მაგრამ, მე ვიმედოვნებდი, რომ შენ მაინც უსათუოდ მომიწონებდი საქციელს. ვიცი, ახლა უფრო მეტად დამჭირდება შენი მხარდაჭერა და გაგება, ვიდრე წინათ.

— ამაზე არასოდეს არ გეტყვი უარს, — უთხრა იაკობამ.
შერიგება მათ ხანგრძლივი კოცნით დაამოწმეს.

* * *

სადილზე სკოვბაკენში ფრიად უგუნებო განწყობილება სუფევდა. ფილიპ სალამონმა ჯერ კიდევ ქალაქში გაიგო, რითაც დამთავრდა საქმე და სუფრაზე კრინტიც არ დაუძრავს. საერთოდ ამ დღეს სიტყვაძუნწობდნენ, მხოლოდ პატარების მხიარული ლაქლაქი ანელებდა ცოტათი საერთო დაძაბულობას.

პერი შეიარაღებული იჯდა, სახეზე საბრძოლო მზადყოფნა ეწერა. იმის მიხედვით, თუ როგორ მიიღეს მომხდარი ამბავი ივენმა და იაკობამ, პერი მიხვდა, რომ მოხუცები მოითხოვდნენ ახსნა-განმარტებებს და იქნებ თავიანთი უფლებებიც მიეთითებინათ, რაკი ბოლო დროს პერი მათ ხარჯზე ცხოვრობდა. ამიტომ ფხიზლად იყო და მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, არავინ ჩაერია თავის საქმეში.

მაგრამ თავდაცვა არ დასჭირებია: ფილიპ სალამონმა, ვისაც ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული ჰქონდა თავისი შეხედულება თვით პერზეც და მის გარდამქმნელ იდეებზეც, საბედნიეროდ თავი შეიკავა ცდუნებისაგან, წაეკითხა პერისათვის პატარა ლექცია იმის შესახებ, რა მიაჩნიათ დასაშვებად საქმიან სამყაროში და რა არა. მომავალ სიდედრსაც კი არ დაუძრავს კრინტი მომხდარ ამბავზე. ნასადილევს იაკობა და პერი ბაღში ჩავიდნენ. ხელგაყრილები მიდიოდნენ, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ტყეში შერიგდნენ, წინანდებურად ახლოს ვეღარ იყვნენ ერთმანეთთან. იმის შიშით, რაიმე არ წამოსცდენოდათ ისეთი, რის გამოც ხელახლა კამათი ატყდებოდა, თავიანთ ნამდვილ აზრებს ფარავდნენ და ყოვლად უმნიშვნელო ამბებზე ლაპარაკობდნენ. ამიტომაც იაკობას ვერაფრით ვერ აეძულებინა თავი, ლაპარაკი ნიშნობის შესახებ ჩამოეგდო და მით უფრო — ეღიარებინა თავისი მდგომარეობა; პერს, თავის მხრივ, ვერაფრით ვერ მოეყოლა თავისი ოჯახის კოპენჰაგენში გადმოსვლის ამბავი, თუმცა ეს მოვლენა, მიუხედავად იმისა, რომ საღელვებელი სხვაც ბევრი ჰქონდა, თავიდან ვერ ამოეგდო.

თანაც პერს ეშინოდა, სკოვბაკენში ნანი არ გამოჩენილიყო: სუფრაზე ამბობდნენ, ნანი ხვალინდელი სტუმრების ხათრით შეიძლება სა-

ღამოთი ჩამოვიდეს და ღამე აქ გაატაროსო. ამიტომაც პერი სახლიდან მოღწეულ ხმებს აყურადებდა და ძალიან ცდილობდა, როგორმე იაკობას არ შეენიშნა მისი მღელვარება. მერე ისინი წყლის მახლობლად ჩამოსხდნენ ერთ მყუდრო სკამზე. ამავე დროს და ამავე სკამზე ისხდნენ ისინი გუშინ, მაგრამ დღეს ირგვლივ ყველაფერი სულ სხვანაირად გამოიყურებოდა. ჩრდილოეთით მკაფიოდ ისახებოდა სრუტის ორივე ნაპირი. კუნძული ვენი ისე ნათლად იყო გამოკვეთილი, ჩანდა, როგორ ეხეთქებოდა ტალღები მზით განათებულ ქვიშიან ნაპირებს. ქარი დასავლეთიდან უბერავდა და ზელანდიის სანაპიროს გასწვრივ წყალი წყნარი ჩანდა, ხოლო სანაპიროს მეჩიჩებში მთლად სარკესავით იყო და მასში ირგვლივ მდებარე ვილების ბაღები და საბანაო ბოგირები ირეკლებოდა. სამაგიეროდ, მოშორებით, სიღრმეში თეთრქოჩორა მუქილურჯი ტალღები დასეირნობდნენ. იქ რამდენიმე აფრაჩამოშვებული ნავი ტრიალებდა. პატარა მწვანე საბარგო გემი დაუღალავად მიცოცავდა სრუტეებში და ხმაჩახლეჩილი საყვირით აფრთხობდა ნავებს. შავი სქელი კვამლი, ღრუბელივით რომ მობურავდა გემს, ფსონს სხივებს ნთქავდა და წყალზე გრძელ მუქ ჩრდილს აყენებდა.

ამ საზღაპრო ზღვის პეიზაჟის დანახვისას პერს უნებლიედ ფრიტიოფი გაახსენდა. ის ფიქრით ბერლინში გადავიდა, სადაც მყუდრო სამიკიტნოში ლაიპციჰერშტრასეზე მხიარულ საღამოებს ატარებდა ხოლმე შმაგ მხატვართან და მის გადარეულ ხელოვან თანამოძმეებთან ერთად.

პერი თვითონაც ვერ გეტყოდათ, რა იზიდავდა ამ ადამიანებისაკენ და რატომ ნაღვლობდა მათზე ახლა. ამ კაცს პერი თვლიდა საშუალო ნიჭის მასხარად, ამიტომაც ფრიტიოფის დიდი და ამაღელვებელი ხელოვნება მისთვის მიუღწეველი იყო. სრულიადაც არ ეამებოდა, როგ ფრიტიოფის მეგობრებმა მათ შორის მსგავსება აღმოაჩინეს და ნათესავებადაც კი სთვლიდნენ.

მხოლოდ ბუნდოვნად ხვდებოდა პერი, რომ მას, იაკობას და სალამონების მთელი ოჯახის შეხედულებათა გაყინული ცალმხრივობის და ურყევი შეზღუდულობის საპირისპიროდ, სწორედ ეს ყბადაღებული მერყეობა იზიდავდა, სწორედ ის იზიდავდა, რომ ფრიტიოფი მოსაზრებებითაც და საქციელითაც თავისნება კაცი იყო. სკოვბაკენში ყველა ცხოვრებისეულ შემთხვევაზე წინასწარ იყო გამზადებული განსჯა მტკიცე, განსაზღვრულ, ის კი არა და, გაყინულ ფორმითაც. ეს კი სწორედ რომ შეესაბამებოდა ნათელ, ლამაზად მოწყობილ, მაგრამ გულისთვის არა-

ფრისმთქმელ ოთახების სულს, მაშინ, როდესაც ფრიტიოფს შეეძლო დღეს ახალი, გუშინდელის სრულიად საწინააღმდეგო შეხედულება გამოეთქვა და ისეთივე დარწმუნებით და უფრო მეტი გატაცებითაც კი დაეცვა თავისი აზრები.

სალამონების ოჯახი, მიუხედავად იმისა, რომ, ცოტა არ იყოს, ექსტრავაგანტურობისადმი მიისწრაფოდა, მუდამ მტკიცედ მისდევდა ცხოვრების იმ მხარეს, რომელსაც კეთილგონიერი ეწოდება, მაშინ, როდესაც ფრიტიოფის მოხეტიალე სულმა გადასერა ყოფიერების ყველა გზა და გზაჯვარედინი, ბევრჯერ დამარცხებულა მის როგორც ნათელ, ისე ჩრდილოვან მხარეებზე, რათა თვით ამ თავის დაუცხრომლობაში მოეპოვებინა ბედნიერება.

ბოლოს პერმა ახსენა ფრიტიოფი, იაკობამ კი თქვა, რამდენიმე ხნის წინ ესტერჰადზე შემხვდაო.

— მაშ ფრიტიოფი აქ არის? — უეცარი აღფრთოვანებით შესძახა პერმა. — აკი შემოდგომაზე ამბობდა, ესპანეთში წასვლას და სამუდამოდ იქ დარჩენას ვაპირებო. მას ხომ სძულს დანია და „ახალ იუდეველს“ ეძახის.

— მას რომ ყური უგდოს კაცმა, საერთოდ უარს არ იტყვის, მოიაროს მსოფლიოს ყველა ქვეყანა და დაბინავდეს თვითეულ მათგანში, თავად კი ეშინია ერთი. დღის სავალზე მეტი გზით მოშორდეს კოპენჰაგენს. შენ, ალბათ, არც იცი, რომ ფრიტიოფი ხელახლა პროგრესის აღტაცებული მომხრე გახდა და რევოლუციონური სიტყვებითაც კი გამოდის.

— რას მეუბნები?

— მას შემდეგ, რაც გერმანელებმა შეაქეს, ფრიტიოფი ჩვენთანაც ხელახლა შემოვიდა მოდაში. მაგრამ ანტისემიტიზმი მას უკვალოდ გაუქრა. ამას წინათ მარკუს ლევიმ იყიდა მისგან სურათები თავისი კოლექციისთვის, მგონია ოცი ათასი კრონის საფასური, ისე რომ, ახლა ფრიტიოფის პირისაგან კაცი ინდუსტრიის განვითარების წყალობით მოტანილ ებრაელთა სიყოჩაღისა და სიკეთის ქების გარდა ვერაფერს გაიგონებ.

პერმა ხმამაღლა გადაიხარხარა.

— კი, ეს ფრიტიოფს ჰგავს! შემოდგომაზე ბერლინში შემხვდა და. მიუხედავად იმისა, რომ მუდამ ყოყოჩობს, სულიერად შეეთვისე, მაგ-

რამ ძალიან მიჭირს გამოვარკვიო, სად იწყება ფრიტიოფში ადამიანი და მთავრდება კომედიანტი, ჩხუბისთავი, პოზიორი.

— კაცმა რომ თქვას, ადამიანი მასში არსად არ იწყება, ის თავიდან ფეხებამდე მხატვარია.

— დიახ, შესაძლოა სწორედ აქ იმალება გამოცანა. ასეა თუ ისე, ჟრიტიოფი არაჩვეულებრივი მოვლენაა. მაგონდება ერთი საღამო ნეტარხსენებულ „ქვაბში“. მაშინ ფრიტიოფმა თავისი სურათი გაყიდა და ამ საბაბით შამპანურს ალევინებდა ვიღაც შემთხვევით ადამიანთა მთელ ჯგროს, მანამ კი მთელი დღე ქალაქში იხეტიალა. როცა უკვე დაღამდა, მეპატრონემ უარი გვითხრა მომსახურებაზე. ფრიტიოფი გააფთრდა. ჩემს დღეში არ დამავიწყდება ეს დიდებული სანახაობა. ფრიტიოფმა ჩაიყო ჯიბეში ხელი და მთელ დარბაზში მოაპნია ერთი მუჭა ოქროს ფული. საშინელი აურზაური ატყდა, მერე ფული აკრიფეს და ძალით წავიყვანეთ შინ. მაგრამ სწორედ აქ იწყება ყველაზე საინტერესო ამბავი. შემდეგ შევიტყვე მეპატრონისაგან, რომ მეორე დილით მასთან მისულა მთლად ფხიზელი ფრიტიოფი და ფრიად საიდუმლოდ დაინტერესებულა, ხომ არავის უპოვნია დილით დალაგების დროს ოცკრონიანიო. სწორედ ამდენი ფული მაკლია, ოქროს ფულების იატაკზე მოპნევის დროს კი აშკარად დავინახე, ერთი ცალი საფურთხებლის ქვეშ შევარდაო. მართალი გითხრა, ფული სწორედ იქ იპოვნეს. მოკლედ რომ ვთქვათ, თუმცა გარეგნულად ფრიტიოფს ისე ეტყობოდა, ვერ აზროვნებდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა შმაგობდა, თურმე წუთითაც არ დავიწყებია დათვლა და თვითეულ კაპიკს უთვალთვალებდა. აბა, რას მეტყვი ამაზე? იქნებ იფიქრო, თავი მთვრალად მოაჩვენა მხოლოდო. მაგრამ ასე არ არის. ამ კაცში თითქოს ათეული ადამიანი ცხოვრობს და ყველა სხვადასხვანაირია. იქნებ ასეთებია მარტო ფრიტიოფი კი არა, სხვებიც, — ყოველ შემთხვევაში, ჩვენებურები, ჩრდილოეთელები.

იაკობამ ხმა არ გასცა. ჯერ კიდევ პერის ბერლინში ცხოვრების დროს სწყინდა მისი აშკარა გატაცება ფრიტიოფით, რადგან ფრიტიოფი იაკობას სულელად და არამზადა კაცად მიაჩნდა, ტრაგიკომიკურ ფალსტაფად, ვინც ხელგაშლილმა ბუნებამ, თითქოს დასაცინად, შემოქმედებითი ნიჭით დააჯილდოვა. იაკობა აღიარებდა ფრიტიოფის ტალანტსაც და შეუდარებელ ოსტატობასაც, მაგრამ ტალანტს პირადი ნაკლის გამართლებად არ თვლიდა: პირიქით, ფიქრობდა, რომ თვალსა-

ჩინო ნიჭი კაცს მოვალეობას აკისრებს, და ის შემწყნარებლობა, ადამიანები რომ ფრიტიოფის მიმართ იჩენენ, აკნინებს ხელოვნების ჭეშმარიტ სიდიადეს და ამცირებს მას.

როგორც წინადღით, პერი დღესაც ადრე გამოეთხოვა სკოვბაკენს; ის დაიღალა. იაკობა არც ცდილა მის დარჩენას. ნანი ჯერ არ ჩანდა, მაგრამ შეიძლება ბოლო მატარებლით მოსულიყო, ამიტომაც პერი წინასწარ გაქრა.

მაგრამ ვიდრე კოპენჰაგენამდე მიაღწევდა, დაღამდა კიდეც. სენის ბაზარზე ბინდი ჩამოწვა, ქუჩები წყვდიადმა მოიცვა. ერთის მხრივ ახალი, თითქოს თვალწარმტაცად მორთული კაფეს ჩამწკრივებული ფანჯრები ბრწყინავდა, მეორეს მხრივ — ფერმკრთალ ცის ფონზე აჩრდილივით ტორტმანებდა ქარის წისქვილი. თუ ქვემოდან შეხედავდით, დიდ, ზონზროხა ჯადოქარს მოგაგონებდათ, თითქოს ხელებგაშლილი რომ წყევლიდა ახალ ქალაქს.

პერი მაშინვე არ წავიდა შინ. მიუხედავად იმისა, რომ დაღლილი იყო, აჰყვა სურვილს, მთელი დღე რომ იმალებოდა მის ფიქრებსა და საზრუნავს მიღმა და მხოლოდ მოხერხებულ მომენტს ელოდა, დაუფლებოდა პერს. ნელა, თითქოს უნებლიედ ჩაიარა მან საღამოხანს გამოცოცხლებული ვესტერბრუჰადე, ფანრების ორი მწკრივი რომ ევლებოდა ირგვლივ.

ბაჰერსტრადეს მახლობლად ვესტერბრუჰადედან გადაუხვია და ჰამლე კუნგეგეის მოსაზღვრე წყნარ უბნებში შევიდა. და აი უკვე მიაღწია იმ ქუჩის კუთხეს, სადაც დედამისი ცხოვრობდა.

იქნებ ვინმე ოჯახის წევრთაგანი შემოყროდა და, რომ არ ეცნოთ, პერმა პალტოს საყელო აიწია, შლიაპა შუბლზე ჩამოიფხატა. თუმცა, სულიერი არ ჩანდა. ჯერ ქუჩის იმ მხარეს წავიდა, სადაც მათი სახლი უნდა ყოფილიყო, ხოლო როცა იპოვა სახლი — მეორე მხარეს გადავიდა და ჩრდილში მიიმალა.

აქედან კარგად დაათვალიერა ოთხსართულიანი უშნო შენობა, არაფრით რომ არ გამოირჩეოდა სხვებისაგან და პატარა-პატარა, სამოთხოთახიან ბინებად იყოფოდა. მისმა მზერამ მაშინვე გადაურბინა შესასვლელის მარცხნივ მდებარე მეორე სართულის ფანჯრებს, მაგრამ საღებავით მოწუწული ფანჯრების მინების მეტი ვერაფერი დაინახა. ალბათ კარგად ვერ გაიგო რაიმე. მეორე სართულის ბინაში აშკარად არავინ ცხოვრობდა — იქ რემონტი ჰქონდათ. მერე პერმა მოისაზრა

კიბე საით იქნებოდა და მიხვდა, რომ კარი, გაზეთში გამოქვეყნებული განცხადების თანახმად „მარცხნივ“ რომ უნდა ყოფილიყო, ქუჩიდან გახედვისას სადარბაზოს მარჯვნივ უნდა აღმოჩენილიყო.

იქ, საითაც პერის მზერამ გადაინაცვლა, ერთ ფანჯარაში სუსტი შუქი მოჩანდა. გვერდით, მეზობელ ოთახში, ფარდები არ იყო ჩამოშვებული და ჭერზე სინათლის ვიწრო ზოლი ეცემოდა, — ესე იგი, განათებული ოთახის კარი მჭიდროდ არ იყო მიხურული. მაგრამ ტყუილად ცდილობდა პერი, დაენახა კიდევ სხვა რამ, რაიმე წვრილმანი, ურომლისოდაც კვლავ ვერ შეგუებოდა იმის ფიქრს, რომ დედამისი ნამდვილად ამ უცხო სახლში ცხოვრობდა.

უეცრად ფანჯრის რაფაზე ყვავილის ქოთნებს შორის პერმა შენიშნა ერთი ნაცნობი საგანი და მის დანახვაზე გული შეუქანდა. მან იცნო დედამისის პატარა, მრგვალი ძაფების კოლოფი, ბავშვობიდან რომ ახსოდა, მაგრამ მაშინ საშინლად დიდი ეჩვენებოდა.

ერთი წუთის შემდეგ ფარდის უკან ვიღაცის ჩრდილმა გაიელვა.

„იქნებ დედაა“, — გაიფიქრა პერმა და უცბად ღამის სიცივემ შეაძიგძიგა.

რამდენიმე წუთის შემდეგ იმავე ჩრდილმა გაიელვა, მაგრამ ისე სწრაფად და ბუნდოვნად, რომ პერმა ისიც კი ვერ გაარკვია, ვინ იყო — კაცი თუ ქალი. ამ დროს რომელიღაც ძალზე მხიარული კომპანიის აურზაური მოესმა და პერი იქიდან წავიდა.

ნელ-ნელა დაბრუნდა პერი ქალაქში იმავე გზით.

მაგრამ სასტუმროს რომ მიუახლოვდა, მიუხედავად იმისა, საშინლად დაღლილი იყო, უეცრად ძალიან დაეზარა შეუჩვეველ უცხო ოთახში დაბრუნება. ისეთი შიში იგრძნო სიმარტოვისა, კარებშივე სწრაფად მობრუნდა და მოედნის ბოლოში მდებარე კაფესკენ გაეშურა. იქ პერმა ერთი ტოლჩა ლუდი შეუკვეთა, კუთხეში მიიკუნჭა და შეეცადა გონი მოეკრიბა.

მხოლოდ ახლა, როცა საბოლოოდ აწონ-დაწონა მთელი დღის მოვლენები, ახლა, როცა მყვირალა ფრაზებით ვერ უპასუხებდა კითხვას, როგორ მოქცეულიყო, პერმა შეიგნო, რა სიძნელეებიც გაუმზადა მან თავის თავს. ისიც კი აღიარა, რომ იაკობამ და მისმა შინაურებმა ტყუილად არ მიიტანეს მომხდარი ამბავი ასე ახლოს გულთან. პერს ხელახლა გამოეცალა ფეხქვეშ ნიადაგი, მის ირგვლივ კვლავ დაცარიელდა გარემო და გამოსავალი არ ჩანდა, თუმცა ერთი იმედი კი იყო — პოლ-

კოენიკი ბერეგრავი. უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში მეორე გამოსავალიც არსებობდა — გონებასუსტი ბარონესა.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ან დიურინგის და მის მსგავსთა მაგვარად მსხვერპლად უნდა მოიტანოს დამოუკიდებლობა, უკუაგდოს საკუთარი „მე“, საჭურისად ემსახუროს ბრბოს, ან შეგირდად დაუდგეს მაქს ბერნარდს, შეგნებულად ამოიღოს ნიშანში მსხვერპლი და გულგრილად ყვლიფოს ის. იაკობა ამაშიც მართალია. მესამე გზა არ არსებობს. „თუ მიზანს იღებ. მიიღე საშუალებებიც“.

რას იზამ — ეგონა, სამყაროს დამპყრობის როლში გამოდგებოდა და არ გამოდგა, ვერ აიძულა საკუთარი თავი, რომ დიდი ბედნიერების საფასური გადაეხადა. ანუ — უფრო სწორად რომ ვთქვათ — დიდებას და ძალაუფლებას ის მოუვიდა, რაც სხვა დანარჩენ განსაკუთრებით განდიდებულ ცხოვრებისეულ სიხარულსა და საცთუნებლებს: მიახლოებისას მათ პერის თვალში მიმზიდველობა დაკარგეს, ძალიან ძვირად უჯდებოდა.

პერს გაახსენდა სხვა ადამიანი... განსვენებული ნირგორი. როგორ თქვა სიკვდილის წინ თავის წინასწარმეტყველურ სიტყვაში?

მაგრამ ამ დროს გაიღო მინის კარი და კაფეში ორი მეტრი სიმაღლის ჭაღარაწვერიანი აყლაყუდა შემოვიდა. ბაცი ფერის პალტო ეცვა და მხარზე მახვილივით გადაედო ჯოხი. ფრიტიოფი იყო!

სიხარულისაგან პერმა კინაღამ მთელი დარბაზის გასაგონად დაუძახა, მაგრამ ის იყო უნდა წამომდგარიყო, რათა ფრიტიოფსაც დაენახა ის, უეცრად გადაიფიქრა და აღარ ამდგარა თავისი ადგილიდან. გაზეთიც კი აიღო ხელში და სანამ ფრიტიოფი მეზობელ დარბაზში გავიდოდა, გაზეთმოფარებული იჯდა.

პერს შერცხვა და იმიტომ დაიმალა, იფიქრა, ფრიტიოფი საკუთარ წარმატებებს რომ მიამბობს, მწყალობლურად ჩემი გეგმების ბედითაც დაინტერესდებაო, ეს კი სულაც არ ეამებოდა, რადგან ბერლინში კამათის დროს მან, პერმა დაუდევრად დაიტრაბახა, ჩემმა იდეებმა დიდი ინტერესი გამოიწვია და კომპეტენტურ წრეებში მათზე დიდ იმედებს ამყარებენო.

ახლა პერისთვის გასაგები გახდა, რომ აღარ შეეძლო დარჩენილიყო კოპენჰაგენში, სადაც ყოველ ნაბიჯზე ემუქრებოდა ასეთივე შეხვედრები; ნამდვილად არ შეიძლებოდა. პერი ფიქრობდა მომავალ დღესასწაულზე, ხვალ სკოვბაკენში რომ უნდა შემდგარიყო. ამ დღესასწაულზე

სალამონებმა მთელი ნათესაობა და ნაცნობობა მოიწვიეს. ამის გახსენებამ პერი შეაძრწუნა. ასეთ დროს იაკობას მშობლებთან ყოველდღიური შეხვედრა ვაი რომ ვერ მიანიჭებს განსაკუთრებულ სიამოვნებას და, საერთოდ, აღარაფერი ესაქმება აქ. ბრძოლა, რომლის დაწყებაც მან განიზრახა, ახალი პოლემიკური ბროშურის, ან რიგი საგაზეთო სტატიების გამოქვეყნებით, უფრო უკეთესად შეიძლებოდა საზღვარგარეთიდან. თანაც ნანის ამბავიც... დედასაც, თითქოს განგებ, სწორედ ახლა მოუნდა კოპენჰაგენში გადმოსვლა.

უეჭველად უნდა გაემგზავროს აქედან, და რაც შეიძლება მალე. ხვალვე მოელაპარაკება იაკობას. ისედაც არ აპირებდა აქ დაყოვნებას.

პერმა შესვა თავისი ლუდი და გავიდა ახმაურებულ და გაჩახჩახებულ კაფედან. დიდ მოედანზე რომ გამოვიდა, სადაც კაცი არ ჭაჭანებდა, პერმა უნებლიედ შეხედა ძველ წისქვილს და თავისდა უნებურად წამით შუა მოედანზე შეჩერდა — შეიპყრო სევდამ, თითქოს სიძველის ამ აჩრდილიდან რომ გამოდიოდა.

მერე ნელა გასწია სასტუმროსაკენ.

თავი XVII

ფილიპ სალამონი ხშირად არ მართავდა თავისთან წვეულებებს, მაგრამ თუ გამართავდა — ძალიან ხელგაშლილობდა. ოჯახური ზეიმების უცვლელი განმკარგულებელი ივენი ასეთ დროს კარგა ხნით ადრე ადგენდა პროგრამას და მშობლებს აჩვენებდა ხოლმე დასამტკიცებლად; ივენი მუდამ იგონებდა რაიმე სიურპრიზს. მისთვის რომ გეკითხათ, ამაზე იყო დამოკიდებული მთელი წარმატება; ზოგჯერ ეს გახლდათ ყვავილების არაჩვეულებრივად მდიდრული მორთულობა, ზოგჯერ კი მოულოდნელი იდეა, დესერტს ან ცეკვას რომ შეეხებოდა, თუ ნამდვილი მეჯლისის გამართვას აპირებდნენ.

ამჯერად ივენმა ყოველგვარ ზომას გადაამეტა. მას იმედი ჰქონდა, რომ ეს დღესასწაული გარდა შინდაბრუნებული ნეფე-დედოფლის ზეიმისა, პერის გრანდიოზული გეგმის ტრიუმფიც იქნებოდა და გადაწყვიტა მთელი ბაღი გაეჩირაღდნებინა და შუშხუნებიც გაეშვა, მაგრამ ამაზე ფილიპ სალამონი გადაჭრით წინ აღუდგა. ივენს მხოლოდ იმის ნება დართეს, რომ ნაპირის გასწვრივ ხეებზე ფარნები ჩამოეკიდა; ეს კი,

მისი ფიქრით, არაჩვეულებრივად ეფექტური იქნებოდა. ერთი გრანდიოზული სურპრიზიც შემოინახა ივენმა, რომელსაც le clou[1] დაარქვა. ოთახების სადღესასწაულოდ მორთვა არც კი დაემთავრებინათ, ხოლო ოჯახის წევრები თავიანთ საწოლ ოთახებში ჩასაცმელად ჩაკეტილიყვნენ, პერი რომ მოვიდა სკოვბაკენში. მას დაავიწყდა წინასწარ ეკითხა, რომელ საათზე დაიწყებოდა ზეიმი და ერთი საათით ადრე გამოცხადდა.

პერი წინასწარვე საშინლად ცუდ გუნებაზე იყო. წინა ღამით შინ ჯვიან დაბრუნებულს თავის ნომერში მაგიდაზე ქაღალდის დიდი რულონი დახვდა: მაქს ბერნარდს დაებრუნებინა ყველა ნახაზი და ხარჯთაღრიცხვა, ერთ დროს ივენმა რომ მისცა. იმის მიუხედავად, რომ დაღლილი იყო, პერმა ამ შუაღამისას შიშითა და ცნობისმოყვარეობით გაშალა რულონი და თავი შეიქცია ამ გაყვითლებული ფურცლების შესწავლით, დიდი ხანია ხელში რომ აღარ სჭეროდა. გაირბინა ერთმა წუთმა, მეორემ და პერი მთლად გაიტაცა ამ საქმემ. მთელი პროექტი უკანასკნელი წლების განმავლობაში მხოლოდ იმიტომ აინტერესებდა, ბუნდოვანი იდეა რომ იყო, ახლა კი ამ ნახევრადდავიწყებული ანგარიშების, მზრუნველი ხელით შესრულებული რაბების, ხიდების წამწკეების, ჯებირების ნახაზების, გულმოდგინედ ამოწერილი ციფრების მწკრივების და თავსატეხი დიაგრამების — მისი ჭაბუკობის წლების გაბედულ ოცნებათა ნაყოფის დანახვისას ახლებურად წარმოუდგა.

პერი გაოცებული იყო. საკუთარი თავისადმი პატივისცემა იგრძნო. რა მდიდარი აზრი იყო! რა გაქანება! თვითეული ფურცლის გადაშლისას უფრო და უფრო აღტაცებული იყო საკუთარი თავით, მაგრამ... ამავე დროს უფრო და უფრო რწმუნდებოდა იმაში, რაც იდუმლად სწამდა — ის წინანდებური პერი აღარ იყო.

პერს უკანასკნელი ნახაზი ეჭირა და ნაღვლიან ფიქრებში ჩაფლულიყო. მოაგონდა ერთიციცქნა ოთახი ნიუბოდერში, ჭაბუკობის წლების ღარიბული კაბინეტი, სადაც მხიარულად სტვენდა სახატავ დაფაზე დახრილი, თუმცა ზოგჯერ პურის ფულიც არ ჰქონდა. ამის მოგონებაზე სევდიანად გაახსენდა ის დრო, ღარიბი რომ იყო და საოცრად სიცოცხლისმოყვარე, ღამღამობით სინდისის ქენჯნა რომ არ აწუხებდა და ღღისით აღმართულ ჰაეროვან კოშკებს არ უნგრევდა; ხოლო წარმა-

[1] ლურსმანი (ფრანგ.).

ტებას თუ ვერ მიაღწევდა რაიმეში, ეს უფრო მეტად აქეზებდა, რათა განეგრძო დაწყებული საქმე, უფრო აამპარტავნებდა, რად არ მცნობენ და არ მაფასებენო; ის დრო, როცა მიუხედავად იმისა, რომ შიმშილობდა, ვალები ჰქონდა და დაკერებული შარვალიც ეცვა — ყოველ ღამე მეფედ წვებოდა და დილით კი ღმერთად დგებოდა.

დილით პერი ხელახლა ჩაუჯდა ნახაზებს. მაგრამ კარგად რომ გადაათვალიერა, წინანდელი აღფრთოვანება, ცოტა არ იყოს, გაუნელდა. ბოგზაურობის დროს შეძენილ გამოცდილების საფუძველზე ადვილად იპოვა სუსტი ადგილები თუ მცდარი დებულებები პროექტში და ამ აღმოჩენამ შეაწუხა. რწმენა საკუთარი თავისადმი, ბოლო დროს რომ ამდენი დარტყმა იგემა, მთლად შეერყა. მთელი დღე შინ გაატარა, ცაბ-ცახებდა სურვილით — ყველაფერი შეეცვალა და შეესწორებინა. საბოლოოდ მან პროექტში ქვა ქვაზე არ დატოვა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ თავს ძალას ატანდა — ერთი ახალი და კარგი აზრიც კი არ დაბადებია. დღეს არ უგრძვნია ჩხვლეტა თავში და თითის წვერებში, მუდამ რომ იცოდა ხოლმე ნახაზებზე მუშაობისას, თუ ახალი აზრები ებადებოდა.

პირველად იყო, რომ უმწეობის შეგრძნება დაეუფლა და სიკვდილის შიშის მსგავსმა შიშმა აიტანა.

დაღვრემილი პერი მოუთმენლად ზომავდა ნაბიჯით ტერასას და ოცნებობდა, ნეტავი აქედან გამაქრო და სადმე შორს დამსვაო. გარეგნულად პერი ფრიად მოხდენილი და ელეგანტური გახლდათ. თეთრი ატლასის ჟილეტზე მოდური ფრაკი ეცვა და იაკობას ნაჩუქარი ორი ბრილიანტის საკინძით დამშვენებული გულისპირიც ეკეთა. მანქანით შეკრეჭილი თმა შავი ხავერდივით მკრქალად უბრწყინავდა, უკან კი, ახალი ევროპული მოდის მიხედვით, კეფა და კისერი აპარსული ჰქონდა. პატარა ულვაშები ოფიცრულ ყაიდაზე ზემოთ აეგრიხა, ხოლო წვერი, რაკი საზღვარგარეთ მოგზაურობისას განუწყვეტლივ იმოკლებდა, მხოლოდ პატარა სოლისებურად შერჩენოდა ქვედა ტუჩს ქვემოთ.

უცებ დარბაზში აბრეშუმის შრიალი გაისმა. პერი მობრუნდა და ნანი დაინახა. ქალი კარებში იდგა, ოდნავ წინ წაწვდილიყო და ტერასას ათვალიერებდა.

ნანიმ შესანიშნავად იცოდა, რომ პერი უკვე აქ იყო . თავისი ოთახის ფანჯრიდან დაინახა, როგორ შემოვიდა იგი ჭიშკარში და საჩქაროდ მოირთო, რათა სხვებზე ადრე ჩასულიყო ძირს. ქალი დარბაზში რამ-

დენიმე წუთის წინ შევიდა, მაგრამ ჯერ ფანჯარასთან იდგა, ჩუმად ათვალიერებდა პერს და ვერ ბედავდა მისვლას,—წინანდებურად ეშინოდა მისი.

ბოლოს ნანიმ გაიხედა ტერასაზე, ვითომ ძალიან დაბნეულმა დაუკრა თავი პერს და მაშინვე მიიმალა, თითქოს ის ვერ იპოვა, ეინც უნდოდა.

პერი შეჩერდა და თვალი გააყოლა ქალს. მასაც დაეუფლა უცნაური გაუბედაობა. მთელი დღე ერთხელაც არ გახსენებია ნანი.

ცოტა ფიქრის შემდეგ პერი ნანის დაედევნა. გადაწყვიტა, ბოლოს-დაბოლოს გამოერკვია, რა ურთიერთობაში იყო ამ ქალთან.

— რაიმეს ხომ არ ეძებდით? იქნებ შემიძლია დაგეხმაროთ?

— არა, გმადლობთ, — მიუგო ნანიმ და თავი ისე მოაჩვენა, თითქოს მართლაც ეძებდა რამეს. — არ ვიცი, სად წავიღე ჩემი ხელთათმანი. მაგრამ არა უშავს, უკვე გამოვართვი იაკობას ხელთათმანი. მგონი დროზე მოვედით.

— კი, უკვე ერთი საათია მე აქ ვარ.

— ახ, საბრალო, — თქვა ქალმა და გაშიშვლებულ მხარს ზემოდან თანაგრძნობით გახედა.

პერი წამით შეყოყმანდა, მერე კი გაბედულად მივიდა ნანისთან. თავი დაუკრა, დამცინავი თავაზიანობით შესთავაზა ხელი და უთხრა:

— აბა, რაკი სტუმრებმა უკვე იწყეს თავის მოყრა, გავბედავ და უმორჩილესად გთხოვთ...

ნანიმ შიშით შეავლო მას თვალი და თავი ისე დაიჭირა, თითქოს მის სიტყვებში რაღაც ფარულ აზრს ხედავდა. მერე მარაო ისე გაშალა, თითქოს ძალიან მოქანცული იყო, შეთავაზებული ხელი ისე მიიღო, თითქოს არ სურდა ეჭვებს აჰყოლოდა, განზე გაიხედა და უთხრა:

— თქვენ მართალი ხართ. მოდით ისე დავიჭიროთ თავი, ვითომც ჩვენ უკვე შეეუდექით მხიარულებას.

— მოწყალეო დედოფალო, მე მგონია, თქვენ დღეს უგუნებოდ ბრძანდებით, — უთხრა პერმა, როცა მეზობელ ოთახში შეავიდნენ, ეს გახლდათ როკოკოს სტილის კაბინეტი. — ხომ არაფერი გეწყინათ?

— სრულიადაც არა. მე მხოლოდ ის მინდა, რომ რაც შეიძლება, ჩქარა გავიდეს ეს საძაგელი დღე.

— რად გინდათ მერე ეს?

— ვერ ვიტან წვეულებებს.

— ნუთუ? თქვენ მე მანცვიფრებთ. წინათ არ იყავით ასეთი.

— შესაძლოა. მაგრამ ახლა, მართლაც სხვანაირი გავხდი. მე ხომ გათხოვილი ქალი ვარ. მოხედვას ვერ მოასწრებ, რომ უკვე ბებია ხარ ადამიანი.

— არა, ამ წოდების მისაღებად საჭიროა წინასწარ შეასრულოთ ზოგიერთი ფორმალობანი. ხომ არ გინდათ ჩამოესხდეთ? — პერი აბრეშუმგადაკრული პატარა ტახტის წინ შედგა და ნანის მასზე მიუთითა. — ან იქნებ გეშინიათ, სტუმრების მოსვლამდე კაბა არ დაგეჭმუჭვნოთ? — დაუმატა მან, რაკი ქალს ყოყმანი შენიშნა.

პერს ერთხელ კიდევ აებნა თავგზა გამოხედვით, რომელიც აგრძნობინებდა, თითქოს პერის სიტყვებში კადნიერი ნართაული იმალებოდა. ნანიმ არაფერი უპასუხა, ისე ჩამოჯდა კუთხეში და კაბის ქვედატანი მთელ ტახტზე გაფინა.

— განა სასაცილო არ არის, — ჰკითხა პერმა და საკმაოდ მოურიდებლად მოიკალათა ქალის გვერდით, — და უცნაურიც, რომ ჩვენ სულ რაღაც რვა დღის წინ რომში დავშორდით ერთმანეთს?

— რა არის აქ უცნაური?

— განა ისეთი გრძნობა არ გებადებათ, თითქოს იმ წუთიდან, როცა ჩვენ ერთმანეთს „ნახვამდის“ ვუთხარით, მთელმა მარადისობამ განვლო? გახსოვთ რომი... და რომის სადგური?

ნანიმ ისეთი სახე მიიღო, თითქოს სრულიად ვერ ხვდებოდა ვერაფერს, ერთ სიტყვასაც და უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— მე არც მიფიქრია მაგაზე.

— მართლა არ გიფიქრიათ?

— რა თქმა უნდა. საერთოდ რომი სულაც არ მომწონებია.

— ნუთუ? ვინც თქვენ იქ გნახათ, ამას არაფრით არ იტყოდა.

— არ იტყოდა? შესაძლოა, შესაძლოა.

— მოკლედ რომ ვთქვათ, გიხარიათ შინ დაბრუნება?

— მიხარია? — ნანიმ პირი იბრუნა, რაღაცნაირად დაღლილად და მორჩილად აიჩეჩა მხრები. — ჩემი აზრით ყველგან ერთნაირად საზიზღარი სამყოფია. ყველაზე მეტად კი შინ.

პერმა გადაიხარხარა.

— თქვენთან დღეს პირდაპირ შეუძლებელია ლაპარაკი. ნეტა ვინ...

— ჰო, მაშ რისი თქმა მინდოდა? — მოჩვენებითი მღელვარებით

შეაწყვეტინა ნანიმ. — თქვენ კი შესანიშნავად გრძნობდით თავს რომში. მე მეგონა, აღფრთოვანებულიც კი იყავით.

— ცოტათი კი. მაგრამ პატიოსნად ვაღიარებ: მას შემდეგ, რაც თქვენ და, ცხადია, თქვენი მეუღლე რომიდან წახვედით, ჩემთვის ისე მომხიბვლელი აღარ იყო იქ ყოფნა. რამდენიმე დღის შემდეგ მეც ხომ წამოვედი იქიდან.

ამის გაგონებაზე ნანი გაჩუმდა, თავის მარაოს მიაშტერდა და ტუჩებზე ხელოვნურმა სევდიანმა ღიმილმა გადაუარა. მერე ქალმა ნელა მიაპყრო პერს თავისი მომხიბლავი თვალები და ისეთი ნაზი და მრავალმნიშვნელოვანი მზერით დააჯილდოვა, პერზე რომ მუნჯური ალერსივით მოქმედებდა.

ახლა კი პერი მართლა შეშფოთდა. ნანიმ ხელახლა თავბრუ დაასხა მას. ქალი დღეს სანაქებოდ გარჯილიყო, რათა თავისი სილამაზისათვის გამოეწურა ყველაფერი შესაძლებელი თუ შეუძლებელი. თავისი საყვარელი თვალისმომჭრელი მოყვითალო-ოქროსფერი კაბა ეცვა, ასე რომ შვენოდა მის აღმოსავლური ტიპის სახეს და შავ თმას; თმა მაღლა აევარცხნა და ნამდვილი იაპონელი ქალივით კუს ბაკნის მაღალი სავარცხლით საქოჩრეზე დაემაგრებინა. ზომაზე მეტად გაშიშვლებულ მკერდზე ორი მუქი წითელი ვარდი მიებნია.

პერი რაც შეეძლო თავს იკავებდა, თავხედურად რომ არ მოქცეულიყო. ნანიმ ეს მაშინვე შენიშნა და თავდაცვითი პოზიცია დაიკავა, რადგან თავის იმედი არ ჰქონდა. ქალი გრძნობდა, რომ ორივენი უფრო და უფრო რისკიანად თამაშობდნენ, მაგრამ ეს ახლა სულ არ აკრთობდა ნანის. პირიქით — სასიამოვნოდაც კი უღიტინებდა ნერვებზე. თუმცა, განსაკუთრებულ საშიშროებას ვერ ხედავდა. დროდადრო კი აიტანდა ხოლმე დაუძლეველი სურვილი — პერს კისერზე მოხვეოდა და ჩაჰკონებოდა მის ალისფერ ბაგეებს, მაგრამ თავს ნებას არ აძლევდა. მეტისმეტად პატივს სცემდა საკუთარი უპირატესობის გრძნობას. თავშიც არ მოსვლია იმის ფიქრი, რომ სერიოზულად ეღალატა დიურინგისთვის. მას შეეძლო რამდენჯერაც უნდოდა გაბრაზებულიყო ქმარზე, როცა მისი ქმარი ნამდვილად ან მოჩვენებითად იჩენდა გულგრილობას მისდამი, თუ უნდოდა არ შეუშინდებოდა და პირშიაც მიახლიდა ამას, მაგრამ დიურინგის საზოგადოებრივ მდგომარეობას დიდად აფასებდა და ამიტომ თავისი ცხოვრების რისკზე არ წავიდოდა.

გული სიამაყით ევსებოდა, რაკი ხედავდა, როგორ ელაქუცებოდა

დიურინგს მთელი დედაქალაქი, მინისტრებიდან დაწყებული და პოპულარული მომღერალი ქალებით დამთავრებული; ნანი ბევრი რამის მიღწევას აპირებდა ასეთი კაცის ცოლის კვალობაზე.

ძველებური თამაში პერთან მან იმიტომ განაახლა, რომ ფარულად სხვა რამ ედო გულში. ამისათვის მეტად საფუძვლიანი და დამაჯერებელი მიზეზები ჰქონდა. ნანიმ გამოცდილებით იცოდა, რომ თუ მამაკაცი მასზე მეტისმეტად დიდ ძალას მოიპოვებდა, მაშინ როგორმე უფსკრულის პირას უნდა გაეტყუებია, მთლად თავბრუ დაეხვია მისთვის და მაშინვე გაუვლიდა გატაცება; ამით მოიკლავდა ჟინს და მერე შეეძლო დამშვიდებით ეთვალთვალა მამაკაცის გულის ლტეისათვის.

ნანი და პერი მოსამსახურე ქალებმა დააფრთხეს, კაბინეტის დასალაგებლად რომ შემოვიდნენ. პერმა ნანისაგან განზე გაიწია და ლაპარაკი უმნიშვნელო საგნებზე ჩამოაგდო.

მოსამსახურეები ოთახიდან არც კი გასულიყვნენ, რომ ნანიმ უცებ გაიხსენა;

— იაკობა სადღა დაიკარგა? ხომ იცის, რომ მოხვედით! მე რომ მასთან შევედი, თითქმის მზად იყო.

პერს ხმა არ გაუღია. არაფრით არ უნდოდა ამაზე ლაპარაკი.

ნანი კი თავისას არ იშლიდა;

— აღფრთოვანდებით მის დანახვაზე. ძალიან უხდება თავისი ახალი კაბა. თქვენ ხომ არ ურჩიეთ იაკობას მისი ჩაცმა?

— მე? ა-არა — ჩაიბურტყუნა პერმა და უნებლიედ გაწითლდა.

— აჰ, არა! იაკობამ ჯერ კიდევ თქვენს ჩამოსვლამდე შეუკვეთა ის კაბა, მაგრამ, ცხადია, თქვენს გემოვნებას შეუხამა ალბათ, განა თქვენთვის არაფერი უთქვამს?

— არა, რაღაც არ მაგონდება.

— მაშასადამე, სიურპრიზი გელით.

პერმა ამაზეც არაფერი თქვა. უცებ თავის ფიქრებმა წაიღო, მაგრამ ნანისთვის მჭევრმეტყველური მზერა არ მოუშორებია. მისმა მეამბოხე და დამპყრობლურმა ბუნებამ ამ მომხიბვლელი ქალის დანახვაზე უეცრად გამოიღვიძა. ცუდ გუნებაზე იყო და საკუთარი თავით უკმაყოფილო, ამ განწყობის გაქარვებას ცდილობდა და სწორედ ამან აფიქრებინა, ახალ სარისკო თავგადასავალში ჩაბმა. ისე მიეტანა ნანის, როგორც ნარკოტიკს, იმედი ჰქონდა, ის დაუბრუნებდა სულიერ წონასწორობას. პერი მიხვდა, რომ მხოლოდ ნანის შეეძლო დაეთრო თავდა-

ვიწყების იმ მაგარი სასმელით, ასე ძალიან რომ სწყუროდა ახლა. იაკობასთვის შეიძლებოდა არც გაეწია ანგარიში იმ უმაღლესი მიზნის ხათრით, რომ ხელახლა მოიპოვებდა ძალას მუშაობისა და ბრძოლისათვის. როცა იაკობა თავის კანონიერ მეუღლედ აირჩია, პერმა მეფის გვარის პირთა მსგავსად, თავისი ვალი მოიხადა და პოლიტიკური მოსაზრებანი წინა პლანზე წამოსწია: სამაგიეროდ, მერე, მეფის გვარის ხალხთა მსგავსადვე, პერს ნება აქვს მეტისმეტად ერთგული არ იქნეს ამ ცოლ-ქმრობისა. უფრო მეტიც, თავად იაკობამ უბიძგა პერს ამისკენ. „ვინც მიზანს იღებს, საშუალებაც უნდა მიიღოსო“, — აკი ასე თქვა მან.

მოსამსახურეები რომ წავიდნენ, პერი კვლავ ნანისკენ მიიწია: ლაპარაკი ჩამოაგდო რომზე, მათ გამოთხოვებაზე და თავხედურად ჩამოსდო ხელი ნანის უკან სავარძლის ზურგზე. ამ დროს იგივე ამბავი განმეორდა, რაც რომში იანიკულზე გასეირნების დროს: პერის მოულოდნელმა შეტევამ ნანის წაართვა საკუთარი თავის რწმენა და შეშინებულმა ქალმა გვერდზე გაიწია.

თანაც პერის შეხედვამ ქალს ერთი უსიამოვნო სიზმარი მოაგონა, იტალიიდან შინ დაბრუნების დროს რომ ნახა... ეს იყო ერთერთი იმ ძძიმე და უხამს სიზმართაგანი, რისი ნახვის მერეც ნანის მუდამ საშინლად სტკიოდა ხოლმე თავი დილ-დილაობით. ნანიმ მაშინ ზოოლოგიური ბაღი ნახა სიზმარში. ზოოპარკში მას დიდი, თვალისმომჭრელი ყვითელი ვეფხვი მოეწონა. ვეფხვი მიუცოცდა ქალს ლოგინთან და თავისი რბილი თათებით დაუწყო თამაში და ალერსი. ბოლოს მთელი სიმძიმით დაეცა მკერდზე და მის გამოხედვაში ნანიმ უეცრად შეიცნო პერის ჯიუტი და ჩაციებული მზერა.

— ხომ გახსოვთ, მატარებლის დაძვრისას თქვენი თაიგულიდან რომ ვარდი გადმოვარდა? — ჰკითხა პერმა — მე ის ავიღე, შევინახე და ღღემდე მაქვს.

— ღმერთო ჩემო! რა შესანახი იყო!

— მაშ როგორ? ნუ დაგავიწყდებათ, რომ ის ვარდი ასეთ მშვენიერებელებს დაუვარდა.

პერმა არც კი იცოდა, რომ ამაზე უკეთეს ქათინაურს ვერ ეტყოდა ნანის. ხელები ნანის სადარდელი გახლდათ. უსამართლობა იქნებოდა გეთქვათ, ამ ქალს ულამაზო ხელები აქვსო, მაგრამ არ შეიძლებოდა ნანის გულში, საკუთარი თავის წინაშე არ ეღიარებინა, რომ ოდნავ მოკლე თითები ჰქონდა.

— თქვენი ქათინაურები იაკობასთვის შემოინახეთ, — მოუჭრა ქალ-ბა და ხელახლა შეიცვალა პოზა, ამაოდ კი ცდილობდა ვაჟის მზერისთვის თავის არიდებას.

— რადა? — ჰკითხა პერმა და თავდავიწყებით გადავიდა შეტევაზე — ნუთუ ცოდოა მომხიბლავ ქალს უთხრა, მომხიბლავი ხარო? და, ნუთუ, ძვირფასო ცოლის დავ, უნდა დაგიფაროთ, რომ თქვენ ყველაზე ლამაზ და ყველაზე სახიფათო ქალად მიმაჩნიხართ ყველა ქალთა შორის, ვისაც კი ოდესმე შევხვედრივარ? მერე რად უნდა დაგიმალოთ? თავადაც შესანიშნავად იცით... ახალგაზრდობის გამო მე ოდესღაც ძალზე გაბედულ გეგმებს ვაწყობდი... თქვენ უსათუოდ შემჩნეული გექნებათ ეს. მოდით, ნუ გავქექავთ ძველ ცოდვებს. თქვენ მე უარმყავით. რა უნდა მექნა, ბედს უნდა შევრიგებოდი. თქვენ მეტისმეტად ლამაზი იყავით ჩემთვის.

ნანის ვარდისფერი სახე ცოტა არ იყოს, გაუფითრდა. პერმა ნელ-ნელა დაახევინა ნანის დივანის ბოლოსაკენ, კუთხეში მიკუნჭული ქალი ისეთი თვალებით უყურებდა ვაჟს, თითქოს ჰიპნოზი გაუკეთესო.

მაგრამ პერმა უეცრად გადაწყვიტა ზედმეტად არ აჩქარებულიყო. მას მოეჩვენა და ნამდვილადაც ასე იყო, რომ ნანის თვალებში ზიზღმა გაიელვა, და შეძრწუნებულმა წარმოიდგინა, ალბათ როგორ დამთავრდებოდა ყოველივე, თუ შეტევა ჩაეფუშებოდა.

მაგრამ ამ დროს ნანი თავად ჩამოეკიდა კისერზე და მგზნებარეღ აკოცა შიგ ტუჩებში.

ყოველივე ეს ერთ წამს გრძელდებოდა. ვერც მოასწრო პერმა გონს მოსვლა, რომ ნანი დივანიდან წამოვარდა და ფანჯარასთან მიირბინა. ფანჯრის წინ ზურგით დადგა პერისკენ და ხელები სახეზე მიიფარა, თითქოს ის-ის იყო სილა გაარტყეს.

ამ დროს ვესტიბიულიდან ივენის მბრძანებლური ხმა მოისმა, მერე კი ივენმა მომართული თოჯინასავით სწრაფად გაირბინა ოთახი. სარდალივით, არმიას რომ მწყობრში აყენებს გადამწყვეტი დარტყმისათვის, გრიგალივით ჩაიქროლა თავისი შტაბის — ლივრეაში გამოწყობილი ორი დაქირავებული მსახურის და განიერხალათიანი დეკორატორის თანხლებით.

ივენმა შენიშნა ნანი და პერი, მათ ეტყობოდათ, სულაც არ ადარდებდათ დღესასწაულის პროგრამა და კაბინეტში განცალკევებულიყვნენ. ივენმა ნაბიჯი შეანელა.

— მიღება სალონში იქნება, — აუწყა მან და გაქროლდა; თანაშემწეები ხითხითებდნენ და მის ზურგს უკან ერთმანეთს თვალს უკრავდნენ.

არც ნანი განძრეულა, არც პერი. მერე პერი ადგა, ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო გონს.

პერის ფეხის ნაბიჯების ხმა რომ გაიგო, ნანი მისკენ მობრუნდა და ‘ზერით შეაჩერა. საწყალი და დარცხვენილი მზერა ჰქონდა ნანის, თუმცა ამ მზერით კატეგორიულად უკრძალავდა ვაჟს ახლო მისვლას. როცა დარბაზიდან ხმები მოისმა, ნანი შიშით გაფითრდა, თავი დახარა და სწრაფად ჩაურბინა პერს გვერდით.

კარებში ქალი შეჩერდა, შეხედა ვაჟს, თვალებამდე აიფარა მარაო და ჩუმად უთხრა:

— თუ გაგიბედავთ და ვინმესთვის თუნდაც ერთი სიტყვა გითქვამთ თქვენი ქცევის თაობაზე, მაშინ...

— მაშინ რა?.. მაშინ რა, ნანი? — მოუთმენლად ჰკითხა პერმა.

— მაშინ,—ქალის ხავერდოვანი თვალები ბევრ რამეს პირდებოდნენ პერს, — მაშინ ჩვენ არაფრის გულისთვის აღარ გავხდებით ნამდვილი მეგობრები.

ნანიმ მარაო დაკეცა და გაქრა.

* * *

ხმები, პერი და ნანი რომ დააფრთხო, ფილიპ სალამონს და მის ცოლს ეკუთვნოდა. მოხუცები ხელგაყრილნი დასეირნობდნენ დარბაზში; თავის ლეას ცქერით დამტკბარი ბრძენი და გამოცდილი საქმოსანი აღტაცებით დნებოდა. ლეას მშვენიერი არშიებით გაწყობილი მოწითალოლვინისფერი ძვირფასი კაბა ეცვა. კაბინეტიდან გამომავალი პერის დანახვისას სალამონს ღიმილი სახეზე შეაშრა.

გაახსენდა, რომ თავისი ქალიშვილის ამ, მისი აზრით, არაკაცზე დანიშვნის საჯაროდ გამოცხადების მძიმე მოვალეობა წინ ედო. ჯერ კიდევ გუშინ აპირებდა ამის თაობაზე მოლაპარაკებას, მაგრამ როცა მაქს ბერნარდთან მისი გმირობის ამბავი გაიგო, გამბედაობა აღარ ეყო ლაპარაკის დასაწყებად. ახლა მოხუცს ისევ ის გრძნობა აწუხებდა. თავი ვერაფრით ვერ აიძულა, რომ მომავალი სიძისათვის ხელი გაეწოდებინა, თუმცა პერსაც ისეთი სახე ჰქონდა, სალამონი ამას მაინც ვერ გადაწყვეტდა.

ხელახლა გრიგალივით ჩაიქროლა ივენმა, ამჯერად სურდა გაეგო, შინაურებმა ყველამ მოიყარა თავი თუ არა. პირველი კარეტა უკვე გაჩერდა სადარბაზო კართან, მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, თეთრებში გამოწყობილი უმცროსი ბავშვები მოცვივდნენ. მოვიდა როზალიაც — იაკობა კი ჯერ არსად ჩანდა. მორთვამ დააბრკოლა. რაკი თავის მორთულობას არასოდეს ყურადღებას არ აქცევდა, ისე უშნოდ მოირგო კორსაჟი, რომ ვეღარაფერი გააწყო და იძულებული გახდა დასახმარებლად მოსამსახურე ქალისთვის ეხმო.

სანამ იაკობა ძირს ჩავიდოდა, სტუმართა თითქმის ნახევარი მოსული იყო.

ნანი პერთან ახლოს ყოფნას ცდილობდა, რათა მისი სახის გამომეტყველებისათვის თვალყური ედევნებინა იმ მომენტში, როცა პერი იაკობას დაინახავდა. თავის მიერ ესოდენ მარჯვედ ჩადებული მინის აფეთქებამ ნანის უდიდესი სიამოვნება მიანიჭა: იაკობას დანახვაზე პერი ბრაზისაგან გაფითრდა.

ქალს სამწუხაროდ საკმაოდ ფართოდეკოლტიანი კაბა შეეკერა, თუმცა ასეთი ფასონი სულ არ უხდებოდა. ისე აღფრთოვანებით ელოდა საქმროს და დრეზაკში მასთან შეხვედრის ისეთი ტკბილი მოგონებები ჰქონდა, უნებლიედ გადადგა მოუფიქრებელი ნაბიჯი და სწორედ სუსტ ადგილზე დაადგა პერს ფეხი. პერმა შენიშნა, რომ ვიღაც ბატონებმა იაკობას გამოჩენისას ჩაიცინეს და პირველად მისკენ გახედვაც კი არ სურდა.

ამასობაში ყველა ახალი სტუმარი დარბაზში დიდი ვესტიბიულიდან შემოდიოდა, სადაც მათ მოსამსახურენი და საგანგებოდ დაქირავებული ლაქიები გახდაში შველოდნენ.

ნოხებით მოფენილ სადარბაზო კართან კარეტა კარეტაზე მოდიოდა, ხოლო სანაპიროს გასწვრივ დაქირავებულ და საკუთარ ეკიპაჟთა გრძელი მწკრივი გაჭიმულიყო, ნელ-ნელა მოდიოდნენ, ყოველ ნაბიჯზე ჩერდებოდნენ და ისე უახლოვდებოდნენ ვილას.

დარბაზში და მის მოსაზღვრე ორ სადარბაზო ოთახში ასამდე კაცი შეგროვდა.

ძირითადად საფინანსო სამყაროს წარმომადგენლები იყვნენ. ამას კაცი ქალების მორთულობებით და მათი ბრილიანტების მიხედვით მიხვდებოდა, მაგრამ სტუმართა შორის უნივერსიტეტის პროფესორები, ექიმები, მხატვრები და მწერლებიც ერია. თავისდაჭერის მანერაში,

საუბარში, ისევე როგორც ქალების კაბების ყაიდაში, იგრძნობოდა ევროპული თავისუფლების უეჭველი გავლენა ცრუ შეხედულებებზე. ახალგაზრდა ქალთა უმრავლესობა მთლად სამეჯლისოდ იყო გამოწყობილი, რადგან უნდა ეცეკვათ, მაგრამ უფრო ხანდაზმულებსაც, განსაკუთრებით ებრაელ ქალებს, თავიანთ მკერავთა დახმარებით გმირულად გამოეფინათ საჩვენებლად სწორედ იმდენი სიტურფე, რამდენიც მოდის მოთხოვნილებით და თავყრილობის ხასიათით იყო ნებადართული.

ღია პორტის შექმნის ჩაშლილი აქციონერული საზოგადოების ყველა წევრი მოპატიჟებული იყო სალამონებთან, მაგრამ უმრავლესობამ უარი განაცხადა; ამას, კაცმა რომ თქვას, ივენიც მოელოდა, რადგან წინა დღის მოვლენებს ითვალისწინებდა. გამოცხადდა მხოლოდ სამსახურიდან გადამდგარი მიწათმოქმედი ბატონი ნერეხავე, რომლის სოფლურმა შეხედულებამ, კისერზე ჩამობმულმა დიდმა ოქროს ჯაჭვმა და ორმაგლანჩიანმა ჩექმებმა ელეგანტური საზოგადოება დიდად დააინტერესა.

ივენმა შემთხვევით თვალი მოჰკრა, რომ ნერეხავე ცნობილი მაღალი საზოგადოების წევრ, უმაღლესი სასამართლოს ადვოკატ ხასელაგერთან ერთად მოვიდა და ამ მოულოდნელმა მეზობლობამ მეტისმეტად გააკვირვა, თუმცა, მშვენივრად იცოდა, რომ ნერეხავეს დანიის ადვოკატურის გამოჩენილ წარმომადგენლებთან ჰქონდა კავშირი. ივენს მაშინვე გაუელვა აზრმა, ალბათ ამათ რაღაც განზრახვა აქვთ პერისადმი. მას გაახსენდა, რომ ნერეხავემ დიდი უკმაყოფილება გამოთქვა მოლაპარაკებათა უეცარი ჩაშლის გამო; რაც შეეხება ადვოკატს, იგი ახალგაზრდა და გაბედულ საქმოსანთა იმ კატეგორიას ეკუთვნოდა, ვინც ყველაფერში მაქს ბერნარდის მაგალითს მისდევდნენ. ამიტომაც ბუნებრივი იყო კაცს ევარაუდა, რომ ერთ-ერთი მათგანი მოხიბლა იდეამ, დაებოლოებინა საქმე, რომლის დაბოლოებაშიაც თვით პატრონიც კი უძლური აღმოჩნდა. თუმცა ხასელაგერს არ გააჩნდა თვისებები, რამაც მაქს ბერნარდს ძალა მისცა, ერთი უპრინციპო კაცი იყო, მაგრამ ისეთი ელეგანტური გარეგნობა ჰქონდა და საზოგადოებაში ისეთი თავდაჭერის უნარი გააჩნდა, აიძულა დედაქალაქი ალაპარაკებულიყო მასზე, როგორც დიდი მომავლის მქონე ადამიანზე.

ჩვეულებრივ სტუმრებთაგან — ეგრეთწოდებულ „ყოველკვირეულთაგან“ — ივენმა შენიშნა აარონ იზრაელი და ლიტერატურათმცოდნე

და ციტატების დიდი მოყვარული კანდიდატი ბალინგი, ვისი ხარბი გონებაც მოგაგონებდათ ფარაონის მჭლე ძროხებს, თავიანთი ამხანაგები რომ შეჭამეს და გასუქებით კი არ გასუქდნენ. არონ იზრაელი, ნერვიული და გაუბედავი ადამიანი, კუთხეში მიყუჟულიყო, მაგრამ მრავალრიცხოვანმა მეგობრებმა მაინც მაშინვე იპოვეს. ბალინგს, პირიქით, ყველაზე თვალსაჩინო ადგილი დაეკავებინა — კარის წირთხლს მიყრდნობოდა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ უზომოდ დიდი ტანისა იყო, გადმოკარკლული თვალები ჰქონდა და ფრიად საინტერესო კატარალური ფერმკრთალი ფერიც ედო სახეზე, იგივე ხვედრი რგებოდა, რაც მის ლიტერატურულ ცდებს — შეუმჩნეველი დარჩენილიყო. როზალიამაც კი, თავის დროზე ასე ნასიამოვნები რომ იყო ბალინგის არშიყობით, ამხანაგთან ხელგადახვეულმა ისე ჩაუარა, არც შეუმჩნევია. ისე კი დიდი ქალივით გამოპრანჭულ ამ პატარა, გამხდარ გოგონას, თექვსმეტი წლისაც რომ არ იყო ჯერ, მეტად მახვილი თვალები ჰქონდა.

სამაგიეროდ პერი გახდა დაჟინებული ყურადღების საგანი, უფრო მეტად დიდი ყურადღებისა, ვიდრე თავად სურდა.

პერის დაკუნთული ტანი და გარუჯული სახე ძალიან გამოირჩეოდა ამ სახლში მჯდომარეთა გამოყვითლებულ სახეებს შორის, ვინც მთელ თავის ცხოვრებას ოთხკედელსშუა ატარებდა. თანაც ბევრმა იცოდა, რა დამოკიდებულებაც ჰქონდა პერს სალამონების ოჯახთან, ხოლო ნახვით კი ერთხელაც არ ენახათ. ვისაც მისი ან მისი წიგნის ამბავისათვის მოეკრა ყური, განცვიფრებული იყო, რა ახალგაზრდა არილო. გარდა ამისა, ისინი ელოდნენ, რომ ვინმე გამხდარ პოეტს ნახავდნენ, ეს კაცი კი მეომარს და აღმომჩენს გავდა და ეს ძალიან უკვირდათ.

მაგრამ არავინ იქცევდა ისეთ დიდ ყურადღებას, როგორც დოქტორი ნათანი. ნათანი ყათარზე იდგა აღფრთოვანებულ ქალთა და მამაკაცთა გროვით გარსშემორტყმული, მხიარულად იცინოდნენ და საერთოდ იქაურობას იკლებდნენ. ეს საზოგადოება ცდილობდა დოქტორ ნათანისთვის თავისი აზრი ეთქმევინებინა ახლახან გამოსულ, მაგრამ უკვე გახმაურებული პოემის თაობაზე, რომლის სათაურიც იყო „იაკობის ბრძოლა". მისი ავტორი პოულ ბერგერი გახლდათ — ახალგაზრდა ფერმკრთალსახიანი პოეტი, ოდესღაც სალამონების სახლის ხშირი

სტუმარი, ერთერთი, ნანის მრავალრიცხოვან და უიმედო მოტრფიალეთაგან.

უკანასკნელ დრომდე ბერგერი, როგორც პოეტი, თავისუფლად მოაზროვნეთა პლეადას ეკუთვნოდა, დოქტორ ნათანის გარშემო რომ დაჯგუფდა და მის ავტორიტეტს ეფარებოდა. ბერგერის ლექსებში ვლინდებოდა, რომ ავტორს ენის ნაზი შეგრძნების უნარი ჰქონდა, რაც თვით ენეოლდსენსაც კი ამშვენებდა, მაგრამ ამ ლექსებში მალე თავი იჩინა იმან, რომ ავტორს არ გააჩნდა საკუთარი სახე. ეს კი გულდასაწყვეტი და საშიში იყო. თავისი დამრიგებლისაგან ბერგერმა ისწავლა, როგორ ეწვალა მოთმინებით თვითეულ რითმზე რომელიმე ეპითეტის გამოსათქმელად. პატარა კრებულებში, წლიდან წლამდე უფრო და უფრო რომ თხელდებოდნენ, ბერგერი პოეტური ფორმით თავიდან ყვებოდა თავისი ყრმობის სევდიან ისტორიას, ამასთან მისი ლექსები, იმდროინდელ პოეტურ ნაწარმოებთა უმრავლესობის მსგავსად, ანემიური რომანტიკისა და სისხლსავსე ნატურალიზმის საოცარ ნარევს წარმოადგენდა, ხოლო ტონით კი ეს შფოთიანი ბორგვა გახლდათ სევდიან გოდებასა და ისტერიულ ღმერთთან ბრძოლას შორის. ეს იმით დამთავრდა, რომ ერთი წლის წინ ბერგერმა გამოსცა წიგნი, რომელსაც მისი მეგობრები და კეთილისმსურველებიც კი ვერ შეაქებდნენ. ამის ატანა უკვე მის სუსტ ძალებს აღარ შეეძლო. ბერგერი უეცრად გაქრა კოპენჰაგენიდან და კარგა ხანს არავინ არაფერი იცოდა მასზე. მერე ხმა გავრცელდა, თითქოს იუტლანდიის პატარა სოფლისათვის შეეფარებინა თავი, ცხოვრობდა კარჩაკეტილად ღარიბულ სახლში, კავშირი ჰქონდა გაწყვეტილი ირგვლივ სამყაროსთან და დღედაღამ თავის ბედზე ფიქრობდა. სწორედ იქიდან გამოგზავნა მან ხმაურის ამტეხი წიგნი, რომლის წინასიტყვაობაშიც საჯაროდ დაგმო თავისი მშფოთვარე წარსული და მთელ ქვეყანას აუწყა, მძიმე სულიერი ბრძოლის შემდეგ ბედნიერება და სიმშვიდე ქრისტიანულ მორჩილებასა და თვინიერებაში მოვიპოვეო.

ადრინდელ მეგობრებს არ სჯეროდათ მისი მოქცევის გულწრფელობა, მაშინ როდესაც დოქტორი ნათანი თავის მხრივ ამტკიცებდა, ამგვარი მისწრაფება ღვთის მოსაობისადმი. სავსებით შესაძლოა წარმოიშვას ავტორის შელახული თავმოყვარეობისაგან, შურისძიების სურვილიდან თუ დაუკმაყოფილებელი ვნებიდანო. უფრო მეტიც, მისი აზრით, ასეთი გარდაქმნის ისტორია ტიპიურიც კია, — აქ დოქტორმა ნათანმა სა-

ყოველთაო აღტაცება გამოიწვია იმით, რომ დაიწყო თავისი აზრის მტკიცება მთელი რიგი ჭკუისსასწავლი მაგალითების მოყვანით, რაც აღებული იყო ეკლესიის მამათა აღიარებებიდან და გრუნდტვიგიდანაც კი.

თვით პოემა ყველაზე უკეთესად ამტკიცებდა ავტორის სულში და მის ოსტატობაში მომხდარ გარდატეხის მნიშვნელობას. დიდტანიანი წიგნის თვითეული გვერდი მოწმობდა სულის ძრწოლაზე, გრძნობის უჩვეულო ძალაზე და გრძნობათა სიღრმეზე, რაც პოეტური გულწრფელობით და ძალით იყო გადმოცემული. ათი სიმღერა, რომლითაც პოემა შედგებოდა, ერთმანეთის მიყოლებით შლიდა სევდიან სურათებს და მკითხველს წარმოუდგებოდა იუტლანდიის უდაბური და პირქუში პეიზაჟები, ხალხის ერთფეროვანი და უსიხარულო ცხოვრება, პოეტის ცხოვრებად რომ იქცა. ყველაფერი ეს უწვრილმანეს დეტალებამდე სწორად იყო ასახული და გამსჭვალული უხილავი სამყაროს შინაგანი შუქით.

ყველაზე უფრო საოცრად ის ეჩვენებოდა ხალხს, რომ ბერგერმა, აქამდე რომ მხოლოდ თავისი სულის სიმების უმწეო გადაქექა შეეძლო, დაკარგული ბავშვური რწმენის მოპოვებასთან ერთად თავისი საკუთარი ხმა — ნამდვილი მამაკაცის ხმაც იპოვა, თვით გულიდან ამოსული ხმა, წყვდიადით მოსილი და ლითონისებური შინაგანი ხმა... მიწისქვეშა სამეფოს ხმა.

მაგრამ ამ დროს ხალხი აფუსფუსდა, მსახურებმა სასადილოს კარი გააღეს და სტუმრები მაგიდის გარშემო შემოსხდომას შეუდგნენ.

* * *

ვიდრე მაგიდას მოუჯდებოდა, ფილიპ სალამონმა ივენის საშუალებით გააგებინა პერს, რომ მომენტი ნიშნობის გამოსაცხადებლად შესაფერისად მიაჩნდა. იაკობას წინასწარ მოლაპარაკებოდა ამის თაობაზე და რადგან ქალმა არაფერი არ უპასუხა, მისი დუმილი თანხმობის ნიშნად ჩაეთვალა. სინამდვილეში კი იაკობას მისი ნათქვამი არც გაუგია. ერთი აზრი აკვიატებოდა: რად გამოიცვალა მისდამი პერი.

ამოცანა ძალიან მალე ამოიხსნა: თუმცა პერი გულმოდგინედ დასტრიალებდა თავს ბოთლებს, თავისი მღელვარების დაფარვა მაინც ვერ შესძლო. მაგიდის იქით ნანი იჯდა და ვიღაც პერისთვის უცნობ მამა-

კაცთან ერთობოდა. გვერდით, რა თქმა უნდა, ქმარი უჯდა, მაგრამ ნანის დროზე ეზრუნა და მეორე გვერდით ერთერთი თავისი თაყვანისმცემელთაგანი, ამ შემთხვევაში კავალერიის ყოფილი ოფიცერი, ხოლო ახლა სადაზღვევო საზოგადოების აგენტი ხანსენ-ივერსენი მოესვა. სწორედ მას ემასლაათებოდა ნანი.

დროდადრო ნანი ლოყით ნაზად ეხუტებოდა ქმრის მხარს — აშკარად მისი დაშოშმინება ჰქონდა განზრახული. მაგრამ დიურინგს, როგორც ჩანდა, მეუღლისადმი არავითარი პრეტენზიები არა ჰქონდა და მის სინაზეს შემწყნარებლური თვალის ჩაკვრით პასუხობდა.

დიურინგი ისეთი მიუხვედრელი კი არ გახლდათ, როგორც ნანის ეგონა, — უბრალოდ, მან იცოდა, რომ ნანი თავის თავისუფლებას ბოროტად არ გამოიყენებდა, იდუმალად არ გადააბიჯებდა ქმრის მიერ დადგენილ საზღვრებს. ნანის ბუნება ახლოს რომ შეისწავლა (განსაკუთრებით როცა დიურინგმა სრული სიმშვიდის მოსაპოვებლად გააღიზიანა ნანის პატივმოყვარეობა და ქალის წინაშე გადაშალა თვალისმომჭრელი პერსპექტივები, სადაც სასახლეთა დარბაზები მონაწილეობდნენ), მტკიცედ ირწმუნა, რომ ნანის სკანდალის ხსენებისაც კი შეეშინდებოდა. რაც არ უნდა დიდი ყოფილიყო ცთუნება, ნანი მაინც ისე მოიქცეოდა, თითქოს მაღაზიაში იყო და რაიმე ნივთი მოსწონდა. დაიწყებდა მის ხელში ტრიალს და სინჯვას, მაგრამ როგორც კი ლაპარაკი ჩამოვარდებოდა იმაზე, რომ ფული თავად მან უნდა გადაიხადოს, მშვიდად უკანვე დადებდა.

ნანის ერთხელაც აღარ შეუხედია პერისთვის. ტყუილად ელოდა პერი, რომ წამით მაინც მოავლებდა თვალს ნანი დასამშვიდებლად. ქალს ის სულაც არაფრად არ ჩაუგდია.

პერი ფიქრობდა, ივერსენთან ფლირტი იქნებ წმინდა თვალთმაქცობა და შენიღბვა იყოსო, მაგრამ ეს სრულიადაც ვერ ანუგეშებდა! ამითი ნანი ძირშივე სპობდა აზრს, ბევრჯერ რომ გაუელვა პერს თავში რომში მათი განშორების შემდეგ, თითქოს ქალის მხრივ აქ სერიოზული გრძნობა იყო ჩარეული. ამ აღმოჩენამ ძალიან გააცივა მისი დამპყრობლური ვნება. თანაც, ეტყობოდა, ნანიც გულით მხიარულობდა და ამან პერი ნამდვილად განარისხა.

თუმცა, რისხვისთვის სხვა მიზეზიც მოიძებნა.

ახალდაქორწინებულთა სადღეგრძელო რომ წარმოთქვა ფილიპ სალამონმა, მეორედ ადგა ნიშნობის გამოსაცხადებლად. მოხუცი შეეცა-

და შეძლებისდაგვარად მოკლედ მოეჭრა, მაგრამ მიუხედავად ამისა — თუმცა ბევრმა დამსწრემ დიდი ხანია ყველაფერი იცოდა — ფილიპის სიტყვებმა გამოაცოცხლა საზოგადოება.

პერმა ჭიქა აიღო ხელში და წამოდგა, რათა ეპასუხა მოლოცვებზე, და თუმცა მისი სახელის მეტი ირგვლივ არა ისმოდა რა, მოსვენებას არ აძლევდა იმის ფიქრი, რომ ამდენი ხმაური ატყდა იაკობას მომავალი ქმრის, ფილიპ სოლამონის მომავალ სიძის და არა თავად პერ სიდენიუსის გამო. ამ აზრმა გაუღვიძა სიდენიუსისეური თავმოყვარეობა და ვერავითარი ნაზი გრძნობები ვერ აღუძრა შეკრებილთადმი. პერმა ახლა უფრო მწვავედ შეიგრძნო ვიდრე ოდესმე, რომ თავისი ოჯახისაგან მემკვიდრეობით მიეღო სიძულვილი ამ ბედნიერი ადამიანებისადმი, თავიანთი სიამოვნებისთვის რომ ცხოვრობენ და თანაც თავს კარგ საზოგადოებას უწოდებენ. ასეულ ხმათა გუგუნი, შიგადაშიგ უცხოური ლაპარაკი რომ ისმოდა, პერს თუთიყუშების რატრატს აგონებდა. დიდი ხანია წავიდა დრო, როცა მას სიმდიდრის ბრწყინვალება აბრმავებდა. საუცხოო ყვავილები, რითაც მაგიდა იყო მორთული (მისი ანგარიშით მრავალი ასეული კრონი იყო მათზე დახარჯული), ვერცხლის ჭურჭელი, მოხდენილი სუფრის მოწყობილობა, ლივრეებში გამოწყობილი ლაქიები და თეფშების განუწყვეტელი ელვა — ყოველივე ეს, პერის აზრით, მხოლოდ წმინდა ებრაულ ბაქიაობას ადასტურებდა.

ნანის სიცილმა უკვე ყველა ხმა დაფარა და ამით შეგულიანებულმა პერმა გადაწყვიტა ჯავრი იაკობაზე ამოეყარა, ამიტომ პირში მიახალა ქალს, ეს თქვენი წვეულება ახირებული ამბავია და არც ვარგაო.

იაკობას ხმა არ გაუღია. იმ წუთიდან, რაც თავის დაზე ეჭვი აიღო, საერთოდ არ ელაპარაკებოდა პერს.

ნანის აშკარა გატაცება გადამდგარი კავალერისტით იაკობას ვერ მოატყუებდა. კარგად ჰყავდა შესწავლილი თავისი და და იცოდა, რომ მას სასიყვარულო გართობის დროს განსაკუთრებულ სიამოვნებას თავის გამლმერთებლების ეჭვიანობა ჰგვრიდა. იცოდა, რომ ნანი მხდალი იყო და იმის შიშით, თავის გრძნობათა ტყვეობაში არ აღმოჩენილიყო, თავის ირგვლივ თაყვანისმცემელთა საიმედო დაცვას ქმნიდა.

თუმცა იაკობა ვერ ხვდებოდა, რომ საქმე ასე შორს იყო წასული, სამაგიეროდ კარგად ესმოდა, რომ ნათესაური გრძნობა ნანისთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენდა. ნანი შეგნებულადაც კი შეეცდება, თავის ქსელში სწორედ დის საქმრო გააბას. მხოლოდ ახლა გაახსენდა

იაკობას, რომიდან დაბრუნების შემდეგ დაუყოვნებლივ რომ მოუყვა პერთან თავისი შეხვედრის ამბავს, ნანის თვალებში დაფარული ზეიმი უკრთოდა.

მაგრამ იაკობამ არც მოქმედებით გასცა თავისი თავი, არც სიტყვით. განსაკუთრებული თავის დაჭერის წყალობით, სუსტი ჯანმრთელობის გამო ბავშვობიდანვე რომ განუვითარდა, დამშვიდებით თამაშობდა ბედნიერი საპატარძლოს როლს. თუმცა ყველა ბგერა და ფერი იაკობამდე ისე აღწევდა, თითქოს სქელ ნისლში იჯდა და ასე ეგონა, იატაკი ერყეოდა ფეხებქვეშ, როგორც გემზე ძლიერი შტორმის დროს, იაკობას ვერავინ ვერაფერს შეამჩნევდა გარდა იმისა, რომ დაღლილი გამოიყურებოდა და ჩვეულებრივზე უფრო ფერმკრთალი ჩანდა. მხოლოდ პერის წინაშე არ შეეძლო თვალთმაქცობა. ყოველთვის, როცა კი პერი გამოელაპარაკებოდა, იაკობა პირს იბრუნებდა ხოლმე. მას სტანჯავდა პერის ხმა. პერის სახელო რომ შეეხებოდა მის ხელს, იაკობას ჟრუანტელი უვლიდა ტანში.

საბედნიეროდ ბევრი დრო არ ჰქონდა ფიქრისთვის. ვერ ასწრებდა სევდიან ფიქრებში ჩაფლულიყო, რომ ვინმე ნათესავი ან ნაცნობთაგანი გამოელაპარაკებოდა, რათა დაელია მისი და მისი საქმროს სადღეგრძელო. მერე ასეთივე სადღეგრძელოთი მიმართა მათ ნანიმ და ამ დროს მთელი საღამოს განმავლობაში პირველად შეხედა პერს. ისე უბოდიშოდ შეხედა, პერი კანკალმა აიტანა. ნანიმ თავი დაუქნია, გაუღიმა ორივეს და ასწია თავისი ჭიქა:

— თქვენი ჯანმრთელობისა იყოს, ძვირფასო სიძევ!.. გილოცავ, იაკობა!

„აი თავხედი დედაკაცი!“ — გაიფიქრა პერმა. მთლად წამოენთო და რაც შეეძლო, ცდილობდა ნანის მზერისათვის თვალი აერიდებინა.

იაკობამ, პირიქით, ფრიად დამშვიდებით მიიტანა ჭიქა ტუჩებთან, თუმცა არ დაულევია. იმის შიშით, დის თვალებში ზეიმი არ წაეკითხა, თავის დაკვრაზეც კი უპასუხა.

ამასობაში პერი და მისი ნოვატორული იდეები მაგიდაზე საუბრის ძირითად თემად იქცა, განსაკუთრებით იმათ შორის, ვინც მისგან შორს იჯდა. ყველაზე ყურადღებით ახალ სიძეს ქალები ათვალიერებდნენ. რაკი მკაცრი და კუშტი შესახედაობა ჰქონდა და ძალიან თავშეკავებით პასუხობდა მეტად მეგობრულ სადღეგრძელოებსაც კი, ხალხის პატი-

ვისცემამ უფრო იმატა მის მიმართ, თუმცა მისმა ვაჟკაცურმა გარეგნობამ თავიდანვე პატივისცემა გამოიწვია.

— დიახ, ეს სიდენიუსები — მტკიცე ხასიათის ადამიანები არიან, — წარმოთქვა ვიღაცამ ფილიპ სალამონის მახლობლად, მაგრამ მან თავი ისე დაიჭირა, თითქოს არაფერი გაუგონია, თუმცა ეს სიტყვები აშკარად მისი მისამართით იყო ნათქვამი.

სამაგიეროდ აღმოჩნდა სტუმართა შორის მეორე ადამიანი — ხანშიშესული, მოხრილი, ჭაღარაწვერიანი პატონი (ისიც მაგიდის თავში იჯდა), ვიზედაც ამ სიტყვებმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს გახლდათ ცნობილი მრჩეველი ერიკსენი, ქალაქის ერთერთი მდიდართაგანი, იქნებ ყველაზე მდიდარიც, თანაც დიდი გაქანების ფილანთროპი. ჯერ კიდევ მანამდე, სანამ მაგიდას მიუსხდებოდნენ, ადვოკატი ხასელაგერი ელაპარაკა მას პერზე და შეეცადა დაეინტერესებინა მისი გეგმებით, რაკი მრჩეველმა მანამდე არაფერი იცოდა მათ შესახებ, ან იქნებ მხოლოდ ყური მოეკრა. ამიტომაც ახლა გამომცდელი თვალით ათვალიერებდა პერს და ყურადღებით უსმენდა ყოველივეს, რასაც სტუმრები ამ ახალგაზრდა კაცზე და მის პატივცემულ ოჯახზე ამბობდნენ.

ჩაროზის დროს ფილიპ სალამონი მესამედ წამოდგა ჭიქით ხელში. ამიტომ კი არ ავდექიო — განაცხადა მან და შეკრებილნი დიდად გაამხიარულა ამ სიტყვებით, — რათა კიდევ ერთი ქალიშვილი გამეთხოვებინა, არამედ იმიტომ, რომ წარმომეთქვა დოქტორ ნათანის სადღეგრძელო და აღმენიშნა მისი საზღვარგარეთ ხანგრძლივი მოგზაურობიდან დაბრუნება, რაკი საბედნიეროდ ამის მერე მას უფრო მეტად შეუყვარდა მშობლიური მხარე და მისი ახალგაზრდობაო. სადღეგრძელო ძალიან მოეწონათ, ბევრი სტუმარი, მათ შორის ქალებიც, წამოხტა და დოქტორის ირგვლივ შეგროვდნენ, რომ ჭიქა ჭიქაზე მიეჭახუნებინათ მისთვის.

— სულ არ გამოცვლილა, — ისმოდა მაგიდის გარშემო. — არა, ოღონ კი შეჭაღარავებია, მაგრამ არა უშავს, ეს სულაც არ აბერებს.

როგორ გამოიყურებოდა, კაცმა რომ თქვას, ეს კაცი, ვისაც ესოდენ ბევრს აქებდნენ და ასე გააფთრებითაც სდევნიდნენ, ვინც ყველაზე მეტი იშრომა დანიის მომავლისათვის, ის, ვინც თავისი ორატორული და მწერლური შემოქმედებით საფუძველი ჩაუყარა სულიერ აღმავლობას, რომლის ბადალსაც დანიაში რეფორმაციის დროიდან არ იცნობენ?

ნათანი გახლდათ ტანდაბალი კაცი. ულამაზოს ეძახდნენ, ყოველ

შემთხვევაში, სახის უსწორმასწორო ნაკვთები კი ჰქოხდა, — თუმცა ნათანის გარეგნობაზე მსჯელობა ძნელი საქმე იყო, რადგან მისი სახე გამუდმებით იცვლებოდა, რაკი ყოველ შინაგან კულტისწადილს მეტად თავშეუკავებელი მიმიკით გამოხატავდა, რასაც, რაც უფრო დრო გადიოდა, შეგნებულად თანდათან ბოროტად იყენებდა. ყველაზე ლამაზი ის მაშინ მოჩანდა, როცა სხვას უსმენდა, მაშინ ნათანის სახეს გამოაცოცხლებდა ხოლმე მისი ხასიათისათვის დამახასიათებელი გრძნობები — ხელოვნების სიყვარული და გატაცებული, დაუცხრომელი ცოდნის წყურვილი. მაგრამ დღევანდელი დღის მსგავს თავყრილობაში ეს გამომეტყველება მის სახეზე ხშირად ჩნდებოდა, რადგან აქ ამჯობინებდა თავად ელაპარაკა. მოსმენის ბრწყინვალე ჩვევასთან ერთად ნათანს ხანშიშესულობამდე შემორჩა თითქმის ქალიშვილური ლაქლაქის სიყვარული, დროდადრო რომ ჩვეულებრივ ავყიობას მოგაგონებდათ და გესლიც ერია შიგ. სწორედ ეს თავშეუკავებლობა უჩენდა უფრო მეტ არაკეთილმოსურნეს და მტერს, ვიდრე ეგონა — თანდათან ჩამოშორდნენ ახლო მეგობრები და მოკავშირეებიც კი, რადგან ის შეურაცხყოფდა მათ ჩრდილოეთურ წარმოდგენას მამაკაცურ ღირსებაზე. ნათანის ბუნება იმდენად უცხო იყო, იმდენად არ ექვემდებარებოდა ნაციონალურ დანიურ ხასიათთან შეპირისპირებას, რომ ძალაუნებურად იძულებული ხდებოდა მუდამ კონფლიქტებში ჩაბმულიყო, მით უფრო გარდუვალი იყო ეს კონფლიქტები, რომ სხვა ებრაელ მწერლებისაგან განსხვავებით, ვინც მასზე ადრე გამოვიდა დანიურ ლიტერატურაში, ნათანი არც იმას ცდილობდა, რომ შეგუებოდა მისთვის უცხო ზნეჩვეულებებს და პირობებს, არც იმას, რომ ინტერესი გამოეწვია ბრბოს ჩამოშორებით და ჭეშმარიტად ფარისევლურად განეცხადებინა: „რაში მეკითხებითო“. მან ერთხელ და სამუდამოდ იწამა თავისი ხელშეუვალი უფლება, ყოფილიყო ერის მქადაგებელი. მან ადრე გაიგო, რომ მოწოდებული იყო, ერის ცხოვრებაში თვალსაჩინო როლი შეესრულებინა და რომ სწორედ თავისი უცხო წარმოშობა მისცემდა საშუალებას, შორიდან განეხილა დანიის ცხოვრება და პირუთვნელად ემსჯელა მასზე.

თანაც ნათანს ისეთი აზრთა წყობა გააჩნდა, რაც ტიპიური არ იყო დანიელისა ან გერმანელისათვის. ის აღიზარდა რომის კულტურაზე, ხოლო რაკი ჭაბუკობიდანვე ქედს უხრიდა ფრანგულ დახვეწილობას და გარეგნულ ელეგანტურობაშიც კი ეტყობოდა ეს, თანამემამულეთ,

უფრო მეტად კი მეცნიერების მოღვაწეებს, ერთგვარ უნდობლობას უნერგავდა. ნათანის ყველაზე უფრო გააფთრებული მოწინააღმდეგენი დაჯგუფდნენ უნივერსიტეტის კედლებში. ლამაზად დავარცხნილი თმა, თვალისმომჭრელად თეთრი გულისპირი, სათუთი გარეგნობა — სწორედ ასეთი შესახედაობისა უნდა ყოფილიყო ძველი ყაიდის პროფესორ-ღვთისმეტყველთა შეხედულებით შარლატანი.

მაგრამ მხოლოდ ამით არ აიხსნებოდა, მის შემოქმედებას რომ ასეთი გასაოცარი, ნამდვილად გამანადგურებელი გასაქანი ჰქონდა. თუმცა ჭეშმარიტად ბრწყინვალე ნიჭის პატრონი გახლდათ, მაინც არ იყო ისეთი, ვისაც ადამიანები ჩვეულებრივ „გენიოსს“ უწოდებენ, მას არ ჰქონდა შემოქმედის სული, აღმომჩენად ვერ მიიჩნევდით. დანიის ისეთ თვითმყოფ მოაზროვნეებთან შედარებით, როგორებიც გრუნდტვიგი ან კიერკეგორი არიან, მას ორიგინალობა აკლდა. მეტისმეტად მერყეევი იყო, რათა დამოუკიდებელი მსოფლმხედველობა გამოემუშავებინა და უფრო მეტად სიცოცხლისმოყვარე და განებივრებული, რათა ობობასავით დაბეჯითებით მოექსოვა თავისი საკუთარი ინდივიდუალური შინაარსი, უფრო ნაკლები ნიჭით დაჯილდოვებულ პიროვნებებსაც კი ზოგჯერ არაჩვეულებრივი აღმოჩენების მოხდენაში რომ ეხმარება. დაუღალავი ძიებანი მას უფრო გამრჯელ ფუტკარს ამგავსებდნენ, მოწმენდილ დღეებშიც და ავდარშიც ადამიანის სულის აყვავებულ მდელოებზე რომ დაფრინავს და როგორც კი ხორთუმს თაფლით აივსებს, აუცილებლად თავის სკაში ბრუნდება. თითქოს ასეული თვალი ჰქონდა, ისე ასწრებდა, მისწვდომოდა ყველა დროის და ხალხების ლიტერატურას და შეუცდომელი ინსტინქტით კრებდა იქედან ყოველივეს, რასაც შეეძლო ინტერესი გამოეწვია მის სამშობლოში, მერე კი ამ საფუძველზე ჭკვიანურად, ოსტატურად ამზადებდა ელექსირს. ეს ელექსირი ზოგჯერ მწარე იყო, ზოგჯერ კი ტკბილი და ცხარე სურნელოვანი და დანიის ახალგაზრდობას ახალ ძალებს მატებდა. ადამიანის სულის საუკუნოვანი ისტორია ნათანს შეეძლო დრამის დაძაბულობით და სიღრმით გადმოეცა რამდენიმე გვერდზე, ყველაზე უფრო დახლართული ფილოსოფიური მსჯელობანი ისე ოსტატურად გაეშუქებინა, რომ მტკნარი სულელიც კი მიხვდებოდა, რაზე იყო ლაპარაკი.

პოპულარიზატორის დიდი ხელოვნება ხსნიდა გამოცანას, თუ რატომ მოიპოვა ნათანმა ძალაუფლება ახალგაზრდობის აზროვნებაზე. ის იპყრობდა გონებას არა მარტო თავისი ძალებით, დიდი სამსახური გა-

უწია ნათანს ეროვნული ხასიათის იმ თვისებამ, ჯერ რომ არავის არ გამოეყენებინა წარუმატებლად და რასაც თავად ებრძოდა გააფთრებით. ეს გახლდათ დანიური ზანტი სიმშვიდე. არასოდეს წინათ მოსწავლე ახალგაზრდობას არ ჰქონია შესაძლებლობა ასე ადვილად და ცოცხლად შეეძინა ცოდნა. ადამიანს შეეძლო დივანზე გადაწოლილიყო, გრძელი ყალიონი გაეჩარა კბილებში, ამ დროს კი თვალწინ ცოცხლებივით დაუდგებოდნენ ლიტერატურის უდიდესი შემომქმედნი, და მათი ნაწარმოებების შინაარსი ისე ნათლად გადაეცემოდა, თითქოს თავად წაეკითხოს და გაეაზროს ყოველივე, რაც, უნდა ითქვას, დოქტორ ნათანის სტატიების გაცნობის შემდეგ ბევრს სრულიად ზედმეტად ეჩვენებოდა. ნათანის გამოტანილ განაჩენებს და მის მსჯელობებს ყველა შეუსიტყვებლად ღებულობდა, რადგან ყოველ ადამიანს თავისი საკუთარი ეგონა. ადამიანები იმსჭვალებოდნენ მისი ღრმა პირადი გრძნობებით და განწყობილებებით, იზიარებდნენ მის აღმოსავლურად მგზნებარე სიმპათიას თუ ანტიპათიას და გრძნობდნენ, რა ჯადოქრულად მდიდრდებოდა მათი შინაგანი სამყარო. უნივერსიტეტის ახალგაზრდობა არასოდეს არ ყოფილა ასე გაბედული და თავისუფლების სურვილით ატაცებული. ყველაზე ხელიდან წასულნი, გაჭირვებით რომ აზროვნებდნენ — გლეხობიდან გამოსული სტუდენტები — დიად აღსრულებათა წყურვილით იწვოდნენ, როცა ნათანის შრომათა კითხვით გართულნი რამდენიმე საათს დივანზე მიწოლილნი ყალიონის ხელახლა დასატენად წამოდგებოდნენ ხოლმე.

მაგრამ ყველაფერი წამიერი აგზნებით თავდებოდა, უფრო სერიოზული დასასრული ამ ამბავს არ ჰქონდა და ხშირად უკუცემა უფრო ძლიერი გამოდიოდა, ვიდრე გასროლა. პოულ ბერგერი ერთადერთი არ გახლდათ მათ შორის, ვისაც ნათანით გატაცებაც და სულის საბრძოლო ნათლობაც რელიგიურ აღორძინების სამზადისად ექცა. სხვაგვარად არც შეიძლებოდა. გონება რომ სულიერ ცხოვრებაში იღვიძებდა და მთელი სერიოზულობით სიღრმისაკენ მიისწრაფვოდა, რელიგიის გარდა სხვა დამუშავებულ ნიადაგს ვერ პოულობდა. მხოლოდ აქ შეეძლო გაედგა ფესვი. მთელი კულტურა ასე თუ ისე ეკლესიასთან იყო დაკავშირებული და იქ, სადაც ზერელეობა თავდებოდა, ან შუასაუკუნეობრიობა ჩნდებოდა ან — სიცარიელე.

ამიტომაც ნათანის გავლენა შეიძლებოდა ყველაზე უკეთესად მის მოწინააღმდეგეებზე გამოგვეკვლია. მან შესძლო ბევრი მათგანის ნაშ-

დვილი გატაცება, ფანტასტიკურად აგზნება, რაც ამაოდ სურდა თავის მომხრეებში გამოეწვია. დედაქალაქში რელიგიისადმი დაბრუნება ისე ძლიერად არ იგრძნობოდა—ყველა მოაზროვნე მეტისმეტად დაკავებული იყო საქმიანი ცხოვრების მჩქეფარე აღორძინებით. სამაგიეროდ პროვინციაში, განსაკუთრებით სოფელში, რელიგიისადმი მისწრაფება უფრო და უფრო იკიდებდა ფეხს და პასტორის კარმიდამოსა და უმაღლესი სახალხო სკოლების ირგვლივ იყრიდა თავს, როგორც ჯარი თავისი ციხე-სიმაგრის გარშემო.

* * *

როცა მაგიდიდან ყველა აიშალა, პერმა და იაკობამ დარბაზის ერთ-ერთ კუთხეში მოაწყეს თავისებური მიღება. აქ ის-ის იყო აანთეს ბროლის დიდი ჭაღი.

მისალოცად და ხელის ჩამოსართმევად ერთ-ერთი პირველთაგანი მივიდა მიწათმოქმედი ნერეხავე. ეშმაკმა იუტლანდელმა ყველაზე უფრო გულითად და რაკრაკა „რ"-ს მიაგნო თავის კილოში და ამ კილოთი ულრმესი სინანული გამოთქვა იმ ინცინდენტის გამო, გუშინ რომ ჰქონდა ადგილი მაქს ბერნარდთან. მან დაარწმუნა პერი, რომ ის, ნერეხავე, თავის მხრივ, არავითარ შემთხვევაში არ არის თანახმა „სიტუაციის" ასეთი შეფასებისა.

მისი სიტყვები პერის ერთ ყურში შედიოდა და მეორედან გამოდიოდა. ის თვალს არ აშორებდა დარბაზის მოპირდაპირე კუთხეში მდგარ ნანის, ირგვლივ მჭიდრო რგოლად შემოხვეულ თაყვანისმცემლებთან რომ კეკლუცობდა. თუმცა პერმა მტკიცედ გადაწყვიტა, მეტი აღარ ეფიქრა მასზე, თვალი მაინც ვერ მოეწყვიტა ამ ქალისათვის. მან დაინახა, როგორ მოიტანა კავალერისტმა ივერსენმა ვესტიბიულიდან ყარყუმის წამოსასხამი და ნება-ნება, ნაზად წამოაცურა ქალს მხრებზე, როგორ უნდოდა აუცილებლად თვითონ შეეკრა წამოსასხამის დუგმები, რის ნებაც, ცხადია, ნანიმ არ მისცა და თითებზედაც კი დაარტყა, მაგრამ იმწუთსვე მშვიდად მიიღო შემოთავაზებული ხელი და ბაღისაკენ გაემართა, სადაც უკვე შეკრებილიყო რამდენიმე ახალგაზრდა, რომ ნორვეგიულ ხეივანში შეესვათ ყავა.

მიწათმოქმედი ნერეხავე კი ლაპარაკს არ ათავებდა და პერი ბოლოს მიხვდა, რომ ნერეხავე ცდილობდა გუშინდელი დღის ამბებზე აელა-

პარაკებინა, რათა მომავლის გეგმები დაეტყუებინა მისთვის. პერს არ სურდა ეჩვენებინა ნერეხავესთვის, რომ მას არავითარი გეგმები არ ჰქონდა და ამიტომ ძალზე თავშეკავებულად და სიტყვაძუნწად პასუხობდა, ამან კი მხოლოდ გააღიზიანა იუტლანდიელის ცნობისმოყვარეობა და ისიც თავს არ იზოგავდა, ცდილობდა როგორმე თავისისათვის მიეღწია.

ბოლოს, როგორც იქნა, ნერეხავე მოეშვა პერს, მაგრამ საიდანღაც მის ადგილას იაკობასთან მდგარ მომლოცავთა ჯგუფიდან მაშინვე გაჩნდა სხვა მოსაუბრე. ამჯერად ეს არონ იზრაელი გახლდათ, პატარა, მორიდებული და უშნო თვალტანადი კაცი, კაბინეტის მეცნიერი, მიამიტად აღფრთოვანებული რომ იყო ხოლმე ყოველივე იმით, რაც თავად არ გაეგებოდა, განსაკუთრებით კი პრაქტიკული მოღვაწეობით. ის უკვე კარგა ხანია უტრიალებდა პერს და ხელსაყრელ მომენტს ელოდა, მისულიყო და ისე მიელოცა მისთვის, არავისთვის ხელი არ შეეშალა. თავისი დიდი ხნის მოთმენის გასამრჯელოდ ხელი ჩაჰკიდა პერს, თავის ხელებს შორის მოიქცია მისი ხელი და დიდხანს არ გაუშვია.

— ...მე მინდოდა, ბატონო სიდენიუს, მესარგებლა შემთხვევით და გულითადი მადლობა გადამეხადა თქვენთვის თქვენი ბროშურის გამო, ზამთარში, რომ გამოვიდა. ეს მართლაც ბომბის აფეთქება გახლდათ. თავისებური ტერორისტული აქტი, თუმცა კაცობრიობის საკეთილდღეოდ ნამოქმედარი კი იყო. კარგად მესმის, რომ სრულიად არ გაინტერესებთ ჩემისთანა საქმეში ჩაუხედავი კაცის აზრი თქვენი წიგნის შესახებ, მაგრამ მაინც არ შემიძლია თავი შევიკავო და უნდა გითხრათ, რომ მიუხედავად რიგი მეტისმეტად მაგარი გამოთქმებისა, რაც, ეჭვს გარეშეა ბევრს დააფრთხობს, ძალზე გამახარა ამ წიგნმა.

პერმა გაუბედავად შეხედა პატარა კაცს. თუმცა სტუმართაგან ის ერთადერთი არ გახლდათ, ვინც ქათინაურები უთხრა წიგნის თაობაზე, მაგრამ სხვების ქებას უბრალოდ მაღალი წრის ადამიანთა თავაზიანობად თვლიდა, მაშინ, როცა არონ იზრაელის გულწრფელობაში ეჭვი არ ეპარებოდა. გარდა ამისა, ბევრი სმენოდა ამ თავმდაბალ მეცნიერზე, სიმართლის მგზნებარე მძებნელზე, მის იდეურ მისწრაფებებზე. ეს პირველი შემთხვევა არ იყო, რომ არონ იზრაელი დიდ ინტერესს იჩენდა პერისადმი და მისი მოწინავე იდეებისადმი.

პერმა უპასუხა — და ნამდვილად ესეც ფიქრობდა — საერთოდ მიკვირს, როგორ ჩაგივარდათ ხელში ბროშურაო. მას ხომ წარმატება არ

რგებია. ჟურნალებს სიტყვაც არ დასცდენიათ მასზე, ხოლო გაზეთები მისი გამოსვლის დღეებში გაჭედილი იყო ტივოლის ბაღის სხვა ადგილზე გადატანის ახლახან წამოჭრილი გეგმით.

— განსაკუთრებული ყურადღება მივაქციე, — მიუგო არონ იზრაელმა, — კინაღამ წამძლია ცდუნებამ, რომ თქვენთვის მომეწერა ამის თაობაზე. თქვენ, მე ვფიქრობ, იცით, რომ გვყავს ხალხი, ვინც გაახარა და შთააგონა ადამიანის შემოქმედებითი შესაძლებლობების ამაღლებულმა და გაბედულმა თქვენმა რწმენამ, ბუნების მომავალი დამორჩილების თქვენმა იდეამ. დიახ, დიახ, სწორედ რომ შთააგონა. ეს სიტყვა შემთხვევით არ მიხმარია. ჩემი აზრით, თქვენი წიგნი ნამდვილად განმანათლებელ ლიტერატურას ეკუთვნის, ჩემზე მან გაზაფხულის ქარის შთაბეჭდილება დატოვა, მსუბუქ თავბრუს რომ ახვევს კაცს, მაგრამ სამაგიეროდ მადლიანი სიგრილით რომ არის გაჟღენთილი. სულითა და გულით მსურს, ჩვენმა მშვენიერმა ახალგაზრდობამ ღირსეულად დააფასოს თქვენი ბუნების სახარება, ვინაიდან ახალგაზრდობა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს რატომღაც უგულვებელყოფს და ამიტომაც უტყდება ასე ადვილად გული ცხოვრებაზე.

პერი გაწითლდა და ფრთხილად გაითავისუფლა ხელი.

აი ასე იყო მუდამ. მიუხედავად იმისა, რომ თავდაჯერებული გახლდათ და დიდებაზე და პატივზე ოცნებობდა, როგორც კი ვინმე შეაქებდა, მეტისმეტად ირცხვენდა ხოლმე. გარდა ამისა, პერი ახლა, ბუნებრივია, ამჯობინებდა, არ წამოეწყო თავის პროექტზე სერიოზული მსჯელობა და ამიტომაც გადაწყვიტა შეეცვალა სასაუბრო თემა.

მაგრამ არონ იზრაელი ძალიან გაიტაცა ლაპარაკმა. მან საუბარი ჩამოაგდო ნათანზე, ვის შემოქმედებაზეც პერი თავის წიგნში ფრიად უგელებელყოფით მსჯელობდა, რადგან ამ წიგნის წერის დროს ყველა სახის ესთეტი სძულდა. არონ იზრაელმა თქვა, თუმცა უაღრესად პატივს ვსცემ დოქტორ ნათანს, არ შემიძლია არ დავეთანხმო პერს, რომ საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებებში ცოდნის უკმარისობა ფრიად სერიოზული ნაკლია, რასაც შეუძლია საბედისწერო როლი ითამაშოს დანიის ახალგაზრდობის იმ ნაწილისთვის, ვისი სულისჩამდგმელიც ნათანია. გაცილებით უკეთესი იქნებოდა, ნათანი ცდილიყო ცხოვრებისაკენ უფრო მეტად მოქმედებისმოყვარული ადამიანისთვის მოეწოდებინა და ნაკლებად — სიმშვენიერის თაყვანისმცემლებისათვის. აუცილებელია შესაძლებლობის ფარგლებში სწრაფად ანაზღაურდეს

დანაკარგი; ჩვენი დროის ამოცანათა შორის შესაძლოა უდიდესი ამოცანის ამოსახსნელად „მომავლის სახელმწიფოს“ ავტორს — ეს პირფერობით არ არის ნათქვამი — გააჩნია, როგორც ჩანს, არაჩვეულებრივი უნარი. მზარდი თაობა ჯერ კიდევ ელის თავის მომავალ ბელადს, ადამიანს, ვისაც მისი გაღვიძების უნარი შესწევს. ტახტი ცარიელია, მხოლოდ ის არის საჭირო, რომ მეფური სისხლის რჩეული მოიძებნოს...

არონ იზრაელი იძულებული იყო გაჩუმებულიყო. დარბაზში მოულოდნელად სიჩუმე ჩამოვარდა. ვიღაც ფუმფულაქოჩრიანი ბატონი დიდ როიალს მიუჯდა და კლავიშებს დასცხო, ხოლო ივენმა, სპილენძის გროშიანივით რომ ბრწყინავდა, პიანისტთან მაღალი, მკერდაფუებული ქალი მიიყვანა.

ეს გახლდათ სწორედ ის სიურპრიზი, ივენი რომ le clou-ს უწოდებდა. ქალბატონმა — სამეფო ოპერის ცნობილმა მომღერალმა ქალმა — გულმოწყალედ განაცხადა თანხმობა, მიეღო მოწვევა დღევანდელ საღამოზე, რომ როცა მაგიდიდან ადგებოდნენ (რა თქმა უნდა, ფრიად დიდ ჰონორარს შეპირდნენ) ემღერა ორი სიმღერა და ერთიც — „ბისზე“, რის პატივიც — ეს მშვენივრად იცოდა დამსწრეთა უმრავლესობამ — დღემდე მხოლოდ ყველაზე მდიდარი და განთქმული არისტოკრატული ოჯახების ხვედრი გახლდათ.

პერს არაფერი გაეგებოდა კამერული სიმღერისა და შეეცადა გაპარულიყო. კარგად ხედავდა, რომ მშვენივრად მიიპარებოდა კედელ-კედელ ზოგიერთი სტუმარი — ისინი, ვისაც მოსაწვევი ოთახის სიმყუდროვე იზიდავდა. მაგრამ პერი ძალიან შორს იჯდა გასასვლელიდან. ვერ მოასწრო კარამდე მისვლა, რომ დარბაზში პათეტიკური კივილი გაისმა, რასაც მაშინვე მიყუჩებული პიანისიმო მოჰყვა თან. ამან აიძულა პერი შეჩერებულიყო და თავი დამარცხებულად ეგრძნო.

სიმღერას პერი თითქმის არ უსმენდა, მას ყურებში ჯერ კიდევ უქღერდა არონ იზრაელის სიტყვები და თავბრუ ეხვეოდა. ნუთუ ბედის ხელი არ ურევია ამაში, რომ სწორედ ახლა, როცა პერი თავის თავს რჩეულად აღარ თვლიდა, ასეთი აღფრთოვანებული ნდობით დააჯილდოვეს? პერს ძარღვებში სისხლი გაეყინა, ამ უცნაურმა პატარა კაცმა წინასწარმეტყველურად ცარიელი ტახტი რომ ახსენა. დიდი ხნის მივიწყებული, ჭაბუკობის წლების ყველაზე ამაყი ოცნება ამ სიტყვების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა პერს, ვით შეშინებული არწივი თავის ბუდეს.

პერი მხოლოდ მაშინ გამოერკვა ფიქრებიდან, როცა სიმღერა შეწყდა და ირგვლივ, ივენის თვალით ნიშნებისთანავე, სეტყვასავით წამოვიდა ტაში. გამოერკვა თუ არა, ნანი გაახსენდა, ჯერ კიდევ რომ არ დაბრუნებულიყო თავის კავალერიანად. „ალბათ მოწყენილები არ იქნებიან“, — დაღვრემით გაიფიქრა პერმა და საოცრად მოუნდა ბაღში ჩასვლა და იქაურობის დათვალიერება, ნახვა, თუ რას აკეთებდნენ ისინი სიბნელეში.

კარში პერი ძია ჰენრიხს შეეჯახა. დღევანდელი ზეიმის გამო ბებერ პრანჭიას თმა საგულდაგულოდ დაეყენებინა და, ყველას შესაშურად, ჰალსტუხში თავისი ცრუბრილიანტიანი ქინძისთავი გაერჭო, მეფის ნაბოძვარივით რომ ბრწყინავდა.

პერს უნდოდა ჰენრიხისთვის გვერდი აევლო. უცხოეთიდან დაბრუნების მერე ის ცდილობდა თვალში არ მოხვედროდა სალამონების ოჯახის ამ ბოროტ დემონს. ჰენრიხი წინანდებურად მის წინაშე მამისა და მწყალობელის როლს თამაშობდა, მაგრამ ნიშნობის გამოცხადებამდე პერს ყველაფერი უნდა აეტანა, რადგან მისი მწარე ენისა ეშინოდა.

ძია ჰენრიხმა იქვე გააჩერა პერი და იდუმალი თვალისჩაკვრით გვერდზე გაიხმო.

— სხვათა შორის, ძვირფასო მეგობარო, ერთი სიტყვა უნდა გითხრათ, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, მიიღეთ ჩემგან უმოწიწებულესი compliments[1]. ყველაფერი ისე კარგად გამოდის, უკეთესი რომ არ იქნება.

— მაპატიეთ, რაზე ამბობთ? — ჰკითხა პერმა და შეეცადა გაბრაზება დაეფარა.

— როგორ თუ რაზე?.. ახ, მაშ ასეა, არა! თქვენ ჩემს წინაშეც კი კომედიის გათამაშებას აპირებთ? ნუ ირჯებით, ჩემო კარგო, — ღმერთმა ხომ იცის, რომ კარგად გიცნობთ. მაგრამ ნუ შეკრთებით და ნურც გამოხვალთ თქვენი როლიდან, იქნებ ყველაფერზე ჭკვიანური ასე მოქცევა იყოს. უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენი სერიოზული შესახედაობა უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს. ღმერთო ჩემო, როგორ შემაქცევინეთ თავი! ყველა ერთხმად გაიძახის, რომ თქვენ ნამდვილი მამაკაცი ხართ. სიცილით მოკვდება კაცი! ასევე განაგრძეთ, გეთაყვა. ყველა

---

[1] მოლოცვა (ფრანგ.).

მოატყუეთ. ყველას თვალი აუხვიეთ. ილაზღანდარეთ, რომ სულ ცოტა-თი მაინც შევძლო თქვენი პატივისცემა!

პერმა ზიზღით შეხედა პატარა მახინჯს: მას აშკარად ზომაზე მეტი გადაეკრა და თვალებში ბასილისკოსავით უციმციმებდა სიბოროტე.

სალამონების ოჯახში გამართული წვეულებების დროს ცრუ დირექ-ტორს მუდამ ნაღველა ექცეოდა ხოლმე, რადგან ერთ სტუმარსაც არ სურდა, მასთან საერთო რამ ჰქონოდა. ყველაზე მეტი ზიზღით კი მას მებირჟეები ეპყრობოდნენ.

— რაზე მელაპარაკებით? — ჰკითხა პერმა. — თუ რაიმეს თქმა გსურთ, ჩქარა თქვით.

— თქვენი მორჩილი მსახური ვარ! უმორჩილესი! თქვენთან ლაპარა-კისას უნებლიედ მაგონდება პიესა, ოდესღაც რომ სამეფო თეატრის სცენაზე ვნახე... ძალზე ბრიყვული პიესა გახლდათ რაინდების შესახებ, რითმებითა და სისულელეებით აღსავსე. ჰოდა, იქ ერთი ახალგაზრდა კაცი მონაწილეობდა, სრული არარაობა, უვიცი ვინმე, მაგრამ პირს გაა-ღებდა თუ არა, ყველა ჭკუაზე იშლებოდა. ქალები კისერზე ეკიდე-ბოდნენ, თვით მეფეც აღტაცებისაგან გაგიჟდა და თავის მინისტრად და-ნიშნა იგი. თურმე საქმე ის იყო, რომ რაღაც ნივთი ჰქონდა, რასაც საი-დუმლოდ თან დაატარებდა და სწორედ ის ნივთი იზიდავდა მისკენ გუ-ლებს. თქვენ, ჩემო კარგო, ალბათ იმ ახალგაზრდის ბეჭედი გერგოთ მემკვიდრეობით, ჰა? თავად რა აზრისა ხართ ამაზე? ვერ მოასწრო მოგზაურობიდან ჩამოსვლა, რომ უკვე ჩხუბი ატეხა, თანაც ისეთი ჩხუ-ბი, მხოლოდ სირცხვილით თუ დავიწვებით და ის არის. დღეს მიუხედა-ვად ამისა, მაინც გმირია და კარიერას იქმნის. თუმცა, თქვენ, უპატივ-ცემულესო, ცხადია, გგონიათ, რომ ეს ასეც უნდა იყოს.

„ურიგო არ იქნებოდა ხმა გამეკმენდინებინა“, — გაიფიქრა პერმა, მაგრამ აქ ფრიად სასეირო იდეა დაებადა თავში. არ ღირს, დაე ბრა-ზობდეს ძია. დაე ჰენრიხი მისი კარის მასხარად დარჩეს. რაკი ასე გულწრფელად არაკეთილისმოსურნეა მის მიმართ, ეს პერს ბევრ სა-სიამოვნო წუთს მოჰგვრის ამ ხმაურიან მასკარადში, ცხოვრება რომ ეწოდება.

ამიტომაც პერმა მფარველურად დაადო ხელი ბამბადაგებულ მხარ-ზე ბებერ მაიმუნს და უთხრა:

— ეგრე იყოს, უსაყვარლესო ძია. თუ თქვენ კიდევ გსურთ რაიმე მითხრათ, ბარემ ამოალაგეთ, მაგრამ ჩქარა, მეჩქარება.

— მაშინ მომისმინეთ. იცით, თუ არა თქვენ, რომ მათ უნდათ ისარგებლონ თქვენი სახელით და ახალ საზოგადოებას მოუყარონ თავი? ხომ იცნობთ ამ სოფლელს, ამ ბღენძს, დღეს რომ ჩვენს საღამოს ესწრება აყროლებულ ჩექმებში გამოწყობილი — მას ნერეხავეს ეძახიან. მე დავინახე, რომ თქვენ გელაპარაკებოდათ. განა ვერაფერი შენიშნეთ?

— ვერა, განსაკუთრებული ვერაფერი.

— რა თქმა უნდა, ვერაფერი. მაგრამ საქმე სწორედ ასეა. მან და იმ აყლაყუდა ქარაფშუტამ — ადვოკატმა ხასელაგერმა უკვე გაუშვეს საცეცები. მე თვითონ ვუთვალთვალებდი. ახლახან დავინახე, როგორ ელაპარაკებოდნენ ამაზე ორივენი იმ სულელ სახელმწიფო მრჩეველ ერიკსენს. ისინი, რაც შეუძლიათ ელოლიავებიან რაინდს, პატრიოტს ეძახიან და ყველაფერი ეს იმიტომ ხდება, რომ მას შეუძლია ცრემლები გადმოყაროს, როგორც კი მოისმენს ლაყბობას ნაციონალურ აღორძინებაზე, სამშობლოსადმი სიყვარულზე ან სულიერ აღმავლობაზე... ეგ გიჟი, ეგა!.. მე მაშინვე მივხვდი, რომ ისინი ენას თქვენზე იქავებდნენ და იქვე ახლოს მივიკუნჭე, რათა მათი ლაპარაკისთვის ყური მომეკრა. ჩემი აზრით, თევზი ანკესს წამოეგო. სახელმწიფო მრჩეველი ყურადღებით უსმენდა. მათ ის აშკარად მოამზადეს. ამიტომაც გიცხადებთ: არ ჩაიდინოთ სისულელეები. ნუ დაკარგავთ დროს, ჩაებღაუჭეთ ფრჩხილებით, ასეთი მარჯვე შემთხვევა ძნელად თუ მოგეცემათ კვლავ.

პირველად პერმა არაფერი უპასუხა. სხვათა დაკვირვებებს დიდად არ ენდობოდა, მაგრამ არონ იზრაელთან შთამაგონებელი საუბრის შემდეგ ძია ჰენრიხის სიტყვებმა მასზე საკმაოდ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

— სულ ეს გინდოდათ გეთქვათ? — ჰკითხა მან.

— არა, ჯერ ყველაფერი არ მითქვამს.

— მაშასადამე, დაგრჩათ რაიმე?

— დიახ... მაგრამ თქვენ ძნელად თუ მიხვდებით, რაზეა ლაპარაკი — უთხრა ჰენრიხმა თვალის ჩაკვრით და გრძელი პაუზა გააკეთა, რათა პერის ცნობისმოყვარეობა გაეღიზიანებინა. — იცით, ვინ შემხვდა დღეს ვიმელსკაფტზე სეირნობისას? პოლკოვნიკი ბერეგრავი.

ამ სახელის გაგონებაზე პერი შეკრთა.

— მაშასადამე, ელაპარაკეთ მას?

— ცხადია, ველაპარაკე.

— და, ალბათ, მოუყევით რაც მოხდა გუშინ მაქს ბერნარდთან?

— ცხადია.

— მერე, რა თქვა?

— უკვე ყველაფერი იცოდა.

— მაშ, ასე. ვისგან იცოდა მერე?

— ეს კი არ უთქვამს ჩემთვის. მაგრამ მერე თავად მივხვდი. ორი სიტყვა წამოსცდა ნერეხავეზე და მეც შემეკითხა — ისე, რომ იცოდეთ, სხვათა შორის, — ვიცნობ თუ არა და რას წარმოადგენს ის. ის კი — გაიძვერა! — გუშინვე ყოფილა პოლკოვნიკთან და რა გინდა, რომ არ უთქვამს. მე თქვენ გიმეორებთ: პოლკოვნიკმა ყველაფერი იცოდა, რაც მაქსთან მოხდა. და წარმოიდგინეთ — მოეწონა თქვენი ქცევა. ღმერთმა დამსაჯოს, თუ ვტყუოდე! აღტაცებისაგან გონს ვერ მოსულიყო, რომ თქვენ გაბედეთ და მაქსს მთელი სიმართლე თვალწინ გადაუშალეთ. პოლკოვნიკი სიამოვნებით დადგებოდა ყველა ჩვენი ახალგაზრდა ებრაელი მყვირალას სახრჩობელაზე ჩამოკიდების საცქერლად — ღმერთო ლოცვა-კურთხევას ნუ მოაკლებ ამისათვის. „ასეთი ყმაწვილის წინაშე, — თქვა მან, — მზად ვარ ქუდი მოვიხადოო“... მე მაშინვე მივხვდი, რომ ტყუილად არ მეუბნებოდა ამას. აშკარად ვარაუდობდა, რომ მის სიტყვებს თქვენ გადმოგცემდით. უნდა თავი მოგიქონოთ, გაიგეთ? იმედი აქვს, რომ შეთანხმებას მიაღწევს. „ეს კაცი მე მომწონს, — თქვა მან. — ახლა ჩვენი საკუთარი, ძალ-ღონით სავსე დანიელი ახალგაზრდობა თავის ადგილს მოითხოვს მზის ქვეშ, მერე ის გააძევებს ყველანაირ უცხოურ ბრბოს, ვისაც კი ჩვენს ქვეყანაში გამრავლების ნება მისცეს“. ასე თქვა, სიტყვა-სიტყვით. სასაცილოა, არა? მერე რა კარგად არის ნათქვამი!

თავის ფიქრებში ჩაფლულმა პერმა არაფერი უპასუხა.

— აბა, ამის მერე როგორ არ უნდა გიწოდოთ ბედის ნებიერი? რაც უფრო მეტ სისულელეებს სჩადიხართ, მით უფრო დიდი წარმატება გაქვთ!..

მათ ახლო მდგომმა სტუმრებმა, ჩუმათ იყავითო, გააფრთხილეს ისინი. მომღერალმა ქალმა ნოტის მეორე ფურცელი აიღო და დარბაზში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, როგორც ეკლესიაში.

პერმა ბოლოს და ბოლოს თავი დაიხსნა ჰენრიხისაგან და დარაბაზიდან გასხლტა. მან გაიარა სასტუმრო ოთახი და ვესტიბიულში გავიდა. ღია კარი ბიბლიოთეკაში გადიოდა, ხოლო მისი გავლით — საბილიარდოში. ამჟამად ორივე ოთახი პაპიროსის მოსაწევი იყო. ბიბლიოთეკი-

დან, სადაც მეტად ახმაურებულ ბატონთა ჯგუფი გაცხოველებულ მასლაათში იყო, ჰავანის სიგარების ბოლი მოიზლაზნებოდა. ვესტიბიულში მდგარი პერი მწეველებს ვერ ხედავდა, მაგრამ მათი ხმები მუსიკას ფარავდა.

უეცრად, ბიბლიოთეკის ღია კართან მისვლამდე, პერი შეჩერდა. მან გაიგონა, რომ ვიღაცამ მისი სახელი წარმოთქვა. პერს გული აუძგერდა, ლოყები წამოენთო, ახლოს მივიდა და ყური მიუგდო. თურმე მასზე კამათობდნენ, მისი პროექტის განსჯაში იყვნენ. ორი მოკამათე გატაცებით ირწმუნებოდა, არ შეიძლება კოპენჰაგენის ინტერესები შევბღალოთ ქვეყნის ინტერესების გამოო. მესამე — ძლიერ მყვირალა ხმა რომ ჰქონდა — ეპასუხებოდა, პირადად მე აღნიშნულ პროექტში სწორედ ადგილუფროსობაზე გადაჭრილი უარი მიზიდავს, ადგილუფროსობამ უკვე მიაყენა ქვეყანას აუნაზღაურებელი ზარალი და ევროპულ საქმიან ცენტრებს გაცილებით უფრო მეტად დააშორა ის, ვიდრე ამას გეოგრაფიული მდებარეობა აიძულებდაო.

პერს მეტის მოსმენა არ უნდოდა. ნელა მობრუნდა და ისევ ცარიელ სასტუმროსაკენ გაეშურა. აქ ცოტახანს ჩაფიქრებული იდგა ფანჯარასთან და გასცქეროდა სასოფლო გზას, ტყეს და ჯერ კიდევ ჩაუმქრალ ცას.

აი, ბოლოს დაუდგა დრო! მან გაიფიქრა (პერს ირონიულად გაეღიმა ამაზე), რომ ახლანდელი მდგომარეობა ზუსტად შეესაბამება ჩემს ძველ ანგარიშებს, სადაც ვითვალისწინებდი იმ მოვლენის შესაძლო ეფექტს, ამ საღამოს რომ მოხდაო. მართლაც, ნიშნობის გამოცხადებამ განამტკიცა და გაამაგრა მისი „ბედნიერება“. პერმა დიდების მოოქვრილი ეკლიანი გვირგვინის დასაუფლებლად ოფიციალური ნებართვა მიიღო.

დარბაზში ხელახლა სეტყვასავით წამოვიდა ტაში და ყველაფერი ამოძრავდა — სტუმრებმა დაიწყეს შინ წასვლა. პერს თავბრუ ეხვეოდა სიცხისაგან, სუნამოების გულისამრევი სუნისაგან, ამიტომაც არ სურდა ბრბოში არეულიყო. უცებ რაღაც გადაწყვიტა, დაბრუნდა ვესტიბიულში, ტანსაცმელით სავსე საკიდზე თავისი პალტო და ქუდი მოძებნა და გზაზე გამოვიდა.

ზაფხულივით თბილი საღამო იყო. მარცხნივ ტყე შრიალებდა, მარჯვნივ სრუტე გაწოლილიყო და მის მაღლა ბოლივით ამოდიოდა ნისლი. პერი რამდენჯერმე შეჩერდა და ღრმად ჩაისუნთქა საღამოს

ნამიანი ჰაერი, გაიგრილა გახურებული სხეული. ქუდი ისევ ეჭირა ხელში, ხოლო გრძელი პალტო სიჩქარეში მხრებზე წამოეხურა და მხატვრის ლაბადასავით უფრიალებდა.

პერი ფიქრობდა, დროა ხელახლა სერიოზულად მოვკიდო ხელი პროექტის დამუშავებასო. ახლა კი აუცილებლად შესძლებს უნაკლოდ მუშაობას.

დილიდანვე ვერ აეწყო მისი საქმე, ალბათ, ამის მიზეზი ცუდ გუნებაზე რომ გახლდათ, ის იყო. ხვალ ყველაფერი გაცილებით უკეთესად იქნება.

მოსახვევში, წყალთან, პერი შეჩერდა, მის თვალწინ, სიბნელეში ძიმავალ ნაპირებს შორის სრუტის გლუვი სწორი ზედაპირი იყო გადაშლილი, მაღლა კი უღრუბლო ცა გადაჭიმულიყო.

პერი რამდენიმე წუთს გაუნძრევლად იდგა, წყალცემის მსუბუქ შხაპუნს აყურადებდა და კვლავ ისევე, როგორც დაბრუნების დღეს, იაკობასთან ერთად რომ იჯდა აქ, წყლის ერთფეროვანმა შხაპუნმა, ღრმა სიჩუმეში მარადისობის ალერსიანი ტიტინივით რომ ჩაესმოდა, უცნაურად აღაფრთოვანა.

ვარსკვლავებიც თითქოს თავიანთი, იდუმალი ცხოვრებით ცხოვრობდნენ, განსაკუთრებით ერთი, პატარა და ძალიან კაშკაშა, პირდაპირ კუნძულ ვენის თავზე ისე ალერსიანად ციმციმებდა, თითქოს იცნო პერი და უნდოდა რაღაც მოეგონებინა მისთვის. „ნუთუ დაგავიწყდი? — თითქოს ეკითხებოდა ის. — განა არ გახსოვს?.. დიდი ხნის წინათ... ძალიან დიდი ხნის წინათ... აქედან შორს, შორს... სამყაროს სივრცეში...“

პერი გამოაფხიზლა ბორბლების რახრახმა — ქალაქიდან ნაქეიფარი მოაგარაკენი ბრუნდებოდნენ. ამ დროს მან დაინახა სინათლის უცნაური თამაში, რამაც ჯერ გააოცა, ხოლო მერე კიდევაც შეაშინა; მაგრამ პერი მალე მიხვდა, რომ ეს ივენის მანათობელი ბურთები იყო, სარკისებურ სიგლუვეზე ასახვისას ცეცხლოვან სვეტებს რომ ჰგავდა. ოდნავ ზემოთ ხეებში პერმა გაარჩია განათებული ვილა. და ამ ზაფხულის საღამოს სიჩუმეში ყოველივე ამან გაახსენა გაბრწყინებული ზღაპრული სასახლე, სადაც ფერიები ცხოვრობენ.

უცებ მოაგონდა, რომ ბაღში ნანის და მისი კავალერის საპოვნელად წამოვიდა. აქ კი არც მოგონებია ქალი. პერს ეს სულაც არ სწყინდა. „დაე, მისი იყოს“, — გაიფიქრა მან. ასე გამოეთხოვა ნანის და სიყვარულის ყოველგვარ მღელვარებას.

სამყაროს უსაზღვრო სივრცის წინაშე ადამიანთა სასიყვარულო ფუსფუსი საცოდაობად და უხამსობად მოეჩვენა და ახლა ზიზღსაც კი ჰგვრიდა.

პერმა ცოტა კიდევ გაიარა. ახლა სიჩუმის ნაცვლად ირგვლივ ხმაურმა გამოაცოცხლა არემარე — აქ იწყებოდა სააგარაკო დაბა, ხოლო კარგმა ამინდმა დაბის მცხოვრებლები შენობებიდან ბაღებში და აივნებზე გამოიტყუა.

პერს კი სიჩუმე სურდა. მობრუნდა და ნელა წაყიალდა უკანვე.

იმ აგარაკის გვერდით ჩავლისას, მუსიკა რომ ისმოდა, პერი უნებლიედ შეჩერდა და გადაიხედა ეკლიან მესერს იქით, ბაღს რომ გზისგან ყოფდა. იქ, ძველი ბაღის სიღრმეში ჩალისსახურავიანი პატარა სახლი რომ შეყუჟულიყო, ახალგაზრდები მხიარულობდნენ.

იქაც, როგორც ჩანდა, რაღაც ოჯახურ ზეიმს აღნიშნავდნენ, მაგრამ როგორ არ წააგავდა ეს თავშეყრილობა იმას, პერმა რომ ახლახან მიატოვა. აქაც ყველა ქალს ბაცი ფერის კაბა ეცვა, მაგრამ უფრო სადად შეკერილი. ამ კაბებს არ ეტყობოდა, რომ მათი პატრონები — მაღალი წრის ხალხივით, პირობითობას ანგარიშს არ უწევდნენ; გართობითაც თავიანთი საკუთარი ძველი, უბრალო თამაშით — დამალობანათი ერთობოდნენ. ერთ-ერთი სტუდენტი ხის ქვეშ ჩამოჯდა, თვალებზე თავისი თეთრი ქუდი ჩამოიფხატა და დაიწყო თვლა, დანარჩენები კი ჩუმად გაიპარნენ მდელოზე და ბუჩქებს უკან დაიმალნენ. აივნის ღია კარიდან ჩანდა გაწყობილი სუფრა და კბილებში ყალიონგაჩრილი ორი მოხუცი ბატონი. ერთერთს არახჩინი ეხურა, რაც სრულყოფდა ბიურგერული წესიერების, სისადავის და სიმყუდროვის საერთო შთაბეჭდილებას. სწორედ ამ კარიდან ისმოდა მუსიკა, რამაც მიიპყრო პერის ყურადღება, — ძველი, გაბზარული ბგერები საცოდავი ისეთივე მოშლილი ფორტეპიანოსი, მშობლიურ სახლში მისი და სიგნე რომ უკრავდა. პერს არ შეეძლო აუღელვებლად მოესმინა ეს ხმები.

სახლის უკნიდან ორი ხელგადახვეული ქალიშვილი გამოვიდა. აივნის კიბეებზე მეოცნებე პოზაში ჩამოსხდნენ და ტკბებოდნენ ვარსკვლავებით მოჭედილი ცით; მათ დამალობანას თამაშით აქოშინებული რამდენიმე ქალიც მიუჯდა და ნელ-ნელა კიბეებზე თეთრებში გამოწყობილთა მთელი გუნდი მოგროვდა. ყველანი ცას შესცქეროდნენ და ცხვირსახოცებით ინიავებდნენ.

— ოჰ, ნეტა ერთი ვარსკვლავი მოწყდებოდეს, — ინატრა ერთმა.

— მერე რას ჩაუთქვამდი? — ჰკითხა მეორემ.

— არაფრით არ ვიტყვი.

— მეც არ მეტყვით, ფრიოკენ იენსენ? — ჰკითხა სტუდენტმა; სხვა დანარჩენ კაცებთან ერთად ის პირდაპირ კორდზე იჯდა სახლის წინ.

— არ ვიცი... ცხადია, თუ თქვენ შემპირდებით, რომ არავის ეტყვით...

— ვფიცავ! — წამოიძახა ვაჟმა და თითებგაშლილი ხელი გულზე დაიდო. — მაშ ასე, რა გინდოდათ გესურვათ?

— მე მინდოდა მესურვა, რომ... რომ ხვალ ფაფა არ დამწვოდა.

იფეთქა სიცილ-ხარხარმა და დამსწრეთა ტაშმა.

მაგრამ ამ დროს ვიღაცამ თქვა:

— მოდი, ვიმღეროთ რამე!

— კი, შვილებო, იმღერეთ,—თქვა დედაბერმა, სწორედ ამ სიტყვებზე რომ გამოჩნდა კარში. — თქვენ იმღერეთ, ჩვენ კი ამასობაში ტკბილეულს მოგიტანთ.

პერს არც შეუმჩნევია, განმარტოებული წყვილი რომ უთვალთვალებდა, ეს წყვილი კვლავ დახეტიალობდა ბაღში და გულმოდგინედ ეძებდა ბნელ ბილიკებს. უცებ მის წინ მესერის მეორე მხარეს მამაკაცის ფიგურა აღიმართა; მოსულმა ქუდი მოიხადა და ირონიული თავაზიანობით დაინტერესდა, ვის ელოდა პერი.

რაღა უნდა ექნა, პერი იძულებული გახდა წასულიყო.

მაგრამ, ასიოდ ნაბიჯი რომ გაიარა, შეჩერდა და ხელახლა მიუგდო ყური. ბაღში სიმღერა დაიწყეს, მან იცნო ნაცნობი სიმღერის სიტყვები და მელოდია — მას ხშირად მღეროდნენ მისი ძმები და დები სუფთა ჰაერზე, ზაფხულში:

მინდვრად სიმშვიდე და სიწყნარეა,[1]
ეშვება ღამის ფარდა ცახცახით,
ღრუბლებს უცინის ლაღი მთვარე და
სადღაც ვარსკვლავი ვარსკვლავს გასძახის,

პერი სულგანაბული იდგა. ეგონა, არასოდეს მომისმენია ასეთი კარგი ხმებიო. იქნებ ამის მიზეზი ზაფხულის მშვიდი საღამო იყო. სიშორის მიუხედავად პერი მკაფიოდ არჩევდა თითოეულ სიტყვას, თითოეულ ბგერას. თითქმის ზებუნებრივი ამბავი იყო ეს. ეჩვენებოდა,

[1] ლექსები თარგმნა ირ. არაბულმა.

თითქოს თვით მიწა მღეროდა მის გარშემო და გზაც მღეროდა მის ფეხქვეშ, თითქოს გუნდი ჩამალულიყო მიწის ქვეშ.

გულს ჩაეიხვიე მისი ლაჟვარდი,
ზღვათა სივრცენი დავსერე ჩქარად,
ზღვათა ნაპირის შორეულ დარაჯს. —
ვაქებ პოეტის მუზას მარადის.

პერმა თვალები დახუჭა, გული მწვავე ტკივილმა დაუსერა. ამ სიმღერამ გამოაცოცხლა მისი სულის იდუმალი კუნჭულები.

ცაზე, მიწაზე — ერთიან ყველგან
ღვთიური მადლი გამდგარა მუდმივ.
გული კი, გული სხვაგვარად ფეთქავს, —
მას შესვენება არ უნდა წუთით.

* * *

ამასობაში სკოვბაკენში ცეკვები დაიწყო, თუმცა მხოლოდ ახალგაზრდებს არ ეშინოდათ გახურებული ცეკვებისა, ისე კარგად იყვნენ სტუმრები ნასადილევი. უფრო ხანშიშესულნი ოთახებში წავიდ-წამოვიდნენ, ან დარბაზის კედლის ჩაყოლებით ჩამოსხდნენ და მოცეკვავეებს უყურებდნენ.

კონცერტით დამცხრალი სტუმრები კვლავ გამოცოცხლდნენ, როცა მუსიკის ხმა გაისმა, ხოლო მოსაწვევებში მაგარი სასმელები მიართვეს.

კაბინეტში გრიგალივით ჩაიქროლა დოქტორმა ნათანმა, საცეკვაო დარბაზისკენ მიიჩქაროდა, დღევანდელი წვეულების ორი ყველაზე ახალგაზრდა და ლამაზი ქალი მიჰყავდა ხელგაყრილი. ეს შესანიშნავი ადამიანი არსად არ იყო ისეთი დიდი აღტაცების ღირსი, როგორც მაღალი საზოგადოების წვეულებებზე. რა ნაჯაფიც არ უნდა ყოფილიყო — დღისით თუ ღამით, — მაშინაც კი, როცა მის კაბინეტში გათენებამდე არ ქრებოდა ლამპა, — ნათანი დაღლას ვერ გრძნობდა და წმინდა ჭაბუკური აღგზნებით და გატაცებით მხიარულობდა. ხელოვნურად თავის გამხნევება და აღგზნება სულაც არ ჭირდებოდა. ადამიანებისადმი გულახდილ და ღრმა სიძულვილს, დოქტორმა წლების განმავლობაში რომ შეიძინა, არ შეეძლო დაეძლია მასში სიცოცხლის სიყვარული. გაჩირაღდნებული დარბაზები, ლამაზი ქალები, ღიმილი და ყვავილები

მუდამ სიხარულის მღელვარებით უვსებდნენ გულს. სადაც და როდესაც არ უნდა დაგენახათ დოქტორი ნათანი, მუდამ ნახავდით მოლაპარაკეს, მასთან მოსაუბრეს რომ რაიმეს უხსნიდა და უმტკიცებდა. ისევე როგორც ლიტერატურაში, საზოგადოებაშიც დოქტორი ნამდვილი ჯადოქარი და გულების დამპყრობი გახლდათ. თუმცა კადნიერი ქედმაღლობა არ აკლდა, ნათანი ამავე დროს ყოველნაირად ცდილობდა ცუდი შთაბეჭდილება არ მოეხდინა. ისიც კი აწუხებდა, რა აზრისა იყო მასზე ყველაზე არარაობა სტუდენტიც კი. თავის შრომებში მას შეეძლო ყოველნაირად დაეცინა ცხოვრებისა და საყოფაცხოვრებო ფუსფუსისთვის, მაგრამ საკმარისი იყო პირისპირ შეჯახებოდა ცხოვრებას, ის მაშინვე ეუფლებოდა ნათანს. ყოფიერების ყველაზე ნაკლებად მიმზიდველი მხარეებიც კი იზიდავდნენ მას, იმდენად უხვი და მრავალმხრივი ბუნების კაცი გახლდათ ეს ქალაქის მკვიდრი, დედაქალაქის გულში რომ დაიბადა და რიყეზე რომ გაიზარდა. ასე იზრდება ხოლმე სამხრეთის ქვიან ნიადაგზე ალისფერყვავილებიანი კაქტუსი.

სწორედ სიცოცხლის ეს მჩქეფარე, მღელვარე სიყვარული ხდიდა ნათანს არაჩვეულებრივ მოვლენად ისეთი ჩამორჩენილი გლეხური ქვეყნისათვის, როგორიც დანიაა. თანამედროვეობის ლიტერატურულ ორკესტრში, სადაც ყველა ინსტრუმენტის ხმა ისმოდა, საშინელი სამსჯავროს ბუკიდან დაწყებული, საბაზრო დაფდაფებით და ეკლესიის ზარების ღვთისმოშიში რეკვით გათავებული, ნათანის ხმა ჟღერდა, როგორც თვით ბუნების ხმა, ერთსა და იმავე დროს რომ იზიდავდა და აშინებდა კიდეც კაცს. როცა ჭაღარა, თხისწვერა დოქტორმა ორ ახალგაზრდა წამოწითლებულ ქალიშვილთან ერთად კოჭლობით ჩაიქროლა საცეკვაო დარბაზისკენ, ის წააგავდა პანის, ტყეთა დიდი ღმერთის ცოცხალ განსახიერებას. ახალგაზრდობის თვალში ის მართლაც პანი იყო და ჯადოქრული სალამური ეჭირა ხელში. მან თავისი თამაშით მარადიული სიჭაბუკის წყაროსკენ სულით დაცემულნიც კი გაიტაცა და რამდენიმე წამში ცეკვაში მოუქნელი და ენაბრგვილი დანიელებიც ჩააბა.

დარბაზში მაყურებელთა შორის იაკობაც იყო. ის ისევ ძველ ადგილზე იჯდა, რადგან მუსიკა და ცეკვები სიამოვნებდა — ამით საშუალება ჰქონდა არაფერზე არ ეფიქრა. გვერდით კანდიდატი ბალინგი უჯდა და პოულ ბერგერზე ელაპარაკებოდა.

იაკობა თითქმის არ უსმენდა მას, მზერით მოუსვენრად ეძებდა

პერს, მაგრამ პერი არსად ჩანდა, მაშინ როცა ნანის ოქროსფერ-ყვითელი კაბა მოცეკვავეთა შორის ხან სად გამოკრთებოდა, ხან სად. იაკობამ გადაწყვიტა, პერი ალბათ მოსაწევ ოთახში ჩარჩაო და მხოლოდ ერთი რამ სურდა — რაც შეიძლება დიდხანს დარჩენილიყო იქ. ეშინოდა, რომ ის მოვიდოდა და საცეკვავოდ გამოიწვევდა. და თუ პერი შერიგებას ეცდებოდა, თვითონაც ვერ შეიკავებდა თავს.

თუმცა აწოწილი ლიტერატორი, გვერდით რომ ეჯდა, სულაც ვერ ამჩნევდა, იაკობა რომ სულ სხვაგან იყო ფიქრებით. ბალინგი, როგორც ყოველთვის, ახლაც ძალიან დაბნეული იყო, ყოველ წუთს ჩუმდებოდა და თავს აქეთ-იქით იქნევდა — ირგვლივ მყოფთა ლაპარაკს აყურადებდა. ბალინგი ახალგაზრდა დანიელთა თაობის იმ რიცხვს ეკუთვნოდა, ვინც თავდაპირველად წესიერიც იყო და გულთბილიც. მერე კი დოქტორ ნათანის ზეგავლენით, ლომივით გაბედულები გახდნენ, მაგრამ მალე შეიგნეს თავიანთი შეცდომები, თუმცა ვერ გამოიჩინეს საკმაო სიმამაცე, აშკარად ეღიარებინათ ეს, თუ აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ პოულ ბერგერსავით მტერთა ბანაკში იუდის დიდება მოიხვეჭეს. ასეთი ადამიანები პროგრესის ძლევამოსილი არმიის რიგებში გამოუვლენელ დეზერტირებს ჰგვანან; შიშის გამო ისინი არმიის დროშას მიჰყვებიან, მაგრამ გულში ყოველი მისი დამარცხება უხარიათ.

რაკი, ცოტა არ იყოს, საკუთარი პატიოსნების მსხვერპლი იყო, ბალინგს თავი ტრაგიკულ ფიგურად წარმოედგინა და როცა კარებში გამარჯვებულთა ბელადი ნათანი გამოჩნდა თავისი ქალებით, ბრაზით წამოენთო.

მოცეკვავეთა შორის ხელახლა გამოჩნდა ბაიადერის ოქროსფერ-ტანსაცმლიანი ნანი. პერს ეძებდა, ამაოდ იყურებოდა აქეთ-იქით და ვერ გაეგო, სად შეიძლებოდა წასულიყო. თუმცა ძალიან გამომწვევად ეჭირა თავი, მაგრამ მთელი საღამო გონს ვერ მოსულიყო კაბინეტში მომხდარი სცენის გამო. მისი ადრინდელი ქცევა ერთ მიზანს ემსახურებოდა მხოლოდ: თავგზა აებნია პერისთვის და თავადაც დაევიწყებინა ყველაფერი, მაგრამ ახლა იმისი ფიქრი სტანჯავდა, რომ მეტისმეტი მომივიდა და, პერი, ალბათ შურისძიების მიზნით ყველგან ილაპარაკებს მომხდარ ამბავზეო.

ამასობაში პერიც დაბრუნდა. ვესტიბიულში პალტოს გახდისას ხალხით გაჭედილი მოსაწევი ოთახის ღია კარს გახედა და შემთხვევით ცნობილ მებირჟეთა წრეში მჯდარი დიურინგი დაინახა.

თავის დროზე დიურინგმა სახელი შეიქმნა საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ გამოსვლებით, მერე კი, თავისი მოხერხების წყალობით, ნირი იცვალა და უფრო ხელსაყრელად სწორედ იმის ლაპარაკი და წერა ჩათვალა, რისი მოსმენაც ხალხს და, განსაკუთრებით მებირჟეებს ყველაზე მეტად უნდოდათ. მისი მგზავრობის ჩანაწერებს საფრანგეთის და იტალიის საფინანსო ცხოვრების შესახებ წარმატება ხვდა საქმიან წრეებში და დიურინგს ძალზე მცოდნე კაცის რეპუტაცია მოუპოვა. თავის ჩანაწერებში ის ადიდებდა დანიის ვაჭრობის სოლიდურობას და რიგიანობას, რითაც მკვეთრად განსხვავდებოდა საზღვარგარეთულისაგან. და ერთხმად იქნა აღიარებული, რომ დიურინგს აქვს ყველა საფუძველი, დიდ ეკონომიურ გაზეთს ხელმძღვანელობდესო.

სტატიებში ისე სერიოზულად ეკიდებოდა საქმეს, ისეთ პასუხისმგებლობის გრძნობას ამჟღავნებდა, რაც ძნელი მოსალოდნელი იყო „ფალკენეს“ ყოფილ თეატრალურ რეცენზენტისაგან, ამიტომაც მისი დანიშვნა მთავარი რედაქტორის პოსტზე, რამაც პირველად გააფთრებული თავდასხმები გამოიწვია, ახლა ყველას მიაჩნდა იმის დამამტკიცებელ საბუთად, თუ რა გენიალური უნარი ჰქონდა მაქს ბერნარდს საჭირო ხალხის შერჩევასა და მათთვის ყველაზე შესაფერისი ადგილის მიჩენაში.

პერს უნდოდა მწეველებს შეერთებოდა, იქნებ გაეფანტა დარდიანი ფიქრები და ერთ ჭიქა ვისკს ისეთ გუნებაზე დაეყენებინა, ამ ვითარებას უფრო რომ შეესაბამებოდა. მაგრამ, როგორც კი დაინახა თაყვანისმცემლებით გარშემორტყმული პრესის მეფე, მაშინვე დაეკარგა გარემოებასთან შეგუების ყოველგვარი სურვილი, მობრუნდა და წავიდა.

სახეზე პერს ჯერ ისევ ეტყობოდა, სხვა, უფრო ბედნიერი სამყაროდან რომ შემოვიდა; მაგრამ, როცა ხალხით სავსე დახუთული ოთახები ჩაიარა და აპილპილებული სახეები და მარაოების გამწარებული ქნევა დაინახა, კვლავ მოიღუშა. ესეც არ იყოს, ჭაღების კაშკაშა სინათლე თვალს სჭრიდა. სოფლის საღამოს სიჩუმიდან დიდი საზოგადოების ხმაურში და ღრიანცელში გადასვლამ მთლად გააბრუა. ასე ეგონა, ზეძალოვანძაბვიანი ელექტრომანქანის გულში მოვხვდიო.

დარბაზის კარში პერი შეჩერდა და მოცეკვავეებს შეხედა. ახლა უფრო ბევრი ცეკვავდა. ზოგიერთ ხანშიშესულსაც გადაეწყვიტა ფეხების გამართვა.

უეცრად თბილი ტალღა მოაწვა პერს გულზე. ამ ახმაურებულ ფუს-

ფუსში იაკობა დაინახა. ქალი მოპირდაპირე კედელთან იმავე ადგილზე იჯდა, ერთი საათის წინ რომ დატოვა. დიახ, გაიფიქრა პერმა, მხოლოდ მის გვერდით შევძლებ თავი მშვიდად ვიგრძნოო. ბნელმა, არასანდო ინსტინქტმა კი არა, თვით სიცოცხლის ნებამ აიძულა პერი, იაკობა ამოერჩია ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, ვიდრე ის შესძლებდა მთლიანად და ღირსეულად დაეფასებინა ქალი.

პერი განაცვიფრა იმან, რომ ამ ფუსფუსში იაკობაც უცხო მოჩანდა. ეტყობა, მას არც უცეკვია: მარაო და ხელთათმანები ახლაც მუხლებზე ელაგა ქალს.

ზეშთაგონებასავით წარმოუდგა პერს ეს სანახაობა. არადროს წინათ ასეთი ძალით არ შეუგრძვნია, რამდენად ღრმა იყო მათი შინაგანი კავშირი, არ ესმოდა, რომ იაკობას სიყვარული იყო ჯერჯერობით ერთადერთი საიმედო მონაპოვარი, თავგადასავალთა სამეფოში ბედნიერების გამოდევნებამ რომ მოუტანა.

აძიერიდან პერი შესძლებს ღირსეულად დააფასოს თავისი საუბჯე. თითქოს აისის ათინათი დაეცა პერს, იაკობას თხელ, ჭკვიანურ, ფერმკრთალ სახეს და მძიმექუთუთოებიან თვალებს, ენერგიულ, თუმცა აუწერლად ქალურ პირს უტყვად რომ უპვრეტდა. მისი ავბედითი კაბაც კი ახლა პერს გულს უჩვილებდა სწორედ იმიტომ, რომ ქალს ის ეცვა, რაც არ უხდებოდა.

პერს სურდა რაც შეიძლება მალე მიეღწია იაკობასთან, მაგრამ ამ დროს მოირბინა თავის კავალერთან ხელგაყრილმა და ცეკვით გახურებულმა ნანიმ.

— სად დაიკარგეთ, თქვე საძაგელო? ყველა ქალი მხოლოდ იმაზე ოცნებობს, რომ საქმროსთან იცეკვოს, ეს კი, უყურეთ ერთი, იმალება! მართალი უნდა გითხრათ, თავხედურად იქცევით.

პერმა ცივად შეხედა.

— ძალიან ვწუხვარ, მაგრამ იაკობა დაიღალა, ამიტომ აღარც მე ვიცეკვებ დღეს.

უთხრა ეს პერმა და ზურგი შეაქცია, ნანიმ კი თავისი გააფთრების დასაფარად გადაიხარხარა.

— წავიდეთ, რაიმე ცივი სასმელი დავლიოთ, — თქვა მან და წავიდა კავალერიანად. — ეს რა უხეში ვინმე იშოვა ჩემმა დამ. აბა რას იტყვით ამაზე?

იაკობამ კარებშივე თვალი მოჰკრა პერს და, თუმცა პირი იქით იბ-

რუნა, მაინც არ შეეძლო არ დაენახა პატარა სცენა, პერსა და ნანის შორის რომ გათამამდა. ახლა, როცა პერი ასე ჩქარობდა მისკენ, იაკობა მიხვდა, რომ საბოლოო განხეთქილების მოწმე გახდა.

პერმა მეგობრულად დაუკრა იაკობას თავი და სკამზე ჩამოჯდა, რომლიდანაც ახლახან ადგა კანდიდატი ბალინგი, მერე ახლოს მიიწია ქალისაკენ და ხელზე, იაკობას სავარძლის სახელურზე რომ ედო, ხელი მოუჭირა. იაკობასაც არ წაურთმევია ხელი. უბრალოდ ვერ შესძლო წართმევა — ისე დაიმორჩილა პატიების ამ მუნჯურმა ვედრებამ. მაგრამ არც მის ხელისმოჭერაზე პასუხის გაცემა შეეძლო ისევე, როგორც არ შეეძლო თავი აეძულებინა, მისთვის თვალებში შეეხედა. ამას კი პერი ეჭვსგარეშეა, ელოდა. ამაყ იაკობას მეტისმეტად სტანჯავდა იმის შეგნება, რომ არ შეეძლო პერის ალერსისთვის გაეძლო.

— რა ცივი ხელები გაქვს, — უთხრა პერმა. — ალბათ შეგცივდა. მოგიტანო შალი?

— არა, მთბილა.

— კარიდან ხომ არ უბერავს?

— არა, არა მგონია.

— მაგრამ მაინც, იქნებ გინდა...

— არა, არა, არაფერი არ მინდა.

— კარგი, როგორც გსურს, მეგობარო!

ხმა იაკობას დაქანცული ჰქონდა, პასუხებზე ეტყობოდა, გაღიზიანებული იყო, მაგრამ პერი ამას ვერ ამჩნევდა. იაკობას თითებზე ხელით მოუალერსა და მისი ხელი გულზე მიიდო. თანაც უფრო ახლოს მიიწია ქალთან და ახლა მხრებითაც მიეხვნენ ერთმანეთს. იაკობას უნდოდა ხელი გაეთავისუფლებინა, მაგრამ პერმა დაიჭირა და ისეთივე ხმით ჩასჩურჩულა, იმ სამახსოვრო ღამეებში რომ ელაპარაკებოდა ხოლმე, რითაც დიდად ააღელვა ქალი.

— ჩემო მეგობარო, ძვირფასო მეგობარო! — და ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა: — უკვე იცეკვე?

ქალმა უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

— მაშ გინდა, იცეკვო?

— არა, სრულიადაც არა... ძალიან დავიღალე, — დაუმატა ქალმა მცირე დუმილის შემდეგ, იმის შიშით, რომ პერი სხვანაირად ახსნიდა მის უარს.

— მაშ, აი, რა მინდა შემოგთავაზო. დღეს მშვენიერი ამინდია. არც ცივა. ზაფხული გეგონება. მოდი, ბაღში გავისეირნოთ?

იაკობა ხმას არ იღებდა. პერმა განაგრძო:

— მე მგონია, სუფთა ჰაერზე მომჯობინდები. თან სათქმელიც მაქვს შენთვის.

ქალმა მთელი საღამოს განმავლობაში პირველად შეხედა მას. თუმცა კი ფიქრებით შორს იყო ამ დროს, მაგრამ პერის გულწრფელი და თბილი ტონი არ გამოპარვია.

იაკობა ადგა. პერმა წამოსასხამი მოუტანა ქალს, თავისთვის კი პალტო წამოიღო. ბაღისაკენ გაემართნენ.

ტერასაზე, სადაც მოცეკვავენი გასაგრილებლად გამოდიოდნენ, მხიარულება სუფევდა.

სტუმრები შეგროვილიყვნენ მაგიდების ირგვლივ; მაგიდაზე გამაგრილებელი სასმელები, ნაყინი და ყოველგვარი ტკბილეული ელაგა. აქ, ღია ცის ქვეშ, ნანიც გახლდათ თავისი კავალერით. ის-ის იყო ხილის ნაყინი უნდა მიერთმია, რომ ხელიხელგაყრილმა პერმა და იაკობამ გვერდით ჩაუარეს და მარმარილოს კიბეზე დაეშვნენ.

„ახლა კი ყველაფერს დაუკაკლავს“ — გაუელვა ნანის თავში. მაშინ სიძულვილის და გულატეხილობისაგან ქალს ტუჩები გაუფითრდა.

ნანიმ მიატოვა შეუშმელი ნაყინი და დარბაზში დაბრუნდა, „არა! — კვლავ ფიქრობდა ნანი, პარტნიორთან ერთად რომ ცეკვავდა. — იაკობა დიდხანს ვერ გაიხარებს. ამაზე მე ვიზრუნებ. რახან ბრძოლაა, ბრძოლა იყოს.“

პერმა და იაკობამ გაიარეს ბაღი და წყლის პირას მყუდრო სკამზე ჩამოსხდნენ. აქ ისხდნენ ხოლმე ისინი ჩვეულებრივად, როცა უნდოდათ ხელი არავის შეეშალა მათთვის. ახლა ირგვლივ არავინ იყო და იაკობას წინააღმდეგობა აღარ გაუწევია: როცა პერმა მხრებზე ხელი მოხვია, ქალიც მიენდო და თავი გულზე მიაყრდნო.

ისხდნენ თავიანთთვის წყნარად. მათ ფეხებთან ხმაურობდა მთვლემარე ტალღები და ივენის მანათობელი ბურთების ანაბზინი წყალში ისე ნაწილ-ნაწილ ირეკლებოდა, გეგონებოდა, ოქროს თევზები დაცურავენო.

— ხომ არ გცივა? — ჰკითხა პერმა და უფრო ჩაფუთნა ბეწვის წამოსასხამში.

— არა, არა, სრულიადაც არა, — მიუგო ქალმა კვლავ გულნატკენად.

თითქოს ამ სკამზევე დაწყებული გუშინდელი საუბრის გაგრძელება ყოფილიყო, პერმა უამბო, როგორ მივიდა სტუმრებზე დაკვირვების შედეგად იმ დასკვნამდე, რომ სამამულიშვილო პროგრესისტები გადაგვარებას იწყებენ, ყოველ შემთხვევაში, იმ აღტაცებისაგან, ისინი რომ წინათ იწვევდნენ, კვალიც აღარ დარჩენილა. პერი მთლიანად უნდა დაეთანხმოს იაკობას იმაზე, რასაც წერდა, ან ეუბნებოდა: საზოგადოებამ, სადაც დიურინგის მსგავსებს წამყვანი როლის თამაში შეუძლიათ. საკუთარ განაჩენს უნდა მოაწეროს ხელი. პერისთვის ნათელია, რომ თუ დანიაში კიდევ შეიძლება პროგრესისა და თავისუფალ იდეათა ზეიმის იმედი ჰქონდეს კაცს, ამისათვის სცენაზე სხვა ძალები უნდა გამოვიდნენ — ადამიანები სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ღრმა და კეთილშობილი ბუნების ხალხი, ვისი სასიცოცხლო მიზანიც ფულზე ყოველდღიური გამოდევნებით, ქალებით ან ჩინ-მედლებით არ შემოიფარგლება.

პერი ამ თავის შეხედულებებს მისთვის დამახასიათებელი მშვერმეტყველებით ყვებოდა. მაგრამ იაკობა თითქმის არც უსმენდა. ყველა სერიოზული და მგრძნობიარე სიტყვა ფოთოლთა შრიალივით ჩაესმოდა.

სამაგიეროდ, როცა პერმა თავისი სიტყვის დასასრულს საბოლოო შერიგების ნიშნად კოცნა სთხოვა, მაშინვე გაიგონა, ხელად ასწია თავი და ისე გაუწოდა ტუჩები, თითქოს წყურვილით დამხრჩვალი ადამიანი იყო, წყლის დალევის მეტი სხვა რომ აღარა ახსოვს რა.

თავი XVIII

მეორე დილით რომ გამოიღვიძა, პერმა თავი უქეიფოდ იგრძნო ჩვეულებისამებრ ბევრი ეწრიალა ლოგინში, საბანი გადახდოდა და ძალიან გაცივებულიყო.

წამოჯდომა რომ სცადა, რაღაცამ მტკივნეულად უჩხვლიტა მკერღში და შიშით გული შეეკუმშა. ის უკვე იცნობდა ამ ტკივილს. ბევრჯერ შეუწუხებია მოგზაურობის დროს, განსაკუთრებით დუნაის დელტაზე ნავით დამქანცავი გადასვლისას. რაკი უცხოეთის ექიმებს ცოტა არ იყოს, არ ენდობოდა და, რაც მთავარია, ეშინოდა, ვაითუ რამე ცუდი მჭირს და პირდაპირ პირში მომახალონო, აქამდე რჩეება არავისთვის

ეკითხავს. ახლა კი დრო იყო, თავის ჯანმრთელობაზე სერიოზულად ეფიქრა. პერმა დაურეკა მოსამსახურე ქალს და სთხოვა მოეწვია ცნობილი სპეციალისტი, კოპენჰაგენის ერთ-ერთი საავადმყოფოს მთავარი ექიმი.

ექიმი მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ მოვიდა და ეს რამდენიმე საათის მარტოდმარტო ლოდინი პერს სავსებით ეყო, წარმოედგინა, ოითქოს ეს შეტევები, რაც დრო გადის თანდათან უფრო და უფრო რომ სტანჯავს, სიკვდილის წინამორბედია.

მერე, ასე ადრე უნდა მოკვდეს? ჯერ ხომ მხოლოდ ოცდაოთხი წლისაა. ჯერ ხომ თავისი ცხოვრების მთავარი საქმე არ დაუხრულებია — ის კი არა და, არც დაუწყია. როგორც უაზრო და ულოღიკოა თვით ცხოვრება, ისევე უაზრო და ულოღიკოა ახლა სიკვდილი.

დიდი ხანია გავიდა ის დრო, როცა პერი უდარდელად ხარჯავდა თავის ჯანმრთელობას და სიკვდილს ეჯიბრებოდა, რადგან მტკიცედ იყო დარწმუნებული, არ შეიძლება მოვკვდეო. ქვეყანა მას ვერ შეელეოდა, მისი ნიჭი და ძალები სამშობლოს აყვავებას ესაჭიროებოდა.. ახლა პერს ესმოდა, რომ ბუნება საკმაოდ მდიდარია და შეუძლია ასე თუ ისე იმფლანგველოს. მასზე გაცილებით უფრო დიდი ტალანტები ჩავიდნენ საფლავში ისე, რომ გამოვლენა ვერ მოასწრეს. სიკვდილი ნებართვას არავის სთხოვს. მზე ერთნაირად უნათებს მართალსაც და დამნაშავესაც და სიკვდილს განუყრელად მიჰყავს რჩეულნი და არარჩეულნი, ან უწევს ანგარიშს, სარგებლობა მოაქვთ მათ თუ არა.

თუმცა არარსებობაზე ფიქრი პერს ახლა იმდენად ვერ აშინებდა, როგორც წინათ. სიკვდილის განაჩენის მოლოდინში მდიდრულ ლოგინში რომ იწვა და ჭრელი აბრეშუმის საბანი ეხურა, პერი ახლა უფრო მშვიდი და მტკიცე გახლდათ. ზოგჯერ ისე გაუწყდებოდა ქანცი, რომ არავითარ ტკივილს არ გრძნობდა, მაგრამ თითქმის ეგუებოდა სიცოცხლიდან წასვლის და ამითი უაზრო შრომისა და საზრუნავისაგან გათავისუფლების ფიქრს. ფანჯრებს ქვეშ მოედანზე ფორნების რახრახი, ტრამვაის ჟღარუნი, სულელ და თავხედ საქმოსნებთან მოსალოდნელი მოლაპარაკებანი — ყოველივე ეს ასეთ წუთებში გამოუთქმელ ზიზღს ჰგვრიდა.

მაგრამ გადიოდა საათები და პერს უფრო და უფრო უჭირდა შიშთან ბრძოლა. მარტოდმარტო ვარ მიტოვებულიო, ამის ფიქრი გულს

უკლავდა და ციე ოფლს ასხამდა. რა საშინელებაა, ალბათ სრულ მარტოობაში სიკვდილი უწერია!

დარდიანი ფიქრების გასაფანტავად მას უნდოდა კითხვა დაეწყო. სწორედ გუშინ გახსნა მოგზაურობიდან ჩამოტანილი წიგნები, უფრო მეტად დიდი და ძვირფასი გამოცემები ჩამოიტანა, ტექნიკის საკითხებს რომ ეხებოდა, მაგრამ მათ შორის ზოგადი ხასიათის რამდენიმე წიგნიც იყო, ზამთარში დრეზაკში და მოგვიანებით რომში ყოფნისას რომ შეიძინა.

მან ცალკე გადადო ბერძენ და რომაელ ფილოსოფოსთა რჩეული ნაწარმოებების ერთტომეული გერმანულ ენაზე. ამ წიგნმა ერთხელ უკვე ასიამოვნა, ავად რომ იყო.

მაგრამ ის-ის იყო წიგნის შინაარსმა გაიტაცა, რომ ექიმიც მოვიდა. ეს გახლდათ პატარა, თეთრწვერა კაცი; ბევრი არ ულაპარაკია, ლოგინის გვერდით სკამზე ჩამოჯდა. ჯერ ფორმალურად დაჰკითხა პერი, მერე კი, აშკარად არ ენდო მის ნათქვამს და შეუდგა გასინჯვას. გულ-მკერდი რომ გაუსინჯა, განაცხადა:

— ფილტვების დაავადებასთან ხომ არ გვაქვს საქმე? ამჟამად მე არა მაქვს საფუძველი, ასე ვიფიქრო. მჭედლის საბერველივით ფილტვების პატრონი ხართ... სად გტკივათ?

პერმა უჩვენა მარჯვენა გვერდი, ბოლო ნეკნს ცოტა ქვემოთ.

— აი აქ? მოითმინეთ, თქვენ ხომ პირველად ასე მითხარით, მარცხენა მხართან მტკივაო?

— ხან როგორ, ხან რაგორ.

— ჰმ, ჰმ, აი, ასე, როცა გაჭერთ ძალიან გტკივათ?

— არა, არ ვიტყოდი.

— განსაკუთრებულს არაფერს ამჩნევთ?

— არა.

— იქნებ ახლა საერთოდ აღარაფერი გტკივათ?

პერი გამოუტყდა, მტანჯველმა ტკივილმა, გულ-მკერდი რომ გამიკავა, ახლა მართლაც გამიარაო. მას კვლავ შეეძლო ღრმად ჩასუნთქვა ისე, რომ გვერდში ჩხვლეტა არ ეგრძნო.

ექიმმა არაფერი უპასუხა და დაუწყო ტანის ქვედა ნაწილის და ფეხების სინჯვა.

— მაშ ასე, ფილტვები წესრიგში გაქვთ, — უთხრა პერს გასინჯვის შემდეგ, — მათ გამოცვლას, ყოველ შემთხვევაში, მე არ გირჩევთ. აი,

კუნთები კი მოდუნებული გაქვთ. გულიც, ცუდი არ იქნებოდა, უფრო მაგარი რომ გქონოდათ. მითხარით ერთი, როგორ ატარებთ ჩვეულებრივად დღეს, ვარჯიშობთ, თუ არა? იღებთ თუ არა დილით შხაპს? ეს თქვენთვის მეტად აუცილებელია. საწონებითაც უნდა ივარჯიშოთ. არაფერი სჯობს დილით უზმოზე წყვილი, ოთხკილოგრამიანი გირით ვარჯიშს. უნდა აიძულოთ თქვენი უპატივცემულესი სისხლი, უფრო სწრაფად მიმოიქცეს; სხვა რამით დაავადებული არა ხართ, მაგრამ თქვენს ასაკში ესეც საკმარისია. რამდენიმე დღე იწექით. ნერვები დაიმშვიდეთ. საერთოდ კი გირჩევდით უფრო მეტად გედევნებინათ თვალ-ყური თქვენი ჯანმრთელობისათვის, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ მაგარი აგებულებისა ხართ, ცოტა არ იყოს, მიდრეკილება გაქვთ რ...რ.., როგორ გამოვხატო, რაც შეიძლება ლამაზად — აი, ამ პატარა ამბებისადმი, როგორც დილანდელი ტკივილი გახლდათ. ეს ყოველივე ადვილი ასახსნელია. მაშ ასე: ჯერ ერთი, სამი-ოთხი დღის განმავლობაში მატარებელში ჯანჯღარებდით, სადაც წესიერად არც კი იკვებებოდით ალბათ, არც გეძინათ; მერე, დაბრუნებისთანავე, როგორც თავად მითხარით, მაშინვე საქმეებს შესდგომიხართ, ფუსფუსს, მაღალი საზოგადოების ცხოვრებას — აი, ესეც საკმარისი ახსნა ამ ამბებისა, როცა საქმე გვაქვს ფაფებით გამოკვებილ სამამულიშვილო თაობასთან, თუმცა ის ითვლება სწორედ ძალ-ღონის ნიმუშად.

ბოლო სიტყვები რომ თქვა, ექიმს პატარა, ოდნავ ელამ თვალებში ჰორორტ ღიმილი აუთამაშდა, მაგრამ პერს ეს არ შეუნიშნავს. საერთოდ თითქმის არც უსმენდა ექიმს. როგორც კი _დარწმუნდა, რომ თავის სხეულში ტუბერკულიოზის ბაცილებს არ ატარებდა, მაშინვე თავი გაცილებით უკეთესად იგრძნო და მხოლოდ ის უნდოდა, რაც შეიძლება მალე გათავისუფლებულიყო ამ აუტანელი მოლაქლაქისაგან.

ექიმის წასვლის შემდეგ პერი მაშინვე ადგა. გამხნევებულმა ღიღინით გაიარ-გამოიარა ოთახში, მერე ჩაიცვა, ძალიან მადიანად ისადილა და საწერ მაგიდას მიუჯდა. ხელახლა გაეღვიძა მუშაობის წყურვილი. პერმა ამოალაგა თავისი ნახაზები, საზომი ხელსაწყოები, ცხრილები და სხვა მოწყობილობა. თავის გამხნევებაღა აკლდა. სრული სვლით წინ!

როცა სამუშაოდ ყველაფერი მოამზადა, უეცრად წააწყდა იმ წიგნს, ექიმის მოსვლის წინ რომ კითხულობდა. მაშინ ის ნახაზებს შორის ჩადო, ახლა კი, გვერდით რომ გადადო, ვერ გაუძლო ცდუნებას და ჩაიხედა. დანიშნული ჰქონდა, სადაც შეჩერდა. ეს იყო სოკრატეს გულითა-

დი საუბარი თავის მოსწავლეებთან სიკვდილის შესახებ, პლატონის ჩანაწერები დიდი დამრიგებლის სიკვდილით დასჯამდე ცოტა ხნით ადრე. პერის მზერა მოხვდა იმ სტრიქონებს, სადაც სოკრატე ადამიანის სხეულს ამსგავსებს მძიმე, წებოვან ცომს, რაც შემოკრული აქვს სულს და სწორედ ეს მიზეზია, რომ ადამიანი მთლიანად ვერასოდეს ვერ ეუფლება თავისი მისწრაფების საგანს, თუ არ ჩავთვლით ქვენა გრძნობებს და უხეშ მიზნებს.

„რადგან სხეული ათას საზრუნავს გვიჩენს, ის გვავსებს ვნებებით და ბინძური ზრახვებით, შიშით, მღელვარებით და ფუსფუსით... სიმდიდრის გამოკიდება ყველა სიბოროტეთა წყაროა, მაგრამ ფულიც მხოლოდ სხეულისთვის გვინდა, მასზე საზრუნავად. დავუშვათ, გავასათუთეთ ჩვენი სხეული და ახლა გვსურს, ამაღლებული აზრები დაგვეუფლოს — სულ ერთია, სხეული გვიშლის ფიქრს, წარმოშობს მოუსვენრობას და ძრწოლას, თავგზას გვიბნევს, რის გამოც ვერ ვხედავთ ჭეშმარიტებას... ჩვენს ცხოვრებაში შემეცნებას მხოლოდ მაშინ ვუახლოვდებით, როცა არ ვფიქრობთ ჩვენს სხეულზე და მას არ ვუთმობთ უფრო მეტ ყურადღებას, ვიდრე საჭიროა საარსებო მოთხოვნილებათათვის, — ე. ი. როცა არ ვაძლევთ მას საშუალებას, დაეუფლოს ჩვენს განზრახვებს...“

პერს წიგნი ხელიდან გაუვარდა. რამდენიმე წუთს ჩაფიქრებული, წარბებშეჭმუხვნილი იჯდა და წინ იყურებოდა.

„საკვირველია, — გაიფიქრა მან, — ქრისტეს დაბადებამდე ოთხასი წლით ადრე ნათქვამი ეს სიტყვები თითქოს ქრისტიანობის შესახებ რომელიღაც თანამედროვე ტრაქტატიდან არის ამოღებული!“

პერმა ბოლომდე ჩაიკითხა ეს გვერდი, გადაშალა, მეორე გვერდიც წაიკითხა, მერე კიდევ წაიკითხა ერთი გვერდი... და უკვე ველარ მოშორდა. ზებუნებრივ ძალებთან ეს ღრმა აზრით აღსავსე ფანტაზიის თამაში მისი სხეულის ფარულ კუნჭულებში შეიჭრა და ააღელვა. შუადღე კარგა ხნის გასული იყო, პერი რომ თავის ნახაზებს და ანგარიშებს დაუბრუნდა.

მაგრამ გუშინდელივით, დღესაც ვერ მუშაობდა კარგად. მიუხედავად იმისა, რომ რაც შეეძლო ცდილობდა, პერი თავს ვერ უყრიდა აზრებს. და ეს დაემართა მას — ადამიანს, დდემდე სუფთა ქაღალდის ფურცელს გულგრილად რომ ვერ უცქერდა; ადამიანს, ვისთვისაც მთავარი სიძნელე იმაში მდგომარეობდა, რომ უჭირდა ამოერჩია საჭირო

აზრი აზრთა მთელი გროვიდან, მუშაობის განმავლობაში რომ თავში უფუთფუთებდა. ახლა კი საერთოდ არ შეეძლო საქმის საკეთებლად განწყობილიყო. მოვლენები, მასთან რომ არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა — ქუჩიდან გაგონილი ხმა ან ზარი დერეფანში — მის ყურადღებას იპყრობდა და ხელს უშლიდა მუშაობაში.

დღესაც საქმე გუშინდელივით დასრულდა: პერმა ავადმყოფური აღგზნებით გადაწყვიტა, ჩემი პროექტი უვარგისიაო, სახეზე ხელები აიფარა და უიმედო სასოწარკვეთილებას მიეცა.

მაგრამ ამ დროს პროფესორი პფეფერკორნი გაახსენდა, ძალიან რომ დაინტერესდა მისით პერის გერმანიაში ყოფნის დროს.

თავის დროზე პფეფერკორნის თხოვნით პერმა გაუგზავნა თავისი იდეების წერილობითი შინაარსი. მადლიერმა პროფესორმა ვრცელი ბარათით უპასუხა. პერმა მოძებნა ის უსტარი ქაღალდებში.

„...რაც შეეხება თქვენს ჰიდრავლიკურ მოტორს, ამაზე აზრი ძალიან ფრთხილად უნდა გამოვთქვა. თქვენ დაადექით მთლად უვალ გზას და სავსებით ბუნებრივია, რომ პირველ ნაბიჯებს ჯერ კიდევ ვერ დგამთ მტკიცედ

თუმცა, მგონი, ჩვენი შეხვედრის დროს გითხარით, რომ ამერიკელებმა უკვე აწარმოეს რაღაც ცდები ამ მიმართებით, და რომ ისინი მიისწრაფვიან ამ ჭეშმარიტად დიადი და მაცდუნებელი მიზნის მისაღწევად — ადამიანის ნებას დაუმორჩილონ ოკეანის გამოულეველი ძალა. ის, რომ თქვენც გაგიტაცათ ასეთივე იდეამ, მხოლოდ პატივს გდებთ, მაგრამ შეუძლია თუ არა თქვენს მიერ არჩეულ გზას სასურველ მიზნამდე მიყვანა, ამაზე მე, როგორც ზემოთ უკვე გითხარით, ვდუმვარ; სამაგიეროდ, ქარის ძრავის რეგულირების სისტემის ყურადღებით გაცნობის შედეგად გაბედულად შემიძლია ვთქვა, რომ ეს მეტისმეტად ბედნიერი აზრია. ბერკეტისა და საპირწონეს გამოყენების იდეა ძალიან მომწონს. თქვენს მიერ მითითებული საშუალებებიც ყოველმხრივ მოსაწონია. მაგრამ, ვფიქრობ, თავადაც არ მიგაჩნიათ, რომ უკვე შესძელით საბოლოო და უცვლელი გადაწყვეტა იმ დიდი და სერიოზული პრობლემისა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს წყლის ენერგიით ღარიბი ყველა ქვეყნისათვის და, პირველ რიგში — ვაკე რელიეფის მქონე ქვეყნებისთვის. ტექნიკის გარდა არც ერთი სხვა დარგისთვის ასე ზედგამოჭრილი არ არის ის წესი, რომ საბოლოო გამარჯვების მიღწევა შეიძლება მთელ რიგ პატარ-პატარა გაუმჯობესებათა შედეგად და თქვენ

ნამდვილად არ დაკმაყოფილდებით მიღწეულით. მე მომავალშიც. თუკ-
პირობები შემიწყობს ხელს, ვაპირებ უდიდესი ინტერესით ვადევნო
თვალყური თქვენს განვითარებას და ყველაზე მეტ იმედს ამავე დარგ-
ში თქვენს შემდგომ ცდათა შედეგებზე ვამყარებ. არაჩვეულებრივი ნიჭ
რომ გაგაჩნიათ, თავადვე კარგად იცით და ბევრ რამეს მიაღწევთ განსაკუთრებით მაშინ, თუ შემდეგში საგნის მთლიანად აღქმის თქვენს
იშვიათ უნარს დეტალში უფრო ღრმად ჩაწვდომასაც დაუმატებთ, რა-
საც ახალგაზრდობა უგულვებელყოფს ხოლმე და რაც სინამდვილეში
ჭეშმარიტად ღრმა და სწორი დასკვნების საფუძველს წარმოადგენს.
თუ მეხსიერება არ მღალატობს, თქვენ მოგზაურობის დროს აპირებ-
დით წვეოდით ჩრდილოეთ ამერიკასაც. ამ აზრს მხოლოდ მივესალმე-
ბი. უფრო მეტად იქ, ვიდრე სადმე სხვაგან, შესძლებთ წმინდა პრაქ-
ტიკული აზრით გაიმდიდროთ ცოდნა. მე მხედველობაში მაქვს არა მხო-
ლოდ ტექნიკა, — ჩვენ ხომ ახალი სამყაროს მოსწავლენი გავხდი
მთელ რიგ სხვა დარგებშიც. ამ დიად აღმოჩენათა ქვეყანაში თქვენ უპირ-
ველეს ყოვლისა, მიხვდებით, თვით უმნიშვნელო საშუალებათა შემ-
წეობით როგორ შეიძლება მიაღწიოს ადამიანმა ბრწყინვალე შედეგებს“.

ძველი, თითქმის მივიწყებული წერილი...

მისი მიღება პერს თითქმის არც კი გახარებია — მაინცდამაინც
მაამებლად არ მოეჩვენა; სამაგიეროდ როგორ გაამხნევა ახლა! პერმა
მაშინვე გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ აეხსნა ღუზა და თავისი საგანმა-
ნათლებელო მოგზაურობა განეგრძო. პერმა გადაწყვიტა თავისი საქ-
მეები ხელახლა ივენისთვის მიენდო და მისთვის დაეკისრებინა ყველა
და ყველანაირი მოლაპარაკებების წარმოება. პერი კი ამასობაში ჩუმად
წავა, და ამჯერად პირდაპირ ამერიკაში, არ ღირს ხელახლა აპყვეს წარ-
ჩინებული საზოგადოების საცდუნებლებს.

საღამოს პერი სკოვბაკენისკენ გაემართა, რათა ყველაფერზე მო-
ლაპარაკებოდა იაკობას. პერი რომ მოვიდა, იაკობა ბაღში იყო. ქალი
ხეივნის მახლობლად მზით განათებულ სკამზე იჯდა. ტერასიდანვე მოეს-
მა პერის ხმა, მაგრამ არც განძრეულა და არც კრინტი დაუძრავს, რათა
თავისი იქ ყოფნა გაემეღავნებინა. როცა პერმა მოძებნა, იაკობამ მას
საკოცნელად ლოყა მიუშვირა, თუმცა პერი ტუჩებს ეძებდა. იაკობას არ
შეეძლო მადლობა გადაეხადა ყვავილებისათვის, პერმა რომ მოუტანა,-
სწორედ იმიტომ, რომ პერი ასე აშკარად ელოდა მადლობას.

მთელი დღე იაკობამ თვლემით მძიმედ შეპყრობილი ადამიანივით გაატარა და ამაოდ ცდილობდა მომხდარი ამბის დავიწყებას. მას მუდამ უყვარდა სიცხადე, მაგრამ ახლა, პერის მიმართ, პირველად უღალატა საკუთარ თავს, განზრახ დახუჭა თვალი, რადგან სიმართლე ბედნიერების დამსხვრევას უქადდა. იმ ადამიანის მსგავსად, ტკბილი სიზმრის დროს რომ ეღვიძება და გვერდს იცვლის, რათა სიზმარი ბოლომდე ნახოს, იაკობა გამწარებით იტყუებდა თავს.

პერმა ვერ აიძულა თავი ეთქვა იაკობასთვის, რომ ისინი ისევ უნდა დაშორებულიყვნენ. თვით გამგზავრების გადაწყვეტილებაც ადვილად არ უჯდებოდა. პერი დაღალა მოხეტიალე ცხოვრებამ, ხოლო იმის გამო, რომ უცხო ენებზე ლაპარაკი უჭირდა — მხოლოდ გერმანული იცოდა ასე თუ ისე — უფრო მეტად არ უნდოდა არსად წასვლა. თანაც, იაკობას დატოვებაც უმძიმდა, განსაკუთრებით ახლა, როცა ასეთ გულწრფელ დამოკიდებულებას მიაღწიეს ერთმანეთთან და ხელახლა მოიპოვეს ერთმანეთი. მაგრამ, რას იზამ, რახან საჭიროა, მაშასადამე უნდა წავიდეს.

თავდაპირველად პერი მეტად გართული იყო საკუთარი ფიქრებით და იაკობაში მომხდარი ცვლილება ვერ შენიშნა. მაგრამ, როცა მის გვერდით იჯდა და იმას ფიქრობდა, რანაირად ვაცნობო ფრთხილად ჩემი გადაწყვეტილებაო, თვალი შეჰკრა, რომ იაკობა სწრაფად იწმენდდა ლოყას, თითქოს ბუზს იგერიებდა; პერს არ გამოპარვია, რომ ქალმა ცრემლი მოიწმინდა.

პერი თავზარდაცემული იყო. თავის დღეში არ ენახა იაკობას ცრემლი.

— ძვირფასო, — ჰკითხა მან, — რა მოგივიდა? მოხდა რამე თუ?

— არა, არა, არაფერი... უბრალოდ ნერვები ამეშალა, — უთხრა იაკობამ და მოიშორა მისი ხელი, რაკი პერმა მოხვევა დაუპირა.

— ავად ხომ არა ხარ?

— რა თქმა უნდა, არა. ხომ გითხარი, ყურადღების მიქცევად არ ღირს-მეთქი. მოდი, გავიაროთ. შემცივდა თითქოს.

პერი მაშინვე წამოვარდა (მისი თავაზიანობა დღეს პირდაპირ სტანჯავდა იაკობას) და ნელა გაჰყვნენ ნაპირს. მხოლოდ ახლა შენიშნა პერმა, როგორი ავადმყოფური და ნატანჯი შესახედაობა ჰქონდა იაკობას და თავის გადაწყვეტილებაზე ხელის აღება დააპირა.

უეცრად ამ დარდიან გუნებაზე პერს ბრწყინვალე თვალისმომ-ჭრელმა იდეამ გაუელვა თავში. როგორც ღრუბლებში გამოღწეული ერთადერთი მზის სხივი ცელის ირგვლივ ყველაფერს, ისე გაანათა ამ აზრმა თვალისწამში მისი არსება. ხომ შეიძლება იაკობაც თან წაიყვანოს? დაუყოვნებლივ შეუღლდებიან და იაკობა ისე წაჰყვება პერს. სულ არ დასჭირდება დაემალოს ან ღმერთს, ან ხალხს. რატომ ადრე ვერ მოიფიქრა ეს. მგზავრობის სიძნელეები, სასტუმროების აურზაური, მარტოობა — ყოველივე, რაც ასე აშინებდა — ახლა სიხარულს და ზეიმს პირდებოდა. პერმა გამოცდილებით იცოდა, რა უმაგალითო თანამგზავრი იქნებოდა იაკობა — უშიშარი, არამომთხოვნი, დედასავით მზრუნველი და თანაც რამდენიმე უცხოურ ენაზე თავისუფლად მოლაპარაკე.

— იაკობა! იაკობა! — პერი ბაღის ბილიკის შუა დადგა და ვიდრე ქალი მოახერხებდა, და ხელს შეუშლიდა, მაგრად მოეხვია. მერე კი უამბო ყოველივე, რაც გუშინდელი დღის შემდეგ განიცადა და მოიფიქრა და რა გეგმებიც დაებადა მათი მომავლის შესახებ.

იაკობა დიუხანს დუმდა პერის მხარზე თავდაყრდნობილი ბედნიერ ბურანში, ტუჩები და ლოყები მღელვარებისაგან გასთეთრებოდა. მან შესანიშნავად იცოდა, რომ არც სურდა და არც შეეძლო პერთან ერთად წასვლა. ამ მდგომარეობაში მყოფისათვის უგუნურობა იქნებოდა ასე შორს გამგზავრება. პერი ვარაუდობდა სულ ცოტა ნახევარწლით წასვლას, რადგან ამაზე მცირე ვადა უაზროდ ეჩვენებოდა. მაშასადამე, იაკობა მხოლოდ მძიმე ტვირთად უნდა დასწოლოდა.

— მაგრამ შენ არაფერს მპასუხობ, — უთხრა პერმა, თავიანთ საყვარელ ადგილას რომ გავიდნენ წყალთან, საიდანაც მოჩანდა ზუნდიც და მზით განათებული შვედეთის ნაპირიც. — არ მოგწონს ჩემი წინადადება?

— არც კი ვიცი, რა გითხრა, — მიუგო იაკობამ. ქალი წინ წახრილი იჯდა, განზე იყურებოდა და ცალ ხელზე დაყრდნობილიყო — მეორეს პერი არ უშვებდა ხელიდან. — მე მესმის, რომ შენ აუცილებლად უნდა წახვიდე. თავადაც ვფიქრობდი ამაზე... და მაინც, ძვირფასო, ატლანტის ოკეანის გავლა მე არ შემიძლია!

— მერე რატომ? რაკი მე შენთან ვარ, სრულიად დამშვიდებული უნდა იყო. მე ძალიან ვიზრუნებ შენზე. იქნებ უბრალოდ ზღვაზე მოგზაურობის გეშინია?

— ჰო, ესეც არის. ასე, რომ უმჯობესია შინ დავრჩე და დაგელოდო. მაგრამ თუ საჭიროდ მიგაჩნია შენს წასვლამდე ჩვენი შეუღლება, ამაზე თანახმა ვარ. ეს გონივრული იქნება სხვადასხვა გარემოებათა გამო.

— და ვერც კი მოვასწრებთ წესიერად ცოლ-ქმარი გავხდეთ, რომ ისევ უნდა დავშორდეთ? ხომ არ ხუმრობ? ეს საშინლად გულქვა საქციელი იქნებოდა. მე პირდაპირ ვერა გცნობ, იაკობა. საიდან მოგდის ასეთი აზრები? შენ არ შეგიძლია ასე იფიქრო, ხომ მართალს ვამბობ?

ქალმა მდუმარედ დაუქნია თავი.

— მე არა მჯერა შენი, იაკობა. ამ ბოლო დროს ძალიან უცნაური გახდი. რას მიმალავ?

— არაფერს, ჩემო მეგობარო, — მიუგო ქალმა და პერის ხელს აღელვებით მოუჭირა ხელი. ახლა უფრო არ შეეძლო იაკობას სიმართლის გამხელა, ვიდრე ოდესმე. პერის ხასიათის თაობაზე ილუზიებს ვეღარ აგებდა და შიშობდა, რომ თუ პერი მის მდგომარეობას გაიგებდა, დაუყოვნებლივ გადადებდა ამ მოგზაურობას ამ საბაბით და იქნებ სულაც უარი ეთქვა. ამის მიზეზი რომ თვითონ ყოფილიყო, ეს იაკობას არ უნდოდა. ქალს შესანიშნავად ესმოდა, რა დიდად მნიშვნელოვანი იყო პერისთვის ამერიკაში გამგზავრება და ეს იაკობას ახლა ყველაფერზე მეტად აინტერესებდა. წინათ მას შეეძლო მხოლოდ მისი სიყვარულით დაკმაყოფილებულიყო, ახლა კი აღარ ელოდა, რომ პერის სიყვარული სრულ ბედნიერებას მიანიჭებდა და უნებლიედ სხვა რამეში ეძებდა ამის საზღაურს იმ ზომით, რა ზომითაც იკლო მისმა სიყვარულმა.

— მომისმინე, — შეაწყვეტინა ბოლოს ქალმა პერს, ჯერ კიდევ რომ ცდილობდა მის დათანხმებას. — მე სხვა აზრი მაქვს. შენ შეგიძლია წახვიდე ინგლისის გავლით, მაშინ მეც წამოგყვები. ერთ კვირას ლონდონში გავატარებთ, ერთ კვირას სადმე სოფელში ან სანაპიროზე ლივერპულში კი დავშორდებით ერთმანეთს. აბა, რას იტყვი ამაზე?

— ცხადია, სულ არარაობას ესა სჯობს. იმედი ვიქონიოთ, რომ ლივერპულამდე გონს მოხვალ.

— ნუ გექნება მაგის იმედი. და პირველ რიგში ისევ შენი გულისთვის! იმაზედაც იფიქრე, რომ როცა დაბრუნდები, ჩვენ სასტუმროში ვეღარ ვიცხოვრებთ. საკუთარი ბინა უნდა შევიძინოთ. ამაზე კი მე უნდა ვიფაციფუცო შენს ჩამოსვლამდე.

— კი, ეს გონივრულია. შენ მართალი ხარ, იაკობა, მართალი, რო-

გორც ყოველთვის. ჩემო საყვარელო მეგობარო, მე წინასწარ მიხარია ჩემი დაბრუნება!.. რა სასიხარულოა, ჩვენი სახლი რომ გვექნება... დაე, ნუ იქნება ძალიან მდიდრული, ხომ მართალია? სადმე ქალაქს გარეთ, ბუნების წიაღში, ტყესა და სანაპიროს რომ გადასცქეროდეს. როგორ მოგწონს? ჩვენ ორნი ვიქნებით იქ, მხოლოდ ჩვენ ორნი!

გრძნობამორეულმა პერმა ხელახლა მიიზიდა იაკობა, ქალმა კი ვაჟის მხარზე დახარა თავი და თვალები დახუჭა.

— შეხედე, — განაგრძო პერმა, — არსებითად, რა არარაობა და უმნიშვნელოა ყოველივე იმ სიკეთესთან შედარებით, ასე ვთქვათ, ყველასათვის რომ საერთოა — ღარიბებისთვისაც და მდიდრებისთვისაც — და რომლებიც ყოფიერებიდან თავისთავად ისევე აღმოცენდებიან, როგორც ნაყოფი ხეზე. არა, ფასეულობათა განაწილებაში რაღაც აშკარად ვერ არის რიგზე თანამედროვე საზოგადოებაშიც კი. კიდევ კარგი, რომ დროზე მივხვდი ამას, თორემ სულ მთლად ჭანჭრობში ჩავიფლობოდი.

იაკობა ისევ აღელდა. თუმცა პერი არსებითად მის საკუთარ სიტყვებს იმეორებდა — უფრო სწორად, სწორედ იმიტომ, რომ ქალი ოდესღაც ოცნებობდა, ეს სიტყვები პერის პირიდან მოესმინა, — ახლა შეშინდა. ამ ხნის განმავლობაში იაკობა თვითონაც ძალიან გამოიცვალა. ყველაზე მეტად მას ამ ბოლო დროს ეგრეთ წოდებულ „სასიცოცხლო ფასეულობებზე“ შეეცვალა შეხედულებანი.

— მე მგონია, არასწორად აფასებ გარემოებას, — უთხრა იაკობამ და ხმაში უჩვეულო სიმკაცრე დაეტყო.

— მაშ კარგად მიმოიხედე ირგვლივ და მერე შეეცადე დაამტკიცო. რომ ანგარება, დიდებისმოყვარულობა, სისასტიკე, უფლებისმოყვარეობა არ წარმოადგენენ ისეთივე ქვაკუთხედებს, როგორც წინათ.

— რად არ უნდა იყვნენ ისინი ქვაკუთხედები?

— შენ მეკითხები, რატომო?

— დიახ, სწორედ რომ რატომ? თუკი მსგავსი თვისებები შეადგენენ იმ მამოძრავებელ ძალებს, კაცობრიობა რომ წინ მიჰყავს? ამიტომაც არ უნდა განვსაჯოთ ისინი ისე მკაცრად, როგორც ჩვენ გვსურს.

პერმა გაიცინა. მან იაკობას სიტყვები ხუმრობად ჩათვალა.

— ხომ არ გგონია, რომ ისინი ქების ღირსნი არიან?

— არ ვიცი, არ ვიცი. მაგრამ მხოლოდ მათზე ხომ არ არის დამოკიდებული კაცობრიობის სიკეთე?

მხოლოდ ახლა მიხვდა პერი ქალის ტონის მიხედვით, რომ იაკობ-ამას სერიოზულად ამბობდა. მაგრამ არ უნდოდა იაკობასთან ჩხუბი მოსვლოდა და ამიტომ ყველაფერი ხუმრობაში ჩაატარა.

— რაც არ უნდა ვთქვა, დღეს შენ აუცილებლად საწინააღმდეგოს მეტყვი, თუნდაც ისე არ ფიქრობდე.

იაკობა გაჩუმდა, არც მას სურდა კამათის გაგრძელება.

გამგზავრების გეგმები დააწყეს და მარშრუტიც განიხილეს.

* * *

ომი, მაქს ბერნარდი რომ დიურინგის გაზეთის „ბორგერბლადეტის“ მხარდაჭერით კოპენჰაგენის ღია პორტის მომხრეთა წინააღმდეგ ეწეოდა, ამ დღეებში ყველასათვის მოულოდნელად დამთავრდა. ბერნარდმა შესძლო თავისი მტრების წონასწორობიდან გამოყვანა. მართლაც, მათ მეტად სარისკო საქმე წამოიწყეს, რომელიც დიდ დაბანდებებს მოითხოვდა, ხოლო „ბორგერბლადეტის“ ავტორიტეტი ბირჟის საქმოსნებს შორის, თუმცა ამას არავინ მოელოდა, ახალი რედაქტორის ხელში დღითიდღე იზრდებოდა. სხვა გაზეთებიც, ასე თუ ისე მაქს ბერნარდის ქვეშევრდომები, მთელი ძალით ცდილობდნენ მათი იდეებისადმი უნდობლობა დაეთესათ. რათა საბოლოო დამარცხება არ განეცადათ საქციონერო საზოგადოების მომავალ დამფუძნებელ კრებებზე, მსხვილმა საქმოსნებმა გადაწყვიტეს თაყვანი ეცათ საძულველი ადვოკატისთვის და გამგეობაში მისთვის პოსტი შეეთავაზებინათ.

სწორედ ასეთი გამოსავლისკენ იყო მიმართული მაქს ბერნარდის მთელი ტაქტიკა, ამიტომაც მან თვალის დაუხამხამებლად მიიღო პოსტი. იმ დღეებში შემდგარ საიუბილეო ბანკეტზე მაქს ბერნარდი საზეიმოდ შეურიგდა თავის ძველ მტერს, ბანკის ოდესღაც ყოვლისშემძლე დირექტორს. ეს ამბავი საჯაროდ მოხდა, რაკი დირექტორმა დემონსტრატიულად მოითხოვა, რომ მაქს ბერნარდს პატივი დაედო მისთვის და მასთან ერთად დაელია, — ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის თაობაზე მეორე დღეს დაწვრილებით იუწყებოდა ქალაქის ყველა გაზეთი, ხოლო „ბორგერბლადეტმა“ ასეთი სათაურიანი სტატიაც კი მოათავსა: „ისტორიული მომენტი“.

მიღწეულ გამარჯვებას მაქს ბერნარდისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მან მოახერხა ერთხელ და სამუდამოდ დაემტკიცებინა საზო-

გადოებისთვის, რომ ვერსად ვერ შეელევიან, რომ უმსხვილესი ბირჟის საქმოსნები ნაბიჯსაც ვერ გადადგამენ მისი მხარდაჭერის გარეშე. ივენს კინაღამ გული წაუვიდა, გასაშტერებელი ახალი ამბავი რომ გაიგო. მან გადაწყვიტა, ახლა პერის ჩანაფიქრების განხორციელების ყოველგვარი იმედი კარგახნით დაკარგულიაო. გამძვინვარებული ივენი ისტერიულად გაჰყვიროდა, გამცემლები და მოფარებულში ჩამსხდარი მკვლელები არიანო.

პერი მხოლოდ მხრებს იჩეჩდა.

— ხომ გეუბნებოდი, — უთხრა მან იაკობს. ქალსაც აწუხებდა საქმის ასეთი შემობრუნება. — ახლა ხომ ნათელია შენთვის, რომ შენი ბატონი მაქსი მეტისმეტად გაიძვერაა და მე უბრალოდ ბედმა შემიბრალა, რომ ამ სუბიექტის ანკესზე არ წამოვეგე, თორემ გასულელებული დავრჩებოდი... არა, არა, კიდევ ერთხელ ვამტკიცებ, რომ ძლიერი მოძრაობაა საჭირო, რათა ეს მღრღნელები საზოგადოებრივი ცხოვრებიდან ამოიფხვრან. თუ არა და თვით მცნება პატიოსნება წაიბილწება.

იაკობას შეაჟრჟოლა, მაგრამ არ შეპასუხებია. ძველი კამათის განახლებას ჯერ აზრი არ ჰქონდა. მთელ იმედს ქალი ახლა პერის ამერიკაში წასვლაზე ამყარებდა, გარდა ამისა, ის ცდილობდა თავი შეეკავებინა და არ ყოფილიყო პერისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებაში, რაკი მტკიცედ გადაწყვიტა, წინანდებურად ჰყვარებოდა იგი.

მაგრამ ძალიან მალე გამოირკვა, რომ ივენი მეტისმეტად პირქუშად უყურებდა მომავალს. მაქს ბერნარდის ახალმა გამარჯვებამ დიდი გამოცოცხლება გამოიწვია მის მოშურნეთა და ფარულ მტრებს შორის. ამათ შორის უკანასკნელი ადგილი არ ეკავა მიწათმფლობელ ნერეხავეს, ვისაც მიაჩნდა, ბერნარდმა გამყიდაო. ადვოკატ ხასელაგერის მსგავსად ის უცებ ძალზე დაინტერესდა პერის პროექტით; ამ ორს თავისი ინიციატივით ულაპარაკოდ შეუერთდა ბერეგრავიც.

სამართლიანობის გრძნობამ და პატრიოტიზმმა მოხუცში წყენას სძლია. ებრაელებისადმი ძველი სიძულვილი კვლავ აენთო მასში, რადგან ძველი მებრძოლისთვის ნაციონალიზმი მეორე რელიგიად იქცა. ყოველი ებრაელი, აქ დაბადებულიც კი, მას ნახევრად ასიმილირებულ გერმანელად ეჩვენებოდა, ვინც ფარული სიმპათიით იყო განწყობილი დანიის ძველისძველ მტრისადმი. პოლკოვნიკი ღრმად დარწმუნებული იყო — თუმცა, არც თუ უსაფუძვლოდ, — რომ კოპენჰაგენში ებრაული წარმოშობის ყველა ბითუმად მოვაჭრენი გერმანულ ფირმათა აგენტები

არიან და რომ სწორედ ჰამბურგისა და ბერლინის ებრაული ბანკების ფულებით მოხდა დედაქალაქის გარდაქმნა არქიტექტურის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. გერმანიის მილიონებმა. პროვინციამდე შეაღწიეს, შეიჭრნენ მდიდარ გლეხთა მეურნეობებში და აქედან, შიგნიდან, ფარული გზებით-აგრძელებენ ზარბაზნების დახმარებით დაწყებულ დაპყრობას ქვეყნისა. ამიტომაც პერის პროექტში მას განსაკუთრებით ის გარემოება იზიდავდა, რომ აღნიშნული პროექტი, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენდა იმის მტკიცების ცდას, რომ დანია თავისი ძლიერი მეზობლისაგან ეკონომიურად დამოუკიდებელი ქვეყანაა, მაშინ, როცა კოპენჰაგენის პორტს, რომელსაც ვიწრო და წვრილი ფარვატერი გააჩნია, არაფრით, მისი აზრით, არ შეუძლია ყველა ერთა გემების მიზიდვა.

აი, რატომ გადაწყვიტა ბერეგრავმა, თავად გადაედგა პირველი ნაბიჯები შერიგებისაკენ. მას უნდოდა დაევიწყებინა ძველი ანგარიშები, ხოლო ქედმაღლობამ, პერმა რომ უკანასკნელი შეხვედრისას, ერთი წლის წინათ გამოიჩინა, მხოლოდ შეაგულიანა პოლკოვნიკი. მან ირწმუნა, რომ სწორედ პერი იყო მოწოდებული სამშობლოს მხსნელად და თავისებური რელიგიური გულის აჩვილებაც კი იგრძნო იმ აზრის გავლებისას, რომ ამ ყმაწვილი კაცის წინასწარმეტყველება ახლა ზედმიწევნით აღსრულდებოდა.

ამ დროს პერი სასტუმროში იყო და გასამგზავრებლად ემზადებოდა. ის განუწყვეტლივ მუშაობდა ნახაზებზეც. იმედოვნებდა, რომ მოასწრებდა ყველაზე უფრო აუცილებელ შესწორებათა შეტანას ნავსადგურის პროექტში მაინც და ამიტომ ძალას არ იზოგავდა. უთენია დგებოდა და თითქმის მთელი დღე შინიდან არ გამოდიოდა. მაგრამ აზრის წინანდელ აღმაფრენას უკვე ვეღარ გრძნობდა. სამუშაო ძლივს და ნელა მიიწევდა წინ. ოდნავი ხმაურიც რომ გაეგონა დერეფნიდან ან მოედნიდან, ვეღარ მუშაობდა.

ზოგჯერ ლოგარითმების ცხრილის მაგიერ ხელში რაიმე ისტორიული, ან პოპულარული ბროშურა მოხვდებოდა ხოლმე თავისი დრეზაკის ბიბლიოთეკიდან — წიგნები არეული ჰქონდა საწერ მაგიდაზე. პერი ვერ უძლებდა ცდუნებას და იწყებდა ბროშურის გადაფურცვლას. საქმე იმით მთავრდებოდა, რომ პერი ეფლობოდა გარეშე საკითხავ წიგნში, არაფერი საერთო რომ არ ჰქონდა მის პროექტთან. ამაში მას არც ქუ-

ჩის ხმაური უშლიდა ხელს, არც ზარის ხმა, დერეფნიდან რომ მოდიოდა. პერი ვერ ამჩნევდა, როგორ გადიოდა დრო, წიგნში ცხვირჩაყოფილი საათობით იჯდა თავაუწყველად.

* * *

ერთხელ, დილის ცხრა საათისთვის, პერი თავის საწერ მაგიდას რომ უჯდა, კარზე დაუკაკუნეს. პერმა მაშინვე იცნო ივენის დაკაკუნება და საჩქაროდ ქაღალდებს ქვეშ დამალა წიგნი, მის მოსვლამდე რომ კითხულობდა. პერი ისევ გაიტაცა დრეზაკში ნაყიდმა ერთ-ერთმა ბროშურამ. ცოლისძმა რომ ოთახში შემოვარდა, პერი სკამის ზურგზე გადაწოლილი იჯდა და დარცხვენით იღიმებოდა იმ კაცივით, ვინც უეცრად გამოიჭირეს იდუმალ ნაკლში.

— აბა, რა არის ახალი? — ასეთი სიტყვებით შეხვდა ივენს პერი.

— მორიგი მაქინაციები! პირველი კლასის მატყუარობა! აი, ნახე!

ამ სიტყვებით ივენმა პორტფელიდან ამოიღო (ეს პორტფელი თანდათან თავისი პატრონის განუყოფელ ნაწილად იქცა) ქალაქის ერთ-ერთი ნაკლებად მნიშვნელოვანი გაზეთის ახალი ნომერი.

— აი დატკბი!

სათაურით „ახალი ქვეყანა“ გაზეთს მოეთავსებინა ვრცელი მოწინავე წერილი დანიის ნაოსნობის შესახებ. გაზეთის სიტყვით, მოწინავე წარმოადგენდა ამონაკრებს ვინმე ინჟინერ სტეინერის სტატიათაგან, რომლებიც ადრე გამოქვეყნებული იყო პროვინციულ პრესაში და ეძღვნებოდა პროექტის განხილვას, რომლისთვისაც დაბეჯითებით დაერქმიათ „სტეინერის პროექტი“, მაშინ როდესაც სინამდვილეში ეს პროექტი, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე, სრულიად უმნიშვნელო ცვლილებას, თავიდან ბოლომდე პერს ეკუთვნოდა.

— აბა, რას იტყვი? — ჰკითხა ივენმა და პერს შეხედა; პერს კითხვის დროს ფერი დაეკარგა. — ეს ხომ ნამდვილი ძარცვაა! იცნობ ამ კაცს?

პერმა თავი გააქნია.

— დაუყოვნებლივ უნდა გავიგოთ, ვინ არის, — განაგრძო ივენმა. — შენ რას აპირებ?

— არაფერს, — მიუგო პერმა წუთიერი ფიქრის შემდეგ და გაზეთი დაუბრუნა.

— როგორ თუ არაფერს? ჩვენ უნდა გავაუვნებლოთ ეს კაცი. შენ თავი უნდა დაიცვა. შენი უფლებები უნდა შეინარჩუნო.

— თავი დავიცვა? — შეეკითხა პერი და ბრაზით წამოენთო.

— დიახ, დიახ, მაპატიე ასე რომ ვამბობ, მაგრამ შენ უფლება არა გაქვს ასე განუსჯელად მოეკიდო საქმეს. ეს საშიშია შენთვის. ნუ გავიწყდება, რომ ბევრი მტერი და მოშურნე გყავს, ვისაც მხოლოდ გაახარებს შენი უკანა პლანზე გადაყენება და იმ ადამიანის წამოწევა, ვინც შენი შრომითა და გენიოსობით მოპოვებულ დიდებას მოიმკის.

— არ ღირს! ჩემი თავიდან მოშორება ასე ადვილი არ არის... ასეც რომ მოხდეს, არაუშავს! — ბოლო წინადადება პერმა დაუმატა იმ განწყობილების გავლენით, რომლიდანაც ივენის მოსვლამ გამოიყვანა და ჩრდილმა გადაუარა სახეზე. — მე უკვე მომბეზრდა ამდენნაირ ბრბოსთან ბრძოლა. თუ მუდამ ბრბოსთან გექნება საქმე, ძალაუნებურად კაცი საკუთარ თავს შეეკითხები, ღირს კი ამად? ჰო, მართლა, ბარემ სხვა რამეზე ვილაპარაკოთ: იცი თუ არა, რომ მე და შენმა დამ გადავწყვიტეთ სულ მალე დაქორწინდეთ?

— ჰო, დედა და მამა კი ამბობდნენ რაღაცას.

— პატიოსნურად რომ გამოგიტყდე, ეს ამბავი ახლა უფრო მეტად მაინტერესებს, ვიდრე მთელი ქვეყნის ყველა გაზეთის ლაყბობა ერთად აღებული. რაკი აქა ხარ, ბარემ მითხარი: ხომ არ იცი, ზუსტად რა ქაღალდები და საბუთები უნდა გაფორმდეს, რათა კაცი დაქორწინდეს?

— ნუთუ არაფერი მოგიმზადებია ჯერ? მე კი მეგონა...

— შევცდი, რა თქმა უნდა. დამავიწყდა... უფრო სწორად, — შენ დაგავიწყდა. — მე, ხომ იცი, არ შემიძლია ყველა მოხელესთან ლაპარაკი, ისინი ისე იწევენ ცხვირს, რომ მოთმინებას ვკარგავ და ყველგან ჩხუბს ვტეხ. ხომ არ იქნები ისეთი თავაზიანი, რომ, რაც საჭიროა ყველაფერი გააკეთო ჩემს მაგიერ? მე, მაგალითად ვიცი, რომ მაგისტრატის რომელიღაც განყოფილებას უნდა მიმართოს კაცმა და უეჭველად რაღაც ოფიციალური განცხადებაც დაწეროს. ერთი სიტყვით — მთელი ამბავია.

ივენი უკვე დაჩვეული იყო პერის ხელზე მოსამსახურეობას, ამიტომაც ბევრი არ უფიქრია, თხოვნაზე დაეთანხმა. სამაგიეროდ ფიცის პირობა ჩამოართვა, რომ თვალს მიადევნებდა სტეინერს და მიიღებდა გადამწყვეტ ზომებს, თუ ვინმე საჯაროდ ერთხელ მაინც უწოდებდა ამ საეჭვო ბატონს პროექტის ავტორს.

მან უკვე ამოიჩარა იღლიაში თავისი პორტფელი და კარის სახელურს ხელი წაავლო, მაგრამ კვლავ მოუბრუნდა პერს, წინანდებურად საწერ მაგიდას რომ უჯდა და უთხრა:

— ჰო, აი კიდევ რა... მითხარი გეთაყვა, თქვენს ოჯახში ხომ არავის ერქვა ქრისტინა-მარგარეტა? პასტორის ქვრივს?

პერი შეკრთა. ასე ერქვა დედამისს.

— არა, — დაბნეულად მიუგო მან — რად მეკითხები?

— ისე, — უპასუხა შემკრთალმა ივენმა. ივენი მუდამ დარცხვენით ელაპარაკებოდა პერს თავის ოჯახზე. — შემთხვევით წავიკითხე „ბერლინგსკე ტიდენდეში“ სიკვდილის განცხადება და გვარი სიდენიუსი. აბა, კარგად იყავი. დღისით შევხვდებით.

პერი ივენის წასვლის შემდეგ რამდენიმე წუთს გაუნძრევლად იჯდა. როცა ბოლოს წამოდგა და ელექტრონის ზარს მისწვდა, თვალთ დაუბნელდა. ამავე დროს სინანულის გრძნობა სტანჯავდა. ესღა აკლდა და სწორედ ახლა!.. ბედი რომ არ გწყალობს კაცს, რა უნდა ქნა!

— მომიტანეთ, გეთაყვა, „ბერლინგსკე ტიდენდეს“ დილის გამოშვება, — უთხრა პერმა შემოსულ მოსამსახურე ქალს.

როცა გაზეთი გაშალა და განცხადებათა გრძელ სვეტში შავი ასოებით დაბეჭდილი დედის სახელი წაიკითხა, სახე გაუფითრდა. გაზეთში ეწერა:

„ჩვენმა ძვირფასმა დედამ · ქრისტინა-მარგარეტა სიდენიუსმა, პასტორ იოჰან სიდენიუსის ქვრივმა, დღეს განისვენა“.

განცხადებას ჰქონდა ხელმოწერა: „დაობლებული შვილები“. ამ სიტყვებს მიაშტერდა პერი, მანამ თვალი არ აუჭრელდა და ასოები არ დაენისლა.

სულ რამდენიმე დღის უკან, ღამით, ის დედის ბინის ფანჯრებს ქვემოთ იდგა; ტანში გააჟრჟოლა იმის გაფიქრებაზე, რომ შესაძლოა, სწორედ იმ ღამით ებრძოდა დედა სიკვდილს. პერმა ხომ დაინახა, რომ სინათლე ენთო და ფანჯრებს იქით ჩრდილები მოძრაობდა.

„კარგი, რაც არის, არის, მაგრამ რა მნიშვნელობა ჰქონდა, კიდევაც რომ შევსულიყავი იქ?“ — ცდილობდა პერი თავისი თავის ნუგეშისცემას. ნამდვილ შერიგებაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა, თუ იმ დათმობებზე აღარაფერს ვიტყვით, დედას რომ დაამშვიდებდნენ. იქნებ, უკეთესიც არის, დედას რომ სამოგზაუროდ წასული ეგონა; იქნებ პერისთვისაც ჯობდა, რომ არ იცოდა, რა მდგომარეობაში იყო მშობელი.

ვინ იცის, იქნებ დედის დასამშვიდებლად ყალბი სცენაც გაეთამაშა მის წინაშე, მერე კი ამის მოგონებაზე მუდამ სირცხვილი უნდა ეგრძნო. საწყალი დედა! ის ცხოვრების მიერ დაშინებულ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა. ბევრი წელი გაატარა ლოგინზე მიჯაჭვულმა ბნელ ოთახში და ამ წლების განმავლობაში მთლად მზრუნველობად და სევდად იქცა. სიკვდილი ალბათ ნამდვილად ხსნად ეჩვენებოდა.

აზრები რომ კარგად მოეკრიბა, პერმა ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო, არ გახლდათ შეჩვეული ძლიერ მღელვარებას და ინსტინქტურად ეშინოდა მისი. მერე იაკობა გაახსენდა, დანიშნულ დროისთვის სკოვბაკენში რომ ელოდა. რა ექნა? პერი გრძნობდა, რომ ვერ შესძლებდა იქ მშვიდად ჯდომას და საუბარს მომავალ მოგზაურობაზე ან სხვა რაიმე საქმეზე; თანაც, სინდისის ქენჯნაც აწუხებდა: პერს ხომ აქამდე არც უთქვამს იაკობასთვის, რომ მისი ოჯახი აქ გადმოსახლებულიყო. პერი მაგიდას მიუჯდა და ნაჩქარევად მისწერა იაკობას რამდენიმე სტრიქონი. სთხოვდა, ნუ დამელოდებიო, მოუცლელობა მოიმიზეზა, როგორც უფრო ყურადსაღები საბაბი. ბოლოს მიაწერა, „ბერლინგსკე ტიდენდედან" შევიტყვე, დედაჩემი კოპენჰაგენში გარდაცვლილაო.

მერე პერმა მოსამსახურე ქალი იხმო და სთხოვა წერილი შიკრიკის ხელით გაეგზავნა. მერე კვლავ აიტანა მოუსვენრობამ. რამდენჯერმე მიუჯდა მაგიდას, ცდილობდა ემუშავა, მაგრამ ისევ წამოდგა. ერთ ადგილას ვერ გაჩერებულიყო, ხოლო ციფრები და გაანგარიშებანი თავში სულ არ შესდიოდა. თუმცა ხელისგულებს იჭერდა თავზე, ცდილობდა მთელი ყურადღება სამუშაოზე გადაეტანა, მაგრამ მისი ფიქრები მხოლოდ ერთსა და იმავეს დასტრიალებდა გარს: დედის სახეს, ბავშვობის მოგონებებს, მწარე გრძნობას იმისას, რომ ჩადენილ დანაშაულს ვეღარ გამოასწორებდა — ახლა ვეღარაფერს გაიგებდა დედის უკანასკნელი დღეების შესახებ. ბოლოს ძალიან მოუნდა ელაპარაკა ვინმესთან, ვინც დედამისს იცნობდა.

პერმა მიატოვა სამუშაო, ჩაიცვა, ქუჩაში გამოვიდა და პირველსავე რესტორანში ისაუზმა. მერე შეიარა ქალაქის პარკში, რათა ხალხში ცოტა გული გადაეყოლებინა და სამხედრო ორკესტრისთვის მოესმინა.

როცა სეირნობიდან საღამოთი შინ დაბრუნდა, აცნობეს, ვილაც ქალი გიცდისო. სისხლმა ტალღასავით გადაუარა გულზე: პირველად გაიფიქრა, ალბათ ერთერთმა დამ რაიმე გზით გაიგო ჩემი დაბრუნება,

შეიტყო მისამართი და მოვიდა, რათა დედის სიკვდილის ამბავი მაცნობოსო.

სულაც არ მოსვლია აზრად, თუ იაკობა მოვიდოდა. პერის ფიქრები მისგან შორს იყო და კიდევაც გაბრაზდა, როცა თავის ოთახში შევიდა და მის შესახვედრად ფანჯარასთან მდგარ სკამიდან იაკობა წამოდგა.

გაოცება და გულგატეხილობა ისე ნათლად ეხატებოდა პერს სახეზე, რომ არ შეიძლებოდა იაკობას არ შეემჩნია. მაგრამ ქალი მზად იყო არაალერსიანი მიღებისათვის. კარგად იცნობდა პერს. წინათაც უნახავს აღრენილი, უხეშობით იცავდა მუდამ თავს, გულზე ბოღმა რომ შემოაწვებოდა.

ქალმა ისიც იცოდა, რა მოქნილობა უნდა გამოეჩინა, საიდან უნდა მოეარა, რომ პერი მინდობოდა, რამდენად ძნელი იყო თვით იაკობასთვისაც, აეძულებინა პერი, გული გადაეშალა მისთვის, როცა საქმე მის ოჯახს ეხებოდა. იაკობას არაფერი სწყენია, პერთან მივიდა, ორივე ხელით მოიზიდა მისი თავი და შუბლზე აკოცა.

— გამიგონე, შენი წერილი რომ მივიღე, შინ ვეღარ გავჩერდი. უეჭველად უნდა მენახე. ძვირფასო, რა კარგად მესმის შენი მწუხარება.

პერმა უნდობლად გახედა მას და რაღაც ჩაიბურდღუნა იმის თაობაზე, რომ მისთვის დედა დიდი ხანია მოკვდა და, მაშასადამე, არსებითად არაფერი შეცვლილა.

— არა, ძვირფასო, ასე იმიტომ ამბობენ, რომ თავი ინუგეშონ. მე კი კარგად მესმის, რაც დაკარგე. რა საჭიროა ამის დამალვა?.. წარმოგიდგენია, დედაშენი აქ ცხოვრობდა, კოპენჰაგენში! შენ კი ამის შესახებ არაფერი გითქვამს! ახ, პერ, პერ, ნუთუ ახლაც უნდა დამიმალო რაიმე, როცა ჩვენ ყველაზე მეტად ვჭირდებით ერთმანეთს? თუ, იქნებ თავადაც არ იცოდი?

პერმა თავი გაინთავისუფლა იაკობას ხელებიდან და უპასუხა, ყოველთვის ვაპირებდი შენთვის მომეყოლა, მაგრამ როცა კი შევხვდით, ლაპარაკი სულ სხვა რამეზე გვქონდა ხოლმე, ხოლო მერე მავიწყდებოდაო.

— მაშ მოდი, ახლა მოვილაპარაკოთ, — უთხრა იაკობამ. — მხოლოდ ჯერ დავსხდეთ. ბევრი რამ მაქვს შენთვის საკითხავი.

ქალმა წამოსასხამი მოიხადა, შლიაპა და ხელთათმანები გვერდზე გადადო.

— შენ იცოდი, რომ დედა ავად იყო?

— არაფერი არ ვიცოდი. ჯანმრთელობა კარგა ხანია შერყეული ჰქონდა.

— მერე, არ ეძებდი მას, ან არ ნახულობდი რომელიმე და-ძმას? — ჰკითხა იაკობამ და სავარძლის კუთხეში მიყუჟულმა გამომცდელი თვალით შეხედა.

— არა, — მიუგო პერმა და აკანკალებული ხელებით მისი წამოსასხამი კარის წირთლზე ჩამოჰკიდა.

— მაშ როგორ გაიგე, რომ კოპენჰაგენში გადმობარგებულან?

— შემთხვევით წავიკითხე გაზეთში განცხადება იმის შესახებ, რომ ჩემი და მუსიკის გაკვეთილებს აძლევდა. საერთოდ კი ამაზე ლაპარაკი მამის გარდაცვალებისთანავე იყო. მათ უნდოდათ გადმოსულიყვნენ უმცროსი ძმების გამო, რომელთაც აქ სამუშაო იშოვეს.

პერი სკამზე იაკობასაგან ცოტა მოშორებით ჩამოჯდა. იაკობა ლოყით სახეზე დაეყრდნო და ჩაფიქრებული პირდაპირ იყურებოდა.

მერე ჰკითხა:

— იცი რა? რომ მცოდნოდა დედაშენი ჩემთან ახლოს ცხოვრობდა, უსათუოდ წავიდოდი მის სანახავად. განსაკუთრებით მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ, როცა აუტანელ სიმარტოვეს ვგრძნობდი და ძლიერ მინდოდა მეპოვა ადამიანი, ვისთანაც გულს გავიქარვებდი შენზე ლაპარაკით. როგორ ფიქრობ, მიმიღებდა?

— არ ვიცი.

— კი, რა თქმა უნდა, მიმიღებდა. მე დარწმუნებული ვარ ამაში... და მჯერა, რომ გაგვიგებდა კიდეც.

— ხომ არ დაგავიწყდა, ებერხარდიც რომ ამავე განზრახვით ინახულე!, მერე, გულგატეხილობის მეტი აბა რა მიიღე.

იაკობას მაშინვე არ უპასუხია. იმიტომ კი არა, რომ დაავიწყდა თავისი ვიზიტი ებერხარდთან. მყუდროებას მოკლებულ, აშმორებულ და ცარიელ კანტორაში გადატანილი უსიამოვნო სცენა ამ ბოლო დროს ხშირად ახსენდებოდა და აწუხებდა, რადგან უფრო და უფრო ხშირად ამჩნევდა, რომ პერი ძმას ჰგავდა.

— ძმები და დები — სულ სხვა საქმეა, — თქვა მან და შუბლიდან თმის კულული გადაიწია, ამ მოძრაობით თითქო უნდოდა თავიდან მოეშორებინა აბეზარი ფიქრი. — ჩემი ოჯახიდან ვიცი. მაგრამ მშობელი დედა მუდამ გამოგიწვდის ხელს ან თითს მაინც, რაც არ უნდა შორს

იყო მისგან. და მე არ მჯერა, რომ მე და დედაშენი საერთო ენას ვერ გამოვნახავდით, თუმცა იმდენად სხვადასხვანი ვიყავით, რამდენადაც შეიძლება ორი ადამიანი არ ჰგავდეს ერთმანეთს.

— აი, ამაში კი შენ მართალი ხარ.

— გარდა ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს გავუგებდით ერთმანეთს. იმ მცირე რამიდან, შენ რომ მის შესახებ მიამბე, ჩემთვის მეტად სასიამოვნო ადამიანის სახე შევიქმენი. თითქოს ვხედავ მას. პატარა ტანის ქალია, ხომ მართალია? თვალებით სულაც არ გგავთ შენ და შენს ძმას... თქვენ უფრო მუქი თვალები გაქვთ, არა? ყველანი, ალბათ, უფრო მამას ჰგავხართ. ლოგინიდან რომ წამოდგებოდა, დედა ჯოხით დადიოდა. ბებიაჩემიც ასე იყო. ალბათ, ამიტომაც მყავს წარმოდგენილი ასე ნათლად დედაშენი. მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკურად სუსტი იყო, ძლიერი ნებისყოფა გააჩნდა. რა ამაღელვებელი და შესანიშნავი ამბავია, რომ ეს ქალი წლების განმავლობაში უძღვებოდა ასეთ დიდ ოჯახს, რომ უბედურებამ ხელი არ შეუშალა, ყველაფრისთვის მოევლო, რომ მისმა მომჭირნეობამ შეგინარჩუნათ ქონება. აბა, იფიქრე, როგორია მთელი გროვა პატარა ბავშვების დედისთვის — რვა წლის განმავლობაში ლოგინში იწვეს! თან მამაც, როგორც შენ ამბობ, მძიმე ხასიათის, შეუწყნარებელი კაცი ყოფილა. ეს გასაგებიც არის: თქვენ მუდამ გიჭირდათ. და მაინც, ერთი საჩივარიც კი არ დასცდენია! მე მახსენდება, რა უპასუხა დედაშენმა იმ ადამიანს, ვინც ის შეიცოდა: „მე ნუ შემიბრალებთ, უმჯობესია შეიბრალოთ ჩემი ქმარი და შვილები“. რა დიდებული პასუხია!

მთელი ამ ტირადის დროს პერი მუხლებზე ნიდაყვდაყრდნობილი იჯდა, ნერვიულად უკაკუნებდა ცალი ხელის თითებს მეორისას და ისე უსმენდა. მერე სწრაფად ადგა და ოთახში გაიარ-გამოიარა.

— კმარა, — შეაწყვეტინა მან იაკობას. — რაც გათავდა, გათავდა. არ ღირს მსჯელობა იმაზე, რაც არ ყოფილა.

პერი ფანჯარასთან მივიდა და მოედანს გახედა; სახლების ჩრდილები საღამოს ჩრდილებივით წაგრძელებულიყვნენ, დაისის მზის სხივებში ციხის ნანგრევებზე ძველი წისქვილი ამართულიყო და ჩამავალ მზეს გამოსათხოვარ სალამს უგზავნიდა.

— შენ მართალი ხარ,—მოგვიანებით გამოეხმაურა იაკობა,—რაც წავიდა, წავიდა... მითხარი მხოლოდ, უარს ხომ არ მეტყვი, დედაშენის

რამდენიმე ძველი წერილი გთხოვო? ჩვენ იშვიათად გვილაპარაკია შენს ოჯახზე, მაგრამ მე მაინც დიდ დაუდევრობად მიმაჩნია, რომ ასე ცოტა რამ ვიცი მის შესახებ.

პირველად პერმა თავი ისე დაიჭირა, თითქოს მისი თხოვნა ვერ გაიგო. როცა იაკობამ თხოვნა გაუმეორა, მოკლედ უპასუხა:

— არა მაქვს არავითარი წერილები.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, ვიცი, რომ ბოლო წლებში თქვენ მიწერ-მოწერა არ გქონდათ. მაგრამ მე ძველ ამბავზე გეუბნები, როცა პირველად ჩამოხვედი აქ. ხომ გწერდა მაშინ ზოგჯერ, თავად მიამბე. მე ბედნიერი ვიქნებოდი, ნება რომ დაგერთო, შენთან ერთად წამეკითხა ის წერილები.

— არაფერი გაეწყობა... მე ისინი არა მაქვს.

— მაშ სად წავიდა?

— სად წავიდა? მაშინვე ვწვავდი.

— აჰ, პერ, პერ, აბა, როგორ ჩაიდინე... — იაკობამ არ დაამთავრა სათქმელი.

პერმა ცხვირსახოცი ამოიღო და სახე გაიწმინდა, თითქოს უცებ დასცხაო, მაგრამ იაკობამ დაინახა, წამწამები რომ გაუბრწყინდა და მიხვდა, პერი ტიროდა და ამის დაფარვა უნდოდა.

იაკობას ჯერ არ ენახა, რომ პერი რომელიმე გრძნობას დამორჩილებოდა; ჯერ იყო და, უნდოდა მისულიყო მასთან; მოხვეოდა, მაგრამ გონებამ და გამოცდილებამ უკარნახა, რომ არ უნდა მოქცეულიყო ასე, პირიქით, თავი ისე უნდა დაეჭირა, თითქოს ვერაფერი შეამჩნია. გარდა ამისა, პერის მღელვარებამ რაღაც გაურკვეველი შიში აღუძრა და ეჭვიანობაც გაუღვიძა.

ამიტომ იაკობა არ განძრეულა, ვიდრე პერი ფანჯარას არ მოშორდა. მხოლოდ მერე მიუახლოვდა ქალი პერს და ხელი გაუყარა; რამდენიმე წუთს ისინი მდუმარედ სცემდნენ ბოლთას ოთახში.

იაკობა მშვენივრად გრძნობდა, რომ ის ახლა ვისიმე ნუგეშისმცემლად ვერ გამოდგებოდა, — თავად სჭირდებოდა ნუგეში. მოსალოდნელ განშორებაზე რომ ფიქრობდა, გამძლეობა ღალატობდა. ის მაინც შესძლებოდა, რომ პერს გამოსტეხოდა. ყოველ დღე სასოწარკვეთით ებრძოდა თავს, არაფერი დასცდენოდა, ასჯერ მაინც მოაგონდებოდა ხოლმე, რამხელა რისკი იქნებოდა, თუ პერს თავის დიდ საიდუმლოებას მანამ გაანდობდა, ვიდრე ატლანტის ოკეანე გაჰყოფდა მათ.

მხოლოდ მოსალოდნელი მშობიარობა კი არ უვსებდა შიშით და მოუსვენრობით გულს იაკობას. თანდათან უფრო და უფრო აღელვებდა ფიქრი იმ მითქმა-მოთქმაზე, მის ნაადრევად მომშობიარებისთანავე რომ ატყდებოდა. იაკობა გამოიცვალა პერის დაბრუნების შემდეგ. წინათ ქალი ძალიან ამაყობდა პერის სიყვარულით და ამიტომ სულაც არ წუხდა, რომ მათი საიდუმლო ურთიერთობა მალე გამჟღავნდებოდა. ახლა, უფრო ფხიზელი თვალით რომ უყურებდა თავის საბედოს, ამაყი ქალი იტანჯებოდა იმისი ფიქრით, რომ მალე ჭორების და ძრახვის საგანი გახდებოდა.

საკუთარი თავის გამო კი არა, უფრო მშობლების ხათრით იაკობამ გადაწყვიტა, პერის გაცილების შემდეგ შინ კი არ დაბრუნებულიყო, არამედ სადმე გერმანიაში წასულიყო, იქნებ თავის ბრესლაველელ ამხანაგისთვისაც კი მიეკითხებინა და იქ მოემშობიარებინა, მაგრამ როგორც კი გაიხსენებდა, რომ მოსალოდნელ ამბავამდე ჯერ კიდევ ექვს თვეზე მეტი იყო დარჩენილი, სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა. მაინც თვალისდაუხამხამებლად აიტანდა ყველაფერს, ოღონდ პერისადმი ის უსაზღვრო ნდობა შერჩენოდა, ამ ორი თვის წინათ რომ ჰქონდა ტიროლში დაშორებისას. მაგრამ ნანის ამბის მერე იაკობას ყოველგვარი რწმენა გაუქრა და ყველგან საშიშროება ეჩვენებოდა. პერზე ხელის აღებაც ახლა არაფრით არ შეეძლო. თუმცა შესანიშნავად ხედავდა პერის ყველა უარყოფით მხარეს, ახლა ნაკლებად არ უყვარდა ეს კაცი, ვიდრე მაშინ, როცა მის გრძნობაში ერთი წვეთიც კი არ ერია პერის გმობისა. ზოგჯერ ისეთი სევდა აიტანდა პერზე, რომ თავადაც ავადმყოფურად და არანორმალურად მიაჩნდა. ამიტომაც მიეჩვია გრძნობების დამალვას და თავშეკავებულად იქცეოდა მაშინაც კი, როცა პერთან მარტო რჩებოდა. ზოგჯერ კაცს ეგონებოდა, ჭირვეულობსო. ამავე დროს ამ კაცმა იმ ზომამდე დაიპყრო მისი გული, რომ იაკობა ამქვეყნად ყველაფერს აპატიებდა.

უეცრად პერი შედგა და საათს შეხედა.

— შენი სადგურზე წასვლის დრო ხომ არ არის?.. მხოლოდ, გეთაყვა, არ გეგონოს, რომ გაგდებ. მართალი გითხრა, ძალიან მადლობელი ვარ, რომ მოხვედი. მაგრამ შენ არ გიყვარს გვიან დაბრუნება, ახლა კი უკვე რვა საათია.

იაკობამ შეხედა პერს ისევ ფერწასულ და დაღმეჭილ სახეში.

— შენ რაღას გააკეთებ?

— ვიმუშავებ... შეხედე მაგიდას. როგორც ხედავ, გადაუდებელი საქმეები მელოდება. დროის დაკარგვა არ შეიძლება.

— არა, არა, — თქვა იაკობამ და მაგრად მოეხვია პერს, თითქოს უნდოდა საშიშროებისაგან დაეცვა. — შენი მარტო დარჩენა არ შეიძლება. შენს სიცოცხლეში ერთხელ ხომ შეგიძლია დაისვენო. თანაც. ღირს კი, სამუშაოს ჩაუჯდე? სულ ერთია, თუ აქ მარტო დარჩები, ვერ მოიშორებ დარდიან ფიქრებს.

— მაშ შენ დარჩები ჩემთან?

— არა... დღეს არა... და არც აქ, — გაწითლდა იაკობა, — ძალიან მოუწყობელია აქაურობა, მაგრამ შენ წამოხვალ ჩემთან, გესმის? და იქ დაიძინებ. სტუმრების ოთახები მუდამ მზად გვაქვს და არავის არაფრით არ შეაწუხებ, დედა და მამა კი შენს მდგომარეობაში შევლენ, როცა თავად შეატყობინებ დედაშენის სიკვდილის ამბავს. მოვალეცა ხარ ასე მოიქცე. წამოდი, პერ, წამოდი. ხვალ ჩვენ სასეირნოდ წავალთ ტყეში, შორს, შორს და მთელ დარდს დავივიწყებთ!

დილით რომ გამოიღვიძეს, მშვენიერი მზიანი ამინდი იდგა. უკვე კარგა გვიანი იყო, ისინი რომ სასადილო ოთახში ჩაიზე ჩავიდნენ, ნაჩქარევად ისაუზმეს და ხელიხელჩაკიდებულები ბაღში გავიდნენ. გუშინ საღამოს ორივეს გვიანობამდე არ მოუხუჭია თვალი. იმის ფიქრი, ამ ნათელ გაზაფხულის ღამეს ერთმანეთთან ასე ახლოს ვართო, მოსვენებას უკარგავდა. ბოლოს სახლში ყველას დაეძინა და ღამის დარჩენილი ნაწილი მათ ერთად გაატარეს. ერთმანეთის გვერდით ეძებდნენ ყოველნაირი საზრუნავისა და დარდისაგან თავდავიწყებას. ახლა სეირნობდნენ მწვანე ბაღში და ნამის წვეთები ტოტებიდან და ფოთლებიდან ეცემოდათ. შუადღემდე, როცა მთელი ოჯახი, ფრუ ლეას გარდა, თავიანთ საქმეებზე მიეშურებოდა, აქ სამოთხისებური სიჩუმე და სიწყნარე იყო გამეფებული. ტყეშიც, სადაც ისინი ბაღიდან გავიდნენ, ყველაფერი სულ სხვანაირი იყო, ვიდრე დღისით, როცა გზაზე მტვრის ბუღში ეტლები დაჰქროდნენ და ყოველ სკამზე ვინმე იჯდა. ახლა ტყეში მხოლოდ ჩიტების გალობა ისმოდა. სეირნობის დროს მხოლოდ ერთი მოხუცი შეხვდათ, ბორბლებიანი სავარძლით მიჰყავდათ. გვერდით რომ ჩაუარეს, მოხუცმა ალერსიანად დაუქნია მათ თავი.

მაგრამ პერი ნელ-ნელა კვლავ აიტანა შფოთმა. ჯერ კიდევ ბაღში სეირნობისას დაბნეული იყო და სულ ის ეკერა პირზე, არა უგვიანეს

ორი საათისა ქალაქში უნდა ვიყო, რადგან ერთ-ერთ დაწესებულებაში, რომელიც მხოლოდ სამ საათამდე მუშაობს, ჩემი პროექტის თაობაზე ცნობები უნდა მივიღოო.

მეორე საუზმის შემდეგ პერი მაშინვე წავიდა. ქალაქში ეტლი იქირავა და იმ უწყებისკენ გაემართა, სადაც მისი ძმა ებერხარდი მუშაობდა. პერმა მეეტლეს უბრძანა მოეცადა და თვითონ დიდი, ჭუჭყიანი, მღვრიე არხის გასწვრივ წამოჭიმული რუხი ფერის შენობის სადარბაზო კარში მიიმალა.

ამ ერთი წლის განმავლობაში, იაკობას აქ სტუმრობის შემდეგ რომ გავიდა, ებერხარდის მჩქეფარე მოღვაწეობა და დიდად განვითარებული მოვალეობის გრძნობა დაჯილდოებულ იქნა წოდებათა და ხარისხთა უსასრულო კიბეზე კიდევ ერთი პატარა საფეხურით ამაღლებით. მის ადრინდელ ადგილზე, იქვე, კართან მდგარ მაღალ საწერ მაგიდასთან ახლა უკვე სხვა იდგა — ახალგაზრდა და დიად სახელმწიფო მექანიზმის ტრადიციათა საიმედო დამცველი; ებერხარდმა კი თავის განკარგულებაში მიიღო ნამდვილი საწერი მაგიდითა და სავარძლით მორთული საკუთარი პატარა კაბინეტი. თუმცა ისევ ის ძველი შავი სერთუკი ეცვა, მეტისმეტად ვიწრო სახელოები რომ ჰქონდა და მრავალი წლის გულმოდგინეობისაგან ნიდაყვებზე და ზურგზე გაპრიალებული იყო. მიუხედავად სამსახურში დაწინაურებისა, არც ჰალსტუხი გამოუცვლია, არც ფეხსაცმელი. პერი რომ შემოვიდა, ებერხარდი მაგიდასთან იჯდა და ფანქარს ისეთი კეთილსინდისიერი გულმოდგინებით თლიდა, როგორც მიღებულია ფანქრების წათლა მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებებში. მაგრამ ღრიჭოდ დარჩენილი კარიდან წინა ოთახში ნელი ხმით წარმოთქმული თავისი სახელი და გვარი რომ მოესმა, საჩქაროდ დამალა ჯიბის დანა და მაგიდიდან რაღაც მოზრდილი საბუთი აიტაცა.

მერე ღირსეულად გადაწვა სავარძლის ზურგზე, ქაღალდი თვალებთან მიიტანა და ასეთ პოზაში ელოდა მნახველის გამოჩენას.

— შემობრძანდით, — მბრძანებლური ხმით თქვა მან, როცა კარზე მოაკაკუნეს და თან ქაღალდს ზემოდან გადახედა.

პერის დანახვა ებერხარდს ისე გაუკვირდა, გულგრილად თავის დაჭერაც კი ვერ მოასწრო. იმ ადამიანის სახე გაუხდა, მოულოდნელად მოჩვენება რომ გამოეცხადება. ნელა წამოდგა. თითქმის ნახევარ წუთს ძმები ჩუმად უცქერდნენ ერთმანეთს.

მხოლოდ ახლა ეცა პერს თვალში, რომ ებერხარდი ძალიან ჰგავდა

განსვენებულ მამას. სწორედ ახლა, როცა მღელვარებისაგან აკანკალებული ებერხარდი მაგიდაზე ხელდაყრდნობილი იდგა. გაქვავებული ნაოჭები პირის კუთხეებში, გაპარსული ნიკაპი, ძველმოდური ვიწრო ქილვაშები, დაწითლებული ქუთუთოები, გაშტერებული ცქერა, გამართული ზურგი — ყოველივე ეს პერს ისე ცოცხლად აგონებდა მამას, როგორიც ბავშვობაში ენახა.

პერმა კარი მოხურა, რომ საუბარში ხელი არავის შეეშალა და სწორედ კარის პირდაპირ სავარძელში ჩაეშვა. ებერხარდიც დაჯდა.

— ჩემი მოსვლის მიზეზი შენთვის ალბათ გასაგებია, — დაიწყო პერმა. — გაზეთში წავიკითხე დედის სიკვდილის ამბავი.

— დიახ, — მიუგო ებერხარდმა მცირე ხნის დუმილის შემდეგ აშკარა ძალდატანებით. — გვეგონა, შენ ისევ საზღვარგარეთ იყავი.

— ერთი კვირის წინ დავბრუნდი.

— აჰ, ასეა! მაშასადამე, აქ უკვე დიდი ხანია ხარ. მაგრამ იქნებ არ იცოდი, რომ დედა კოპენჰაგენში გადმოსახლდა.

— საერთოდ კი ვიცოდი. — უპასუხა პერმა და განზე გაიხედა. მაშინვე ის ჰკითხა ებერხარდს, დიდხანს თუ იყო დედა ავადო.

ებერხარდი პასუხს არ ჩქარობდა. ბოლოს გაბედა და ბევრი ფიქრის შემდეგ უთხრა, დედა უეცრად და ყველასათვის მოულოდნელად გარდაიცვალაო.

— მადლობა ღმერთს, ძალიან არ უტანჯია. ჩვეულებრივი სისუსტის მეტი თვით უკანასკნელ წუთებამდე არაფერი შეგვიმჩნევია მისთვის. თუმცა იმას კი ჩიოდა, სუნთქვა მიჭირსო და მოუსვენრადაც ეძინა, მაგრამ ყოველივე ამის ადვილად ახსნა შეიძლებოდა მისი ძველი დაავადებით, რომელსაც უკვე შევეჩვიეთ. დილით სიგნე თმას ვარცხნიდა, დედამ, ცოტა არ იყოს, მოუთმენლად სთხოვა სიგნეს აჩქარებულიყო, ძალიან დავიღალე და მეძინებაო. სიგნემ ათიოდე წუთის შემდეგ შეიხედა მასთან, დედას უკვე ლაპარაკი აღარ შეეძლო, მხოლოდ თითქოს გამოსათხოვებლად გაახილა თვალები რამდენჯერმე და სამუდამოდ განისვენა.

ბოლო სიტყვები ებერხარდმა, ცოტა არ იყოს, არეულად წარმოთქვა. როგორც კი პერის დანახვით გამოწვეულმა დაბნეულობამ გაუარა და პირველი მღელვარებაც დაუცხრა, ებერხარდმა ჩვეულებრივად პერის კოსტუმის მალულად თვალიერება დაიწყო. ალმაცერად, სწრაფი მზერით ათვალიერებდა პერის სერთუკის აბრეშუმის გადანა-

კეცებს, ხელთათმანებს, წაწვეტებულცხვირიან პარიზულ ფეხსაცმელს და ბრილიანტის საკინძეებს გულისპირზე. მერე კვლავ განაგრძო თხრობა.

— რასაკვირველია, არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ სულ არ ვიყავით მომზადებული ასეთი დასასრულისათვის, ეს თავადაც კარგად იცოდა. ძალიან დიდხანს იავადმყოფა. თითქოს სიკვდილის მოახლოების წინათგრძნობაც კი ჰქონდა. დედამ დატოვა ზუსტი და დაწვრილებითი განკარგულებები დასაფლავებისა და ქონების განაწილების თაობაზე, და გამოსათხოვარი წერილებიც კი დაწერა იმ შვილებისადმი, ვინც მის გვერდით არ იყო. შენთვისაც არის წერილი... და დაბეჭდილი გრაგნილი. — ბოლო სიტყვები ებერხარდმა ზუსტად გაანგარიშებული პაუზის შემდეგ წარმოთქვა და თანაც სწრაფად შეავლო თვალი პერს, რათა გაეგო, როგორ იმოქმედა მისმა სიტყვებმა. მერე კვლავ განაგრძო:

— ჯერჯერობით ერთიც და მეორეც სიგნესთან ინახება. როგორც უკვე გითხარი, ჩვენ ვფიქრობდით, საზღვარგარეთ იყავი და არც შევცდილვართ შენთვის მის გამოგზავნას. ახლა კი აღარ ვიცით, როგორ მოვიქცეთ. იქნებ შენ თვითონ მოხვიდე წერილის წასაღებად? ყველანი იქ დაგხვდებით თავმოყრილი. ინგრიდი და თომასიც ჩამოვიდნენ დასაფლავებაზე. გადავწყვიტეთ მამის გვერდით დავასაფლაოთ დედა. კუბოს გემით წავიღებთ. გემი ხვალ დღისით გადის, მანამ კი გვინდა პატარა ოჯახური ქელეხი მოვაწყოთ კუბოსთან, და, რაკი ვიცით, რომ დაბრუნებულხარ, ძალიან გვეწყინება, თუ არ დაესწრები, — მე თამამად შემიძლია მთელი ოჯახის სახელით გითხრა ეს. საღამოთი ჩვენ მატარებლით წავალთ, ასე გადაწყვიტა დედამ სიგნესი და ინგრიდის გამო — ისინი ვერ იტანენ რყევას, დედას კი უნდოდა, ყველა ერთად ვყოფილიყავით. ჩვენ დროზე ჩავალთ და მოვასწრებთ დედის კუბოს დახვედრასაც და ყველაფრის მომზადებას, რაც კი აუცილებელია დასაფლავებისათვის. გემიდან კუბოს პირდაპირ ეკლესიაში მიიტანენ, ხოლო მეორე დღეს შედგება ჩუმი და სადა დაკრძალვა. დედა დაბეჯითებით მოითხოვდა ამას.

პერი დუმდა. არც სიტყვით, არც გამოხედვით არ გაუმჟღავნებია, რა ხდებოდა მის სულში. რამდენიმე წუთის შემდეგ წასვლა დააპირა, ებერხარდმა თითქმის მეგობრულად ჰკითხა:

— თავად როგორღა ხარ? გამგაზვრებას ხომ არ ფიქრობ?

— ვფიქრობ; მალე ამერიკაში მივემგზავრები. საქმეები მაქვს იქ.

გამგზავრებამდე კი ცოლს ვირთავ. როგორც იცი, დანიშნული ვარ ფილიპ სალამონის ქალიშვილზე.

ამჯერად ებერხარდმა არაფერი უპასუხა, უნებლიედ ალმაცერად გახედა პერის ბრილიანტის საკინძეს და მერე თვალები დახარა.

პერი ადგა.

— ჰო დამავიწყდა მეთქვა, — აშკარად ძალდატანებით ჩაილაპარაკა ებერხარდმა. — ქელეხი ოთხისნახევრისთვის დავნიშნეთ, მაშასადამე, თუ გინდა, რომ ყველანი შევიკრიბოთ, მაშინ...

პერმა თავი გაიქნია.

— მე მგონია, მთელი რიგი მოსაზრებების გამო, სჯობს არ მოვიდე, — მიუგო მან. — კერძოდ, მე არსად არ მინდა წასვლა, თუ ჩემი საცოლეც არ იქნება იქ, ხოლო მისი ქელეხზე დასწრება, ვფიქრობ, უადგილოა, თანაც, დარწმუნებული არა ვარ, რომ კარგად მიიღებენ.

ებერხარდმა არ უპასუხა. სახე კვლავ გაეყინა და შეუძლებელი იყო გამოგეცნოთ, რა ძრწოლამ მოიცვა იმის გაფიქრებაზეც კი, რომ მისი მშობელი დედის კუბოსთან მივა უცხო მაღალი წრის ქალი, თანაც ებრაელი.

პერი გამოემშვიდობა და წავიდა.

სადარბაზოში მას ორი ყმაწვილი შეხვდა. განზომილი ჯარისკაცური ნაბიჯით მიდიოდნენ, მაგრამ პერის დანახვაზე ფეხი აერიათ და ისე სწრაფად გახტნენ განზე, პერმა უნებლიეთ შეხედა მათ. მან დაინახა ორი პროვინციული, სოფლური გარეგნობის თექვსმეტი წლის ჭაბუკი, გრუნდტვიგიანული ტიპის ფართოფარფლებიან ნაბდის შლიაპებიდან გრძელი თმები რომ გამოსჩეჩოდათ.

პერმა მაშინვე იცნო ისინი: მისი უმცროსი ძმები — ტყუპები იყვნენ. ებერხარდთან მიდიოდნენ. მათაც მაშინვე დაეტყოთ, რომ იცნეს პერი. შეშინებულებმა ერთმანეთს შეხედეს და სირცხვილით წამოენთნენ.

პერმა შეაჩერა ისინი. ისე მორიდებით გასხლტნენ ბიჭები აქეთიქით, კაცს გული აუჩუყდებოდა. პერს შერცხვა კიდეც, სულაც არ იყო უსიამოვნების ატეხის გუნებაზე, ხოლო ებერხარდთან შეხვედრამ ვერ დაუცხრო ახლობლებთან შერიგების მოთხოვნილება და ამით დედის წინაშე როგორმე თავისი დანაშაულის გამოსყიდვის საშუალება.

— გამარჯობათ, — უთხრა მან და ხელი გაუწოდა ყმაწვილებს. ბი-

ჭებმა ცოტა იყოყმანეს და მერე მათაც ჩამოართვეს ხელი. — ებერ-ხარდთან მიდიხართ?

— დიახ, — ერთხმად მიუგო ორივემ.

— მე კი სწორედ მისგან გამოვედი. მინდოდა დაწერილებით გამო-მეკითხა დედის გარდაცვალების ამბავი.

ამ სიტყვებზე ძმებმა დუმილით დახარეს თვალები, ხოლო ერთ-ერ-თი მათგანი ფეხსაცმლის ჭვინტს უსვამდა ქვის იატაკს.

პერმა მათ დარცხვენილ ლიმილში საყვედური წაიკითხა და წარბი შეიკრა, მაგრამ გულში სულაც არ გაჯავრებულა. თუმცა ებერხარდთან საუბრის დროს საამბოხოდ განეწყო და გაბრაზდა კიდეც, მაგრამ ამ ტყუპების დანახვაზე, ესოდენ უბრალოდ რომ განასახიერებდნენ მშობ-ლიური სახლის ბედნიერ სისადავეს და ალალმართლობას, მთლად გა-უარა სიბრაზემ. ყმაწვილებს ძალზე სოფლური გარეგნობა ჰქონდათ და იქნებ სწორედ ამიტომ პერს ძალიან უნდოდა მიეზიდა მათი თავები და მაგრად დაეკოცნა; ძლივს გაუძლო ცდუნებას.

თუმცა პერს გულითადი საუბარი კი სურდა ძმებთან, მაგრამ არ იცოდა, რა ეთქვა მათთვის. ისინი უკარებლებივით იდგნენ და აშკარად ეტყობოდათ, პერის იქ ყოფნა აკრთობდათ.

რა უნდა ექნა, ერთხელ კიდევ ჩამოართვა მათ ხელი, ანიშნა კარე-ტას, კართან რომ უცდიდა, რამდენიმე სიტყვით უთხრა ძმებს, ასე და ასე ვმუშაობო და გამგზავრებას ვაპირებო და გამოემშვიდობა.

მაგრამ კარეტაში რომ ჩაჯდა, პერს მღელვარება მოერია. იმის მა-გიერ, რომ როგორც იაკობას შეპირდა, სკოებაკენში დაბრუნებულიყო და სადილისთვის მიესწრო, შინ წავიდა.

დიდ სულიერ მღელვარებაში იყო და იაკობა ვერაფრით ვერ უშვე-ლიდა.

სასტუმროში სადარბაზო ბარათი დაახვედრეს. პერმა წაიკითხა: „კ. ფ. ბერეგრავი, გადამდგარი ინჟინერ-პოლკოვნიკი“.

— თვითონ იყო აქ?

— დიახ, ერთი საათის წინ. ალბათ, რაიმე დაწერა მეორე მხარეს. პერმა ბარათი გადააბრუნა და წაიკითხა. „მოხუცი ვეტერანი ბედნიე-რებასა და წარმატებას გისურვებთ პატრიოტულ ბრძოლაში“.

პერს თავბრუც კი დაეხვია. თითქოს გაქვავდა ბარათით ხელში და სევდიანად გაიღიმა. თუმცა თავად პერს კარგა ხანია დააავიწყდა თავისი ქედმაღლური წინასწარმეტყველება, ახლა ისე იყო აბნეული, პოლკოვ-

ნიკის მოლოცვა მას ღვთიური განგების ხელად მოეჩვენა, რაც ერთხელ კიდევ ამტკიცებდა, რომ ზებუნებრივი, მიუწვდომელი შეთანხმებით იყო შეკრული ბედნიერებასთან.

პერმა საათს შეხედა. კიდევ მოუსწრებდა მატარებელს და სადილს სკოვბაკენში.

— გახსოვს, — უთხრა პერმა იაკობას, როგორც კი მარტონი დარჩნენ, — შენ და ივენი სწორედ პოლკოვნიკ ბერეგრავის გამო მსაყვედურობდით, მაქს ბერნარდთან რად მოიქეცი ასეო. თანაც როგორ მსაყვედურობდით.

— ნუ მელაპარაკები ამაზე, — შეაწყვეტინა შეწუხებულმა იაკობამ.

— არა, ვილაპარაკოთ. აბა, ნახე ერთი. — პერმა გაუწოდა პოლკოვნიკის სადარბაზო ბარათი.

— პოლკოვნიკი შენთან იყო?

— კი. წაიკითხე მეორე მხარეზე! აბა, რას იტყვი?

იაკობამ მართლაც არ იცოდა რა ეთქვა. გაბრუებული იყო. თითქმის შეშინებული ღიმილით მხრებზე ხელები დაადო პერს და უთხრა:

— იცი, პერ, შენ პირდაპირ ჯადოქარი ხარ.

* * *

მეორე დილით პერი ნავსადგურში წავიდა და მოძებნა გემი, რომელსაც, მისი ვარაუდით, იუტლანდიაში უნდა წაეღო დედის ცხედარი. შტურმანთან საუბრიდან გამოირკვა, რომ მართლაც მორიგებულნი იყვნენ მათი გემით კუბოს წაღებაზე, და, გარდა ამისა, გაიგო, რომელ საათისთვის იყო დანიშნული გემის დატვირთვა.

ნავსადგურის პირდაპირ მდებარე შენობის ქვედა სართულში მოთავსებული იყო ღარიბული კაფე. პერმა მაშინვე შენიშნა ის და დანიშნულ საათზე ცოტა ადრე პატარა მაგიდა დაიკავა ფანჯარასთან. მან ერთი ჭიქა ლუდი შეუკვეთა, გაზეთი მიიფარა და გულისკანკალით ელოდა კატაფალკის მოსვლას.

ფანჯრის იქით მხიარულმა ზაფხულის წვიმამ დაუშვა. მიუხედავად ამისა, ნავსადგურის წინ მდებარე მოედანზე ტომრებს, კასრებს და ყუთებს შორის სიცოცხლე ჩქეფდა. გემის გასვლამდე სულ ცოტა დრო დარჩა. ყოველი მხრიდან მოდიოდა სავსე საზიდები, თავს იყრიდნენ

ამწე კრანის გარშემო და განტვირთვას ელოდნენ. ჩხარუნებდნენ და ფრუტუნებდნენ ორთქლის ჯალამბრები; უზარმაზარი ყუთები, რკინის კოჭები, ფქვილით სავსე ტომრები, ნავთიანი კასრები ავარდებოდნენ ხოლმე საზიდის ფსკერიდან, წამით ღია ბანთან დაფრინავდნენ, მერე კი გემის უძირო სტომაქში ქრებოდნენ.

ბევრი იწვალეს ვეებერთელა ღორის ჩატვირთვაზე. ორი კაცი ყურებით მიათრევდა ღორს, მესამე კი უკან იდგა და არღანის სახელურივით გულმოდგინედ უტრიალებდა კუდს. მიუხედავად ამისა, ღორს არაფრით არ უნდოდა ადგილიდან დაძვრა. წვიმამ და ფუსფუსმა ყველა მხიარულად განაწყო და ჯიუტი ღორი, ისე რომ ჭყიოდა, თითქოს მიწისა და ცის ყველა ძალას ეევედრებოდა, მომეშველეთო, დიდად ამხიარულებდა ირგვლივმყოფთ. ბოლოს ღორი აიძულეს, გემის კიბეზე ასულიყო, ოთხით გაირბინა და წინაერდოს თავზე გაქრა. მერე ორი მზიდავი ტვირთის შტაბელებს შორის დაეჯახა ერთმანეთს და წაიჩხუბნენ. ვერც ერთი ვერ წასულიყო წინ, ვერც უკან იხევდა და ის იყო ხელჩართულ ბრძოლაზე გადავიდნენ, რომ გამოჩნდა პოლიციელი; მან რამდენიმე კასრი გააგორა და გასასვლელი გაათავისუფლა.

წვიმა ნელ-ნელა მიწყნარდა, მაგრამ ქალაქის თავზე ძველებურად ჩაშავებულიყო ცა, მის ფონზე კი კრისტიანსხავნის მახლობლად, პაკჰაუზის წითელი სახურავი ისახებოდა.

უეცრად პერმა დაინახა სამგლოვიარო ფორანი, როგორსაც ჩვეულებრივად ქირაობენ, თუ მიცვალებულის სახლიდან ეკლესიაში ან სამლოცველოში გადასვენება უნდათ. კოფოზე მეეტლის გვერდით სამუშაო კოსტუმიანი კაცი იჯდა. ფორანი გემის მახლობლად გაჩერდა. მას მოჰყვა კარეტა, საიდანაც გადმოვიდა ოთხი კაცი — პერის ძმები. პირველი ებერხარდი გადმოვიდა. ცილინდრი ეხურა, ზედ კრეპი შემოეხვია, შემოკეცილი ვიწრო შარვალი ეცვა და ქოლგა ეჭირა; ქოლგა მაშინვე გახსნა, თუმცა წვიმამ უკვე გადაიღო. ებერხარდს მოჰყვა წითელლოყება თომასი, ქორეპისკოპოსი და, ბოლოს, უმცროსი ძმები — ტყუპები.

ჯალამბარი სწორედ უკანასკნელ ფუთებს სწევდა საზიდიდან. როცა საზიდი წავიდა, კატაფალკის მეეტლემ ცხენები დაძრა, რათა გემთან ახლოს მიეყვანა. მეეტლეს სთხოვეს მოეცადა, სანამ გემზე ახალგაზრდა გაუხედნავ ცხენს აიყვანდნენ. ჯერ ცდილობდნენ, ცხენი კიბეზე აეთრიათ, როგორც წეღან ღორი აიყვანეს და პირველად თითქოს ყველა-

ფერი კარგად მიდიოდა. თუმცა საცოდავი ცხენი შიშისაგან ცახცახებდა და ისე ხაოდა, ნესტოებიდან ვარდისფერი დუჟი მოუჩანდა, მაგრამ მაინც აიძულეს წინა ფეხებით დამდგარიყო კიბეზე. სწორედ ამ წუთში ერთერთმა პატარა საბუქსირე გემმა ერთმა იმათთაგან, განუწყვეტლივ რომ დაცურავდნენ ნავსადგურში წინ და უკან, საუბედუროდ საყვირი მისცა. ცხოველი მთლად გაცოფდა. იძულებული იყვნენ ცხენი მკვდარი ტვირთივით აეტანათ გემზე. მოაბრუნეს გემის ონკანის ისარი, ცხოველი კი შეათრიეს მსხვილი ძელებისაგან შეკრულ კაცის სიმაღლე ახორში თუ ბაკში. სწორედ ცხენის სამყოფი ადგილი იყო. ბაკის ზედა კიდეზე გამოშვერილი რკინის მძიმე კოჭებს ქვეშ ჯაჭვები შეუყარეს მერე დაატრიალეს ჯალამბარი და მიწიდან ასხლეტილი ცხენი წამსვე გაქვავდა — ნელა გასრიალდა მტვირთავების თავებს ზემოთ და გემბანზე დაეშვა.

აურზაურის დროს პერი თვალს არ აშორებდა კატაფალკს. მან საერთოდ ვერ შენიშნა მთელი ეს სცენა, დოყლაპიების მთელი ბრბო რომ მიეზიდა. მხოლოდ ახლა ანიშნეს მეეტლეს და მან წინ წაიწია. ებერ-ხარდი და დანარჩენი ძმები კუბოს მისდევდნენ.

კაცი, ვისაც სამუშაო კოსტუმი ეცვა და კოფოზე იჯდა, უკვე მივიდა ბანთან გადებულ წანწალებთან, იქ ისა და კიდევ რამდენიმე კაცი სამი ნიდაყვის სიგრძე ხის ყუთთან ჯახირობდნენ. ყუთის სახურავზე აღნიშნული იყო, რომ ფრახტის საფასური გადახდილია. საჩქაროდ გააღეს კატაფალკი და გამოჩნდა სადა, ყვავილებით მოურთველი ვიწრო კუბო. ორ მტვირთავს უნდოდა მიშველებოდა, მაგრამ თომასმა არ მიუშვა ისინი. მან ძმებთან ერთად კუბო ღია ყუთში გადაიტანა. ახლა ყუთი თითქმის სავსე იყო. ცარიელი ადგილები ჩალით შეავსეს, ყუთს სახურავი დაახურეს და ჭანჭიკები მოუჭირეს.

ძვირფასტვირთიანი შეუღებავი და გაურანდავი ყუთი სახიდეზე იდგა და თითქოს არაფრით არ განირჩეოდა სხვა ყუთებისაგან, რომლებითაც სავსე იყო წვიმისაგან დასველებული გემბანი. და როცა კატაფალკი წავიდა, მაშინ ხომ ვერავინ იტყოდა, რომ ამ ფრახტისნიშნებიანმა ფიცრებმა დაფარეს მთელი ჩამქრალი სამყარო იმ ადამიანისა, დედისა, ვისი ცხოვრებაც ბევრი ადამიანის ცხოვრებაზე მდიდარიც იყო, ღრმაც და შინაარსიანიც. მუშებმა ყუთს კავი გამოსდეს და ჯალამბარმა მემანქანის ნიშანზე ყუთი მიწიდან ისევე ააგდო, როგორც მანამდე აგდებდა ტომრებს და კასრებს. ყუთი წუთით შედგა ღია ბანთან, მო-

ისმა ყვირილი „მაინა“ და იუტანდიელი პასტორის მოხუცი ცოლი რკინის გვარლების ჩხარუნში და ორთქლის შიშინში ლუდის ყუთებს, არყის ბოთლებსა და შაქრის ფხვნილის კასრებს შორის მოთავსდა.

პერს, კაფეს ფანჯრიდან რომ უყურებდა ყოველივეს, უფრო და უფრო უფითრდებოდა სახე. ოფიციანტი კარგა ხანია თვალს არ აცილებდა ამ უცნაურ კაცს, ჩუმად რომ იჯდა და ლუდი გემოთიც კი არ გაუსინჯავს. შეშინებულმა მიირბინა და პერს ჰკითხა:

— ავად ხომ არა ხართ?

პერმა შეშფოთებით შეხედა მას. სულ დავიწყებოდა სად იმყოფებოდა; უეცრად მოეჩვენა, თითქოს მის ფეხქვეშ იატაკი მაღლა აიწია, ხოლო კედლები საცაა თავზე დაეცემოდა.

— მომიტანეთ კონიაკი, — სთხოვა მან ოფიციანტს. ორი სირჩა ზედიზედ დალია და ლოყები ოდნავ აუვარდისფერდა. იმ წუთს, როცა დედამისის სხეული ჩვეულებრივი საქონლით სავსე ყუთივით ჩამოეკიდა მაღლა, პერის ირგვლივ ყველაფერი დაბნელდა, მერე, თითქოს ელვა გამოკრთა და მან თვალი მოჰკრა უეცრად გაშიშვლებულ სიღრმეს ყოფიერებისა. იქ სევდა და სიცივე, მარადიული ძილით შებოჭილი გულგრილი ყინულოვანი უდაბნო იყო, იმის მსგავსი, ალპებში პირველად ყოფნის დროს რომ ნახა.

როცა პერმა შესძლო და კვლავ შეხედა გემს, იქ უკვე გამალებით ტვირთავდნენ ტომრებსა და კასრებს.

სანაპიროზე ძმები იდგნენ, მათ გვერდით კი ისევ ის კაცი, სამუშაო ხალათი რომ ეცვა. ებერხარდი კეთილსინდისიერად უთვლიდა მას გამოწვდილ ხელში ფულს. ფული რომ მიიღო, მუშამ ცოტა ხანს შეიცადა, ალბათ ფეხის ქირას ელოდა, მაგრამ ვერ მიიღო. ძმები კი წყნარი, განზომილი ნაბიჯით მიჰყვნენ ერთმანეთს.

პერი ისევ იჯდა. არ შეეძლო წასვლა, თუმცა იქ მყოფთა ყურადღება მიიპყრო. უნდოდა, უკანასკნელ წუთამდე ყოფილიყო დედასთან. საშინელება იყო იმის გაფიქრება, რომ დედა მარტოდმარტო დარჩა, ყველასაგან დავიწყებული და მიტოვებული. უეცრად პერს მსხნელმა აზრმა გაუელვა თავში. ის სულაც არ უნდა დაშორდეს დედას ამ ნაპირზე. შეუძლია ისე გაჰყვეს, რომ ვერავინ გაიგოს, საპატიო ყარაულივით იდუმლად თან ახლდეს. ღამით კატეჰატს გადასერავს, დილაადრიან კი ფიორდის შესართავთან რომელიმე სადგურზე ჩამოვა გემიდან, მერე

კი, შუადღისას, იუტლანდიის აღმოსავლეთ სანაპიროს უახლოეს რკინინიზგის სადგურამდე მივა და საღამომდე კოპენჰაგენში დაბრუნდება. პერმა საათს შეხედა. გემის გასვლამდე ორ საათამდე დრო რჩებოდა, მაშასადამე, ლაპარაკიც ზედმეტი იყო იმაზე, რათა პირადად ეცნობებინა იაკობასთვის — ერთადერთი ადამიანისთვის, ვისაც მართლაც უნდა სცოდნოდა მისი გამგზავრების ამბავი. სხვა გზა არა აქვს, ისევ წერილი უნდა მისწეროს.

მაგრამ, შინ რომ მივიდა და კალამი მელანში ჩააწო, პერისთვის ნათელი გახდა, რა ძნელი იყო ამ სიჩქარეში გასაგებად აეხსნა წერილში თავისი საქციელის მიზეზები. ამიტომაც სატელეგრაფო ბლანკი მოითხოვა და მოკლედ დაწერა რამდენიმე სიტყვა, რაც მთავარი იყო. მერე ჩემოდნის ჩალაგებას შეუდგა. მაგრამ უეცრად გაახსენდა პოლკოვნიკი ბერეგრავი და ფეხსაცმელები გაუშეშდა ხელში.

ალბათ პოლკოვნიკი დღესვე ელის საპასუხო ვიზიტს. ვიზიტის გადადება თუნდაც რამდენიმე დღით უტაქტობა იქნებოდა და გაუფუჭებდა ურთიერთობას კაცთან, ვისაც ახლა შეეძლო დაუფასებელი სამსახური გაეწია მისთვის. სხვა აღარაფერი დარჩენოდა, პოლკოვნიკისთვისაც უნდა მიეწერა. მაშ ასე: „გადაუდებელი გამგზავრების გამო“...

ცოტა ხნის შემდეგ პერი უკვე კარეტაში იჯდა და ნავსადგურისკენ მიდიოდა.

ზუნდის გადავლისას უცბად მოიფიქრა, რომ რაკი იუტლანდიაში უნდა ჩასულიყო, შეიძლებოდა კერსხოლმში შეევლო და დაპირებისამებრ მოენახულებინა ბარონესა და ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე. მოენატრა ეს ორი მოხუცი მეგობარი, ასე დედობრივად რომ ეექცეოდნენ მას, თანაც ფარულად ფრიად პრაქტიკული მნიშვნელობის მოსაზრებებიც ჰქონდა. დანიაში დაბრუნების დღიდან მას სტანჯავდა იმის ფიქრი, რომ მუდამ მომავალ სიმამრზე და სიდედრზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული. ეს ხალხი კი ძველებურად უცხონი იყვნენ მისთვის. თუმცა ფილიპ სალამონს ერთხელაც კრინტი არ დაუძრავს მათ ფულად ურთიერთობაზე, მიუხედავად ამისა, პერისთვის მეტად არასასიამოვნო იყო, მასზე რომ იყო დამოკიდებული. გარდა ამისა, ამერიკაში წასასვლელად კიდევ დასჭირდებოდა ფულის სესხება, ამაში კი იქნებ ბარონესა გამოსდგომოდა, რაკი ყოველთვის სთავაზობდა პერს, ის კი არა და, ეხვეწებოდა კიდეც — ფულით დაგეხმარებიო.

* * *

პერის ტელეგრამა სკოვბაკენში რომ მიიტანეს, იაკობა თავის ოთახში იჯდა ზემოთ. ფიქრადაც არ მოსვლია, პერი რას გადაწყვეტდა დღისით და საუზმის შემდეგ საყიდლებზე წავიდა ქალაქში, თანაც ფიქრობდა, პერთან სასტუმროში შევიარო. როცა უთხრეს, პერი შინ არ არისო, იაკობა შეშფოთდა, მაგრამ არც არაფერი დაუბარებია და არც თავისი ბარათი დაუტოვებია. მერე ერთ ხანს ქალაქში იხეტიალა, იქნებ პერს შევხვდეო. თან ამისაც ეშინოდა, რომ იცოდა, პერს არ სიამოვნებდა ასეთი შემთხვევითი შეხვედრები. ბოლოს წვიმა წამოვიდა და იაკობა იძულებული გახდა შინ დაბრუნებულიყო.

შინაც ვერ პოულობდა ადგილს. ბოლო დროს იაკობა უცნაურმა ფუსფუსმა აიტანა, ხშირად იმას აკეთებდა, რაც სულაც არ სჭირდებოდა. მისი გონება მხოლოდ ინგლისში პერთან ერთად გამგზავრებისთვის მზადებით იყო დაკავებული და უნდოდა თავიდან ამოეგდო ყველაფერი, რასაც პირდაპირი დამოკიდებულება არ ჰქონდა მათ „მეორე საქორწინო მოგზაურობასთან“, როგორც თვითონ ეძახდა გულში, რათა არავითარ საშიშროებას, საზრუნავს ან მღელვარებას ჩრდილი არ მიეყენებინა მათი განახლებული სიახლოვისთვის. იმ ორი მოკლე კვირის განმავლობაში, მათ რომ ერთად უნდა გაატარონ, მხოლოდ სიყვარულით და მხოლოდ სიყვარულისთვის იცოცხლებენ. იაკობას სურს, სანამ შავი დღეები არ დამდგარა, ბოლომდე დაიცხროს ცხოვრების მხურვალე წყურვილი.

ტელეგრამის მიღებისას იაკობა გაფითრდა. უნებურად აიტანა სევდიანმა წინაგრძნობამ, მაგრამ წამის მერე უსაფუძვლოდ მოეჩვენა თავისი შეშფოთება. მართალი რომ ითქვას, პერის საქციელში არაჩვეულებრივი არაფერი იყო. იაკობა თავს ირწმუნებდა, პერის მხრივ სრულიად ბუნებრივია და სანაქებოც კი, დედის წინაშე უკანასკნელ ვალს რომ იხდისო. გარდა ამისა, სულ რაღაც ორი დღე გაივლის და კვლავ ერთად ვიქნებითო.

და მაინც, ტელეგრამა კვლავ რომ გადაიკითხა, ხელახლა აიტანა შიშმა. რაც უფრო დაკვირვებით კითხულობდა ძუნწ სტრიქონებს, მით უფრო მეტი ამოიკითხა ხაზებს შორის. ოცი სიტყვიდან თითქმის ყოველ სიტყვაზე კითხვა ებადებოდა: როგორ მოუვიდა პერს თავში ეს

აზრი? ხომ არავინ ნახა ახლობელთაგანი? რად გამოგზავნა ტელეგრამა სწორედ ბოლო წუთებში? რატომ წავიდა გამოუთხოვებლად?

იაკობა ხელზე თავდაყრდნობილი იჯდა და ტელეგრამა მუხლებზე დავარდნოდა. უკვე ბინდდებოდა. პატარა ოთახის ყოველი კუთხიდან ბინდი მოცოცავდა და ამიტომ მძიმე წინაგრძნობა უფრო და უფრო ავის მომასწავებელი ეჩვენებოდა.

იაკობა ფიქრობდა, რამდენ რამეს მიმალავს პერი მიუხედავად ჩემი მუდარისა, უფრო მიმდობნი და გულახდილნი ვიყოთო, და რა ცოტა რამ ვიცი იმაზე, თუ რა საზრუნავი, რა გეგმები და განზრახვები აქვსო. ფიქრობდა და თავის თავს ეკითხებოდა: ნეტავ შევძლებ კი ოდესმე ამ გულჩათხრობილობის, მერყეობის და კარჩაკეტილობის გადალახვას, ამდენ ტანჯვას რომ მაყენებსო?

...დარბაზში კი ამ დროს გახურებული მხიარულება იყო. სალამონებთან სტუმრად მოვიდნენ მათ ახლო მდებარე ვილებში მცხოვრები ნაცნობები, ხოლო ნანი, ვისაც ქალაქიდან მუდამ ჩამოჰქონდა უამრავი ახალი ამბავი, საუბარს ხელმძღვანელობდა. ის განუწყვეტლივ ხარხარებდა, თუმცა ცოტა არ იყოს ნაძალადევად კი მხიარულობდა, რადგან მეტისმეტად სწყინდა, პერი რომ არ დახვდა.

მართლაც, ბოლო დროს ამ მხრივ ბედი არ სწყალობდა, რადგან პერი სკოვბაკენში ძალიან არალეგურალურად დადიოდა. თუმცა ნანი წინასწარ გულდაგულ ანგარიშობდა, რომ პერის მოსვლა არ გამოპარვოდა, მაგრამ ან პერის წასვლისთანავე მოდიოდა, ან იძულებული იყო წასულიყო მის მოსვლამდე. ბოლოს ნანი პირდაპირ ავად გახდა პერის ნახვის დამტანჯველი სურვილით. შურისძიებაზე უკვე აღარ ფიქრობდა. იაკობას ქცევით დაასკვნა, რომ პერს არაფერი გაენდო ქალისთვის და ამის მერე გამოუტყდა საკუთარ თავს, რომ პირდაპირ შეყვარებულია მასზე. რაკი ვაჟი ხმას არ იღებდა, ამ ამბავს მხოლოდ პერის მასზე მზრუნველობას აწერდა და ეს, როგორც ქალს ეგონა, იდუმალ სინაზეზე მეტყველებდა, ამიტომ ვაჟმა მთლად დაიპყრო მისი პატარა გული.

ნანის უკვე აღარ ეშინოდა იმისა, რომ პერის გულისთვის იძულებული გახდებოდა თავისი გათხოვება და მასთან დაკავშირებული პატივმოყვარული ოცნებები განსაცდელში ჩაეგდო. ახლა თავის დასთან გააფთრებულ ბრძოლაში შებმასაც არ შეუშინდებოდა. როცა მათი მომავალი ქორწილის ამბავი შეიტყო, ამან მხოლოდ გააღიზიანა მისი

მტაცებლური მისწრაფებანი. ნანის არ სურდა იაკობასთვის ეს მომხიბლავი, ლამაზი, წარმოსადეგი, ალისფერტუჩებიანი მამაკაცი დაეთმო. ამ ტუჩების შეხების გახსენებისას პირდაპირ დნებოდა ვნებისაგან.

და აი, დღესაც არ მოვიდა პერი!

მარტო ნანი როდი ელოდა მას მოუთმენლად. ივენიც მოუსვენრად სცემდა ბოლთას ყათარზე და წარამარა დასცქეროდა საათს.

ივენს მეტად მნიშვნელოვანი ახალი ამბავი ჰქონდა პერისთვის სათქმელი. ადვოკატ ხასელაგერისგან მიიღო წერილი, სადაც ადვოკატი სთხოვდა, ეცნობებინა პერის მისამართი, რადგან მიწათმოქმედ ნერეხავესთან და სხვა ბატონებთან ერთად ხვალვე უნდა მისულყვნენ მასთან. ივენს იმედი ჰქონდა, რომ სწორედ ამ დროს აქ ნახავდა პერს; მაგრამ როცა გაიგო, ტელეგრამა გამოგზავნაო, მიხვდა, რომ პერი აქ მოსვლას არ აპირებდა და სადგურისკენ გაეშურა. იქნებ ქალაქში ვიპოვოო.

უკვე მთლად დაბნელდა. მნე ქალი გამოვიდა და ბაღში გახასველელი კარი დაკეტა, მერე მაგიდებზე და კონსოლებზე ანთებული ლამპები დაალაგეს.

იაკობა არ გამოჩენილა. მაშინაც კი არ ჩამოსულა ქვევით, როცა ჩაი მოიტანეს, თუმცა დაჟინებით ეძახდნენ. ნანიმაც გაიგო, პერის ტელეგრამა მოვიდაო და ეს კარგ ნიშნად ჩათვალა. მაშ, ქორწილი ჩაიშალა! მშობლები ცდილობენ ამაზე არ ილაპარაკონ, მაშასადამე, არც მათ სჯერათ, რომ მოსალოდნელი ქორწილი შესდგება.

ერთ ხანს მუსიკით ერთობოდნენ. თერთმეტი საათი რომ გახდა, სტუმრებმა წასვლა იწყეს. მაგრამ ამჯერად ნანი, მიუხედავად იმისა. რომ დიურინგმა კატეგორიულად აუკრძალა, სკოვბაკენში დარჩა ღამის გასათევად, იმედი ჰქონდა, პერი ხვალ დილით მაინც აუცილებლად მოვაო.

ამ დროს ქალაქიდან დაბრუნდა ივენი, სახეზე დაბნეული გამომეტყველება ჰქონდა. სტუმრები რომ დაიშალნენ, ივენმა ნანის და მშობლებს ჰკითხა:

— დღეს იაკობა არ გამოსულა?

— არა, რა მოხდა?

— სიდენიუსი წასულა.

— წასულა? სად?

— სადღაც იუტლანდიაში. სასტუმროში მითხრეს, რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდებაო.

— ახ, ჰო, დასაფლავებაზე წავიდოდა, — თქვა ფრუ ლეამ. — ალბათ სწორედ ეს აცნობა იაკობას.

—შენ მართალი ხარ, მაგრამ მაინც ძალიან უცნაური ამბავია... ასე სიტყვის უთქმელად წასვლა, და თანაც მაინცდამაინც ახლა, — დაუმატა ივენმა და ოჯახს შეატყობინა, ხასელაგერისგან რომ წერილი მიიღო და პოლკოვნიკმა რომ ვიზიტი გაუკეთა პერს, პერი კი არ მისულ› მასთან საპასუხო ვიზიტით.

ფრუ სალამონი თვალებით შეეკითხა ქმარს, მაგრამ ის სდუმდა; ფილიპ სალამონმა წესად შემოიღო, აზრი არ გამოეთქვა თავისი მომავალი სიძის შესახებ. ამიტომაც მხოლოდ თავი გაიქნია და თქვა:

— აბა, შვილებო, ძილის დროა!

* * *

გემი, რომლითაც პერი მიცურავდა, დიდი ხანია უკვე ღია ზღვაში გავიდა.

გოლიათური სარკოფაგივით მისრიალებდა მისი უზარმაზარი შავი კორპუსი თეთრი ღამის ნისლიან ბურუსში ზღვის წყნარ ზედაპირზე, ხოლო კვამლის ბოლქვები სამგლოვიარო კრეპივით ეხვეოდნენ გარს. შავღრუბლიანი ცა მძიმედ დასწოლოდა თავს. მაგრამ აქა-იქ, ღრუბლების ნაფლეთებში შიშით იჭვრიტებოდნენ ვარსკვლავები,—ანგელოზთა თვალებივით აცილებდნენ ისინი სამგლოვიარო მსვლელობას.

პალტოში გახვეული პერი მარტო იჯდა შუა გემბანზე და წყალ› გასცქეროდა. შეეცადა რაც შეიძლება ახლოს ყოფილიყო იმ ადგილთან, სადაც დედის კუბო იდგა.

თანდათანობით ყველა მგზავრმა დაიძინა. დიდი ხანია მიწყდ› ხმები.

კაპიტნის ბოგირზე სწრაფი ნაბიჯებით დადიოდა ვახტზე მდგომი შტურმანი, კიჩოზე ზუსტად ერთსა და იმავე შუალედებში რეკავდ› ქვიშის საათი. სხვა ბგერა დიდ გემზე არ ისმოდა, თუ არ ჩავთვლით მომუშავე მანქანათა განზომილ კაკუნს და დროდადრო ცეცხლფარეშის ნიჩბის ღრჭიალს.

სამხრეთ-დასავლეთით ჰორიზონტზე ჰესელის შუქურა აენთო.

მალე კაპიტნის ბოგირზე და საჭის ბორბალთან ვახტა შეიცვალა; პერმა შენიშნა, რომ შეცვლისას პირველი და მეორე შტურმანი ჩუმად ლაპარაკობდნენ რაღაცას.

მერე ირგვლივ ხელახლა გამეფდა სიჩუმე და მყუდროება.

პერს არც უფიქრია ძილზე. უნდოდა, რაც შეიძლება ახლო ყოფილიყო დედასთან. თანაც სულ ერთია, ახლა დაძინებას ვერ შესძლებდა.

...რამდენი ბავშვობის მოგონება წარმოუდგა თვალწინ ამ ღამეს, გაუნძრევლად რომ მიშტერებოდა ზღვის მანათობელ ზედაპირს. აქამდე პერი არც კი ცდილა მკაფიო და დასრულებული წარმოდგენა ჰქონოდა თავის დედაზე. მამის მბრძანებლური პიროვნების წყალობით დედა Ѣიცოცხლეშ ,ც ჩრდილში იყო ხოლმე და მოგონებანიც, დედას რომ ეხებოდა, იმ არასასიამოვნო გრძნობით იყო დაბნელებული, რითაც პერს მამა აგონდებოდა. ყველაზე უკეთესად პერს დედა ახსოვდა მისი ხანგრძლივი ავადმყოფობის პერიოდში. ჩვეულებრივად, თუ ძილში ან ცხადში მასზე ფიქრობდა (ეს გაცილებით უფრო ხშირად ხდებოდა, ვიდრე თავად გრძნობდა), ყოველთვის ნახევრადბნელ საწოლ ოთახში ლოგინში მწოლარეს წარმოიდგენდა, სადაც ყოველთვის ჩამოშვებული იყო მწვანე ფარდები, ხოლო თვითონ ან რომელიმე ძმა ან და უჯდა ლოგინთან და ავადმყოფ ფეხებს უზელდა. ბოლო დღეებში კი პერს ხშირად აგონდებოდა ის დრო, როცა დედა ჯერ კიდევ მეურნეობას უძღვებოდა, როცა ის დილაობით და ძილის წინ პირს ბანდა უმცროს ბავშვებს, აცმევდა და ხდიდა მათ, უკემსავდა და უკერებდა ტანსაცმელს შუათანებს, გაკვეთილებს უმოწმებდა უფროსებს და მათთან ერთად სწავლობდა ლამაზად წერას; ღამღამობით რომ გრძელი თეთრი პერანგი ეცვა და ბავშვთა ოთახებში დადიოდა —ერთს ბალიშს გაუსწორებდა, მეორეს ყურთუკს აუპენტავდა, ანდა, თუ ვინმე ძილში თვალს გამოაჭყეტდა ან გვერდზე გადაბრუნდებოდა, თავზე საოცრად ნაზ ხელს გადაუსვამდა.

ყველაზე ნათლად პერს ომისდროინდელი დედა მოაგონდა. თვითონ პერი მაშინ ძალიან პატარა იყო და ომის მთელი საშინელება არ ესმოდა, ხოლო ომით გამოწვეული არეულობა და ფუსფუსი მას მხოლოდ ართობდა. მრავალი თვის განმავლობაში ქალაქი გერმანიის ჯარებს ეჭირა, ისინი მუსიკით დააბიჯებდნენ ქუჩებში. თითოეულ პოლკს მაღალი მედოლე მიუძღოდა. ისინი ყველას დასანახად მწკრივ-

დებოდნენ მანეჟზე ან ბაზრის მოედანზე. პასტორის სახლიც კი მუდამ სავსე იყო ჯარისკაცებით, ზოგჯერ ოც კაცამდეც და შვიდი-რვა ცხენიც მოგროვდებოდა ხოლმე. ცხენებს ტორფის ფარდულში ამწყვდევდნენ, დილ-დილობით ბაღში გამოჰყავდათ და ოფიცრის მეთვალყურეობით. წმენდნენ. სახლის პატრონებს სულ რამდენიმე ოთახი დაუტოვეს და ბავშვები ყველას ფეხებში ებლანდებოდნენ. პერს ყოველივე ეს ძალიან ართობდა. საჭმელს მათ ბადაგით უკაზმავდნენ, რადგან ცხიმი არ იყო!.. ახლა მოაგონდა პერს, რომ დედა მაშინ ბავშვს ელოდებოდა — მეთორმეტე ბავშვს, მეთორმეტედ ემზადებოდა სიკვდილთან ორთაბრძოლაში შესაბმელად. მაგრამ ეს კიდევ ცოტა იყო. ზოგიერთი ბავშვი ავად გახდა, ხოლო სამი წლის გოგონა საშინელი ტანჯვით მოკვდა. პერს მერე უამბეს, სწორედ იმ წუთში, ჰანოვერსკის პოლკი რომ ქალაქს ტოვებდა, ხოლო მეორე — იკავებდა, გოგონამ დედის მკლავებზე დალია სულიო.

რაღა გასაკვირია, თუ ამის გადამტანი დედა მუდამ ნაღვლიანი იყო? საერთოდაც, უმცროსი თაობა, ვინც გაცილებით წყნარ და მშვიდობიან დროს აღიზარდა, ხშირად უსამართლოდ ჰკიცხავდა იმას, უფროსი თაობა რომ სასოწარკვეთილი იყო და ურწმუნო, ამ თაობამ კი თავის ზურგზე გადაიტანა ომის სიძნელეები და მწუხარება. გასაკვირი ის უფროა, რომ დედა მთლად არ გატეხა ამ მძიმე ამბების გადატანამ. თვით იაკობასაც, ვისაც ბევრი გადაეტანა ცხოვრებაში, ვერ გაეგო, საიდან სესხულობდა პერის დედა ზებუნებრივ ძალებს, რომ ამ უძლური სხეულის პატრონ ქალს ბედის მძიმე დარტყმანი ისე გადაეტანა, ერთი საყვედურიც არ დასცდენოდა.

მართლაც რომ, საიდან? რა შინაგანი ძალა ეხმარებოდა უფროსი თაობის ადამიანებს, გადაეტანათ ცხოვრების გაჭირვება, ომის წლების მღელვარება, სიცოცხლეჩამკვდარი ომის შემდგომი წლები? გამოევლოთ ყველა სისხლიანი მოვლენა, რომელთა სიმბოლო ადამიანის გულისმომკვლელი დედათა წამების გზა იყო?

რაც შეეხება თვითონ დედას, ის არასოდეს არ დაფიქრებულა პასუხზე. პერს ახსოვდა სიტყვები, რომელთაც დედა ხშირად იშველიებდა:

> თუ რამ შეექმენი ამ ქვეყანაზე,
> ღმერთო, შენით ვარ შოაგონებული.

...პერი სიციევემ შეაკრთო, წამოდგა და დაიწყო სიარული გრძელ, მთელ გემბანზე გაჭიმულ საფენზე. ფეხები ქვიშიანი ტომრებივით დაუმძიმდა, ხოლო თავი ლამის გახეთქოდა ამ ბოლო დღეების სიზრუნავისაგან. პერმა ვეღარ შესძლო სიარული და კვლავ დაჯდა.

ამ დროს კაპიტნის ბოგირიდან შტურმანი ჩამოვიდა და პერის შორიახლო დადგა, ეტყობოდა, საუბრის გაბმას აპირებდა. მან პერს მეთევზეთა ნავები დაანახვა, დაშვებული იალქნებით მსუბუქ ფრთონაზე რომ ქანაობდნენ და აუხსნა, მეთევზეები ქამბალაზე იყვნენ წასული, ახლა კი უკან მოცურავენ დინების მიხედვით, სამხრეთით კუნძულ ანხალტის ირგვლივ ქვიშიან მეჩიჩებში რომ ჩნდებაო.

პერმა მოკლედ უპასუხა: „დიახ, დიახ“.

უცებ დედის დატოვებული წერილი და შეკრულა გაახსენდა. აჰ შეკრულაში, რაღა ლაპარაკი უნდა, ალბათ მამის საათი იდო. პერს ვერ გადაეწყვიტა ამ წერილის წაკითხვა. მოხარული იქნებოდა, თუ შეიტყობდა, რომ დედას ცოტათი მაინც ესმოდა მისი, მაგრამ ებერხარდის გუშინდელი გამოხედვა კარგს არაფერს უქადდა.

პერი ხელახლა წამოდგა, მოუსვენრობა სტანჯავდა და ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა.

— ისა სჯობდა, დაწოლილიყავით, — უთხრა შტურმანმა და ჯიბეებში ხელებჩაყოფილი მიუახლოვდა. — ძალიან ცივა და გემბანზე აბა რა გახეტიალებთ.

შტურმანს ისე უპატივცემლო ტონი ჰქონდა და ისეთი პოზითაც იდგა, პერმა უნებლიედ მუშტები მოკუმა. ის იყო აპირებდა ხმა გაეკმენდინებინა ამ უხეშისათვის, მაგრამ სწორედ ამ დროს მიხვდა, ალბათ ჩემზე ეჭვობენ, თავის მოკვლას ხომ არ აპირებსო და ვახტის შეცვლისასაც სწორედ ამას ჩურჩულობდნენო.

პერმა არც აცივა, არც აცხელა, შტურმანს ჰკითხა, ხომ არ გგონია, რომ გემიდან გადახტომას ვაპირებო.

— რახან თავად წამოიწყეთ ამაზე ლაპარაკი, უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჩვენ ცოტათი ვეჭვობდით, რომ ეს ასეა. ასეთი რამ ხშირად ხდება, მერე კი ატყდება ხმაური, დაკითხვები და სხვა მსგავსი სისაძაგლეები, ეს კი, პატიოსნურად უნდა მოგახსენოთ, სულაც არ გვეამება. ამ შემოდგომაზე სწორედ ამ ადგილას ერთი კაცი დაიხრჩო.

— ვინ იყო?

— ვიღაც ხორსენსელი გემის მგზავრი. ამბობენ, ბედმა ძალიან

უმუხთლაო. ჩვენ მხოლოდ ქუდს მოვკარით თვალი, სხვას ვერაფერს. წავიდა თევზების გამოსაკვებად.

პერმა უნებლიედ დახარა თვალები, მერე შტურმანს ღამე მშვიდობისა უსურვა და ძირს ჩავიდა. რამდენიმე საათს იხეტიალა დახუთულ კაიუტაში მხვრინავ და მკვნესარე ადამიანთა შორის, მაგრამ ძილი არ გაჰკარებია. ფიქრი არ ასვენებდა. გრძნობდა, რომ ამ ღამით მასში დიდი ხნის წინ შემზადებული სულიერი აღორძინება ხდებოდა. ამ ნისლიან ბურუსში თვალწინ ახალი სამყარო დაუდგა, მაგრამ ჯერ ვერ გაარკვია, რომელი გზით წასულიყო იქით. ყოველივე, რაც უკან დარჩა, არარაობას შეუერთდა. მოხუცი დაავადებული ქალის სახით მან ისეთი ძალა იგრძნო, მასთან შედარებით კეისრის სიძლიერე არარაობად და საცოდაობად გამოიყურებოდა. — ეს ძალა და სიდიდე ტანჯვასა, განდეგილობასა და თავგანწირვაში გამოჩნდა.

თავქვეშ ხელებამოდებული პერი ფართოდ გახელილი თვალებით გასცქეროდა ბინდ-ბუნდს და ეშინოდა იმ სულიერი ბრძოლისა, მას რომ მოელოდა. მაგრამ თავს დაჩაგრულად არ გრძნობდა. თავისდა გასაოცრად, არც კი შენატროდა იმ ადამიანებს, ვინც მშვიდად ხვრინავდა მის ირგვლივ იმ ძილის წამლით დაძინებულები, სუფთა სინდისს რომ ეძახიან. პერის სევდა და მონანიება ისეთივე ამაღლებული და სასიხარულო იყო, როგორც მშობიარის ტანჯვა, რაც ქვეყნად ახალი სასოებისა და იმედების, ახალი სიცოცხლის წარმოშობის მომასწავებელია.

ინათა თუ არა, ფიორდის შესართავთან პირველსავე ნავსადგურზე პერი გემიდან გადმოვიდა. ბორცვის მწვერვალიდან თვალებით გააცილა გემი — დიდხანს მიდიოდა მდელოებს შორის დაკლაკნილ ფიორდში. რვა წლის წინათ ამავე გზით წამოვიდა შინიდან ჭაბუკური გამბედაობითა და წარმტაცი ოცნებებით აღსავსე. მას შემდეგ რვა წელიწადი გავიდა! პერს ხომ მართლაც ბედი სწყალობდა, მან ნამდვილად დაიპყრო სამეფო, რომლის დაპყრობაც უნდოდა და რომლის გვირგვინიც მისთვის იყო შექმნილი.

ნამის წვეთები პერს ცრემლებივით დასხდომოდა წამწამებზე, ის კი სულ სარკოფაგს გასცქეროდა, ყვავილებით დაფარულ მდელოებს შორის რომ მიცურავდა, მანამ გასცქეროდა, სანამ განთიადის ოქროს ნისლში ციური სამეფოს აჩრდილივით არ მიიმალა.

თავი XIX

აღმოსავლეთ იუტლანდიის ერთ-ერთ ყველაზე გულღია კუთხეში. დაბლობ ადგილას დგას დიდი ციხე-დარბაზი, მუქი წითელი კედლებით და ფრონტონის წანაშვერებით რომ მონასტერს წააგავს. ეს კერსხოლმი გახლავთ. ის მდებარეობს ველის განაპირას, მწვანე ნიაღვარივით რომ მიიკლაკნება ტყეებითა და სახნავებით დაფარულ ბორცვებს შორის.

მის ფსკერზე მიედინება წყნარი პატარა მდინარე — ფართო, გლუვი მდინარის საბრალო ნარჩენები, ოდესღაც მთელ ველს რომ ერთი მილის სიგანეზე ფარავდა. ახლა, თუ ძალიან ახლოს არ მიხვედი ნაპირთან, მდინარე საერთოდ არ მოჩანს. მწვანე ვაკე, მასზე აქა-იქ თხრილები და ამოუშრობელი გუბეები გადაგეშლება თვალწინ. კაცი ვერც დაიჯერებს, რომ წარსულში ამ ნაპირებს შორის მაღალი ტალღები მოგორავდა. იქ, ლელიანზე, სადაც ახლა გაუბედავად დაფრინავენ ყავისფერი და ნაცრისფერი მგალობელი ჩიტები, ოდესღაც ამაყად დანავარდობდნენ ვერცხლივით ელვარფრთებიანი დიდი ზღვის თოლიები. იქ, სადაც ახლა მიწისმთხრელები და დღიური მუშები მორიდებით ღეჭებიან ქონსა და პურს, ოდესღაც სისხლით მორწყულ გემებიდან ხმელეთზე ბრძოლით დამთვრალი კორსარები გადმოდიოდნენ და ზეიმით ეზიდებოდნენ შინისკენ მდიდარ ნადავლს.

ბორცვებზე, სადაც ჭვავის მინდვრებს შორის ახლა ნათელი და მხიარული ჭალები ხმაურობს, ოდესღაც უღრანი ტყეები იყო გადაჭიმული და მთვარიან ცივ ღამეებში იქ მგლები ყმუოდნენ. კარგა ხნის შემდეგაც, როცა დაბლობმა ამოიწია და ფიორდის ძველ ფსკერზე მხვნელ-მთესველის მშვიდობიანმა გუთანმა გაიარა, ტყე ძველებურად მამაცი და მარჯვე ვაჟკაცების თავშესაფრად დარჩა. აქ კეთდებოდა წარჩინებულ პირთათვის მონადირის ბუკები, როცა ისინი დააგელვებდნენ ცხენებს და უნაგირის ტახტაზე თვით სიკვდილი ეჯდათ, ხოლო სისხლიანი კვალი შიგ ტევრში მისდევდათ. აქ ბობოქრობდა ავდარი — თითქოს ათასხმიანი ღრიალი ავსებდა ჰაერს და მასში ისმოდა ზღვის ყრუ გრიალის ავისმომასწავებელი გამოძახილი, ადამიანის სულს წმინდა შიშით რომ ავსებდა.

მაგრამ ტყე თანდათანობით გამოდევნილ იქნა ნაყოფიერი მიწებიდან. უიარაღო ახალმოსულებმა აიშენეს სახლები, გააშენეს ბაღები, რათა

განმარტოებაში მოემკათ მიწიერი ნაყოფი. ჯვარცმებითა და წმინდანთა ქანდაკებებით მონიშნული გზით მოვიდნენ სამხრეთიდან ადამიანები, გრძელი ტანსაცმელი და შიშველ ფეხებზე სანდლები რომ ეცვათ და მალე პირველმა ზარმა ვიკინგების უძველეს მიწას აუწყა: „მშვიდობა დედამიწაზე, მწყალობლობა — ადამიანებს". გადიოდა წლები. გლეხის მშვიდობიანი ცული ყოველის მხრიდან ერჭობოდა ტყის სიბნელეში, სადაც არწივთა მიერ მიტოვებულ ბუდეებში ახლა ყვავები ჩხაოდნენ

გაიარა საუკუნეებმა. აყვავებული მინდვრებიდან მშობლიური მიწის ნაბოძვარი კაცობრიობის რჩეულ შვილთა საცხოვრებლის ზღურბლიდან ჩაედინა და გომებსა და სასიმინდეებში გროვდებოდა, კისრამდე აპიპინებდა მონასტრების ბეღლებსა და საწყობებს და მებატონეთა კარმიდამოს ახალი ხორცით და თაფლივით ტკბილი ლუდით, ხოლო საბოლოოდ ქონითა და სისხლით ავსებდა ხორცს ბერის ანაფორისა და რაინდის მბზინავი აბჯრის ქვეშ. მაგრამ როგორც კი ღვთისმოშიშ ბერს ქონი მოერეოდა, მაშინვე ავხორცი ენებიანი სურვილები ეუფლებოდა. უჩნდებოდა ქორწინების მოთხოვნილება, ოჯახის მამად გახდომას თავის წმინდა მოვალეობადაც კი თვლიდა და ფუჭ ოცნებათა უარყოფას და ადამის სხვა შვილებთან ერთად ცხოვრების სიკეთეთა განაწილებას ცდილობდა. ეკლესია დაუნათესავდა ერისკაცებს და მაშინ სანდლებისაგან და მონანიების მკაცრი ტანსაცმლიდან, რაზედაც ქამრად ქერელის ბაგირი ჰქონდათ შემორტყმული, როგორც აბრეშუმის ჭიის პარკიდან, გამოძვრა პირველი პასტორი სიდენიუსი, თეთრი ნოჭიანი საყელო რომ ეკეთა და ბავშვების გროვა რომ მოსდევდა უკან.

რაინდიც თანდათან ეგუებოდა მშვიდობიან არსებობას. სასიკეთო კანონი ერთგულად იცავდა მემკვიდრეობით მიღებულ სიმდიდრეს, ხოლო თავგადასავლები და მოუსვენარი ცხოვრება დღითი დღე უფრო და უფრო ნაკლებად იზიდავდა. მრისხანე ვიკინგების ჩამომავალი საქონლის ვაჭრად ან მიწათმფლობლად იქცეოდა, ბუმბულებიან შლიაპას იხურავდა და ხავერდის შარვალს იცვამდა. მაღალი, ახოვანი ძალ-ღონით სავსე კაცი თავის იორღას დააჭენებდა და მამულიშვილური ნაყოფიერების ცოცხალი განსახიერება გახლდათ.

მათ შორის გვხვდებოდა ბატონ ლავე ესკესენ-ბრუკის მსგავსი ადამიანებიც, ვინც ნახევარ იუტლანდიას ედავებოდა და ეჩხუბებოდა, ან ოლუფ პედერსენ-გიულენსტერნივით ცნობილი რაინდები, ვინც ღვიძლმა დებმა ფრუ ელსებამ და ფრიოკენ ლენამაც ვერ აიტანეს და

ვიბორგის ლანდტინგზე დაადანაშაულეს „ავკაცობასა და უსამართლობაში, რაც მათ მიმართ მოიმოქმედა, რაკი სცემდა მათ და მათსავე მსახურთ, ემუქრებოდა ცეცხლმსროლი იარაღით და გაშიშვლებული მახვილით, არბევდა მათ სახლებს და ძალით სტაცებდა მთელ ქონებას“. აი, როგორი ხალხი გახლდათ. მეკობრულ სისხლში გამჯდარი გმირობის სურვილი და დაუმორჩილებელი სული მათ კამეჩურ ქედმაღლობად და თავიანთი ახლობლების აბუჩად აგდების სურვილად გადაუვარდათ.

გვხვდებოდნენ იორგენ არფელდის მსგავსი ადამიანებიც, ვისაც წინაპართა ველური სიშმაგე გამწარებული რელიგიური ფანატიზმით — თავისებური ღვთისმოშიშური სადიზმით შეეცვალა. მან ბრძანა, საიდუმლო სასმენი ლულები მისი ციხე-დარბაზის მიწისქვეშეთიდან საცხოვრებელ ოთახებში გაეყვანათ, რათა სული ეამებინა ნატანჯი ჯადოქრების და ეშმაკის სხვა მსახურთა საშინელი გოდებით, ჩვენი მოწყალე უფლის იესო ქრისტეს სადიდებლად სიკვდილამდე რომ აწამებდნენ ნესტიან და ბნელ მიწისქვეშეთში.

* * *

ახლა კი ბორცვებს შორის უდაბნოს ერთფეროვნებაში და სიმყუდროვეში პოხიერი უბილიკო და უგზო ვაკე გაშლილიყო, სადაც არც ხე იდგა, არც სახლი. თუ არა თიბვის დროს, საათობით რომ იაროთ მდინარის დაკლაკნილი კალაპოტის გასწვრივ, ერთი სულიერი არსებაც კი არ შეგხვდებათ, ვერავის ხმას ვერ გაიგონებთ, გარდა წყლის შხაპუნისა და იშვიათად — მატარებლის ბორბლების მწყობრი კაკუნისა, როცა ის შორეულ ხიდზე გადის.

აქ ოდესღაც დადიოდნენ აფრიანი გემები — უწინდელი ფლოტის საცოდავი ნარჩენები; რაღაც ათიოდე წლის წინათ ცოტათი მაინც აცოცხლებდნენ მდინარეს, მაგრამ ახლა კვალიც არ დარჩენილა მათი. რამდენიმე კვირას რომ ელოდო, ძლივს დაინახავ გრძელ, ბრტყელცხვირა გემს, რომელიც ტვირთით ისე ღრმად იწევს ქვევით, რომ მატროსები ლატანებით უბიძგებენ ხოლმე დინების წინააღმდეგ და მოაჯირებზე დაცოცავენ, რათა ფეხები არ დაუსველდეთ.

უფრო ხშირად აქ ხალხს შეხვდებით; გრძელი ანკესებით შეიარაღებულნი, ისეთი ფილოსოფიური სიდინჯით სხედან ნაპირზე, ჭეშმარიტ დანიელს რომ შეეფერება და თამბაქოს იღეჭებიან. გვხვდებიან გველ-

თევზაზე მონადირენიც — ხან კაცები, ხან ქალები, წყალში წელამდე. მდგართ ლამიანი მღვრიე ფსკერიდან გველთევზათა ჯგრო ამოჰყავთ.

დაბოლოს, აქ შეიძლება შეხვდეთ მარტოხელა მონადირეს. აქაური მოსახლეობა მას საგანგებოდ უვლის გვერდს. ეს არის აწოწილი, ხმელ-ხმელი და პირქუში სუბიექტი, ჭაობის მაღალი ჩექმები აცვია, სიარულისას თავს მხრებში რგავს და დამფრთხალი შესახედაობა აქვს. მისალმებაზე ჩვეულებრივად არ პასუხობს. სახეზე მკვდრის ფერი ადევს, ცხვირი გაჭყლეტილი აქვს, ხოლო პირი არ უჩანს აბურძგვნილ წვერებში. სწორედ ეს გახლავთ კერსხოლმის მფლობელი ჰოფეჰერმეისტერი ფონ პრანგენი.

სანამ მისი ორი ჭრელი ძაღლი წკავწკავით ურბენს მდელოს და დროდადრო თქაფუნით იმალება ლელიანში, თავად დინჯად მიაბიჯებს მოკლე გზით. თოფი მხარზე უქმად უქანავებს, ხელები მონადირის გრძელი ქურთუკის ირიბად გაჭრილ ჯიბეებში ჩაუყვია. ყველა მიხვდება, რომ ეს კაცი სანადიროდ კი არა, უფრო იმისთვის გამოსულა, რათა საკუთარ თავთან და პირქუშ ფიქრებთან განმარტოვდეს.

ველის მცხოვრებნი ხშირად მარჩიელობენ, რაზე შეიძლება ფიქრობდეს ბატონი ჰოფეჰერმეისტერიო. ამ ადამიანის გაგება ყოველთვის უჭირდათ. ამ კაცში ითქოს ორი სხვადასხვა ადამიანი ცხოვრობდა. ეს გახლდათ მდუმარე ადამიანი, თვალებს რომ არიდებს ხალხს და ზოგჯერ ყბედ თანამოსაუბრედ და ტრაბახა კაცად რომ გადაიქცევა ხოლმე და რას აღარ მიედ-მოედება; მოკლედ, ნამდვილი ბარონი მიუნჰაუზენია. ერთ დროს ეგონათ, ეს კაცი ცოლმა გახადა ასეთი გულჩათხრობილიო, ახლა კი ფიქრობენ, ყველაფრის თავი და თავი მიზეზი დაუსრულებელი დავაა, გამუდმებით რომ აქვს ხოლმე ვინმესთან და თითქმის ყოველთვის რომ აგებსო. იმასაც ამბობდნენ, კუჭის რაღაც დაავადებაც სჭირსო — მართლაც, ხშირად უფრენიათ კაცი კერსხოლმიდან წამლისთვის სადგურის აფთიაქში.

საკვირველია, რომ ჰოფეჰერმეისტერი თავადაც ვერ აგიხსნიდათ თავისი დაღვრემილობის მიზეზს. მას შეეძლო მშვიდად მჯდარიყო თავის კაბინეტში და ეცქირა, როგორ იქსაქსებოდა მზეზე ყალიონიდან გამოსული ბოლის რგოლები, რომ უეცრად სევდა აიტანდა და ნათელ დღეს უბნელებდა. მაშინ დაიწყებდა ფიქრს იმაზე, თუ რა მოხდა და რაც უფრო მეტს ფიქრობდა, მით უფრო ღრმად ეუფლებოდა სასოწარკვეთილება.

კერსხოლმის საჯინიბოებსა და ბაღებს მაშინვე მოედებოდა, ჰოფეჰერმეისტერს კვლავ „მოუარაო“ და სადაც არ უნდა გამოჩენილიყო მისი წვივმაღალი ტანი, ყველა ცდილობდა კარგა მანძილით მორიდებოდა. ასეთ წუთებში, მისი ვეებერთელა შავ თვალის ბუდეებისა და ხარივით გახევებული კისრის დანახვაზე, გამბედავ კაცსაც კი შიში აიტანდა ხოლმე.

ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე ჭკვიანი ქალი იყო, ფრიად მოსწონდა თავისი დამოუკიდებლობა და მეუღლის განწყობილებებისთვის ანგარიშის გაწევას არ დაგიდევდათ. ამიტომაც, ჩვეულებრივ, თავი ისე ეჭირა, ვითომც აქ არაფერი მომხდარიყოს. ქალმა გამოცდილებით იცოდა, რომ მეუღლეზე ზეგავლენის მოხდენის ყოველი ცდა მხოლოდ აუარესებდა საქმეს. ქმარს კუშტი განწყობილება გარკვეული დროით ეწვეოდა ხოლმე და მერე ისე უკვალოდ და უეცრად უქრებოდა, როგორც მოუვლიდა. საოჯახო ტრაპეზებზე ჰოფეჰერმეისტერი მხოლოდ იმიტომ თუ გააღებდა პირს, რომ მორიგი ლუკმა გადაეყლაპა, საუბარს თვით ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე წარმართავდა და რაკი მეუღლის დაუოკებელი ხასიათის მოლბობას ცდილობდა, სადილად მის საყვარელ კერძებს უკვეთავდა. საქმე ის გახლდათ, რომ ჰოფეჰერმეისტერს ძალიან უყვარდა ჭამა და ძალზე შავი სევდაც ვერ უფუჭებდა მადას. ტკბილი ლუდისა და ბრინჯის ფაფის უზარმაზარი ულუფები, ვაშლისსაწებლიანი შემწვარი ხორცი, ჩამუშულკომბოსტოიანი გულღვიძლის ძეხვი და სხვა სანოვაგე ისე იცლებოდა მის კუჭში, გეგონებოდათ, პასტორის საწყობიაო.

ჭამის შემდეგ ჩვეულებრივ გავიდოდა თავის ოთახში, რომელსაც სასტუმრო ოთახიდან პატარა დარბაზი ჰყოფდა. მაგრამ ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე ძალიან მარჯვედ იქცეოდა და ყოველთვის ახერხებდა, რომ მის ქმარს კარი არ ჩაეკეტა და მსახურთა დასანახად არ განცალკევებულიყო.

ქალმა იცოდა, რომ მისი წარსულის და მათი ქორწინების შესახებ ძალიან ხშირად ზედმეტს ლაყბობდნენ. ამასთან ქალს სხვა მიზეზებიც ჰქონდა, რომ ქმართან სრული ნდობის შენარჩუნებას ცდილიყო.

ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე ოცდაათ წელს გადაცილებული ქალი გახლდათ, ბატონ პრანგენის ცოლი რომ გახდა. ამ ქორწინებას ქალის წრეში დასცინეს და გაოცდნენ კიდეც, რადგან პრანგენზე მხოლოდ ის გაეგოთ, რომ ეს კაცი უნიჭო იყო და ახირებული ლაპარაკი იცოდა. ჯერ

კიდევ მაშინ დაინტერესდა ხალხი ამ ქალის წარსულით. ლაპარაკობდნენ, რომ მისმა სილამაზემ ვნებით აანთო ერთი ფრიად მაღალი თანამდებობის პირი, მაგრამ ჰქონდა თუ არა ამ კაცთან ახლო დამოკიდებულება, ეს — ვაი რომ, არავინ იცოდა ხეირიანად. მიუხედავად ამისა, მსმენელები ჭეშმარიტად ტკბებოდნენ სიამოვნებით, ატაცებული მემამულე პრანგენი რომ თავისი მეუღლის სამეფო კარზე გავლენით ტრაბახობდა.

ქალი გათხოვების შემდეგაც ისეთ ცხოვრებას ეწეოდა, ხალხის მითქმა-მოთქმას ბოლო არ უჩანდა. რაკი ხშირად მიემგზავრებოდა ხოლმე ხან კოპენჰაგენში, ხან კი საზღვარგარეთ — წყლებზე, მის სახელს მიწის არისტოკრატიის ხან ერთ წარმომადგენელს უკავშირებდნენ, ხან მეორეს; იმათ სახელს, ვინც მშვენიერი სქესისადმი გულგრილად არ იყო განწყობილი. ეს ქალი მდევარს ისე მოხერხებულად დააყენებდა ცრუ კვალზე, სინამდვილე კვლავ არავინ უწყოდა. მისი ქმარი კი მთლიანად ჩაფლული იყო სადავო საქმეებში და კუჭის მოუნელებლობაზე ფიქრით იყო გართული, ამიტომ, გარდა იშვიათი შემთხვევისა, ცოლზე ეჭვი არ ეპარებოდა.

ახალგაზრდობაში ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე ფრიად თავქარიანულად ეკიდებოდა თავის მეუღლურ ურთიერთობას. ის სწორედ იმიტომაც გათხოვდა პრანგენზე, რომ თავის რომანების დასაფარ თეჯირად ექცია ქმარი. მაშინ ის საკუთარ თავქარიანობას იმით ამართლებდა, რომ ქმარიც არ დაზარალებულა მათი ქორწინებით: ცოლმა უშოვა მას გაცილებით უფრო მაღალი საპატიო წოდება, ვიდრე თავისი წარმოშობით, განათლებითა და შემოსავლით ეკუთვნოდა.

მერე წლებმა თავისი წაიღეს, სილხლი დაუცხრა და ნაგვიანევმა მონანიებამ ჭეშმარიტად მევახშური პროცენტებით წაუყენა ანგარიში. ხანში შესულობისას ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე მგზნებარედ გაიტაცა რელიგიამ, ქალი მეზობელი მრევლის პასტორის, ვინმე ბლომბერგის გავლენის ქვეშ მოექცა — პასტორი ბლომბერგი არ ეკუთვნოდა დამსჯელი ღმერთის გაშმაგებულ მქადაგებელთა რიცხვს, ასეთები მაშინ ძალიან ხშირად გვხვდებოდნენ და მათ შუასაუკუნეების აღდგენა სურდათ. ბლომბერგი, პირიქით, მეტად უბრალო და ადამიანური მღვდელი იყო, ვერ იტანდა ექსტაზსა და მაღალფარდოვნებას და სულით მხნე ნუგეშისმცემლის ნიმუშს წარმოადგენდა, სანიადაგდღეო სახარების

მქადაგებელს, ადამიანისაგან ყოველდღიურ ცხოვრებაში გასაღებ მსხვერპლს არ მოითხოვდა და ამიტომ ბევრი მომხრეც ჰყავდა.

ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე ენით ვერ აღწერდა, ისე მადლობელი იყო პასტორისა, რაკი მან შედარებით იოლად და უმტკივნეულოდ მოახსნევინა ქალს ცოდვათა ტვირთი. ქალს პირდაპირ შეუყვარდა ესოდენ გულის ამჩუყებლად აუხირებელი ახლადმოვლენილი ქრისტიანობა. თუმცა ზოგჯერ უჭირდა ლოცვის საათების დაცვა, ხან, უზენაესს რომ მიმართავდა, უცბად ვერ პოულობდა სწორ, ბავშვურად ალალმართალ ტონს, მაგრამ სამაგიეროდ გულმოდგინედ ადევნებდა თვალყურს ყველა საინტერესო მოვლენას, რაც ეკლესიას ეხებოდა. მისი ბინა სავსე იყო რელიგიური შინაარსის წიგნებით და ღვთისმეტყველური ჟურნალებით, ვიწრო წრეში რელიგიურ პაექრობებშიაც კი მონაწილეობდა და სულ უფრო და უფრო აშკარად გამოდიოდა ბლომბერგის რწმენის მისიონერად.

ქალი შეეცადა თავის ქმარზეც მოეხდინა გავლენა. მიუხედავად იმისა, რომ სულაც არ ეტყობოდა, მეტისმეტად განიცდიდა, ქმარი რომ ასეთი ცვალებადი ხასიათისა ჰყავდა. რელიგიის საკითხებში ბატონი ჰოფეჰერმეისტერი ტვინს არ ანძრევდა, მაგრამ ცოლს იმედი ჰქონდა, რომ დროთა განმავლობაში დასძლევდა მის გულგრილობას, აზიარებდა ქმარს ცოცხალი რწმენის სიხარულს და ამითი დაასაჩუქრებდა იმის სამაგიეროდ, რომ თავად ერთგული ცოლი არ იყო.

* * *

აი ამ სახლში და ამ ადამიანებთან გადაწყვიტა პერმა მოეძებნა თავშესაფარი, როცა ღამით ფარულად კატეჰატზე გააცილა კუბო დედის ცხედრით. დილით ადრე პერი გემიდან ფიორდის შესართავთან ჩამოვიდა და შუადღისას, ფიზიკურად და ზნეობრივად დატანჯული, უკვე კერსხოლმს უახლოვდებოდა.

აქ მას საგანგებო გულითადი მიღება ელოდა არა მარტო ჰოფეჰერმეისტერის მეუღლისა და მისი დის, ბარონესასაგან, აქამდე რომ სტუმრად იყო კერსხოლმში, არამედ თვით ოჯახის პატრონისგანაც, რადგან პრანგენმა ის-ის იყო შეიტყო, რომ წარმატებით მოიგო პროცესი ერთი გზისპირა თხრილის თაობაზე. ხშირად არ მთავრდებოდა ასე წარმატე-

ბით მისი ახირება, სამაგიეროდ, როცა ეს ხდებოდა, ჰოფეჰერმეისტერი აღფრთოვანებისაგან ჭკუას კარგავდა.

რათა პერისთვის მოვლენათა ვითარება გაეცნო, ჰოფეჰერმეისტერმა ის თავის ოთახში შეიყვანა, ისარგებლა მოხერხებული შემთხვევით და დაწვრილებით გააცნო მას სამი სხვა პროცესი, რომლებიც აგრეთვე მოიგო თავის ცხოვრებაში და რომელთანაც ერთი, ასე თქვა ჰოფეჰერმეისტერმა, იმდენად არაჩვეულებრივი და დაბნეული საქმე იყო, უმაღლესი სასამართლოს სხდომა სამ დღეს მიმდინარეობდა ამ საკითხზე.

პერი ფიქრებით ჯერ ისევ დედის კუბოს დასტრიალებდა და უხაროდა, რომ საშუალება ჰქონდა ხმა არ ამოეღო და ეფიქრა.

ჰოფეჰერმეისტერი არ იყო დაჩვეული ასეთ მომთმენ მსმენელებს და საუბრის მერე მეუღლეს უთხრა, შენი ახალგაზრდა მეგობარი ძალიან, ძალიან მომწონსო. სადილის დროს პერმა თავისი მომავალი გამგზავრების შესახებ წამოიწყო ლაპარაკი, ჰოფეჰერმეისტერმა თითქმის უფრო მეტი თავგამოდებით, ვიდრე სხვებმა, დაუწყო პერს შეგონება, კარგად დაისვენეთ კერსხოლმში სწორედ ახლა, დიდი ხნის ნანატრი ზაფხული რომ დადგაო.

პერის დაყოლიება სულ არ აღმოჩნდა ძნელი. მით უფრო, რომ კოპენჰაგენისკენ სულ არ მიუწევდა გული. პერი ფიქრობდა, ამაზე უკეთეს ადგილს სად ვიპოვი, რათა გადავლახო სულიერი კრიზისი, რის მოახლოებასაც წინასწარ ვგრძნობ? მას წყნარი, მყუდრო ოთახი მიუჩინეს მთავარი შენობის ფლიგელში, ფანჯრები ბაღში გადიოდა და მაღალი, ხშირფოთლიანი წაბლის ხეების ხეივანი დღის სინათლეს უჩრდილავდა. ოთახის შუაგულში ფხეკისაგან გადათეთრებულ იატაკზე მუხის კვადრატული მაგიდა იდგა, მრგვალი მკვრივი ფეხები რომ ჰქონდა, ხოლო მის ირგვლივ კი ოთხი მაღალზურგიანი სკამი. თეჯირს იქით საწოლი იდგა და საიმედოდ იცავდა მაღალი ძველებური ღუმელი, აბჯარში გამოწყობილი რაინდივით რომ ბრწყინავდა კუთხეში. ფანჯრებს შორის იაქთაღში წიგნებით სავსე თარო ეკიდა.

ოთახი პერს მაშინვე მოეწონა — აბა, რა შედარება იყო სასტუმროს დანომრილ და ერთფეროვან აპარტამენტებთან, რომლებში საცხოვრებლადაც ასე დიდი ხნით გასწირა ბედმა. მომწვანო ბინდ-ბუნდი კარგად ეხამებოდა პერის განწყობილებას, — სწორედ ასეთი პატარა სამალავი, ასე ბერივით განდგომა სჭირდებოდა ახლა მას ყველაფერზე უფრო მე-

ტად. განსაკუთრებით წიგნებმა გაახარა: პერმა მოასწრო და ბევრი წიგ-ნის ყდაზე ქადაგებათა და თეოლოგიის სხვა ნამუშევართა სათაურები წაიკითხა; ამ წიგნებზე გატაცებით უყვებოდა თავის დროზე ჰოფეჰერ-მეისტერის მეუღლე.

პერმა ტელეგრამა გაგზავნა კოპენჰაგენის სასტუმროში და სთხოვა გამოეგზავნათ ზოგი მისი ნივთი. იაკობას პერმა მისწერა დაწვრილებითი წერილი, სადაც ცდილობდა აეხსნა უეცარი გულისთქმა, რამაც აიძულა დედის ცხედარს გაჰყოლოდა და აცნობა ქალს, ვისარგებლე ამ შემთხვევით და შევასრულე დიდი ხნის მიცემული პირობა, ვინახულე ჩემი ნაცნობები, იტალიელი თანამგზავრებიო. კერსხოლმში დარჩენის თაობაზე პერი ჯერ მხოლოდ იმას სწერდა იაკობას, რომ დასვენება და ახალი მოგზაურობის წინ ძალის მოკრება მჭირდებაო. პერმა გადაწყვიტა, ზედმეტია დაწვრილებითი ახსნა-განმარტების მიწერა, რადგან იაკობა, სულ ერთია, ერთი წერილით ჩემი საქციელის ნამდვილ მოტივებს ვერ გაიგებსო. ისე რომ, უნდა დაეცადა, სანამ დაწვრილებით გაიგებდა ყოველივეს. რას იზამ, პერი და იაკობა სხვადასხვა სულიერ ნიადაგზე აღმოცენდნენ, აქედან წარმოსდგება სწორედ, რომ მათ ურთიერთობას შუადამ რაღაც აკლია. რაც არ უნდა გმირულად დაატანოს თავს ძალა ორივე მხარემ, ნატურათა ასეთი ღრმა განსხვავების გამო შეუძლებელია ჭეშმარიტი სიახლოვე.

საღამოთი, როგორც კი წერილი გააგზავნა, პერი თითქმის მაშინვე დამშვიდდა. მზის ჩასვლისას სასტუმრო ოთახში იჯდა მანდილოსნებთან ერთად და თავს ამ უჩვეულო გარემოში ისე წყნარად და მყუდროდ გრძნობდა, თითქოს საკუთარ სახლში იყო. პერი არც კი ცდილა ამ შთაბეჭდილების მიზეზი აეხსნა. აქ ყველაფერი შეერწყა ერთმანეთს: დაბალი, დაბინდული, მაგრამ ვრცელი ოთახები, მზის უკანასკნელი სხივების ანაბზინი ფანჯრის მინებზე, თვით ჰაერიც, ცოტა არ იყოს, შმორიანი და სამზარეულოს შემხუთველ სუნთან შერეული, — ერთი სიტყვით, ყველაფერი, სწორედ რომ ყველაფერი დედობრივად უალერსებდა მის გულს.

ჰოფეჰერმეისტერი ჯერ მათ გვერდით მოთავსდა, მაგრამ უეცრად საშინელი ბრაგაბრუგით წამოვარდა და სიმღერ-სიმღერით გაეშურა: დარბაზი გაიარა და თავის ოთახისკენ გაემართა. ყველა კარი კი ღია დატოვა. მერე მისი ოთახიდან მოისმა ფანჯრის გაღების ხმა, ეღრიალი და

კაკუნი. და უცბად მთა და ბარი გააყრუა ვალთორნის საყვირის მოწოდებამ.

იმ სასაცილო ფანტაზიათა შორის, რისი დახმარებითაც ჰოფეჰერმეისტერი გულდაჯერებული იყო ხოლმე, ერთი ფანტაზიაც გახლდათ: ეს კაცი თავის თავს სასულე ინსტრუმენტებზე დაკვრის უბადლო ოსტატად თვლიდა. მან ჯერ ნადირობის რამდენიმე ჰანგი ააყვირა, ტყიდან ექო გამოეხმაურა, თითქოს ეს ძველთაძველი წარსულის გამოძახილი იყო, როცა ჰოფეჰერმეისტერის წინაპრები უღრან ტყეში მიძვრებოდნენ და ბალახზე სისხლიანი კვალი მისდევდათ. ნადირობის სიგნალებს მოჰყვა პატრიოტული მარშები, რის შემდეგაც შემსრულებელი აიტანა მელანქოლიურმა მგრძნობელობამ, რაც უბრალო გულთა ჭეშმარიტ პოეზიას წარმოადგენს. ეს პოეზია საზარლად ეღერდა. დასასრულს შესრულებული იქნა მელოდია: „ახ, რა მშვენიერებაა, რომ ერთად მივდივართ!“ რათა კარგად გადმოეცა გულისამჩვილებელი გულითადობა ოჯახური კერის სადიდებელი ამ ძველებური ჰიმნისა, ჰოფეჰერმეისტერმა ისე ხმამაღლა დააყვირა საკრავი, ისე ყალბად უკრავდა და თანაც ისე სევდიან ფადასვლებს აკეთებდა, პერი იატაკს ჩააშტერდა, რადგან ეშინოდა, არ გადავიხარხაროო. ჰოფეჰერმეისტერის მეუღლემ, პირიქით, ჩაფიქრებულმა ნიკაპი ხელზე დააყრდნო და ნაზი, უწყინარი და უცოდველი ღიმილით იცქირებოდა ფანჯარაში.

ასე სასიამოვნოდ გაატარა რამდენიმე დღე პერმა ოჯახის პატრონთა შორის, ჰოფეჰერმეისტერი საუცხოო გუნებაზე იყო და პერს თავის სამფლობელოს ათვალიერებინებდა. ნასადილევს პერი წარმტაც მიდამოებში ორივე მანდილოსანთან ერთად დასეირნობდა. ხან მარტო იყო, ხან კი მმართველი ახლდა, მასავით ახალგაზრდა კაცი.

მცირე ხანში პერი ჯანზე მოვიდა. სახე ხელახლად ბრინჯაოსფრად გაერუჯა, როგორც მაშინ, იტალიიდან რომ დაბრუნდა, და ეს ძალიან უხდებოდა. სალამონებთან ურთიერთობის თაობაზე პერი ცდილობდა ძალიან ცოტა ელაპარაკა. ეს ჰოფეჰერმეისტერის მეუღლეს არ გამოპარვია და თავადაც აღარაფერი უკითხავს. დედამისზე და ან იმაზე, თუ რამ აიძულა იუტლანდიაში ჩამოსულიყო, პერი ამჯობინებდა არაფერი ეთქვა, რადგან დღემდე არ იცოდა, რას ფიქრობდნენ ეს მანდილოსნები მისი წარმოშობის შესახებ. მაგრამ ძალიან მალე მიხვდა, რომ ჰოფეჰერმეისტერის მეუღლეს უკვე გამოეძიებინა მისი ოჯახური ამბები და

როგორც ჩანდა, ყველაფერი გაეგო პასტორ ბლომბერგისაგან, ვისზედაც ასე მოწიწებით ლაპარაკობდა და ვინც ნამდვილად, პირადად იცნობდა პერის მამას. პერს ძალიან გაუხარდა, ეს არეული საკითხი რომ გაირკვა და დიდი მადლობელი იყო დიასახლისისა, ამ თემაზე შეკითხვებით რომ არ უწყალებდა გულს. ახლა პერს სურდა ასევე ადვილად მოეგვარებინა მეორე საჩოთირო საქმეც: ფულს დასესხებოდა მასპინძლებს.

პერი ჯერ აპირებდა ბარონესასთვის ეთხოვა ფული, ამიტომაც ჩამოვიდა აქ, მაგრამ მალე გადაიფიქრა. თუმცა მოხუცმა ქალმა პირველ დღესვე ხელახლა შესთავაზა პერს, ყველაფერში გაგიმართავ ხელსო და თავისი განზრახვაც კი აუწყა, ჩემს მემკვიდრედ უნდა გაგხადოო, მაგრამ პერს ახლაც იგივე გრძნობა აკავებდა, რაც რომში: არ უნდოდა უბედური გონებასუსტი მოხუცი ქალი მიცემული სიტყვით გამოეჭირა. მას ბარონესასთან მარტო დარჩენისაც კი ეშინოდა, რადგან ქალი მაშინვე საშინელი ინტიმური ტონით გაუბამდა ხოლმე ლაპარაკს. ბარონესა ორ თითზე დაიბჯენდა მაქმანებით მორთულ პატარა თავს და ფრიად მაღალფარდოვანი სიტყვებით ჩამოაგდებდა საუბარს თავის განსვენებულ ძმაზე, რასაც ამთავრებდა ჰერცის, კარლ ბაგერის და განსაკუთრებით პალუდან მიულერის ლექსების დეკლამაციით; მიულერის „მოცეკვავე ქალი“ ზეპირად იცოდა და თუ დასჭირდებოდა, ბექდვის დროს დაშვებულ შეცდომათა სიასაც ჩააჩარაკებდა.

პერი იძულებული იყო, ძალაუნებურად მთელი იმედები ჰოფეჰერმეისტერზე და მის ცოლზე დაემყარებინა. პრანგენთან უფრო თავისუფლად გრძნობდა თავის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მმართველმა ჰოფეჰერმეისტერის მეუღლის წარსული უამბო. ამ ნაამბობის შემდეგ პერი კარგად მიხვდა, რით მიიზიდა ასე ჰოფეჰერმეისტერის მეუღლემ იტალიაში. მიხვდა ამ ქალის ჩაფიქრებულობისა და მისი შემწყნარებლობის მიზეზსაც. ეს კი იმაში გამოიხატებოდა, რომ ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე, საბედნიეროდ, ფრიად მოწყალედ ეკიდებოდა ჩვენი ცოდვილი სხეულის სისუსტეების გამომეღვენებას.

თუმცა პერს წუთითაც არ ეპარებოდა ეჭვი, ეს ქალი რომ გულწრფელად ღვთისმოშიში იყო. ამიტომაც მისი სულის სხვა კეთილი თვისებებიც სწამდა და იმედოვნებდა, რომ მისი შემწეობით ჰოფეჰერმეისტერს და აქაურ დიდებულებს თავისი პროექტით დააინტერესებდა. სულაც არ დაირცხვენდა, ისე მიიღებდა ამ ადამიანებისაგან დახმარე-

ბას, მაშინ, როდესაც ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტა, აღარ ეთხოვნა მხარდაჭერა თავისი სიმამრისთვის. ყოველივე, რასაც იაკობას, ალბათ, ქორწილის შემდეგ მზითვად ან სხვა რაიმე საბაბით მისცემენ. იაკობას სრულ განკარგულებაში იქნება. ამიერიდან ვეღარავინ გაბედავს თქვას, პერი ფილიპ სალამონის ნასუფრალით ცხოვრობსო.

მაგრამ ჯერჯერობით შესაფერისი მომენტი არ ჩაუვარდა, რომ სესხზე ჩამოეგდო საუბარი. ძალიან ბევრი რამ აინტერესებდა პერს საკუთარ თავშიც და გარშემო სამყაროშიც. უპირველეს ყოვლისა ბუნება იზიდავდა. სამი დღის განმავლობაში მხოლოდ იმის თქმა მოახერხა ჰოფეპერმეისტერის მეუღლისათვის, რომ მსურს პირველ შესაძლებლობისთანავე გავემგზავრო ამერიკაში, რათა იქ შევავსო ჩემი ცოდნაო.

ნამდვილი ზაფხულის ამინდი იდგა, ის დრო იყო, ყველაზე მეტად რომ უხდებოდა ამ ადგილს. ტყეზე და მინდვრებზე ნორჩი ბალახი ბიბინებდა, მდელოები კი ყვავილოვან ხალიჩად ქცეულიყო. მამულის მმართველი და პერი თითქმის დამეგობრდნენ. პერი სიამოვნებით ატარებდა ნასადილევს დასვენების დროს მმართველის ოთახში, განცალკევებულ ფლიგელში. ოთახის ერთი ფანჯრიდან მოჩანდა სადღვებელი, სადაც ქობააკეცილი მწველავები თუნუქის ვედროებით დაფუსფუსებდნენ, მეორე ფანჯარა ეზოს კუთხეში გადიოდა, აქ, ნაკელის გროვასთან. ძროხებს უზარმაზარ კერსხოლმელ მედალოსან ხარებთან აგრილებდნენ.

პერი კბილებში სიგარას გაიჩრიდა, სავარძელზე გაწვებოდა და ერთობოდა აქეთურ-იქეთურზე უბრალო სოფლური საუბრით, ან შავ პუდელს — მმართველის ძაღლს და მის ლეკვებს ეთამაშებოდა. მმართველი აუღელვებელი იუტლანდიელი გახლდათ, იმ ადამიანთა ჯურისა, ვისაც მიუხედავად იმისა, რომ გული კეთილი აქვს, უყვარს ძვირის თქმა იმაზე, რასაც სხვები პატივს სცემენ. ვიზეც არ უნდა ჩამოვარდნილიყო ლაპარაკი, მმართველი მაშინვე მასხარად აიგდებდა და ეს ავგულობით კი არ მოსდიოდა, არამედ იმიტომ, რომ მოსწრებული სიტყვის თქმა სურდა. პერს სიამოვნებდა მასთან ყოფნა, უდარდელი ლაქლაქი ამ სოფლურ ფუსფუსში დარდიან ფიქრებს უფანტავდა.

საოცრად მომხიბლავი იყო მდინარეც, მისი წყლები ხომ აქედან სულ რაღაც ორმოცდაათი-სამოცი კილომეტრის მოშორებით პერის მშობლიური ქალაქის ნავსადგურის დამპალ ხიმინჯებს შხაპუნით

ასკდებოდა, მისი ფარული ჭანჭრობები და გაუვალი შამბნარი ხომ პერის ბავშვობის წლების სიამაყე იყო. ერთხელ პერმა ნაპირზე ჩარდახქვეშ ნავი აღმოაჩინა და ძველებურად მოუნდა თევზის ჭერა. მმართველის დახმარებით პერმა შეაგროვა აუცილებელი სათევზაო იარაღები და იმ დღიდან მოყოლებული ყოველ დღე, ანკესებით შეიარაღებული, რამდენიმე საათს მდინარეზე ატარებდა.

მაგრამ დღეები გადიოდა, ხოლო რელიგიური გარდატეხა, პერი რომ ასე მღელვარებით ელოდა, არ დამდგარა. მთელი ყუათი, იმ სამახსოვრო ღამეს გემის გემბანზე რომ დააგროვა, უზრუნველი ცხოვრებისაგან უკვალოდ გაქრა. ჰოფეჰერმეისტერის მეუღლეს რელიგიური ტრაქტატები ხელუხლებელნი ელაგა თაროზე. პერი მთელი დღე ფეხზე იდგა, საღამოთი შინ რომ ბრუნდებოდა, ანთებდა ლამპას, რათა წიგნს ჩაჯდომოდა და მხოლოდ რამდენიმე სტრიქონს თუ გადაავლებდა თვალს, მაშინვე ტკბილი თვლემა მოერეოდა და აიძულებდა დასაძინებლად დაწოლილიყო.

პერს ცოტათი კიდევაც მოენატრა იაკობა. ნავში რომ იჯდა, ან მზეს ეფიცხებოდა, ან ჩრდილში თავის საყვარელ ადგილას ტყის პირას ისვენებდა, დროდადრო მოუნდებოდა, ისიც გვერდით ჰყოლოდა, და ზაფხულის დღეების ნეტარება გაეზიარებინა მისთვის. იაკობას უეჭველად არგებდა ფილტვების გაწმენდა ნაპირის ქვიშიანი მტვრისაგან, ამ ბოლო დროს ქალს ძალიან ავადმყოფური შესახედაობა ჰქონდა. მეორეს მხრივ, ეს რომ შეეთავაზებინა, იაკობა ალბათ უარს იტყოდა. ჭკუაში არ დაუჯდებოდა პერის ცხოვრება ბალახზე თავქვეშხელებამოდებული კოტრიალი, ღრუბლების ფეხდაფეხ ცის უძირო სილურჯეში აზრებით თავისუფალი ცურვა, იმის. შეგრძნება, თითქო, უსასრულობაში ითქვიფები, — ეს სიამოვნება იაკობას არასოდეს არ ესმოდა. პერს გაახსენდა, რომ იაკობამ ერთხელ მისწერა, ზღვასავით მოუსვენარი სულის პატრონი ვარო. მართალს ამბობდა.

კარგ განწყობილებას დიდად უწყობდა ხელს ძალდაუტანლობა, რითაც აქაური ცხოვრება გამოირჩეოდა. ეს თავისუფლება ჩაცმულობაშიც იგრძნობოდა. ჰოფეჰერმეისტერი დილიდან სანადირო ჩექმებით დახეტიალობდა ოთახებში და სადილადაც კი არ იცვლიდა ტანსაცმელს. თვითონ ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე შინ დიდად არ ზრუნავდა თავის მორთულობაზე. ამ სოფლურმა თავისუფლებამ პერის გული მთლად მოინადირა, რადგან მეტად უმძიმდა პედანტური ეთიკეტის

დაცვა და ტანსაცმლის გამუდმებული გამოცვლა, როგორც სიმამრის ოჯახში, ისე მოგზაურობის დროს.

...ერთ ნათელი ზაფხულის დღეს, როცა მხარზე ანკესებგადაგდებული პერი შინ დაბრუნდა, ჰოფეჰერმეისტერის მეუღლესთან ვიღაც ქერათმიანი ქალიშვილი ნახა. ქალს ბაცი ფერის ლურჯზოლებიანი კაბა ეცვა. ისა და ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე გრძელ ალვის ხის ხეივანში მიდიოდნენ, მდელოდან პარკისკენ მთავარი შენობის წინ რომ მიემართებოდა. ხელგადახვეულნი მოსეირნობდნენ და შეყვარებულ წყვილს ჰგავდნენ.

— კოპენჰაგენელი ინჟინერი სიდენიუსი, — ფრიოკენ ბლომბერგი, — ნაჩქარევად გააცნო ერთმანეთს ჰოფეჰერმეისტერის მეუღლემ და დაუმატა, თვით პასტორ ბლომბერგი ახლა ჩემს მეუღლესთან ზის და უეჭველად მოხარული იქნება პერის გაცნობისო.

პერმა პარკის გავლით თავის ოთახში რომ მიდიოდა, ერთი მაგრად შეიკურთხა. გადაწყვიტა, ახლა კი მორჩა ჩემი უშფოთველი დღეებიო. წინასწარ ვერ იტანდა პასტორს, ვისაც, ეტყობოდა, ამ ოჯახში ძალიან დიდ ანგარიშს უწევდნენ. მხოლოდ მერე მიხვდა პერი, ვინც იყო ის. პერს გაზეთებში წაკითხული ჰქონდა, რომ ბლომბერგი თანამედროვე ეკლესიის მრავალრიცხოვან მიმართულებათაგან ერთერთი მიმართულების ნიჭიერი წარმომადგენელი იყო. ბუნდოვნად გაიხსენა ისიც, რომ ბლომბერგის მოღვაწეობა კამათის საგნად იქცა მათ ოჯახში, რადგან მისი ძმა თომასი, ქორეპისკოპოსი, მეტისმეტად ცხარედ იცავდა ბლომბერგის თეორიას, მამას კი ეს ჭკუაში არ მოსდიოდა.

სიამოვნებით მოიცდიდა თავის ოთახში პასტორის წასვლამდე, მაგრამ ჰოფეჰერმეისტერის მეუღლემ თუმცა ალერსიანად, მაგრამ ისეთი ტონით უთხრა პასტორი მოხარული იქნება გაგიცნოსო, პერი მის ნათქვამს ვერ გადავიდოდა.

პერმა მართლაც ჰოფეჰერმეისტერთან მიუსწრო პასტორს. ერთმანეთის პირდაპირ მაგიდას მისხდომოდნენ, ყავას შეექცეოდნენ და თან თამბაქოს აბოლებდნენ. გამოჩნდა თუ არა ყმაწვილი კაცი, ლაპარაკი შეწყდა, აშკარა იყო, მის მოსვლამდე სწორედ პერზე საუბრობდნენ.

ბლომბერგის გარეგნობამ პერი პირველად ცოტა არ იყოს, გააკვირვა; მას იმდენი რამ უთხრეს კერსხოლმში ეკლესიის დიდ რეფორმატორზე და მისი ბრძოლის შესახებ იმის თაობაზე, რასაც ღვთაებრივ მოვლენებზე ადამიანური შეხედულება ჰქვია, რომ პასტორი სკანდინა-

ვიის მოციქულად, ქრისტიანულ ვიკინგად წარმოედგინა, ამის მაგიერ კი დაინახა პატარა, ფუნჩულალოყებიანი ჩასუქებული კაცუნა, ვინც შესახედაობით არაფრით არ განსხვავდებოდა რომელიც გნებავთ დანიელ გულკეთილ და მასლაათისმოყვარულ მღვდლისგან. წვერები და ძენძივით თმა ჩარჩოსავით შემორტყმოდა დიდ სახეზე. ნათელი ცისფერი თვალები წყლის წვეთებივით უციმციმებდა და შიგ ცის თაღი ერეკლებოდა. მაგრამ ბლომბერგის ტანსაცმელსა (შავი ლასტიკის მოკლე ქურთუკი ეცვა) და იმაში, რომ სავარძელში თავისუფლად გადაწოლილი აბოლებდა დაღეჭილ სიგარას, გამოსჭვიოდა აშკარა სურვილი, უარეყო იმ „წმინდაობის“, ღირსების ყველა ნიშანი, რის აბუჩად აგდების ნებასაც, მის კოლეგათა დიდად სამწუხაროდ, თავს აძლევდა, და მაინც. ვინც არ უნდა დაკვირვებოდა ამ კაცს, მაშინვე მიხვდებოდა, რომ სასულიერო პირთან ქონდა საქმე. ბლომბერგის მთელი გარეგნობა თითქოს ასხივებდა პატრიარქალურ გულდაჯერებულობას, რაც ისევე დამახასიათებელია თვითეული ეკლესიის მსახურისთვის, როგორც ობის სუნი ყველა ეკლესიისთვის, მიუხედავად ბოლო დროს გამოგონილი გასათბობი და სავენტილაციო საშუალებებისა.

პასტორი ბლომბერგი გაჭირვებით წამოდგა პერის შესახვედრად და სოფლური გულთბილობით ჩამოართვა ხელი.

— მაშ ასე, — თქვა მან და მოურიდებლად აათვალიერ-ჩაათვალიერა პერი. — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს მხარეში, ბატონო ინჟინერო.

პასტორმა ეს სიტყვები ისეთი მფარველური თუ, უფრო მეტად, თანამგრძნობი ტონით წარმოთქვა, პერმა უნებლიედ ყური ცქვიტა.

— სიდენიუსის სახელი, ცხადია, ჩემთვის ცნობილია, — განაგრძო პასტორმა. — თუ აღარაფერს ვიტყვით პირადად თქვენზე, მამათქვენი ჩვენს წოდებაში ფრიად პატივსაცემი პირი იყო. თუმცა ჩვენ ამდენი წლების განმავლობაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეზობლები ვიყავით, მაგრამ მე მას პირადად არ ვიცნობდი. ჩვენ ეკლესიის სიკეთენი სხვადასხვანაირად გვესმოდა, მაგრამ მე მაინც დიდად ვაფასებდი განსვენებულს. დაუღალავი, მშრომელი კაცი იყო.

პერმა არაფერი უპასუხა. პასტორი ხელახლა დაჯდა და წუთით ყველა დადუმდა. მერე პასტორი ჰოფეჰერმეისტერს მიუბრუნდა და ლაპარაკი აქაურ ამბებზე ჩამოაგდო.

პერი ფანჯარასთან დაჯდა და სიგარა გააბოლა. თანამოსაუბრეები-

სადმი ნახევრადპირმობრუნებული იჯდა და სახლის წინ დიდ გაზონს გასცქეროდა, რომლის შუაგულს მოოქვრილი მზის საათი ამშვენებდა.

პერმა დაინახა ჰოფეჰერმეისტერის ცოლი და ისევ ის ქალიშვილი; ქალები ხეივნიდან გამოვიდნენ და გაზონის მეორე მხარეს, ტოტებგაშლილი წიფლის ჩრდილში, სკამზე ჩამოსხდნენ. ჰოფეჰერმეისტერის მეუღლემ ქოლგა დაკეცა, ხოლო მისმა თანამგზავრმა თავისი ფართოფარფლებიანი ჩალის შლიაპა გვერდით დაიდო სკამზე და შუბლიდან კულული გადაიგდო.

პერმა გადაწყვიტა კარგად დაეთვალიერებინა პასტორის ქალიშვილი. ასე იტყოდით, თვრამეტ-ცხრამეტი წლისა იქნებაო და ქერა თმის გარდა არაფრით არ გავდა მამას. ეს გახლდათ მაღალი, ოდნავ აწოწილი, მაგრამ კარგი ტანადი ქალიშვილი. პერმა ასე შორიდან ვერ მოახერხა მისი კარგად დათვალიერება, მაგრამ ძალზე მიმზიდველი კი ეჩვენა. ქალი ოდნავ წინ წახრილი და ფეხიფეხზე გადადებული იჯდა ხის ჩრდილში, ხელში მოწყვეტილი ყვავილი ეჭირა და დროდადრო ყნოსავდა. ძალიან მეოცნებე შესახედაობა ჰქონდა. ჰოფეჰერმეისტერის გაფუებული მეუღლის გვერდით, მაღალ მკერდზე ფოლადის ჯაჭვანივით რომ შემოჰკვროდა პრიალა რუხი ფერის აბრეშუმი, ჰაეროვანკაბიანი ქალიშვილი თითქმის უსხეულო ჩანდა.

პერმა გაიფიქრა, ვიღაცას მაგონებს ეს ქალიშვილიო. ამ აზრმა ჯერ კიდევ მაშინ გაუელვა, ხეივანში რომ შეხვდა ქალს. შველივით ტანად მხრებდაბალ ყმაწვილ ქალს თითქმის ვერცხლისფერი თმა დაზვინოდა თავზე. პერს მოეჩვენა დიდი ხანია ამ ქალს ვიცნობო და დაღონდა.

ამასობაში პასტორი ადგა და წასასვლელად მოემზადა. თქვა, მეზობლად ავადმყოფი მყავს სანახავი, ჩემს მრევლში ერთ მწყემსს გამძვინვარებულმა ხარმა ურქინაო. უკან დაბრუნებისას გამოვუვლი ქალიშვილსო.

გამოთხოვებისას მან ისევ მიამიტად აათვალიერ-ჩაათვალიერა პერი და უთხრა, თუ ბესტრუპში ჩემს კარმიდამოსთან გავლა მოგიხდეთ, ძალიან მოხარული ვიქნებოდი თქვენი ნახვისაო.

— მე ვიცი, — გაბედულად დაუმატა მან, — რომ კოპენჰაგენელი ახალგაზრდები ჩვენს დროში ეკლესიას ბნელეთის ტაძრად თვლიან, ხოლო პასტორის სახლს — მის კარიბჭედ. მაგრამ, იქნებ არც ისეთი ცუდები ვიყოთ, როგორებიც თქვენს კოპენჰაგენის პრესას და ლიტერატურას სურს გამოგვსახოს. თუმცა, თავად განსაჯეთ.

პასტორის მფარველური ტონის მიუხედავად, პერმა ახლა კი საჭიროდ ჩათვალა მისთვის ხელის ჩამორთმევა და მადლობის სიტყვებიც ჩაიბურდღუნა. ქალიშვილი მოეწონა და უნებლიედ ამ თავდაჯერებული კაცის მიმართაც სიმპათია იგრძნო.

ჰოფეჰერმეისტერმა პასტორი გააცილა. პერმა კი იტალიიდან ჩამოტანილი ჩალის ქუდი დაიხურა და აივანს გაჰყვა. აივნის საფეხურებზე შეჩერდა და თვალი გაუშტერა ცას, თითქოს ეჭვადაც არ იცოდა, ქალები რომ იქ იყვნენ.

ჰოფეჰერმეისტერის მეუღლემ დაუძახა პერს.

— აბა, გამოიცანით ვის გავხართ, ფრიოკენ ბლომბერგის აზრით? — ჰკითხა მან.

ყმაწვილი ქალი ცეცხლივით წამოენთო და შეეცადა ჰოფეჰერმეისტერის მეუღლისათვის პირზე თავისუფალი ხელი მიეფარებინა, — მეორე ხელი მუხლებზე ედო.

— სულიკო, რატომ არ შეიძლება ვუთხრათ? ჩემის აზრით, ეს ძალიან მოსაწონია. ფრიოკენ ბლომბერგი ამბობს, რომ თქვენ ნაბობს გავხართ. მართალს ამბობს, დღეს თქვენ მართლაც რაღაცნაირი ეგზოტიკური შესახედაობა გაქვთ.

— ნაბობს? — გაიმეორა პერმა და თვალი შეავლო თავის ბაც ყვითელ თივთიკის კოსტუმს. ეს კოსტუმი პერმა იტალიიდან ჩამოიტანა და რაკი ძალიან ცხელოდა, დღეს პირველად ჩაიცვა. — თქვენ, ცხადია, გინდათ მაამოთ. ვაი რომ, მილიონები მაკლია, თორემ მთლად ნაბობი ვიქნებოდი.

— მილიონები გექნებათ, — ცოტა არ იყოს სინანულით მიუგო ჰეფეჰერმეისტერის მეუღლემ.

ეს სიტყვები მას თითქმის უნებლიედ წამოსცდა. მაშინვე ინანა ნათქვამი და საუბრის თემა გამოცვალა, თავაზიანად მოიწვია პერი თავიანთ გვერდით, — ბალახში მერხთან სწორედ გასაშლელი სკამი იდო.

პერისთვის ეს გადაჯრული სიტყვებიც საკმარისი იყო, რომ განწყობილება გაფუჭებოდა. მიხვდა, რომ მის მოსვლამდე ქალები პერის ნიშნობაზე ლაპარაკობდნენ და რომ მათ, ცხადია, არ დაავიწყდებოდათ მისი სიმამრის ფულების დათვლა. როგორც ჩანდა, ხალხი ამ ფულებსა და პერის ნიშნობას ერთიმეორისგან არ ანცალკევებდა. გაიფიქრა, ფრიოკენ ბლომბერგმა რომ ნაბობს შემადარა, ამით სულაც არ უთქვამს ჩემთვის ქათინაურიო.

პერი მახლობლად ჩამოჯდა და თვალიერება დაუწყო ყმაწვილ ქალს. ახლა, ახლოს ყოფნისას, შეეძლო უფრო დაკვირვებოდა და მცოდნეს თვალით შეეფასებინა მისი გარეგნობა. თუმცა ნაკლი ძალიან ცოტა მოუძებნა. მიუხედავად იმისა, რომ ცუდ გუნებაზე იყო, პერს გულწრფელად გაუკვირდა, რატომ თავიდანვე ვერ შევნიშნე, რა ლამაზია ეს ქალიშვილიო. მერე რა ნათელი და უმანკო თვალები ჰქონდა! რა ლამაზი, ნაზად მოხაზული პირი, იქნებ ოდნავ პატარა და უფერული, მაგრამ სამაგიეროდ ყვავილივით სუფთა და ქორფა.

ლაპარაკი ჩამოვარდა იმ უბედურ შემთხვევაზე, ახლახან რომ აცნობა პასტორმა. ქალიშვილი ლაპარაკში ისეთ გამოთქმებს ხმარობდა, რომ საეჭვოდ მოგაგონებდათ მამამისის სტილს. ქალი ყვებოდა „ულრმესი სიბრალულის ღირს ადამიანზე“, ვისაც ისე ჰქონდა დაჭრილი მუცელი, რომ ექიმს მისი გადარჩენის იმედი დაეკარგა. მაგრამ პერი უყურადღებოდ უსმენდა, მას უცებ გაახსენდა, ვის აგონებდა ქალიშვილი; რა თქმა უნდა ფრანცისკას, მის ნიუბოდერელ შეყვარებულს. „ღმერთო ჩემო! — გაიფიქრა მან და გული სინაზით აევსო — რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ“.

მანდილოსნები განაგრძობდნენ გაცხოველებულ საუბარს. პერი ერთ ხანს მთლად მოგონებებში ჩაეფლო. თანაც თვალს არ აშორებდა პასტორის ქალიშვილს, თუმცა ამ უკანასკნელს ერთხელაც არ შეუხედავს მისთვის, და თითქოს ვერც კი ამჩნევდა, რომ ათვალიერებდნენ.

„კი — ფიქრობდა პერი თავისთვის, — საოცრად ჰგავს. ისეთივე მაღალი და წარმოსადეგია, მაგრამ ფრიოკენ ბლომბერგს უთუოდ უფრო თხელი სახის ნაკვთები და უფრო მოყვანილი ტანი აქვს, ეს ქალიშვილი, ასე ვთქვათ, გაუმჯობესებული ფრანცისკაა, მიმიკითაც ფრანცისკას მაგონებს: როცა იღიმება, ენის წვერს ზედა ტუჩზე ისვამს, თითქოს ილოკავს ღიმილს“.

— აგრილდა, მეგობარო, ხომ არაფერი მოგახუროთ მხრებზე? — ჰკითხა ჰოფეჰერმეისტერის მეუღლემ ქალიშვილს.

მზე პარკის ხეების უკან დაიმალა. აქ, ხშირი ფოთლების ქვეშ, მიწის ნესტი დატრიალდა.

— სრულებით არ მცივა, ისე მყუდროდ მოვეწყე, — უპასუხა გაბარებულმა ქალიშვილმა, რადგან ჰოფეჰერმეისტერის მეუღლემ ხელზე გადაუსვა ხელი.

— მაინც არ იქნებოდა ურიგო, შალი წამოგესხა. ალბათ, სასტუმრო ოთახში დატოვე, არა?

პერი წამოდგა.

— მე მოვიტან, — თქვა მან.

მაგრამ ყმაწვილი ქალი წამოხტა.

— თქვენ ვერ იპოვით, — მიაძახა ქალიშვილმა და თითქოს შიშობდა, პერი არ დამედევნოსო, ხელად გავიდა პატარა მინდორზე.

— ხომ მართლაც საყვარელი გოგონაა? — ჰკითხა ჰოფეჰერმეისტერის მეუღლემ, ქალიშვილი რომ თვალს მიეფარა და პერი ისევ თავის ადგილზე დაჯდა.

— ძალიან ლამაზია, — მოკლედ მიუგო პერმა.

— რა თქმა უნდა. ხასიათი ხომ მართლაც მშვენიერი აქვს. ალალია და პირდაპირი. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯანზე ვერ არის.

— ნუთუ ავადაა?

— მთელი ზამთარი ტიფით იყო ავად. ასე ამბობს, სამი თვის განმავლობაში სიკვდილთან უფრო ახლოს ვიყავი, ვიდრე სიცოცხლესთანო. განა არ ეტყობა?

— რა თქმა უნდა, არაამქვეყნიურს კი ჰგავს, მაგრამ ავადმყოფური შესახედაობა აქვსო, ვერ იტყვი....

— კი, მადლობა ღმერთს, საშიშროებამ გაიარა, ხოლო დანარჩენს — ზაფხული დააბოლოებს. საყვარელი ბავშვი ისეთი ნუგეშია ყველა ჩვენთაგანისთვის და თავადაც ისეთი მადლიერია, რომ ცოცხლობს ამ ქვეყანაზე, ასე მადლიერი შეუძლია იყოს ის, ვინც ახალგაზრდობისას კინაღამ გამოეთხოვა სიცოცხლეს და ამასთან ვისაც უნარი აქვს, სიცოცხლე უდიდეს ღვთის წყალობად ჩათვალოს. ასე გახლავთ, ბატონო სიდენიუს.

პერმა თვალი აარიდა. ბოლო დროს, ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე რომ რელიგიაზე წამოიწყებდა ლაპარაკს, პერი დაირცხვენდა ხოლმე.

— ფრიოკენ ბლომბერგი, როგორც ჩანს, ძალიან დაახლოებულია თქვენთან, — შენიშნა მან, რადგან უნდოდა საუბრის თემა შეეცვალა.

— დიახ, საყვარელ ბავშვს უყვარს ჩვენთან ყოფნა. ამბობს, კერსხოლმში კარგად ვგრძნობ თავსო. ცხოვრება მისი მშობლების სახლში, მე მგონია, ცოტა არ იყოს ერთფეროვანია ასეთი ახალგაზრდა ქალიშვილისათვის. საერთოდ კი კარგია მაგათთან ყოფნა. თქვენ როდისმე

უნდა შეიაროთ პასტორ ბლომბერგთან. უეჭველად ძალიან ესიამოვნება თქვენთან საუბარი.

ბილიკზე მებაღე გამოჩნდა, მოვიდა და სკამიდან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით გაჩერდა.

— რა მოხდა, პეტერსენ? — ჰკითხა ჰოფეჰერმეისტერის მეუღლემ.

მებაღემ თავიდან ქუდი მოიგლიჯა და ცოტა ახლოს მივიდა. თურმე მას უნდოდა მისი კეთილშობილებისთვის ეთხოვა, როცა მოიცლიდა წყალობა მოეღო და ერთი წუთით შეეხედა ბოსტანში.

— ახლავე მოვალ, — მიუგო ჰოფეჰერმეისტერის მეუღლემ. მებაღეს ისე დაელაპარაკა, ეტყობოდა, ამ ქალს საკუთარ მსახურთა გარდა თავის ქრისტიან ძმებად მიაჩნდა ყველა.

ცოტა ხნის შემდეგ ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე ადგა და წავიდა. ამ დროს ყმაწვილი ქალი დაბრუნდა და საშინლად ეწყინა, რაკი ნახა, მარტო დატოვეს პერთან. აკანკალებული ქალი ორივე ხელით ჩააფრინდა სკამს, გაწითლდა კიდევაც, გაფითრდა კიდევაც და ბოლოს, ვიდრე ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე თვალს მოეფარებოდა, დაასწრო და დაუძახა — ნებართვა სთხოვა, მეც წამოგყვებითო.

ჰოფეჰერმეისტერის მეუღლემ პირის გაღებაც ვერ მოასწრო, რომ ქალიშვილი წამოხტა და გამოუდგა.

— შენი სირბილი ხომ არ შეიძლება, — შეაჩერა ჰოფეჰერმეისტერის მეღლემ.

პერმა თვალი გააყოლა ქალს და ჩრდილმა გადაუარა სახეზე.

ქალიშვილის უცნაურმა შიშმა სევდიანი მოგონებები გაუღვიძა. აი, ასევე გაურბოდნენ მასთან მარტო დარჩენას მისი ძმები და დები, განსაკუთრებით იმ დღეებში, როცა მამა დილის ან დღის ლოცვისას ტუქსავდა. ასევე მოხდა სულ ახალახანაც, ტყუპები რომ შემოხვდა, — ძმები ძალიან შეკრთნენ და თავის მაღლა აწევაც ვერ გაბედეს.

ნაბობი! დიდი პატივისცემის გამო არ უწოდებია ამ გოგონას მისთვის. ისე გაიქცა, თითქოს პერი ადამიანი კი არა, წყვდიადის მეუფე იყო. მერე რა მოხდა? განა ღირს სერიოზული აღელვება იმის გამო, რას ფიქრობს მასზე ვიღაც პასტორის ქალიშვილი? როდის იყო, პერს ირგვლივმყოფთა აზრი აინტერესებდა? როდის მოასწრო ასე დაცემა? თუ სხვა რამ არის ამის მიზეზი? განა პერს თავად არ რცხვენია, გამუდმებით დაუღალავად რომ ეძებს ბედნიერებას?

მაგრამ არა ღირს ამგვარ ფიქრებს აჰყვეს. რაც შეიძლება მალე

უნდა გათავისუფლდეს ზედმეტი მგრძნობიარობისაგან, ამ ბოლო დროს ისედაც მთლად განწყობილებათა ახირებულ ცვალებადობის ტყვეობაშია. დროა, ბოლო მოუღოს უსაქმობას და ხელახლა შეუდგეს მუშაობას. თუკი რაიმე შესცოდა ხალხის ან საკუთარი თავის წინაშე, თავისი ბრძოლით, უანგარო გულმოდგინებით და თავის სიცოცხლის განმავლობაში რაც შეიძლება მეტი სიკეთის და სარგებლობის მოტანის დიდი სურვილით შეეცდება გაიმართლოს თავი, თუკი დიდი გამარჯვებების მოპოვება არ უწერია.

სახლში ფანჯარა გააღეს.

ალბათ ბარონესამ გაიღვიძა ნასადილევს ხანგრძლივი ძილის შემდეგ. ცოტა ხნის მერე აივანზე გამოვიდა ბარონესა. არშიიანი მანტილია თვალწარმტაცად წამოეხურა და ესპანურ ყაიდაზე უკან დაემაგრებინა თმასთან. სახეზე ბლომად მიეყარა პუდრი, ამას სჩადიოდა მუდამ საღამოს, რათა დღისით სახეზე გამოსული წითელი ლაქები დაეფარა.

პერი მაშინვე დაიმალა. არ უნდოდა მარტო დარჩენილიყო ნახევრად გიჟ ქალთან, ნელ-ნელა გავიდა პარკიდან და მინდვრების და მდელოების გასწვრივ ტყისკენ მიმავალ შარაგზას დაადგა.

წყნარი და ნათელი ზაფხულის საღამო იდგა, ერთ-ერთი იმ მშვიდ საღამოთაგანი, მაინც რომ ავისმაუწყებელნი არიან. ჩამქრალი, უმთვარეო და უვარსკვლავო ცის ქვეშ მდუმარე, უდაბური, უჩრდილო ვაკე გაშლილიყო. შეუმჩნევლად ჩავიდა მზე და ჰორიზონტზე მხოლოდ მოწითალო ბოლი დარჩა. ცაზე ერთი ღრუბელიც არ იყო, რომ ჰორიზონტს მიღმიდან ამდგარი სხივები დაეჭირა და წამავალ დღის უკანასკნელი სალამივით გადაეტყორცნა დედამიწაზე. მხოლოდ ბორცვებზე აქა-იქ გამოჩნდა შუქი ფანჯრებში — და მეტი არაფერი.

მაგრამ მზე ჩავიდა თუ არა, მდინარის ველმა თავისი იდუმალი ცხოვრება დაიწყო. მდელოები რუხმა წყვდიადმა მოიცვა და მალე ვრცელი ველი ნისლის ზღვაში ჩაიძირა. გეგონებოდათ, დაღამების გამო რაღაც იდუმალი ძალით ამოძრავებული ფიორდი ძველ კალაპოტს დაეუფლაო. მკრთალი ნისლი ბორცვებს შორის მოჩვენებით ზღვასავით გაქრა.

მერე უცებ ყველაფერი გამოცოცხლდა, ნისლიდან რქიანმა თავმა ამოყვინთა და დაიღმუვლა. მის გვერდით ნისლში ადამიანის ტანის ზედა ნაწილი გაჩნდა, ქვევით ტანი მხეცს მოგაგონებდათ და აწეული კუდით ბოლოვდებოდა. მალე პერს რქიან თავთა მთელი გროვა შემოერტყა

გარს. ცხოველები კისრებს იჭიმავდნენ და ნესტოებიდან ორთქლი გამოსდიოდათ. ადამიანი თავს ზემოთ რაღაცას იქნევდა და ხრინწიანი ხმით ყვიროდა. უნებლიედ მოგაგონდებოდათ კენტავრის ბრძოლა ზღვის ურჩხულებთან. სინამდვილეში კი სამასძროხიანი კერსხოლმის ჯოგი შინ ბრუნდებოდა და მას მხარზე მათრახგადაგდებული მწყემსი მოერეკებოდა. გზიდან ისე ჩანდა, თითქოს ძროხები კი არ მოდიოდნენ, მოცურავდნენ. მხოლოდ მათი თავები და ზურგები ირხეოდა მოჩვენებით ზღვაზე.

პერი დასასვენებლად გზისპირა რუსთან ხის ქვეშ მდგარ სკამზე ჩამოჯდა, ხელები თავქვეშ ამოიდო და თვალები ჯოგს გააყოლა, სანამ ნისლში არ მიიმალა. ტყისკენ მიმავალმა ყვავების გუნდმა გადაუფრინა თავს. სიხარულით ჩხაოდნენ და თავიანთ ბუდეებს თავს დასტრიალებდნენ. სადღაც ახლოს ბაყაყი ყიყინებდა. მეტი არაფერი არღვევდა სიჩუმეს.

პერი სიმარტოვის გრძნობამ აიტანა. გაახსენდა საღვთო წერილის სიტყვები: „მელთა ხურული უჩნს და ფრინველთა ცისათა საყოფელი“. მას კი მთელ დედამიწაზე არა აქვს ადგილი, ტკბილი ან ცოცხალი მოგონებები რომ აკავშირებდეს მასთან. და მომავალ მოგზაურობაზე რომ ფიქრობდა, მიხვდა, მისთვის სულ ერთი იყო, სადაც იქნებოდა. ატლანტის ოკეანეში თუ სამხრეთ ამერიკის პრერიებში არა ნაკლებ მარტოხელა იქნება, ვიდრე აქ, თავისი სამშობლოს გულში.

ახლა მოაგონდა სხვა ნათქვამიც და ჟრუანტელმა დაუარა მთელ ტანში. ეს გახლდათ ბიბლიური კრულვა, ოდესღაც მამამ რომ დასწყევლა: „განდევნილი ყარიბად იხეტიალებს ქვეყნად ის, ვინც ღვთის ნებას გადავა“.

მამის სიტყვები ახდა. მისმა ვაჟმა კაენის ბედი გაიზიარა.

პერს ხელახლა თვალწინ წარმოუდგა ფრანცისკას მომაჯადოებელი სახე, ნიუბოდერის ყვითლად შეღებილი სახლები და მწვანე ბაღები გაფისულ მესერებს გადაღმა. აბა, ერთი კარგად გაიხსენოს, როგორ უყვარდა ფრანცისკა. განა ისე ადვილი იყო მისი გაზაფხულივით ნორჩ სიყვარულზე უარის თქმა! რასაკვირველია, პერმა კარგად იცოდა ეს და არც არაფერი წაუგია. იაკობა განუზომლად უფრო მეტად საინტერესო ადამიანია და პერის განვითარებაში უაღრესად დიდი როლი შეასრულა, მაგრამ იყო კი მათ ურთიერთობაში თუნდაც ერთი მოკლე წამი, როცა ისინი განუყოფლად ეკუთვნოდნენ ერთმანეთს არა მარტო სხეულით,

არამედ სულითაც? როცა შედარებისთვის პერმა გაიხსენა, რა უდარდელად დასეირნობდნენ ისა და ფრანცისკა ნავით ოქროსფერ ტბაზე ან ის სევდიანი წუთები, ესტერვოლესთან ხეებით დაჩრდილულ ხეივანში რომ მხიარულად გამოეთხოვენ ერთმანეთს, მოეჩვენა, რომ სწორედ მაშინ გაირბინა მისი მშფოთვარე და უსიხარულო სიჭაბუკის ყველაზე ბედნიერმა დღეებმა. ნეტავ თუ გათხოვდა ფრანცისკა? მერე ფრანცისკაზე მეტად ვის ეკუთვნის კარგი ქმარი? იქნებ ახლა, სწორედ ამ წუთას, სადმე მიყრუებულ ადგილას — ბედნიერი მეუღლე და დედა — მკერდში იკრავს ბავშვს? პერმა გაიფიქრა, რომ ნიუბოდერში შეიძლება გაიგოს, ცხოვრობს თუ არა ფრანცისკა ძველებურად თავის მშობლებთან კიერტემინეში და საერთოდ რა ბედი ეწია. თუმცა ძველი სახლი ხიერტენსფრიუდსჰადეზე უკვე დაცარიელდა: ქალბატონმა ოლუფსენმა თავისი ბოცმანი „უკანასკნელ რეისზე“ რომ გააცილა, თავადაც უკან გაჰყვა ამ შემოდგომაზე. თუმცა იქ, ალბათ, მაინც იპოვის პერი ვინმეს და გაიგებს ფრანცისკას ამბავს.

პერს ხელახლა ყვავების გუნდმა გადაუფრინა თავზე და აღფრთოვანებული ჩხავილით მიიმალა ტყეში. კერსხოლმის მხრიდან მაშინვე ბორბლების ჭრიალი და ჩლიქების კაკუნი მოისმა. თავგადახურული ეტლი, რომელშიც ორი მაძღარი ლურჯა ცხენი ება, ადიოდა იმ ბორცვზე, სწორედ პერის სკამის მახლობლად რომ აღმართულიყო.

პერი მიხვდა, ალბათ პასტორი ბლომბერგი მიდისო, ადგა სკამიდან და ეტლის მიმართულებით წავიდა. იმედი ჰქონდა, ზურგიდან პასტორი ვერ მიცნობსო.

მაგრამ მოტყუვდა. როგორც კი ეტლი გაუსწორდა, პასტორმა მეეტლეს შეჩერება უბრძანა და ალერსიანად დაუქნია პერს ხელი.

- – არა, ერთი ნახეთ! დადის ბატონი მეოცნებე და საღამოს სიჩუმეში მომავალზე ფიქრობს! ლამაზი ადგილია, არა? მე და ჩემი ქალიშვილიც სწორედ ამას ვამბობდით ახლა. ტყუილად კი არ არის, რომ ძველ ხალხურ თქმულებებში — მათში კი თვით ბუნების ხმა ისმის, — ყველანაირ საზღაპრო არსებას შეხვდებით. დღეის მსგავსი საღამოები ნამდვილად ჯადოსნური, ასე ვთქვათ, მისნურია. როგორც ჩანს, ჩვენ, ადამიანებს, დღემდე არ დაგვიკარგავს ბუნების იდუმალებისადმი ძისწრაფება, თუკი თანამედროვე ინჟინერი ჩვენს მოწინავე და პროზაულ საუკუნეში მისი ჭომაჯადოებლობით არის გატაცებული.

პასტორი ისე ეშმაკურად იღიმებოდა, მთლად გამოისყიდიდა თავის, ცოტა არ იყოს, უხეშ პირდაპირობას. პასტორი მიუბრუნდა ყმაწვილ ქალს. (მამის გვერდით ის აშკარად უფრო მტკიცედ გრძნობდა თავს და პერს ისე უცქეროდა, უპირატესობის გამომეტყველება ეხატა სახეზე), და განაგრძო:

— გამიგონე, შვილო!.. ამ ინჟინერმა მეც მაცდუნა. მეც მომინდა ფეხების გამართვა. შენ ხომ მაინც მედუქნისაგან ჩვენი ნავაჭრის წამოღებას აპირებდი, წადი წინ და მერე დამიცადე. იმედი მაქვს, თქვენ არ გეწყინებათ, ცოტა ხნით რომ შემოგიერთდეთ?

პერმა „ღმერთმა დამიფაროს“ მსგავსი რაღაც წაიბურტყუნა და პასტორი გაჭირვებით გადმოვიდა ეტლიდან.

— ჩვენ ორთქლის თავბრუდამხვევ საუკუნეში ძალიან ცოტა დროს ვუთმობთ ჯანმრთელობისთვის ესოდენ სასარგებლო მოციონს. — ამ სიტყვებით პასტორმა მტკიცედ გასწია წინ, თითქოს უნდა გამოეღვიძებინა თავის არსებაში მთვლემარე ახალგაზრდა ძალები. — ჩვენი რკინიგზები, მე რომ ასე ძალიან მომწონს, გვაიძულებენ ვუღალატოთ ბუნებას, გვაყრუებენ, რათა არ გავიგონოთ მისი დედობრივი ძახილი. როცა ვხედავ, როგორი სტვენითა და შიშინით სერავს ეს შავი ურჩხული მიწის მწვანე გულს, ყოველთვის უნებლიედ მახსენდება სამოთხის გველი. უწინდელ დროს, ქალაქში საქმეებზე წასვლა თუ მჭირდებოდა, ხშირად ჩემი ორი ფეხის დახმარებით მივდიოდი, რათა არ მეჭენავებინა არენდატორის ცხენები დღეში ოცი კილომეტრი იქით, ოციც უკან. და არასოდეს დრო ისე არ გაზლაზნულა ჩემთვის, როგორც ახლა, მატარებელს რომ რაღაც ნახევარ საათში მივყავარ ხოლმე. როგორც კი რამდენიმე წუთით დაიგვიანებს, პირდაპირ მოთმინება მეკარგება. წინათ ადამიანებმა არ იცოდნენ წარამარა საათის ჯიბიდან ამოღება და დროს მზის მიხედვით იტყობდნენ, მზეს კი სეკუნდების ისარი არა აქვს. სამაგიეროდ, რა სასიამოვნოა თივის ძნის ქვეშ ან გზის პირას საუზმობა, როცა სიციელში ათიოდ კილომეტრს გაივლი. თანამედროვე ახალგაზრდები ვერასოდეს ვერ გაიგებენ, რა განუმეორებელი, მე ვიტყოდი, სულიერი სიამოვნებაა — ერთი ნაჭერი ყველის და პურის შეჭმა ბუნების წიაღში, ტოროლის, შოშიის და პრანწიას აკომპანიმენტით. თუმცა მე ბღენძი გავხდი სიბერისას, მაინც დროდადრო სევდა ამიტანს ხოლმე სასოფლო გზების გამო. თუ კარგა ხანს იჯდები შინ, შენთვის კუთხეში მიყუჟული, წიგნებისა და გაზეთებისაგან გადარეული — რა კარგია

ამის მერე გავლა და ჰაერზე გამზეურება! გრძნობ, როგორ მაღლდება შენი სული იმ ადამიანივით, საშინელი სიზმრიდან რომ გამოერკვა და ფანჯრიდან დაინახა, რომ გარეთ მზე ბრწყინავს და ჩიტებიც გალობენ. ერთი უსმინეთ, — უეცრად წამოიძახა მან, შეჩერდა და პერს მხარზე ხელი დაადო. — უსმინეთ. გესმით ტოროლას ხმა? ის ჩასული მზის საპატივცემლოდ მღერის. — მთელი ერთი წუთი პასტორი უძრავად იდგა და სიამოვნებით უგდებდა ყურს, — რა მშვენიერებაა!. გეგონებათ, ქალი მღერის, რომ შეყვარებულის წასვლის შემდეგ არ ატირდეს. შენიშნეთ თუ არა, ბატონო ინჟინერო, რაოდენ ღრმა სიბრძნეს გამოხატავს ამ ერთიციცქნა მომღერლის გალობა? ტყუილად კი არ ვუსმენთ მის სიხარულს და ნაღველს. პატიოსნურად ვაღიარებ, რომ ტოროლას უბრალო გალობა ჩემს გულს უფრო მეტს ეუბნება, ვიდრე ჩემი წიგნების თაროზე ყოველივე სისულელით სავსე ფოლიანტები. მაგრამ პირობა მომეცით, რომ ამას არავის ეტყვით, — უეცრად დაუმატა მან ღიმილით და პერს მხარზე ხელი დაჰკრა, — ჩემი საყვარელი კოლეგები არასოდეს არ მაპატიებენ ასეთ აბდაუბდას.

პასტორმა გადაიხარხარა საკუთარ ხუმრობაზე და გზა განაგრძო.

პერს ესიამოვნა პასტორის ასეთი იდუმალი ტონი და მისი პიროვნებით მოიხიბლა. სწორი იყო ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე, პასტორი ბლომბერგი სრულიად არა ჰგავს ჩვეულებრივ მოძღვარს, სავსებით თვითმყოფადი კაციაო, რომ ამტკიცებდა.

რამდენიმე ნაბიჯის გავლის შემდეგ პასტორი ხელახლა შეჩერდა და პერს მათ წინაშე გადაშლილ პეიზაჟზე მიუთითა. საღამო მთლად შევიდა თავის უფლებებში. მომწვანო ლურჯ ცაზე აქა-იქ პირველი ვარსკვლავები აციაფდა.

— იქნებ, ბატონო ინჟინერო, პატიოსნურად და გულახდილად მიპასუხოთ ერთ შეკითხვაზე: ასეთ კარგ საღამოს ჩვენი მშვენიერი მწვანე მიწის ცქერით რომ ტკბებით, შეგიძლიათ თუ არა სერიოზულად მოინდომოთ, რომ ბოლმა და ჭვარტლმა წაბილწოს ის? მე გავეცანი ჩვენი ნაციონალური იდილიის განადგურების თქვენს პროექტს. პირდაპირ ვაღიარებ, თავად ჯერ არ წამიკითხავს თქვენი შრომა, მაგრამ ქალბატონმა ჰოფეჰერმეისტერის მეუღლემ გამაცნო თქვენი იდეები, რაც ჩვენი დროისათვის მეტად დამახასიათებელი მეჩვენა. ამიტომაც მინდა გკითხოთ, ნუთუ სერიოზულად ხართ დარწმუნებული, რომ ჩვენი მდი-

ნარე უფრო სასიამოვნო დასანახი იქნება, თუ მასზე ორთქლის ურჩხულები იცურავებენ, ხოლო მის მწვანე ნაპირებზე ფაბრიკები აბოლდებიან? მერწმუნეთ, მხოლოდ სილამაზეზე არ ვლაპარაკობ. მე უნიადაგო მეოცნებე არა ვარ და შესანიშნავად მესმის, რომ წმინდა ესთეტიკური მოსაზრებები პრაქტიკულ მოთხოვნებს უნდა დავუქვემდებაროთ. მაგრამ აქ, მე მგონია, უფრო ძვირფასი რამ იწირება... ხედავთ პატარა სახლს ბორცვზე? აი იმას, მილიდან ბოლი რომ ამოდის? იქ ჩემი ნაცნობები ცხოვრობენ. ისეთივე ღარიბი ხალხია, როგორიც ჩვენს ქვეყანაში მილიონის მეოთხედი იქნება. შემოსავალი ჭამაზე და ტანსაცმელზე ძლივს სწვდებათ — და მაინც, ახლოს რომ გაიცნოთ, შეგშურდებათ, ისეთი ხალისიანი ხალხია. ცოლ-ქმარი მინდორში მუშაობს ერთად. ბავშვები მთელ დღეს სუფთა ჰაერზე დარბიან. ერთი მოხუცი ჯაგლაგი აბადიათ და ერთი ძროხა და თავს მდიდრებად თვლიან. ნუთუ თქვენ გულწრფელად გსურთ აიძულოთ ის კაცი, დაზგასთან წელში გაწყდეს, ხოლო მისი ცოლი და შვილები სადღაც მუშათა ყაზარმის მეშვიდე-მერვე სართულზე შერეკოთ? მიპასუხეთ, მხოლოდ გულწრფელი იყავით.

პერი თანდათან გაანერვიულა პასტორის ჩაციებულმა შეკითხვებმა. თანაც, თავადაც ამ ბოლო დროს ეეჭვებოდა თავის მიერ დასახული გზის სისწორე და ყველაფერ ამის გამო, ცოტა არ იყოს, გამომწვევი ტონით უპასუხა:

— არ მესმის რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს პირადად ჩემს ან ვისიმე სურვილებს? პროგრესი თავისი გზით მიდის, ის ჩვენს თანხმობას არ კითხულობს და გვინდა თუ არა, ჩვენი ცხოვრების ნირი და ჩვეულები მის მოთხოვნებს უნდა შეეუგუოთ. ამის წინააღმდეგობა დროისა და ძალების ამაოდ ხარჯვას ნიშნავს.

— დიახ, თქვენ საკმაოდ კატეგორიულად პასუხობთ, მაგრამ თქვენი იდეები სამართლიანიც რომ იყოს, თავის დროზე მაინც მოვასწრებდით ვზიარებოდით ამ ნაქებ პროგრესს.

— არა მგონია. მე ვფიქრობ, სწორედ ახლა დადგა ნამდვილად ამის დრო და, რომ მერე ძალიან დაგვიანდება. სტატისტიკური გამოანგარიშებანი უცილობლად ამტკიცებენ, რომ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა წლიდან წლამდე სულ დაბლა ეცემა. იმ იდილიისადმი, თქვენ რომ დაგვისახეთ, ბატონო პასტორო, როგორც გსურთ, ისე განეწყვეთ, მაგრამ

ერთი რამ ნათელია: თქვენი იდილია ძალიან მერყეე საფუძველზეა აგებული, რის გამოც, სინამდვილეში, აღარც არის იდილია.

— ასეა, ასე, — ორჭოფულად მიუგო პასტორმა და კვლავ გზა განაგრძო. — ალბათ, მართლაც არახელსაყრელი დრო დაუდგა ჩვენს სოფლის მეურნეობას, მაგრამ მაინც...

— სრულიადაც არა, ევროპის მიწათმოქმედებისთვის უკეთესი დრო არ დადგება. უბრალოდ, ეს საქმიანობა თავისთავად მოძველდა ცივილიზებული ქვეყნებისთვის. გავა ცოტა დრო და სიტყვა „გლეხი“ ევროპულ ენებზე საერთოდ მოძველებულ მცნებად იქცევა.

— აბა, როგორ შეგიძლიათ ასე ილაპარაკოთ? მე ეს შეშლილის ბოდვასავით ჩამესმის. სწორედ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მაღალი დონე აღაფრთოვანებს მთელ მსოფლიოს. ამაზე თითქმის ყოველდღე წერენ ჩვენი გაზეთები.

პერმა შემწყნარებლური ჩაცინებით უპასუხა:

— მართალია, მაგრამ ამ აღფრთოვანებაში შურის ნატამალიც კი არ ურევია. ხოლო არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ჩვენს საკუთარ ქვეყანაში — ჩვენს მშვენიერ, მწვანე ქვეყანაში, როგორც თქვენ ბრძანეთ, ბატონო პასტორო, — მის შინაურ ფრინველებისთვის განკუთვნილ შენობებიანად სიმდიდრის მხოლოდ ნახევარი ძლივს გვეკუთვნის. მეორე ნახევარი კი უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ინდუსტრიალურ სახელმწიფოთა საწარმოო კაპიტალის, ძირითადად გერმანიის ხელში გადავიდა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ მთელს ქვეყანაში ვერ იპოვი, ან თითქმის ვერ იპოვი კარმიდამოს ან საერთოდ საწარმოს, რომლის უდიდესი ნაწილი უცხოელებს არ ეკუთვნოდეთ, ჩვენმა ბანკებმა და აქციონერულმა საზოგადოებებმა ნაჭერ-ნაჭერ მიჰყიდეს ქვეყანა უცხოელ კაპიტალისტებს, თანაც ისე, რომ, როგორც ამას ჩემს წიგნში ვწერდი, უნებლიედ მაგონდება ქრისტეფორე მეორის მმართველობის სამარცხვინო ეპოქა.

— აბა, აბა! მხოლოდ წყნარად, — შეაწყვეტინა პასტორმა და ძალდატანებით გაიღიმა. — მიკერძოებულობას ძალიან შორს მიჰყავხართ, ახალგაზრდავ!

— სრულიადაც არა! საკმარისია აიღოთ ხელში რომელიც გნებავთ გერმანული გაზეთი და თვალი გადაავლოთ ბირჟის ბიულეტენებს, რათა დარწმუნდეთ, რამდენად მნიშვნელოვანია გერმანული კაპიტალის ინტერესები ჩვენს ქვეყანაში და რა ფხიზლად ადევნებენ თავის კაპი-

ტალდაბანდებებს თვალყურს გერმანელები. მე ჭეშმარიტად შიშმა ამიტანა, როცა ახლახან, გერმანიაში ყოფნისას, ერთხელ გავშალე გაზეთი და დავინახე, რომ ბირჟის ბიულეტენში გამოცხადებულია მონაცემები იუტლანდიის ყველა საავიაციონერო საზოგადოების და ყველა შემნახველი სალაროს შესახებ, თვით უმცირესისაც კი. ეს ვის არ დააფიქრებს.

— რას მეუბნებით! ნუთუ მართლა ასე შორს წავიდა საქმე?! — წამოიყვირა პასტორმა მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ, რაც იმას ნიშნავდა, რომ ნათქვამი მას განსაკუთრებულად დიდი ყურადღების ღირსად მიაჩნდა. — თქვენ, მაშასადამე, მიგაჩნიათ, რომ დანიელი ხალხის მატერიალური კეთილდღეობაც კი დრომოჭმულ დოგმებზე და წარმოდგენებზე განისვენებს, რაც მას ძირს უთხრის? მართლაც, ნამდვილად, სულიერ განთავისუფლების გვერდით ეკონომიურ პროგრესისთვის ბრძოლა უნდა მიმდინარეობდეს. ჭეშმარიტად მშვენიერი აზრია! მაგრამ მაშინ ნამდვილად არ იქნება საჭირო, თქვენს მოწყალებას ვუხმოთ. მე სრულიადაც არ მეშინია გრილი ქარისა. უნდა მსხვერპლად გავიღოთ ის, რაც უკვე აღარ ემსახურება ცხოვრებას, რაც არ უნდა ძვირფასი იყოს ჩვენთვის. გარდა ამისა, სანუგეშოდ გვრჩება იმის ფიქრი, რომ ყველაზე გრანდიოზულ, ყველაზე ყოვლის შემცველ გარდაქმნებს არ ძალუძთ გაანადგურონ ჭეშმარიტი და წარუვალი ფასეულობანი. უკვე აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ორთქლის ძრავათა ზეიმის პირქუშ ეპოქაში, ჩვენ, სულ ერთია, ჩვენი ღმერთის შვილები ვართ მაინც, — განურჩევლად იმისა, ვაღიარებთ მას თუ არა. თანაც მთელი ჩვენი საიდუმლო გრძნობები გარეგნულ ცვლილებებზე არ არის დამოკიდებული. მადლობა ღმერთს, სიცოცხლეს შეუძლია გადაიფურჩქნოს რომელიმე სხვენის ბნელ სენაკშიც. სიყვარულის ბედნიერება, ოჯახური ცხოვრების სიხარული ადამიანს უკანა ეზოებშიც თან სდევს, რაც არ უნდა ჭუჭყიანი იყოს ეს ეზოები. ხოლო ყოველივე, რაც ხდება, მხოლოდ დეკორაციების გამოცვლაა სამყაროს უსასრულო მოქმედებაში. დაბოლოს, თავად ჩვენც უცვლელნი ვრჩებით ყველა დროსა და ყველა ეპოქაში.

პასტორმა ისეთი დაჯერებული ტონით წარმოსთქვა თავისი მონოლოგი, პერს თანაგრძნობით გაეღიმა. მშვენივრად ესმოდა, რომ პასტერი ცდებოდა. ის საკმარისად ადევნებდა თვალყურს ცივილიზაციის მსვლელობას, რათა გაეგო, რომ გარემოს ცვლილებანი, „მანქანათა ბორბლების რახრახი“ რომ იწვევს ადამიანის საჭიროებისთვის, თანდათანობით თვით ადამიანის ბუნებასაც ცვლის.

მან უამბო პასტორს არსებობისთვის იმ თავგანწირული ბრძოლის შესახებ, მსხვილი საწარმო ქალაქების მოსახლეობა რომ დღითი დღე ეწევა; იმ ბრძოლის შესახებ, რომლის თვალყურის დევნებაც შესძლო მთელი თავისი მოგზაურობის დროს და, განსაკუთრებით, ბერლინში.

მან უამბო დაქირავებული მუშების — მამაკაცების და ქალების მოხეტიალე არმიის შესახებ, ვისთვისაც სიტყვები „ოჯახური კერა", „ოჯახი", „უზრუნველყოფა", „სიმყუდროვე" მოკლებულნი არიან ყოველგვარ აზრს; ადამიანების შესახებ, ვისაც ამ თვალუწვდენელ ცხოვრების ზღვაში სადღაც აქვთ თავიანთი ხუხულა, სწორედ იმისთვის რომ კმარა, რათა მძინარე ადამიანი დაეტიოს შიგ. მუშაობისგან თავისუფალ მთელ დანარჩენ დროს ისინი ქუჩაში ატარებენ სალუდეში ან სხვა ასეთივე სახის დაწესებულებებში და თავიანთ ცხოვრებას უსახელო ჩრდილებივით, საავადმყოფოს საწოლზე ამთავრებენ რომელიღაც ნომრით.

მაგრამ პასტორი უკვე აღარ უსმენდა პერს: მან იგრძნო, რომ საუბარი მისთვის არახელსაყრელად შემობრუნდა. პასტორი კი მუდამ, როცა კამათში ისეთ ადამიანს შეეჯახებოდა, ვინც მასზე უფრო ჩახედული იყო საქმეში, აღარ უსმენდა ხოლმე თავის თანამოსაუბრეს.

მცირე ხნის დუმილის შემდეგ პასტორი შეჩერდა და უთხრა პერს, არ მინდა სახლიდან ძალიან შორს წაგიყვანოთ, სწორედ საზღვრამდე ვართ მისული და უკვე დროა, ერთმანეთს გამოვეთხოვოთო.

განშორებისას პასტორმა განმეორებით მიიპატიჟა პერი თავისთან.

— იქ განვაგრძოთ ჩვენი საუბარი, ახლა კი იჩქარეთ, რათა ვახშამს მიუსწროთ. ალბათ უკვე შენიშნეთ, რაოდენ დიდ ყურადღებას აქცევს ჰოფეჰერმეისტერი საჭმლის ჭამას, ხა-ხა-ხა!

თავი XX

მთელი ერთი კვირა, კერსხოლმში რომ გაატარა, პერს იაკობასაგან არავითარი ამბავი არ სმენია. თუმცა თვითონ ყოველდღე წერდა წერილს და დაწვრილებით აღუწერდა თავის ამბავს, იაკობა მაინც დუმდა.

ეს უმიზეზოდ არ ხდებოდა. იაკობა მისი პირველი წერილის მიღებისთანავე მიხვდა, რომ პერს ვეღარასოდეს ნახავდა. ქალმა თავის თავს ჰკითხა, იქნებ კიდევაც გვიჯობდეს ორივეს, ერთხელ და სამუდამოდ

შევწყვიტოთ ურთიერთობაო. იაკობა საშინლად დაქანცა ამ უცხო, ფარულ, გამოუცნობ ძალასთან ბრძოლამ. ამ ძალამ ბევრჯერ გამოსტეცა იაკობას პერი იმ წამებშიც კი, როცა მისი აზრით, მტკიცედ ჰყავდა შებოჭილი სიყვარულით.

იაკობამ არც კი იცოდა, მოიპოვებდა კიდევ თუ არა პერს. ქალი აღარ სჯეროდა, რომ პერს ჰქონდა უნარი, წინ აღდგომოდა მტრულ ძალას. იაკობა პერს ისეთად ხედავდა, როგორიც ნამდვილად იყო. პერის პიროვნების ის მხარე, რომლის შეცნობაც იაკობას შეეძლო, ქალმა ზედმიწევნით შეისწავლა და შეუყვარებულ ადამიანთათვის დამახასიათებელ ლტოლვას, რომ სინამდვილე შეელამაზებინა და აემაღლებინა — ვეღარ აყვებოდა. იაკობა კარგად ხედავდა პერის მდიდრულ ბუნებას, მიუხედავად იმისა, რომ ქალის აზრით ვაჟს რაიმეთი გატაცება არ შეეძლო და არც თავდაცვის ინსტინქტი ჰქონდა. ანდა, უფრო სწორად, პერს გატაცების მხოლოდ ნეგატიური, ჩრდილოვანი მხარეები გააჩნდა: სიჯიუტე, ეგოიზმი, თავქეიფობა, ხოლო გრძნობის სიღრმე და ძალა, ყოვლისმშთანთქმელი სვედა თუ სულიერი ცეცხლი, გამომწრთობი და განმწმენდი ალი — არ იცოდა რა იყო.

მერე, თუ ასეა, განა ღირს ბრძოლის განგრძობა? ამ დღეებში იაკობას ბევრჯერ მოაგონდა, როგორ შეადარა პერმა ნახევრად ხუმრობით თავისი თავი ზღაპრულ ჯუჯას, ადამიანებს შორის ცხოვრება რომ მოინდომა და თხუნელას სოროდან დედამიწაზე ამოძვრა, მაგრამ მზის სინათლე ვერ აიტანა და კვლავ მიწას მიაშურა. მხოლოდ ახლა გახდა იაკობასათვის ნათელი, რომ ეს შედარება გაცილებით ღრმა იყო, ვიდრე ქალი ფიქრობდა, უფრო სწორად, ვიდრე სურდა ეფიქრა.

დიახ, პერი სულ სხვა სამყაროს არსებაა. იმ სამყაროში სულ სხვა მზე ანათებს. თავის თანამედროვეებისაგან ჭეშმარიტი თუ მოჩვენებითი სხვაობის მიუხედავად, მთელი თავის თვითმყოფადობის მიუხედავად, პერი თავისი ქვეყნის ნამდვილი შვილია, დანიელი ხალხის ცივსისხლიანი შვილი, თვალგამომშრალი და ვულმშიშარა. ისინი ყველანი ჯუჯები არიან, მზის შეხედვისთანავე რომ აცემინებთ და მხოლოდ დაბინდებისას გამოცოცხლდებიან ხოლმე, როცა თავიანთ ბორცვზე ადიან, რათა ადამიანის აძრწოლებული სულის სასიხარულოდ და სანუგეშოდ ვიოლინოს, ან ეკლესიის ზარების ხმებზე სინათლის იდუმალი თამაში გააჩაღონ ნისლმობურულ მდელოზე გაწოლილ საღამოს ღრუბლებთან... ჯუჯა ხალხი, ბრძენის დიდი თავი რომ აბიათ და ბავშვის სუსტი ტანი

აქვთ... ღამეული ხალხი, ვისაც ესმის, როგორ იზრდება ბალახი და როგორ ოხრავენ ყვავილები, მაგრამ მამლის პირველი ყივილისთანავე კვლავ მიწისქვეშ ძვრება.

ბოლოს იაკობას დუმილმა პერი შეაწუხა. მას ესმოდა, რომ იაკობას უფლება ჰქონდა გაჯავრებულიყო, ამდენ ხანს როგორ არ დაბრუნდაო. შინ დაუბრუნებლობის საბაბი კი, უნდა ითქვას, პერს ამჟამად სულაც არ ჰქონდა. პერი უხსნიდა, ფულის საქმეები მაქვს მოსაგვარებელი და იმან დამაკავაო. ყოველ დილით იგი თავის თავს პირობას აძლევდა, აი, დღეს კი მოველაპარაკები ან ჰოფეჰერმეისტერის მეუღლეს, ან თავად ჰოფეჰერმეისტერსო, მაგრამ როგორც კი საქმე საქმეზე მივიდოდა, არ იცოდა საიდან დაეწყო. იგი მეუღლეებს უყვებოდა თავის გეგმებს, ისინიც თითქოს გულწრფელად იყვნენ დაინტერესებულნი ამ გეგმებით. მაგრამ ფულის სესხებაზე მაინც ვერაფერს უბედავდა. ეშინოდა, ამ თხოვნით ვაითუ ვაიძულო ისინი, ზედმეტი ყურადღება მომაქციონ, რაკი გაუჭირდებათ გაიგონ ის გრძნობები, რაც ხელს მიშლის სიმამრისაგან ავიღო ფულიო.

ამიტომაც ეს საქმე წასვლამდე გადადო, ხოლო წასვლას კი ყოველდღე მეორე დღისთვის სდებდა. პერი კერსხოლმში ჯანზედაც მშვენივრად გრძნობდა თავს, ხოლო იმას რომ გაიფიქრებდა, მალე დედამიწის სხვა მხარეს უნდა გავემგზავროო, ორჯერ უფრო მეტად ეძნელებოდა ამ ადგილებთან განშორება.

თითქმის მთელ დღეს სუფთა ჰაერზე ატარებდა. ირგვლივ ბევრი რამ იყო ახალი და ყურადღებამისაქცევი, ბევრიც — დიდი ხნის ნაცნობი, მაგრამ ახლებურად საინტერესო.

მას ძალიან შეუყვარდა თევზის ჭერა და სულ მდინარის პირას იჯდა ანკესით ხელში — იმდენად თევზის ჭერა კი არ აინტერესებდა, ეს საქმიანობა უფრო მეტად სიამოვნებას ანიჭებდა. სიჩუმეს არაფერი არღვევდა, ნავის ქვეშ დამამშვიდებლად მირაკრაკებდა წყალი, წყალმცენარეთა მოჟანგისფრო მწვანე ფართო ფოთლები წყნარად და მსუბუქად თრთოდნენ ნაკადში, — მოჯადოებული სამყარო იყო, გაუგებარი, შეუცნობელი სიცოცხლე, თითქოს შფოთიან ძილში რომ ჩაფლულიყო. პერს ხშირად ახსენდებოდა პასტორ ბლომბერგის სიტყვები. პასტორი ამბობდა, ბუნებაში ცხოვრებისეული სიბრძნეა ჩაღვრილი და ტოროლის უბრალო გალობის მოსმენითაც კი ჩაწვდება ამ სიბრძნეს კაცი. მართლაც, ასეთ წუთებში პერი უნებლიედ რაღაც იდუმალ კავშირს

გრძნობდა ყოველ მიწიერ არსებასთან. ბუნებასთან ეს ვნებიანი შერევა ანაყოფიერებდა მის გონებას. უფრო ცოცხლად მუშაობდა ფანტაზია, ებადებოდა ახალი იდეები. თითქოს ცხოვრების პირველქმნილი ძალა ოქროს ცხოველმყოფელ წვიმად ნაზად და ალერსიანად ეღვრებოდა ახალ-ახალ შმაგ აზრებს.

იქნებ ასე იმიტომ ხდებაო, ფიქრობდა პერი, რომ ბუნების ხმებს მარადისობის ამბავი მოაქვთ ჩვენს ყოფიერებაში. იქნებ მთელი ხალხები ამოწყვეტილიყო კიდეც და ქალაქები გამქრალიყო, წყალი კი ნავის ქვეშ მთლად ისევე რაკრაკებს, როგორც რაკრაკებდა დედამიწის პირველი ბინადრის პატარა ნავქვეშ. რაკრაკებდა და მარადისობის დამლევამდე ირაკრაკებს არა მარტო დედამიწაზე, არამედ ყველა ციურ სხეულზე, სადაც კი არის წყალი და არსებობს ყური, მის რაკრაკს რომ აღიქვამს. ჭეშმარიტად, ბუნების ხმას აზრით პირდაპირ ცხოვრების სათავეებთან, თვით მარადისობასთან მივყავართ.

პერისთვის ყოველივე ეს იყო მშვენიერი სულიერი ზეშთაგონება. მან გაიხსენა, რომ ერთხელ უკვე განიცადა მსგავსი გრძნობა. ეს მაშინ იყო, შვეიცარიაში რომ იმოგზაურა და პირველად დაინახა ალპები. მზით მოფენილი ქათქათა მთაგრეხილი სამყაროს დილის ათინათივით აღმართულიყო ჰორიზონტზე. მაგრამ მაშინ ამ სანახაობამ რაღაც გაურკვეველი მღელვარება აღუძრა. პერს ჯერ არ აღმოეჩინა თავის თავში „მეექვსე გრძნობა“, ადამიანს მარადიულობის სიღრმეებთან რომ ანათესავებს. სამაგიეროდ ახლა, უძრავად რომ იჯდა ნავში და მთლად მინდობილი სწრაფლმდინარი წამის ნებას, მოწითალო ნაკადების თამაშს უცქეროდა, საკუთარ სხეულს ვეღარ გრძნობდა და ახლა პირველად გაიგო ისეთი სიტყვების აზრი, როგორიცაა „ცათა სასუფეველი“ და „ნეტარება“. თითქოს მისი სული ყოველივე მიწიერის დაგმობის შემდეგ ყოფიერების ყველაზე მაღალ, ყველაზე სუფთა საფეხურზე ადიოდა.

რაოდენ საბრალოდ და არარაობად ჩანდა ასეთ წუთებში ადამიანთა ყველა საზრუნავი და მისწრაფება. რა უბადრუკად და ამაოდ გამოიყურებოდა ყველაფერი ბუნებასთან შერევის ამ მშვენიერი გრძნობის წინაშე! ხოლო მიწიერი ცხოვრება — „ბედნიერების“ გაშმაგებული ძიება — კარგავდა ყოველგვარ აზრს, უცებ რაღაცნაირი ყალბი და მოჩვენებითი ხდებოდა, — ცხოვრება კი არა, უსხეულო ჩრდილების თამაში იყო!

ივენისაგან წერილი მოვიდა: იაკობას მიუცია მისთვის პერის მისამართი. ცოლისძმა ატყობინებდა პერს, მეტად მოუთმენლად ველი შენს დაბრუნებას, რადგან ყველაფრის მიუხედავად, ხელახლა მომეცა საქმის ხელსაყრელად დამთავრების იმედებიო. ადვოკატი ხასელაგერი და კომერსანტი ნერეხავე მხოლოდ ამით არიან დაკავებულნი, კოპენჰაგენის პროექტით უკმაყოფილება კი უფრო და უფრო დიდ გასაქანს იღებს, განსაკუთრებით კი — პროვინციაშიო. მერე ივენი ურჩევდა პერს, ხელიდან არ გაეშვა შემთხვევა და თავისი პროექტის თაობაზე მთელი რიგი მოხსენებებით გამოსულიყო იუტლანდიის დიდ ქალაქებში. ეს სწორედ რომ დროული იქნებოდა ახლა, რადგან როგორც გამოირკვა, იდუმალი ინჟინერი სტეინერიც მოგზაურობს ამჟამად იუტლანდიაში და მეწარმეთა ადგილობრივ გაერთიანებებში განგაშს სტეხს თავისი პროექტის შესახებო.

ივენის წერილმა თითქოს იარაზე დააჭირა პერს ფეხი. მისთვის ბოლოს ნათელი შეიქნა, რომ იქ, სადაც რომელიმე იდეის პრაქტიკულ განხორციელებაზეა ლაპარაკი, ის პირველ აღმომჩენად არ გამოდგება. მაქს ბერნარდთან ატეხილი აურზაური შემთხვევითი არ იყო. პოლკოვნიკ ბერეგრავთან მომხდარი შეტაკებაც ფრიად ყურადსაღები იყო ამ გაგებით. საინჟინრო პრაქტიკის წმინდა ორგანიზაციული მხარე მისთვის მუდამ უცხო გახლდათ. ის, პერი, — გამომგონებელია, ტექნიკოსი, — ყველაფერია, რაც გნებავთ, მხოლოდ საქმოსანი ვერ არის.

იმავე დღეს, საღამოს, პერმა წერილი მისწერა იაკობას, სადაც დაწვრილებით მოუთხრობდა თავის შეხედულებებს ამ საგანზე. ამავე დროს პერი ატყობინებდა, ახლანდელი გარემოების გამო უფრო გონივრულად მიმაჩნია მოშორებით ვიყო კოპენჰაგენიდან, ვიდრე ორკვირიანი ვადა არ გავა, რაც აუცილებელია მომავალი ქორწილისათვის ყველა საბუთის გასაფორმებლადო.

„რაც შეეხება არხისა და ნავსადგურის აშენებას ჩემს კომბინირებულ პროექტს, პირადად მე მისგან გაენთავისუფლდი, — სწერდა პერი. — დანიელ ერს უფლებას ვაძლევ გამოიყენოს ის თავისი შეხედულებისამებრ, მე კი მთელ ჩემს ძალებს წარვმართავ მორიგი ამოცანის გადასაწყვეტად, ქარისა და წყლის ძრავათა შემდგომ სრულყოფისთვის, რაც, აგრეთვე, პროფესორმა პეფერკორნმა მირჩია და, რაშიც ძალიან დამეხმარება მომავალი გამგზავრება ამერიკაში. იქნებ წინანდებურად ისევ დამიწყო დარწმუნება, ესოდენ უპატიეცემლო დამოკიდე-

ბულება ფულის ძალისადმი შენთვისვეა საზიანოო. ახლა ეს ვეღარა-ფერს შეცვლის. პირდაპირ გამოგიტყდები, საკმარისად დიდებისმოყვარე ვერა ვარ, უფრო სწორად, პატივმოყვარე ვერა ვარ და ამიტომ ძნელად თუ შევძლებ თავის მორევას ამ საკითხში. ეს ნაკლია, ცხადია, მაგრამ არც თუ ისე საშიში. თუმცა ხვალ დილითვე მივწერ შენს ძმას და ოფიციალურად მივანდობ მას ჩემი ინტერესების დაცვას ჩემი მანდ არყოფნის განმავლობაში. მაგაზე მეტად სანდო ადამიანს აბა სად ვიპოვნი!"

ამჯერად იაკობამ უპასუხა. ერთი სიტყვითაც არ შეხებია ამდენი ხნის დუმილის მიზეზებს, ერთხელაც არ უხსენებია მოსალოდნელი ქორწინება და მოგზაურობისთვის მზადება, მაგრამ გესლიანად კი იხსენიებდა გადაწყვეტილებას, სადამდეც პერი თავისი „განვითარების" განმავლობაში მივიდა.

„შენ თავადვე ამბობ, დიდებისმოყვარე არა ვარო, — სწერდა იაკობა წერილის დასასრულს. — მუშტს იცემ მკერდში და ხოტბას ასხამ გამჩენს იმაზე, რომ არ გვგეცხარ ჩვენ, ცოდვილებს. ღმერთო ჩემო, ნუთუ ჩვენი სიამაყის ეს საცოდავი ნარჩენებიც უნდობლობას აღგიძრავენ? ოდესღაც თავადაც მტრულად ვიყავი განწყობილი ამისადმი, მაგრამ დროთა განმავლობაში გამოვფხიზლდი. ასეა საჭირო. საერთოდ რომ ვთქვა, თანდათან უფრო და უფრო მეუფლება ძველმოდური შეხედულება ადამიანებზე. ავიღოთ თუნდაც ისეთი მოძულებული რამ, როგორიც ორდენები და ტიტულებია, — მე ახლა ვიწყებ იმის მიხვედრას, თუ რა ბევრს ნიშნავს მსგავსი სისულელეები ადამიანის კეთილდღეობისთვის, ჭკუას ასწავლის კაცს იმაზე დაკვირვება, თუ რაოდენ გამჭრჯე ხდება ვინმე ლენჩი, როცა რაინდის ჯვრის ორდენის შოვნის შესაძლებლობა გაუჩნდება. დანიის ხალხს ჯერ კიდევ ნება არა აქვს შეელიოს „ძალის ზრდის" ერთ სტიმულსაც კი — ეს გახლავს გამოთქმა, რომელსაც ფრიად ხშირად ხმარობდი წინათ და რომელიც მე ახლა მეტად მარჯვედ მეჩვენება. ჩვენთან სკოვბაკენში ერთხელ ერთი ლოთი მებაღე მუშაობდა, როცა მას იმედი მიეცა, მხოლოდ სუსტი იმედი — დაეკავებინა თავმჯდომარის პოსტი სიფხიზლის ადგილობრივ საზოგადოებაში, თავი გაანება სმას. ამას კი ვერც მუქარით მიაღწევდა, ვერც დაპირებებით. ნათქვამიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ისეთი საძულველი ნაკლი, როგორიც დიდებისმოყვარეობაა, ზოგჯერ ხელს უწყობს ზნეობრივ სრულყოფას. მე რომ პოეტი ვიყო, ოდებს დავწერდი დიდებისმოყვარულების სადიდებლად. მღვდელმსახური რომ ვიყო, სულ ერ-

თია, ანაფორა მეცმებოდა თუ ნაოჭიანი საყელო მეკეთებოდა — ადამიანთა ცოდვების სიიდან დიდებისმოყვარულობას ამოვიღებდი: ისედაც საკმაოზე მეტი ცოდვა ადევს კაცს!"

პერმა, ვიდრე დაწერილის აზრში გაერკვეოდა, რამდენჯერმე გადაიკითხა ბარათი. ვეღარ ეცნო იაკობა. რა უცნაური ტონი ჰქონდა ქალს! ყველაზე უფრო ის სწყინდა, რომ ეს სწორედ ახლა მოხდა, როცა სიხარულის შვებას განიცდიდა, რაკი გარკვეულიყო საკუთარ თავში და თავისი ბუნების იმ მხარეებში, მასაც და მის ირგვლივ მყოფთაც ამდენი მწუხარება რომ მიაყენეს. ჯერ იყო და, პერი ისე გაბრაზდა, გადაწყვიტა დაუყოვნებლივ ჩაჯდომოდა საპასუხო წერილის წერას და ერთი კარგად შეეხურებინა იაკობა. მერე გადაიფიქრა. თუმცა რელიგიურად ისე აგზნებული აღარ იყო, მაგრამ ახალი გონება-განწყობის კვალი მაინც უმეღავნდებოდა ხან იმაში, რომ უჩვეულოდ უწყინარი იყო ხოლმე, ხან კიდევ იმაში, რომ სულ ის სურდა, რაც შეიძლება მკაცრი სიმართლით განესაჯა საკუთარი თავი. იაკობასთან მომხდარი შემთხვევა ამის ყველაზე უფრო ნათელი მაგალითი იყო. პერმა თავის თავს უთხრა, იაკობას მიმართ განსაკუთრებით შემწყნარებელი უნდა იყოო. მან ბევრი სიავე გაუკეთა ქალს, ძალიან ხშირად უსამართლოდ ექცეოდა და ახლა უნდა გამოესწორებინა დანაშაული. პერს მხოლოდ უნდა გახარებოდა, რომ საბაბი მიეცა, საქმით დაემტკიცებინა ქალისთვის გამოსასყიდი მსხვერპლის გაღებისთვის თავისი მზადყოფნა.

* * *

რამდენიმე დღის შემდეგ მას მერე, რაც პასტორი და მისი ქალიშვილი კერსხოლმში იყვნენ, ჰოფეჰერმეისტერის მეუღლემ პერს ნასადილევს ბესტრუპამდე გასეირნება შესთავაზა, რათა პასტორისთვის საპასუხო ვიზიტი გაეკეთებინათ. პერს არ ჰქონდა პასტორის მონახულების დიდი სურვილი, მაგრამ უარი არ უთქვამს. ჰოფერმეისტერმაც მოისურვა მათი თანხლება, მაგრამ ეტლი რომ მოართვეს, უეცრად გადაიფიქრა. კვლავ მელანქოლიის მორიგი შეტევა დაეწყო. მისმა მეუღლემ რა აღარ იღონა, უნდოდა როგორმე გაექარვებინა შთაბეჭდილება, რომ მისი ქმარი ავგული და ჭირვეული გახლდათ.

მმართველთან საუბრების მერე პერს თითქოს არ უნდოდა გაჰკვირვებოდა მასპინძლის ახირებულობა, მაგრამ მაინც ვერაფრით ვერ აეხ-

სნა, რად გადმოხედავდა ხოლმე ზოგჯერ ალმაცერად ჰოფეჰერმეისტერი. იქნებ ეს იმას ნიშნავდა, რომ მან, პერმა ბოროტად გამოიყენა მასპინძლების სტუმართმოყვარეობა? პერმა ისარგებლა შემთხვევით და სეირნობის დროს ამაზე სიტყვა ჩამოუგდო ჰოფეჰერმეისტერის მეუღლეს. მაგრამ ქალმა პირდაპირ განუცხადა, თუ ახლა წახვედი, მეცა და ჩემი ქმარიც ვიფიქრებთ, რომ არ მოგეწონა კერსხოლმში ყოფნა და ძალიან ვინანებთ, რომ ჩვენთან მოგიწვიეთო.

პერი ძალიან გაახარა ამ აღსარებამ, რადგან ყველა ყველა და, ამით იაკობას თვალში მართლდებოდა.

კერსხოლმიდან ბესტუპამდე ხუთი-ექვსი კილომეტრი იყო. გზა ცერად ადიოდა ბორცვებზე და ძველი კალაპოტის ყველა კლაკნილს იმეორებდა. წყნარი ამინდი იდგა, ცაზე აქა-იქ შექუჩულიყო ღრუბლები, ისე, რომ, მზე თვალებს არ ჭრიდა. ერთ მხარეს მწვანე ველი და დაკლაკნილი პატარა მდინარე მოჩანდა, მეორე მხარეს — აქა-იქ მიმოფანეული ჭალები, თავს რომ ყვავების გუნდები დასტრიალებდა.

პეიზაჟის სილამაზით აღტაცებულმა ბარონესამ უცებ ლექსების კითხვა დაიწყო:

> აბა, დახედეთ ფრინველთა გუნდი,
> როგორ მოედო სივრცეებს წუთით;
> როგორ მართავენ ცაში ირაოს
> ასე ნარნარად, ასე უვნებლად,
> ქვეყნის დიდებას და სილამაზეს
> როგორ მღერიან დაუსრულებლად!

მალე ისინი გასცდნენ პატარა სოფელ ბორუპს და მის ეკლესიას, კერსხოლმელ ბატონთა სამრეკლო ეკლესიად რომ ითვლებოდა. ბორუპსაც თავს დასტრიალებდა ფრინველთა გუნდები, რაც ნიადაგის არაჩვეულებრივ ნაყოფიერებაზე მეტყველებდა. ბელურათა მთელი ურდოები ფუსფუსებდნენ გზის მტვერში, შოშიათა გუნდები ხის წვეროებს შემოხვეოდნენ.

გზის გასწვრივ ჩალისსახურავიანი ქოხმახები ჩამწკრივებულიყო და აღმაშფოთებელ სიღატაკეს შლიდა თვალწინ. მათ უკან მწკრივად იდგა გლეხების ბებერი ვაშლის ბაღების სიმწვანეში ჩაფლული სახლები, ყოველი სახლის სახურავზე ყარყატს დაედო ბუდე. პერი ამ სოფელს სიგრძე-სიგანით იცნობდა. ყოველდღე მოდიოდა აქ სეირნობისას

და ზოგჯერ ხალხთან სამასლაათოდ შეჩერდებოდა ხოლმე. პირველად იყო, რომ პერი ასე ახლოს შეხვდა სოფლის მცხოვრებთ და ძალიან აინტერესებდა მათი ნაამბობი თავიანთი ცხოვრების შესახებ. გლეხებს, მისდა გასაოცრად, სულაც არ აკრთობდათ იმისი ფიქრი, რომ მათი კარ-მიდამო დაგირავებული და გადაგირავებული იყო. ისე კმაყოფილები უჩვენებდნენ თავიანთ სამფლობელოებს, თითქოს ფიქრადაც არ მოსდიოდათ, რომ მთელი ეს ბარაქა, სინამდვილეში, დიდი ხანია, მათ აღარ ეკუთვნოდა. ბევრ მათგანს ხომ ჰყავდა წინაპარი, ვისაც ზანდუკის ფსკერზე მრავალი ათასი ვერცხლის ტალერი ჰქონდა დამალული, ახლა კი აქ მხოლოდ იმაზე ლაპარაკობდნენ, ვის რამდენი ვალი ედო.

ცოტა მოშორებით, ფერდობზე, იქ, სადაც კვლავ მინდვრები იწყებოდა, დაბრეცილი ღობის იქით კიდევ ერთი კარ-მიდამო მიყუჟულიყო. გზიდან მხოლოდ სამი შებოლილი მილი მოჩანდა და ხის წვეროები. აქ ცხოვრობდა პასტორი ფიალტრინგი, უკვე ხანშიშესული კაცი, ვისაც კერსხოლმში ფრიად ზიზღით იხსენიებდნენ. ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე პირდაპირ აცხადებდა, თუ პასტორის ცხოვრების ნირისა და ქცევის შესახებ ვიმსჯელებთ, მაშინ, უბრალოდ რომ ვთქვათ, ეს კაცი „თავის ჭკუაზე არ არისო“. ადგილობრივ მცხოვრებთა უმრავლესობაჭ კერსხოლმელი ბატონებივით ბლომბერგის მრევლში ყოფნა არჩია.

პერმა საუბარი ჩამოაგდო ფიალტრინგზე, უკვირდა, რომ ერთხელაც არ შეხვედრია მოხუცი სეირნობის დროს. მაგრამ ჰოფეჰერმეისტერის ცოლმა უპასუხა, აქ საკვირველი არაფერია. პასტორი ფიალტრინგი დაბინდებამდე ძალიან იშვიათად სტოვებს თავის სოროს, ბუსავით ეშინია სინათლის, ეს კაცი სიბნელის სულია და არავის არ უყვარს.

— არასაკმაოდ ღვთისმოშიში კაცია? — სიტყვა შეაპარა პერმა. — რამდენადაც მახსოვს, პირიქით უნდა იყოს, ამბობენ უკიდურესად ორთოდოქსალურიაო.

— დიახ, კათედრაზე კი არის ორთოდოქსალური, მაგრამ სულით — განდგომილია და ღვთისმგმობელი. ერთხელ ვიღაც თავის მრევლის წევრთაგანს უთხრა: „მე ერთნაირად მწამს ღმერთიც და ეშმაკიც, მხოლოდ ვერ გადამიწყვეტია, რომელი მათგანი უფრო მეზიზღებაო“. გაგიგონიათ ამის მსგავსი რამ?

— როგორ შეუძლია ასეთ კაცს ღვთისმსახურება?

— სწორედ ეს არის ყველაზე მეტად აღმაშფოთებელი. თუმცა, ჰყოფნის ჭკუა, თავისი საძაგელი საუბრების დროს უცხო მოწმეები არ

დაისწროს. ქადაგებით კი ძალზე მართლმორწმუნედ ქადაგებს, თუმცა წარმოუდგენლად მოსაწყენად და უხამსად.

ჭასთან მდგომმა ქალებმა გულითადად დაუკრეს მათ თავი. ჰოფეჰერმეისტერის მეუღლემ, შემთხვევას რომ არ გაუშვებდა, რათა უბრალო ხალხისადმი თავისი სიყვარული აშკარად გამოეხატა, მეეტლეს უბრძანა გაჩერებულიყო და ქალებს რამდენიმე შეკითხვა მისცა, როგორა გყავთ ბავშვებიო. მერე გზა განაგრძო.

სოფლის იქით გზა ხელახლა ფერდობით წავიდა, ცხენებმა მხიარული ჩორთით გასწიეს და ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ წინ ბესტრუპის სახლები გამოჩნდა, წარმტაცად რომ გაბნეულიყო ტყიანი ბორცვის ძირში.

პასტორის მთელი ოჯახი შეკრებილიყო ბაღის უკან მინდორზე, სადაც ახალგაზრდებისთვის სპორტული მოედანი იყო მოწყობილი. ათი-თექვსმეტი წლის სამ ქერა ბიჭუნას ქურთუკები გაეხადა და ბურთაობდნენ. პასტორი ხელმძღვანელობდა თამაშს და ყოველ მარჯვე დარტყმისას ყველაზე ხმამაღლა ყვიროდა. აქვე იდგა მისი ცოლი, პატარა გოგონასთვის ჩაეკიდა ხელი. ფრიოკენ ინგერი, ყველაზე უფროსი პასტორის შვილებს შორის, გუბურასთან იჯდა და წიგნი მუხლებზე გადაეშალა.

არავის გაუგია მათი მისვლა. ჰოფეჰერმეისტერის მეუღლეს არ უბრძანებია მის შესახებ მოეხსენებინათ, ეტლიდან გადმოვიდა და პირდაპირ მინდვრისკენ გაემართა, რათა სიურპრიზი მოეწყო მათთვის.

პირველად ისინი ფრიოკენ ინგერმა დაინახა და სიხარულის კივილით შემოეხვია კისერზე ჰოფეჰერმეისტერის მეუღლეს. მთელი ოჯახი სიამოვნებით იყო განცვიფრებული და გულითადად შეეგება სტუმრებს.

პასტორმა პერს მხარზე ხელი დაარტყა და უთხრა: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანებაო“.

— სპორტით თუ ხართ გატაცებული, ბატონო ინჟინერო? — ჰკითხა მან, მერე მოიხადა ჩალის დიდი ქუდი და ცხვირსახოცით შუბლიდან ოფლი მოიწმინდა. — დიდებული საქმეა! ამ მხრივ ჩვენ, მოხუცებმა ბევრი რამ დავკარგეთ. ახლა კი მეტისმეტად მოხუცი ვარ, რათა, როგორც საჭიროა, ისე მოვკიდო ხელი სპორტს. მაყურებლის როლით დაკმაყოფილებას ვჯერდები. ესეც კი ძალზე კეთილნაყოფიერად მოქ-

მედებს. თითქოს კუნთები მიმკვრივდება, როცა ვუცქერი, როგორ ანცობს ახალგაზრდობა. ვეღარც კი გავძლებ უამისოდ.

პატარა კაცუნამ მხნედ გაიცინა და საზოგადოებას ბაღისკენ გაუძღვა. წინ თვითონ მიაბიჯებდა. თეთრი ტილოს ხალათი ეცვა, შარვალი ძლივს სწვდებოდა კოჭებამდე.

ყველანი ჩამოსხდნენ. ზოგი მერხზე, ზოგიც სკამებზე სახლის ჩრდილში ტერასის კართან; აქვე გააწყეს მაგიდა, რათა ბუნების წიაღში მიერმიათ სპილენძის მბზინვარე ყავადანში დასხმული ყავა და ქადებიც შეეტანებინათ. ფრიოკენ ინგერი ძალიან მოხდენილად ფუსფუსებდა მაგიდასთან. პერმა გაიფიქრა, ქალი ალბათ თავადაც კარგად გრძნობს ამასო.

ქალები რომ სოფლურად თავისუფლად მოიყრიან თავს სამასლაათოდ ერთ ფინჯან ყავაზე, საუბარი მალე გადავა ხოლმე ყოველგვარ შინაურ საქმეებზე. ასე მოხდა ახლაც. პასტორმაც კი გამოთქვა რამდენიმე შენიშვნა ხუმრობით მურაბების მოხარშვისა და ნამცხვრების დამზადების თაობაზე, სანამ სახლში არ დაუძახეს: ვიღაც მოსულიყო მასთან.

გამოირკვა, რომ დღევანდელი ფუნთუშები პირადად ფრიოკენ ინგერის გამომცხვარი ყოფილა. ბარონესამ და ჰოფეჰერმეისტერის მეუღლემ ყმაწვილი ქალი ცაში აიყვანეს, ხოლო პასტორის მეუღლემ მწყალობლურად მოისმინა ქება, ქალიშვილს ლოყაზე ხელი მოუთათუნა და ჭკვიანი უწოდა.

ქალიშვილი გულგრილად უსმენდა ამ ხოტბას, ხოლო დედის მოფერება ცოტათი კიდევაც იწყინა. პერმა გაიფიქრა, ეს ქალი ალბათ მეტისმეტად გაანებივრესო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ინგერი ძალიან მომხიბლავი იყო. დღეს პერს უფრო მიმზიდველი ეჩვენა ქალი, ვიდრე პირველად, კერსხოლმის სევდიან პარკში რომ ნახა. ახლა, დღის სინათლეზე, თეთრი წინსაფარი რომ ეკეთა და ყავას ასხამდა, ყმაწვილი ქალი სულაც არ ჰგავდა არაამქვეყნიურ არსებას. აღარც ფრანციისკას მოაგონებდა კაცს.

პერის ხათრით ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე რამდენჯერმე შეეცადა საუბრის თემის შეცვლას და სიტყვა კოპენჰაგენზე ჩამოაგდო. მაგრამ პერი დღეს გუნებაზე არ იყო, ხოლო პასტორის მეუღლე ცოტა არ იყოს, დემონსტრატიულადაც კი, მაშინვე კვლავ შინაურ საქმეებს უბ-

რუნდებოდა. ინგერის დედა მაღალი, ტანადი ქალი იყო, არისტოკრატული დახვეწილობის ნაკვალევი ემჩნეოდა. ძნელი არ იყო მიხვედრა, რომ გარეგნობით ქალიშვილი მას ჰგავდა. პერს ის, თვით პასტორისგან განსხვავებით, მეტად თავშეკავებულად შეხვდა. უზრდელობა არ გამოუჩენია მის მიმართ, მაგრამ სიტყვაც არ უთქვამს პერისთვის. ამიტომ ჰოფეჰერმეისტერის მეუღლეს სურდა არასასიამოვნო შთაბეჭდილება გაექარწყლებინა და ყოველნაირად ცდილობდა ყმაწვილი კაცის საუბარში ჩაბმას.

მერე, დიასახლისის წინადადებით, ყველანი აიშალნენ და დიდი, კარგად მოვლილი ბაღის დასათვალიერებლად წავიდნენ. პერიც ადგა, თუმცა ერჩია, სადაც იყო, იქ დარჩენილიყო. უჭირდა ამ საზოგადოებაში ყოფნა და შინ დაბრუნება ეჩქარებოდა.

სამი მანდილოსანი გაცხოველებით საუბრობდა. პერი მათ მისდევდა ფრიოკენ ინგერთან ერთად და ვერ მოეფიქრებინა, რაზე ჩამოეგდო სიტყვა. ჩვეულებრივად ასეთ მჭევრმეტყველს, სწორი ტონი ვერ მოეძებნა ამ პროვინციელ ქალიშვილთან საუბარში. ყმაწვილ ქალს კი, პირიქით, თავის სახლში გაცილებით თავისუფლად ეჭირა თავი. თითქოს აქ ხანიც მოემატაო, დიდ ქალს ჰგავდა. ამ ახალ ვითარებაში, როგორც ჩანს, თავს მოვალედ თვლიდა თავაზიანი საუბარი გაება, რასაც დიდი ღირსებით ასრულებდა.

— ალბათ ხშირად ხართ კერსხოლმში, არა? — თქვა პერმა, რათა რაიმე ეთქვა.

— გაცილებით იშვიათად, ვიდრე მე მსურს. კერსხოლმი საკმაოდ შორს არის, ხოლო ეტლი კი ყოველთვის არ არის ჩემს განკარგულებაში.

— ძალიან გიყვართ ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე?

— დიახ. — მოუჭრა ინგერმა.

ალბათ ქალიშვილს ეუხერხულა ნაკლებად ნაცნობ კაცთან ამ თემაზე ემსჯელა.

— ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე იტალიაში გაიცანით? — შეცვალა ქალმა საუბარი.

— დიახ, იტალიაში.

— საინტერესოა, ალბათ, ასეთი მოგზაურობა — შენიშნა ქალიშვილმა და უამბო, დიდი ხანია მეც ვაპირებ მშობლებთან ერთად შვეიცარიაში გამგზავრებას, მაგრამ მამას დრო არასდროს არა აქვს, მრევლს

დიდი ხნით ვერ ტოვებს, ის კი არა და, ერთხელ ძლივს გაუშვეს კოპენჰაგენში ერთი კვირითო.

პერმა შენიშნა, რომ ინგერი თითქოს სიმაღლეში იზრდებოდა, როცა მამაზე ლაპარაკობდა. ამაზე პერს თავისი და სიგნე ახსენდებოდა და თავადაც არ იცოდა რად გაეღიმა.

უცებ პერმა ბილიკთან მდგარ ხის ტოტზე კაცის სიმაღლეზე მიჭედებულ რკინის წითელ კავს მოჰკრა თვალი.

— ეს რისთვის მიუჭედებიათ? თავის ჩამოსახრჩობად? — პერი შეჩერდა კავთან და თვალიერება დაუწყო.

ფრიოკენ ინგერს თავისდაუნებურად გაეცინა და უჩვენა გრძელი ბაწრით ხიდან ბილიკის მეორე მხარეზე ჩამოკიდებული რკინის რგოლი. თურმე არსებობს ასეთი თამაში. მოთამაშემ რგოლი კავზე უნდა ჩამოაცვას.

პერმა თავისი ძალის გამოცდა მოინდომა: „დროს მაინც მოვკლავ ამით“, — გაიფიქრა.

მაგრამ ბედი არ წყალობდა.

— აქ პრაქტიკაა საჭირო, — თქვა პერმა, რამდენჯერმე რომ ააცდინა და ფრიოკენ ინგერს სთხოვა ეჩვენებინა, როგორ უნდოდა ამის გაკეთება. — თქვენ, ალბათ, დახელოვნებული ხართ.

ინგერი დაიბნა, მაგრამ თავის გამოჩენის ცდუნება მეტად დიდი იყო. მისი ხელით გასროლილმა რგოლმა შემოხაზა ლამაზი რკალი, ნარნარით დაეშვა ძირს და მიაღწია მიზანს, — ასე ახალგაზრდა ქალიშვილი მიჰქრის დაჭერობანას თამაშის დროს პირდაპირ თავის შეყვარებულთან ჩასახვევად.

პერს ძალიან მოეწონა თამაში. მან ხელახლა გადაწყვიტა, ბედი ესინჯა. მაგრამ კვლავ არაფერი გამოუვიდა.

— არა, არ გამოდის. აბა, ერთხელ კიდევ მიჩვენეთ, — თქვა მან და რგოლი გაუწოდა.

ინგერი ხელახლა დაემორჩილა. მის თხოვნას, თუმცა უკვე რამდენჯერმე გაიხედა მანდილოსნების მხარეს, ამასობაში საკმაოდ რომ დაშორებოდნენ. ამან შეაკრთო თუ სხვა რამ მიზეზი იყო, ამჯერად ინგერს სიმტკიცემ უმტყუნა. ისროლა და ააცდინა. ინგერი გაწითლდა, დიდხანს უმიზნებდა და ხელმეორედ ისროლა, კვლავ ააცდინა.

პერმა დაინახა, რა ახლოს მიიტანა გულთან ქალიშვილმა თავისი მარ-

ცხი და აშკარა ზეიმი ვერ გაბედა. როცა ინგერმა მეოთხედ, ხოლო მერე მეხუთედ ააცდინა, პერს აღარაფერი უთქვამს.

თუმცა ინგერმა ეს შემწყნარებლობა მიიღო, როგორც ახალი დამცირება, პერმა თავისი დუმილით მის გულში მაინც მოიპოვა პატარა კუნჭული. და რაკი რგოლი კვლავ მიზნის ძირმა ფრენდა, ინგერმა გაიცინა, თავის თავს მოუხეშავი ბრიყვი გოგო უწოდა და უფრო მეტად შევიდა აზარტში.

ამ დროს მანდილოსნებიც დაბრუნდნენ. არც პერს გაუგია და არც ინგერს მათი მოსვლა. ქალები მათ უკან შეჩერდნენ.

— ინგერ, — საკმაოდ მკაცრად მიმართა პასტორის მეუღლემ. — წადი, ნახე რას შვრებიან პატარები, — და მერე სხვებს მიმართა: — ჩვენ კი, ვგონებ დროა, შინ შევიდეთ.

კართან პირში ყალიონგაჩრილი პასტორი ბლომბერგი შეხვდათ.

— ა, ბატონო ინჟინერო! სწორედ თქვენს მოძებნას ვაპირებდი ახლა. ალბათ მოგწყინდათ, მოსაწევი რომ არ გქონდათ. წავიდეთ ჩემთან. იქ არ ავაღელვებთ ქალებს ნაირ-ნაირი სიბრძნეებით, — თქვა მან, მკვირცხლად შემობრუნდა და მხიარულად ახითხითდა.

ბლომბერგის კაბინეტში რომ შეესულიყვნენ, მთელი სახლი გაიარეს და პერმა მოასწრო ღირსეულად შეეფასებინა აქ გამეფებული სიმყუდროვე. თვალწინ გადაეშალა დანიელი პასტორის ნამდვილი ბინა, სიმყარისა და სიმტკიცის სიმბოლო. წითელი ხის, მძიმე, ვეებერთელა, საშვილიშვილოდ ნაკეთები ავეჯი მუქი ლოდებივით აღმართულიყო კედლებთან. ფრუ ბლომბერგი ფრიად შეძლებული მოხელის ოჯახიდან იყო. მის მოდგმაში ერთი მთელი ოლქის უფროსი კამერჰერიც კი ერია და ქალს ყოველ მოხერხებულ შემთხვევის დროს უყვარდა ამ გარემოების გახსენება. რაც შეეხება თვით პასტორ ბლომბერგის საგვარტომო ნუსხას, ამის თაობაზე აქ არ ეხალისებოდათ ლაპარაკი, ხოლო თვით პასტორი სხვაზე უფრო ნაკლებად ახსენებდა. მრევლმა მხოლოდ ის იცოდა, რომ ბლომბერგის მამა სადღაც მიყრუებულ პროვინციაში მასწავლებლობდა, თანაც პასტორის ლაპარაკის კილოთი შეიძლება მიხვედრილიყავით, რომ ეს კაცი წარმოშობით კუნძულებიდან იყო.

პასტორის ოთახი სახლის მეორე მხარეს მდებარეობდა, ეს „მოაზროვნე ღვთისმეტყველის“ ნამდვილი კაბინეტი იყო. კედლების გასწვრივ წიგნებით სავსე კარადები ჩაეშენებინათ, რაც დიდად უწყობდა ხელს ეკლესიის ავტორიტეტის გაძლიერებას უბრალო ხალხს შორის.

თუმცა მეტწილად ისინი მღაღადებელი უვიცობის დასაფარავად გამოიყენებიან.

მაგრამ აქ საქმე სულ სხვანაირად იყო. ცხადია, პასტორ ბლომბერგს ნასწავლ კაცს ვერ უწოდებდით, მაგრამ ბევრს კითხულობდა და მწიგნობრული სიბრძნე გაცილებით მეტად იზიდავდა; ვიდრე ამას თვით აღიარებდა. ის თავის პატივის საქმედ თვლიდა თვალყური ედევნებინა ახალ აზრთა ყველა მიმართულებისთვის, მაგრამ მხოლოდ იმას ითვისებდა, რაც მის გონებას რწმენის შეურყეველად გაამდიდრებდა. ამ საკითხში იეზუიტური იყო. როგორც მთელი საეკლესიო მიმართულება, რომელსაც ის ეკუთვნოდა, ბლომბერგიც იდუმალად უსინჯავდა გემოს თანამედროვე მეცნიერების ნაყოფს, მაგრამ თავის მოვალეობად მიაჩნდა მრევლის თვალში მისი გაბიაბრუება. თანაც აზროვნების ლოგიკურად ნათელი და თანმიმდევრული წყობა მისთვის უცხო იყო. ეს გახლდათ გრძნობის ადამიანი და რაკი მისი ცხოვრება ძალზე ჰარმონიულად აეწყო, საბაბი არ ჰქონდა საკუთარი თავი მკაცრად განესაჯა. ახალგაზრდობაში გაბეზრებული იყო ლუკმაპურზე ზრუნვით, მერე რამდენიმე მნიშვნელოვანი ბიძგით სამსახურებრივ კიბეზე წაიწია და თუმცა მრევლი მასზე ლოცულობდა და თავადაც ცნობილი კაცი გახდა — ბლომბერგს დაუკმაყოფილებელი პატივმოყვარეობა სტანჯავდა. მაგრამ უფრო სერიოზული გამოცდის წინაშე ცხოვრებას იგი არ დაუყენებია, ხოლო ისეთი ბედნიერი თვისებების კაცი იყო, უსიამოვნებებს, მას რომ უშუალოდ არ ეხებოდა, ადვილად აიცდენდა ხოლმე.

სწორედ ამ აღუშფოთველმა გულარხეინობამ შეუქმნა მას დიდება მორწმუნე დანიელთა შორის, ახლა რომ მშფოთვარე დრო დაუდგათ. ის ქარიშხალი, ის ღვთიური რისხვა, ბიბლიის უახლესმა კრიტიკამ რომ წამოუჭრა ბევრ მოაზროვნეს, მას სულაც არ შეხებია; ისე ცოტათი იზიარებდა რელიგიის მომხრეების ყველა შიშსა და მღელვარებას, რომლითაც ისინი ბრძოლას აწარმოებდნენ მეცნიერების წინააღმდეგ, რომ ავადმყოფურ მოვლენად და უბრალო მოჩვენებითობადაც კი თვლიდა ამას. მისი საკუთარი რელიგია ქრისტიანობა იყო, გარემოებას რომ ეგუებოდა; ქრისტიანობა, მხოლოდ გულის ხმას და ხალხის სიბრძნეს რომ ენდობოდა; თავის კრედოდ მან განწყობილების პოეზია აირჩია და დიდი სიახლეც შეიტანა მასში.

პერი დივანზე ჩამოჯდა და სიგარის გაბოლება ვერ მოასწრო, რომ ფანჯარასთან სავარძელში მოკალათებული პასტორი ალაპარაკდა.

მან რამდენიმე თავშესაქცევი ისტორია უამბო პერს თავისი მრეველის შესახებ. პერს, ისევე როგორც ამასწინათ, ეამა პასტორის გულწრფელობა და პირდაპირობა: ეს კაცი თანატოლივით ესაუბრებოდა.

მაგრამ პერმა არ იცოდა, რომ პასტორი ასე ჰოფეჰერმეისტერის მეუღლესთან შეთანხმებით იქცეოდა, თორემ ნაკლებად ესიამოვნებოდა მისი გულახდილობა. მისიონერული აღგზნებით აღელვებულმა ჰოფეჰერმეისტერის მეუღლემ პერს ყურადღება მიაქცია, როგორც ადამიანს, ვინც „ყრუ არ იყო რელიგიის ხმისადმი". ამიტომ, დრო რომ მუქთად არ დაეკარგა, პასტორი ხელახლა დაუბრუნდა მათ პირვანდელ საუბარს, რაკი მაშინ ვერ შესძლო მისი დასრულება ერთერთი მხარის არასაკმაო მომზადების გამო.

დღეს პასტორი თავით ფეხებამდე შეიარაღებული გახლდათ. ჯერ იყო და, იკითხა, როგორ მოხდა, რომ პერმა, ასე ახალგაზრდამ, მოკიდა ხელი ისეთ პრაქტიკულ და უტილიტარულ ამოცანების შესრულებას, როგორიც ქვეყნის ეკონომიური პირობების გაუმჯობესებაა. პერმა ხალისით უამბო, პატარაობიდანვე მიზიდავდა ეს საკითხები, ეს წარმოიშვა ომის შემდეგ და, უპირველეს ყოვლისა, მშობლიური ოჯახიდან გამოტანილი შთაბეჭდილებებით იყო ნაკარნახევი. მერე, როცა სერიოზულად დავიწყე ამ საკითხების შესწავლა, დეტალურად გავეცანი მრეწველობის და ტრანსპორტის განვითარებას სხვა ქვეყნებში, ხოლო შედარებანი კი თავისთავად მებადებოდაო.

— დიახ, მართალია, — თქვა პასტორმა. — პატარა სამშობლოსა და დიდი სამყაროს სასწაულებს რომ ერთმანეთს შევადარებთ, ახალგაზრდობაში ხშირად დავნაღვლიანდებით ხოლმე. თუმცა ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაშიც, ისევე, როგორც პროგრესით გატაცებულ ადამიანთა უმრავლესობისათვის, ნათანის შრომებმაც შეასრულეს თავისი როლი. განა მართალს არ ვამბობ?

პერი შეეცადა შეპასუხებოდა. ნათანი ხომ წმინდა წყლის ესთეტია! ეს ფიგურა ამთავრებს ცივილიზაციის განვითარებაში განსაზღვრულ პერიოდს და თუკი ნათანს ახალი დროის შემქმნელთ მივაკუთვნებთ, მხოლოდ იმ გაგებით, რომ მან ამისათვის ნიადაგი შეამზადა. გაგება კი ახალი დროისა ნათანს არ შეუძლია.

— მაშ, აი თურმე როგორ ფიქრობთ თქვენ! ჰმ, ჰმ! — პასტორმა ძლიერ მოქაჩა ყალიონი და დადუმდა. ის რომ, ნათანის მოძღვრება განვლილ ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს, მისთვის მთლად მოულოდნელი

ამბავი იყო და თავგზა აუბნია. თუმცა ძალიან უნდოდა ამაზე ესაუბრა, მაგრამ საჭიროდ ჩათვალა, წვრილმანებით არ დაინტერესებულიყო, რადგან ეშინოდა, კიდევ რაიმე ახალი მოულოდნელი ამბავი არ გაეგონა.

— მაშასადამე, თქვენ მაინც აღიარებთ, რომ ნათანს უდიდესი გავლენა ჰქონდა თანამედროვე ახალგაზრდობის განვითარებაზე? — განაგრძო პასტორმა საუბარი წინასწარ დასახული გეგმის მიხედვით. — მე, ჩემის მხრივ, ყველაზე მეტად, ცხადია, საქმის რელიგიური მხარე მაინტერესებს. ასე, მაგალითად, მე ვფიქრობ, რომ თქვენც კი რამდენადმე განუდექით ეკლესიას, მიუხედავად იმისა, რომ პასტორის შვილი ხართ და რომ ნათანს ამაზე გარკვეული პასუხისმგებლობა აკისრია.

პერი არ შეკამათებია, მაგრამ გაიმეორა, რომ ნათანის შრომებმა მხოლოდ განუმტკიცეს ის შეხედულებანი, რომელთა ჩამოყალიბებაც მას ჯერ კიდევ მშობლიურ სახლში დაეწყო.

— ერთი უყურეთ! ნუთუ ასე ადრე ჩამოსცილდით ღვთის ფარას?

— სწორედაც! — გამომწვევად მიუგო პერმა. პასტორმა სევდიანად გადაიქნია თავი.

— ახ, ახ! მით უარესი, მით უარესი. როგორც ჩვენი პირველი შეხვედრისას გითხარით, თქვენს განსვენებულ მამას პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ კარგად ვიცი, რომ მას, ისევე, როგორც ძველი წრთობის ყველა ლუთერიანელს, ცოტა არ იყოს, ვიწრო და ცალმხრივი შეხედულება ჰქონდა მრავალ სასიცოცხლო მოვლენაზე. რა ცუდია ცუდად გაგებული მართლმორწმუნეობა, მძიმე კოშმარად დააწვა ის ეკლესიას და ადამიანის სადგომს. მრავალ მგზნებარე და მშვენიერ ახალგაზრდა მოაზროვნეს მოაკლდა მის გამო სულიერი თავშესაფარი. როცა ნათანის მსგავსი ნიჭით დაჯილდოებული და მჭევრმეტყველი ადამიანი თავისი წიგნებით არწმუნებს ახალგაზრდობას, რომ ღვთის ეკლესია ხავსმოკიდებული ტაძარია, საქმე გარდუვლად ყოველივე ჭეშმარიტის უარყოფით და დამხობით მთავრდება. ახ, რა მშვენივრად მესმის ეს!

პერმა არაფერი არ უპასუხა. მაინცდამაინც არ მოსწონდა ამ საუბრის მიმართულება, მაგრამ პასტორი კვლავ ალაპარაკდა ნათანზე და ამჯერად ძალზე მოწიწებით. პასტორი მხოლოდ იმას წუხდა, რომ ასეთმა ნიჭიერმა, ასეთმა განათლებულმა კაცმა ქრისტიანობისადმი მძაფრად მტრული პოზიცია დაიკავა. ამაში დიდი ბრალი მიუძღვის ფანატიზმის უკიდურეს გამოვლინებას აქაც და საზღვარგარეთაც.

— ოუმცა. — განაგრძო პასტორმა, — ნათანი თავადაც არ არის

უცოდველი, ისიც იზიარებს დანაშაულს, რაკი მცდარი შეხედულებისაა ქვეყნიერებაზე არსებულ ძალათა შორის ყველაზე უდიდეს სულიერ ძალაზე. ასე ემართება ყველას, ვინც ცდილობს ქრისტიანობა მეცნიერული პოზიციებიდან გააკრიტიკოს: თვითონ ვერ გათავისუფლებულან ცალმხრივობისაგან და უარყოფისას დოგმატიზმისკენ ექანებიან. მათი უბედურება იმდენად იმაში კი არ არის, რომ ისინი აღიარებენ, თავი და თავი ჭკუა არისო, რამდენადაც იმაში, რომ არც ერთ თავიანთ პოსტულატს ლოგიკურ დაბოლოებამდე არ ვარაუდობენ. მაგალითად, როდესაც თანამედროვე მეცნიერება თავის თავს ნატურალისტურად აცხადებს, ანუ, სხვა სიტყვებით, რეალურად არსებულად აღიარებს მხოლოდ იმას, რაც ცალკეულ ცნობილ ფიზიკური და ქიმიური თვისებების მქონე ატომებად იხლიჩება, მაშინ ის მეტისმეტად არასრულ წარმოდგენას იძლევა ბუნების შესახებ და ეფარება შკოლიარულ ტერმინოლოგიას, რაც არავის არაფერს არ უხსნის. ჩვენ ჭეშმარიტად ბუნებაში და ბუნებასთან ვცხოვრობთ და არაფრით არ შეგვიძლია მივიღოთ აზრთა ასეთი ვიწრო წყობა, რადგან ვიცით და ბევრჯერ დავრწმუნებულვართ საკუთარი გამოცდილებით, რომ ბუნებას თავისი სული აქვს, რომ ხილვად საგნებს და მექანიკურ ძალებს უკან, ჩვენს გრძნობებზე რომ ზემოქმედებენ, იმალება ბუნების სული, რომელიც ასე ბევრ რამეს ეუბნება ჩვენს გულს. რაკი ჩვენმა ყურმა ბუნების ხმის აღქმა ისწავლა, უკვე აღარაფერი გვესმის მის გარდა, ის ჩვენამდე აღწევს ქარიშხლის მრისხანე ღრიალშიც, ნიავის მსუბუქ ქროლვაშიც. თანაც, არა მარტო გვესმის ბუნების ხმა, მისი ენის გაგებასაც ვიწყებთ, რადგან ბუნების პირით მარადიულობის სული გველაპარაკება, თვით ჩვენში რომ ცოცხლობს. ტყეში რომ ვსეირნობთ და მგრძნობიარე ყურით ვიჭერთ ფოთლების შრიალს ან ნაკადულის ჩუხჩუხს ვუგდებთ ყურს, დაე მაშინ უახლესმა მკვლევარებმა მეცნიერული ახსნა მოგვცენ ამ ბგერებისა, დაე ახსნან ისინი ბგერითი ტალღების გავრცელებით, ან წყლის წვეთის ვარდნით სიმძიმის ძალის ზეგავლენით, — როგორც ნებავდეთ, მაგრამ თუ ამ დროს ეგონებათ, თითქოს რაიმე აგვიხსნეს, პასუხად ვეტყვით: „არა, მოითმინე, ძვირფასო! ახსნის დროს რაღაც გამოგრჩა, მთავარი რამ. მთელ შენს გამოთვლებს არ შეუძლია ახსნას ენით უთქმელი გულითადობა, თითქმის დური ალერსი, მარტოობის დროს მოჩუხჩუხე ნაკადულის ბუტბუტში რომ გვესმის“. ხომ არ გვეშინია, ასეთი გარეგნულად უსულო საგნები უეცრად თავის ენას რომ პოულო-

ბენ: სულაც არა ვართ შეურაცხყოფილნი, თუ მხიარული წყარო უეცრად უბოდიშოდ მოგვმართავს „შენობით“, პირიქით, ბუნებასთან შეერთების გრძნობაში არის რაღაც დამამშვიდებელი და ახლობელი; მაგრამ ხომ არ წარმოადგენს ნათქვამი იმის საუკეთესო მტკიცებას, რომ ხილვადი სამყაროს მთელი ნაირფეროვანების იქით იმალება რაიმე მთლიანი, საგნებისა და მოვლენების რომელიღაც საერთო საწყისი? და რომ მშვენიერი მეოცნებე გრძნობა, ასეთ წუთებში რომ გვეუფლება, ხომ არ არის მხოლოდ სევდა სამშობლოზე? მაგრამ თუ ის სწავლული ფიზიკოსი ისევ შეეცდება ამ გრძნობის გაყოფას და მის გამოსახვას მექანიკურ ან ქიმიურ ძალთა ერთიანობად, როგორც ასეთი, პირველადი მატერიის გამოვლენად, მე ხელახლა ვეტყვი მას: „თავი დაანებე შენს წიგნებს, დატოვე შენი ლაბორატორია და ცოცხალ ბუნებიდან ისესხე სიბრძნე“. დაე მანაც მოისმინოს, როგორ ჩუხჩუხებს ნაკადული ტყეში. დაე, გულზე წუხილი თუ მოაწვება, წავიდეს სადმე საღამოთი და თუ ცოცხალი გრძნობები ჯერ მთლად არ ჩახშობია, ნაკადულის სიმღერაში უეჭველად დაინახავს გზას უსასრულობის სიღრმეებისაკენ, კიბეს, რომელიც აწმყოს მარადიულობასთან, ხოლო უსულო ნეშტს უხრწნად სულთან, სიკვდილს განახლებასთან აკავშირებს. ის მიხვდება, რომ ჯერ კიდევ არ გაჭრილა ჭიპლარი მასა და ყოვლისშემქმნელს შორის, რომ სწორედ იმის მეოხებით, ჩაფიქრების დროს, ლოცვის საათებში მოედინება ჩვენთან მაცოცხლებელი ძალა სიცოცხლის მარადიული წყაროდან, ვისაც ჩვენ, ქრისტიანები, ჩვენს ღმერთსა და მფარველს, ჩვენს მოწყალე მამას ვუწოდებთ.

პერს სიტყვაც კი არ წამოსცდენია. მას აღიზიანებდა პასტორის მეტისმეტად დამრიგებლური ტონი, მაგრამ ვერ მოახერხა შეპასუხება, თანაც ზოგიერთ რამეში პასტორმა მხოლოდ ნათლად გამოხატა მისი, პერის საკუთარი და აქამდე ბუნდოვანი გრძნობები — ბუნებასთან განახლებული სიახლოვის შედეგი.

ამასობაში ბლომბერგი განაგრძობდა:

— მაგრამ ის, რაც სამართლიანია ბუნების სულის მიმართ, სამართლიანია ისტორიის სულის მიმართაც — რაც ჩვენი შემეცნების მეორე ძლიერი წყაროა. ისტორიაც ასევე განამტკიცებს ჭეშმარიტ ქრისტიანში იმედს და რწმენას, თუკი ის, ზოგიერთი არქივის ვირთხის მსგავსად, არ ჩაიფლობა წვრილმანებში და დაკარგავს პერსპექტივას. იმ ყბადაღებულმა კრიტიკამაც კი, ეკლესიის მამათა უძველესმა შრომებმა ისტორი-

ული და წმინდა ენობრივ- თვალსაზრისით რომ განიცადეს, ამ კრიტიკამაც კი, ერთი შეხედვით რომ ასე დამამცირებელი გეჩვენებოდათ, მხოლოდ განამტკიცა რწმენა ადამიანებში, მათში, ვინც სწავლების იქით ხედავს ცხოვრებას, ხოლო ასოს იქით — სულს. ხოლო თუ ეკლესიაში ამ გზით მეტი სინათლე და ჰაერი შეაღწევს — მერე რა, მით უკეთესი ეკლესიისთვის; გაზაფხული სწორედ ასე იწყება. მთელი ეს დოგმატიური სქემა მხოლოდ გარეგნობაა, მხოლოდ გარსი, და თუ ის გასკდა, მის ქვეშ რწმენის ჭეშმარიტი ბირთვი გამოჩნდება. ასეა ყველაფერში. ჩვენ, ქრისტიანებს, მეცნიერებისა არ უნდა გვეშინოდეს; უფრო მეტიც, თამამად შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, სწორედ ამ მხრიდან მოვა ჩვენთან ჭეშმარიტებისთვის ბრძოლაში მხარდაჭერა. სხვანაირად არც უნდა იყოს. საითაც არ გაიხედავ... ავიღოთ თუნდაც ფიზიკოსების მიერ ახლახან დამტკიცებული თეორია იმის შესახებ, რომ ბუნებაში უკვალოდ არაფერი, არც ერთი ატომი არ იკარგება (თუმცა ძალიან ხშირად მზად ვართ პირიქით ვიფიქროთ), არამედ უბრალოდ, სხვა მდგომარეობაში გადადის. მოვიყვან მაგალითს. მინდორში კოცონი ანთია. ჩვენ გვგონია, თითქოს ფიჩხის მთელი გროვა არაფრად იქცევა და მისგან მხოლოდ ერთი მუჭა ნაცარი დარჩება. სინამდვილეში კი ყველაფერი სულ სხვანაირად ხდება. ცეცხლის მეოხებით საწყაური სხვა ფორმას იღებს, რომელსაც ადამიანის თვალი ვერ ხედავს. განა არ არის ეს სულის უკვდავებაში ადამიანის რწმენის საუკეთესო მტკიცება? ავიღოთ სხვა მაგალითი — მემკვიდრეობის უახლესი თეორია. გავიხსენოთ ექიმების მტკიცება, რომ განსაზღვრული დაავადებები გადაეცემიან თაობიდან თაობას და შევადაროთ ეს საღვთო წერილის სიტყვებს: „დაისაჯონ, ბავშვები მამების დანაშაულისთვის მესამე და მეოთხე მუხლამდე“ კიდევ ერთი მაგალითი ეკონომიური და პოლიტიკური მეცნიერებების დარგიდან, მივმართოთ სოციალ-დემოკრატიული პარტიის დევიზს: თავისუფლება, თანასწორუფლებიანობა და ძმობა! მაგრამ ხომ ამასვე ღაღადებს ქრისტიანული საზოგადოების პირველი კანონები, რომელთა უცოდველობა კიდევ ერთხელ მტკიცდება ამ მეცნიერებით. ყველგან, სადაც სერიოზული ძიებანი მიმდინარეობს, ჩვენ ხელახლა აღმოვაჩენთ ჭეშმარიტებას, რასაც ათასი წლების წინათვე თაყვანს სცემდნენ მორწმუნენი. ეს ხომ არ გვაძლევს უფლებას, ვილაპარაკოთ ღვთიურ წინასწარხედვაზე. და ხომ არ იქნება გადაჭარბება ითქვას, რომ ქრისტეს შვილები რჩეულებივით ისხდნენ ღმერთის ფერხთით და თა-

ვისი ბავშვური გონებით ადვილად წვდებოდნენ სიბრძნეს, სადამდისაც ჩვენი დროის უდიდესი მოაზროვნენი მხოლოდ დიდი გაჭირვებით მივიდნენ მრავალი ძიებისა და საბედისწერო შეცდომების შემდეგ?

პასტორს უნდოდა განეგრძო სიტყვა, მაგრამ კარს უკან მოისმა ნაბიჯების ხმა, ოთახში ინგერმა შემოიხედა და აცნობა, ბარონესა და ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე შინ წასასვლელად ემზადებიანო.

— მაშ, დღეისთვის კმარა, — თქვა პასტორმა და სავარძლიდან აღგა. მან პერს მხარზე დაადო ხელი, თან მეგობრულად დაუმატა: — ჩვენმა საუბარმა ჭეშმარიტი სიამოვნებით დამატკბო. ვიმედოვნებ, კვლავ შეეძლებთ მის გაგრძელებას... ჩვენი შეხედულებანი, როგორც ახლა მეჩვენება, იმდენად არ განსხვავდება, რომ საერთო ენის გამოძებნა ვერ მოვახერხოთ.

მაგრამ, როგორც კი სასტუმრო ოთახში შევიდნენ, სადაც მათ მანდილოსნები ელოდნენ, სახლს ვილაცის ეტლი მოადგა.

— აჰ, მრჩეველი მოვიდა, — განუცხადა მათ ფანჯარასთან მდგარმა ინგერმა. — ლიზა და ჰერდაც მოჰყვნენ.

იუსტიციის მრჩეველი კლაუსენი, ბესტრუპის ახლო მდებარე გრაფის მამულის მმართველი, მთელ ოლქში ბლომბერგის ყველაზე უფრო თავგამოდებული თაყვანისმცემელი და თანაც ჰოფეჰერმეისტერის მეუღლის ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი იყო. ამიტომაც, როცა გამოირკვა, მრჩეველი თავისი ოჯახით მთელი საღამოს გატარებას ბლომბერგთან აპირებდა, ბარონესა და ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე დამორჩილდნენ თხოვნას და გადაწყვიტეს გადაედოთ გამგზავრება. პერსაც სთხოვეს დარჩენა და მანაც ვერ გაბედა უარის თქმა, თუმცა ამჯობინებდა, დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო. მეტისმეტად აეღელვებინა პასტორთან საუბარს. პასტორს ახალი კი არაფერი უთქვამს, მაგრამ მისმა ტონმა, იდეისადმი ერთგულებამ და მისთვის დამახასიათებელმა სულიერმა აღფრთოვანებამ ღრმად ააღელვა პერი და ადრინდელი ფიქრები აუშალა.

მრჩეველი დაგვალული კაცი აღმოჩნდა. დიდი ქილვაშები ჰქონდა და ოქროს საათვალე ეკეთა. სამაგიეროდ მეუღლე ჰყავდა ვეება, სახლში მისი შემოსვლის შემდეგ თითქმის მთელი საათი გავიდა, ეს ქალი კი კვლავ ქოშინებდა. ქალიშვილები ინგერის ტოლა გოგონები იყვნენ.

ბაღში ვახშმობდნენ. მაგიდასთან გაცხოველებული საუბარი გაიბა. სიტყვა ჩამოვარდა პასტორ ფიალტრინგზე. მრჩეველმა ახალი, მთლად

არაჩვეულებრივი ამბავი მოიტანა ამ მღვდელმსახურისშესამოსელიან განდგომილზე და ღვთისმგმობელზე; გარდა იმისა, რომ სამარცხვინო ცხოვრებას ეწევა ლოთ ქალთან, როგორც ყველა ამბობს, ისეთი მერყევი და სუსტი ხასიათისაა, თავადაც ვერ გარკვეულა, სინამდვილეში რა სწამსო.

— და აი, ერთ-ერთმა ზედმიწევნით ღირსეულმა ახალგაზრდა კაცმა, პასტორ ბლომბერგის მომხრემ, — განაგრძო მრჩეველმა, — ახლახან რაღაც საქმეზე რჩევისთვის მიმართა ფიალტრინგს. მათ ისაუბრეს და ფიალტრინგმა ურჩია, ამქვეყნიური სიამოვნება არაფერში არ მოიკლოო. „თქვენ უფრო მეტი უნდა შესცოდოთ, — პირდაპირ ასე მოუჭრა. — თუ ასე იცხოვრებთ, როგორც ახლა, ვერასოდეს ვერ გახდებით ჭეშმარიტი ქრისტიანიო“.

აღშფოთებულმა მანდილოსნებმა ოხვრა-კვნესა მორთეს, პასტორმა ბლომბერგმა კი დინჯად გაიქნია თავი და თქვა:

— ძალიან უბედური კაცია.

ამ დროს თეთრ სამრეკლოზე, ბაღის უკან საღამოს აისის წითელ ათინათზე რომ მოჩანდა, ზარმა დაჰკრა. ყურთასმენის წამღებმა ხმამ შეაშინა სტუმრები, რომლებიც არ იყვნენ მიჩვეულნი ზარის რეკვის ასე ახლოდან მოსმენას. პასტორ ბლომბერგს აშკარად არ სურდა ლაპარაკის გაგრძელება ფიალტრინგზე. მან გაიცინა და თქვა, რომ ზარის რეკვაც, კაცმა რომ თქვას, მეტად უპასუხისმგებლო ამბავია და ჯანმრთელობის დაცვის კომისია ამას უნდა კრძალავდესო.

ამაზე ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე შეეპასუხა, შორს მანძილზე საღამოს რეკვა ძალიან ლამაზად ჟღერს და მაღალ მიზნებს ემსახურება, ის თითქოს მოგვიწოდებს თავი მოვუყაროთ ჩვენს აზრებს დღის ფუსფუსის შემდეგო. მაგრამ პასტორი ვერ იტანდა შეპასუხებას, განსაკუთრებით თავისი მიმდევრებისაგან. თუმცა ზარების თაობაზე მან ისე, სხვათაშორის თქვა, მოსწრებულ სიტყვად, ლიუთერის წაბაძვით ზოგჯერ უყვარდა თავისი ლაპარაკის მოსწრებული გამოთქმებით შემკობა, მაგრამ ჰოფეჰერმეისტერის მეუღლეს მაინც მკვახე პასუხი გასცა.

მას მსგავსი გახსენებანი არ სჭირდება. ლოცვად დადგომად ბრძანებაზე — მორჩილი მონაა! ამაში არის რაღაც კათოლიკური; რაღაც მისთვის ღრმად ანტიპათიური. თითქოს ღმერთს ექიმებივით ან ადვოკატებივით მიღების საათები ჰქონდეს. რაც შეეხება სიმბოლიკას, ეს, ცო-

ტა არ იყოს, ბავშვურად ეღერს, მაგალითად, როცა მზეს ღმერთის ოქროს საათს ეძახიან. ეს, თუ გინდათ იცოდეთ, თითქმის შებილწვაა.

რაკი ჰოფეჰერმეისტერის მეუღლის შეხურება სურდა, პასტორმა კარგა ხანს ილაპარაკა: სიტყვა ისე გაუგრძელდა, უმნიშვნელო საკითხი მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემად გაიზარდა — ადამიანის ღმერთისადმი სწორი დამოკიდებულების პრობლემად.

ამასობაში ვახშამს თითქმის მორჩნენ. ქალიშვილები სუფრიდან წამოიშალნენ და ბაღში წავიდ-წამოვიდნენ. კლაუსენის ორივე ქალიშვილი ლამაზი, ქორფა, შაგვრემანი გოგონები იყვნენ. განსაკუთრებით უფროსი გახლდათ მომხიბლავი — ნამდვილი ევას ნაშიერი იყო. გამომწვევი, ცეცხლოვანი თვალები ჰქონდა.

სუფრას რომ ალაგებდნენ, ბლომბერგმა შესთავაზა, ვიმღეროთო. ბაღიდან ქალიშვილები მოიყვანეს, ხოლო პასტორის მეუღლე ტერასაზე გავიდა და როიალს მიუჯდა.

მინდვრად სიმშვიდე და სიწყნარეა,
ეშვება ღამის ფარდა ცახცახით,

ბაღიდან შრიალი მოისმა. თხილნარში თავისი სიმღერა წამოიწყო შაშვმა, ბუნების ხმა ადამიანების არეულ სიმღერას შეერია.

ღრუბლებს უცინის ლაღი მთვარე და
სადღაც ვარსკვლავი ვარსკვლავს გასძახის,

ბაცი ფერის კაბებში გამოწყობილი ქალიშვილები ყათარის საფეხურებზე ჩამომსხდარიყვნენ; გამომწვევად წკრიალებდა მათი მაღალი ხმები, ხოლო პასტორი და მრჩეველი ბანს აძლევდნენ. მრჩეველს ხელები გულზე დაეკრიფა, წარბები შეეკრა და თვეზიევით დაეღო პირი. მანდილოსნები მაგიდას უსხდნენ და სიმღერას ურევდნენ. სამაგიეროდ პასტორის მეუღლეს ძლიერი და კარგად დაყენებული ხმა აღმოაჩნდა და მან ითავა წამყვანი პარტია.

ზღვათა სივრცენი დავსერე ჩქარად,
გულს ჩავიხვიე მისი ლაჟვარდი.

მხოლოდ პერი არ მონაწილეობდა სიმღერაში, თუმცა არც ერთი ამ მომღერალთაგანი არ ღელავდა მასავით. მას გაახსენდა, რა ვითარებაში მოისმინა ეს სიმღერა უკანასკნელად. ის იდგა სხვისი ბაღის ცოცხალი

მესრის გადალმა და ძალიან უნდოდა იქ შესვლა. ახლა ის, ასე ვთქვათ, შევიდა მესერს იქით, მაგრამ ძველებურად თავს დაუპატიჟებელ სტუმრად თვლიდა. ეს ისტორია მუდამ მეორდება. ყველგან, სადაც კი სიდენიუსური სახლის სული სუფევს, თავს განდეგილად გრძნობს.

სიმღერა დაასრულეს, პასტორმა სალოცავად დაიკრიფა ხელები და „მამაო ჩვენო“ წაიკითხა, მერე კიდევ რამდენიმე სიმღერა იმღერეს და ეტლებიც ჩამოდგნენ სახლის წინ.

ყველანი რომ წავიდნენ, პასტორმა ჩიბუხი მოსწია, ცოლთან ერთად ტერასაზე ჩამოჯდა და თავიანთ დღევანდელ სტუმრებზე ჩამოაგდო ლაპარაკი. აქვე იყო ინგერიც. მან უკვე უსურვა მშობლებს ღამე მშვიდობისა და ის იყო დასაძინებლად უნდა წასულიყო, მაგრამ პერის სახელის გაგონებაზე თავი ისე მოაჩვენა, ვითომ ნოტებს არჩევდა.

პასტორმა ბლომბერგმა დიდი მოწიწებით მოიხსენია პერი და მისი ნიჭი, ფრიად შეაქო მისი გარეგნობაც, მაგრამ უეცრად პასტორის მეუღლე აღელდა:

— აქ რას აკეთებ, შვილო?.. დროა დაიძინო.

მთელი გზა პერს ხმა არ გაუღია, ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე მიხვდა ამ დუმილის მიზეზს და არ შეუწუხებია, თავის დას ოჯახურ საქმეებზე ელაპარაკებოდა.

ბორუპს რომ გასცდნენ, მაღალი, გამხდარი კაცი შეხვდათ, გზის პირას მოდიოდა. პერს არ შეუნიშნავს, მაგრამ ჰოფეჰერმეისტერის მეუღლემ დას ხელი სტაცა:

— შეხედე, აი პასტორი ფიალტრინგი!

პერმა ეტლიდან გამოიხედა და სიბნელეში მაღალი ტანის კაცი დაინახა.

— ეს არის გიჟი პასტორი? — იკითხა მან.

— ჰო, ახლა სწორედ მისი დროა, ამბობენ, ხანდახან მთელი ღამე სეირნობს სოფლის გზაზეო.

პერი კვლავ დადუმდა. გზის პირას ნანახი მარტოხელა, მოუსვენარი ადამიანის გახსენებაზე შიშისაგან შეამცივნა. სახარებიდან აღებული წყევის ავისმომასწავებელი სიტყვები: „განდევნილი ყარიბად დაეხეტებოდე ქვეყნადო“, მამის მბრძანებლური ხმით ხელახლა აუჟღერდა ყურებში. პერს მოეჩვენა, თითქოს საკუთარ მომავალში ჩაიხედა.

• • •

მეორე დილით პერმა გადაწყვიტა ბოლოს და ბოლოს სერიოზულად მოეკიდა ხელი იმ წიგნებისთვის, ჰოფეჰერმეისტერის მეუღლემ რომ მოამარაგა. პირველად ამოარჩია პასტორ ბლომბერგის ქადაგებათა კრებული „გზა ღმერთისაკენ“ და მიუხედავად იმისა, რომ ქარიანი ამინდი იყო, წიგნიანად წავიდა ტყეში. ტყის პირას თავისი საყვარელ ადგილას ისე ჩამოჯდა, რომ ზურგს უკან ხეებს დაეცვათ ქარისაგან. თვალწინ მდინარე და მდელოები გადაშლოდა, პირისპირ კი ბუჩქნარით დაფარული დამრეცი ნაპირი მოჩანდა.

გარემო ძალზე შესაფერისი იყო არჩეული წიგნის წასაკითხად. პასტორ ბლომბერგის ქადაგებებში ბევრი რამ მოგაგონებდათ სწორედ ასეთ ჭეშმარიტად დანიურ პეიზაჟს: სუფთა ჰაერიან გრილ დღეს, ლურჯ ცას, მზით განათებულ ღრუბლებს, ფრინველების გალობას, ზოგჯერ რომ გზააბნეული ხბოს ღმუილი ჩაერთვის. ირგვლივ კი — მძაფრი სიმწვანე, რბილი, მსუბუქი ხაზები და სივრცე, სწორი, ერთფეროვანი ჰორიზონტი. თავის ქადაგებებში პასტორი ბლომბერგი მოხერხებულად სარგებლობდა როგორც ლიტერატურული, ისე ხალხური მეტყველებით. ამ გაგებით ის მთლიანად ეკუთვნოდა იმ ეკლესიურ მიმართულებას, რომელიც აღზრდილი იყო გრუნდტვიგიანულ ფსალმუნებზე და ამიტომ არასოდეს არ კარგავდა პოეტურ ხასიათს.

მაგრამ ყველაზე მეტად პერი გადმოცემის მანერას კი არ მიუზიდავს; მხატვრული მეტყველების სილამაზე არ აღელვებდა მას, რადგან მათემატიკის და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დახვეწილ ენას იყო მიჩვეული. ლამაზ სიტყვებს მიღმა ყოველთვის ეძებდა ზუსტ მტკიცებებს, თვალყურს ადევნებდა აზრის განვითარებას, რათა ჩასწვდომოდა ცხოვრების დიდ საიდუმლოს, რადგან ბოლო დროს საშინელი ბურუსით მოცული და ბუნდოვანი ეჩვენებოდა.

პასტორთან ორმა საუბარმა წარმოდგენა მისცა პერს ბლომბერგის ქრისტიანობაზე; ეს კი სრულიად არ ჰგავდა იმ რწმენას, რომლითაც ის აღზარდეს. მან მხოლოდ ახლა დაიწყო მიხვედრა, რა შორს წავიდნენ თვით სასულიერო პირნი წარსულის ბნელი ორთოდოქსალურობიდან, მართლმორწმუნეთა რელიგიისგან, რომლებიც შეაჩვენებდნენ ადამიანის სხეულს და ჯვარს აცვამდნენ ადამიანის გონებას, სულს შუასაუკუნეობრივად აწამებდნენ და მას სანუგეშოდ უტოვებდნენ

მხოლოდ ბუნდოვან ოცნებას სამოთხის ბედნიერებაზე. არა, ახალ რელიგიაში არ იყო არაფერი აზრის დასაფრთხობი, ან გულის აღსაშფოთებელი, არაფერი არ იმალებოდა ფიქრში ან გაურკვეველ წინაგრძნობაში. და, უპირველეს ყოვლისა, აქ არ გჭირდებოდათ არავითარი წინააღმდეგობის გადალახვა. ყოფიერების საიდუმლოება შესამოწმებლად უბრალო და ნათელი გახლდათ. ყველაფერი თავის ადგილზე იყო, ყველაფერი ერთმანეთიდან გამომდინარეობდა და რაც მთავარია — ყველაფერი შესანიშნავად ეწყობოდა თვით ადამიანის სულიერ მოთხოვნილებას. ეშმაკი, როგორც ბერების ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფი, სრულიად მშვიდად მოისროლეს შორს, საკუჭნაოში. მოძღვრება მარადიული შეჩვენების შესახებ და პირველჩენილ ცოდვაზე გამოაცხადეს ბარბაროსულ და საზიზღარ მოძღვრებად, რადგან ეწინააღმდეგებოდა ქრისტიანულ წარმოდგენას ღმერთზე, როგორც ყოვლადკეთილ მამაზე. ცდილობდნენ, იმქვეყნიურზე რაც შეიძლება ნაკლები ელაპარაკათ. რაც მთავარია, ამ მოძღვრების მიხედვით ადამიანს მშვიდობიანად და ღვთისმოშიშად უნდა ევლო დასახული გზით, შეენარჩუნებინა ბავშვური რწმენა ღვთიური მამის გულმოწყალეობისა.

ყოველივე ეს პერისთვის სასიხარულო აღმოჩენა გახლდათ. იძულებული გახდა დათანხმებულიყო, რომ ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე სწორი იყო, როცა ამტკიცებდა, ბლომბერგის ქადაგებებზე დამამშვიდებელი არაფერი ვიცით. გუშინდელ საღამოს აქეთ გული ჰქონდა დამძიმებული და ძილშიც იტანჯებოდა, ახლა კი შვება იგრძნო.

ბოლოს პერმა წიგნი დახურა, თავქვეშ ხელები ამოიდო და მდელოებისა და მინდვრების ჰვრეტით გაერთო. ის ახლა იმასვე გრძნობდა. რასაც ადამიანი, სულ ახლახან უცნობ ქვეყანაში წასასვლელად აბობოქრებულ ზღვაზე მძიმე და სახიფათო ღამის მოგზაურობის მოლოდინი რომ გადაიტანა. თითქოს ამ ადამიანმა გამოიღვიძა დილით და ნახა, რომ მოგზაურობა დამთავრებულა, ქარიშხალი ჩამდგარა და მზით განათებული და ტყეებით ამწვანებული უცხო ქვეყნის ნაპირები ალერსიანად შეეგებნენ. პერი თავს გამოუტყდა, თუ ამ ბოლო დროს ზნეობრივი კრიზისის მოახლოვებას ებრძოდა, ამას იმდენად მოსალოდნელი სინდისის ქენჯნის შიშით კი არ აკეთებდა, რამდენადაც იმის შიშით, ასეთი სულიერი გადატრიალების შემდეგ ახალ, უჩვეულო პირობებში მოვხვდებიო. ახლა დამშვიდდა. აქ ადამიანისაგან უპირველეს ყოვლისა,

მოითხოვდნენ იმ მკაცრ და თანმიმდევრულ თვითსრულყოფას, რაშიაც პერი უკვე კარგა ხანია თავისი ნებით ვარჯიშობდა.

საუზმეზე ჰოფეჰერმეისტერის მეუღლემ უამბო, ტყეში დიდი საბალხო სეირნობა იმართება და პასტორი ბლომბერგი იქადაგებს, მე იუსტიციის მრჩეველთან და პასტორის ოჯახთან შეთანხმებული ვარ, რომ იქ შევხვდე მათ, ალბათ ბარონესაც წამოვა და ხომ არ გინდა შენც იქ იყო.

პერმა უპასუხა სიამოვნებით მოუსმენ პასტორ ბლომბერგსო და მართლაც ასე იყო. ის, რომ ქალიშვილების ნახვაც ეამებოდა, პერს არ უთქვამს, თუმცა ეს თავადაც ახლა მოაგონდა. გუშინდელი საღამოს შემდეგ პერს არ გახსენებია ქალიშვილები, გუშინაც თითქოს სულაც არ დაინტერესებულა იმათით, მაგრამ თავისდა შეუმჩნეველად პერი სულ მათზე ფიქრობდა. როგორც პერის თვალები მისდაუნებურად მიშტერებოდა ბაცი ფერის კაბებში გამოწყობილ სამ მოყვანილ ყმაწვილ ქალს, ხელიხელჩაკიდებულნი რომ დახეტიალებდნენ მწვანე კორდზე, ისევე მისი სული სადღაც თავის კუნჭულებში ცოცხლად ინახავდა ამ სურათს, თუმცა, თითქოს მხოლოდ საკუთარი თავი ახსოვდა.

ოთხი საათისთვის სახლის წინ ლანდო ჩამოდგა და ცოტა გაჯანჯლების შემდეგ, რაკი ბარონესას, ჩვეულებისამებრ, ვერაფრით მოეთავებინა მზადება — გზას გაუდგნენ. ბოლო წუთს ჰოფეჰერმეისტერმაც გადაწყვიტა მათთან ერთად წასვლა და გზაში ყოველნაირად ცდილობდა იქ მყოფთათვის დაევიწყებინა ბოლო დღეებში ჩადენილი თავისი ცოდვები.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მივიდნენ ისინი სეირნობის ადგილზე — ქარს მოფარებულ ღრმა ხევში მდებარე კორდზე. რამდენიმე ასეული გლეხი — კაცი და ქალი — შეკრებილიყო დროშებით მორთული ტრიბუნის წინ. ფსალმუნების სიმღერაც დაეწყოთ. დიდგვაროვანთა გამოჩენამ ფრიად დაინტერესა დამსწრენი, თუმცა ამ ინტერესში არ ერია არავითარი მოწიწება, პირიქით: როცა სანადირო ქურთუკში გამოწყობილმა აყლაყუდა ჰოფეჰერმეისტერმა, შლიაპაში რომ როჭოს ფრთა ჰქონდა გარჭობილი, თავისი მანდილოსნები ტრიბუნის წინ მდგარ რჩეული მრევლისთვის განკუთვნილ სკამებამდე მიაცილა, აქაიქ სიცილიც კი გაისმა.

პერი ოდნავ ჩამორჩა თავის თანამგზარებს. ცოტა არ იყოს, შე-

აკრთო ამოდენა ბრბოს დანახვამ, თანაც არ უნდოდა შიგ შუაგულში შესვლა. ჯერ კიდევ შორიდანვე დაინახა მრჩეველი: ალერსიანად ესალმებოდა ახლადმოსულთ. იქვე, მეზობლად აღმოაჩინა ბლომბერგის ყავისფერი ფეტრის შლიაპა და ქედმაღლურად მოღერებული პასტორის მეუღლის თავი. ხოლო ინგერი და მისი მეგობარი გოგონები პერმა უცბად ვერ იპოვა. როცა დაინახა ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე ვიღაცას ესალმებოდა, პერმა თვალი გააყოლა მისი მზერის მიმართულებას და ტყის პირას საზაფხულო კაბებში გამოწყობილი სამი ყმაწვილი ქალი დაინახა. აი, შეწყდა სიმღერა და ტრიბუნაზე პასტორი ბლომბერგი ავიდა. ქადაგება პასტორმა მშობლიური ენის ქებით დაიწყო, თქვა, ეს ენა, უცხოურ ენათაგან განსხვავებით, რომლებსაც შეუძლიათ მხოლოდ ადამიანთა ურთიერთობას ემსახურონ და მეტი არაფერი, თვით გულის ენა გახლავთო. თუ მშობლიურ ენას დედის ძუძუს შევადარებთ, ჩვენს გონებას რომ კვებავს, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ დედის რძესთან ერთად ვწოვთ თვით ერის სულს. ხალხის ენაშია თავმოყრილი ჩვენი მამებისა და პაპების მიერ დაგროვილი ხალხის სულის მთელი საუნჯე. მათ ჩვენამდე თაობიდან თაობაში გადმოაღწიეს და წინაპრების მაგალითით და მათ მსგავსად გვზრდიან. ამიტომაც პატივს უნდა ვცემდეთ მშობლიურ ენას და ხელშეუხებლად ვინახავდეთ მსგავსად იმისა, წყაროს რომ შემოვგარავთ ხოლმე, რათა არაფერმა წაბილწოს წყალი, რითაც სხეულის წყურვილს ვიკლავთ, ასევე — და უფრო მეტადაც უნდა დავიცვათ იმ წყაროს სისუფთავე, ჩვენს სულს რომ ასაზრდოვებს, დავიცვათ სიტყვის სიწმინდე. მაგრამ თუ ყურს დავუგდებთ ყოველდღიურ ხალხურ მეტყველებას, დავინახავთ, რომ ძალიან დანაგვიანებულია, ბევრი უშმაწური სიტყვა ურევია შიგ: სოფლის მცხოვრების მეტყველება დიდად არ სჯობნის ქალაქელის მეტყველებას. საკმარისია მან პირი გააღოს, რომ მაშინვე ორაზროვანი და ბინძური ნართაულები გადმოაფრქვიოს მსგავსად ყველასათვის ცნობილი ზღაპრისა, მეფის ქალიშვილს პირიდან რომ გომბეშოები სცვიოდა. აქ ჩვენს წინაშე წამოჭრილია დიდი და, იქნებ დიდებული ამოცანაც კი ჩვენი დროისა. უპირველეს ყოვლისა ის, პასტორი, ახალგაზრდობას მოუწოდებს, ახალგაზრდობას ხომ ჯერ კიდევ ისე ღრმად არ გასჯდომია ავყიობის დამღუპველი ჩვეულება, საჭიროა შეიქმნას მთელი მოძრაობა, რომელიც გამოუმუშავებს ხალხს გემოვნებას, ასე ვთქვათ, სულის ჰიგიენისადმი, რადგან ის ნაკლებ კი არა, უფრო მეტადაც კია მნიშვნელოვანი ადა-

მიანიჭათვის, ვიდრე ზრუნვა სხეულზე და მის მოთხოვნებზე. ხალხის მთელი საუკეთესო ძალები უნდა გაერთიანდნენ, რათა დაიხსნან ახალგაზრდობა სიტყვით გახრწნისაგან, რაც დღეიდან ემუქრება მას.

პირველად პერი გულმოდგინედ უსმენდა, მაგრამ მერე, პასტორი რომ მეტისმეტად დამრიგებლური ტონით ალაპარაკდა, ყურადღება გაეფანტა. ამაში თავისი როლი შეასრულა ყმაწვილი ქალების დაწრეებამაც და საერთოდ სიახლემ ყოველივე იმისა, რაც იქ ხდებოდა. პერი წინათ არ ყოფილა სახალხო თავყრილობებზე და ამიტომ მსმენელები მას არანაკლებ აინტერესებდა, ვიდრე ორატორი: ათვალიერებდა მჭიდროდ შეჯგუფებულ ადამიანთა რიგებს. ყველას სახეზე ცოცხალი ყურადღება და გულწრფელი ინტერესი ეწერა და პერი მიხვდა; როგორ სულიერ მოძრაობას გადაჰყარა ბედმა. პერს ბევრჯერ სმენია საუბარი გრუნდტვიგიანურ აღორძინებაზე მეცნიერების საერთაშორისო ხასიათის საპირისპიროდ ღრმად ხალხური და ეროვნული კულტურის იდეით, მაგრამ რამდენადაც თვით მცნება „გლეხი“ მოძველებულად ეჩვენებოდა, დროის დაკარგვად თვლიდა გრუნდტვიგიანელობასთან გაცნობას; მიუხედავად ამ მოძრაობის ფართო გასაქანისა. დედაქალაქის წრეებში, სადაც პერი ტრიალებდა, გრუნდტვიგიანელობაზე შემწყნარებლური ღიმილით ლაპარაკობდნენ.

პერმა უნებლიედ შეადარა დანიელი გლეხები ავსტრიელ და იტალიელ გლეხებს, ვინც ბლომად ნახა თავის მოგზაურობის დროს და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მისი თანამემამულენი სამარცხვინონი არ იყვნენ. როგორ არ წააგავან ეს ცნობისმოყვარე, გულწრფელად დაინტერესებული მსმენელები ტიროლის ნამძინარევი გლეხების ბრბოს, კვირაობით მღვდლები ცხვრის ფარასავით რომ ერეკებიან სალოცავად მთელ დრეზაკზე. თვით წინანდელ დანიელ გლეხებთანაც, პერს რომ ბავშვობიდან ახსოვდა ბაზრობის დღეებში ქალაქში ჩამოსულები, ახლანდელების შედარებაც კი არ შეიძლება. იგრძნობა უეჭველი განვითარება, ასე ვთქვათ, სულიერი განთავისუფლება, რაც მისი საკუთარი განვითარების გვერდით მიმდინარეობდა და ასეთი ბედნიერი შედეგით დასრულდა.

მხოლოდ აქ გაიგო პერმა იმ საკვირველი სიმშვიდის ფასი, ეს გლეხები რომ ინარჩუნებდნენ მიუხედავად იმისა, მრავალრიცხოვანი გირავნობის ტვირთი აწვათ და ეს ტვირთი თანდათან მატულობდა. მატერიალურ ფასეულობათა ნაცვლად მათ მიიღეს ჯანუზომლად უფრო

მაღალი სულიერი ფასეულობანი. ხოლო იმ მისწრაფებიდან, რომ დროის რაობის წინააღმდეგ წასულიყვნენ და თავიანთი თავი ერის წამყვან ძალად განემტკიცებინათ, წარმოიშვა მჭიდრო კავშირი, ერთობის გრძნობა, რაც მათ ძლიერ დამოუკიდებელს ხდიდა.

პასტორი ბლომბერგი ქადაგებას რომ მორჩა და შეკრებილთ კიდევ რამდენიმე ფსალმუნი იმღერეს, ტრიბუნაზე დღესასწაულის განმკარგულებელი, გლეხის ქერა ბიჭი ავიდა და ღიმილით გამოაცხადა ნახევარსაათიანი შესვენება სადილისთვის, შემდეგ კი სიტყვით გამოვა სკოლის გამგე ბროაგერიო.

გლეხები მინდორზე გაიშალნენ. ქალიშვილებს უნდოდათ დანარჩენებს შეერთებოდნენ, მაგრამ პერმა შესთავაზა, შესვენების დროს ტყეში გავისეირნოთო. კლაუსენის ორივე ქალიშვილი მაშინვე დაეთანხმა, მაგრამ ინგერი დაიბნა. მან გაუბედავად გაიხედა ტრიბუნისკენ, სადაც დედამისი ჰოფეჰერმეისტერის მეუღლეს ესაუბრებოდა. ინგერი დედას ჰგავდა მარტო გარეგნობით კი არა, წვრილმანი მისწრაფებითაც, რათა ყველაფერში დაეცვა გარეგნული ზრდილობა, ამით კი მუდამ გამოირჩეოდა პროვინციელი თავად-აზნაურობა. ამ დროს უფროსმა დამ კლაუსენმა, გაფუებულმკერდიანმა ჰერდამ ბეჯითად გაუყარა ინგერს ხელი, მეორე მხრიდან თავისი უმცროსი და ამოიყენა და ორივენი თან გაიყოლა.

უნდა ითქვას, რომ ფრიოკენ ჰერდას ცოცხალი თაფლისფერი თვალები სულ პერს უთვალთვალებდნენ. მის მოჩვენებით მამაკაცურ სიტლანქეში წმინდა ქალური აღტაცება იმალებოდა.

ჰერდას დას, ჯერ კიდევ ბავშვს, უნებლიედ გადაედო დის განწყობილება და ცელქი მოსწავლესავით სიცილით ჩაებღაუჭა მის ხელს.

მაგრამ პერს მხოლოდ ინგერი აინტერესებდა. დები ახლოს გაცნობისას ფრიად ვულგარული პიროვნებანი აღმოჩნდნენ და პერი თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ინგერს რცხვენოდა მათ გამო. ყოველ შემთხვევაში, ინგერი თვალებდახრილი მიდიოდა და მეგობრები რომ ახალ-ახალ სისულელეებს სჩადიოდნენ, უფრო და უფრო დუმდა.

პერმა ჯერ კიდევ ამასწინათ შენიშნა, რა კეთილშობილური ტანადობისა იყო ინგერი მრჩეველის ქალიშვილებთან შედარებით, რა ქალური სინაზით და ღირსებით ეჭირა თავი, თითქოს სურდა ყოველივე ჭუჭყიან და უხეშ ქვენა გრძნობაზე მაღლა დამდგარიყო. ახლა მიხვდა, რომ პირველი შეხვედრისას ინგერმა მას იმდენად გარეგნობით არ მოაგონა

ფრანცისკა, რამდენადაც უმანკო სიქორფის საერთო შთაბეჭდილებით. ქალის არსება ისეთ სიფაქიზეს გამოასხივებდა, ველის ვარდის არომატს რომ მოგაგონებდათ. პერს ჯერაც არ დავიწყებია, რომ ფრანცისკა სქესთა შორის ურთიერთობაზე უბრალო გადაკრული ლაპარაკის დროსაც კი წამოენთებოდა ხოლმე, მაშინ როდესაც იაკობა... ჰო, ცხადია, მისთვის ყოველივე ეს სხვანაირად გამოიყურებოდა. პერს მუდამ ხასიათს უცვლიდა ის, რომ იაკობას სიმორცხვე აკლდა. იაკობას სიყვარულის დაუოკებელი ვნება პერს არ მოსწონდა.

ამასობაში ისინი ტყიდან გამოვიდნენ. წინ ვეებერთელა შიშველი, ქვიანი ბორცვი აღმართულიყო, აქა-იქ სიმწვანით და ზოგან მანანას ბარდებით დაფარული. ეს იყო ცნობილი როლსკის ბორცვი, ყველაზე მაღალი წერტილი მთელს ოლქში; აქედან იუტლანდიის, სულ ცოტა, მეოცედი ნაწილი მაინც მოჩანდა.

თუმცა კლაუსენის ქალიშვილები ნელ-ნელა მიხვდნენ, რომ აქ ზედმეტნი იყვნენ, მაგრამ არაფერი გამოუმჟღავნებიათ და მცირედი წყენაც კი არ შეუმჩნევიათ. პირიქით, როგორც ჭეშმარიტი იუტლანდიელი ქალები, უყურადღებობისათვის შურს მოურიდებელი სითამამით იძიებდნენ.

— აბა, ვინ იქნება პირველი? — წამოიძახა ჰერდამ და ბორცვზე აირბინა, მას უმცროსი და მიჰყვა. ქარმა შლიაპა მოსტაცა და ორივენი გასწრებაზე დაეშვნენ მის დასაჭერად.

ინგერს უნდოდა მათ გამოსდგომოდა, მაგრამ პერს გაახსენდა, როგორ ეხვეწებოდა ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე, არ ირბინოო და ეცადა ქალისათვის გადაეთქმევინებინა სურვილი:

— ნუ დაგავიწყდებათ, ფრიოკენ ინგერ, რომ სულ ახლახან ავად იყავით და თქვენი გადაღლა არ შეიძლება.

ეს გულთბილი მზრუნველობა დაეხმარა პერს — თუმცა თავად ვერ გრძნობდა ამას — კიდევ ერთი კუნჭული მოეპოვებინა ინგერის უკარება გულში. ქალი უკვე იმდენად მომჯობინდა, სიამოვნებდა კიდეც, უფრო სუსტი რომ ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. მან განაცხადა, ბორცვზე ასვლა მსურსო და, როცა პერმა შესთავაზა, მის ხელს მაინც დაყრდნობოდა, ამის მოსმენაც კი არ ისურვა; შესანიშნავად ვგრძნობ თავს და საშიში არა არის რაო.

მიუხედავად ამისა, პერი ფეხდაფეხ მისდევდა, რომ თუ ქალი წაიბორძიკებდა, მაშინვე მიშველებოდა. იქ, სადაც აღმართი ძალზე ცი-

ცაბო იყო, ინგერი დაეყრდნო შეთავაზებულ ხელს. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ მან გადაწყვიტა, ეს არ იქნება ურიგო საქციელი, მით უფრო, რომ პერი დანიშნულიაო. გარდა ამისა, ინგერს ნამდვილად მოეწონა. რომ პერის დახმარებით მსუბუქად, ბუმბულივით აფრინდა ციცაბო ფერდობზე.

პერი სულ იმას ლამობდა, ეთქვა ინგერისათვის, მთელი დილა მამაშენის ქადაგებებს ვუჯექი და დიდი კმაყოფილებაც მომანიჭა ამანო. მაგრამ შიშობდა, იქნებ ინგერმა ჩემი სიტყვები ზერელე თავაზიანობად ჩათვალოსო და ამიტომაც აღარაფერი თქვა. მხოლოდ ის უთხრა, ჩემთვის სასიამოვნო იყო თქვენთან სტუმრობაო. ინგერმა ეს ისე მიიღო როგორც თავისთავად ცხადი ამბავი.

ქალს ქოშინი აუვარდა და სულის მოსათქმელად შეისვენა. შლიაპა ხელში ეჭირა, წმინდა ქერა თმა მბრწყინავი შარავანდედივით ადგა თავზე. „ზედ გამოჭრილი ფრანცისკაა, — კვლავ გაიფიქრა პერმა, — გაკეთილშობილებული ფრანცისკა“.

დები კლაუსენები ამასობაში კარგა ხანია სულ მაღლა ასულიყვნენ. ერთმანეთის გვერდით იდგნენ, ხელებით შლიაპები ეჭირათ, ქარი ქვედატანებს უბერავდა, თითქოს უნდოდა ტანსაცმელი შემოეხია ქალიშვილებისთვის. როცა დაინახა, რომ ინგერი და პერი ხელახლა დაიძრენ ადგილიდან, უმცროსმა თქვა:

— ერთი უყურე, როგორ მოჩანჩალებენ.

— ხათაბალაა ეს ინგერი, — მიუგო ფრიოკენ ჰერდამ, — საკმარისია ვინმემ ოდნავ მეტი ყურადღებით შეხედოს, მაშინვე გაიპრანჭება ხოლმე.

— სამაგიეროდ, პერი ძალიან ლამაზია, ვერაფერს იტყვი, — შენიშნა უმცროსმა.

— ლამაზი? ჩემის აზრით, მახინჯია.

— ტყუი, გუშინ ხომ ამბობდი...

— მე? ხომ არ გაგიჟდი! ჯერ მაგის თვალებს შეხედე — ჭრაქებს მიუგავს!

ბოლოს ინგერმა და პერმაც მიაღწიეს მწვერვალს და ოთხივე ტკბებოდა მათ წინ გადაშლილი განთქმული სანახაობით. მერე ქალიშვილებმა სამრეკლოების დათვლა დაიწყეს. ყველაზე უფრო მოწმენდილ ამინდში აქედან ოცდათხუთმეტი სამრეკლო უნდა გამოჩენილიყო. დებმა

კლაუსენებმა იცოდნენ, რა ერქვა თვითეულ მათგანს. მაგრამ პერი უცქეროდა მხოლოდ იმ სამრეკლოებს, ინგერი რომ უჩვენებდა.

— აი-აი-აი! მაშ ეს თებერუპია? რაო, როგორ? თებერუპი, არა? როგორ თქვით? ჰო, რამლევია! — პერი ისეთი ტონით ლაპარაკობდა, თითქოს ეს სახელები ძვირფას მოგონებებს ეღვიძებდნენ.

დები მალულად ერთმანეთს მუჯლუგუნებს ჰკრავდნენ, თუმცა ამ ქარში ხეირიანად არც კი ესმოდათ, ვინ რას ამბობდა. ამიტომაც ძალიან მალე გადაწყვიტეს ისევ ძირს ჩასულიყვნენ. ქალიშვილები მოსაკოხტავებლად შეჩერდნენ. ქარს უმოწყალოდ აეჩეჩა თმა მათთვის. განსაკუთრებით ინგერი გაეწეწა. ინგერმა ხელთათმანებიც კი გაიხადა და ცდილობდა ცოტათი მაინც გაესწორებინა თმა. შლიაპის ქინძისთავი პირში ჩაიდო, ხოლო ხელთათმანები პერს დააჭერინა, რადგან ამხანაგები საკუთარი თმების მოვლით იყვნენ გართულნი. ამ დროს ინგერს არავითარი განზრახვა არ ჰქონია, მაგრამ დებმა მაშინვე ერთმანეთს გადახედეს, ხოლო შემდეგაც, გზაში, წამდაუწუმ ნიდაყვს ჰკრავდნენ ერთმანეთს.

კორდამდე რომ მიაღწიეს, იქ უკვე მეორე განყოფილება მიმდინარეობდა. ტრიბუნაზე მაღალი, შავთმიანი და შავწვერულვაშა, დარბაისლური გარეგნობის კაცი იდგა. ეს იყო ბროაგერი, მახლობელი უმაღლესი სახალხო სკოლის გამგე და პასტორ ბლომბერგის მეტოქე ხალხის, განსაკუთრებით ახალგაზრდათა სიყვარულის მოპოვებაში.

ქალიშვილები ჩუმად მიიპარნენ თავიანთ ადგილზე ხეებს ქვეშ და ინგერმა ალმაცერად გადახედა დედას. გასეირნებას უფრო მეტ ხანს მოუნდნენ, ვიდრე ეგონა, და ეს აშფოთებდა. საბედნიეროდ დედას, მგონი, არც კი შეუნიშნავს მისი იქ არყოფნა, წყნარად იჯდა თავის ადგილზე, როგორც ჩანდა, მთლიანად ბროაგერის გამოსვლაზე ჰქონდა ყურადღება მიპყრობილი.

სინამდვილეში ასეც აღმოჩნდა. პასტორის მეუღლე ფხიზლად იცავდა თავისი ქმრის, როგორც აღიარებული ორატორის, ავტორიტეტს. თუმცა არაფერს იმჩნევდა, მუდამ ძალიან ღელავდა, თუ ვინმეს, განსაკუთრებით კი სკოლის გამგის მოხსენებას ისმენდა. აი, რატომ მოხდა, რომ ამ ქალს, მიუხედავად იმისა, რომ პერიც იქ იყო, სულ დაავიწყდა ქალიშვილისთვის ყური ეგდო.

იგივე გრძნობები აღელვებდა თვით პასტორ ბლომბერგსაც. ის, ცხადია, დიდ აღფრთოვანებას გამოხატავდა სხვა ორატორების სიტყვა-

თა მოსმენისას და, რა თქმა უნდა, ყველაზე ხმამაღლა იცინოდა თითოეულ მათ გონებამახვილურ სიტყვაზე, მაგრამ სისხლი მუხანათურად აწვებოდა ლოყებზე, როცა ამჩნევდა, რომ მის გარდა კიდევ სხვის გამოსვლასაც ჰქონდა წარმატება.

მერე ისევ იმღერეს რამდენიმე ფსალმუნი და ამით დამთავრდა ზეიმი. ვიდრე ტყეში მოშორებით მდგარ ეტლებს მოართმევდნენ, ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე და ინგერი ხელიხელჩაკიდებულნი განზე გადგნენ. ჰოფეჰერმეისტერის მეუღლემ უთხრა:

— მე დაგინახეთ, ბატონ სიდენიუსთან სასეირნოდ რომ იყავით.

— დიახ, ჩვენ როლსკის ბორცვამდე გავიარეთ. განა ეს ცუდია? — ინგერმა შიშით შეხედა თავის მოსაუბრეს.

ჰოფეჰერმეისტერის მეუღლემ გადაიხარხარა.

— არა, რა არის აქ ცუდი.

— მით უფრო, რომ ის დანიშნულია.

— რასაკვირველია.

— საოცარია, სულაც არ ემჩნევა, თუ დანიშნულია.

— ჰო, ამ ნიშნობას მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

ინგერი შედგა და ელდანაკრავივით შეხედა ჰოფეჰერმეისტერის მეუღლეს.

— რას ბრძანებთ?!

— რა თქმა უნდა, დაწვრილებით არაფერი არ ვიცი, მაგრამ, მე მგონია, პერი თავადაც არ არის მოხარული, რომ თავის საცოლეს დაუკავშირდა. ის ქალი ხომ ებრაელია.

ინგერი გაყუჩდა. ადრე მაინც სცოდნოდა! უცბად ძალიან შერცხვა, გაახსენდა, რა თავისუფლად იქცეოდა პერთან.

ამ დროს მათ დაუძახეს, რადგან ეტლები მოართვეს. პასტორი და მისი მეუღლე უკვე ისხდნენ თავიანთ ღია ეტლში და პასტორს აშკარად ეტყობოდა, მეტი მოცდის თავი აღარ ჰქონდა, ისე რომ, დიდი დრო არ მოუნდომებიათ გამომშვიდობებისათვის.

ინგერი მშობლებს მიუჯდა გვერდით და უნდოდა ხელთათმანები ჩაეცვა, მაგრამ ვერაფრით ვერ იპოვა და უცბად ელდა ეცა იმის გახსენებაზე, რომ დაავიწყდა პერისთვის ხელთათმანების გამორთმევა, მაგ კი ალბათ, არც გახსენებია, უნებლიედ ჯიბეში ჩაიწყო.

ჰოფეჰერმეისტერის მეუღლის ეტლი ჯერ არ ეოსულიყო და ჯერ

კიდევ შეიძლებოდა ხელთათმანების მოკითხვა, მაგრამ ინგერი ისე დამნაშავედ გრძნობდა თავს, პერის გაღებაც კი ვერ გაბედა სიტყვის სათქმელად, რომ დედას ეპვი არ აეღო. გამოთხოვებისას თვალიც კი ვერ გააპარა იმ მხარეს და გზაში ხელებს ეტლის ტყავის გადასაფარებელს ქვეშ მალავდა.

კორდი ჯერ არ გაევლოთ, რომ მეუღლემ პასტორს უთხრა:

— ჩემის აზრით, დღეს ბროაგერი გუნებაზე არ იყო.

— ჰო, მეცოდება. სულ არ იყო გუნებაზე, — მიუგო პასტორმა და თავი გადააქნია, ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ გაიმეორა:—არა, არა, არ იყო გუნებაზე. — თუმცა უკვე სულ სხვა რამეზე ლაპარაკობდნენ.

პერმა გზაში დიდი ქებით მოიხსენია ნახული თუ მოსმენილი. ინგერზე კრინტიც არ დაუძრავს. ჰოფეჰერმეისტერის მეუღლემ ეს შენიშნა და დაუყოვნებლივ გამოიტანა ზოგიერთი დასკვნა. საჯდომის ზურგზე მოხერხებულად გადაწოლილი ქალი ტკბილ ოცნებებს მიეცა.

მზე ჩავიდა. შინ რომ მივიდნენ, მთლად ბნელოდა.

ჭიშკრის წინ პატარა ხიდზე ბორბლები არახრახდა. პერი კარგად იცნობდა ამ ხმას და სტუმართმოყვარულად განათებული ფანჯრების დანახვისას უცნაურმა, უჩვეულო გრძნობამ აიტანა.

ამ წამს — პირველად თავის ცხოვრებაში — მას მოეჩვენა, რომ ბოლოს და ბოლოს იპოვა ადგილი, მშობლიური სახლის მაგივრობას რომ უწევს. თითქოს ამ სიტყვების დასტურად მას მმართველის ძაღლი შეეგება. ძაღლმა ხტომა დაიწყო პერის ირგვლივ და სიხარულით ულოკავდა ხელს. საბრალოსათვის ლეკვები წაერთმიათ და მთელი თავისი სიყვარული ყმაწვილკაცზე გადაიტანა. გულაჩვილებული პერი დაიხარა და ძაღლს მიუალერსა.

მაგრამ მის სიხარულს მაშინვე ჩრდილი მოეფინა. სევდით გაახსენდა მოსალოდნელი განშორება. ახლა ვერ წარმოედგინა, როგორ შესძლებდა აქედან წასვლას, მაგრამ ვერაფერს გააწყობდა, უნდა გამგზავრებულიყო და თანაც. რაც შეიძლება, მალე. ისედაც თითქმის ორი კვირაა, რაც აქ არის.

ოთახის კარი რომ გაიღო, პერი შეკრთა. მაგიდაზე წერილი იდო. პერს შეეშინდა, რადგან წერილი იაკობასაგან ეგონა. ამიტომაც არ ჩქარობდა გახსნას. მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა შვებით, ივენის ნაჯღაბნი

რომ იცნო, თუმცა გულზე მაინც მძიმედ აწვა რაღაც. ცოლისძმის ხელნაწერმა უმოწყალოდ მოაგონა, რომ ფულის საკითხი ჯერაც არ მოეკვარებინა. ეს უსიამოვნო აზრი ისედაც ილაჯს უწყვეტდა, განსაკუთრებით საღამოობით, ძილის წინ.

პერმა მაინც არ გასსნა წერილი — საქმეები დილამდე დაიცდისო. ეს იყო სასტუმრო ოთახში გასასვლელად მოემზადა, რომ უეცრად ჯიბეში პატარა ღია ნაცრისფერი გუნდა იპოვა. ეს იყო ინგერის რბილი, თითქმის უხმარი ნატის ხელთათმანები.

პერს, ამ ხელთათმანებს რომ იტოვებდა, ფარული აზრიც ედო გულში: უცნაურ სიხარულს ჰგვრიდა ინგერის კუთვნილი ნივთის ხელში ჭერა, ხოლო როცა აჩქარებით გამოემშვიდობნენ ერთმანეთს, აღარც კი ახსოვდა ხელთათმანები.

პერმა ფრთხილად გაშალა ხელთათმანები, დიდხანს, დიდხანს ათვალიერებდა, მერე სახესთან მიიტანა, ხარბად ჩაისუნთქა არომატი და სევდიანად გაიღიმა. აი, სასურველი საბაბი, რათა ხვალ კვლავ სტუმრებოდა ბლომბერგებს... ან იქნებ არ ღირს? იქნებ, გაცილებით გონივრული იყოს ყველაფერი ისევე დატოვოს, როგორც არის? თუ ხშირად შეხვდება ინგერს, იქნებ მართლაც შეუყვარდეს ყმაწვილი ქალი. პერმა ხელახლა იგრძნო თავი ადამის ღირსეულ ძედ. ვთქვათ შეუყვარდა, მერე? მას არა აქვს ახალი სიყვარულის უფლება. მისთვის მინიჭებული ყველა ცხოვრებისეული სიხარული უკვე მოთავდა, — თუ დასაშვებად მივიჩნევთ, რომ მან ოდესმე შეიცნო ეს სიხარული.

თავი XXI

დადგა ის დრო, როცა საგარაკო ცხოვრება კოპენჰაგენის მიდამოებში, ზუნდის ნაპირზე, დღითი-დღე უფრო და უფრო მიმზიდველი და წარმტაცი ხდება. მძინარე მდგომარეობა, რომელშიც იმყოფებიან ზაფხულის გვალვით ილაჯგაწყვეტილი „დათვის კუთხეთა“ მცხოვრებნი, აქაურ ადგილთა ბინადართათვის უცნობია. გვერდით ვეებერთელა ქალაქის მაჯისცემაა, რომელსაც იტაცებენ რკინიგზები და უსულო ბუნებას გადასცემენ. წამდაუწუმ ნაპირს მოადგებიან ხოლმე ცოცხალი ტვირთის სიმძიმით ცალ მხარეზე გადახრილი დიდი გემები. თითქმის

კილომეტრის სიგრძის მატარებლები ყოველ პატარა სადგურთან ჩერდებიან და ხალხის ნაკადს ამოიტყორცნიან, ხოლო ხალხს — ზოგს ბორბლებით, ზოგს ფეხით — დედაქალაქის ხმაური ჩრდილოეთ ზელანდიის დაბურულ ტყეებში გადააქვს.

მხოლოდ სკოვბაკენში დაესადგურებინა სევდას. ფილიპ სალამონს და ფრუ ლეას გული ვერ ეჯერებინათ თავიანთ შვილებზე საუბრით. ვერ ჰქონდათ მაინცდამაინც სასიამოვნო ლაპარაკი.

მარტო იაკობას ბედი კი არ აწუხებდათ, ნანის უსაქციელობაც სტანჯავდათ ამ ბოლო დროს.

პერისგან უარყოფილ ამ მომხიბლავ არსებას თავმოყვარეობა შეელახა და გადაწყვიტა თავის ძველ თაყვანისმცემელ ხანსენ ივერსენთან ეპოვა ნუგეში. და რაკი აუცილებლად უნდა დაევიწყებინა თავისი მარცხი, ძალიან სარისკო ფლირტი წამოიწყო და დიდადაც გაიტაცა ამ საქმემ. მაგრამ საბედნიეროდ აღმოჩნდა, რომ გადამდგარი ულვაშა კავალერისტი არც ისეთი ნებისყოფიანი პიროვნება ბრძანებულა, როგორც კაცი იფიქრებდა. მოკლედ, ერთ მშვენიერ დღეს, ნანისგან წამოსული შინ მივიდა და შუბლში ტყვია იხალა. მან დატოვა წერილი, სადაც მთელ ქვეყანას უხსნიდა თავისი სიკვდილის ნამდვილ მიზეზს და საქვეყნოდ წყევლიდა ნანის. მხოლოდ დიურინგის თვალსაჩინო თანამდებობის წყალობით გახდა შესაძლებელი საქმის მიფუჩეჩება. ყოველგვარი ჭორებისთვის ბოლო რომ მოეღო, დიურინგი ყველგან, სადაც კი შეიძლებოდა, სანიმუშო მეუღლესავით ნანისთან ხელიხელგაყრილი დადიოდა და კერძო საუბარში ღიმილით წუწუნებდა, ახლა ძალიან საშიშია ისეთი ცოლის ყოლა, ვისი თვალებიც არა მარტო გარეგნულად წააგავენ დამბაჩის ლულას, არამედ სინამდვილეშიაც შეუძლიათ კაცს იქვე გააფრთხობინონ სული. შინ, სადაც მოწმეები არ ესწრებოდათ, სასტიკად დაკითხა თავისი ცოლი და ბოლოს ერთი კარგი სილაც გააწნა, რასაც ნანი საკმაოდ მორჩილად შეხვდა. ქალმა გადაწყვიტა, ის კი არა და, იოლადაც გადავრჩიო, რადგან პირველ ხანებში ამ ისტორიამ საშინლად შეაშინა; უფრო მეტიც — თავისდა უნებურად ალგზნებით შეუყვარდა მეუღლე, ცოტა ხნით მის მორჩილ მონად იქცა და რაკი ახლა უკვე კარგა გამოცდილი ქალი იყო, ყოველგვარ ახირებულ სურვილს უკმაყოფილებდა.

მაგრამ დიურინგი გარშემო მყოფებს პირს ხომ არ აუხვევდა! სულ ახალ-ახალი ხმები ვრცელდებოდა ივერსენის თვითმკვლელობის მი-

ზეზებზე ხან აქ, ხან-იქ. კოპენჰაგენური ჭორი, საზაფხულოდ რომ ქალაქგარედ გასულიყო, მეტისმეტად იყო დაინტერესებული ივერსენის ბოლო წერილით. ახლა, ფილიპ სალამონი საღამოობით ცოლთან ერთად ჩვეულებრივ რომ დასეირნობდა ნაპირზე თავისი ჭეშმარიტად მეფური ეტლით და მეგობრებსა და არაკეთილმოსურნეებს ესალმებოდა, მის ზურგს უკან გაცხოველებული ჩურჩული ატყდებოდა ხოლმე. ზოგიერთებს ვერაფრით ვერ ეპატიებინათ ნანისთვის, ასე ლამაზი რომ იყო და უკვე მხოლოდ ეს მიზეზიც კმაროდა, რომ ნანის სათნოებაში ბრედჰადეს ჩაკეტილ სამყაროს დიდი ხალისით შეეტანა ეჭვი. ბრედჰადეში კი, ისევე როგორც პროვინციულ ქალაქში, ადამიანებმა ერთმანეთის შესახებ ყველაფერი იცოდნენ, ისიც კი არ გამოეპარებოდათ, თუ ვის რა ფერის ქვედა საცვალი ეცვა.

თვით მშობლებმა ძალიან მკაცრად გაკიცხეს ქალიშვილის ქცევა. ფილიპ სალამონმა საჭიროდაც კი ჩათვალა, დიურინგის წინაშე მთელი ოჯახის სახელით ბოდიში მოეხადა. ერთადერთი ადამიანი, ვინც ცდილობდა ასე თუ ისე დაეცვა ნანი, ძალიან უცნაური კია, მაგრამ იაკობა გახლდათ. წინათ თუ ასე უმოწყალო იყო დის მიმართ, ახლა მხოლოდ მხრებს იჩეჩდა ამ აურზაურის გამო. ის, რაც ნანის თავს გადახდა, სულაც არ მიაჩნდა ასეთ დიდ სერიოზულ ამბად, ცხოვრება — ნამდვილი ცხოვრება — მსხვერპლს მოითხოვს, ამბობდა ის. და თუ იცხოვრებ როგორც საჭიროა, ყოველთვის მზად უნდა იყო სისხლის დასაღვრელად.

საერთოდ, იაკობა ამ ბოლო დროს ძალიან გამოიცვალა. სახეზე უკვე აღარ ეწერა ფარული მღელვარება, ახლა დაქანცულობა და არაბუნებრივი გულგრილობა ეტყობოდა. თუკი ვინმე შეეკითხებოდა, ჯანზე როგორ ხარო, ყოველთვის იმას პასუხობდა, ჩინებულად ვგრძნობ თავსო. თავის საქმროს უფრო და უფრო იშვიათად ახსენებდა, მაგრამ როცა მშობლები ლაპარაკს ჩამოაგდებდნენ მომავალი ქორწილის შესახებ, საწინააღმდეგოს არას იტყოდა. ამავე დროს ლაპარაკობდა, რომ ვფიქრობ ერთხელ კიდევ გავემგზავრო ჩემს ბრესლაველ მეგობარ ქალთანო. ისე რომ, ნამდვილად რას აპირებდა, ვერავის გაეგო.

უფრო სწორად რომ ვთქვათ, აღმოჩნდა ერთი ადამიანი, ვისაც ცოტათი მაინც ესმოდა იაკობასი, ეს გახლდათ მისი და როზალია. მათი ოთახები გვერდიგვერდ მდებარეობდა. ერთხელ ღამით როზალიამ კედლის იქით გულამოსკვნილი ტირილი გაიგონა. იფიქრა, ალბათ ჩემი

და ცუდად არისო და ლოგინიდან წამოვარდა. მაგრამ იაკობას ოთახის კარი დაკეტილი აღმოჩნდა და მან როზალია არ შეუშვა. დილით იაკობამ განაცხადა, შუაღამისას საშინლად ამტკივდა კბილებიო. მაგრამ როზალია დიდი ხანია უკვე ბავშვი აღარ იყო, ნანის მიბაძვით ისიც სიყვარულის ნაკრძალებში ნადირობდა და დიდი წარმატებაც ჰქონდა: უკვე მოკლა პირველი ნადირი. სულ ახლახან სიყვარული აუხსნა კანდიდატმა პალინგმა, როზალიამ კი მის გასამასხარავებლად თავი ისე დაიჭირა, თითქოს ვერაფერიც ვერ გაიგო მისი ლაპარაკისა, რითაც ლიტერატურის ეს აყლაყუდა წარმომადგენელი აიძულა შიშითა და გაურკვეველობით დატანჯულიყო.

ყველაზე მეტად იაკობას ის უკლავდა გულს, რომ ვერაფრით ვერ გადაეწყვიტა პერთან საბოლოოდ დაშორება. ეს აზრი ისე სტანჯავდა, თავის მოკვლაც კი აფიქრებინა. დიდი ხანია გაეგო, რაც მომხდარიყო. დიდი ხანია მიხვედრილიყო, რომ საქმეში სხვა ქალი ჩარეულიყო, მაგრამ გადამწყვეტ სიტყვას დღითი დღე სდებოდა. ასეთ დამტირებამდე, ასეთ თავის მოჭრამდე მიჰყავდა სიყვარულს ქალი — გრძნობას, რომელიც ოდესღაც ყველაზე წმინდა და ნათელი ეგონა.

მხოლოდ ერთი რამ ანუგეშებდა: ის, რომ პერისათვის არ უთქვამს, რა მდგომარეობაში იყო. არ ანდო პერს ყველაზე ძვირფასი საიდუმლო. დაე, ნურაფერი დააბნელებს მის დედობას, დაე, ასცდეს ყველაზე უფრო საშინელი დამცირება: გახდეს პერის შებრალების საგანი.

ახლა დიდხნობით არ პასუხობდა პერს წერილებზე, მათ წასაკითხაღაც დიდ ძალას ატანდა თავს. ვიღაც პასტორით უცნაურმა გატაცებამ იაკობაში მხოლოდ სიბრალული გამოიწვია, ერთ-ერთ უკანასკნელ წერილში პერმა ისიც კი ურჩია, ამ კაცის ნაწარმოებებს გასცნობოდა (რაც, უნდა ითქვას, იაკობამ დიდი ხანია უკვე გააკეთა ყოველგვარი რჩევის გარეშე), და როდესაც პერმა ისევ ჩამოუგდო სიტყვა პასტორის ქადაგებებზე და აშკარად ეტყობოდა, იმედი ჰქონდა, ამ ქადაგებების წაკითხვის შემდეგ იაკობა ქრისტიანულ მსოფლმხედველობას მიიღებდა. ამან ისე ძლიერ გაანაწყენა ქალი, რომ გადაწყვიტა დაუყოვნებლივ ეპასუხა მისთვის. ძლივს მიეცა შესაძლებლობა თავის დაუმცირებლად გული მოეოხებინა და თუმცა, როგორც წინა წერილებში, ერთი სიტყვითაც კი არ შეხებია თავიანთ ურთიერთობას, მთელი მისი ტონი, ყველა მისი სიტყვა საბოლოო განხეთქილებას ამზადებდა მხოლოდ.

„აქამდე არავითარი სურვილი არ მქონია ავყოლოდი რჩევას, რომელსაც დაჟინებით მაძლევ შენს წერილებში და დავინტერესებულიყავი საკითხით, რომელიც, ყველაფრიდან ჩანს, ძალიან გაინტერესებს, სახელდობრ შენი დამოკიდებულებით ქრისტიანობისადმი. ვიმედოვნებ, შენთვის ნათელია, რომ ჩემი დუმილი სრულიადაც არ გამომდინარეობს იქიდან, თითქოს არასაკმარისად ვარ დაინტერესებული. უბრალოდ, სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ არსებობს შემთხვევები, როცა ყოველგვარი კამათი უსარგებლოა. ასეთ საკითხებზე, როგორიცაა რწმენა, ჩვენზე ჩვეულებრივად შეგონება არ ჭრის. ჩვენ ვინარჩუნებთ ამა თუ იმ რწმენას გარემოების მიხედვით, რწმენის მიღების ორგანო ისევე ვითარდება ბუნების კანონების მიხედვით, როგორც გული და თირკმელები და ამიტომ ყოველი ცდა მასზე ძალდატანებით გავლენისა და იმის იძულება, მაგალითად, რომ ადამიანმა დედის ძუძუსთან ერთად შეწოვილი რწმენა გამოიცვალოს, მხოლოდ დაასუსტებს მთელ ორგანიზმს.“

შენს უკანასკნელ წერილში სტრიქონთა შორის მე შევძელი ამომეკითხა პირდაპირი შეკითხვა. სწორედ მასზე მინდა გიპასუხო თუნდაც იმიტომ, რომ ჩემი დუმილი თანხმობის ნიშნად არ მიიღო.

ჩემი პირადი დამოკიდებულება ქრისტიანობისადმი, ისევე როგორც შენი, განპირობებულია ჩემი წარმოშობით და აღზრდით. ჯერ კიდევ სრულიად ბავშვი ვიყავი, როდესაც იმ დევნამ, რომელსაც ჩემი ხალხი განიცდიდა ქრისტიანული ეკლესიისაგან, ჩემში შურისძიების გრძნობა გააღვივა და მე მაინც შევძლებდი ამის დავიწყებას, რომ ვხედავდე, ეკლესიას სიკეთე მოაქვს სხვა ადამიანებისთვის. მაგრამ, რაც უფრო მეტად ვერკვევი ეკლესიის ათასწლოვან ისტორიაში, კეთილმსახურების ნიღაბქვეშ ვპოულობ ისევ იმ მისწრაფებებს, რომ დესპოტურად და მუხანათურად გაუსწორდეს თავის მოწინააღმდეგეებს და სრულ უნდობლობას იმისა, რომ შეიზღუდოს თავი საშუალებათა ამორჩევაში, ოღონდ კი დაიკმაყოფილოს ძალაუფლების გაუმაძღარი წყურვილი. არც ერთი იდეოლოგიური მოძრაობა არასოდეს ასე არ მიისწრაფოდა ემოქმედა ადამიანის ბუნების ყველაზე ცუდ თვისებებზე, ქვენა გრძნობებზე. ამიტომ — და სწორედ ამიტომ — ასე გავრცელდა დედამიწაზე ქრისტიანობა.

ჩემთვის ერთი რამაა გაუგებარი, და მართლაც, ეს ყველაზე მეტადაა

გაუგებარი: როგორ შეუძლიათ წესიერ ადამიანებს, ადამიანებს, ვისაც ბევრი წაუკითხავს და უფიქრია, არ შეეზიზღოს რელიგია, რომლის ჩრდილს ქვეშ იფურჩქნებოდა საზიზღარი დესპოტიზმი, ბნელით მოცული უმეცრება, ბილწი ბოროტმოქმედება, — იფურჩქნებოდა, ან, ყოველ შემთხვევაში, სარგებლობდა ეკლესიის ნების მიცემით, — მაშინ, როდესაც ყველა ჯანსაღი, მამაცი და ამაყი გულისთქმა, რაც კი მოწოდებულია სინათლის, სამართლიანობისა და ბედნიერებისკენ წაიყვანოს კაცობრიობა, რელიგიის სახით ვერაგ, შურიან და დაუნდობელ მტერს პოულობდა. თუკი რეფორმაციამ რაიმე შეასწორა, ამ შესწორებებს დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ხოლო მრავალრიცხოვან რელიგიურ სკოლებსა და სექტებს, ერთი შეხედვით მეგობრული ურთიერთ გაგების მიღწევას რომ ცდილობენ ყველა სხვაგვარად მოაზროვნეებთან, მაინცდამაინც ვერ ვენდობი; პირიქითაც კი. პროტესტანტიზმსაც თავისი იეზუიტები ჰყავს, მათ მძიმე დროს თავიანთი შეხედულებები ვითომ-ცდა ვრცლად გამოთქვეს, რათა ადამიანთა ყურადღება აეცდინათ თავიანთი იძულებითი აღიარებებისათვის. ეს პარადოქსი ისევე ძველია, როგორც თვით ქრისტიანობა. ჯერ კიდევ თავის არსებობის გარიჟრაჟზე ქრისტიანობამ მარჯვედ განამტკიცა თავისი გავლენა ყველა ქვეყანაში, იმ წარმართულ ჩვევათა და წარმოდგენათა აღქმით, რომლებსაც ვერ შეეთვისებოდა. ასევე ჩვენს დროშიც, როგორც კი საშიშროების სუნი დატრიალდება, მას შესწევს უნარი, ეშმაკურად მიბაძოს დროის მოთხოვნილებებს და მეცნიერების და ადამიანობის მომხრედ გამოაცხადოს თავი. და თუ, მიუხედავად ამისა, ქრისტიანული ეკლესია კვლავ განაგრძობს იმის მტკიცებას, ერთადერთ უცვლელ ღვთით მონიჭებულ ჭეშმარიტებას ვფლობო, ეს მხოლოდ თვალთმაქცობაა, რომლის მსგავსიც ჯერ არასოდეს უნახავს ქვეყანას.

მაგრამ მე მაინც ასე თუ ისე ვურიგდები ამას. მინდა მჯეროდეს, რომ შესაძლებელია ურთიერთგაგების მიღწევა, ვინაიდან ქრისტიანობას გააჩნია ადამიანთა კეთილდღეობისათვის უდაოდ დიდად მნიშვნელოვანი მთელი რიგი იდეები. მე შემიძლია ხელი გავუწოდო ეკლესიას მხოლოდ ერთი პირობით: ის უნდა იყოს პატიოსანი და მხოლოდ თავისი საქმეებით დაკავებული. და კიდევ ერთი რამ: მისი გარდაქმნის გულწრფელობა რომ დავიჯერო, ეკლესია უნდა იცავდეს იმ წესებს, რომელთა შესრულებასაც თავისი შვილებისაგან მოითხოვს. „დაე ძველ-

მა ცოდვილმა დაფაროს სახე თვისი, — როგორც საღვთო წერილშია ნათქვამი, — დაე მთელი ხალხის წინაშე მოინანიოს თავისი ცოდვები". აი, რით უნდა დაიწყოს! ეკლესიამ! კაცობრიობის წინაშე ვის ნდობასაც ის ასე დიდხანს იყენებდა ბოროტად, მუხლმოყრილმა უნდა მოინანიოს ნამოქმედარი, ქედი მოიხაროს ჭეშმარიტების წინაშე, რასაც თრგუნავდა სამართლიანობის წინაშე, თვალს რომ უხვევდა, პატიება მოსთხოვოს თავისი წარსულისა და მხოლოდ მაშინ, და ერთი სეკუნდითაც არა ადრე, — შეუძლია იმედი ჰქონდეს იმათი ნდობისა, ვინც ჭეშმარიტად ქმნის ცხოვრებას და იცავს სინათლეს".

* * *

კერსხოლმში დღეები სოფლური ერთფეროვნებით მიიზლაზნებოდა, ასე ცხოვრება კი სწრაფად გარბის, ხოლო სიცოცხლე — მოკლდება. ხელახლა დადგა კვირა დღე, ისევ გადაწყვიტეს ბატონებმა, ჩვეულების თანახმად ბესტრუპში წასვლა და პასტორ ბლომბერგის მოსმენა.

ჰოფეჰერმეისტერის მეუღლეს კარგად ახსოვდა, რაც თქვა პერმა სახალხო დღესასწაულის შემდეგ, სადაც ისინი ერთად იყვნენ და ახლაც იმედი ჰქონდა, ისევ წამოვაო. პერს მართლაც უნდოდა დღესასწაულზე წასვლა, იმედოვნებდა, ერთხელ კიდევ ვნახავ ინგერსო. მაგრამ თავს ვერ აიძულებდა, სრული ფორმით მიეღო მონაწილეობა წირვა-ლოცვაში, ესე იგი, ფსალმუნების სიმღერით, „მამაო ჩვენოთი" და მრევლის ლოცვა-კურთხევით. სწორედ წინა საღამოს მიიღო იაკობას წერილი და მისმა აღგზნებულმა ტონმა ხელახლა გაუცოცხლა გულში ეჭვები.

ყველანი რომ წავიდნენ, პერმა მეტისმეტად ეულად იგრძნო თავი. ბაღში იხეტიალა, მესერის მახლობლად მიწაყრილზე ავიდა, იქ სკამზე ჩამოჯდა და ქვევით დაიწყო ცქერა.

ირგვლივ, ახლოდან თუ შორიდან, ზარების რეკვა ისმოდა. სიჩუმეში მათი ხმა შორ-შორს აღწევდა. ბესტრუპის ზარის ხმაც კი მოდიოდა აქ. ეს ზარი ამაოდ არ მოუწოდებდა ხალხს. გზაზე, კარმიდამოს გარს რომ უვლიდა, ერთმანეთის მიყოლებით გაიელვებდა ხოლმე კარგად ჩაცმული გლეხებით სავსე ოთხთვალები. ყველანი ბესტრუპში მიდიოდნენ. პერი მისჩერებოდა, ვიდრე ბორუპის ბორცვს მიეფარებოდნენ. ბოლო ოთხთვალამაც რომ გაიარა, მოეჩვენა, თითქოს მთელი

ოლქი, ამოწყდა, ყველა მცხოვრებმა ერთბაშად გადაინაცვლა სხვა ქვეყანაში, თვითონ კი მარტოდმარტო დარჩა აქ.

საკვირაო ფუსფუსი პერს ბავშვობაში ბევრჯერ ენახა, მაგრამ მას მერე მიავიწყდა, რაც თავისი მომავალი სიმამრის ოჯახში მიიღეს და გაეცნო სამყაროს, სადაც ზარების რეკვა მხოლოდ ფუჭი ხმა იყო. მაგრამ მაინც არ სურდა ახლა პერს, სკოვბაკენში ყოფილიყო. გული ემღვრეოდა, მხიარული, უკანასკნელ მოდაზე ჩაცმული მაღალი წრის ქალებისა და ბატონების ჭრელი ბრბოს მოგონებაზე, კვირა დღეს ასე სადღესასწაულო ელფერს რომ აძლევდნენ თავიანთი იქ ყოფნით.

ზარები ერთმანეთის მიყოლებით ჩუმდებოდნენ. პერმა მარტოობა უფრო მწვავედ იგრძნო. სადღაც შორს ფორანი არახრახდა და ეს ხმა ისე დაუჯერებლად შეესმა ყურებში, თითქოს სხვა სამყაროდან მოეღწიოს. ასე ეგონა, უკვე მოვკვდი, ჩრდილთა სამეფოში ვარ და ჩემს საფლავზე ცოცხალ ადამიანთა ხმაური მესმისო.

ისევ გაახსენდა იაკობას წერილი. ახლა პერმა იცოდა, რა უნდა ეპასუხა. საკვირაო შუადღის საზეიმო დუმილი იდგა, გლეხები სადღესასწაულოდ იყვნენ გამოწყობილები, ოთხთვალები მოერთოთ. აბა რამდენი ათასი კაცი ტოვებდა ამ წუთს მშობლიურ კერას, რათა იმედით შევედრებოდა ეკლესიას, მხოლოდ მას ერთს შეუძლია გარდმოუვლინოს ამ ხალხს ახალი ძალები, რათა შეეძლოთ განაგრძონ ყოველდღიური ბრძოლა არსებობისათვის, — სწორედ ეს არის თვით ცხოვრების ყველაზე დამაჯერებელი პასუხი იაკობასადმი. დავუშვათ (ასე მისწერს პერი), ეკლესიას მართლაც აწევს თავის სინდისზე მძიმე ცოდვები (უნდა ითქვას, რომ ისიც ასე ფიქრობს), მაგრამ განა მან ერთიორად არ გამოისყიდა მთელი თავისი ცოდვანი იმ სიკეთით, ადამიანებს რომ გაუწია? როგორც პასტორმა ბლომბერგმა მოსწრებულად თქვა თავისი საკვირაო ქადაგების დროს ტყეში, სკანდინავებს და საერთოდ გერმანელებს აქვთ განსაკუთრებული საფუძველი, პატივი დასდონ ქრისტიანულ რელიგიას, რადგან სწორედ მან გამოიყვანა ისინი ბარბაროსობის მდგომარეობიდან. მან, ასე ვთქვათ, აკვნიდანვე განსაზღვრა მათი სულიერი წყობა, ის იყო ამ ხალხისათვის, ხატოვნად რომ ვთქვათ, დედის რძე, სამუდამოდ რომ შეერია მათ სისხლში.

თუმცა, რა საჭიროა მთელი ეს ისტორიული ექსკურსი და დამოწმება. ჯერ კიდევ იმ ღამით, გემის ქიმზე რომ იჯდა და დედის ცხედარს

აცილებდა, პერი მიხვდა, რომ ქრისტიანობა იყო ადამიანთა ძალის ნამდვილი წყარო, რაკი მან შესძლო და მისი მოხუცი ავადმყოფი დედა ასეთი უდრეკი სულით დააჯილდოვა. მაშინაც კი, თუ მშვენიერ ოცნებად ჩავთვლით, გვწამდეს ჩვენი ზეციური მამის გულმოწყალე მმართველობა, უნდა ვაღიაროთ, რომ ათასეულ და კიდევ ათასეულ შემთხვევაში ამ რწმენამ უკვე შეასრულა თავისი დადებითი როლი კაცობრიობის საკეთილდღეოდ. მერე როგორ შეიძლება ამაში ეჭვის შეტანა? განა ის შესძლებდა, ამდენხანს შეენარჩუნებინა სიცოცხლის ნება და სასიცოცხლო ძალები იმქვეყნიურ მხარდაჭერის გარეშე? განა ჩვენ ყოველდღიურად არ ვგებულობთ ამბავს, რომ წინანდელი განდგომილნი ხელახლა უვარდებიან ფეხქვეშ ჩვენს ზეციურ ნუგეშისმცემელს?

წიგნებსა და ჟურნალებს შორის, რომლებითაც რეგულარულად ამარაგებდა პერს ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე, ხელთ მოხვდა პოულ ბერგერის „იაკობის ბრძოლა“. პერს ბევრი რამ გაეგონა ამ წიგნზე ჯერ კიდევ კოპენჰაგენში, მაგრამ მისი წაკითხვა ვერ მოახერხა. ამ პოემა-აღიარებამ, ასე ოსტატურად რომ იყო სტილიზებული ძველი აღთქმის ყაიდაზე, პერზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ერთ-ერთ სომღერაში, სადაც ავტორი აშკარად გამოდიოდა ნათანის მიერ საზღვარგარეთიდან შემოტანილი იდეოლოგიური მიმართულების წინააღმდეგ, ის ამ მიმართულებას გაზაფხულის წვიმას ადარებდა, რადგან გაზაფხულზე ნაწვიმარზე ბალახიც კი იზრდებოდა, რომელიც ნაყოფს არ ისხამს. მხოლოდ ეს არის, მწირ ქვიშიან მინდორს უხემოსავლიანად მოგაჩვენებს.

„და აი, დგება ზაფხულის გვალვა, ახლოვდება მოსავლის აღება სად ხართ თქვენ მაშინ, უფესვებო აღმონაცენებო, ყველა გზის გასწვრივ რომ იყავით გამწკრივებულნი, მიწას ნაირ-ნაირი საღებავებით რომ აფერადებდით და ადამიანს სამოთხისეულ სიკეთეს პირდებოდით? საკუთარმა ცარიელმა თავთავებმა გაგყიდეს. იგივე მზე, რომლის სხივებქვეშაც დიდებულად ხარობენ ჯანმრთელი ყლორტები, გაჭკნობთ თქვენ; ჯერ კიდევ შემოდგომის დადგომამდე კარგა ხნით ადრე ქარიშხალი მიმოგაპნევთ, რადგან ცოდვილის ერთადერთი ჯილდო სიკვდილია, მაგრამ კეთილდღეობა ელის მას, ვინც გაზაფხულის აყვავებისას მორჩილებით ჩასწვდება ფესვებით მიწის წიაღს, სადაც მარადიული ცხოვრების წყარო მოსჩქეფს“.

სწორედ ამ სიტყვებმა გააოცა ყველაზე მეტად პერი, მან ისინი ზეპირადაც კი დაიხსომა. როცა პირველად წაიკითხა, მოეჩვენა, თითქოს საკუთარი საფლავის წარწერას კითხულობდა. სწორედ ასეთი სულიერი ჭკნობა აწუხებდა მას ამ ბოლო წლებში — ნელა და დაუბრუნებლად ეცლებოდა ძალა და ელეოდა უნარი, თუმცა თავის თავსაც არ უტყდებოდა ამაში.

„ამგვარად, მშვიდობით, უნაყოფოდ დახარჯულო დროვ, უდაბხო უკან დარჩა, ხეტიალის წლები დამთავრდა. ჩემი წინაპრების სამოთხის სავანე გამეღო; ქურის შუქით დაბრმავებული, ვედრებით და სინანულით ვიყრი მუხლს მის კართან“.

პერმა ხელებში ჩამალა სახე და რამდენიმე წუთს უძრავად იჯდა. თავს ეკითხებოდა: სიამაყის ყალბი გრძნობა ხომ არ მიშლის ხელს, ჩემს მამათა ღმერთს შევურიგდეო? იქნებ გამბედაობა არ ჰყოფნის ქედი მოიხაროს ძალის წინაშე, ოდესღაც თვითონ რომ უარჰყო? მორჩილება ერთ-ერთი მძიმე ბიბლიურ სიტყვათაგანია, ამ სიტყვების უდიდეს მნიშვნელობაში ჩაწვდომას პერი მხოლოდ ახლა ახერხებს; იყო მორჩილი — აი, უდიდესი გამოცდა, აი, ზეცის მიერ დაწესებული ფასი სულიერი სიმშვიდისთვის.

პერმა თავი ასწია და ყური მიუგდო, ბერუპში ისევ რეკდა ზარი, ბერუპის ეკლესიამდე ორი კილომეტრი ძლივს იქნებოდა, მაშ კიდევ მიუსწრებდა ქადაგებას.

მაგრამ პერი მაინც აყოვნებდა, მერე წამოხტა და გაბედულად დაადგა გზას, ბაღს რომ გარს უვლიდა. მან მართლაც მოასწრო ეკლესიამდე მისვლა, ვიდრე პასტორი კათედრაზე ავიდოდა. ღია კარიდან სიმღერა ისმოდა. პერი ზღურბლზე შედგა და ყური მიუგდო. ისეთმა ეცნაურმა მოკრძალებამ აიტანა, არ შეიძლებოდა ეს ღვთისმოსაობის გამო მოსვლოდა, უფრო ძნელად თუ დააბრალებდა ამას მორჩილებას. კარის სახელურზე ხელჩაკიდებული იდგა და არ იძროდა. ბოლო წუთში თავის თავზე დიდი ძალდატანება დასჭირდა. ბოლომდე უნდა ებრძოლა, რათა სავსებით და საბოლოოდ მოქცეულიყო.

პერი ბოლო სკამზე, კარის მახლობლად ჩამოჯდა; როგორც იქნა, ადგილი დაიკავა, ხოლო შეკრებილთ დაიკმაყოფილეს თავიანთი ცნობისმოყვარეობა — რამდენჯერმე გააპარეს თვალი მისკენ. მალე პერი მთლად დამშვიდდა.

თანაც აქ ისეთი ხალხი არ იყო შეკრებილი, ვის დანახვაზეც შეიძ-ლებოდა აღელვებულიყო. თვით პასტორი საკურთხევლის წინ იდგა და ლაზათიანად იხოცდა ცხვირს, ამ მიზნით მან მრევლს ზურგი შეაქცია. მრევლი შედგებოდა ათიოდე გონებაჩლუნგი შესახედაობის მოხუცი ქალისა და მამაკაცისაგან. განსაკუთრებით ძუნწად იყო აქ წარმოდგენი-ლი ძლიერი სქესი. სიმღერაც ვერ აათრთოლებდა კაცს მოკრძალებით. მხოლოდ რამდენიმე მოხუცი ქალი აკანკალებული ხმით აწვრილებდა ფსალმუნს. თვით ეკლესიაც დაბალი, სარდაფივით შენობა იყო. კედ-ლებზე ნესტის ლაქები ეტყობოდა და ობი მოსდებოდა მწვანედ. ჰაერში თეთრას მომჟაო სუნი იდგა. პერის ცხვირწინ, პიუპიტრზე სქელ ფენად იდო კირის მტვერი.

აი, მღვდელი კათედრაზე ლურჯ ჩარდახქვეშ ავიდა და მხოლოდ ახლა მიხვდა პერი, რომ ყბადაღებულ პასტორ ფილიატრინგის ქადაგე-ბაზე მოსულიყო. ეს გახლდათ წარმოსადეგი, ფერმკრთალი მამაკაცი, სწორი სახის ნაკვთები და ვერცხლისფერი, უკან სადად გადავარცხნი-ლი თმა ჰქონდა. მის გარეგნობაში პერმა დემონური ვერაფერი შენიშ-ნა. სუფთად გაპარსული სახე, ცოტა დიდი, მაგრამ ლამაზად მოხაზუ-ლი პირი ჰქონდა, დიდრონი შავი თვალები. საერთო სასიამოვნო შთა-ბეჭდილებას აგვირგვინებდა ღირსებით სავსე წარმოსადეგი გარეგნობა და მტკიცე, დინჯი მიხრა-მოხრა; ეს იყო მხოლოდ, რომ ზოგჯერ პას-ტორს სახე უნებლიედ — და, ალბათ, მტკივნეულად — ეღიმებოდა.

მოკლე შესავალი ლოცვის შემდეგ მან კათედრიდან სახარება აიღო, რომ საკვირაო ტექსტი წაეკითხა. ამ დროს პერი შენიშნა, გაჩუმდა და აშკარა გაკვირვებით შეათვალიერა, მერე კვლავ კითხვას შეუდგა.

ამას მოჰყვა ქადაგება, რომელიც თითქმის მთელ საათს გრძელდე-ბოდა. ქადაგება წყლის ორი წვეთივით ჰგავდა ყველა სხვა კანონიკურ ქადაგებას, მასში ლაპარაკი იყო ცოდვაზე და მადლზე, გამოსყიდვაზე და ხელახლა ცოდვასა და ჯოჯოხეთის სამუდამო ტანჯვაზე. პერი მოწყე-ნილობით კვდებოდა. მთლად გაუფუჭდა გუნება. ახლა მისთვის ნათე-ლი გახდა, რომ რაკი ბერუპში არ წავიდა, შინ უნდა მჯდარიყო.

ამიტომაც ძალიან გაუხარდა, როცა წირვა დასასრულს მიუახლოვ-და და მაშინვე გამოვიდა ეკლესიიდან. დარცხვენილმა, საკუთარ თავზე გაჯავრებულმა პერმა შინისკენ ფეხს აუჩქარა. ამგვარად, მისი პირველი

შესვლა ეკლესიაში ფრიად სავალალოდ დამთავრდა. პერმა თავს სიტყვა მისცა, არავისთვის არაფერი ეამბნა ამაზე.

მასპინძელთა დაბრუნებამდე დრო რომ მოეკლა, პერი მმართველთან ჩიბუხის მოსაწევად გაეშურა. სოფლურ ჩვევათა შორის, პერმა კერსხოლმში რომ შეიძინა, გრძელტარიანი და დიდთავა ჩიბუხების გაბოლებაც გახლდათ: შეიძლება კაცმა ერთხელ დატენო და თითქმის ნახევარი დღე აბოლო. თავისი ჩიბუხი პერმა მმართველის ოთახში ჩამოკიდა და ხშირად შერბოდა იქ დღისით.

— მითხარით, რას უჩივით, კაცმა რომ თქვას, ბლომბერგს? — ჰკითხა პერმა, აქეთურ-იქითურზე საუბარს რომ მორჩნენ.

— მე?

— დიახ, თქვენ. მახსოვს, ერთხელ რაღაც ცუდს ამბობდით მასზე.

მმართველმა აჩეჩილ წვერში ჩაიღიმა.

— არა, ღმერთმა დამიფაროს ცუდი სიტყვის თქმისგან მათ უცოდველ უწმინდესობაზე. ჯერ არ გავგიჟებულვარ.

— მაგრამ, კარგად მახსოვს, რომ რაღაცას ამბობდით.

— ჰო, დიახ, ალბათ ის თუ მიკვირდა, როგორ შეუძლია აიტანოს, რომ მისი მშობელი მამა შიმშილით კვდება.

— განა კიდევ ცოცხალი ჰყავს მამა?

— აბა რა, სადღაც ზელანდიაში ცხოვრობს მათხოვარზე უარესად. ტილები დასევია და მუნი მოსდებია, ეს არის და ეს; მე მგონია ბლომბერგს ცოდვა არ გაუდიდდება, რომ მოხუცი თავისთან წამოიყვანოს და სიბერეში მოუაროს.

— არა, აქ რაღაც სხვა ამბავია. იქნებ ის კაცი ლოთია? ან იქნებ პასტორს ფული არ ყოფნის, რომ მამას დაეხმაროს?

— არა, არ შეიძლება ითქვას, თვითეული შილინგი დათვლილი აქვსო. კარგად იცის, სად შეიძლება გამორჩენა, როცა ფული ელევა. აქაური გლეხები ისე დასდევენ, როგორც პატარა ბავშვები დედას.

— მერე, როგორ უნდა გამორჩეს?

— სრულიად უბრალოდ, აი, შარშან დასჭირდა თავისი ეტლის გამოცვლა. ისროლა ანკესი, აღარ შემიძლია აქ დარჩენა, შვილების გულისთვის უფრო მდიდარი მრეველი უნდა მოვძებნოო. ხალხს ძალიან შეეშინდა; მორიგდნენ ერთმანეთში ისე, რომ ეტლისთვისაც ეყოთ ფული და ცხენებისთვისაც. პასტორს კი მადლობაც არ უთქვამს. მიაჩნია,

რომ ასეც უნდა ყოფილიყო. იცით, რას უძახის მას პასტორი ფიალტრიბ-გი?

— არა, არ ვიცი.

— დიდ ვაჭარს.

— რატომ?

— თავადაც არ ვიცი, მაგრამ, ჩემის აზრით, ზედგამოჭრილი სახელი კი დაარქვა.

პერი დუმილით აყოლებდა თვალს თავის ყალიონის ბოლს.

— როგორ მოგწონთ მისი ქალიშვილი? — ჰკითხა მან მცირეოდენი პაუზის შემდეგ.

მმართველს კვლავ ჩაეცინა.

— მშვენიერი ქალიშვილი ჰყავს.

— მხოლოდ ეს არის?

— და ლამაზიც.

— ერთი სიტყვით, პირველი ხარისხისაა. ვგონებ, ეს თქვენი საყვარელი გამოთქმაა, არა?

— სწორი ხართ, მაგრამ მეტისმეტად მაღლა იწევს უკანა ნაწილს.

პერმა უნებლიედ შეიკრა წარბები. დღეს მმართველის ტონი აღიზიანებდა. ეს ყმაწვილი თურმე ანგარიშში არ მოტყუვდება და გაცილებით უფრო ავი კაცია, ვიდრე პირველი შეხედვით შეგიძლია ივარაუდო. პასტორ ბლომბერგს კი, როგორც ჩანს, ცილი დასწამა.

ამ დროს ეტლის თვლების კაკუნი გაისმა. პერი ადგა და ოთახიდან ისე გამოვიდა, მმართველს არც კი დამშვიდობებია.

ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე აღფრთოვანებული ელოდა პერს.

— ახ, ბატონო სიდენიუს, ბატონო სიდენიუს! რა ბევრი დაკარგეთ! პასტორმა ბლომბერგმა დღეს თავისთავს გადააჭარბა.

მაგრამ პერს უკვე აღარაფერი ესმოდა, რადგან ამ ქალის გვერდით ინგერს მოჰკრა თვალი და ისე დაიბნა და გაუხარდა, ყმაწვილივით გაწითლდა.

— ახლა კი სუფრასთან გთხოვთ! — მიიპატიჟა ჰოფეჰერმეისტერის მეუღლემ და ინგერს წელზე მოხვია ხელი. ამ დროს მან პერს გადახედა, თითქოს უნდოდა აეეჭვიანებინა, — ჩემი ქმარი უკვე სასადილო ოთახში გველოდება.

* * *

ამჯერად ინგერს, თავისი ჩვეულების საწინააღმდეგოდ, არაფრით არ უნდოდა კერსხოლმში წასვლა. იმ ყბადაღებული დღესასწაულის შემდეგ, ტყეში რომ გაიმართა, პასტორის მეუღლე ქალიშვილს მოელაპარაკა. დედა დაჟინებით აფრთხილებდა, პერთან ახლო ნაცნობობას ერიდეო. მისთვის რომ არ ეწყენინებინა, ინგერი კერსხოლმში წასვლაზე დათანხმდა იმ პირობით, თუ მასპინძლები საღამომდე არ გააჩერებდნენ. გადაწყდა, რომ ბლომბერგები თვითონ შეუვლიდნენ ქალიშვილს ნასადილევს.

ინგერმა კერსხოლმის მონახულება პერის გამგზავრებამდე მხოლოდ ხელთათმანების გულისთვის გადაწყვიტა: ვისიმე გაგზავნა მან ვერ გაბედა, ხოლო ხელთათმანების უკან დაბრუნება, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, უნდოდა. ქალიშვილი იტანჯებოდა იმის ფიქრით, რომ საიდუმლო გაუჩნდა ამ უცხო კაცთან და რომ მისი ნიეთი ამ კაცს ჩაუვარდა ხელში; იქნებ სადმე მაგიდაზე გდია ახლა ჩემი ხელთათმანები. ან სულაც ჯიბეში უდევს პერს სუვენირივითო.

ნასაუზმევს, როგორც კი მარტონი დარჩნენ, ინგერმა ხელთათმანები მოსთხოვა.

პერმა მაშინვე არ უპასუხა. გუნებაში იმედი ჰქონდა, ინგერი ნებას მომცემს, ეს ძვირფასი საწინდარი სამახსოვროდ დავიტოვოო, მაგრამ ამის თქმას ვერ ბედავდა. ქალიშვილს მეტისმეტად სერიოზულად ეჭირა თავი და, როგორც ადრევე შენიშნა პერმა, მის გარეგნობაში იყო რაღაც ისეთი, ენაზე მომდგარი საალერსო სიტყვები პირზევე რომ შეეყინებოდა კაცს.

ამიტომაც პერმა დუმილით დაუქნია თავი და ხელთათმანების მოსატანად წავიდა.

როცა დაბრუნდა, ინგერი ისევ მარტო დახვდა — ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე ნასაუზმევს მაშინვე სადღაც გაქრა. პერმა ამჯერად გაბედა და ქალიშვილს შესთავაზა, ცოტა გავისეირნოთ ბაღშიო. ინგერმა იფიქრა, იფიქრა და გადაწყვიტა, რომ უარის თქმა უზრდელობა იქნებოდა. მხოლოდ იმას ცდილობდა, აივანს არ მოშორებოდა, რომ ჰოფეჰერმეისტერის მეუღლეს დაბრუნებისთანავე დაენახა ისინი.

ნამდვილი მასლაათი მათ არ გაუბამთ. ორივენი თავიანთ ფიქრებში იყვნენ ჩაფლულნი. დღეს პერმა, როგორც კი დაინახა ინგერი, მაშინვე

მიხვდა, რომ უყვარდა ეს ქალი. ამიტომ გულჩათხრობილი იყო და ცოტა უხეშადაც კი ეჭირა თავი. ინგერი კი იმაზე ფიქრობდა, ეს რა მითხრა ჰოფეჰერმეისტერის მეუღლემ გზაშიო. ქალმა უთხრა, ბატონი სიდენიუსი ამ ბოლო დღეებში ძალიან დაღვრემილია და ეს ამბავი, ალბათ, მის ბედუკუღმართ ნიშნობასთან არის დაკავშირებულიო. ინგერმა საუზმის დროსვე რამდენჯერმე მალულად თვალი შეავლო პერს და შენიშნა, რომ ის მართლაც ცუდად გამოიყურებოდა. გულის სიღრმეში ქალიშვილს კიდევაც შეეცოდა პერი. მას იმაზე უარესი ვერ წარმოედგინა, ვიდრე ისეთ კაცთან დაკავშირება, ვინც არა თუ არ გიყვარს, პატივსაც კი არ სცემ.

— იქნებ მინდორში უფრო გრილოდეს? — ჰკითხა პერმა და ბაღის პატარა ჭიშკართან შეჩერდა. — დღეს ხეებქვეშ ძალიან შეხუთული ჰაერია, კოლოებიც გაწუხებენ როგორც ვხედავ.

პერი მართალს ამბობდა და ინგერმა საწინააღმდეგო ვერა უთხრა რა. მან ხელი ჩაიქნია ჰოფეჰერმეისტერის მეუღლეზე, უკეთ რომ ვთქვათ, უბრალოდ, აღარც კი აგონდებოდა. ამასთან, პერმა ისე ძალდაუტანებლად და ცივი თავაზიანობით გააღო ჭიშკარი და წინ გაატარა ქალიშვილი, ინგერმა უარი ვეღარ შეკადრა.

გავიდნენ პატარა მინდორზე, დამრეცად რომ ეშვებოდა ველზე. ამოვარდა ქარი და მტვრის კორიანტელი დააყენა. ღრუბლები გაიფანტა, მაგრამ ჰაერი კვლავ ჩახუთული და მძიმე იყო.

— ხომ არ დაიღალეთ? — ჰკითხა პერმა — თუ გინდათ, დავჯდეთ. ბალახი მთლად მშრალია და აქ ნიავი მაინც უბერავს.

ინგერმა იგრძნო, რომ მართლაც დაღლილიყო, ამიტომაც, ცოტა ყოყმანის მერე ფერდობზე ჩამოჯდა, ხოლო ფეხები გულმოდგინედ შემალა ქვედატანის ქვეშ.

ამ სიმორცხვემ პერზე ისე იმოქმედა, როგორც ქარის დაბერვამ, პატარა ალს ხანძრად რომ აქცევს. მხოლოდ ახლა მიხვდა ყმაწვილი კაცი, რა ძლიერი იყო მისი გრძნობა, რა ღრმად ჩაბეჭდოდა გულში ინგერის წმინდა სახე. ინგერი ჩაფიქრებული ღეჭდა ბალახს და ველს დასცქეროდა. მან ჩამოუშვა თავისი დიდი ჩალის შლიაპის მოქნილი ფარფლები და ყურებზე ისე მიიჭყლიტა, თავსაბურსავით მოიხვია, რომ შლიაპა ქარს არ მოეტაცა, თანაც მშვენივრად იცოდა, რომ ასე დახურული შლიაპა უხდებოდა. მამამისმა ერთხელ ხუმრობით უთხრა, ამ შლიაპასთან მხოლოდ ყვავილებით მოწნული კვერთხი და პატარა კრა-

ვიღა გაკლია სადავით და მწყემსი გოგოს ტანსაცმელში გამოწყობილი ნამდვილი პრინცესა იქნებოდიო.

ამგვარი ქათინაურები ინგერს არ ავიწყდებოდა.

პერი შორიახლო ჩამოჯდა. განგებ აიძულებდა თავს, სხვა მხარეს ეცქირა.

„დიახ, დროა გავემგზავრო, — უთხრა მან თავის თავს, — და რაც უფრო მალე გავემგზავრები, მით უკეთესია. არ ღირს თავის გამასხრება და ამ პატიოსანი ხალხის წინაშე ცალმხრივი სიყვარულის მსხვერპლის წარმოსახვა“.

როგორც კი დასხდნენ, საუბარიც გაუწყდათ. ეს სულაც არ მომხდარა იმის გამო, რომ პერთან მარტო დარჩენისას ინგერს შეეშინდა. ქალიშვილს სინდისის ქენჯნა დიდი ხანია აღარ აწუხებდა, ხოლო დედის გაფრთხილება რომ მოაგონდებოდა, სწყინდა კიდევაც პერის მაგიერ — უმაწვილ კაცს თავი ისე თავაზიანად ეჭირა, ვერ დაძრახავდი. მაგრამ ქალს თავისი მდგომარეობა ისე სარისკოდ ეჩვენებოდა, ასე ეგონა, მიწა მეცლება ფეხქვეშო.

პერმა დაუწყო მოყოლა, როგორ შემოიარა მთელი ქვეყანა. როცა არ იცოდა რაზე ელაპარაკა, ეს თემა ხშირად შველოდა, მაგრამ ინგერი არ უსმენდა, მას ახლაღა გაახსენდა ჰოფეჰერმეისტერის მეუღლის სიტყვები: ქალი უმტკიცებდა, პერი ფრიად ქალებისმოყვარული ახალგაზრდაა და ამ გატაცებამ დიდად ავნოო. ინგერმა ჰოფეჰერმეისტერის მეუღლის სიტყვები თავისებურად განმარტა. მან გადაწყვიტა, რომ პერის საცოლე მარტო მდიდარი კი არა, ლამაზიც არის, თუმცა, ჰოფეჰერმეისტერის მეუღლესთან საუბრამდეც ასე ფიქრობდა. თავადაც არ იცოდა რატომ, მაგრამ ვერ წარმოედგინა, რომ პერს შეეძლო მხოლოდ ფულის ხათრით შეერთო ცოლი.

პერმა კვლავ მალულად გააპარა ინგერისკენ თვალი. ქალიშვილი კვლავ ბალახს ღეჭდა და ყვავილებით დაფარულ ველს დასცქეროდა. ოდნავ წინ წახრილიყო და ცალი მუხლიც ოდნავ ზემოთ აეწია, რომ ხელით ზედ დაყრდნობოდა. მზე სახეში აჭყეტდა და თვალებს ჭუტავდა.

— თავი ხომ არ მოგაბეზრეთ? — ჰკითხა პერმა მცირე ხნის დუმილის შემდეგ.

მისი ხმის გაგონებაზე ინგერი ოდნავ შეკრთა და გაწითლდა.

ამ დროს ორივემ გაიგონა, რომ ეზოში ეტლი შემოვიდა.

— იმედია. თქვენს წასაყვანად არ მოსულან? — შეეშინდა პერს.

— ცხადია, ჩემს წასაყვანად მოვიდნენ. — მიუგო ქალმა და ადგა. — წასვლის დროა.

თუმცა მაინცდამაინც არ აჩქარებულა. ჭიშკართან ლამაზი გვირილები შენიშნა და თაიგულის შეკვრას შეუდგა.

ყმაწვილი ქალის ამ ქცევაში ფარულად დეღის გამოწვევაც იყო, მაგრამ უწინარეს ყოვლისა ასე იმიტომ იქცეოდა, რომ წესიერი ხასიათისა იყო: რაკი თავს სულაც არ გრძნობდა დამნაშავედ, არ უნდოდა მშობლებისაგან დაემალა, თუ ვისთან სეირნობდა.

პერი არ გაჰყვა ქალიშვილს. ახლა სულაც არ იყო მასლაათის ხასიათზე, აივანთან ისინი ერთმანეთს გამოეთხოვნენ და ყმაწვილი კაცი ცალკე შესასვლელით თავის ოთახში შევიდა.

აქ პერმა დაიწყო ბოლთის ცემა, რომ აზრი მოეკრიბა და ცოტა დამშვიდებულიყო. სასწრაფოდ უნდა გაემგზავროს, მაგრამ სად? განა იმის შემდეგ, რაც მოხდა, შეიძლება იაკობასთან დაბრუნება? განა პერი, როგორც პატიოსანი კაცი, ვალდებული არ არის პირდაპირ უთხრას იაკობას, რომ სხვა შეუყვარდა? მერე რაღა იქნება?

აქვს თუ არა პერს უფლება, გაწყვიტოს ურთიერთობა იაკობასა და მთელ მის ოჯახთან? მას ხომ ფული სჭირდება, უფრო მეტიც, ვიდრე სჭირდებოდა. დაე ისინი ათვალწუნებული, ჭუჭყიანნი და საძაგლები იყვნენ — სულ ერთია. აქაური მასპინძლებისაგან სესხებას პერი აღარ აპირებდა. თუმცა აშკარად არ უთხოვია მათთვის, ფული მასესხეთო, მაგრამ გამწარებულმა ერთხელ ისე გადაუკრა სიტყვა თავის უფულობაზე, ჰოფეპერმეისტერი, რომ ნდომოდა, გაიგებდა.

პერი ფანჯარასთან მივიდა. ზურგზე ხელებშემოწყობილი მისჩერებოდა, როგორ თამაშობდა მზის სხივი წაბლის სქელ და მუქ ფოთლებში.

ასე თუ ისე, პერი ვალდებულია კოპენჰაგენში დაბრუნდეს. კარგი, ვთქვათ, დაბრუნდა, მაგრამ მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ იქ მის ურთიერთობას იაკობასთან სხვა საშიშროება მოელის. კოპენჰაგენში პერი ხელახლა შეხვდება ნანის და ვინ იცის, რით დამთავრდება ეს შეხვედრა. აქ, კერსხოლმში, იშვიათად თუ მოაგონდებოდა ნანი, მაგრამ დავიწყებით მაინც არ დავიწყებია. ბევრჯერ გამოღვიძებია შუაღამისას ფრიად გასაგები სიზმრებისაგან და, თავისდა სამარცხვინოდ, მუდამ აღმოჩნდებოდა ხოლმე, რომ სწორედ ნანის ხვევნა დაესიზმრა.

ჯერ კიდევ სისხლს უმღვრევდა კოცნა, ნანიმ რომ აჩუქა მაშინ ნამდვილი მსუბუქი ყოფაქცევის ქალივით და პირობას ვერ მისცემდა თავს, რომ მომავალში შევძლებ თავის შეკავებასო. როცა წარმოიდგენდა, როგორ გამოემართებოდა მის შესაგებებლად ნანი თავისი ულამაზო, ბაჯბაჯა სიარულით, გვერდების გამომწვევად, დედაკაცური ქნევით, და მაცდური ღიმილით, როგორ ალმაცერად მიაჩერდებოდა თავის ალერსზე უფრო ურცხვი გამოხედვით, — ყოველივე ამას რომ წარმოიდგენდა, პერს ნანის აბრეშუმის ქვედატანების შრიალი ესმოდა ყურში და ეჩვენებოდა, თითქოს ეს ქსოვილი კადნიერი გულახდილობით ჩასჩურჩულებდა, სწორედ აქ უნდა ეძებო იმ ახალი სიყვარულის დავიწყება, რომლის აღიარებას ვერასოდეს გაბედავო.

პერმა თვალებზე ხელი აიფარა. თვალწინ მოჩვენება აესახა: მომავალი დღეები შავი ტალღებივით მოიწევენ აქეთ და, აქაფებულნი, მის თავზე იყრიან თავს...

პერი ფანჯარას მოშორდა და ხელახლა შეუდგა ნაბიჯებით ოთახის გაზომვას — წინ და უკან, წინ და უკან. ხელები ისევ ზურგზე შემოიწყო, თავი დახარა — დაღლილ, წელშიმოხრილ. სევდიან საგნად იქცა.

მაგიდაზე გადაშლილი წიგნი იდო. ეს იყო პოულ ბერგერის პოემა. წიგნი, რომელსაც პერი ახლა ხშირად კითხულობდა მძიმე წუთებში, რადგან ეჩვენებოდა, რომ მას ყოველთვის შეეძლო გაერკვია, რა ხდებოდა მის თავს. პერმა აიღო წიგნი, დიდ სავარძელში ჩაეშვა და დანიშნულ ადგილზე გადაშალა.

„მე ვგავარ მშიერს, საჭმელს რომ გაურბის, ავადმყოფს, მკურნალს რომ არ უხმობს. შეხედე, უკვე მოსაღამოვდა და ყველა ქარი ჩადგა, მაგრამ ჩემი გული კვლავ ვერ დამშვიდებულა.

მე ვზივარ მწვერვალზე და ვუყურებ, რა ნელა ეშვება მზე ზღვაში. ოქროს საათივით ჩამოეკიდა იგი ლურჯი ცის თაღს და ჰაერი გავსო მისი რეკვით. გესმის, არა, რეკვა ციდან? ეს საათების რეკვა კი არ არის, ანგელოზები მღერიან! მაშ რად არ ვიხრი თავს? რად არ დამიკრეია ხელები სალოცავად? რად არ მოვიყრი მუხლს, რად არ მოვუხმობ: „მამაო!“? იმიტომ, რომ არ ვიცი ლოცვა. და მაინც მჯერა, არა, მჯერა კი არა, მტკიცედ ვიცი, რადგან ჩემმა სულმა მიკარნახა ეს, — ვიცი, რომ მხოლოდ ღმერთს შეუძლია ნუგეში მაჩუქოს. თუ შენ ხედავ, როგორ უსიხარულოდ და უნაყოფოდ ჭკნება შენი სიცოცხლე; ის — და

მხოლოდ ის მიანიჭებს მას ნაყოფიერებას. თუ შენ გულდაწურული ოხრავ, ის—და მხოლოდ ის—გამოგასხამს მსუბუქ ფრთებად შენს მძიმე უღელს მხრებზე“.

* * *

ბლომბერგებს არ ჰქონდათ განზრახული კერსხოლმში დიდხანს დარჩენა. მაგრამ ჰოფეჰერმეისტერის მეუღლემ ადვილად მოახერხა დაეთანხმებინა სტუმრები, რომ ესადილათ. სადილობამდე მთელი კომპანია მინდორში წავიდა პურის ნათესების დასათვალიერებლად. ინგერიც წაჰყვა მათ და, ჩვეულების წინააღმდეგ, ერთი ნაბიჯითაც არ შორდებოდა დედას.

პერი სულ არ გამოჩენილა, არც პასტორს არც მის მეუღლეს არ მოუკითხავთ ის.

მაგრამ არც მისი არსებობა დავიწყებიათ. იმან, რომ პერს კერსხოლმში, ცოტა არ იყოს, გაუგრძელდა სტუმრობა, უკვე ატეხა ოლქში ნაირ-ნაირი ჭორები. დადიოდა ხმები, თითქოს ამ ახალგაზრდამ დიდი უფლებები მოიპოვა კერსხოლმის ბატონებზე — არა მარტო ორივე მანდილოსანზე, არამედ თვით ჰოფეჰერმეისტერზეც.

ამ ჭორებში ჭეშმარიტებაც ერია. საქმე ასე გახლდათ:

ჰოფეჰერმეისტერი მრავალი წლის განმავლობაში წვალობდა ბორცვებს შორის მდებარე მისი მიწის მოზრდილი ნაწილის დაჭაობიანებული დაბლობის ამოშრობაზე. ერთხელ ნასადილევს ყავაზე მან თავისი გეგმები პერსაც გაუზიარა და უთხრა, დროა სერიოზულად მოვკიდოთ ხელი საქმეს, მინდა მიწისმზომელი გამოვიძახო, რათა ნაკვეთი მოვნიშნო და საჭირო გაანგარიშებანი ვაწარმოოო. ხანგრძლივი უსაქმობით მოღლილმა პერმა, რომელსაც ამავე დროს სურდა რითიმე მადლობა გადაეხადა მათი სტუმართმოყვარეობისათვის, თავისი სამსახური შესთავაზა, ხოლო ჰოფეჰერმეისტერმა,—სულით ნამდვილმა გლეხმა—რაკი უყვარდა, სადაც შეიძლებოდა, მუქთად გამოსულიყო, განსაკუთრებით მაშინ, როცა გროშებზე იყო ლაპარაკი, სიამოვნებით მიიღო მისი წინადადება.

საჭირო მიწის საზომი ხელსაწყო აღმოაჩნდათ და რაღაც ორი-სამი დღის განმავლობაში საკმაოდ დიდი გაანგარიშებანი გააკეთეს.

მაგრამ მუშაობის დროს პერს ახალი იდეა დაებადა: რა იქნება მთლად გადავგეგმო წყლით მომარაგება არა მარტო კერსხოლმის მი-

ჭებზე, არამედ მთელ ოლქში, რაც რამდენიმე ათას დესეტინას შეადგენსო. ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად — გულში იმას ფიქრობდა, ამ საბაბით შეიძლება ფულიც დაევესესხოო (თუმცა აქედან არაფერი არ გამოვიდა)—პერმა ერთ საღამოს თავისი ჩანაფიქრი ჰოფეჰერმეისტერს გაანდო, ხოლო ის, თუმცა დიდად შოსაზრებული კაცი არ გახლდათ, მაინც მიხვდა, რა სიკეთესაც პირდებოდა ამ გეგმების განხორციელება. იმ დაუშრეტელი გამომგონებლობის წყალობით, პერის ნიჭიერების ყველაზე უფრო ბრწყინვალე მხარეს რომ წარმოადგენდა და აღმაფრენის წუთებში ჭეშმარიტი გენიოსის ძალას ანიჭებდა, პერმა გაიანგარიშა, როგორ შეიძლებოდა ეშმაკურად ჩაფიქრებული „მდინარის, კალაპოტის გადაგეგმვის“ დახმარებით რამდენიმე დიუმით ნიადაგქვეშა წყლების დონის დაქვეითება და ამით შედარებით მცირე ხარჯით, უვარგისი, დაჭაობებული დიდი მიწის ნაკვეთების აყვავებულ, ნაყოფიერ ყანებად ქცევა.

წმინდა მეწვრილმანური ეშმაკობით ჰოფეჰერმეისტერმა პირველად თავი ისე დაიჭირა, თითქოს ამ იდეაში სახარბიელოს ვერაფერს ხედავდა, მაგრამ სინამდვილეში ისე გაიტაცა ამან, რომ საღამოობით ახლა დიდხანს ვეღარ იძინებდა. რაც მეტს ფიქრობდა პროექტზე, მით უფრო ნათელი ხდებოდა მისთვის, რა დიდს ნიშნავდა ეს პროექტი არა მარტო კერსხოლმისთვის, არამედ მთელი ოლქისთვისაც. ყველაფერზე მეტად მას იმის ფიქრი აამებდა, რომ სწორედ ასეთივე იდეა — ახლა ის ამაში სრულიად დარწმუნებული იყო — მოუვიდა ოდესღაც თავში თავად მასაც, ისე რომ, აღმოჩენის პატივი შეეძლო სრული უფლებით თავის თავისთვის მიეწერა.

ზუსტად ექვსზე, წუთის გადაუცილებლად, გონგმა სადილად უხმო მათ. თუ არად ჩავთვლით ამ პუნქტუალობას, აქაურ სადილებსაც დაუდევრობის ის დაღი ესვათ, რაც კერსხოლმის მთელ ცხოვრებას. კვირა დღისა და იმის მიუხედავად, რომ სტუმრები ჰყავდათ, სუფრაზე დასაჯდომად გამოსულ მასპინძელს თავისი სანადირო ქურთუკი და თითქმის ყელამდე შებნეული ჟილეტი ეცვა. მის მეუღლეს, თუმცა ნაოჭასხმული აბრეშუმის კაბები ეცვა და ზედ მრავალი არშია და ბაფთიც მოეკერებინა, მაინც ყველა მიხვდებოდა, რომ ქალი ძველ საგარეო კაბას შინ იმიტომ ატარებდა, აქაოდა, გავცვითოო. არც მაგიდა იყო გაწყობილი ფუფუნებით და არც სუფრა ბრწყინავდა სისუფთავით. მაგიდაზე ერ-

თადერთი ყვავილებიანი ლარნაკი იდგა და იაფფასიანი ჭურჭელი ელაგა.

პირველი თავი კერძის დროს ჰოფეჰერმეისტერი ძალიან ცოტას ლაპარაკობდა, სამაგიეროდ დიდი გულმოდგინებით ილუკმებოდა და სვამდა. გარდა ამისა, ერთი მიამიტური თავშესაქცევიც მოიფიქრა თავისთვის: როგორც კი ბლომბერგი გაერთობოდა, მაშინვე ვერაგულად უმატებდა ღვინოს მის ჭიქაში. ეს იმით დამთავრდა, რომ ორივეს ჩირაღდნებივით აენთოთ სახეები, ხოლო როცა თავად ბარონესაც, აბსოლუტურ თავშეკავებას რომ ქადაგებდა ხოლმე, მაგრამ ჯერ კიდევ სადილობამდე კარგა ხნით ადრე საეჭვოდ კი წამოწითლებულიყო სახის მათეთრებლის სქელი ფენის ქვეშ, — ერთი სიტყვით, როცა თვით ბარონესაც, „მოექცა შეგონების გავლენას ქვეშ“ და რამდენიმე ჭიქა შერი გამოცალა, საუბარი მაგიდასთან ფრიად გამოცოცხლდა.

ამ გამოცოცხლებით პერს არავინ უშლიდა, თავის სევდისმომგვრელ ფიქრებს მისცემოდა. მხოლოდ ინგერმა შენიშნა, რომ პერი უცნაურად დაბნეული იყო. ინგერს (თუმცა სულაც არ სურდა) შეხვდა პერის გვერდით ადგილი და იძულებული გახდა მხოლოდ პერის საზოგადოებას დაჯერებულიყო, რადგან მეორე გვერდით მამა უჯდა.

მაგიდის მეორე მხარეზე დედა იჯდა და ჩუმ-ჩუმად ადევნებდა თვალყურს თავის ქალიშვილს და პერს, სანამ ქმრის მიერ ატეხილმა მხიარულებამ არ აიძულა, დაკვირვების ობიექტი შეეცვალა.

პერის დაბნეულობა ინგერს ძალიან ართობდა. ქალიშვილი, რა თქმა უნდა, ვერც კი ხვდებოდა, რად მოიღუშა უეცრად პერი და წმინდა ბავშვური გულუბრყვილობით ერთობოდა, როცა ხედავდა, როგორ უჭირდა ყმაწვილ კაცს აზრის მოკრება სულ უბრალო თხოვნაზე, ვთქვათ, სამარილე მომაწოდე, ან კიდევ — ლაბიანი თეფში გამომართვიო. სადილობას რომ შეუდგნენ, ინგერი ძალიან მხიარულად იყო და ზედა ტუჩზე ენის წვერს ისვამდა წამდაუწუმ: ღიმილის დროს მუდამ ასე იცოდა ხოლმე.

მერე ქალიშვილს აზრად მოუვიდა, ალბათ პერმა ამ ხნის განმავლობაში, რაც ერთმანეთი არ უნახავთ, რაიმე უსიამოვნო ცნობა, იქნებ წერილიც კი მიიღო საცოლესგანო. ეს რომ გაიფიქრა, ენის წვერი კარგა ხნით დამალა.

უეცრად, ის იყო სადილს უნდა მორჩენოდნენ, რომ პერმა ყველას გასაოცრად, თავისი ჭიქა ააწკარუნა და წუთით დამსწრეთა ყურადღება

მოითხოვა: მე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო მასპინძლებს იმ სტუმართმოყვარეობისათვის, რომლითაც ასე დიდხანს, ძალიან დიდხანს ვტკბებოდი აქ, კერსხოლმშიო.

— ნუთუ წასვლას აპირებთ? — შიშით წამოიძახა ჰოფეჰერმეისტერის მეუღლემ და თვალი შეავლო ინგერს.

— არ მინდა, მაგრამ რას ვიზამ! ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა წავიდე იქ, საითაც მოვალეობა მიხმობს, — ატლანტის ოკეანის მეორე ნაპირზე. გარდა ამისა, ისედაც თავაზიან მასპინძელთა მოთმინება ძალიან დიდხანს გამოვიყენე ბოროტად.

— რა სასიამოვნოა! როგორ არ გრცხვენიათ! არაფერი არ წახვალთ! — აღელდა ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე. ღვინით გაბრუებული ქმარიც ექოსავით აძლევდა ბანს.

პერმა მსუბუქი თავის დაკვრით მადლობა გადაუხადა მათ და განაგრძო:

— თუმცა ძალიან მიჭირს კერსხოლმის დატოვება, ჩემთვის რომ მშობლიურ სახლად იქცა, მაინც უნდა გამოვეთხოვო მას. მაგრამ არ შემიძლია ისე წავიდე, თუ გამგზავრების წინ არ განვაცხადე, რომ კერსხოლმიდან მიმაქვს ჩემთვის ყველაზე ძვირფასი მოგონებები, და — თუ ნებას დამრთავენ — მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ბესტრუპელ პასტორსაც. ნება მიბოძეთ, ბატონო ბლომბერგ, სულით და გულით გითხრათ მადლობა თქვენი ფრიად ჭკუის სასწავლებელი საუბრებისთვის! მე აქ დაწვრილებით არ მოგიყვებით, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ საუბრებს ჩემთვის, მაგრამ გჯეროდეთ, არასოდეს არ დავიწყებ ამას.

პერის თავაზიანობის მიუხედავად, ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე ძალიან აღელდა. არა, საქმის ასეთ დაბოლოებაზე სულაც არ უოცნებია მას. ყველაფერი უნდა იღონოს, რომ არსად არ გაუშვას პერი. კიდევ მოელაპარაკება ცალკე. ხელიდან არ გაუშვებს შემთხვევას, დატკბეს ბლომბერგის მოძღვრების ზეიმით, ასე დიდხანს და ასე გულმოდგინედ რომ ამზადებდა. მხოლოდ მაშინ დაკმაყოფილდება, პერის სრულ მოქცევას თუ მოახერხებს.

ხოლო ჯილდო პერის მოქცევისთვის მას უკვე მზადა აქვს — ამის გაფიქრებაზე ჰოფეჰერმეისტერის მეუღლემ ნაზად შეხედა ინგერს.

პერის სადღეგრძელომ პასტორის ოჯახზე ძალიან სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. პასტორის შეუდრეკელი მეუღლეც კი მოლბა.

ახლა, რაკი იცოდა, სულ ერთია, პერი მალე წავიდოდა, უნებლიედ უფრო გულმოწყალე გახდა მისდამი.

ინგერს შეეშინდა, როცა პერი ადგა. „ნეტავ რა მოხდა?“ — გაიფიქრა ქალიშვილმა. პერი რომ პირქუშად ჩაფიქრებული იჯდა, ამან თანდათან შეაწუხა, რა მოასვენებს ალბათ ადამიანს, ვინც გატენილი ზარბაზნის გვერდით დგას. როცა ინგერი მიხვდა, რომ პერს სადღეგრძელოს თქმა უნდოდა, გულზე მოეშვა, რადგან მისი აზრით, ამით აიხსნებოდა სწორედ, თუ რატომ იჯდა პერი სუფრაზე ისე, თითქოს ფიქრით სხვაგან იყო. მაგრამ მალე ახალი საშფოთავი გაუჩნდა. როგორც კ' პერმა ლაპარაკი დაიწყო, ინგერი ძალიან აღელდა, შეშინდა, ზედმეტი რამ არ წამოსცდენოდა, მაგრამ რაკი შენიშნა, თუ პერი რა გემოვნებით და ტაქტიკით არჩევდა თვითეულ სიტყვას, შვებით ამოისუნთქა.

თვით პერის განცხადებაც ინგერს მოულოდნელი არ ეჩვენა. დიდი ხანია იცოდა, რომ დღეს თუ არა ხვალ ყმაწვილი კაცი უნდა წასულიყო. მაგრამ ახლა ინგერი საბოლოოდ დარწმუნდა თავის ადრინდელ ვარაუდში: უეჭველად წერილი მიიღო საცოლესგან და სწორედ ამან აიძულა წასასვლელად აჩქარებულიყოო. იქნებ ისიც კი მოსწერეს, დაუყოვნებლივ დაბრუნდი კოპენჰაგენშიო. ეს ებრაელის ქალი, ალბათ, ისე ატრიალებს, როგორც სურს. საბრალო, საბრალო პერი! რომ შეხედავ კაცი, ვერაფრით ვერ იტყვი, რომ გაგიჟებით უნდა თავის საცოლეს ნახვა. ინგერს ისე შეებრალა ყმაწვილი კაცი, კინაღამ აცრემლდა. თუმცა, მეორეს მხრივ გაუგებარია, როგორ შეეძლო ასე შეეკრა თავისთვის ხელ-ფეხი, თუ იცოდა, რომ დარდის მეტს ეს არაფერს მოუტანდა. აქ შეიძლება მხოლოდ ერთი მიზეზი იყოს. მისი საცოლე არა მარტო ლამაზია და მდიდარი, არამედ შეუძლია მამაკაცების ისევე მოხიბვლაც, როგორც ეს მათნაირ ქალებს ეხერხებათ. ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე ერთხელ ყვებოდა, პერი ამ ქალს თავისი სურვილის გარეშე დაუკავშირდაო. ადვილი შესაძლებელია, პერი ხომ ასეთი მიმნდობია!

მერე სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს დიასახლისს, მან თქვა: „ღმერთმა შეგარგოთო“ და ყველანი სუფრიდან აიშალნენ.

პერმა ცერემონიულად დახარა თავი ინგერის წინაშე; ყმაწვილმა ქალმა კი საპასუხოდ დაუდევრად დაუკრა თავი. მაგრამ უეცრად კისერზე მოეხვია მამას და, არასოდეს არ უქნია ეს, ყველას თანდასწრებით, მაგრად ჩაკოცნა.

ნასადილევს საერთო სიმხიარულეში ამ მოულოდნელმა ქალიშვილური სინაზის გამოვლენამ შეუმჩნევლად ჩაიარა. მამამ გულთბილად მოუთათუნა თმაზე ხელი და უთხრა: „ჰო, ჩემო გოგო!“ მხოლოდ პერს ჩასწყდა გული და რამდენიმე წამით თვალთ დაუბნელდა.

აქამდე წამითაც ვერ ბედავდა გაეფიქრა, რომ შეიძლებოდა სიყვარულის იმედი ჰქონოდა. ინგერის მოულოდნელმა ქცევამ გაურკვეველი იმედები გაუღვიძა და უეცრად გააღო მის წინაშე სამოთხისა და ჯოჯოხეთის კარიც.

ბაღში ყავისთვის სუფრა გაშალეს, მაგრამ საქმე ისე შეტრიალდა, პასტორის ოჯახი იძულებული იყო წასვლა დაეჩქარებინა. ჰოფეჰერმეისტერმა, საუბედუროდ, კონიაკისა და ლიქიორის მიტანა ბრძანა და თუმცა პასტორმა, თავისდა საწყენად, შენიშნა, რომ ისედაც ზომაზე მეტი გადაეკრა და გადაჭრით უარზე იყო ღვინის დალევაზე, ჰოფეჰერმეისტერმა მაინც შეუვსო ორივე სირჩა და ბლომბერგს ვერაგულად დაუდო სიწზე. ცოტა ხნის შემდეგ მან დაინახა, რომ სირჩები ცარიელი იყო და სიხარულით კინაღამ ჩაიფრუტუნა. სიმთვრალით ვერ შენიშნა, რომ ლაპარაკში გართულმა თავად დალია ერთიც და მეორეც. ჰოფეჰერმეისტერი ისე აღფრთოვანდა, თავი ვერ შეიკავა და ხმამაღლა ჩაიხითხითა, უფერული თვალებით გაჭირვებით ეძებდა პერს, რათა ასეთი ტრიუმფის თანამგრძნობი მოწმე ეშოვნა. მაგრამ პერს თავისი ჭიქისათვის პირიც არ დაეკარებინა, ვერაფერს ხედავდა და არც არაფერი ესმოდა.

ბლომბერგმა ცხენების შებმა ბრძანა და ჰოფეჰერმეისტერის მეუღლემ, რომელიც გულმოკლული იყო თავისი ქმრის საქციელით და იცოდა, რიცხაც დამთავრდებოდა ყოველივე, აღარ დააკავა სტუმრები. პასტორი ნამდვილად გაბრაზდა. თუ არ შეიმჩნია, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთხელ და სამუდამოდ წესად დასდო არ შეემჩნია ზოგიერთი ხარვეზი ჰოფეჰერმეისტერის მორალურ სახეში. ჰოფეჰერმეისტერის მეუღლის ხათრით იქცეოდა ასე და იმიტომაც, რომ ფხიზელი და ანგარიშიანი კაცი იყო და არ შეეძლო არ სცოდნოდა, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის, თუ მრევლი კერსხომელ ბატონთა სიკეთის განგებად მას მიიჩნევდა.

მსახურმა მოახსენა, ეტლი მორთმეულიაო.

სუფრიდან ჯერ ქალები ადგნენ. ინგერმა უარი თქვა ყავაზე. ის ბაღში შევიდა, დედას უთხრა, ოთხფურცლიანი სამყურის პოვნა მინდაო.

სინამდვილეში კი არავისთან ლაპარაკი არ სურდა და ვეღარ ითმენდა, ისე ელოდა წასვლას.

თუმცა პერმა ჩასვა ეტლში, ინგერს არც შეუხედავს მისთვის, ხოლო გამოთხოვებისას ხელიც არ ჩამოურთმევია, მისი მშობლები კი პერს ძალიან გულითადად დაემშვიდობნენ.

გასამგზავრებლად რომ ფუსფუსებდნენ, ჰოფეჰერმეისტერი კიბის ზედა საფეხურზე იდგა და ქანაობდა. სტუმრებს ცხვირსახოცს უქნევდა და ნიშნის მოგებით კრეჭდა კბილებს, რაკი დარწმუნებული იყო, პასტორი ისე მთვრალია, ფეხზე ძლივს დგასო.

პერი თავის ოთახში წავიდა. მღელვარებისაგან თავბრუ ესხმოდა და იძულებული იყო შესვლისთანავე ჩამომჯდარიყო. ოთახში თითქმის მთლად ბნელოდა. დაისის ჩაბეუტული მეწამული შუქი წაბლის ხეებს შორის გამომძვრალიყო და ჭერსა და კედლებზე მისი ათინათი კიაფობდა.

პერი დიდ სავარძელში მაგიდასთან იჯდა, სახე ხელებში ჩაემალა. საშინელ, დღემდე უცნობ ძრწოლას აეტანა. ჯერ იყო და, ცდილობდა დაერწმუნებინა თავი, თითქოს ვერაფერი გაიგო და ყოველივე ავადმყოფური წარმოსახვის თამაში იყო მხოლოდ. მაგრამ სიმშვიდე არ უბრუნდებოდა. იმისი გაფიქრებაც კი, რომ შეიძლება მის სიყვარულს ხიყვარულითვე უპასუხონ, აგიჟებდა. თითქოს ცის შუქმა გაიელვა მის წინაშე სწორედ იმ წუთში, როცა მუდმივ წყვდიადს უნდა შთაენთქა.

პერმა თვალებზე ხელი მიიფარა და ცდილობდა ცრემლები შეეკავებინა. აი, დადგა სამაგიეროს მოზღვევის საათი. ღვთის სამართალმა დაამარცხა ის, კაენის ავი ბედი, უდაბნოში მარტოდმარტო ხეტიალი იქნება ამიერიდან მისი ხვედრი. და ის ვერც კი დაიჩივლებს რამეზე. სრულ გონებაზე მყოფმა, ისე რომ კარგად ახსოვდა ყველაფერი, მიწიერ სიკეთეზე გაყიდა თავისი სული. ბედნიერებასთან გარიგება, მას რომ წილად ხვდა, თვით სატანასთან დადებული კავშირი აღმოჩნდა. და სატანამ პატიოსნურად შეასრულა შეთანხმების პირობები. ოქრო, პატივისცემა, ხორციელი სიყვარულის სიხარული — ყველა ამქვეყნიური განცხრომა მის ფერხთით იყო დამხობილი. საკმარისია დახრილიყო და აკრეფდა თუ სურდა.

პერი წამოხტა და თავზე იტაცა ხელი. არა, ტყუილია, ამას ღმერთი არ დაუშვებს. ნუთუ ასე ძლიერ შესცოდა? დიახ, ჰქონდა მას შეც-

დომები, მაგრამ მზად არის დამსახურებული სასჯელი მიიღოს. ცივ-ანგარიშით გაყიდა მან სულიერი სიმშვიდეც, დედობრივი სიყვარულიც, მამის ლოცვა-კურთხევაც, სამშობლოც, პატივისმოყვარეობის სისხლით დასვრილ საკუთხეველზე დადო მან თავის მიწასთან, თავის ხალხთან და თავის თაობასთან სულიერი ერთობა. და ეს ერთადერთი მსხვერპლი არ არის! აჩრდილის გაშმაგებულ გამოდევნებაში მან დაასევდიანა სხვა ადამიანების ცხოვრებაც, მან მხოლოდ დარდი მოუტანა თავის მშობლებს, მხოლოდ საზრუნავს მატებდა ძმებს და დებს, თავის-მოჭრა და გულისტკენა იყო თავისი მეგობრებისა და კეთილმყოფელთათვის და მერე როგორ მოატყუა იაკობა!..

პერს აღარ შეეძლო შეწინააღმდეგებოდა სინდისის მტანჯველ კიცხვას, მძიმედ დაეშვა ლოგინის ნაპირზე და ქვითინით ჩამალა სახე ხელებში.

„ღმერთო, ღმერთო! მე დავიმსახურე შენი სამართლიანი რისხვა ყველაფერი დავიმსახურე, ყველაფერი!“

* * *

ამ ღამით პერმა გადაჭრით და სამუდამოდ გაწყვიტა წარსულთან კავშირი და თავი თავის მამა-პაპათა ღმერთის განმგებლობას მიანდო. მთელი ღამე იწვა და რული არ ეკიდებოდა, გონებაში მთელ თავის ცხოვრებას აანალიზებდა და საკუთარი დანაშაულის შეგნება უფრო და უფრო აწუხებდა. იმის შეგრძნებამ, რომ ცოდვილი იყო, მორჩილი გახადა. ამ საღამომდე პერი კიდევ არ იყო საკმაოდ მორჩილი. მორჩილება ლოცვად გადაიქცა.

პერი მხოლოდ გათენებისას დაწყნარდა ცოტათი და მსახურმა რომ ჩაი შემოუტანა, ღრმად ეძინა.

გაღვიძებისთანავე გაახსენდა, რომ წერილი უნდა მიეწერა იაკობისთვის. წუხელის მიღებული ერთერთი დასკვნა იყო იმის გადაწყვეტილება, რომ დაუყოვნებლივ გაეწყვიტა კავშირი იაკობასთან, რაკი მას ორივე მხარისთვის უბედურების შეტი არა მოჰქონდა რა. ვრცელი განმარტებების მიცემა არ დასჭირდება. იაკობას ბოლოდროინდელი წერილები დამაჯერებლად ამტკიცებენ, რომ ქალი მზად არის დაშორებისთვის და თავადაც ეს სურს.

ჩაიცვა თუ არა, პერი მაშინვე მაგიდას მიუჯდა და საწერი მოწყობილობა ამოალაგა. ყოველივე მოფიქრებულის ქაღალდზე გამოხატვა არ აღმოჩნდა მაინცდამაინც ადვილი. იმის თაობაზე, თუ როგორ მოიპოვა ღმერთი პერმა, როცა საქმე საქმეზე მიდგა, ვერ გაბედა დაწვრილებით მიწერა: ეს ახალი, მისთვის უჩვეულო გრძნობა იყო და წმიდად ინახავდა. პერმა მხოლოდ რამდენიმე ზერელე შენიშვნა გააკეთა იმაზე, რომ სხვადასხვა მსოფლმხედველობისანი ვართ, უამისოდ კი წარმოუდგენელია ბედნიერი ოჯახური ცხოვრებაო. პერი არწმუნებდა იაკობას, გულდამძიმებული, დიდი ბრძოლის შემდეგ ვწყვეტ ჩემთვის ესოდენ ძვირფას კავშირსო.

პერმა რამდენჯერმე გადაწერა წერილი, სანამ, ბოლოს და ბოლოს კმაყოფილი არ დარჩა. იმის ცდაში იყო, იაკობა დაუმსახურებლად არ დაემცირებინა, ამიტომ დიდი გულმოდგინებით არჩევდა თვითეულ სიტყვას და იმ შეცდომის დანაშაულს, ერთ დროს რომ შეჰყარა ისინი, მთლიანად თავის თავზე იღებდა.

დღისით, წერილის გაგზავნის შემდეგ, პერი ტალავერში ისვენებდა, ჰოფეჰერმეისტერის მეუღლეც იქ იჯდა საქარგავით ხელში. ქალმა სთხოვა, ძაფის შულო დამიკავეო, საუბარი ერთხანს უინტერესო საგნებს ეხებოდა. მაგრამ პერს უეცრად მოესურვა, ყველაფერი გულახდილად ეამბნა მისთვის და უთხრა, ჩემი და იაკობას ნიშნობა ჩაიშალაო.

ქალმა ბედნიერება უსურვა პერს და უთხრა, ყოველთვის მოველოდი ამასო.

— ახლა რას აპირებთ? — ჰკითხა მან ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ. — ამით ხომ თქვენ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, უარს ამბობთ კარგა დიდ თანხაზე?

პერმა უპასუხა, ეს გარემოება უდაოდ გავლენას იქონიებს ჩემს მდგომარეობაზე და მაიძულებს ცხოვრების ნირი შეეიცვალოო. კერძოდ, გადავწყვიტე ცოტა ხნით მაინც გადავდო ამერიკაში გამგზავრებაო.

— ძალიან გონივრულია თქვენის მხრივ, — უთხრა ჰოფეჰერმეისტერის მეუღლემ. — ამ გამგზავრებით არასოდეს არ ვიყავი მაინცდამაინც აღფრთოვანებული. საკმაოდ ბევრი იხეტიალეთ ბოლო წლებში. იცით რა მინდოდა შემომთავაზებინა? თქვენ ხომ ჩემს ქმარს ესაუბრეთ სარწყავი სისტემის გარდაქმნებზე, იმის თაობაზე, რომ მდინარე ახალ კალაპოტში გადავუშვათ, თუ რა ვიცი, როგორ ეწოდება ამას თქვენებურად... რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ჩემი ქმარი ძალიან

დაინტერესდა თქვენი აზრით, მეც. პირადად შესაძლებლად მომეჩვენა მისი განხორციელება და რაკი ეს ასეა, იქნებ თქვენთვის ღირდეს, აქ დამკვიდრდეთ და საალმშენებლო საქმეებს უხელმძღვანელოთ, სანამ თქვენთვის უფრო მეტად შესაფერისი რამ მოიძებნება. ხომ .მოგწონთ აქ ყოფნა, თანაც აქ გყავთ... მეგობრები. ისინი მოხარულნი იქნებიან, თუ კერსხოლმში დიდხანს იცხოვრებთ.

პერს თვალები გაუბრწყინდა. ეს სიტყვები ისე გაიგო, თითქოს ჰოფეჰერმეისტერის მეუღლეს უნებლიად წამოსცდენოდეს ნართაული ინგერის გრძნობების შესახებ მისდამი. ინგერი ხომ ყველაფერს უზიარებდა ამ ქალს და ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე ამ საუბარს არ წამოიწყებდა, თუ დარწმუნებული იქნებოდა, რომ ინგერს პერთან შეხვედრა აღარ უნდოდა.

საერთოდაც ჰოფეჰერმეისტერის მეუღლის წინადადება მას მოეწონა. სწორედ ასეთი განმარტოებული ცხოვრება უნდოდა ახლა, რათა წონასწორობა აღედგინა. ცოტაოდენ ფულს თუ იშოვნიდა, არც ეს იქნებოდა. მისთვის დიდი ცოდვა. პატიოსნების საკითხი იყო, რომ მალე გაესტუმრებინა ფილიპ სალამონის და ივენის ვალი.

— თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, — განაგრძობდა ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე, — ამაზე დღესვე მოველაპარაკები ჩემს ქმარს. თქვენთვის უკეთესია არაფერში არ ჩაერიოთ, სანამ დაინტერესებული მხარეები. არ შეთანხმდებიან და ამიტომაც, შეგიძლიათ მანამ დამშვიდებით აარიდოთ საქმეს თავი. ვიმედოვნებ, უთანხმოებანი ძალიან მალე მოწესრიგდება და მაშინ ჩვენ ხელახლა გიხილავთ.

პერმა გადაწყვიტა მეორე დღეს გამგზავრებულიყო.

პირდაპირ კოპენჰაგენში კი არ აპირებდა წასვლას, უნდოდა გზად თავის სამშობლოში შეევლო და, ახალი ცხოვრების დაწყების წინ, თავყვანი ეცა ძვირფასი საფლავებისთვის, რათა საკუთარი თავისთვის დაემტკიცებინა, რომ მისი მოქცევა ნამდვილად გულწრფელი იყო. პერმა მიიღო გადაწყვეტილება სხვა საკითხზედაც, ამ ბოლო დროს რომ აინტერესებდა. მეტად საწყენი კი იყო, მაგრამ აქამდე ნამდვილი დიპლომი არ ჰქონდა. კარგად ახსოვდა, მშობლებს ყველაზე მეტად სწორედ ის სწყინდათ, რომ მან განათლება არ დაასრულა. ყველა, ვისაც კი გამოელაპარაკებოდა, როგორც კი გაიგებდნენ, ინჟინერიაო, მაშინვე იმას ეკითხებოდნენ, პოლიტექნიკური ინსტიტუტი თუ დაამთავრეო. ახლა თავადაც შეიგნო, რომ ოფიციალური ატესტაციის უქონლად გაუ-

ჭირდებოდა მუდმივი და კარგხელფასიანი ადგილის შოვნა, რომ შეს-ძლებოდა მშვიდად განეგრძო თავისი ძიებანი. განსაკუთრებით ახლა, როცა მის პიროვნებას სალამონის მილიონების სინათლის ანარეკლი აღარ აშუქებს, ვეღარ შეელევა იმ რესპექტაბელობას, დიპლომის ქონა რომ იძლევა.

ხელიდან გაშვებულის რაც შეიძლება მალე ანაზღაურების სურვილით პერმა გადაწყვიტა ჩაებარებინა გამოცდები მიწისმზომელობის პროფესიაზე. ან, უფრო სწორად, დამატებით ჩაებარებინა გამოცდა, რაც საჭირო იყო დაუმთავრებელი პოლიტექნიკური განათლების მქონე ადამიანისთვის, რათა მიწათმოწყობის საოლქო ინსპექტორის ადგილზე დაენიშნათ. მთელ მომზადებას, თუ როგორც საჭიროა ისე იმუშავებს, ნახევარ წელზე მეტი არ დასჭირდება, ხოლო საარსებო სახსრები შეიძ-ლება ან ისესხოს, ან ავანსის სახით ხასელაგერისგან აიღოს, ან კიდევ ვინმე სხვა საქმოსნისგან, ვინც მისი პროექტის განხორციელებით არის დაინტერესებული.

ნასადილევს პერმა განიზრახა დიდხანს ესეირნა, რათა გამოთხოვებო-და ამ ადგილებს. უკვე რამდენიმე დღეა სიცხის ბუღი იდგა და ჭექა-ქუხილს ელოდნენ. ცა ღრუბლებით იყო დაფარული, ჩრდილო-დასავ-ლეთით შავ ღრუბლებს შორის მზის მეწამული ბურთი ენთო, თითქოს სიბნელეში აკვამლებული სანთელი ღვენთავდა.

ბორცვის მწვერვალზე, საიდანაც ბესტრუპის ეკლესია და პასტორის ბაღი მოჩანდა, პერს წვიმამ მოუსწრო. რამდენიმე მძიმე მსხვილი წვე-თი დაეცა მის ქუდს. პერმა თავი ასწია. ლურჯმა ელვამ წამით გახია ღრუბლების ფარდა და მიწა შეაზანზარა. იმავ წუთში პერს წყლის ნიაღვარი დაესხა თავს. გაქცევას აზრი არ ჰქონდა: პერი ძალიან შორს იყო წამოსული კერსხოლმიდან. ამიტომაც გადაწყვიტა დამალულიყო ღია ფარდულში, წინა კედელი რომ არ ჰქონდა, და სადაც თიბვის დროს თივას თუ მიხვეტავდნენ ხოლმე. პერი ქარმა გააქროლა და ფარდულს სწორედ იმ წამს მიაღწია, როცა კვლავ ისე დაიქუხა, კინაღამ დაყრუვ-და.

თურმე მარტო პერი როდი ეძებდა აქ თავშესაფარს. ფარდულის ბინდბუნდში მან გაარჩია მაღალი გამხდარი კაცი, გრძელკალთებიანი რუხი ფერის სერთუკი ეცვა და ძველმოდური ფართოფარფლებიანი შლიაპა ეხურა. ეს კაცი პასტორი ფიალტრინგი გახლდათ.

პერი დაბნეულად მიესალმა, მერე კი რამდენიმე სიტყვა უთხრეს

ერთმანეთს ჭექა-ქუხილის თაობაზე. პასტორს აშკარად ეტყობოდა, სულ არ გახარებია ეს შეხვედრა. ოდნავ მიბრუნდა, ნიკაპზე ხელი ჩამოისვა — ასე იქცევა უნებლიედ კაცი, რომელსაც რცხვენია, პირგაუპარსავი რომ არის. მართლაც, როცა პერმა სიბნელეს თვალი შეაჩვია, შენიშნა, რომ პასტორს ნიკაპი და ლოყები სქელი ჯაგრით დაფარვოდა და საერთოდაც ყველასაგან მიტოვებულ და გაველურებულ კაცს ჰგავდა. მაგრამ ყველაზე მეტად პერი ფიალტრინგის თავმა გააოცა: თავზე მოხვეული ჰქონდა შავი აბრეშუმის ფულარი, რომლის ბოლოებიც შლიაპის ფარფლებზე ეკიდა. ამის გამოც ძალიან რცხვენოდა ალბათ, ყოველ შემთხვევაში, მან მხოლოდ ოდნავ ასწია ქუდი პერთან მისალმებისას, თუმცა სხვაფრივ მეტისმეტად თავაზიანად ეჭირა თავი.

დასავლეთით კვლავ ელვამ გააპო ცა და ხელახალა ძლიერმა ქუხილმა შეარყია მიწა.

— ვშიშობ, რომ სადღაც ბესტრუპის მახლობლად დაეცა მეხი, — აღელდა პერი.

— როგორც ვხედავ, მთლად უცხო არა ხართ აქ, — მიუგო პასტორმა.

— დიახ უკვე რამდენიმე კვირაა აქ ვცხოვრობ.

— მითხარით, ვცდები, თუ თქვენ ნამდვილად იყავით ერთხელ ბერუპის ეკლესიაში?

ახლა კი პერი გამოეცნაურა და უამბო, რომ კერსხოლმში სტუმრად არის ჰოფეჰერმეისტერის მეუღლესთან.

— მგონი, რაღაც გამიგონია თქვენზე. თქვენ ხომ ინჟინერი ხართ, მართალს არ ვამბობ?

პერმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— დიახ, ჩვენ ისეთ დროში ვართ, როცა ცხოვრების მეპატრონეებად ტექნიკის ადამიანები ხდებიან, ანუ, თავისუფლად თუ ვთარგმნით, ყველაფრის ოსტატები, — ხელახლა წამოიწყო ფიალტრინგმა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ. — პირდაპირ შიში აგიტანს კაცს, როცა ხედავ, როგორ აცლიან ჩვენს პლანეტას გემები და მატარებლები ყოველგვარ მნიშვნელობას ჩვენს საკუთარ თვალში. მანძილი ქვეყნებს შორის თანდათან უფრო და უფრო მცირდება, ხოლო ერთ მშვენიერ დღეს ის, ალბათ, საერთოდ გაქრება.

— ადვილი შესაძლებელია ასეც მოხდეს.

— იქნებ დადგეს ისეთი დღე, როცა მანქანები დაგვაკავშირებენ

თვარესთან და ვარსკვლავებთან. ფიზიკის თვალსაზრისით ეს სავსე-
ით დასაშვებია და მაშინ ჩვენ ისევე კარგად გვეცოდინება სამყაროს
აიდუმლოებანი, როგორც ის, თუ რა გვიდევს ჯიბეში. მაგრამ აი, მან-
ილი ცხვირიდან პირამდე კი უცვლელი დარჩება, აქ ადამიანი
ერაფერს გააწყობს, — დაუმატა პასტორმა ცოტა ხნის სიჩუმის
ემდეგ.

პერს უნებლიედ გაეცინა. მას უეცრად შეებრალა პასტორი, რად-
ან ის აშკარად არ იყო გონებაზე.

ხელახლა ილაპარაკეს ამინდზე, იმაზე, თუ რა უეცრად ატყდა
ექა-ქუხილი, ბარომეტრის მაჩვენებლებზე და ამის მსგავს ამბებზე.
ოდესაც ეს თემა ამოიწურა, ხოლო წვიმამ მაინც არ გადაიღო, პას-
ორმა ხელახალა ჩამოაგდო სიტყვა ტექნიკის ბატონობაზე ჩვენს დრო-
ი.

— აქ ერთ დროს რკინიგზის გაყვანას ფიქრობდნენ. ჩვენს დროში
კუდი არ იქნებოდა, თვითეულ ეზოს რომ რკინიგზის შტო უდგებო-
ეს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეს გეგმა დღემდე არ დავიწყე-
ია.

პერმა მოკლედ უპასუხა, მიმოსვლის გზების ყოველმხრივი განვი-
არება ჩვენი დროის სასიცოცხლო მნიშვნელობის პირობაა.

პასტორი ჩაფიქრდა. კვლავ სადღაც განზე, წვიმის ირიბი ნაკადის-
ენ იყურებოდა.

— სასიცოცხლო მნიშვნელობის? — გაიმეორა მან ღიმილით. — რა
ითვლება ახლა არასასიცოცხლო მნიშვნელობისად? ექიმი და ინჟინერი,
ასწავლებლები და სამხედროები — თითოეული თავის აზრს იცავს. ნეტა
აპოპლექსიური აგებულების ადამიანების ხვედრი კი არ გვერგოს და.
ისინი ხომ, როგორც ცნობილია, სისხლჭარბობით კვდებიან.

— უშუალოდ დანიელებს ძნელად თუ ემუქრება ასეთი საშიშროე-
ბა. ჯერ ის უნდა ავინაზღაუროთ, რაც სამოცდაოთხში დავკარგეთ.

— ანაზღაურება, — გააჭიანურა პასტორმა სიტყვა ისე, კვლავ არ
ეცქერდა პერს და მის თვალებში ლურჯმა ცეცხლმა იელვა იმ ელვის
ათინათივით, ჯერ რომ ისევ ავლებდა კვალს ჰორიზონტის დასავლეთით.

— მე კი მგონია, დღემდე ის სულიერი ძალები გვკვებავენ, ხალხში
ებედურების წლებში რომ წარმოიშვებიან. იყო წამი, როცა
თითქმის ყველამ შევიგნეთ, რომ გარდა ღვთის წყალობისა, ქვეყნად
არაფერი არ არის სასიცოცხლო მნიშვნელობისა.

პერმა დარცხვენით უპასუხა ძველი თქმულებით: „ღმერთის იმედი გქონდეს, მაგრამ ნურც თავად დაგემართება მარცხიო“. ამაზე პასტორმა მხოლოდ თავი გადაიქნია.

— მაგრამ ღვთის დახმარებას ვერ უწოდებ დახმარებას სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით.

— კი მაგრამ, ხომ დავაღწიეთ მაშინ თავი დაშლას?

— მერე ვინ თქვა, რომ ღმერთმა გვიშველა? თუ შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ მომხდარ ამბავში თითქოს ეშმაკის ხელი უნდა ერიოს.

პერმა გადაწყვიტა, არ ღირს კამათი ასეთ გიჟთანო. მაგრამ პასტორის მიერ ახალი დროის გაკიცხვა მას ეხებოდა, როგორც ამ დროის წარმომადგენელს. ამიტომ პერმა საკუთარ მოვალეობად ჩათვალა, თავი დაეცვა. მან თქვა, ღვთიურმა შიშმა, დანიის ხალხს უბედურების დროს რომ შველოდა და სუსტებს გმირებად აქცევდა (ამ დროს პერს კვლავ გული აუძგერა დედის მოგონებამ), ამ შიშმა არ მიატოვა ხალხი მშვიდობის დღეებშიც და სწორედ მას უნდა ვუმადლოდეთ ქვეყნის აღორძინებას — ყოველ შემთხვევაში, დედაქალაქს გარეთო.

მაგრამ პასტორმა მოურიდებლად შეაწყვეტინა პერს სიტყვა და შენიშნა, სიტყვები „ღვთიური შიში“ საერთოდ არ ესადაგება ჩვენი დროის ქრისტიანებს, რადგან ახლა მიღებულია ღმერთისთვის ძმაბიუურად ხელის გაყრა, ანდა, სულაც ბავშვური გატაცებით სიყვარულით კისერზე ჩამოკიდებაო. აშკარად ბლომბერგს გულისხმობდა, როცა გესლიანად ახსენა „ვარტის სამლოცველოს მყუდრო ქრისტიანობა“, ის ქრისტიანობა, მალე ქვეყნის ჭეშმარიტ რელიგიად რომ გადაიქცევა, ვინაიდან თავისი, თითქოს ბავშვების ოთახში მოსმენილი ლექსიკონით, თავისი პოეტური ჩიფჩიფით სწორედ ისეთი ხალხისთვის არის შექმნილი, როგორიც დანიელები არიან, ხალხისთვის, რელიგიაშიც კი იდილიას რომ დაეძებს და რწმენის უკმარისობას ლირიკით ანაზღაურებს.

— აი, თქვენ ომის წლებზე ლაპარაკობდით. მაგრამ ძალინ ახალგაზრდა ხართ იმისთვის, რომ ეს დრო გახსოვდეთ. ასე რომ არ იყოს, ზოგჯერ დაუბრუნებელ წარსულს, დიად გამოცდათა წელს სინანულის ოხვრით მოიგონებდით. ვინც ომი გადაიტანა, ვინც მოწმე იყო დიადი მამაცობის, თავდადებული თავგანწირვის, ადამიანების ყოველგვარი მსხვერპლისათვის, ყოველგვარი ტანჯვისათვის მზადყოფნის — ყველა თვისების, საერთო უბედურების დროს სულიერად სუსტებსაც რომ

აღმოაჩნდებოდათ ხოლმე — მან გაიგო... ან უბრალოდ იგრძნო, როგორ შეიძლება ამაღლდეს ხალხის სული. შეიძლება მხოლოდ ის ინანოს კაცმა, რომ მაშინ ჯერ არ იყო დამთავრებული ეროვნული ენის მოსპობა. ახლა მხოლოდ ისღა დაგვრჩენია ვცადოთ, როდის მოსპობს ღმერთი თავისი ღვთიური მოწყალებით ეროვნულ საზღვრებს გერმანელი რასის შიგნით და ჩვენც თანდათანობით მთლად ავითქვიფეთ მასში, ვინაიდან ერის ბედი ცალკეული ადამიანის ბედის მსგავსია: მისი სული თავისუფლებას მხოლოდ სიკვდილის შემდეგ მოიპოვებს.

იყო დრო, როცა რჩეულ ხალხად ბერძნები ითვლებოდნენ და ღმერთი მათი პირით ღაღადებდა. შემდეგ ჩვენ ვეძებდით ღვთიურ ზეშთაგონებას იზრაელის მწყემსური ტომების უბრალო სიბრძნეში. დადგება დრო, როცა ჩვენ, ჩრდილო-გერმანელი რასა, ჩვენი ლუთერანული ბარბაროსობით მარადიულობის საფარველს შევეხებით.

პერმა გაკვირვებით შეხედა და როცა პასტორმა ეს მზერა დაიჭირა, ნახევარ სიტყვაზე შეწყვიტა ლაპარაკი, თითქოს შეეშინდა, ან უბრალოდ ინანა, ასეთი გულახდილობა რად გამოვიჩინეო. ის დადუმდა, თუმცა წვიმას კვლავ არ გადაეღო, საჩქაროდ დაუკრა თავი პერს და ფეხაჩქარებით წავიდა.

ვახშამზე პერმა, ჯირ კიდევ ამ შეხვედრის შთაბეჭდილების ქვეშ რომ იყო, ჰოფეჰერმეისტერის მეუღლეს დაწვრილებით გამოჰკითხა ფიალტრინგის ამბავი. გარდა ყველაფრისა, პერს ისიც ძალიან აინტერესებდა, რატომ ჰქონდა პასტორს თავი შეხვეული.

— კისრის საშინელი ტკივილი აქვს, — აუხსნა ჰოფეჰერმეისტერის მეუღლემ. — გარდა ამისა, დარწმუნებულია, ტვინში სიმსივნე მაქვსო, რაც არ უნდა იყოს, მაინც საცოდავი კაცია.

თავი XXII

იაკობა ჩაიკეტა თავის ოთახში. სეკრეტერთან იჯდა, თავით ხელს დაყრდნობოდა და ჩაფიქრებული მისჩერებოდა, როგორ ირხეოდა ქარისაგან ხეების კენწეროები. დიდრონი თვალები აღგზნებით უელვარებდა, მკერდი მძაფრად ეწეოდა მაღლა. წინ პერის წერილი ედო (დილის ფოსტით მოიტანეს) — კალიგრაფიული ხელწერით ოთხ გვერდზე ფაქიზად დაწერილი უსტარი, სუფთაწერის ხელოვნების შედევრი.

იაკობამ წერილი სულ ორჯერ წაიკითხა, მაგრამ უკვე ზეპირად ისწავლა.

იაკობამ არ იცოდა, რა უფრო მეტად შესცოდებოდა: საოცარი ძალის დატანება თავზე, აშკარად რომ დაუხარჯავს პერს ამ ფერად-ფერადი გამოთქმების შერჩევისას თუ თვალთმაქცობა, რის შემწეობითაც ყმაწვილი კაცი ცდილობდა, როგორც იაკობასთვის, ისევე საკუთარი თავისთვისაც დაეფარა მათი განხეთქილების ჭეშმარიტი მიზეზი. ხომ უნდა შეგეძლოს, უკანასკნელ წუთამდე გამოავლინო ასეთი უნებისყოფობა, სიმართლისთვის თვალგასწორების ასეთი უცოდინრობა! რას არ გაიღებდა იაკობა, ოღონდ პერი ახლა მაინც, ერთად-ერთხელ ყოფილიყო ბოლომდე პატიოსანი და გულახდილად ეღიარებინა, რომ სხვა შეუყვარდა. მაგრამ არა! ჩანს ეშმაკური გაქნილობა მაგრად აქვს სისხლში გამჯდარი. აბა, რას იზამ, როცა კაცს დღის სინათლისა ეშინია. ეს მემკვიდრეობით აქვს მიღებული სიდენიუსებისგან. ის არ სცნობს ბუნებრივ გრძნობებს შეუფერადებელი სახით. წინათ კაცობრიობის მომავალზე და მშობლიური მხარის აყვავებაზე ზრუნვა ფარავდა ყველაზე ჩვეულებრივ თავმოთნეობას, ახლა რელიგიამ უნდა შენიღბოს სულმოკლეობა და სამშობლოზე ნაღველის მსგავსი რაღაც საცოდაობა.

მაგრამ, კმარა! იაკობა ადგა და ხელები თავზე შემოიწყო. რა აზრი აქვს უნაყოფო ფიქრით თავის დატანჯვას!

ისედაც დიდ ხანს ფიქრობდა მასზე — დროა დაისვენოს. იაკობას ფიქრები აღარ უნდა დაყიალებდნენ იმ დამყაყებულ ჰაერში, რომლითაც პერი სუნთქავს. იაკობა თავისუფალია. გულის ყველა მღელვარებას შეიძლება ჯვარი დაესვას, საცოდავი უფერული რომანი დამთავრდა.

აი, მხოლოდ ისღა დარჩა, რომ მშობლებს გაანდოს და მერე შორს წავიდეს აქედან! დაყოვნება არ შეიძლება. როგორც ჩანს, პერი კოპენჰაგენში აპირებს ჩამოსვლას თავის საქმეების მოსაწესრიგებლად. იმის გაფიქრებისაც კი ეშინია, თუ რა დიდ რისკსა სწევს, იქნებ სადმე, ქუჩაში შეეჩეხოს. გარდა ამისა, დღითი დღე უფრო და უფრო უჭირს თავისი მდგომარეობის დაფარვა. ადვილი შესაძლებელია, დედა ხვდებოდეს რაღაცას, იაკობას კი ურჩევნია ახსნა-განმარტებებს თავი აარიდოს. ყოველ შემთხვევაში, ახლა ასე სურს. ამიტომაც აღარ უნდა გადადოს გამგზავრება. ყველაფერი უკვე მზად აქვს გზისთვის, გაჩერება აღარ ღირს.

იაკობას გაახსენდა, რომ სწორედ ამ დროს უფრო ადვილად ნახავდა

დედას მარტო. როზალია და პატარები ბანაობენ, ხოლო მამა და ივენი, დიდი ხანია, ქალაქში წავიდნენ.

დედა სასტუმრო ოთახში საკერავ მანქანას უჯდა, მთასავით ერტყა გარს შემოსატეხი საზეწრე ტილო.

— სულ საქმიანობ, დედიკო, — დაიწყო იაკობამ და შუბლზე აკოცა. — ხან ანგარიშებს უზიხარ, ხან კიდევ რას არ მოიგონებ.

მისმა ტონმა დედას ყურადღება მიაპყრობინა. მაგრამ იაკობას მან არაფერი აგრძნობინა, ხელი ლოყაზე მოუთათუნა და უთხრა:

— კი, ჩემო გოგონა. ჩემს დროს მუშაობა იყო ერთადერთი საშუალება, ცხოვრების გატარებაში რომ გვეხმარებოდა. თუმცა სხვა საშუალება, ჩემის აზრით, დღემდე არ მოუგონიათ.

ფრუ ლეამ ხელახლად დაიწყო მანქანის ტრიალი.

ფრუ ლეა ამ ბოლო დროს მუშაობისას სათვალეს ხმარობდა და, საერთოდ, ამ ბოლო წელს ძალიან მოტყდა.

იაკობამ მდუმარედ გაიარა ოთახში, აიღო მაგიდიდან გაზეთი, მერე ისევ უკან დადო, მერე კი დედის მახლობლად სავარძელში ჩაჯდა.

— დედა, — უთხრა მან, — ერთხელ გითხარი, იქნებ კიდევ მომესურვოს ბრესლავში რებეკასთან სტუმრობა-მეთქი და აი, სწორედ ახლა მოვინდა. მაგრამ წელს ძალიან ადრე გამითავდა ფული. ხომ ვერ სთხოვდი მამას, დაემატებინა ჩემთვის ცოტა თანხა?

— რატომაც არა, — ყოყმანით მიუგო დედამ. — როდის ფიქრობ წასვლას?

— რაც შეიძლება მალე. თუნდაც ხვალ.

დედამ მანქანა შეაჩერა და შვილს თვალებში შეხედა.

— მაშასადამე, მარტო წახვალ?

— დიახ.

— მერე, ქორწილი?

იაკობამ თავი დახარა. ვერ გაუძლო დედის მზერას — სათვალის შუშაში ძალზე დიდი და შავი თვალები მოუჩანდა მას.

— იცი რა, — იაკობა დაიბნა და თავის ხელებს დააშტერდა, — იცი რა, რახან სიტყვამ მოიტანა, შემიძლია გაცნობო, რომ ჩემი ნიშნობა ჩაიშალა.

ხანგრძლივი დუმილი გამეფდა.

— აი თურმე რატომ იყო, რომ ეს სამი დღეა, ახლოს ვერ მოგეკარებოდა კაცი!

— მართლა ასე იყო? მაშინ მაპატიე, დედა.

ფრუ ლეა ადგა, იაკობასთან მივიდა, სახეზე ხელები მოკიდა და თავი მაღლა ააწევინა.

— სხვა საიდუმლო ხომ არა გაქვს, შვილიკო?

— ამაზე არ უნდა მკითხო, — მიუგო თვალცრემლიანმა იაკობამ. — შენ ხომ თავად მასწავლე, სიყვარულის ამბები არ უნდა მოყვეო.

დედა, ცოტა არ იყოს, დაიბნა, მერე ხელი გაუშვა იაკობას და წავიდა.

— რამდენი დაგჭირდება ფული? — ფრუ ლეა ოთახის მეორე ბოლოში მივიდა და მაგიდაზე რაღაცის გადალაგება დაიწყო. იაკობას სიტყვების შემდეგ თითქოს უჭირდა ერთ ადგილას ჯდომა.

იაკობამ საკმაოდ დიდი თანხა დაასახელა. დედამ კვლავ შეხედა.

— მაშასადამე, დიდი ხნით მიდიხარ?

— დიახ, ხომ გესმის, რომ ახლა შინ ყოფნა მიჭირს. ჩაშლილი ნიშნობა მუდამ ჭორებს იწვევს ხოლმე. ეწუხვარ, რომ ამდენ უსიამოვნებას გაყენებთ შენც და მამასაც, მაგრამ, თუ შეიძლება მაპატიეთ.

— ჩვენ შენი ნიშნობა მაინცდამაინც არასოდეს არ გვახარებდა. მაგრამ გვეგონა... — ფრუ ლეამ შენიშნა შვილის მოუთმენლობა და ნახევარ სიტყვაზე შეწყვიტა ლაპარაკი. ამ წუთიდან მხოლოდ წმინდა სამეურნეო საკითხებზე ლაპარაკობდნენ — რა უნდა წაეღო გზაში იაკობას და რა არ წაეღო.

როგორც კი თავის ოთახში დაბრუნდა, იაკობა მაშინვე შეუდგა ჩემოდანში ბარგის ჩალაგებას და იმის შენახვას, რისი თან წაღებაც არ უნდოდა. თუმცა, მზადება უამისოდაც თითქმის მორჩა.

იაკობა უკვე დიდი ხანია ემზადებოდა გასამგზავრებლად, იქნებ უკანასკნელად გასამგზავრებლადაც მშობლიური სახლიდან. მან ფაქიზად დააწყო მეგობრების წერილები, შეკრა და დალუქა, ზემოდან გამომგზავნების სახელები დააწერა, რომ არ აერიათ, თუ მართლაც ვეღარ დაბრუნდებოდა შინ. ასევე გააკეთა პერის წერილებზე. როცა შეკვრას წააწერა „სიდენიუსი“, მიუხედავად იმისა, რომ გუნებაზე არ იყო — გაეღიმა. ჭეშმარიტად, ღმერთმა იხსნა: აღარ დასჭირდება ამ ბარბაროსული გვარის ტარება.

საღამოობამდე ცოტა ხნით ადრე იაკობას მამასთან უხმეს, მამა კარებჩაკეტილ ბიბლიოთეკაში უცდიდა. დაინახა თუ არა იაკობა, შუბლზე

აკოცა და მაშინვე საქმის ფინანსურ მხარეზე დაუწყო ლაპარაკი. პერი არც უხსენებია.

— როგორ ფიქრობ, რამდენი დაგჭირდება? — ჰკითხა მან და ჯიბიდან უბის წიგნაკი ამოიღო.

იაკობამ გაცილებით ნაკლები თანხა დაუსახელა, ვიდრე დედასთან საუბარში ახსენა. შეეშინდა, მამაც დამიწყებს გამოკითხვას, დიდი ხნით მიდიხარ თუ არაო.

მაგრამ მამას არაფერი უკითხავს, მან უხმოდ ჩაინიშნა უბის წიგნაკში თანხა, ორჯერ მეტი ჩაიწერა, ვიდრე იაკობამ უთხრა.

— ხვალ გამზადებულ აკრედიტივს მოგიტან.

სადილზე იაკობა, რაც შეიძლება ცდილობდა, ძალიან გამოცოცხლებული გამოჩენილიყო, თუმცა სინამდვილეში გაცილებით მხიარული და დამშვიდებული გახლდათ, ვიდრე ამ ბოლო დროს. გაურკვევლობის სულის შემხუთავი ნისლი გაიფანტა. ამასთან ერთად რომ შესძლებოდა თავიდან ამოეღო იმის ფიქრი, სიკვდილის შესახვედრად მივდივარო, თითქმის ბედნიერი იქნებოდა.

მაგრამ სიკვდილზე ფიქრმა აიტანა მთელი მისი არსება. შიშისაგან სისხლი ეყინებოდა ძარღვებში. ამიტომაც ვერ გადაწყვიტა დედის წინაშე რაიმეს აღიარება. დედაც აღელდებოდა. იაკობას იმედი ჰქონდა, თავისი მოჩვენებითი მხიარულებით მისი ეჭვები გაექარვებინა.

შშობლებს ძალიან შშვიდად ეჭირათ თავი. სამაგიეროდ ივენი მთლად მკვდარი იყო. ჩვეულებრივად ივენი ყოველ ლუკმას გრძელ ტირადას მოაყოლებდა ხოლმე, ახლა კი სადილზე კრინტიც არ დაუძრავს.

ნასადილევს ივენი მაშინვე ბიბლიოთეკაში გავიდა. მამა უკვე იქ იჯდა და რაღაცას წერდა.

— ხელს ხომ არ შეგიშლი?

— არა, სწორედ რომ დროზე მოხვედი. სწორედ ახლა მინდოდა დამეძახა შენთვის. რაიმე უსიამოვნება ხომ არ შეგხვედრია?

— მეც ის მაწუხებს, რაც შენ. სიდენიუსის წერილი მივიღე, სულ რამდენიმე სიტყვა მოუწერია, — შენთან თავის ფინანსიურ ურთიერთობის შესახებ მწერს. მთხოვს გაცნობო, რომ აპირებს ვალი უკანასკნელ ერემდე დაგიბრუნოს და მხოლოდ იმას იხვეწება, ცოტა მადროვეთო.

ფილიპ სალამონმა არაფერი უპასუხა. ვერ აიძულა თავი, პერის სახელი წარმოეთქვა.

— არა, ამიტომ არ გეძახდი, — უთხრა მან ივენს და მაგიდიდან ახლახანს დაწერილი ბარათი აიღო.

— ძალიან გთხოვთ, წაიღო ეს და დაუყოვნებლივ წახვიდე ქალაქში. ეცადე, რაც შეიძლება მალე დაბეჭდონ. როგორც ხედავ, ეს არის შეტყობინება ჩვენი ნაცნობებისთვის. გზაში იანგარიშე, რამდენი ეგზემპლარი დაგჭირდება. მაგრამ ნუ დააყოვნებ. ხვალ საღამოს მაინც უნდა დავგზავნოთ ფოსტით.

აი რა ეწერა ბარათში: „ფილიპ სალამონი და მისი მეუღლე გატყობინებთ, რომ ჩაიშალა ნიშნობა მათ ქალიშვილ იაკობასა და ინჟინერ ბატონ, პ. სიდენიუსს შორის“.

სწორედ იმ საღამოს, ეს ამბავი რომ სალამონების ნაცნობთა ფართო წრეში გავრცელდა, პერი, მშობლიურ ქალაქში ერთი დღე და ღამის სტუმრობის შემდეგ, კოპენჰაგენში გაემგზავრა.

სამშობლოში ის ვერავინ იცნო, არც თავად მოუძებნია არავინ და მთელი დრო სევდიან ფიქრებში გაატარა. ამჯერად ქალაქი პერს სრულიადაც არ შეხვდა ისე, როგორც შამის სიკვდილის დღეს. მაშინ ამ პროვინციული ართვალი ქალაქის მყუდრო ქუჩები თუ უბადრუკი დუქნები პერს თითქოს სასაცილოდ ეჩვენებოდა და თანაც სიბრალულს აღუძრავდა. იმ დღის შემდეგ განვლილი წლების განმავლობაში პერმა შეიგნო, რომ მისი სულიერი კავშირი მშობლიურ ქალაქთან არასოდეს არ შეწყვეტილა და რაც უფრო მეტ ადგილს იკავებდა მის სულიერ ცხოვრებაში ბავშვობის მოგონებანი, გრძნობა, მშობლიური ადგილებისადმი რომ განიცდიდა, სალოცავ თაყვანისცემად ექცეოდა. ბერლინიდან და ტიროლიდან, რომიდან და კოპენჰაგენიდან ფიქრებით დედამიწის ამ კუთხეში ჩამოდიოდა სალოცავად, სადაც მისი ბედის უხილავი ძაფები ჯვარედინდებოდნენ, მერე გარბოდნენ და უსასრულობაში იკარგებოდნენ. მაღალ ბორცვებს შორის ჩაკარგული მდელოებით გარშემორტყმული პატარა ქალაქი მისთვის იქცა კარად, რომელშიც უნდა გაევლო გზას ყველა საგნისა და მოვლენის საწყისისაკენ.

პერმა მაინც კარგა ხანს იყოყმანა, ვიდრე ნაცნობ ადგილებს მოინახულებდა. ყველაზე მეტად სიდეჰადესთან მომავალი შეხვედრა აშინებდა, ამ ქუჩაზე მათი სახლი იდგა. მორჩილებისათვის გულწრფელად

მზადყოფნის მიუხედავად, წარსული ჯერ კიდევ ძალიან დიდად ბატონობდა პერის სულზე. თავიდან ვერ ამოეგდო სევდიანი მოგონებანი, ამ დიდ, ბნელ, ციხისკედლებიან შენობასთან რომ იყო დაკავშირებული. სასაფლაოზეც კი, მშობლიურ საფლავებთანაც, გული ჭეშმარიტი შამაშვილური მადლობის გრძნობით არ აღვსებია. მძიმე საფლავის ქვის დანახვისას, საზოგადოებამ რომ დაადგა მამის საფლავს, წინანდებურად კვლავ აუმბოხდა სული.

თუმცა პერი ახლა აღარავის ადანაშაულებდა იმაში, რომ ბავშვობიდან მის ცხოვრებას წარსულის ჩრდილები აბნელებდა, მაგრამ ტვინს დაჟინებით უხვრეტდა აზრი: რა კარგად შეიძლებოდა მოწყობილიყო ყველაფერი, დედა და მამა რომ ასე შებოჭილნი არ ყოფილიყვნენ თავიანთი დროის ცრუ რწმენებით რელიგიისა თუ სხვა საკითხებში. რამდენ შერცხვენას და სამარცხვინო დაცემას გადარჩებოდა, ბავშვობაშივე რომ შეეცნო ის ადამიანური სათნო აღქმა ღმერთისა, ახლა რომ გააღო მისი გული ადამიანთათვის მისაწვდომ გრძნობათაგან ამ უდიდეს გრძნობისათვის.

ყველაფერზე უარესი კი ის არის, რომ დანაკარგს ვეღარ დაიბრუნებს. მარტოობის და სულიერი სიღატაკის გრძნობა, ახლა რომ სტანჯავს, კუბოს ფიცრამდე არ მოსცილდება. დაე, მისი მომავალი აწი თუნდაც ბედნიერი იყოს, დაე, კიდევაც განხორციელდეს მშვენიერი ოცნება სიყვარულზე, ბესტრუპიდან რომ გამოჰყვა, სულ ერთია, გულის იმ კუთხეში, სადაც სხვები ნათელ მოგონებებს ინახავენ, მაინც სიცარიელე დარჩება. რადგან მხოლოდ ის არის ჭეშმარიტად ღატაკი, ვისაც მოგონებაც არ გააჩნია უღრუბლო ბავშვობაზე.

საბოლოოთ, პერი სასტუმროში რომ დაბრუნდა და ბუტერბროდებიან ყავას შეექცეოდა, მოულოდნელი ამბავი მოხდა.

ვახშამთან ერთად კელნერმა პერს გაზეთებიც მოუტანა, მათ შორის ერთი ადგილობრივი გაზეთიც ერია, რომლის სახელწოდება ბავშვობიდან ახსოვდა და ამიტომ გადაწყვიტა გადაეთვალიერებინა. განყოფილება „ამბები დედაქალაქიდან“ გაზეთის პირველ სვეტში თავის მკითხველებს ატყობინებდა კოპენჰაგენელთა ცხოვრებაში მომხდარ ბოლოდროინდელ მოვლენებს. აქ ეწერა სამეფო კარის ახალი ამბები, თეატრალური ქრონიკა, ჭორები ტივოლისა და ცირკის ცხოვრებიდან. ამ დომხალს შორის პერი წააწყდა წერილს „მაღალი საზოგადოების

ერთერთი წარმომადგენლის თვითმკვლელობის შესახებ, რაც დიდად გახმაურდა“.

დიდი მომავლის მქონე ახალგაზრდამ, გადამდგარმა კავალერიის ოფიცერმა, თავი მოიკლა ფრიად რომანტიკულ გარემოებაში. მას, ასე ეწერა გაზეთში, ვიღაც უყვარდა და დარწმუნებული იყო, რომ სიყვარულითვე პასუხობდნენ. მისი სიყვარულის საგანი ახალგაზრდა, ახლახან გათხოვილი, ებრაული ფინანსური არისტოკრატული ოჯახიდან გამოსული ქალია. ახალგაზრდამ გამოარკვია, რომ მისი იმედები ამაო იყო და პაემანიდან დაბრუნდა თუ არა, ტყვია იკრა შუბლში.

პერი ხან წითლდებოდა, ხან ყვითლდებოდა, ამას რომ კითხულობდა. თუმცა გაზეთი სახელებს არ ასახელებდა და პერსაც არაფერი სმენია კავალერისტ ივერსენის სიკვდილის შესახებ, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ ლაპარაკი მასზე და ნანიზე იყო... სწორედ იმ ნანიზე, ვისი შიშველი მკლავებიც სულ რამდენიმე კვირის წინ მის კისერზე იყო შემოხვეული! მან ყველაფერი ბოლომდე წაიკითხა, თუმცა დროდადრო ეჩვენებოდა, თითქოს ზურგზე ყინულივით ცივი გველი მიეკლაკნებოდა. გაზეთი მეტისმეტად დაწვრილებით აღწერდა თვითმკვლელობის ყოველ დეტალს. კეთილსინდისიერად შედგენილი წერილი არ ინდობდა თავის მკითხველს: ვრცლად და ხატოვნად აღწერდა ფურთხით მოსვრილ ჭუჭყიან იატაკს, რომელზეც ეგდო მკვდარი, სავარძელს, რომელზედაც ის გადაიტანეს, სუფრას, რომელსაც ტვინი მისხმოდა და დაეღაქა. თუმცა თვითმკვლელის წერილის შინაარსი მთლიანად არ იყო მოტანილი, მაგრამ ნართაულები ჭარბად ეწერა, რათა ბრბოს ცნობისმოყვარეობაც დაეკმაყოფილებინა და თანაც კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობაც არ დაერღვია, რასაც კანონი უზრუნველყოფს.

ამის შემდეგ პერს უკვე ლუკმა არ გადაუვიდა ყელში და თავის ნომერში დაბრუნდა. ბევრი იარა წინ და უკან ოთახში, მაგრამ მტანჯველი ფიქრები ვერ ამოიგდო თავიდან! თვალთ უბნელდებოდა იმის ფიქრზე, რომ კინალამ ამ ქალის მახეში გაება, რომ შეიძლებოდა ივერსენი კი არა, თავად გამხდარიყო ახლა სკანდალებისმოყვარულ მჯღაბნელთა მსხვერპლი, თუ არა...

დიახ, სწორედ რომ — თუ არა!

ამ სიტყვებზე პერი შეჩერდა, მისი სულის რომელიღაც კუნჭულის კარი გაიღო და სინათლის ნაკადმა, იქ რომ ჩაიღვარა, წარსულის მო-

ჩვენებითი, დავიწყებული სურათები გააშუქა. აი, პერი ხედავს თავის თავს იმ ღამით, როცა ფრუ ენგელჰარდის ლოგინიდან გაქცევით უშველა თავს აუტანელი ზიზღით მოცულმა იმ სიხარულისადმი, სინდისგარეცხილი ქალები რომ აჩუქებენ ხოლმე მამაკაცს. მოაგონდა სხვა შემთხვევაც უფრო შორეული წარსულიდან, როცა ის, ჯერ კიდევ ბიჭი, რიისაგერებთან მცხოვრებ პატარა მათხოვრის შავმა თვალებმა შეიტყუეს. მაშინაც გადამწყვეტ წუთში სირცხვილის გრძნობამ გადაარჩინა, გაფუჭებული გოგოს საქაგელმა სიტყვებმა და სხეულის თამაშმა რომ აღუძრა. და კიდევ ბევრჯერ, ბევრჯერ შეეძლო მას გამხდარიყო მანკისა და სიბილწის მსხვერპლი, თუ არა... დიახ. სულის სიღრმეში ცოდვის წინაშე ინსტინქტური ქვეცნობიერი შიში რომ არ ჰქონოდა. თუ თავის მშობლების, და განსაკუთრებით მამის — უძველესი პასტორის ჩამომავლის — მეშვეობით შეკრული არ ყოფილიყო ცხოვრების მხსნელ ძალებთან, თუმცა ამპარტავნობის გამო ამის უარყოფას ცდილობდა. სიდენიუსთა სულიერი მემკვიდრეობა, პერი მთელი თავისი ცხოვრების წყევლად რომ თვლიდა, სწორედ ის გადამრჩენი ავგაროზი, მადლის ის ნიშანი აღმოჩნდა, რომელმაც ფდუმალად შეიწყნარა პერი. სწორედ მას უნდა უმადლოდეს, რომ უფრო მეტი უბედურება არ დაატყდა თავს.

მაგრამ ეს თანდაყოლილი ნება თავისუფლებისა, თავის გადარჩენის ეს წყურვილი, ყველა რელიგიურ მოძღვრებისაგან დამოუკიდებლად რომ მოქმედებს, ხომ არ არის თვით ღმერთის სუნთქვა, ბიბლიური „წმიდა სული“, ქრისტიანული მფარველი ანგელოზი, უხილავად რომ მზრუნველობს მასზე, მუდამ იჭერდა მას უფსკრულის პირას და უჭნებლად გადაატანინა ყველა ცხოვრებისეული გამოცდა?

პერი წყნარ, უკაცრიელ შესახვევში გამავალ ფანჯარასთან დაჯდა. თავი გადაყო ფანჯარაში და ათვალიერებდა სახურავებს და თეთრი მილების გროვას, ჩამავალი მზის სხივები რომ ანათებდა. მხოლოდ ახლა გაუგო ბოლომდე საკუთარ თავს, მიხვდა, რაც ხდებოდა მის თავს ამ ბოლო დღეებში. პერმა უკვე კერსხოლეში იგრძნო თავისი თავი ქრისტიანად, მაგრამ იქ მან დაუნდობელი სინდისის წინაშე უფრო მოიხარა ქედი, ვიდრე გონებისა და გულის წინაშე. მხოლოდ ამ წამს შეიწყნარა ის რწმენამ, როგორც შემეცნების სინათლემ, ეჭვის ღრუბელთა გამრეკავმა. ხელზე თავდაყრდნობილი საღამოს ოქროსფერ-მეწამულ ცას

რომ უცქეროდა, პერის სულში დიდი სასწაული მოხდა; ეს სასწაული დიდი ხანია თანდათან მზადდებოდა, — მასში ახალი ადამიანი დაიბადა.

მაშასადამე, ის მაინც მემკვიდრე პრინცია! ყოფიერების გვირგვინი, მამა-შვილური ერთობა მუდმივ და უცვლელ ღმერთთან დაბადებიდანვე ნაბოძები აქვს; ყველა ამქვეყნიური ნამდვილი ფასეულობანი: გულის სიმშვიდე, გონების ჰარმონია, ცხოვრების სიხარული, სიკვდილის სიძულვილი — ყოველივე ეს მემკვიდრეობით ერგო.

დილით, როცა ხელახლა წავიდა სასაფლაოზე, წარსულის ჩრდილები უკვე აღარ უღობავდა გზას. სწორედ გულის იმ კუთხეში, მას რომ ცარიელი და გაუხარელი ეგონა, ახლა მემკვიდრეობითი სიმდიდრის ოქროს ქვიშრობები, რწმენის საუნჯენი ამობრწყინდნენ, ღვთის მოშიშმა პაპებმა რომ შეკრიბეს, მერე კი გულმოდგინედ გაუფრთხილდნენ, თაობიდან თაობას გადასცეს და გაჭირვების წლებში საკუთარი ნების ძალით გაამრავლეს.

პერი საფლავის გვერდით პატარა სკამზე დაჯდა. საფლავის ქვაზე ბრწყინავდა ოქროს ასოებით ამოკვეთილი მამის სახელი — „იოჰან სიდენიუსი". აგვისტოს მშვენიერი დილა იდგა, წყნარი და მზიანი. ის აქ სრულიად მარტო იყო. ვრცელ, მაღალი კედლებით შემოღობილ სასაფლაოზე კაცი არ ჰაჭანებდა.

ჰაერში ობობას ქსელის ძაფები გაჭიმულიყო — ნაგვიანევი ზაფხულის მაუწყებლები, მათ ვერცხლი შემოაწნეს ბუჩქებს და ხეებს, ყვავილის თითოეულ ჯამზე, თითოეულ ბალახზე ნამის მძიმე ოქროს წვეთი ეკიდა. ბებერი პირამიდული ალვის ხეების კენწეროებს ოდნავ აშრიალებდა ქარი. ფართო ხეივანში, ქვემოთ, თვით საფლავებთან, ფოთოლიც კი არ ირხეოდა. ისეთი სიჩუმე იდგა, თითქოს მარადიულობას წარმოეშვას იგი.

საათზე მეტ ხანს იჯდა პერი, არავინ აწუხებდა, მხიარული, საზეიმო განწყობა ჰქონდა, მთლიანად წაეღო დაშოშმინებისა და შინაგანი ხიმშვიდის აქამდე უცნობ გრძნობას. ინგერზე ფიქრიც კი ამ წუთებში უკანა პლანზე გადავიდა. სამაგიეროდ იაკობა მოაგონდა ბევრჯერ. ახლა, ხსნის გზა რომ იპოვა, არ შეეძლო მათზე არ ეწუხა, ვინც თავის განცდათა გამოსავალს ვერ ხედავს. თუმცა იაკობას იმედიც აღარ დარჩა. ის იმ ჯურის ხალხს ეკუთვნის, ვინც თავისი განდგომილება და უარყოფა სასიცოცხლო პრინციპად აქცია, მაგრამ გზას აცდენილი დანიელი ახალგაზრდობისთვის ხსნის საათი ახლოს არის. მასაც მოწყა-

ლებით მოხედავს იგივე ნათელი, მზიური მსოფლშეგრძნება, ახლა რომ პერის ყოფიერება გაანათა. პერს გაახსენდა წინასწარმეტყველური სიტყვები პოულ ბერგერის აღსარებიდან.

„ღამემ გაიარა, წყვდიადი გაქრა; ღვთიური დღე ხელახლა მოსვენებას და ბედნიერებას ანიჭებს ყველას, ვისაც ლოცვა უნდა. როგორც გარეული იხვები, ფრენისას კისერს რომ წაიგრძელებენ, თუ უნაყოფო მთებს იქით ზღვის სივრცეებს მოჰკრეს თვალი, როგორც ეზით დამწვარი, გზის მტვერით დაფარული, მთელი დღის სიარულით მოქანცული ჯარისკაცები მივარდებიან წყაროს, რათა შესვან მაცოცხლებელი წყალი, — ისევე შენც, ო, კაცობრიობავ, მოიკლავ წყურვილს მადლის ხელახლა მოპოვებულ წყაროსთან“.

* * *

იაკობასა და მის საქმროს შორის განხეთქილებამ ძალიან ააღელვა მათი დიდძალი ნაცნობები. ბირჟაზეც კი ამ ამბავზე მსჯელობდნენ. პერი ხელმეორედ გახდა ჭორების საგანი სალამონების ოჯახთან თავისი კავშირის გამო. ხალხი ერთმანეთს ეკითხებოდა: ნეტა რა ჩაიდინა ამ ახალგაზრდამ, სალამონებმა რომ საჭიროდ ჩათვალეს მასთან კავშირის გაწყვეტაო? მთელი კვირა პერის სახელი ყველას პირზე ეკერა, ერთ დროს სწორედ ამაზე ოცნებობდა.

ნანი, ივერსენის თვითმკვლელობამ რომ ერთ დროს კარგა შიში აუშამა, აწლა უკვე მთლად გაიმართა წელში და ძალ-ღონეს არ იზოგავდა, რომ ხალხი გაეთვითცნობიერებინა. ქალი ხელად მიხვდა, რაც ხდებოდა და სიამოვნებით უყვებოდა ყველას და თითოეულს, რა სულმდაბლად მოატყუეს საბრალო იაკობა. ნანის მშვენიერი საზაფხულო კაბა ეცვა, რომელსაც უცოდველობის სიმბოლოსავით თეთრი გაზის სახელოები ჰქონდა, შლიაპა ანგელოზისებური ფრთებით მოერთო, ოჯახიდან ოჯახში დაფრინავდა და თან დაჰქონდა დიდი საიდუმლოება: ყველგან ასე ამბობდა: „ვიმედოვნებ, ეს საიდუმლო ამ კედლებიდან არ გავაო“, ყველას გააგებინა, რომ მისი დის საქმრო — ახ, ის არამზადა! — ამერიკაში წასვლის მაგიერ, ვიღაც გლეხის გომბიოს გაუარშიყდა. აბა, ვინ იფიქრებდა ამას! თურმე უბრალო მეძროხე ყოფილა! ნანი თვალებს მაღლა აღაპყრობდა და მოთქვამდა:

გადაიეწყა დარდი და თრთოლა,
ბედნიერებად იგი თვლის სტომაქს.

რაღაც გზით ამ ხმებმა პოლკოვნიკ ბერეგრავამდისაც მიაღწია. ძველმა მეომარმა თითქმის გადაწყვიტა, პერისთვის მხარი დაეჭირა მისი გრანდიოზული ჩანაფიქრების განხორციელებაში და, თუ საჭირო იქნებოდა, პირადადაც გამოსულიყო პერის დამცველად და კოპენჰაგენის პროექტის მოწინააღმდეგედ. დღეები გადიოდა, მას კი არავინ არაფერს ეკითხებოდა და პოლკოვნიკს ისევ შეეპარა ეჭვი. მას აღშფოთებდა პერის უგუნურება, ბრძოლიდან რომ გამოვიდა და საქმეს განუდგა სწორედ მაშინ, როცა მისი მონაწილეობა ამ საქმეში ყველაზე მეტად იყო საჭირო. პირველად პოლკოვნიკმა პერს ეს ჭაბუკურ ქედმაღლობადაც ჩაუთვალა, მერე კი იფიქრა, ალბათ გაცილებით სერიოზული მიზეზია ამაშიო, მაგრამ ნიშნობის ჩაშლა რომ გაიგო, ძალიან შეწუხდა.

ამასობაში იაკობამ უხმაუროდ დატოვა მშობლიური სახლი. პერი ჯერ არ ჩამოსულიყო კოპენჰაგენში, რომ ის უკვე ბერლინისკენ მიემგზავრებოდა. სკოვბაკენში ხანგრძლივი, ტყვეობის მსგავსი მარტოობის შემდეგ მოსაწყენი მგზავრობაც კი საინტერესოდ მოეჩვენა. ხოლო საღამოთი, შტეტინის სადგურიდან ოტელ ცენტრალში რომ მიდიოდა და უზარმაზარი ქალაქის ხმაურმა მოქცევის ტალღასავით გადაუარა, სიხარულით აუძგერდა გული. ფრიდრიხშტრასეს გამოცოცხლებულმა ბრბომ, ელექტროფარნების შუქმა, ეტლების გრძელმა რიგმა, ცხენის ჩლიქების კაკუნმა ასფალტზე, ვაგონების რახრახმა მაღლა, და ბოლოს, სასტუმროს ვეებერთელა შენობამ, სადაც ადამიანები ისე დაფუსფუსებენ, როგორც ფუტკრები სკაში, სადაც კიბეებზე და დერეფნებში მსოფლიოს ყველა ენაზე გაიგონებ ლაპარაკს, — ყოველივე ამან იაკობას დატანჯული გული სიცოცხლის ავადმყოფური წყურვილით აანთო.

ქალს ეჩვენებოდა, როგორც იქნა დავუბრუნდი მშობლიურ ჭერსო. აქ, ადამიანთა ამ აბობოქრებულ ზღვაში, ის სრულიად უშიშრად გრძნობდა თავს. ცხადია, თუ რაოდენ სიბოროტეს ფარავდა მისი პირქუში სილრმეები, რა ბევრმა განიცადა მარცხი, დაეშვა ფსკერზე და ლამით დაიფარა. კარგად იცნობდა უმწეო ღარიბების ვეებერთელა არმიას, ურომლისოდაც არც ერთი დიდი ქალაქი არ არსებობს, სილატაკის ნაცრისფერ სახეს და გამოღამებულ თვალებს, რასთან შედარებითაც ჩასუქებული და წითელლოყება სოფლური სილატაკე თითქმის სიმდიდრედ მოგეჩვენება. მაგრამ იაკობას რა, მერე!.. დიდი ქალაქის გან-

კიცხულთა საცოდავი უსახლკარო არსებობაც კი მას ახლა ათასჯერ უფრო მდიდრულად და სრულფასოვნად ეჩვენებოდა, ვიდრე გლეხის უშინაარსო სიცოცხლე და მშვენივრად ესმოდა, რატომ ებღაუჭებიან ეს ადამიანები, შიმშილისა და გაჭირვების მიუხედავად, ქალაქის ქვაფენილს, სანამ თვით სიკვდილი არ გააშვებინებს ხელს. დიდი ქალაქისთვის ზღვის მშვენებაა დამახასიათებელი, ხოლო ზღვის ტალღათა ბობოქრობა ადამიანთა სიცოცხლისთვის ბრძოლის, ფუსფუსის, დაცემისა და მაღლა ფრენის უწყვეტი ჯაჭვის მსგავსია, როცა ადამიანებს უკანასკნელ წუთამდე უსაზღვრო, განუცდელი შესაძლებლობანი ეჩვენებათ.

იაკობა ისევ და ისევ ბავშვზე ფიქრობდა. ქალი იმედოვნებდა, რომ თუ ბავშვი თავის ჩრდილოელ წინაპრებს დაემსგავსება, სულაც არ იქნება იმ შავმიწა, თავის ღობეზე მიჯაჭვულ ადამიანთანაირი, ვისთვისაც ეს ქვეყანაც და ბედნიერებაც იქ თავდება, სადაც მშობლიური კერის კვამლი თვალს ეფარება. იმედი ჰქონდა, რომ მისი ბავშვი ზღვის ჭეშმარიტი შვილი იქნებოდა, თავისუფალი ვიკინგი, ბრძოლის წყურვილით შეპყრობილი, ისეთივე მოუსვენარი, მისი საკუთარი ებრაული სისხლისთვის რომ არის დამახასიათებელი, ისეთივე მუდმივი ტრფიალი მოგზაურობისა, იმ მოუღლელი, მიზანდასახული გულისთქმის ადამიანი, რამაც მისი გვარის ბევრი კაცი და ქალი კაცობრიობის იდეურ ბელადად აქცია.

იაკობას ღღითი ღღე უფრო კარგად ესმოდა მიწიერი სიბრძნის საბოლოო დასკვნა: ბედნიერება მხოლოდ ბრძოლით მოიპოვება, თუნდაც იმიტომ, რომ ბრძოლა ყველაზე ღრმა თავდავიწყებით გვაჯილდოვებს. ცხოვრება ომს წააგავს: ვინც ბრძოლის შუაგულშია, ის ყველაზე ნაკლებად ფიქრობს საშიშროებაზე, მას ყველაზე ნაკლებად ეშინია სისხლისა. მხოლოდ მხდალებს უკანკალებთ მუხლები, მხოლოდ დამრბევთ აწერიათ გაფითრებულ სახეებზე ბრძოლის შიში.

თავი XXIII

კოპენჰაგენში ჩასვლისთანავე პერი შეუდგა ბინისა და ფულადი საქმეების მოგვარებას, რათა მერე დამშვიდებით ჩაჯდომოდა სამუშაოს. მან გადაწყვიტა ათასნახევარი ესესხა უმაღლესი სასამართლოს ადვოკატ ხასელაგერისგან — ეს, სულ ცოტა, ერთ წელს მაინც ეყოფოდა.

თუმცა არ უნდოდა ფული იმ ადამიანებისთვის გამოერთმია, ვისი ცხოვრების ნირი და გამდიდრებაზე გამუდმებული ზრუნვაც ახლა ასე სძაგდა, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ხედავდა. თანაც, დროც არ ჰქონდა. მოთმინება აღარ ყოფნიდა, ისე უნდოდა, კვლავ საქმისთვის მოეკიდა ხელი.

ვალის უზრუნველსაყოფად პერი აპირებდა შეეთავაზებინა თავისი ორი პატენტი ქარის და წყლის ძრავების მოდელებზე, ბოლოს და ბოლოს რომ მიიღო — ერთი აქ, ხოლო მეორე — საზღვარგარეთ. თუმცა ამ გამოგონებათა შეძენის მსურველები ჯერ არ გამოჩენილიყვნენ და თავად პერიც არ მალავდა, რომ დიდი მნიშვნელობა მათ არ ჰქონდათ. ის კონსტრუქციას მხოლოდ სანახევროდ დამთავრებულად თვლიდა, მაგრამ იმით ხელმძღვანელობდა, რომ ხასელაგერი, ეს საკმაოდ გაიძეერა და ეშმაკი კაცი, ვინც კარგად ხვდებოდა მისი პროექტის მთელ მნიშვნელობას, შესძლებდა როგორმე ხელიდან არ გაეშვა თავისთვის სასარგებლო საქმე და ფულადი დახმარება გაეწია.

მართლაც, ხასელაგერმა მეტად თავაზიანად მიიღო, მაგრამ ფრიად თავშეკავებულად იქცეოდა, რადგან ნიშნობის შეწყვეტის ამბავი წინა დღით გაეგო. ისაუბრეს პერის გეგმებზე, პერსპექტივებზე, კერძოდ. მისი გამოგონების შემდგომ სრულყოფაზე და პერმა თავის მოვალეობად ჩათვალა სრულიად გულახდილად ლაპარაკი, მაგრამ როდესაც ბოლოს აშკარად სთხოვა ხასელაგერს, ფული მასესხეო, ამ კაცმა უეცრად მოიწყინა და ჭეშმარიტი კოპენჰაგენელის გულისმომგები ზრდილობით დაიჩივლა, არა მგონია შევძლო თქვენი თხოვნის დაკმაყოფილება, რაკი პრინციპულად არავის ვაძლევ სესხად ფულს საკმაო გარანტიის წარმოდგენის გარეშეო. ეს, ასე ვთქვათ, საქმიანი წესია, რაც თვითეულმა იურისტმა განუხრელად უნდა დაიცვას, თუ არ სურს ეჭვი შეიტანონ, ნებადაურთველ ხრიკებს აწყობსო.

მაშინ პერმა ჰკითხა, ღირს თუ არა მოვსინჯო ბედი სხვებთან, ვინც დაინტერესებულია ჩემი პროექტით, მაგრამ არ აბრკოლებს მსგავსი მოსაზრებანიო; ხასელაგერმა მცირე ხნის ფიქრის შემდეგ, როგორც მოსალოდნელიც იყო, მიუგო, რომ ასეთი ადამიანები რამდენიც გსურთ იმდენი მოიძებნებაო. ეს ბრგე, სისხლსავსე, ქერათმიანი დანიელი სიმარჯვეში დიდი წარმატებით ბაძავდა მაქს ბერნარდს და არ ეშინოდა თვით სარისკო ფინანსური ოპერაციებისაც კი, მაგრამ თუ საქმე სისხლისღერამდე მივიდოდა, ის, რაკი ანემიური მაქს ბერნარდივით

უშიშარი არ გახლდათ, საბოლოოდ ჩასაკლავად სხვას უთმობდა მახვერპლს. ამ შემთხვევაში მან დაუსახელა მიწათმოქმედი ნერეხავე. ვისთანაც პერი მისი რჩევის გარეშეც წავიდოდა. მეორე დღესვე გაეშურა პერი ფრედერიკსბერგში, სადაც პატრონის შემოსავლისა და გემოვნების შესაბამისად მოწყობილ ვილაში უბრალო მხვნელ-მთესველის ნიღაბით ცხოვრობდა აფერისტი და საქმოსანი.

ჩასხმულმა და მოუხეშავმა იუტლანდელმაც მოჰკრა ყური ნიშნობის შეწყვეტის ამბავს, მაგრამ არ უნდოდა თავისი ყურებისთვის დაეჯერებინა, ამიტომ პერი უთავაზიანესი ღიმილით მიიღო და დიდხანს ანჯღრევდა მის ხელს თავისი თბილი და წებოვანი ხელით. მაგრამ როგორც კი პერმა თავისი სათხოვარი უხსენა, ნერეხავე მაშინვე დადუმდა; მისი წვრილი ღორის თვალები პერის მარჯვენა ხელზე მალულად დაეძებდნენ ნიშნობის ბეჭედს. რაც უფრო მეტ ხანს ლაპარაკობდა პერი, მით უფრო მედიდურად იშხლართებოდა ნერეხავე თავის მოოქვრილ. სავარძელში. ბოლოს გულზე ხელები გადაიჯვარედინა და ისეთი ტონით განუცხადა პერს, წინააღმდეგობა ამაო იყო — გთხოვთ, ამ საქმეში ნუ ჩამრევთო.

პერს მოთმინება ეკარგებოდა. მან შეახსენა თავის თანამოსაუბრეს, გასულ გაზაფხულზე ხასელაგერთან ერთად თქვენი მხარდაჭერა ისეთ ფორმაში შემომთავაზეთ, ამან გამაბედვინა მეფიქრა, რომ სრულიად ბუნებრივი და კანონზომიერი იქნებოდა, დღეს თქვენთან ამ სათხოვარით მოვსულიყავიო. მაგრამ მიწისმფლობელმა აუღელვებლად გადაიქნია თავი და თავისი პროვინციული კილოთი გაიმეორა:

— მე ამ საქმეში ნუ ჩამრევთ, არ არის საჭირო!

პერი არ დააკმაყოფილა ასეთმა პასუხმა და განმარტება მოითხოვა. სოფლური მოურიდებლობით, რაზედაც იმედს ამყარებდა ხასელაგერი, მიწათმფლობელმა ნერეხავემ მიუგო, რომ „სიტუაცია“ (ნერეხავეს საყვარელი სიტყვა) ძირფესვიანად შეიცვალა მას შემდეგ, რაც პერი — ამაში ახლა ეჭვი აღარ ეპარება — აღარ არის ფილიპ სალამონის მომავალი სიძე. ამავე დროს მან გაკვირვებაც გამოთქვა ასეთ მდიდრებთან პერის განხეთქილების გამო და მიზეზების გამოძიებასაც შეეცადა. მაგრამ ამ სიტყვებზე პერი წამოდგა, სახეზე ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, ნერეხავემ თავისი დაკითხვა ნახევარ სიტყვაზე შეწყვიტა.

პერმა პირდაპირ მიახალა:

— მოკლედ რომ ვთქვათ, უარს მეუბნებით ფულის სესხებაზე?

მიწათმფლობელი ისევ შეყოყმანდა. პერის მტკიცე ტონმა ძველი

პატივისცემა გაუღვიძა ამ კაცის მიმართ, მაქს ბერნარდთან ღირსსახსოვარი თავყრილობის შემდეგ რომ იგრძნო. მან მუცელზე შემოიწყო თავისი მსუქანი ხელები და ცერები აათამაშა, ხოლო გოჭის პატარა თვალებით მანამ მისჩერებოდა გამომცდელად პერს, სანამ ამ თვალების პატრონი თავისთვის ამ წამოწყების „დადებითს“ და „უარყოფითს“ ასწონ-დასწონიდა.

— არა, — თითქოს გაისროლა მან მცირე ხნის ფიქრის შემდეგ. — არც მინდა ვიცოდე რაიმე.

არც კი დაემთავრებინა სიტყვა, რომ პერმა თავის ქუდს ხელი წამოავლო და საჩქაროდ გარეთ გავარდა.

ქუჩაში ცოტა დაწყნარდა. თუ გონივრულად განსჯიდა, არავითარი საფუძველი არ ჰქონდა, რომ დაეჩივლა. პერი ოქროს კერპის გარშემო გამართული ველური ცეკვის მონაწილე იყო. რაღა გასაკვირია, თუ კერპმა, დიდი ხანია მსხვერპლი რომ არ მიუღია, რქენა დაიწყო?

მაგრამ რა ქნას ახლა? ფული სიცოცხლედ უღირს. ნაღდ ფულად ასიოდე. კრონს თუ მოაგროვებს სიმწრით.

პერი პარკში წავიდა. იქ დიდხანს იჯდა სკამზე და თავს იმტვრევდა გამოსავლის ძებნით. გამომგონებლობამ, რისი ნიჭითაც ბედნიერად იყო დაჯილდოებული, როგორც ინჟინერი, ამ მძიმე ვითარებაშიც არ უმტყუნა. ერთი საათის შემდეგ, პერი რომ ადგა და შინისკენ გაემართა. თავში უკვე მომწიფებული გეგმა ედო. სულ უბრალოდ მივა პოლკოვნიკ ბერეგრავთან. ის ხომ დღემდე არ სწვევია საპასუხო ვიზიტით ამ კაცს. პერი არ აპირებდა ფულის თხოვნას თვით პოლკოვნიკისთვის; პოლკოვნიკმა მხოლოდ სიტყვა უნდა გადაუკრას მის შესახებ სამოქალაქო მრჩეველ ერიკსენს, ცნობილ მეცენატს, ვისაც პერი ხვდებოდა ხოლმე სალამონების სახლში. წინათ ერიკსენი, რამდენადაც პერისთვის იყო ცნობილი, ხალისით ეხმარებოდა ასეთი სპეციალობის ადამიანებს. პერი თვითონაც მიმართავდა ერიკსენს, მაგრამ არ შეეძლო ამის გაკეთება სწორედ იმიტომ, რომ მათ ყოფილი სიმამრის სახლში გაიცნეს ერთმანეთი. თანაც ხეირიანად არც კი იცნობდა ამ კაცს და ფულის სესხება მისგან ეროთირებოდა.

ნაშუადღევს პერი უკვე იჯდა პოლკოვნიკ ბერეგრავის კაბინეტში იმავე მოწნულ სავარძელში, სადაც სამი წლის წინ ასე მგზნებარედ უხატავდა მის პატრონს თავის გეგმებს. პოლკოვნიკი ოდნავ გადაწოლილი იჯდა საწერ მაგიდასთან და ხათვალის ზემოდან პერს თან თანა-

გრძნობით და თან გამომწვევად ათვალიერებდა. თავის ძმისწულ დიუ-
რინგისგან ბერეგრავს უკვე ყური მოეკრა, პერი და მისი საცოლე ვერ
შეთანხმდნენ რელიგიის საკითხებშიო. თუმცა ის — სხვანაირად არც
შეიძლებოდა! — ამ მიზეზს ფრიად და ფრიად საპატიოდ თვლიდა, მაინც
პერი უბედურებისაგან ჭკუაზე შერყეულად მიაჩნდა.

პერმა იმით დაიწყო, რომ ბოდიში მოუხადა პოლკოვნიკს, ასე და-
გიგვიანეთ საპასუხო ვიზიტიო, მაგრამო, — უთხრა პერმა, — პირადი
მიზეზები მქონდა, რის გამოც მსურდა ერთხანს კოპენჰაგენიდან მოშო-
რებით ვყოფილიყავიო.

პოლკოვნიკი ისე კეთილგანწყობით დუმდა, ეტყობოდა, პერის გან-
მარტებამ დააკმაყოფილა.

ამის შემდეგ პერმა პირდაპირ დაიწყო ლაპარაკი თავის ფულად
გაჭირვებაზე და უამბო ბერეგრავს, რა გზით აპირებდა ამ მდგომარეო-
ბიდან გამოსვლას. საფუძველი გამაჩნია ვიფიქრო, რომ ბატონ პოლ-
კოვნიკის შემწეობით შემიძლია იმედი ვიქონიო სამოქალაქო
ბრჩევლის ერიკსენის მხარდაჭერაზე, მით უფრო, რომ ერიკსენს სხვა
წყაროებიდანაც გაუგონია ჩემი ამბავი და წინასწარვე კეთილგანწყო-
ბილია ჩემს მიმართო.

თუმცა პოლკოვნიკს თავისთვის უკვე საბოლოოდ გადაწყვეტილი
ჰქონდა, არ ჩარეულიყო ამ საქმეში, მიუხედავად ამისა, მაინც განაცხა-
და მზადყოფნა პერს დახმარებოდა, გაეგო ყოველივე და მერე კი პერი-
სთვის ეცნობებინა. ფიქრობდა, აშკარაა, პერი ჭკუაზე ვერ არისო და
ამიტომ სჯობს არ შევედავოო. პერი საოცრად აღგზნებული იყო და
უზომოდ ბევრი იყბედა. ბოლო დღეთა მღელვარებამ და საკუთარი სა-
ხეცვლილების სიხარულმა გულუბრყვილო სურვილი მოჰგვარა, ვინმეს-
თვის გული გადაეშალა. მარტო ამ მხრივ არ შეცვლილა პერი. მას ფერი
გაუკრთა, ჩამოხმა და თვალები ამოუღამდა. თანაც მან ჯერ კიდევ
კერსხოლმში მოუშვა წვერი და თმაც გაიზარდა, ხოლო ისეთი ტანსაც-
მელი ეცვა და საუბარშიც ისეთი კილო ჰქონდა, ეტყობოდა. ცდილობდა
სახარებასავით ხალხური ენით ელაპარაკა.

როცა ყმაწვილი კაცი წავიდა, პოლკოვნიკი ერთ ხანს ნაღვლიან
ფიქრებს მიეცა. „აი საბრალო, — ფიქრობდა პოლკოვნიკი, — მისი წირ-
ვა გამოსულია, მერე რა ნიჭი ჰქონდა! ნიჭიერი კი არა — გენიოსი იყო!“
თუმცა პოლკოვნიკს გულში უხაროდა, რომ ის გარდაქმნანი, თავის
დროზე მან რომ ვერ მოახერხა, სხვასაც არ გამოუდიოდა. მაგრამ თუ

სამშობლოს ინტერესების თვალსაზრისით განსჯიდა, გასახარი არაფერი იყო. პოლკოვნიკი პერზე დიდ იმედებს ამყარებდა. ის მასში ხედავდა დანიის ერის შავმიწიან, პირველქმნილ ძალთა ახალი აყვავების მაუწყებელს და ელოდა, რომ პერის მსგავსი ადამიანები გაათავისუფლებდნენ ქვეყანას ებრაელებისა და სხვა ნახევრადგერმანელთა ძალადური გავლენისაგან, რომელთაც ისარგებლეს იმით, რომ ხალხი ომმა დაღალა და ხელში ჩაიგდეს ქვეყნის ძალაუფლება.

აქ ბერეგრავეს თავისი ძმისწული გაახსენდა, ახლახან მორიგი ოინი რომ ჩაიდინა. იმისათვის, რომ დიურინგის გაზეთის მხარდაჭერა ჰქონოდათ, ერთერთი უმსხვილესი სააქციონერო საზოგადოების მმართველობამ ოტო თავის წევრად აირჩია. ეს მას საშუალებას აძლევდა ყოველწლიურად უზრუნველად მიეღო რამდენიმე ათასი კრონი. ყმაწვილი საცა არის რიგსდაგშიაც გაძვრება. ეს საოცარი ბედის წყალობა ზოგჯერ ბერეგრავს აიძულებდა ეჭვი შეჰპარეოდა უმაღლესი სამართლიანობის არსებობაში. ადამიანი, ვინც არ იცოდა რა იყო სამშობლოს სიყვარული, ვისაც არაფერი სწამდა და ნამდვილი შრომის უნარი არ შეუწევდა შეუჩერებლად მიიწევდა მაღლა აღიარების, წარმატებისა და დიდების კიბეზე, მაშინ როცა ჭეშმარიტად ღირსეულ ადამიანებს, ასე ვთქვათ დაბადებით ბელადებს, ვისაც ძალაც გააჩნდა და ჯანმრთელი, სამშობლოს ერთგული იყო, კაცი არ იცნობდა. თუმცა, დანიაში მუდამ ასე იყო. თაობა თაობაზე იზდებოდა გაფურჩქვნილი, ნათელთვალებიანი ოავისუფლებისმოყვარული და ძლიერი ადამიანებისა. თაობა თაობაზე ჩადიოდა კუბოში მოტეხილი, წელში მოხრილი, დამარცხებული. თითქოს იდუმალი სენი ხრავდა ერის ძალას, აუძლურებდა ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილს და ქვეყანას უმწეოდ ტოვებდა მტრის თავდასხმის წინ.

* * *

პერმა ერთი მოხუცებული ქვრივი ქალის სახლში წყნარ, პატარა ქუჩაზე ფრედერიკსბერგის პარკის უკან დაიქირავა ოთახი. ქალაქის გარეუბანში მარტო იმიტომ კი არ დასახლდა, რომ უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სკოლასთან ყოფილიყო ახლოს, სადაც აპირებდა

ლექციების კურსის მოსმენას, არემედ იმიტომაც, რომ უნდოდა, რაც შეიძლება იშვიათად გამოჩენილიყო ბრეიჰადეზე და სხვა დანარჩენ ადგილებში, მისთვის უსიამოვნო მოგონებებთან რომ იყვნენ დაკავშირებულნი. მოხუცმა ქალმა მიაქირავა მას პატარა ღატაკად მოწყობილი მანსარდი და პერს, როგორც წესი, თითიც არ გაუნძრევია, რათა ოდნავ მაინც მყუდრო გაეხადა თავისი ბინა. იგი მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა: მომზადებულიყო გამოცდისთვის, ჩაებარებინა და უკანვე გაბრუნებულიყო.

რაკი ეპვიც არ ეპარებოდა, რომ პოლკოვნიკი თავის სიტყვას შეასრულებდა და ფულად საქმეებს ასე თუ ისე მოაგვარებდა, პერმა მოითხოვა გამოეგზავნათ მისთვის სასტუმროდან ყველა წიგნი, ნახაზი და სხვა ავლა-დიდება, რაც იქ ინახებოდა მისი აქ არყოფნის დროს. მაგრამ იძულებული გახდა წიგნები და ნახაზები ხელახლა შეენახა: მას არაფრის გაკეთება არ შეეძლო, გარდა ლექციების მოსმენისათვის მზადებისა, ხოლო ლექციები პირველ სექტემბერს იწყებოდა. აი, გამოცდებს რომ ჩააბარებს და კერსხოლმში ამოსაშრობ სამუშაოთა პროექტს მორჩება, ამ პროექტს კი ცხოვრებაში მალე განხორციელება უწერია, — ო, მაშინ ნამდვილად მოკიდებს ხელს საქმეს. პერს უკვე დაებადა რამდენიმე კარგი აზრი წყლის და ქარის ძრავათა შემდგომი სრულყოფის თაობაზე. ასეთ სამუშაოს უდიდესი უპირატესობა აქვს მაგალითად, არხის პროექტისგან განსხვავებით. ის შეგიძლია განახორციელო მარტო, შეინარჩუნო სრული დამოუკიდებლობა, არავის არაფერი არ ესესხო, და რაც მთავარია, არ დაუკავშირდე ისეთ პიროვნებებს, როგორნიც მაქს ბერნარდი ან ნერეხავე არიან. სოფელში პერს დანამდვილებით ექნება პრაქტიკული გამოცდის წარმოების საშუალება, რასაც შემდგომში ვერ შეელევა საჭირო იქნება რამდენიმე საცდელი მოდელის აგება... თუმცა, ჯერ ამაზე ფიქრი ნაადრევია. ერთ-ერთმა პროფესორმა, ვისაც პერმა მიმართა, რათა მისი დახმარებით დაესახა მეცადინეობის გეგმა, უთხრა, მომზადებას არანაკლები წელიწადნახევარი დასჭირდებაო, მაგრამ პერმა გადაწყვიტა, ნახევარ ვადაში ჩავეტევიო. ამისთვის მან ხელახლა წამოაყენა ახალგაზრდობისდროინდელი მგზნებარე ლოზუნგი: მ ე ა ს ე მ ს უ რ ს.

და აი, ის ხელახლა ზის ღარიბულ პატარა სენაკში და ხელახლა იბრძვის ცხოვრებისა და მომავალი ბედნიერებისათვის. სწორედ ასე დილაადრიან დგებოდა პერი ნიუბოდერში და მამლის მაგიერ ფაბრი-

კის საყვირი აღვიძებდა; ხოლო სინათლე მის ფანჯარაში მაშინაც არ ქრებოდა, როცა მთელ წყნარ გარეუბანს უკვე დიდი ხანია მაგრად ეძინა. და თუმცა პერს ძველებურად გრანდიოზული მიზანი ჰქონდა დასახული, ხოლო ამ მიზანს აღარ გააჩნდა თავისი ადრინდელი ზღაპრული შარავანდედი, მაინც არაჩვეულებრივი მგზნებარებით და შეუპოვრობით შეუდგა მუშაობას. ახლა მას ხელს აღარ უშლიდა სულმოკლეობის უეცარი მტანჯველი შეტევები. ის არ მოელოდა დიდ მოგებას თავისი გამოგონებისაგან და საერთოდ არ ფიქრობდა ფულზე. საკმარისი ჯილდო იყო მისთვის ფიქრი იმისა, რომ კაცობრიობის სასიკეთოდ შრომობდა. პირადად თავისთვის მას მხოლოდ ერთი რამ უნდოდა: ამ მუშაობის მეშვეობით შესაძლებლობა ჰქონოდა ალალმართალი, ჯანსაღი, მშრომელი ცხოვრებით, სიყვარულით და თანხმობით ეცხოვრა მასთან, ვისზეც ნაღვლობდა მისი გული.

მაგრამ ჯერ ვერ ბედავდა აეგო რაიმე გეგმა, რაც დაკავშირებული იყო მის ინგერისადმი სიყვარულთან. როცა მისი აზრები ბესტრუპისაკენ წარიმართებოდა, ცეცხლისმახვილიანი ანგელოზი ულობავდა მას გზას. უნდა დაეცადა, პერი ჯერ არ იყო ღირსი სამოთხის ნეტარებისა. ახლა, როცა სავსებით შეიცნო, რაოდენ დაცემულიყო, პერს ხშირად ეჩვენებოდა, რომ საერთოდ არ ჰქონდა ბედნიერების უფლება. ის ვერ გაბედავს სახეში შეხედოს უმანკოებას და სისპეტაკეს — ასეთი სასჯელი დაიმსახურა. მან ხალხის თვალს ისე უნდა დაუფაროს თავის იმედები, როგორც მძარცვავი მალავს თავის საიდუმლო ფარანს. ის უნდა იყოს ბედნიერი მხოლოდ ინგერის ჭვრეტით. კერსხოლმიდან გამომგზავრების წინ ჰოფეჰერმეისტერის მეუღლემ ჰკითხა, ხომ არ გსურს, ჩვენთან ერთად გაატარო საშობაო დღესასწაულიო და მერე გამამხნევებელი ღიმილით დასძინა, ბლომბერგებსაც გაუხარდებათ ალბათო.

კოპენჰაგენში თავისი ჩამოსვლის პირველსავე კვირა დღეს პერი ვარტოვის სამლოცველოში გაეშურა. ნათელი მზიანი ამინდი იყო და ადრე გამოვიდა შინიდან, რომ გზის ფული არ დახარჯვოდა. მაგრამ, როცა შეერია ხმაურიან და მხიარულ ადამიანთა ბრბოს, ბუნების წიაღში კვირა დღის გატარებას რომ აპირებდნენ, მაინც გადაწყვიტა, ტრამვაით წასულიყო.

ლენჰანჰსტრედემდე რომ მიაღწია, წირვის დაწყებას მეოთხედი საათი აკლდა, მაგრამ პატარა ეკლესია უკვე მთლად გაჭედილი იყო. ეს

გრუნტვიგიანური თემის უბრალო სამლოცველო სახლი მუდამ სავსე გახლდათ ხალხით, მაშინ, როდესაც ქალაქის ყველაზე დიდი ეკლესიაც კი ნახევრად გამოცარიელებული იყო წირვის დროს, მართალია, დიდი ხანია გავიდა ის დრო, როდესაც აქ ეკლესიის დიადი მამის, თვით გრუნდტვიგის ხმა ჟღერდა, მაგრამ მისი სული კვლავ დასტრიალებდა ამ სახლს და მორწმუნენი აქ ქვეყნის ყველა კუთხიდან იყრიდნენ თავს, როგორც წმინდა ადგილთან, სადაც ღმერთი, გადმოცემის მიხედვით, გამოეცხადა თავის ხალხს.

პერმა ძლივს მოძებნა დასადგომი ადგილი კედელთან. ფანჯარათა გრძელი რიგიდან მოპირდაპირე კედელზე სინათლის ფართო ზოლები ეცემოდა და გასასვლელის გასწვრივ მსხდომთა თავებს შარავანდედივით ევლებოდა გარს. ამ განათებული თავებიდან ერთერთი წამდაუწუმ ბრუნდებოდა პერისკენ, მაგრამ ის ამას ვერ ამჩნევდა. მერე ფსალმუნის სიმღერა რომ დაიწყეს, პერმა მხოლოდ მაშინ იგრძნო ეს მიშტერებული მზერა, დაინახა ცისფერი თვალები, მუქი გადაბმული წარბები და შეკრთა, როცა თავისი და, სიგნე იცნო. სიგნეს გვერდით უსხდნენ უმცროსი ძმები — ტყუპები. ერთმანეთს მჭიდროდ მიკროდნენ და საერთო ლოცვანში იხედებოდნენ. მათ, როგორც ჩანდა, ჯერ არ შეენიშნათ პერი.

სისხლი სახეში მოაწვა პერს, ვერც კი შესძლო, მაშინვე გაეცა პასუხი დის მისალმებაზე. აზრადაც არ მოსვლია, თუ აქ ვინმე შინაურს შეხვდებოდა. და საერთოდ, მთლად დაავიწყდა, რომ შესაძლო იყო ვინმე ნაცნობს მოხვედროდა თვალში. სიგნეს, პირიქით, თავი ისე ეჭირა, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს. სიმღერა არც შეუწყვეტია, მშვიდად დაუკრა თავი ხელმეორედ და ისეთი სახე ჰქონდა ამ დროს, თითქოს კვირიდან კვირამდე ელოდა, როდის ნახავდა ბოლოს და ბოლოს პერს აქ მოსულს.

თუმცა პერი კოპენჰაგენში ჩამოსვლის მეორე დღესვე გაემგზავრა კუნჰევეიზე თავისიანების მოსანახულებლად, მაგრამ როცა შინ არავინ დაუხვდა, დიდი შვება იგრძნო და ხელმეორედ აღარ უცდია იქ მისვლა. არ იცოდა, როგორ ეთქვა მათთვის, რომ ნიშნობა ჩაეშალა და საერთოდ, როგორ აეხსნა ყოველივე, რაც ამ ხანში თავს გადახდა. ეშინოდა, მათ თვალებში გამარჯვებულთა ზეიმი არ ამოეკითხა. სწორედ აქ ზეიმს ეძებდა ახლა დის სახეზე.

გალობა დამთავრდა, პასტორი კათედრაზე ავიდა. მაგრამ პერი უკ-

ვე ველარ იკრებდა აზრს. ეკლესიაში მეორედ გასვლა ბორუპში პირველად გასვლაზე უფრო წარმატებით არ დამთავრებულა მისთვის. თუმცა პერი ძალიან ცდილობდა აზრები მოეკრიბა, მაინც არაფერი გამოსდიოდა და გონება ეფანტებოდა.

თანაც უეცრად ცუდად იგრძნო თავი. ამ ბოლო დღეებში საერთოდ არ იყო კარგად. ხელახლა იგრძნო ტკივილი გულის კოვზთან, კვლავ მოუსვენრად ეძინა და ღამით კოშმარი აწუხებდა. ხალხით გაჭედილი სამლოცველოს დახუთულმა ჰაერმა, თვალისმომჭრელმა მზემ, ფეხზე დიდ ხანს დგომამ, სიგნესთან და ძმებთან გარდუვალმა შეხვედრამ — ყოველივე ამან ისე იმოქმედა პერზე, წამით მოეჩვენა, საცაა გონებახ დავკარგავო. წირვის გამოსვლის შემდეგ თავისიანებს ეკლესიის კართან რომ შეხვდა, პერი ნამდვილად ცუდად იყო. სიგნემ ეს მაშინვე შენიშნა და ჰკითხა, რა დაგემართაო. უეცრად პერს ყველაფერი აერია თვალწინ, ძლივს მიატანა მეკარის სენაკამდე და გულშეღონებული დაეცა.

გონს რომ მოვიდა, ძმებმა ეტლამდე მიიყვანეს. პერმა გაიგონა, სიგნემ მეეტლეს რომ კუნჰევეიზე, მათ ბინაზე წასვლა უბრძანა და არც კ• შეცდილა შეწინააღმდეგებას. ის საშინლად დაიღალა, ძალამ უმტყუნა და ეჩვენებოდა, რომ კვდებოდა. როგორც კი ლოგინში ჩააწვინეს, მაშინვე დაიძინა.

რამდენიმე საათის შემდეგ რომ გამოეღვიძა, პერმა თავისი თავი ერთფანჯრიან, ფარდაჩამოფარებულ ნახევრადბნელ დაბალ ოთახში დაინახა. მაშინვე ვერ მოისაზრა, სად იმყოფებოდა და შეშინებული აქეთ-იქით იყურებოდა. აი, დედამისის წითელი ხის სეკრეტერი, კლიტის ყოველ ჭურჭუტანასთან მრგვალი თეთრი ფირფიტები რომ აქვს; ფირფიტები გაკვირვებული თვალებით იჭყიტებიან. აი მოწნული სკამი, ოდესღაც მომაკვდავი მამის ლოგინთან რომ იდგა. აი დასაჯდომზე ხელით მოქარგული პუფი, დედა მას ძალიან უფრთხილდებოდა. თაროზე კი სარკის ქვეშ წინანდებურად დევს დიდი აფრიკული ნიჟარა, შიგნიდან რომ ბაცი წითელი ფერისაა. ზღვის ნაღვლიანი სიმღერა ისმის მისგან... საიდუმლო, მოჩვენებითი ხმაური... ჯერ კიდევ ბავშვობისას რამდენჯერ მიუტანია პერს ეს ნიჟარა ყურთან და გაოცებით მოუსმენია უცნაური ბგერები. იქნებ სწორედ მაშინ ჩაესახა პირველად ოცნება შორეული შეუცნობელი ქვეყნების საზღაპრო სიმშვენიერეზე.

პერს სიხარულით გულს მოეშვა და ღრმად ამოისუნთქა. აი, ის შინ არის. მორჩა აუხდენელი სიზმრების უგუნურ გამოდევნებას. პერი სი-

ნამდვილის სამეფოში დაბრუნდა და ფეხქვეშ ხელახლა სამშობლოს მყარ ნიადაგს გრძნობს.

მეზობელი ოთახის კარი შეღებილი იყო და იქიდან ჩუმი ლაპარაკი ისმოდა. შინაურულად ლაპარაკობდნენ. სასადილოში ძველმა საათმა დარეკა... ვერცხლად დაიღვარა სამი მკაფიო, სუფთა დარტყმა. რა ნაცნობი ბგერებია! თითქოს დროის გრძელი გრაგნილიდან ამოცურდა და გაიშალა ბავშვობის აუმღვრეველი სურათი. პერს გაახსენდა, ჯერ ისევ მთლად პაწაწინა იყო, მოკრძალებით რომ უგდებდა ყურს საათის რეკვას; ამ დაკვრით ეს საათი კეთილსინდისიერად აცილებდა სამუდამოდ გამქრალ ყოველ საათს, ვითარცა ეკლესიის ზარი რეკავს განსვენებულის ნეშტზე. მერე, როცა წამოიზარდა, პერი ფიქრობდა: ამ ვერცხლივით ნათელ ბგერებთან ცაში განვლილი საათის სულიც ხომ არ ადისო? დიდი—დიდი ხნის მერეც, როცა მისი აზრები ცის მიღმა სიმაღლეებიდან მიწაზე დაბრუნდა, საათის განზომილი, გამაფრთხილებელი რეკვა მუდამ კარგ განწყობაზე აყენებდა. არმყოფობაში მიმავალ დროისადმი თაყვანისცემის გრძნობა არასდროს მოშორებია. ახლაც, უკვე დიდი ადამიანი პერი, საათის რეკვას თვით მარადიულობის სასიკეთო ცნობასავით აღიქვამდა.

უეცრად დედის დანატოვარი წერილი გაახსენდა. მთელი ზაფხულის განმავლობაში არ ამოსვლია ის თავიდან და გულს მღელვარე მოლოდინით უვსებდა. ვერ გაებედა მიწერა, რომ წერილი გაეგზავნათ მისთვის და თანაც ძალიან უნდოდა მისი წაკითხვა. ახლა უკვე საკმაოდ მოზადებულად თვლიდა თავს და გადაწყვიტა წერილი დისთვის მოეთხოვა. პერი მიხვდა, რომ დედისგან გაკიცხვის მოსმენის შიში იდუმლად ხელს უმართავდა მას ბნელ ძალებთან ბრძოლაში. დედამ კუბოდან გამოუწოდა მას დახმარების ხელი, დაეხმარა ხსნისაკენ პირველი; ყველაზე ძნელი ნაბიჯის გადადგმაში, იმ ნაბიჯის გადაგმაში, თავზე ასე დიდ ძალისდატანებად რომ უღირდა.

პერს უნდოდა სიგნესთვის დაეძახნა, მაგრამ შემოსასვლელში ზარი გაისმა და მეზობელი ოთახიდან მაშინვე ებერხარდის ხმა გაიგონა.

პერი ერთხანს ჩუმად იწვა და ყურს უგდებდა ძმის ხმას, უცნაურად აგონებდა მამის ხმას. ლაპარაკისას ძმა ოთახში ბოლთას სცემდა; ამასაც მამასავით აკეთებდა. ისე რომ, პირდაპირ საშინელება იყო. პერმა გაიგო-

ნა, როგორ უყვებოდა მას სიგნე მომხდარ ამბავს და თუმცა ორივენი ჩუმად ლაპარაკობდნენ, პერმა მაინც გაარჩია ზოგი სიტყვა. ებერხარდი გაჯავრებული უწყრებოდა დას, ასე რად მოიქეცი. „სჯობდა საავადმყოფოში დაგეწვინა, — უთხრა მან. — როცა არ იცი დანამდვილებით, რითია კაცი ავად, საავადმყოფო ყველაზე გონივრული გაშოსავალია. იქნებ რაიმე გადამდები ავადმყოფობა ჭირს, ხოლო რაკი აქ მოიყვანეთ, მაშინვე ექიმი უნდა გამოგეძახებინათ".

პერმა გვერდი იცვლა: უნდოდა უფრო მეტი გაეგონა. პროტესტის გრძნობამ სძლია მის უწყინარ და შემრიგებლურ განწყობილებას. მაგრამ მერე თავის თავს უთხრა, ებერხარდი მართალიაო. ასეა თუ ისე, თუ შერიგებაა, საბოლოოდ უნდა შერიგდნენ. ან ახლა — ან არასოდეს. დადგა დრო, როცა საქმით უნდა დაამტკიცოს თავისი მონანიების სიწრფელე.

— ებერხარდ! — დაუძახა პერმა.

ძმა შემოვიდა მასთან. მას სიგნე შემოყვა და საწოლთან გაჩერდა

— მე ვფიქრობ, თქვენ არაფერი გაქვთ ასაღელვებელი, — თავზე ძალის დატანებით, აჩქარებით უთხრა პერმა, — საშიში არაფერი მჭირს, უბრალოდ, ამ ბოლო დროს გადავიღალე. ახლა ისევ კარგად ვარ.

— მართლაც კარგად გამოიყურები, — უთხრა ებერხარდმა მეგობრული და თანამგრძნობი ტონით და პირველმა გაუწოდა ხელი. — მაგრამ გულის წასვლა — როგორც გინდა თქვი და, სერიოზული ამბავია.

— არა, არა, უბრალოდ, ცუდად ვიყავი, მეტი არაფერი. თანაც, თითქოს საბედისწეროდ, მზე პირდაპირ თვალებში მაჭყეტდა, მე კი ამას ვერ ვიტან. ახლა თავს ისევ მშვენივრად ვგრძნობ.

— მე მაინც დაჟინებით მოვითხოვ, ექიმი გამოვიძახოთ. თუ შინ არის, რამდენიმე წუთში აქ გაჩნდება.

— თუ თქვენ ეს დაგამშვიდებთ, ცხადია, თანახმა ვარ. მაგრამ უკვე გითხარით, ჩემს ცუდად გახდომას ნამდვილ ავადმყოფობასთან არავითარი კავშირი არა აქვს-მეთქი. ყველაფერში მზეა დამნაშავე... ან, იქნებ, დახუთული ჰაერის ბრალია...

— მოდით, ჩვენ ნუ გამოვძებნით ამის მიზეზს, — ორჭოფულად მიუგო ებერხარდმა, — გინდა მართალსაც ამბობდე, ექიმი მაინც ჩვენზე უკეთ გამოარკვევს ყველაფერს.

თუმცა გულში ცუდი არაფერი ედო, პერმა ჩუმად, ალმაცერად გა-

ხედა ძმას, მოელოდა, რომ მას გამარჯვებულის იერი ექნებოდა და ამისი ეშინოდა ყველაზე უფრო მეტად. მაგრამ ებერხარდი სინათლისკენ ზურგით იდგა და თანაც მისი ძალზე ფართო ქვედაყბიანი სახე სიგნეს სახეზე უფრო მეტად მოგაგონებდათ გაშეშებულ ნიღაბს. სიცოცხლე მხოლოდ თვალებში ეტყობოდა.

პერმა გაიმეორა, თქვენი ნება ჩემთვის კანონიაო და ერთ რამეს გთხოვთ მხოლოდ: მოიყვანოთ პროფესორი ლარსენი, ვინც ერთხელ უკვე გამსინჯა ავადმყოფობის დროსო.

მაგრამ ორივემ, ებერხარდმაც და სიგნემაც ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს. და-ძმამ ერთმანეთს გადახედა და ებერხარდმა თქვა:

— ჩვენ გვყავს შინაური ექიმი. ის, თუმცა პროფესორი არ არის, მაგრამ სავსებით ვენდობით.

— დედასაც ის მკურნალობდა, — ჩაურთო სიგნემ.

პერი მაშინვე ვერ მიხვდა, მან გაიმეორა, რომ ჩემთვის ძალიან არასასიამოვნო იქნება, თუ სხვა ექიმი დამიწყებს გასინჯვას და არა ის, რომელმაც უკვე მნახა და ამიტომ უფრო უკეთესად შეუძლია ჩემი მდგომარეობის განსჯაო.

მაგრამ ებერხარდი შეუწყნარებელი იყო.

— შენი ურთიერთობა პროფესორ ლარსენთან — ეს შენი საქმეა. მაგრამ ჩვენთვის უბრალოდ უხერხულია ჩვენს ექიმს ავუაროთ გვერდი, მით უფრო, რომ არავითარი მიზეზი არა გვაქვს უნდობლობისა. გარდა ამისა, შენი პროფესორი ამ საათებში, ალბათ, არც ღებულობს არავის, გარდა თავისი მუდმივი პაციენტებისა. ასე რომ, თუნდაც ამიტომ...

მხოლოდ ახლა მიხვდა პერი, რომ და-ძმა ფიქრობდა, თითქოს პერი უადგილოდ იბღინძებოდა და უნდოდა მაღალი წრის კაცისთვის დამახასიათებელი ჩვევებით ეტრაბახა. ამ ეჭვმა გული ატკინა. პერმა თქვა, თუ ასე არ გესიამოვნებათ პროფესორ ლარსენის დანახვა, ავდგები და წავალო.

ებერხარდი მიხვდა, რომ პერი არც ფიქრობდა დათმობას და უკმაყოფილო გავიდა ოთახიდან, რათა მოსამსახურე პროფესორთან გაეგზავნა.

სიგნესაც უნდოდა გასვლა, მაგრამ პერმა შეაჩერა.

— ყური მიგდე, სიგნე, — უთხრა მან, — შენ გაქვს ის წერილი, — დედამ რომ დამიტოვა?

— ახლა მოგცე?

— მომეცი, გეთაყვა. საოცარიც კია, რომ საშუალება მაქვს იქ წავიკითხო, სადაც დაიწერა.

სიგნემ დუმილით ამოიღო გასაღებების აცმა, გამოაღო სეკრეტერის ერთი უჯრა და დაბრუნდა დაბეჭდილი წერილით და პატარა პაკეტით, რომელშიც მამის საათი იდო.

პერმა წერილის გახსნა მხოლოდ მას შემდეგ გადაწყვიტა, როცა სიგნე გავიდა. ყველაფერი აერია და თვალწინ, ნაცნობი ხელწერა, დედის აკანკალებული, მთრთოლვარე ხელით გაკეთებული წარწერა რომ დაინახა: „ჩემს შვილს პეტერ ანდრეასს — დაე, მან წაიკითხოს ეს სტრიქონები, როცა დამშვიდებული იქნება“. პერმა ბეჭედი გატეხა და კითხვას შეუდგა:

„იესო ქრისტეს გულისათვის, იდიდოს მისმა სახელმა. ჩემო შვილო, მე გწერ შენ, ალბათ, უკანასკნელად მანამდე, სანამ თვალებს სამუდამოდ დავხუჭავ. გწერ, რათა მოვუხმო შენს გულს, რომელიც აარიდე. არა მარტო შენს დედას, არა მარტო შენს გასვენებულ მამას, არა მარტო შენთვის მახლობელ ყველა ადამიანს, არამედ თვით ჩვენს განმგებელ ღმერთს, ყოვლად კეთილს და ყოვლის შემძლეს. მე გწერ შენ, თუმცა არ ვიცი, სადა ხარ და როგორა ხარ. შენ მუდმივ გვემალები. ალბათ გაქვს საამისო მიზეზი. შენი ძმები და დები მუბნებიან, თითქოს ახლა საფრანგეთში თუ ამერიკაში ხარ. მაგრამ სადაც არ უნდა იყო, არ ადგახარ ღვთის გზას — მე ეს მტკიცედ ვიცი. შენ ამჯობინე საამქვეყნო საქმეთა ტვირთქვეშ მოხრა, ხოლო სამღვთო წერილში კი ნათქვამია. რომ მისთვის, ვინც ცოდვასა და ურწმუნოებაში გაგულქვავდა, სახარების სიბრძნე სიცოცხლის ბოლო დღეებამდე დაფარულია.

ერთერთ თავის ქადაგებაში მამაშენმა ერთხელ დახატა ურწმუნოს ცხოვრების სურათი და შეადარა ის ბნელ მიწისქვეშეთში პატიმრობას, სადაც სინათლის ერთი სხივიც კი არ აღწევს და სადაც არ არის გასასვლელი იმ კარს გარდა, გამცემლურად რომ გაჰყავხარ უძირო უფსკრულისაკენ. ჩემო უბედურო შვილო! იქნებ ამ სურათის ჭეშმარიტებამ აგაღელვოს და გაგახსენოს შემდეგი სიტყვების ნამდვილი აზრი: თუ ჩვენ მხოლოდ ჩვენი ხორცისთვის ვცხოვრობთ — სასიკვდილოდ ვართ განწირულნი, ხოლო თუ შევძელით ხორცის მოკვლა სულისათვის, მაშინ მარად ვიცოცხლებთ. თუკი შენ უნარი შეგწევს შეგზაროს საკუთარმა დაცემამ, მაშასადამე კიდევ არის იმედი, მაშასადამე კიდევ შეგიძლია

იპოვო ხსნის გზა, განუდგე ბოროტებას და სთხოვო ღმერთს შეწყალება ქრისტეს მიერ დაღვრილი სისხლის სადიდებლად.

მე კიდევ ბევრის თქმა მინდოდა შენთვის, ჩემო შვილო, მაგრამ ხელი დამეღალა და თვალიც აღარ მიჭრის. მოისმინე დედაშინის უკანასკნელი სიტყვა, ნათქვამი ამ სწრაფად მიმავალ ცხოვრებაში. მორჩილებით დაიჩოქე ჩვენი მაღალი ღმერთის წინაშე და ჩვენი ძვირფასი მხსნელის იესო ქრისტეს ნებით წმინდა სული მოგეევლინება, მოწყალე მოიღებს შენსკენ ყურს და აგცდება საშიშროება — საშინელი განკითხვის დღეს, სასიკვდილო ძილისგან აღმდგარს, მოესმის სიტყვები, რომელთა უარესიც არაფერია ქვეყნად: „განვედ ჩემგან, უწმინდურო, მე შენ არ გიცნობ“.

ნახევარი საათის შემდეგ ოთახში ებერხარდმა შემოიხედა, რომ პერისთვის პროფესორის პასუხი გადაეცა. პერი ისევ იწვა და ხელში დედის წერილი ეჭირა. ძმის მოულოდნელი გამოჩენით შემკრთალმა პერმა ბარათი საჩქაროდ შედო საბანქვეშ.

ებერხარდი მაინც კარებში შეჩერდა.

— მაშ მე მართალი აღმოვჩნდი, — აცნობა მან საზეიმო ტონით. — ჟოზეფინა იყო პროფესორთან და მან ბრძანა, თუ ვინმე განსაკუთრებით მძიმე ავადმყოფის პატრონი არ მომაკითხავს, დღეს ვიზიტებზე არ წავალო, ხოლო ხვალ, თუ საჭირო ვიქნები, სიამოვნებით გინახულებთო.

პერმა დუმილით დაუკრა თავი. ის არ უსმენდა ძმას და ვერც მიხვდა, რაზე ელაპარაკებოდა. ვერც მაშინვე მიხვდა ებერხარდის სიტყვების ფარულ აზრს, ძმას რომ აშკარად სურდა, პერს უარი ეთქვა პროფესორზე. როცა ებერხარდი ფიცხლად შემოტრიალდა და გაბრაზებით მიიჯახუნა კარი, მხოლოდ მაშინ მოვიდა პერი გონს.

პერს თავადაც ვერ გაეგო, რატომ დააყენა ასეთ ცუდ გუნებაზე დედის წერილმა. მან წინასწარ იცოდა, რომ შიგ მკაცრ, დაუნდობელ გაკიცხვას წაიკითხავდა და ამიტომაც თვით წერილის აზრს სულაც არ აუღელვებია. კიდევაც ნანობდა, რომ ეს გამოსათხოვარი ბარათი ხელში ჩაუვარდა.

თუმცა, თავის გულგატეხილობაში მხოლოდ საკუთარ თავს ადანაშაულებდა. საყვედურობდა თავს, რომ არ შეასრულა მინაწერში მოცემული მითითება. მანამ არ უნდა წაეკითხა წერილი, სანამ ებერხარდთან და სიგნესთან პატარა შეხლა-შემოხლის შემდეგ არ დამშვიდდებოდა.

წერილი სადმე შორს უნდა გადაემალა და ხელმეორედ წაეკითხა, როცა მარტო იქნებოდა შინ, „როცა დამშვიდებული იქნებოდა“. აქ მას ხელს უშლიდა სიგნეც და ერთ-ერთი ტყუპის ცალიც: ისინი წამდაუწუმ იჭვრიტებოდნენ ოთახში, აშკარად სურდათ დაენახათ, როგორ იმოქმედებდა მასზე ამ წერილის წაკითხვა.

სასტუმრო ოთახში საათმა ოთხი დარეკა. პერმა აღელვებით გაიფიქრა, ნეტავი როგორ დამთავრდება ეს დღეო. თუმცა სიგნეც და ტყუპებიც ნასადილევს, რაც შეეძლოთ, სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ მას კარგად ეგრძნო თავი და არ მოეწყინა, მაგრამ პერს მაინც შინ, თავის სენაკის წყნარ სიჩუმეში ყოფნა მოუნდა.

საღამოს ერთხელ კიდევ მოვიდა ებერხარდი. ის ცალკე ცხოვრობდა და ოჯახს დღეში ერთხელ, დაახლოებით სამი საათისთვის მოინახულებდა ხოლმე, ასე დაწესდა დედის სიცოცხლეშივე. პერს გული აუჩვილა იმან, რომ მიუხედავად მათი უთანხმოებისა, ძმამ მაინც გადაწყვიტა კარგა გრძელი გზა გამოეევლო კრისტიანსხავიდან აქამდე საგანგებოდ იმისთვის, რათა გაეგო, როგორ გრძნობდა პერი თავს.

მაგრამ გულითადი საუბარი მაინც არ გამოუვიდათ. პერმა ვერაფრით ვერ გაარკვია, რა იცოდნენ მათ მისი განხეთქილების შესახებ იაკობასთან. თუმცა რამდენჯერმე შეეცადა, დაეკაკლინებინა სიგნესთვის, მაგრამ აშკარად შემკრთალი სიგნე მაშინვე სხვა საგანზე გადაიტანდა ხოლმე საუბარს. პერს ისეთი შთაბეჭდილება შეექნა, თითქოს ძმაც და დაც, მიუხედავად იმისა, რომ ასე ზრუნავენ მასზე, მაინც ფრთხილობენ და მზად არიან ყოველი მისი, თუნდაც მთლად ალალი გულით ნათქვამი სიტყვაც ისე ახსნან, თითქოს ძმა თავისი წარსულით და მაღალი წრის ხალხთან ნაცნობობით ტრაბახობდეს.

ასეც იყო.. არც ებერხარდს, არც სიგნეს მაინცდამაინც არ სჯეროდათ მისი გარდაქმნის გულწრფელობა, მათ ძმა არასაკმარისად მოთვინიერებული ეჩვენებოდათ. ყური მოეკრათ, მდიდარი ებრაელის ქალთან ნიშნობა ჩაშალაო და დიდ იმედებს ამყარებდნენ ამ ნაბიჯზე, მაგრამ რა მოხდა და რატომ, — კარგად არ იცოდნენ, სიგნეს კი არც უნდოდა რაიმე ცოდნოდა, რადგან მას ძმის ცხოვრებაში არაფერი არ აინტერესებდა გარდა იმისა, რაც მათ საშინაო საქმეებს და მისი რწმენის საკითხებს არ ეხებოდა.

მეორე დილით ვიზიტზე მოვიდა პროფესორი. პატარა, გაწამებული და უსუფთაო გარეგნობის კაცუნა პირველად გუნებაზე არ იყო და

უპატიჟოდ იქცეოდა. მას სულაც არ ეპრიანებოდა გაეხსენებინა, რომ უკვე იცნობდა პერს და მოსვლისთანავე განაცხადა, მე თვითონ ავად ვარ და შინიდან არ უნდა გამოვსულიყავიო. სახეზე ისეთი მიწისფერი ედო და თვალებიც ისე ამოლამებოდა, ეტყობოდა, მართალს ამბობდა.

გასინჯვას რომ მორჩა, უფრო თავაზიანი გახდა. ლოგინთან ჩამოჯდა და თქვა:

— რა გინდათ, კაცმა რომ თქვას, გაიგოთ ჩემგან? თქვენ ძალიან ბევრს ჭამთ, სისხლის მიმოქცევა კი არ გივარგათ. ამის თაობაზე მე უკვე გითხარით მაშინ.

პერმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ასეთ უეცარ შეტევებს, ალბათ რაიმე კონკრეტული მიზეზი უნდა ჰქონდესო. ავად თავს არ ვგრძნობ და აღნაგობითაც — რა დასამალია, კარგი და ძლიერი აგებულობისა ვარო.

— ძლიერი? თქვენ მხედველობაში გაქვთ შავმიწა ძალა?.. თუმცა, თუ ასე გინდათ... მაგრამ მე თქვენ გირჩევდით არ წაგეყენებინათ მაინცდამაინც მაღალი მოთხოვნანი თქვენი შავმიწა ძალებისადმი. ის ვერ აიტანს. ესეც უკვე ნათქვამი მაქვს. ჩვენ, დანიელები, ისეთი კუჭების პატრონები ვართ, ძველთაგანვე რომ უხვი ფაფებითა და წვნიანებით არის გაწელილი და ფეხს ვერ ვუწყობთ დროის სწრაფ რბოლას. ჩვენ გლეხების ცხენებს წავაგავართ — მათ ის მაინც შეუძლიათ, რომ ძველებურად ჩორთით ირბინონ და კუდით ბუზები იგერიონ, მაგრამ ნამდვილი დოღისთვის არ გამოდგებიან. დღეს, უპატივცემულესო, მნიშვნელობა არა აქვს მხრების სიგანეს თუ თეძოს მოყვანილობას. დღეს ჩვენ გვჭირდება რკინა სისხლში და ფოსფორი — ტვინში. კიდევ საჭიროა ისეთი ნერვები, ჯერ რომ მთლად არ მოსდებიათ ქონი, ჩემო ძვირფასო. საზოგადოდ, როგორც უკვე გითხარით, ნუ გექნებათ თქვენი აგებულების იმედი: მაინცდამაინც სატრაბახო არაფერი გაქვთ!

— მე კი სწორედ ახლა მჭირდება მაქსიმალური შრომისუნარიანობა, — უთხრა პერმა და სთხოვა პროფესორს, დაენიშნა მისთვის ყველაზე უფრო შესაფერისი საშუალებები ჯანის გასამაგრებლად.

მაგრამ პროფესორმა სევდიანად გადააქნია თავი.

— ჯანის გასამაგრებელი? ასეთი არაფერი ვიცი.

— კი მაგრამ, ამასწინათ რომ გესაუბრეთ, თქვენ მირჩიეთ ტანვარჯიში, ცივი შხაპი, მოკლედ — ორგანიზმის ყოველმხრივი გაკაჟება.

— კი გირჩიეთ... ხომ უნდა გამომეწერა რაიმე. მით უფრო, ის წამალი

არ გაწყენდათ, თუმცა თქვენთვის გაცილებით უმჯობესი იქნებოდა, ასე თქვენს პატივცემულ პაპებსა და პაპის პაპებს გაეკაჟებინეთ. რადგან ახლა ჩვენ ჩვენი ძვირფასი მიცვალებული წინაპრების ცოდვებისთვის ვასწორებთ ანგარიშს — ბუმბულის ლეიბებისათვის, მთელი წლის გამოუცვლელ ოფლიან, შალის თეთრეულისთვის, ფქვილის წვნიანი კერძებისთვის, საყნოსავ თამბაქოსათვის და მთელი მათი წიგნის ჭიებსავით კარჩაკეტილი ცხოვრებისათვის. თქვენ ხომ, ცხადია, პასტორის შვილი ხართ. მე კი პირადი გამოცდილებით ვიცი, რით კვებავენ მრავალრიცხოვან შვილებს და შინაურებს ამ იდეალურ ოჯახებში. სადაც ხორცის მაგიერ კაცს ხშირად ლოცვას მიართმევენ ხოლმე. აბა, ცივ წყალს თუ ივლებთ მაინც რეგულარულად?

პერმა მოიმიზეზა, ამ ბოლო დროს ისეთ პირობებში ვიყავი, სისტემატური გაკაჟების საშუალება არ მქონდაო.

— უმჯობესია პატიოსნურად აღიაროთ, რომ ცივი წყლისა გეშინიათ. ეს შემიძლია გაგიგოთ. სულაც არ არის სასიამოვნო ცივი წყლის გადავლება, თუ ბავშვობიდან არა ხართ შეჩვეული ამას. ახლა კი, უპატივცემულესო, პირის დაღება ინებეთ, ყელს გაგისინჯავთ.

პერმა პირი გააღო.

— ასეც ვიცოდი, უკანა კბილების ნახევარი აღარა გაქვთ. თქვენ, ალბათ, ფრიად მოწიფულობის დროს გაეცანით ცივილიზაციის ისეთ პროდუქტს, როგორიცაა კბილის ჯაგრისი. მეც ოცი წლისა ვიყავი, როცა ის ვიხმარე. მანამდე კი, რაკი მამის კვალზე მივდიოდი, დილით პირში „მამაო ჩვენოს“ კარგ ულუფას ვივლებდი ხოლმე. თუმცა, ნუ გავიხსენებთ ძველ ცოდვებს, — შეწყვიტა მან ნახევარ სიტყვაზე, დაილრიჯა და მარცხენა გვერდზე მიიდო ხელი.

პერი სერიოზულად გაბრაზდებოდა ამ ტირადაზე, თავიდანვე რომ არ მიმხვდარიყო, ჩემს წინაშე დგას დატანჯული, ძალზე დაავადებული ადამიანი, ვისაც თავადაც არ ესმის, რას ამბობსო. ამიტომაც მაინცდამაინც არ შეშინებია პირქუში პროგნოზებისა; კარგად ხედავდა, რომ პროფესორი საკუთარ მდგომარეობაზე უფრო მეტს ფიქრობდა, ვიდრე თავის პაციენტისაზე.

მაგრამ მაინც მისცა პერმა კიდევ ერთი უკანასკნელი შეკითხვა. უთხრა, ასე მეჩვენება, ქალაქში ცხოვრება უნდა მვნებდესო. და აი ხომ არ ფიქრობს პროფესორი, რომ მომავალში პერისათვის უფრო სასარგებლო იქნებოდა სოფელში დასახლება?

— რა თქმა უნდა! ცხადია, გადასახლდით ბალახზე. და რაც შეიძლება მალე! მხოლოდ იქ ვართ ჩვენ შინ. ქვაფენილები ჩვენი თაობისათვის არ არის და იქნებ ჩვენი მომავალი თაობისათვისაც არ გამოდგეს. ახლა კი ერთი-ორი დღე იწექით და დაიმშვიდეთ ნერვები. შემიძლია გირჩიოთ კიდევ ბრომიანი კალიუმი, სუფრის კოვზით მიიღეთ ძილის წინ. საერთოდ კი, უბედურებაში ძვირფასო თანამოძმეო, მოდით, უფრო მოთმინებით მოვეპყროთ ჩვენი გაჭიმული ნაწლავების ყოველგვარ მოძრაობას. როცა იმ ქვეყნად წავალთ, თავს ვეღარ მოგვაბეზრებენ.

* * *

პერს არ უნდოდა დიდხანს წოლილიყო ლოგინში; მეორე დილითვე აღვა, ხოლო ერთი დღის შემდეგ შინ დაბრუნდა. მეცადინეობის დაწყებამდე დღეები დათვლილი ჰქონდა და კვლავ მუშაობას შეუდგა.

თუმცა ექიმის რჩევას, უფრო მეტად გაეწია ანგარიში თავისი ჯანმრთელობისთვის, უქმად არ ჩაუვლია. პერი უწინდებურად შვიდ-რვა საათს მუშაობდა, მაგრამ დროს უფრო გონივრულად ანაწილებდა: ყოველდღე დასეირნობდა და უცოლშვილოდ დაბერებული კაციერთ, იმით ერთობოდა, რომ ინტერესით ადევნებდა თვალს ქუჩის ცხოვრებას. თუმცა, ფრედერიკსბერგის საზღვრებს მხოლოდ კვირაში ერთხელ თუ გასცდებოდა — კვირა დღეს, როცა ეკლესიაში მიემგზავრებოდა. ამასთან, ცდილობდა არ მოხვედრილიყო ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში, რომ არ შეხვედროდა ვისმე თავის მეგობართაგანს, ან უბრალოდ ნაცნობთაგანს. ერთხელ ტრამვაიში სწორედ პირდაპირ დაუჯდა კლასის ამხანაგი, ეს კაცი დიდხანს ათვალიერებდა ეჭვნარევი ღიმილით და, როგორც ჩანდა, აშკარად ცდილობდა მოეგონებინა, სად ენახა. პერს შეეშინდა არ მიცნოსო და ტრამვაიდან რამდენიმე გაჩერებით ადრე გადმოვიდა, ვიდრე საჭირო იყო. უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სკოლის ახალ თანაკურსელებთან მას ნაცნობობა არ გაუბია. ზოგჯერ ნახულობდა ახლობლებს, ერთხელ მასთან საპასუხო ვიზიტით ებერხარდმაც შეიარა, მაგრამ ნამდვილად ვერ დაუახლოვდნენ ერთმანეთს, რაკი ახლა პერი თავადაც გაურბოდა ამას. სიფრთხილის გამო ის ახლა ვარტოვის სამლოცველოში აღარ დადიოდა, ეძებდა ისეთ ეკლესიას, სადაც ხალხი უფრო ნაკლებად იყო, რომ წირვის დროს კვლავ ფეხზე დგომა არ დას-

ჭარვებოდა. ამასთან თავს წმინდა „გრუნდტვიგიანელად“ არ თვლიდა და ხეირიანად არც კი იცოდა, რას ნიშნავდა „გრუნდტვიგიანელობა“ რელიგიის მიმართ, — ისე რომ, აქაც მარტოხელა მაძიებლად რჩებოდა. დედის წერილი კი, რომელსაც პერი ხან კარგ გუნებაზე კითხულობდა და ხან ცუდზე—მხოლოდ უფრო აფიქრებდა და აფრთხობდა. უსიამოვნო გრძნობა, ამ წერილის პირველად წაკითხვამ რომ აღუძრა, არ უქრებოდა. ბოლოს პერმა აიძულა თავი, მთლად დაევიწყებინა ეს უსტარი, რათა კვლავ ეჭვების მსხვერპლი არ გამხდარიყო.

დადგა შემოდგომა. გარეულმა ყურძენმა მეწამულისფრად შემოსა ქალაქგარეთა ვილების კედლები, არხების დაბინდულ წყალზე წითელი და ყვითელი ფოთლები ირხეოდა. პერს ძალიან მოსწონდა ეს წყნარი, მდუმარე პარკი; მისი ბინა ამ პარკთან ძალიან ახლოს იყო. ყველაზე მეტად დილაობით პარკში სეირნობა უყვარდა, სანამ ბრბო აავსებდა მის ხეივნებს. ღამის სიგრილე ასდიოდა ნათელ კორდებს, ნამი ბალახს ვერცხლისებური ობობას ქსელივით მოსდებოდა, თეთრი გედები ჩადოქრული ზღაპრების მოჯადოებული პრინცესებივით წყნარად დაცურავდნენ არხის მუქ წყალზე.

მერე პარკის ხეივნებს მოსეირნენი ავსებდნენ და შეგეძლოთ აქ მთელი დღე საინტერესო სცენებისთვის გეცქირათ; სცენები სცენებს სცვლიდა და ადამიანის მთელი ცხოვრების პატარა სურათს ქმნიდა. პარკი დილაადრიან მარტოხელა მანდილოსნებითა და ბატონებით ივსებოდა. ეს უმთავრესად ხნიერი ხალხი გახლდათ, ვინც, როგორც სახის გამომეტყველებაზე ეტყობოდათ, სრულიადაც არ სეირნობდნენ საკუთარი სიამოვნების გამო. ეს გახლდათ წყნარი ჭვრეტის დრო, როცა აპოპლექსურკისრიანი კომერსანტი ანგარიშს ასწორებდა გუშინდელი ბარაქიანი სადილისა და ზედმეტად ნაყლურწი შამპანურისათვის, როცა ნერვიული მანდილოსანი უძილო ღამის შემდეგ თავის თავს ფიცს აძლევდა, გულიდან ამოეგდო თავისი დანაშაულებრივი სიყვარული, რის გამოც მიუხვედრელმა შინაურმა ექიმმა მას კარლსბადში გაძლიერებული მკურნალობის კურსი გამოუწერა. მერე პარკი ერთბაშად გამოცოცხლდებოდა ხოლმე. ყველა სახლებიდან გამოდიოდნენ სკოლის მოსწავლეები და ბილიკებს და მთავარ ხეივნებს მოედებოდნენ. საათის მორიგ დარეკვაზე სურათი კვლავ იცვლებოდა. ნასაუზმევს ქვაფენილზე მოაბიჯებდნენ მოხუცი პენსიონერები, უახლეს კვარტალში რომ ცხოვრობდნენ. ყველაზე მოხუცნი ან დაძაბუნებულნი ბორბლებიანი სავარძ-

ლებით დადიოდნენ. ამავე დროს ბავშვებიც გამოჩნდებოდნენ ხოლმე. ყველაზე პაწაწინები — საბავშვო ეტლებში იწვნენ. ის საათი, როცა პარკის ხეივნებში ბავშვობა და მოხუცებულობა ღიმილით ეგებებოდა ერთმანეთს, ასე ვთქვათ, იდილიური მწვერვალი გახლდათ სურათთა უსასრულო ცვლისა. ზოგჯერ მოსეირნენი პატარა ეკლესიის გარშემო იკრიბებოდნენ. დაკრძალვა თუ ნათლობა — ყველაფერი ერთნაირად აინტერესებდათ. შუადღისას მოსეირნეებს ახალი გასართობი გამოუჩნდებოდათ — ქორწინებები. როგორც კი პატარძალიანი თეთრცხენებშებმული ეტლი ხეივნის ბოლოს გამოჩნდებოდა, ყველაზე უფრო დაჩაჩანაკებული მოხუცებიც მიცუხცუხებდნენ ეკლესიისკენ. მაგრამ როცა ხმაურიანი საქორწინო მაყრიონით სავსე ეტლები ქალაქისკენ გაეშურებოდა, მათ სულ სხვა ეტლები სცვლიდა — ჩუმი და ფერწასულსტუმრებიანი. ეს იყო დაბალი, მთლად დახურული შავი კატაფალკები, რომლებსაც დაბინდებისას ქალაქის დასავლეთ განაპირას სასაფლაოს სამლოცველოებისკენ განსვენებულთა გვამები მიჰქონდათ. უწყვეტი რიგით მიედინებოდნენ ისინი საავადმყოფოებიდან, კერძო სახლებიდან, ხანდახან ყოველგვარი გამცილებლების გარეშე, ხან კი ერთადერთი ეტლის თანხლებით. ამავე დროს სასაფლაოს გრძელი თეთრი ღობის გადაღმა კაშკაშა სინათლეებით ენთებოდა მეორეხარისხოვანი ქალაქგარეთა ბაღები და გამამხიარულებელ დაწესებულებების მწკრივები. იღებოდა კაბარეების კარები, გრიალებდა სასულე ორკესტრები, ტრიალებდა კარუსელი, ხოლო ტრამვაები და ომნიბუსები სიკვდილის კილვატერში ღვრიდნენ ხმაურიან, მხიარულ კოპენჰაგენელთა ხროვას, ახალგაზრდებს და სიცოცხლის ხარბებს. მხოლოდ გვიან შუაღამეზე ჩუმდებოდა ყველაფერი. ხეივნებში შუქი ქრებოდა, ბოლო ეტლი მოგვიანებული წყვილით ქალაქისკენ მიემგზავრებოდა. ახლა უკვე აღარაფერი არღვევდა სიჩუმეს, გარდა ეკლესიის ჟანგიანი საათის ხრინწიანი რეკვისა. და კიდევ ზოოლოგიური ბაღიდან დროდადრო მოისმოდა სევდიანი ღმუილი: უბედურ ლომს რკინის მოაჯირს იქით მშობლიური უდაბნო ესიზმრებოდა. ეს დაკვირვებანი ძალიან ართობდნენ პერს სეირნობისას. მარტოობამ საოცრად ამთვისებელი გახადა. ყოველდღიური ცხოვრების წვრილმანი, წინათ რომ ყურადღებიდან უსხლტებოდა, ახლა არ გამოეპარებოდა ხოლმე და ცოცხლად ეუფლებოდა მის წარმოდგენას და აზრს.

ამასობაში დღეები დღეებს მისდევდა, ბერეგრავისაგან კი პასუხი არ იყო. ამან პერი შეაწუხა. ფული აღარ ჰქონდა. იძულებული იყო, ზოგი ტანსაცმელი დაეგირავებინა, რათა ლექციების მოსმენის საფასური გადაეხადა. თავისი არსებობა რომ შეეხსენებინა, პერმა წერილი მისწერა ბერეგრავს და მეორე დღეს მიიღო პასუხი, პოლკოვნიკი მოკლედ ატყობინებდა, კარგად მოფიქრების შედეგად შესაძლებლად არ მიმაჩნია იმ თხოვნის შესრულება, რომლითაც მომმართეთო.

პერს წერილი ხელში გაუშეშდა. მაშინვე ვერ მიხვდა, რომ გააცურეს. მერე ქაღალდი გვერდზე გადადო. კაცმა რომ თქვას, პოლკოვნიკზე ვერც გაჯავრდებოდა. რასაც დასთეს, იმას მოიმკი. ის მხოლოდ საკუთარ თავს ლანძღავდა, რომ სიამაყის გამო თავის მაგივრად სხვას აგზავნიდა. რა თქმა უნდა, აბა ვის ესიამოვნება ფული სთხოვოს უცნობ ადამიანს, ხოლო მისთვის კი, ვინც ოდესღაც ოცნებობდა, თავის თანამედროვეთა განმგებელი და მბრძანებელი გამხდარიყო, პირდაპირ საშინელება იყო ასე მათხოვრად სიარული. მაგრამ პერმა დაიმსახურა ასეთი სასჯელი. ღმერთმა არ აპატია ღვთისმგმობელობა. ღმერთს არ უნდოდა აეცილებინა მისთვის დამამცირებელი სიღატაკე. მან მთლიანად უნდა გამოისყიდოს ძველი ცოდვები.

სამოქალაქო მრჩევლის, ერიკსენის კანტორა ხეიბრუპლადსზე მდებარეობდა, არხზე გამავალ დიდი კუთხის სახლის მეორე სართულზე. პერი დიდხანს დადიოდა სადარბაზოს წინ, რათა მოეფიქრებინა, რით დაეწყო საუბარი ან საერთოდ როგორ დაეჭირა თავი ერიკსენთან. ზემოთ რომ ავიდა, კვლავ შეჩერდა. ნახევრადბნელ დარბაზში, რომლის კუთხეც კარადით იყო გადატიხრული, მაგიდებთან ოციოდე ადამიანი მუშაობდა. პერთან მიირბინა კანტორის ახალგაზრდა მოსამსახურემ და ჰკითხა, რა გნებავთო. პერმა მიუგო სამოქალაქო მრჩეველ ერიკსენთან მოლაპარაკება მსურსო.

კანტორის მოსამსახურემ განცვიფრებით ახედ-დახედა.

სამოქალაქო მრჩეველი ახლა არ გახლავთ. ბატონი მრჩეველი საზღვარგარეთ გაემგზავრა და მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ დაბრუნდება. იქნებ მე, კანტორის მოსამსახურემ, შეეძლო რაიმეში გამოგადგეთო?

მაგრამ პერი უკვე კარისკენ გაეშურა. თავისი გვარის დასახელება რომ არ დასჭირვებოდა, ახსნა-განმარტების მიუცემლად წასვლა იჩქარა

ქუჩაში რომ გავიდა, პერმა გაიფიქრა: „რაღა ვქნა ახლა?“

მის თვალწინ სექტემბრის მზის უხვ სხივებქვეშ ყვავილებითა და ხილით სავსე ბაზარი აჭრელებულიყო. ამაგერელ გამყიდველ ქალებს ყურებიანი თავსაბურები ეხურათ, ჩამსხდარიყვნენ კალათებს შორის და მყიდველებს ეპატიჟებოდნენ. მებაღეები თავიანთი ურიკებიანად რიგში ჩამწკრივებულიყვნენ; ამ ხმაურში, ყვირილში და კამათში ცოცხალი ვაჭრობა იყო გაჩაღებული. შემოდგომის სიუხვის ამ სურათის დანახვისას პერს გულს მოაწვა აქამდე შეუცნობელი შიშის გრძნობა — შიშისა არა სულიერი, არამედ ხორციელი ტანჯვის წინაშე, ყოველდღიური ცხოვრების გასაჭირის — შიმშილის, სიცივის, ჭუჭყის წინაშე. ფიქრად გაიელო, ტანსაცმელი რომ გავყიდო, ათ-თორმეტ კრონს ძლივს მომცემენ შიგო. ეს ერთ კვირას ეყოფოდა; ვთქვათ, ორ კვირასაც. მერე რა უნდა ექნა?

ძალის დატანებით აიძულა პერმა თავი, ადგილიდან დაძრულიყო და შინისკენ გასწია. მაშასადამე, სხვა გამოსავალი უნდა ეძებოს, აბა, სულით ხომ არ დაეცემა.

რა სიძნელეებიც არ უნდა ელოდეს, რა დამცირებაც არ უნდა აიტანოს, პერი არაფერს არ ნანობს და წინანდებურად არ სურს ქედი მოიხაროს ჩვენი სამყაროს მეუფის წინაშე. მისთვის ხომ ახალი ამბავი არ არის, რომ ღმერთთან მისვლა შეიძლება მხოლოდ ტანჯვით განწმენდის შემდეგ; ამაზე ბევრი სმენია ჯერ კიდევ ბავშვობისას, როცა დედის საწოლთან პატარა სკამზე იჯდა ხოლმე. თუ ახლა მაინც შეძრწუნდა რწმენისათვის ნამდვილი ტანჯვის პერსპექტივის წინაშე, ეს მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ მუდამ ასე ეგონა, ტანჯვის შესახებ მხოლოდ იმიტომ ლაპარაკობენ, რომ იმჭევრმეტყველონო. ამ შეცდომაში სიმართლის ნაწილიც ერია. ტყუილად ხომ არ პოულობს პასტორი ბლომბერგი ასეთ გრძნობიერ და მგზნებარე გამოთქმებს, როცა ღმერთის შემწეობით მოპოვებულ ცხოვრებისეულ სიკეთეზე და სიხარულზე ქადაგებს, მაგრამ როგორც კი ლაპარაკი მსხვერპლზე და ტანჯვაზე ჩამოვარდება, მჭევრმეტყველება ღალატობს. დროა გავიგოთ, რომ ეკლიანი გზისა და ჭრილობიანი ფეხების შესახებ ლაპარაკი გაზვიადება არ არის. პერს არ ეშინია, მომავალში თუ კარგად ვერ იცხოვრებს, რადგან შეიგნო, რომ მხოლოდ ასე შეიძლება ღმერთთან მიახლოვება, მხოლოდ ასე შეიძლება ჩასწვდეს ჭეშმარიტებას, ამჟამად რომ დაფარულია მისთვის და სწორედ თავისი მიუწვდომლობით არის საშიში.

მაგრამ გინდ ასე თქვი, გინდ ისე, ცხოვრების სახსრები სადმე უნდ>

ეშოვო. წამით პერს ფონ პრანგენის ოჯახი მოაგონდა. არა, არ გამოდგება. ვინც გინდა იყვნენ, ოღონდ ისინი კი არა, მაინცდამაინც თაეშეკავებული ხალხი არ არის და აუცილებლად ინგერსა და მის მშობლებს მიუვა ამბავი. აბა, რას იფიქრებენ ბლომბერგები, თუ გაიგებენ, რომ პერმა ვერ გამონახა სხვა საშუალება ჰოფეჰერმეისტერის სტუმართმოყვარეობისათვის მადლობის გადახდისა, გარდა იმისა, რომ ფული მოსთხოვა სესხად? და მეორეც, აკი ეცადა ერთხელ და არაფერი გამოუვიდა; ეს უდაოდ ამტკიცებს, რომ თხოვნა უსარგებლოა მანამ, სანამ საბოლოოდ არ მიიღებენ მის ამოსაშრობ სამუშაოთა პროექტს და სანამ მას არ დაამტკიცებენ ინსპექტორის თანამდებობაზე. მაშ რა ქნას? ერიკსენისთვის წერილის გაგზავნას აზრი არა აქვს, ხოლო კოპენჰაგენის რომელიმე ტექნიკური ბიუროსთვის ორი თავისი პატენტის დათმობა უკვე სცადა, მაგრამ უშედეგოდ.

ამიტომაც პერმა გადაწყვიტა, დროთა განმავლობაში ყველაფერი როგორმე მოგვარდებაო, ხოლო ახლა საჭირო იყო გაეყიდა ან დაეგირავებინა ზედმეტი გარდერობის ნარჩენები და ზოგი ფუფუნების საგანი, ურომლისოდაც შესანიშნავად გაძლებდა. იმედოვნებდა, რომ მის პროექტს სულ ახლო მომავალში მიიღებდნენ და მაშინვე ავანსს მოითხოვდა. როცა სტუმართმოყვარეობისთვის წერილობითი მადლობა შეუთვალა ჰოფეჰერმეისტერის მეუღლეს, ქალმა წერილითვე უპასუხა, სადაც, თუმცა გაკვრით ახსენებდა პერისთვის შეთავაზებულ თანამდებობას, ატყობინებდა, ამ მხრივ ძალზე სასიხარულო იმედები მაქვსო და განმეორებით საშობაოდ ეპატიჟებოდა კერსხოლმში.

გავიდა რამდენიმე კვირა. უკვე ოქტომბერი იდგა და არავითარი ხსნის იმედი არ იყო. მაგრამ პერი გულს არ იტეხდა და უწინდებურად ბედის წყალობის იმედი ჰქონდა. უბრალოდ ვერ დაეჯერებინა, რომ ღმერთი მოინდომებდა მის უფრო მეტად გაცამტვერებას. რათა ფული სწავლისთვის უფრო მეტ ხანს ჰყოფნოდა, პერი ჭამითაც ცოტას ჭამდა. მთავარი ახლა ის იყო, რომ თუნდაც გამოცდების ჩაბარებამდე გაეძლო როგორმე. მაშინ შესძლებდა სადმე მაინც მოწყობილიყო ან კერძოპრაქტიკიანი მიწისმზომელი გამხდარიყო და დაეცადა, როდის დადგებოდა მისი ჯერი. მაგრამ უდიპლომოდ, უფულოდ და გავლენიანი ნაცნობების გარეშე მხოლოდ შიმშილით სიკვდილი შეეძლო, ან შავ მუშად დადგომა.

პირქუში, ავდრიანი შემოდგომის დღეები მღელვარებაში და დაძა-

ბულ მოლოდინში გადიოდა. დილაობით ფოსტას რომ არიგებდნენ, პერი ფანჯარას არ შორდებოდა იმის მოლოდინში, ფოსტალიონის წითელი ფორმა ხომ არ გამოჩნდაო. ხსნას იუტლანდიიდან ელოდა. ახლა ის რეგულარულ მიწერ-მოწერაში იყო ჰოფეჰერმეისტერის მეუღლესთან. ამ ქალმა უდიდესი კმაყოფილებით იკისრა შუამავლის როლი პერსა და პასტორის სახლს შორის ბესტრუპში. თუმცა ერთხელაც არ შემოუთვლია მოკითხვა ინგერისაგან, მაგრამ სამაგიეროდ ნათლად აგებინებდა, არ დაგვიწყებიხართ და მე და ეს ქალიშვილი ხშირად გიგონებთო. ამოსაშრობ სამუშაოთა პროექტზეც იწერებოდა ყოველ წერილში, მაგრამ თანდათან სულ უფრო და უფრო თავშეკავებულად კი ახსენებდა ამ პროექტს. იქ შედგა თურმე მონაწილეთა ორი სხდომა და მისმა ქმარმა გულმოდგინედ მოკიდა ხელი საქმეს. „მაგრამ დასანანია, რომ მათ ერთსულოვნებას ვერ მიაღწიეს, — იტყობინებოდა ბოლოს ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე, — ისე რომ, ჯერჯერობით ფრიად არახელსაყრელი პროგნოზებია“.

და, თითქოს ყველა უბედურების დასაბოლოვებლად, პერმა ამის შემდეგ მაშინვე მიიღო მეორე, შეკვეთილი წერილი; ეს ბარათი დიდხანს უგზო-უკვლოდ დახეტიალობდა თურმე პერის ძებნაში და კერსხოლმშიაც კი მისულა. წერილი რომიდან იყო, იმ ახალგაზრდა მოქანდაკისგან, ბარონესას შეკვეთით მის ბიუსტს რომ აქანდაკებდა. მოქანდაკე იტყობინებოდა, ბიუსტი შესრულებულია მარმარილოთი, უკვე მზად არის და როცა გნებავთ, მაშინ გადმოგიგზავნითო. მერე მოქანდაკე პერს სწერდა, სწორედ ახლახან ვაცნობე ეს ამბავი ბარონესას და თავაზიანად გადავუკარი სიტყვა დაპირებული ჰონორარის თაობაზე, მაგრამ ჩემდა დიდად გასაკვირად, ბარონესას მამულების მმართველმა შვეციაში უკანვე დამიბრუნა ეს ცნობა, ზედ მიუწერია, რომ მისმა მოწყალებამ ვერაფრით ვერ გაიხსენა, მისცა თუ არა მსგავსი დაკვეთა ვისმეს და საერთოდაც მას არ ჰქონდა ამის უფლება თავისი მეურვეების თანხმობის გარეშეო. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო მოქანდაკე სთხოვდა პერს, დახმარებოდა მისთვის მეტისმეტად საჭირო ფულის მიღებაში.

ამ წერილმა პერს გუნება აუმღვრია იმდენად იმის გამო კი არა, რომ ფულს სთხოვდნენ, არამედ იმის გამო, რომ ამან მოაგონა ის დრო, რომელიც თავისი უაღრესი დაცემის ხანად მიაჩნდა. პერი სირცხვილით წამოენთო, როცა წარმოიდგინა ეს ბიუსტი, ალბათ მბრძანებლის თავხედი და არაბუნებრივი გამომეტყველება ეწერა სახეზე. ოჰ, როგორ

ძალიან უნდოდა პერს, საშუალება ჰქონოდა პირადად გაესწორებინა ანგარიში მოქანდაკისთვის, რათა მერე ეთხოვა მისთვის, დაემტვრია „ხელოვნების ნაწარმოები“ წვრილ ნატეხებად და ნამტვრევებით, როგორც ღორღით, მოეკირწყლა გზა, — ესე იგი რაიმე საქმეზე მაინც გამოეყენებინა. მაგრამ სამწუხაროდ იძულებული გახლდათ, ეს თავაზიანი წერილი ჯერჯერობით უპასუხოდ დაეტოვებინა; ამის თაობაზე ჰოფეჰერმეისტერის ან მისი მეუღლისთვის მიმართვა საშიში იყო, — ამას შეეძლო ევნო იმ საქმისთვის, რომლისგანაც ამჟამად დამოკიდებული იყო მთელი მისი კეთილდღეობა. მათ შეეძლოთ ცუდად გაეგოთ ასეთი ჩარევა ბარონესას საქმეებში, მით უფრო, რომ ჰოფეჰერმეისტერის მეუღლეს ერთხელაც კი გულახდილად არ უხსენებია პერთან, რომ მისი და გონებასუსტი იყო.

გავიდა კიდევ რამდენიმე კვირა. ნოემბრის ბოლოს პერი კატასტროფის პირას აღმოჩნდა. მისი გარდერობიდან ნივთი ნივთზე ქრებოდა, წიგნების უმეტესი ნაწილი უკვე გაყიდული ჰქონდა. ბრილიანტის საკინძეებიც, ოდესღაც იაკობამ რომ აჩუქა, მის უკან დაბრუნებას პერი პირველსავე მოხერხებულ შემთხვევაში აპირებდა, იძულებული იყო ჩალის ფასად გაეყიდა. მოახლოვდა ბინის ქირის გადახდის დრო, პერს კი ისედაც მედუქნის ვალი ედო.

აფორიაქებული რომ იყო, ეს მუშაობაშიც ხელს უშლიდა. გარდა ამისა, მუდმივი შიმშილით ქანცი ჰქონდა გაწყვეტილი. რაც თავი ახსოვდა, პირველად იყო, რომ ლოყებზე სიღაჟღაჟის ნასახიც აღარ ეტყობოდა. თავისიანებთან არ დადიოდა. თავადაც იცოდა, რომ ძალიან ცუდად გამოიყურებოდა და ეშინოდა, გამოკითხვებით გული არ გაეწყალებინათ მისთვის.

მაშინ პერმა ხელახლა გადაწყვიტა, ბედი კვლავ სამოქალაქო მრჩეველ ერიკსენთან მოესინჯა, მაგრამ მრჩეველი, როგორც გამოირკვა, გზაში გაციებულიყო და შობაზე ადრე ვერ დაბრუნდებოდა. დარჩა უკანასკნელი საშუალება —მევახშისთვის მიემართა. პერმა ყველა გაზეთი გადაათვალიერა, მოძებნა მათში რამდენიმე ერთნაირი, წვრილი შრიფტით დაბეჭდილი განცხადება, რომელთა საშუალებითაც კაცობრიობის ეს ქველმოქმედნი ყოველდღიურად ახსენებდნენ ხალხს თავიანთ არსებობას. პერი შეჩერდა ვინმე სენდერგორზე; ამ გვარს ენდობოდა, რადგან მათ ქალაქში ოდესღაც ცხოვრობდა ძალიან წესიერი ნაცნობებით მოვაჭრე მოხუცი ქალი და მასაც აგრეთვე სენდერგორს

ეძახდნენ. იცოდა, რომ ეს ხალხი უფრო მეტად საღამოობით არის ხოლმე შინ, დაბინდებისას, ამიტომ ექვსი საათისათვის მოემზადა და ქალაქში წავიდა.

ბატონი სენდერგორი, ვინც თავს ფინანსურ ოპერაციათა მომრიგებელს უწოდებდა, ცხოვრობდა ტაძრის მახლობლად, ერთერთ იმ წყნარ ქუჩაზე, დღეში ასჯერ რომ გადასჭრიან ხოლმე საქმის ხალხი გზის შესამოკლებლად, თუმცა თითქმის არავინ იცის, რა ჰქვია ამ ქუჩას. პერმა რამდენჯერმე ჰკითხა გამვლელს გზა და იძულებული იყო, წარწერებიც წაეკითხა, სანამ მისთვის საჭირო ქუჩას მიაგნებდა. ეს გახლდათ ვიწრო უდაბური შესახვევი. შესახვევში ერთადერთი ფარანი სწორედ იმ სახლის პირდაპირ ენთო, რომელსაც ყმაწვილი კაცი ეძებდა. მაშინ პერი მეორე მხარეს გადავიდა და შეხედა მეორე სართულის ფანჯრებს, სადაც, მისამართის თანახმად, ბატონი სენდერგორი ცხოვრობდა. მთელი სართული სამი ფანჯრისაგან შედგებოდა, ფანჯრებში სინათლე ენთო. მაშასადამე, პატრონი შინ იყო.

კარი ექვსი-შვიდი წლის წითურმა გოგონამ გაუღო. კი არ გაუღო, ოდნავ გამოაღო ჯაჭვის მოუხსნელად და ლურჯი, დედოფალასნაირი თვალებით ჭუჭრუტანაში გამოიჭვრიტა. რადგან ვერ გაარკვია, რა უნდოდა პერს, მან მთლად ბავშვურად შესთავაზა, სჯობს მამაჩემს მოელაპარაკოთო. მერე თითის წვერებზე დადგა, გააღო კარი და შეუშვა პერი მთლად ჩვეულებრივ მეშჩანურად მოწყობილ სასტუმრო ოთახში. ასეთი სასტუმრო ოთახებით სავსეა კოპენჰაგენი: მაგიდის ქვეშ ხალიჩაა, გაფენილი, კედლებზე სურათები ჰკიდია, დევს ალბომი და თაროებზე იაფფასიანი სამშვენისები აწყვია.

პერი განცვიფრდა და თანაც გაუხარდა: აქ ყველაფერი ძალიან მყუდროდ, შინაურულად გამოიყურებოდა. საწერ მაგიდაზე ფანჯარასთან იდგა ლამპა და პაპიროსის ქაღალდის წითელი აბაჟური ეფარა. დივანის თავზე დაკიდებულ მრვალრიცხოვან პორტრეტებს შორის პერმა დაინახა სრული შესამოსელით მოსილი პასტორის პორტრეტი და სოფლის ეკლესიის სურათი. ამ დროს მეზობელი ოთახიდან თვით ბატონი სენდერგორი გამოჩნდა. ეს გახლდათ მაღალი, ჩასხმული მამაკაცი, ფართო მწითური წვერი ჰქონდა, შიგ აქა-იქ ჭაღარა გარეოდა. პირველად, ცოტა არ იყოს, ფრთხილად ეჭირა თავი, რადგან აშკარად ვერ შესძლო ერთი შეხედვით განესაზღვრა, რა კაცი მოვიდა მასთან, რაკი პერი ნახევრად სიბნელეში იდგა კართან. პერმა თავადაც იცოდა, რომ მისი

ხშირი შავი წვერი და გრძელი ლაბადა აქ, ცოტა არ იყოს, უცნაურ შესახედაობას აძლევდა მას. ბოლოს ბატონმა სენდერგორმა დაჯდომა შესთავაზა და ჰკითხა, რით შემიძლია გემსახუროთო. ორივე დაჯდა.

ბატონ სენდერგორს, როგორც ჩანდა, ახლახან ევახშმა. მთლად არც კი დაეღეჭა ბოლო ლუკმა და ყველის სუნით ყარდა. პერმა მაშინვე ჯიქურ მიახალა რამდენი ფულიც სჭირდებოდა, შეეხო თავისი მომავლის გეგმებს და გარანტიებს, რისი წარდგენის საშუალებაც ჰქონდა, გარდა ამისა, რადგან აღნიშნული გარანტიები ორი პატენტით ამოიწურებოდა, გადაწყვიტა დაეზღვია თავისი სიცოცხლე იმ თანხით, რაც სესხის ოდენობას შეესაბამებოდა. ბატონი სენდერგორი დუმდა. მაგიდასთან სავარძელში იჯდა და ახლა, ლამპის შუქზე რომ კარგად დააკვირდა პერი, მაინცდამაინც სასიამოვნო კაცად არ მოეჩვენა. სახეზე წითელი ლაქები აჩნდა, მოფამფალებული ლოყები თითქოს ჩამოჰკიდებოდა და უცნაური მოყვითალო თვალებით გამგმირავად, გამომცდელად იყურებოდა. ალბათ ძალიან მადიანად თუ ივახშმა: ისე მოურიდებლად აბოყინებდა, ვეებერთელა მუცელი უთახთახებდა. მაგრამ ეტყობოდა, ამის გამო სულაც არ გრძნობდა თავს უხერხულად.

სენდერგორის დუმილი პერს კარგ ნიშნად ეჩვენა და შეუდგა სესხის პირობების გამორკვევას, მაგრამ იმის მაგიერ, რომ მისთვის პასუხი გაეცა, სენდერგორმა უეცრად ჰკითხა, შეგიძლია თუ არა თავმდებები იშოვოო.

— თავმდებები? განა უთავმდებებოდ არ შეიძლება?

პერის მიამიტობაზე ბატონმა სენდერგორმა უნდობლად ჩაიცინა.

— მაშასადამე, თქვენ არც კი გიფიქრიათ ამაზე. თუ ნამდვილად ასეთი დიდებული მომავალი გაქვთ, როგორც მეუბნებით, ალბათ, არ გაგიჭირდებათ ერთი-ორი სახელის შოვნა... რამდენი გინდოდათ გესესხათ?

— ათასი.

— რა ვადით?

— მე ვფიქრობდი ერთი წლით. ერთ წელიწადში დანამდვილებით შევძლებ ამ თანხის დაბრუნებასაც და პროცენტებისასაც.

— პროცენტები წინასწარ უნდა გადაიხადოთ, — დაუდევრად მიუგო ბატონმა სენდერგორმა და მაგიდიდან დიდი წიგნი აიღო. ეს იყო კოპენჰაგენის სამისამართო ცნობარი.

ამასობაში წითელთმიანი გოგონა, სწორედ ის, პერს რომ კარი გაუღო, ოთახში შემოვიდა. თან დედოფალას მოათრევდა. გოგო მამამისს

მიეკრა, იმანაც ამაყად მოუთათუნა თავისი მსუქანი ხელი ცეცხლივით წითელ კულულებზე. მერე გაუშვა გოგონა, რათა ცნობარში კარგად ჩაეხედა, მაგრამ გოგო მაშინვე მუხლებზე აუხოხდა და პერს განებივრებული ბავშვის თვითკმაყოფილი და თავხედი მზერით შეხედა.

— ვერ ვიპოვე აქ თქვენი სახელი, — თქვა სენდერგორმა და გადაფურცლა ცნობარი.

— მე ამ ბოლო წლებში საზღვარგარეთ ვცხოვრობდი, — აუხსნა პერმა.

— მაშ ასე, საზღვარგარეთ ცხოვრობდით.

ყვითელი თვალები ეჭვით მოწყდა წიგნს, მერე კი ხელახლა დააშტერდა მას.

— აქ არის რომელიღაც ბ. სიდენიუსი, ყოფილი პასტორი. თქვენი ნათესავი ხომ არ არის?

— არა.

— აი კიდევ ერთი — ფ. სიდენიუსი, ბუხჰალტერი, ეს?

— არა.

— შემდეგ არის ე. სიდენიუსი, სამეფო რწმუნებული. არც ეს არის თქვენი ნათესავი?

პერი ცოტა დაფიქრდა.

— ჩემი ნათესავია.

— ალბათ, ახლო ნათესავია?

— ძმა არის ჩემი.

— ნუთუ თავდებად არ დაგიდგებათ? მაშინ ყველაფერი რიგზე იქნება.

— არა, არ შემიძლია, — მიუგო დაბნეულმა პერმა.

— ჰო, — ჰო, მაშასადამე არ შეგიძლიათ. — ყვითელმა თვალებმა ხელახლა გამოიხედეს წიგნის კიდედან — თქვენ, ალბათ, არც თუ ისე ახლო ურთიერთობა გაქვთ აღნიშნულ ბატონთან.

— ახლო ურთიერთობა მაქვს თუ არა, ასეთ სამსახურს მე მას ვერ ვთხოვ.

— ვერ თხოვთ? მაშ რა ვქნათ, მაშინ ჩვენი საქმე არ გამოვა, — უკვე სულ სხვა ტონით თქვა ბატონმა სენდერგორმა და ცნობარი დახურა.

მცირე ხნით დუმილი ჩამოვარდა. პერი კვლავ იჯდა. ეშინოდა, იმედგადაწყვეტილი წასულიყო აქედან. ქუჩის სიბნელე და მარტოობა ღატა-

კურ სენაკში ჯოჯოხეთის დაღებულ ხახასავით დაუდგა თვალწინ. მაგრამ სულერთია, ებერხარდის თხოვნა... არა, არაფრის გულისთვის! ამას არ იზამს.

პერმა უთხრა სენდერგორს, რომ მზად არის დაეთანხმოს ხუთას კრონზე, უფრო ნაკლებზეც კი და ბედ დარჩენილ ტანსაცმელსა და წიგნებს დაუტოვებს. მაგრამ ბატონმა სენდერგორმა უკვე თავი ამ მდგომარეობის სრულ ბატონ-პატრონად იგრძნო. მან სიტყვა შეაწყვეტინა ყმაწვილ კაცს და სრულიად მოურიდებლად წაიბურტყუნა რაღაც ადამიანებზე, ვინც ფიქრობს, რომ მათ ისე, ლამაზი თვალების ხათრით მისცემენ ფულებს. მერე, რა დიდი ამბავიც მომავლის იმდენია! ესღა აკლდა! ასე ყველა გამოცხადდება პირდაპირ ქუჩიდან და ფულს მოითხოვს. აი, მოიყვანეთ პირიანი თავმდებები, ან საიმედო ბე დატოვეთ და — კი ბატონო! არა და, სალაპარაკოც არაფერია.

პერი იძულებული გახდა წასულიყო. შინისკენ გული არ მიუწევდა. არეულ-დარეული ფიქრები უფუთფუთებდა თავში. რა იქნება ახლა? საშინელი ბრძოლა მიმდინარეობდა პერის სულში. სიამაყე მოუწოდებდა: „ადრტვინდი!“ მაგრამ მეორე მბრძანებლური ხმა უპასუხებდა: „სამართლიანი სასჯელი დაგატყდა თავს. შენ უნდა გამოგესყიდა შენი ცოდვები, მაშ გამოისყიდე. დადგა განკითხვის საათი, აი, ნემსის ყუნწი. გაძვერი შიგ და შენი სული სიმშვიდეს მოიპოვებს“.

ფეხებმა პერი თავისთავად გაიყვანა კუნგენს ნიუტორვზე. ტალახისა და ნისლიანი ამინდის მიუხედავად აქაურობა ახმაურებული და გამხიარულებული იყო. აუარებელი ეტლი სერავდა მოედანს ყველა მიმართულებით. თეატრის ლოჟებიდან სინათლის ნაკადები მოედინებოდა. მოედნის მეორე მხარეზე სასტუმრო „ანგლეტერიც“ შუქით იყო გაკაშკაშებული, მაღაზიების ვიტრინები და ქუჩის ფარნები სველ ქვაფენილზე ოქროსფრად ელვარებდა. მთლად გადაჩვეული იყო ქალაქის ფუსფუსს თუ ნერვები მეტისმეტად დაძაბული ჰქონდა, პერი წამით გაშეშებულივით შეჩერდა. მიწა ერყეოდა ფეხქვეშ, ყურებში თითქოს ტყვია ჩაესხათ მისთვის. ის გამოარკვია შეძახილმა: „ფრთხილად!“ რომელიღაც ეტლმა ისე ახლოს ჩაუარა, რომ ბორბლებით მისი ლაბადის კალთებს შეეხო და ტალახი შეასხა. ფარნის სინათლეზე ეტლში მან გამოპრანჭული წყვილი დაინახა. ქალს ცისფერი აბრეშუმის კაბა ეცვა, ყურებზე ბრილიანტები უბრწყინავდა. კაცი მუნდირში იყო გამოწყობილი,

მკერდზე ორდენები ებნია. მეორე კარეტამ მოპირდაპირე მხრიდან ჩაიქროლა. იქ მხიარული ახალგაზრდა წყვილი იჯდა.

პერი სულ უფრო და უფრო შორდებოდა თავის სახლს. თითქოს მაცდურის ხელი უხილავად იზიდავდა ნებისყოფაგამოცლილ სხეულს, სტუარტ კუნჰენსჰადესკენ, მერე კი უფრო შორს, — იქით, სადაც მისი ყოფილი სიმამრი ცხოვრობდა. შინაგანი ხმა მოუხმობდა: „დაბრუნდი უკან! შეჩერდი, სანამ გვიან არ არის! საკუთარი დაღუპვის შესაგებებლად მიდიხარ!“ პერი კი მაინც მიდიოდა და მიდიოდა.

აი უკვე შეუხვია კუთხეში, აი უკვე გავიდა წყნარ ქუჩაზე, სადაც ნაცნობი „პალაცო“ იდგა. აი უკვე დგას ჩრდილში სახლის პირისპირ. სალამონებს, როგორც ჩანს, მიღება ჰქონდათ: აბრეშუმის მძიმე ფარდებში ჭაღების შუქი გამოკრთოდა.

ვინმეს ყურადღება რომ არ მიეპყრო, პერმა ცოტა მოშორებით ბრედჰადეზე გაიარა, ხოლო მერე უკან დაბრუნდა. ხელახლა ამბოხდა მისი სული ღმერთის წინააღმდეგ და ხელახლა ჩასძახა შინაგანმა ხმაჰ: „აი, რა მსხვერპლი გავიღე შენთვის! უსახლკარო ძაღლივით ვდგავარ, გათოშილი, ქუჩის ტალახში, ხოლო შენ ახლაც კი არ გსურს გადმომაელინო შენი მოწყალება“.

პერი უფრო მჭიდროდ აეკრა კედელს. „პალაცოში“ კარი გაიღო და იქიდან ვიღაც ქოლგიანი კაცი გამოვიდა. ნეტა ვინ უნდა ყოფილიყო? ეს ივენი არ არის. მან ჩქარი სიარული იცის, იქნებ ეიბერტია, იაკობაჰ უწინდელი თაყვანისმცემელი? სასაცილო, გაუგებარმა ეჭვმა აიტანა პერი. უეცრად სინათლის სხვიმა სიბნელიდან ამოიტაცა კეხიანი ცხვირი, ჭაღარა თხის წვერი, დიდრონი, ტერფმოქცეული ფეხები. ეს ხომ არონ იზრაელია!..

თითქოს ელვამ გაუნათა გონება პერს! აი, საიდან მოვა ხსნა! არონ იზრაელი უშველის! როგორ არ მოაგონდა აქამდე! „არონ იზრაელი თვით სიკეთეა, ადამიანის სახით ხორცშესხმული“. მისთვის მნიშვნელობა არა აქვს, რომ პერი ფილიპ სალამონის სიძე აღარ არის. ის ნიშნობამდეც დიდი თანაგრძნობით ექცეოდა პერს და გულწრფელად სჯეროდა მისი გეგმების. ამ კაცს შეიძლება მთელი სიმართლე უამბოს.

პერი პატარა კაცუნას ფეხდაფეხ მისდევდა სტუარტ კუნჰენსჰადეზე. სინდისის ხმა ადრინდებურად მბრძანებლურად მოუწოდებდა: „წადი შენთვის! ვერ გიშველის სხვისი სიკეთე. ახლა ხომ იცი, რაც სურს შენგან ღმერთს. შეასრულე წინასწარ დასახული მიზანი. თავს ნუ არიდებ.

დღითიდღე თანდათან უფრო და უფრო დაკინებით იყღერებს შენს ყურებში ღვთის ნება. ან უნდა შეასრულო ის ან ხელახლა გაიქვავო გული. სხვანაირად ვერ მოისვენებ. ნუ გადადებ აღსრულებას შენი სიამაყის გულისთვის, ასე რომ უფრთხილდები, — მხოლოდ შენი სიამაყის გულისთვის ნუ დანებდები ახალ ცთუნებას! აჩქარდი! ღმერთი იცდის!"

პერმა ნაბიჯი შეანელა. კუნჰენს ნიუტორვზე რომ გავიდა, აღარ მისდევდა არონ იზრაელს. სიკვდილმისჯილის თვალებით აცილებდა პატარა კაცუნას — ის შევიდა სინათლის ზოლში, კოშკის დიდი საათისგან რომ იდგა, გაიარა ის და გრენეჰადეს კუთხეში მიიმალა.

მაშინ კი პერი ნელა წანჩანჩალდა შინისკენ, ფრედერიკსბერგში. მეათე საათი იყო, შინ რომ მივიდა. სინათლე არ აუნთია. არც დაწოლილა. ღრმა სიბნელეში მაგიდას მიუჯდა და, სახეზე ხელებაფარებული, შუაღამემდე გაუნძრევლად იჯდა.

მეორე დილით პერი ებერხარდთან მივიდა. ძმამ არაფრით არ შეუმსუბუქა მას მტანჯველი აღსარება. ებერხარდს მკაცრი სახე ჰქონდა და დუმილით უსმენდა. ყოველი წვრილმანი დააკაკლინა. სამაგიეროდ არც შველაზე უთქვამს უარი. თუმცა არავითარ თავმდებობაზე ლაპარაკი არ დაუწყია და საერთოდ მოსთხოვა, ცოტა მადროვე, ყოველივე ავწონდავწონო და შინაურებს მოველაპარაკო. რადგან თუ ყველა ერთად გასესხებთ ფულს, ეს იქნება სწორედ განსვენებული მშობლების ნების აღსრულებაო.

პერი არ შეცდილა შეპასუხებას. უეცრად მისთვის ყველაფერი სულ ერთი შეიქნა. რატომაღაც არ უგრძვნია არც მოსვენება, არც ნეტარება, რომელთა მოპოვებასაც ამ დამცირებით ოცნებობდა. პირიქითაც. არასდროს არ განუცდია ასეთი დამჩაგვრელი სიცარიელე, არასდროს ჯერ არ მოსჩვენებია, რომ სიკეთის ყველა ძალამ უმტყუნა.

თავი XXIV

როცა ბესტრუპამდე მიაღწია ხმებმა, პერმა ჩაშალა თავისი ნიშნობა კოპენჰაგენის მდიდრის ქალიშვილთანო, პასტორის მეუღლე სერიოზულად აფორიაქდა. მან შეიტყო, რომ პერი საშობაოდ კერსხოლმში აპირებდა ჩამოსვლას და ერთ საღამოს, ლოგინში, გულახდილად გაანდო ქმარს თავისი შიში. ურჩია, იმ დროისთვის ინგერი სადმე გავგზავნოთო.

მაგრამ პასტორს ამისი გაგონებაც არ სურდა. მასაც, ცხადია, სულ არ იზიდავდა თავისი ქალიშვილის გათხოვების პერსპექტივა ასეთი წარსულის მქონე კაცზე, მაგრამ, როგორც ამბობდა, ცოდვად ჩაეთვლებოდა განგების როლში გამოსვლა. ამასთან, ამ ახალგაზრდამ შეიგნო თავისი შეცდომები, ხოლო იმაში დარწმუნება, რომ მისი გარდაქმნა გულწრფელია, ძნელი არ არის: ტყუილად ხომ არ მოიტანა მატერიალური კეთილდღეობა მსხვერპლად, რათა სული ეხსნა.

— ჩვენ არ გვაქვს უფლება, რწმენის საკითხში ძალა გამოვიყენოთ. სიყვარული კი იგივე რწმენაა. თუმცა მე ვაპირებ ინგერთან მოლაპარაკებას. დაე, იცოდეს, რომ ჩვენ არ ვაიძულებთ მას, თავის გულს ძალა დაატანოს. ეს მის პასუხისმგებლობის გრძნობას აამაღლებს.

პირველად ინგერი ვერ მიხვდა, რომ ჩაშლილ ნიშნობას მასთან რაიმე კავშირი ჰქონდა. თუმცა ძალიან კარგად იცოდა თავისი ფასი, ამჯერად მომხდარი ამბავი მთლიანად იმას მიაწერა, რომ პერი მამამისს იცნობდა, მერე უკვე ინგერს მეგობარმა გოგონებმა, კლაუსენის ქალიშვილებმა გააგებინეს, რაც მოხდა და მას შემდეგ იმის გახსენებაზე, თუ რა სიმღიდრე უარჰყო პერმა მხოლოდ მისი გულისთვის, სიამოვნებით უღვლავდა გული.

საკუთარი გრძნობები კი ინგერს ვერ გამოეცნო. ყოველ შემთხვევაში, პერის მიმართ მგზნებარე სიყვარულს ქალიშვილი არ განიცდიდა. როცა მასზე ფიქრობდა, მხოლოდ პერის თვალებს ხედავდა, რადგან პერის ბესტრუპში პირველად ჩასვლისას მამამისმა თქვა, ამ ახალგაზრდის თვალები კაცს მოაგონებს ზღვის გაშლილ ნაპირს, სადაც მზით გაბრწყინებული თოლიები ქვიშაში ღრმად ჩაფლულ გემის ნამსხვრევებს დასტრიალებენ თავს, „ზამთრის წყვდიადს და გაზაფხულის ბუნიობის ქარიშხალებს რომ მოგვაგონებენო“. მაშინ ამ შედარებამ ინგერი გააოცა, რადგან მისი აზრი ვერ გაეგო. მაგრამ ახლა, როცა მიხვდა, სულ ამ ზღვაოსნის დაბინდულ, სევდიან თვალებზე ფიქრობდა. და მაინც, ამ თვალებში მოჩანდა პერის წარსული, ეს კი გადაულახავი ზღუდე იყო ყმაწვილი ქალის გრძნობებისთვის. შეიყვარო კაცი, ვინც უკვე ვიღაცაზე იყო დანიშნული! არა, ეს ინგერს შეუძლებლად ეჩვენებოდა. თუმცა არასოდეს არ ენახა პერის ყოფილი საცოლე და, გარდა ამისა, იცოდა, რა უბედური და გაწამებული იყო პერი, სანამ ნიშნობას ჩაშლიდა. ეს ამბავი კი, ცოტა არ იყოს, საქმეს სხვანაირად ატრიალებდა.

ინგერი დარწმუნებული იყო, რომ მოსწონდა პერი, მაგრამ არ იცო-

და, შესძლებდა თუ არა ნამდვილად მასთან შეთვისებას, შესძლებდა თუ არა მის შეყვარებას, — არ იცოდა, რადგან ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა სიყვარულზე. თუმცა მეგობრები დაუზარებლად ცდილობდნენ მის განათლებას. გაფუებული ჰერდა მუდამ მზად იყო გაეზიარებინა მისთვის საკუთარი გამოცდილებაც და სხვებისაგან ნასესხი ცოდნაც სიყვარულის საიდუმლოებებისა. მაგრამ ინგერი ყურს არ ათხოვებდა ხოლმე მის ლაპარაკს, ქალიშვილი ძალიან შორს იყო ამისგან.

მით უფრო ძლიერ გაუკვირდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს, შობამდე ორი კვირით ადრე, მასთან მარტო დარჩენილმა მამამ უეცრად ლაპარაკი ჩამოუგდო პერზე და მის მოსალოდნელ ჩამოსვლაზე მათთან.

— ალბათ, უკვე იცი, შვილიკო, რომ ბატონმა სიდენიუსმა ჩაშალა თავისი ნიშნობა და მე მინდა პირდაპირ გკითხო: გავითვალისწინოთ ის, თუ როგორ შეაფასებს ხალხი შენს ნაბიჯს და მითხარი, ხომ არ გიჯობს, საერთოდ მოერიდო მასთან შეხვედრებს ჩვენს სახლში? მხოლოდ სრული სიმართლე მიპასუხე.

მამის შეკითხვა ინგერს ჩუმ მაჭანკლობად მოეჩვენა. იფიქრა, ალბათ მშობლებმა პერისგან წერილი მიიღესო და ამის ფიქრმა ისე დააბნია, საერთოდ ვერაფერი უპასუხა.

მაგრამ პასტორ ბლომბერგისთვის ინგერის დუმილი და უეცრად აგიზგიზებული ლოყები საკმარისი პასუხი იყო. საღამოს თავისი აღმოჩენა ცოლს გაუზიარა და კვლავ გაიმეორა: „ნურავითარ ძალას ნუ დავატანთ გოგონას. იმედი ვიქონიოთ, რომ ღმერთი დალოცავს მისი გულის არჩევანს, დალოცავს და გააბედნიერებს“. ცოლის ნათქვამზე, პერს არავითარი თანამდებობა არ უჭირავს, არა აქვს მომავალი და ვერ შესძლებს ოჯახის რჩენასო, პასტორმა მხნედ მიუგო, ღმერთი არც ამ მხრივ გასწირავს მათო; მას მხედველობაში ჰქონდა მდინარის კალაპოტის დასახული გადაგეგმვა, რაც პერს უდავოდ კარგა დიდ შემოსავალს მისცემდა.

სინამდვილეში კი პერსპექტივები ამ მხრივ ფრიად საეჭვო გახლდათ. შემოდგომის განმავლობაში ჰოფეჰერმეისტერმა რამდენჯერმე შეკრიბა მომავალი მოწილეები, მაგრამ შეთანხმებას მაინც ვერ მიაღწია. სულ ორი-სამი ასეული წვრილი თუ მსხვილი მეპატრონე იყო, ვის ინტერესებსაც ეხებოდა ეს პროექტი, ხოლო მათი ერთსულოვანი თანხმობის გარეშე ნაბიჯსაც ვერ გადადგამდა. თუმცა თვითეული მოწილე გულში

დარწმუნებული იყო, რომ შეთავაზებული გადაგეგმვა კარგ მოგებად პირდებოდა, ის ან პროექტის წინააღმდეგ გამოდიოდა, ან, უკეთეს შემთხვევაში, თავს არიდებდა ამ საქმეს, იმის შიშით, ვაითუ ჩემი ძმა, მეზობელი, ან სიძე მეტად გამდიდრდეს, ვიდრე მე, ან ნაკლები ხარჯი გაიღოსო. თანაც მეპაიეებს არ უნდოდათ, ასეთი მნიშვნელოვანი წამოწყების პატივი ჰოფეჰერმეისტერს რგებოდა. ამიტომაც მდიდარმა გლეხებმა საერთოდ შეწყვიტეს კრებებზე სიარული და ამით გეგმა საბოლოოდ დასამარდა.

მაგრამ მაშინ, ყველასთვის მოულოდნელად, საქმეს თვით პასტორმა ბლომბერგმა მოკიდა ხელი. რაკი შესაშური უნარი გააჩნდა, თავისი პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მთელი მრევლის პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საქმედ მიეღო, მან გადაწყვიტა, (ასე უთხრა თავის მეუღლეს), ძირფესვიანად ამოეთხარა ეს შხამიანი ჭინჭარი, სამწუხაროდ მტკიცება იმისა, რომ თავისუფალ საზოგადოებაშიც კი, სულის ძალით გასუფთავებულ საზოგადოებაშიც შეიძლება ისე მოხდეს, რომ უნდობლობისა და ურთიერთმტრობის სარეველებმა გაიხაროს. პირველად პასტორი ჩუმ-ჩუმად ცდილობდა გაეჩარხა საქმე მათთან, ვის თანხმობაზეც იყო უწინარეს ყოვლისა დამოკიდებული ამ საქმის ხელსაყრელად დაბოლოება. როცა წინააღმდეგობას წააწყდა, გაფთრდა და უკვე აშკარა შეტევაზე გადავიდა. მორწმუნეთა დიდ ყრილობაზე, სადაც მთელმა მისმა მრევლმა მოიყარა თავი, პასტორმა მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა, შეეხო პროექტს, მერე კი ძლიერი და ხატოვანი გამოთქმებით გაანადგურა წვრილმესაკუთრული თავმოთნეობა, რაც ეღობება საყოველთაო კეთილდღეობისაკენ მიმავალ პროგრესს და ამით გზას უკრავს ჭეშმარიტად ღვთისსათნო ცხოვრების, ჯანსაღი, ბედნიერი და პატიოსანი ცხოვრების გაფურჩქვნას.

მისმა გამოსვლამ დამსწრენი გააოცა, ხოლო ბევრი მათგანი ძალიან გაანაწყენა: ჯერ ერთი იმიტომ, რომ ისეთი სიტყვები მორწმუნეთა კრებაზე შეუფერებელი იყო; მეორეც იმიტომ, რომ ზოგიერთის ყურამდე უკვე მიეღწია ხმას ინგერისა და აღნიშნული პროექტის ახალგაზრდა შემქმნელის მომავალი შეუღლების შესახებ. ბლომბერგს კი თავი ისე ეჭირა, ვითომც აქ არაფერი ყოფილიყოს. პირველი შემთხვევა არ გახლდათ, როცა მეტისმეტად გაბედული გამოსვლით თავისი მრევლის რისხვას იმსახურებდა. ბლომბერგი გრძნობდა, რა გავლენაც

ჰქონდა მრევლზე და არ უშლიდა მათ, რამდენიც უნდოდათ ებუზღუ-ნათ. სულ ერთია, მან შესძლო თავისი მიზნის მიღწევა. გააცოცხლა ის საქმე, რომელზეც მისი შეხედულებით, ახლა მთელი ოლქის კეთილ-დღეობა იყო დამოკიდებული. გლეხთა კარმიდამოებში და მოიჯარადრე-თა ქოხებში პასტორის გამოსვლაზე იყო სჯა-ბაასი, ამით კი კვლავ განახლდა მსჯელობა პროექტზე.

* * *

შობის წინა დღეს პერი კერსხოლმში ჩავიდა. იქ ყველაფერი ძველე-ბურად იყო, მხოლოდ ბარონესა წასულიყო და ჰოფეჰერმეისტერის სა-ხეც ახლა უფრო მოგაგონებდათ ნეკერჩხლის დამკკნარ ფოთოლს. ისევ ისე მოდიოდა სამზარეულოდან ტორფის ბოლის სუნი და ეს სუნი პერს უსაზღვროდ მშობლიური და ახლობელი ეჩვენა.

ჰოფეჰერმეისტერის მეუღლეს მაშინვე თვალში ეცა ყმაწვილ კაცში მომხდარი ცვლილება. პერი ქალის თვალში მხოლოდ გარეგნულად არ შეცვლილიყო. ის მიხვდა, ალბათ რაიმე სერიოზული სიძნელეები შე-ხვდა გადასალახავიო, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ დედობრივი თა-ნაგრძნობით ცდილობდა დაწვრილებით ეთქმევინებინა ყველაფერი, პერი ჯიუტად დუმდა და ამით ბოლოს და ბოლოს კიდეევაც აწყენინა ქალს.

შობის პირველ დღეს პერი მასთან ერთად ბესტრუპის ეკლესიისკენ გაეშურა. ჰოფეჰერმეისტერი ავად გახდა და ამიტომ შინ დარჩა. როცა ეკლესიას მიაღწიეს, მრევლი უკვე ფსალმუნებს მღეროდა. სერთუკის ჯიბეში ხელებჩაწყობილი პასტორი ბლომბერგი გასასვლელში ბოლთას სცემდა. ძლიერი ხმით მღეროდა ფსალმუნს და თან მეგობრებს და ნაც-ნობებს ესალმებოდა. დროდადრო ქანდარისკენ მიმავალ კიბესთან ჩერ-დებოდა, მწყალობელი თვალით გადახედავდა სავსე ეკლესიას და გრძნობამორეულს სახე სიხარულით უბრწყინავდა.

პერმა თვალის ერთი გადავლებით მოძებნა ინგერი. ქალიშვილი გა-სასვლელის მეორე მხარეს იჯდა, თავისი დედის გვერდით. შავი კაბა ეცვა და მის ნაზ, დახვეწილ გარეგნობას თვალწარმტაცს, მშვენიერს ხდიდა. ინგერს ერთხელაც არ მოუშორებია თვალი ლოცვანისათვის. მაშინაც კი, აბრეშუმის შრიალმა ჰოფეჰერმეისტერის მეუღლის მოს-ვლა რომ აუწყა მათ, ფრუ ბლომბერგი მიბრუნდა და თავი დაუკრა

ახლადშემოსულთ, ინგერი კი კვლავ ლოცვანში იყურებოდა, მაგრამ ლოყები წამოუწითლდა. პერს პატარა საფუძველი ჰქონდა ეფიქრა, რომ ინგერი მიხვედრილი იყო მის აქ ყოფნას, თავის გამარჯვების ნიშნად ჩათვალა ეს ამბავი და მღელვარებით აუკანკალდა გული.

როგორც კი წირვა გამოვიდა, პერი, ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე და ეკლესიაში მყოფი რამდენიმე კაცი პასტორთან ყავაზე მიიპატიჟეს. ასეთი მიპატიჟებები პასტორისაგან აქაურ ჩვეულებად იქცა, მრევლი უმკაცრეს აღრიცხვას აწარმოებდა ვის, როდის და რამდენჯერ დასდეს ეს პატივი. პასტორთან პერი შეხვდა ოთხ გლეხს თავიანთი მეუღლეებითურთ. სახეზე ყველას, თუმცა კი სხვადასხვანაირად, ის ეწერა, რომ ერთსა და იმავეს ფიქრობდნენ: თავიანთ მრევლში ისინი ყველაზე საპატიო, ცნობილი და მდიდარი პირები არიან. პერს აზრადაც არ მოსვლია, თუ ეს ხალხი პასტორმა ბლომბერგმა საგანგებოდ მისთვის დაპატიჟა. თუმცა პასტორი დიდი მონდომებით ცდილობდა სწრაფად გაეცნო ისინი ერთმანეთისთვის, მაგრამ მდინარის კალაპოტის გადაგეგმაზე არავის კრინტი არ დაუძრავს და „ყავის სმის“ მთელმა ცერემონიამაც ნახევარ საათს ძლივს გასტანა: პასტორს რიგგარეშე სადღესასწაულო ღვთისმსახურებაზე ეჩქარებოდა და თავად გადაუკრა სიტყვა სტუმრებს, წასვლის დროაო.

ჯერ გლეხები წავიდნენ, შემდეგ ჰოფეჰერმეისტერი და პერი. ინგერმა კვლავ შვებით ამოისუნთქა.

ქალს მთელი ამ ხნის განმავლობაში ეშინოდა პერთან მარტო დარჩენის, რადგან რატომღაც თავში ჩაეჭედა იმის ფიქრი, თითქოს პერმა წერილი მისწერა მის მშობლებს და წინასწარ მიიღო მათგან თანხმობა. თუმცა თავისთვის ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა წყეული საკითხი: უყვარდა პერი თუ არა, უფრო ზუსტად, თავისი გამოცდილებით ვერ გარკვეულიყო, შეიძლებოდა თუ არა სიყვარული ეწოდებინა იმ გრძნობისთვის, პერისადმი რომ განიცდიდა. მას მოსწონდა, რომ პერი სხვებს აო ჰგავდა. ის, ვისაც მისი ქმრად გახდომა უწერია, არაფრის გულისთვის არ უნდა ჰგავდეს სხვებს. მერე, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ პერი ბუნებით ძალიან კეთილი ადამიანი იყო და მასზე იზრუნებდა. თანაც, აბა, საკუთარ თავს ხომ ვერ დაუმალავდა, რომ პერის ჩამოსვლის მოლოდინში მთელი ღამეები უძილოდ გაატარა. ჯერ კიდევ დღეს, ეკლესიაში წასვლის წინ, მღელვარებისაგან შუცელიც კი ასტკივდა, მაგრამ ჩაითვლება თუ არა ყოველივე ეს სიყვარულად, კაცმა არ იცის.

სანამ პერი მათთან იჯდა, ინგერი თითქმის დარწმუნებული იყო, რომ სულაც არ უყვარდა ეს კაცი. პერი ძალიან გამოცვლილიყო გარეგნულად და თუმცა ეს შვენოდა კიდეც, ვერაფერს იტყოდით, -- უცხო და უცნაური გამხდარიყო. მაგრამ როცა პერი წავიდა, სახლში მოწყენილობამ და სიცარიელემ დაისადგურა და დღის დანარჩენი დროის განმავლობაში ინგერმა მოსვენება ვერ პოვა. ქალიშვილი ოთახიდან ოთახში დადიოდა, ხან ერთ სკამზე ჯდებოდა, ხან მეორეზე ღა მწარედ ნანობდა, ნეტავ სულ არ გამეცნო პერიო. აქამდე არასოდეს არ დაჰკარგვია მოსვენება. ბოლოს თავის ოთახში მიიკუნჭა, მიუჯდა ფანჯარას, სევდიანად გაჰყურებდა, როგორ ჩადიოდა მზე და წითლად ღებავდა თრთვილით გათეთრებულ ხეებს. ის ფიქრობდა რომანტიულ, ლეგენდარულ გმირზე; პერმა გაუცოცხლა მეხსიერებაში ეს გმირი და ქალიშვილი ვეღარ განთავისუფლებულიყო ამ შთაბეჭდილებიდან. გულჩათხრობილი და მდუმარე, ფერმკრთალსახიანი პერი, შავი გრძელი წვერი და რაც მთავარია, ზღვაოსნის საოცარი თვალები რომ ჰქონდა, „მფრინავ ჰოლანდიელს“ წააგავდა, იმ ოპერის გმირს, ინგერმა ერთი წლის წინ რომ მოისმინა კოპენჰაგენში. მას განსაკუთრებით დაამახსოვრდა ჩინებული პროლოგი, როცა წყეველით დევნილი მრავალტანჯული მოხეტიალე-მეზღვაური, ვინც მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში არ იცოდა მშობლიური ბუდე, ცდილობდა ნორვეგიის კუნძულოვან ნაპირებზე დამალვოდა ქარიშხალს. მერე, დაფდაფები ყრუდ აგრიალდნენ, მან კი თავი შეაფარა მეთევზის ღარიბ ქოხს, სადაც მასპინძლის ახალგაზრდა ქალიშვილს შეხვდა. ქალი მარტოდმარტო იჯდა, ართავდა და თან მღეროდა. ეს რომ მოაგონდა, ინგერმა თავი ხელებზე ჩამოიყრდნო და გაიფიქრა, რომ შეყვარებული ვარ, ცხადია შეყვარებული ვარ, თუმცა სიყვარულმა ბედნიერება არ მომიტანაო.

ინგერს იმედი ჰქონდა, რომ მეორე დღეს ყველაფერი გადაწყდებოდა. ის მშობლებთან ერთად კერსხოლმში მიიპატიჟეს და ისიც იცოდა, რომ მეტ სტუმარს არ ელოდნენ. მაგრამ დილაადრიან კერსხოლმიდან შიკრიკმა მოირბინა და აცნობა, დაპატიჟება ჩაიშალა, რადგან ჰოფეჰერმეისტერი მძიმედ გახდა ავად, შუაღამისას კუჭის ძველმა დაავადებამ შეუტიაო.

დღისით პერის თანხლებით მათთან ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე მოვიდა, რათა ბოდიში მოეხადა მომხდარი ამბის გამო. მან ახსენა ოთხი გლეხის გუშინდელი სტუმრობა და თქვა, ახლახან განახლდა მოლაპარა-

კება იმ პირთა კიდევ ერთხელ შეხვედრის შესახებ, ვინც მდინარის კა-
ლაპოტის გადაგეგმვით არის დაინტერესებული და გულით მიხარია ეს
ამბავიო.

— ამით საქმე მოგვარდება. ჩვენ კი მომავალშიც დავტკბებით ბა-
ტონ სიდენიუსის საზოგადოებით.

ამ საუბრის დროს პასტორი ბლომბერგი ზურგზე ხელებშემოწყო-
ბილი მშვიდად დადიოდა ოთახში. ჰოფეჰერმეისტერის მეუღლის ბოლო
სიტყვებზე უცებ შეჩერდა. სახე მეტისმეტად სერიოზული ჰქონდა.

— თქვენ მართალი ხართ, — თქვა მან, — არც მე ვკარგავ იმედს,
რომ ამ საკითხში ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვებს ურთიერთგაგების
სულისკვეთება.

პასტორის მეუღლე დუმდა. სამაგიეროდ ჰოფეჰერმეისტერის მე-
უღლე არ აჩერებდა ენას. როგორც ჩანდა, ამ ქალს უმცირეს დეტალე-
ბამდე აეწონ-დაეწონა პერის მომავალი.

— ხომ გახსოვთ, სადგურის მახლობლად რა მშვენიერი კარმიდამოა.
პასტორ პეტერსენის ქვრივი გარდაიცვალა და ახლა იქაურობა დაცა-
რიელებულია. ბატონი სიდენიუსისთვის უკეთეს საცხოვრებელ ბინას
ვერც მოიფიქრებს კაცი. გარედან მშვენიერი შესახედავია, თანაც დი-
დებული ბაღი და ყოველგვარი სათავსოც გააჩნია. ახლა რა კარგად
არის განლაგებული!

ინგერი ადგა. ჰოფეჰერმეისტერის მეუღლის ლაპარაკმა ააღელვა.
შესანიშნავად ესმოდა, რა მიზნითაც იყო ეს ნათქვამი და, საერთოდ, ამ
ბოლო დროს ძალზე გაუცივდა გული თავისი მეგობარი ქალის მიმართ.
ჯერ ერთი მიხვდა, რომ ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე უკვე დიდი ხა-
ნია ყველანაირად ცდილობდა ინგერი პერისთვის მიეთხოვებინა. მეო-
რეც, იმასაც ხვდებოდა, რომ პერის კეთილდღეობაზე ასე გულმოდგინე
ზრუნვა მარტო კარგი დამოკიდებულებით არ იყო გამოწვეული, რადგან
დროდადრო ეს ქალი მეტისმეტად უზომოდ აქებდა ყმაწვილ კაცს.

ყავის სმას რომ მორჩნენ, მთელი საზოგადოება სასეირნოდ გავიდა.
ბაღის გავლით მოშორებით, ბორცვებისკენ აიღეს გეზი, მაგრამ პერმა
მაინც ვერ მოახერხა ინგერთან განმარტოებით ლაპარაკი. პასტორის
მეუღლე თვალს არ აცილებდა მათ, ხოლო როცა შინ დაბრუნდნენ,
პარმაღთან უკვე ეტლი იდგა. ჰოფეჰერმეისტერის მეუღლეს ავადმყოფ
ქმართან მიეჩქარებოდა. პერს კი დარჩენა არავინ შესთავაზა.

გამოთხოვებისას ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე მოეხვია ინგერს და

უნდოდა მისთვის ტუჩებში ეკოცნა, მაგრამ ინგერმა პირი აარიდა და ყური მიუშვირა. ალერსი, წინათ რომ ასე ახარებდა, ახლა მხოლოდ ზიზღს ჰგვრიდა.

გავიდა კიდევ რამდენიმე დღე, შეყვარებულების შეხვედრა ვერ მოხერხდა. ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე ავადმყოფი ქმრის ლოგინს იყო მიჯაჭვული და მის გამო პერიც იძულებული გახდა უარი ეთქვა საშობაო მხიარულებაზე. თუმცა, ყმაწვილ კაცს მხოლოდ ერთი რამ აღონებდა — ინგერთან შეხვედრა რომ არ შეეძლო. მან იცოდა, რომ ინგერი, როგორც პირველი მზეთუნახავი და პასტორ ბლომბერგის ქალიშვილი, ყოველთვის ახალგაზრდების კამპანიის ცენტრში აღმოჩნდებოდა. ხოლმე, რომ ის იყო შობა დღის უცვლელი დედოფალი და ძველებური ცეკვების ზღაპრული პრინცესა, რაც — პერმა ბევრჯერ მოჰკრა ყური ზაფხულში, — აქ ხელახლა შემოდიოდა მოდაში. და თუმცა პერმა ისიც იცოდა, რომ ახალგაზრდა კაცები აქ თითებზე ჩამოსათვლელი გახლდათ, და ვინც იყო, ისინიც ან სოფლელი დონდლოები გახლდენ — მდიდარ ფერმერთა ვაჟები, ან ახალგაზრდა სტუდენტები, მაინც ძალიან ღელავდა და დრო მისთვის მტანჯველად ნელა მიიზლაზნებოდა. წვეროსანმა მმართველმა ბევრჯერ მიიპატიჟა, სანადიროდ წავიდეთო, მაგრამ ნადირობა პერს უკვე აღარ აინტერესებდა. პერი თითქმის სულ არ გამოდიოდა შინიდან და იდუმალად იმედოვნებდა, იქნებ ინგერი სტუმრად მოვიდეს ჩვენთანო. მას თითქმის არც ჰოფეჰერმეისტერის მეუღლის გეგმები აღელვებდა იმის თაობაზე, თუ როგორ მოეწყოთ მისი მომავალი, არც განახლებული მოლაპარაკება პროექტზე, უფრო სწორად — აღელვებდა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამით შეეძლო ინგერის სიყვარულის იმედი ჰქონოდა.

მის ოთახში ისევე, როგორც პირველად ჩამოსვლისას, თარო ეკიდა. მასზე მჭიდროდ იყო ჩამწკრივებული წიგნები. მარტოობის დროს ამ წიგნებს მიაშურებდა ხოლმე პერი. მაგრამ ამჯერად გასართობი ლიტერატურის კითხვას ამჯობინებდა — რომანების, პიესებისა და მოთხრობებისა — კითხულობდა, რომ დრო მოეკლა და სევდა ჩაეხშო. გარდა ამისა, მას შემდეგ, რაც იძულებული გახდა თავისიანებთან მუხლმოყრილი მოსულიყო, რათა ძველი ცოდვები გამოესყიდა, პერს ეშინოდა რელიგიური ხასიათის წიგნებისა. იმ ღმერთს, რომელიც პერმა ამ შემოდგომაზე შეიცნო, არაფერი ჰქონდა საერთო ყოვლადკეთილ, მოწყალე ნუგეშისმცემლის მომჯადოებელ ხატებასთან, როგორადაც ის

ბლომბერგის შრომებში იყო წარმოდგენილი. თუმცა პერმა რამდენჯერმე ჩაიხედა შიგ, მაგრამ ამ წიგნებმა ისევე გაუტეხეს გული, როგორც პასტორის საშობაო ქადაგებამ. მისი აზრები უკვე ვერ პოულობდნენ შვებას ასეთ გამართულ და მჭევრმეტყველურ, მაგრამ ამავე დროს გაცვეთილ მსჯელობებში სიცოცხლისა და სიკვდილის, ცოდვისა და მადლის შესახებ. ღმერთის ძიებაში პერმა გადააბიჯა იმ საფეხურს, როცა ადამიანს მსგავსი მსჯელობები აკმაყოფილებს. ასეთი მსჯელობები გულს კი სწვდება, მაგრამ გონებას არაფერს აძლევს. ახლა გონების საზრდო სწყუროდა, ჭეშმარიტებას ეძებდა, ბლომბერგი კი მას არსობის პურის მაგიერ ყვავილებს სთავაზობდა. ამიტომაც პერმა გადაწყვიტა, შეესვენებინა თავისი აზრები. დაღალა უნაყოფო ძიებამ. საჭირო იყო პატარა ხნით დაეხურა იმქვეყნიური სამყაროს კარი და ეფიქრა მხოლოდ მისთვის განკუთვნილ ხვედრზე, რადგან ამაზე იყო დამოკიდებული მთელი მისი ბედი და მთელი ბედნიერება ამ სწრაფმდინარ ცხოვრებაში.

წინათ პერი იმაზე ფიქრსაც ვერ გაბედავდა, რომ ინგერისთვის მანამ გაეკეთებინა წინადადება, სანამ გამოცდას ჩააბარებდა და კარგ ადგილს იშოვნიდა, ან იმის იმედი მაინც თუ არ ექნებოდა, რომ უზრუნველყოფილად, გაუჭირვებლად იარსებებდა. მაგრამ ახლა, როცა ყოველ წუთს მის გამოჩენას მოელოდა და ეჭვით და სევდით იტანჯებოდა, მასში უეცრად წინანდელმა გაბედულობამ გაიღვიძა და გადაწყვიტა, როგორც კი დაიმარტოხელებდა ქალს, მაშინვე მიეღო მისგან პასუხი.

ბოლოს, ახალი წლის წინა დღეს, პერმა შესძლო ბესტრუპში წასვლა. მან იცოდა, რომ იქიდან რამდენჯერმე გამოგზავნეს კაცი ჰოფეჰერმეისტერის ჯანმრთელობის ამბის შესატყობად, და რაკი დილით ჰოფეჰერმეისტერმა მოიკეთა, პერმა საუზმეზე თქვა, იქნებ წავსულიყავი ბესტრუპში და სასიხარულო ახალი ამბავი შემეტყობინებინა პასტორის ოჯახისათვისო.

ჰოფეჰერმეისტერის მეუღლემ ღიმილით მიუგო:

— დიდხანს კი იგონებდით საბაბს, — ეს ისეთი ორაზროვანი კილოთი უთხრა, რამაც პერი ბევრჯერ აიძულა, სიტყვა შუაზე გაეწყვიტა.

ნასაუზმევს პერი მაშინვე წავიდა. მან იცოდა, პასტორის ოჯახში სამ საათზე სადილობდნენ და ზუსტად გამოიანგარიშა, რომ პირველიდან ორ საათამდე ყველაზე უფრო ადვილად ნახავდა ინგერს მარტოს სასტუმრო ოთახში. ამ დროს დედა სამზარეულოში ფუსფუსებს, მამა თა-

ვის კაბინეტში ზის. თუმცა პირველიდან ორ საათამდე ინგერი მუსიკას მეცადინეობს. ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე ამბობდა, ამას ინგერი მოვალეობის გულისთვის სჩადის, მთელი წლის განმავლობაში ერთ დღესაც არ გამოტოვებს, რომ არ იმეცადინოს, გარდა დიდი საეკლესიო დღესასწაულებისაო.

რათა შეუმჩნეველად მისულიყო, პერმა შეთავაზებულ ეტლზეც კი უარი თქვა, ამასთან, ამინდიც შესანიშნავი იყო, გზა კარგი, და ამდენი ხნის შინ ჯდომის შემდეგ უნდოდა სუფთა ჰაერი ესუნთქა. ზამთრის მზეს გაყინული მიწა გრძელი ჩრდილებით დაესერა, მინდორში აქაიქ მაკე ცხვრები მოჩანდა, გამხმარ ბალახს წიწკნიდნენ. პერი ძალიან მშვიდად გრძნობდა თავს, იმდენად მშვიდად, რომ თვითონაც უკვირდა. საოცარი, თითქმის მოკრძალებული გულაჩვილებით უგდებდა ყურს საკუთარი ფეხის ხმას გაყინულ მიწაზე — მოგუგუნე, განზომილი, სიდენიუსური ნაბიჯების ხმას. თითქოს რაღაც იყო ამ ხმაში ისეთი, რაც მას დაუბრუნებლად გამქრალ დროსთან აკავშირებდა, საიდანაც უხილავი გზებით სხეულში ძალა ესხმება, აზრში — სიმშვიდე, სულში კი — იმედი.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ისე არ მოხდა, როგორც პერი ვარაუდობდა. ვერც კი მოასწრო პატარა ჭიშკრის გაღება, რომ უეცრად ფრუ ბლომბერგი დაინახა; ეზოს შუაგულში იდგა და ქათმებს საკენკს უყრიდა. ქალმა მეტისმეტად თავდაჭერილად გადაუხადა მადლობა კარგი ამბის მოტანისათვის და შინ შეიპატიჟა. ინგერი მართლაც სასტუმრო ოთახში როიალს უჯდა, მაგრამ დედამ ისინი წუთითაც არ დატოვა მარტო და ამიტომ მხოლოდ და მხოლოდ ჰოფეჰერმეისტერის ავადმყოფობაზე საუბრობდნენ. შემდეგ თვითონ პასტორი გამოჩნდა შავ სამუშაო ქურთუკში გამოწყობილი და მაშინვე გაბა შასლაათი. პერი მიხვდა, რომ ისევ ხელცარიელი უნდა წასულიყო. მაგრამ ამ დროს ეზოში ჩლიქების კაკუნი მოისმა და კარს ძველებური ეტლი მოადგა. მეზობელი მრევლის პასტორი მეუღლითურთ საშობაო ვიზიტით მოსულიყო. ღვინო და ნამცხვარი ადრევე შემოიტანეს, ახლა ყავა და შოკოლადიც დაუმატეს და ინგერი დედას სუფრის გაშლაში მიეხმარა. პერი ის იყო შინ წასასვლელად გაემზადა, რომ პასტორმა ბლომბერგმა სთხოვა ჩვენთან ისადილეო და მანაც ბევრი აღარ ახვეწინა. მერე მოხუცი სტუმრები წავიდნენ და იმ რამდენიმე წუთში, ვიდრე ბლომბერგები მათ ეტლამდე მიაცილებდნენ, ინგერი და პერი საცოლე და საქმრო გახდნენ.

როცა ფრუ ბლომბერგი სასტუმრო ოთახში დაბრუნდა, მაშინვე შენიშნა, რაღაც ვერ იყო რიგზე. ინგერი ფანჯარასთან იდგა და სახე ყვავილებში ჩაემალა, ხოლო გვერდით პერი ამოდგომოდა.

— რა ხდება აქ? — თითქმის უხეშად იკითხა პასტორის მეუღლემ.

პერმა ნაბიჯი წინ გადადგა, თავი დაუკრა და თითქოს მობოდიშებით უთხრა:

— ქალბატონო, მე თქვენს ქალიშვილს წინადადება მივეცი.

მაგრამ ამ დროს გამოჩნდა თავის მოკლე ქურთუკში გამოწყობილი პასტორი. როცა გაიგო რაც მომხდარიყო, სახეზე შეშფოთებული გამომეტყველება აესახა. ჯერ იყო და, ამ შემთხვევის შესაფერისი რამდენიმე სენტენცია წარმოთქვა, მაგრამ მერე, რაკი, თუ ვინმე მისი გულის აჩვილებას მოახერხებდა, დამყოლი კაცი გახლდათ, გაიღიმა, ინგერი გულში ჩაიკრა, პერს ძვირფასი შვილი უწოდა და თვალცრემლიანმა დალოცა ისინი.

როგორ მოხდა, კაცმა რომ თქვას, ყოველივე ეს, პერი თვითონაც ვერ მიხვედრილიყო. შემდეგში მან ინგერს სთხოვა, მიამბე რა მოხდა მაშინო. ინგერმა ცოტა არ იყოს კომიკურად წარმოადგინა ყველაფერი მან თქვა, მეც მინდოდა მშობლებთან ერთად გამეცილებინა სტუმრები, მაგრამ შენ მაგრად ჩამკიდე ხელი და გზა გადამიჭერიო.

— კინაღამ დავიყვირე. ვერც კი იგრძენი, როგორ მეტკინა ხელი.

ამას რომ ამბობდა, ინგერი სულაც არ იპრანჭებოდა, არც კეკლუცობდა. მართლაც გულწრფელად სურდა დაეჩივლა. საერთოდ კი პირველ ხანებში ინგერი თვითონ პერით იმდენად არ იყო დაინტერესებული, რამდენადაც იმ ბედნიერებაზე ფიქრით, მან რომ პერს აჩუქა. მაგრამ პერი ვერ გრძნობდა, თუ მათ შორის რაიმე ზღვარი დაინგრა; შენიშნა, რომ ინგერი გაურბოდა მასთან მარტო დარჩენას. იმის შიშით, უარი არ მითხრასო, პერმა წასვლის წინაც კი, როცა ბოლოს და ბოლოს მარტონი დატოვეს, ვერ გაბედა კოცნა ეთხოვა ქალიშვილისთვის. მაგრამ ინგერის თავდაჭერილობა სულაც არ სწყინდა პერს. სწორედ ამ ამაყმა მორცხვობამ მიიზიდა ასე თავიდანვე და მან პირობა მისცა თავს, მოეთმინა და ხელის განძრევითაც კი არ მიეყენებინა მისთვის შეურაცხყოფა.

ოჯახურმა თათბირმა, პასტორის კაბინეტში რომ შედგა, დაადგინა, ნიშნობა საიდუმლოდ შეენახათ, სანამ პერი გამოცდებს არ ჩააბარებდა, განსაკუთრებით მოითხოვდა ამას ფრუ ბლომბერგი და პერიც უდრ-

ტვინველად დაემორჩილა მათ. მას აგრეთვე უთხრეს, ჰოფეჰერმეისტერის მეუღლისთვის ჯერ არაფერი შეეტყობინებინა. ამას დაეინებით მოითხოვდა ინგერი. მაგრამ ეს კი ვეღარ მოახერხა პერმა. კერსხოლმში რომ დაბრუნდა, სახის გამომეტყველებამ მაშინვე გასცა.

— თქვენ უკვე დაინიშნეთ! — წამოიძახა ჰოფეჰერმეისტერის მეუღლემ.

პერი იძულებული იყო ყველაფერი ეღიარებინა და ქალმაც ისევ დაატანა ძალა, უფრო მეტი დააკაკლინა, ვიდრე სურდა.

* * *

პერი ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ სიხარული, ისევე როგორც უბედურება, ერთმანეთს წაეწყობა ხოლმე.

რამდენიმე დღის შემდეგ მასთან მოულოდნელი სტუმრები მივიდნენ: ორი იმ გლეხთაგანი, პასტორთან რომ ყავას შეექცეოდნენ, გამოცხადდა კერსხოლმში და ითხოვეს მასთან მოლაპარაკების ნებართვა. ესენი იყვნენ ბრგე, მხარბეჭიანი ვაჟკაცები, შინნაქსოვი ტანსაცმელი ეცვათ და დიდი ღირსებით ეჭირათ თავი. პერმა შინ შეიპატიჟა ისინი, სთხოვა დამსხდარიყვნენ და მიუხედავად იმისა, რომ მათი ვიზიტი მოულოდნელი იყო მისთვის და არც გლეხებთან საუბრის გამოცდილება გააჩნდა, რამდენიმე საათს იმასლაათეს. სტუმრებმა თავიდანვე განაცხადეს, აქ არავის გამოვუგზავნივართ, ჩვენით მოვედით, რადგან „ყური მოვკარით“, თითქოს თქვენ მდინარის კალაპოტის გადაგებგვას და ოლქის ყველა წყალსატევებში წყლის დონის დაწევას აპირებთო. თუ ხმები, რამაც ჩვენს ყურამდე მოაღწია, მართალია, მაშინ პირადად გვინდა უფრო ახლოს გავეცნოთ საქმესო. თვითეულ მათ სიტყვაში ანგარიშიანი სიფრთხილე და წვრილმანი უნდობლობა გამოსჩენოდა და ეს სულ არ ესადაგებოდა ამ ამაყ, წარმოსადეგ ხალხს. თუმცა იმ შეკითხვით, პერს რომ დაუსვეს, ცხადი იყო, მათ ზედმიწევნით შეესწავლათ საქმის როგორც იურიდიული, ისე ტექნიკური მხარე, თავი მაინც ისე ეჭირათ, თითქოს პროექტს მხოლოდ ზოგადად იცნობდნენ და როცა ერთერთმა მათგანმა შემთხვევით ახსენა, იქნებ სჯობდეს, კიდევ ერთხელ მოვიწვიოთ დამფუძნებელი ყრილობაო, მეორემ დაუყოვნებლივ ეჭვი შეიტანა ამ წამოწყების რეალობაში, ხოლო პირველმა

პირდაპირ განაცხადა, ჩემს მხრივ, საერთოდ, არ შეერევა [illegible] საქმის წარმატებაზე. [illegible] ბოლოს ისინი წავიდნენ და პერმელგეფერ-ბალბათ სწორედ [illegible] ტომ მოვიდნენ, რათა საბოლოო უარი თვისთვის მიეცა ჩემთან. [illegible] ჰოფეპერმელტერის მეუღლემ, [illegible] ბლომბერგებთან [illegible] და ვინც უკეთესად იცოდა, როგორ უნდა აწარმოო საქმე, გლეხებთან მოლაპარაკებაში, [illegible] ჩაცინებით დაუმატა, სწორედ იმისკენ [illegible] ბლომბერგებთანაც ყველა კმაყოფილი იყო; მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ ოლქში ხმა გავრცელდა, რომ ეს გლეხები წავიდნენ კოპენჰაგენში და თავიანთ დეპუტატს სთხოვეს, მოეხერხებინა მათთვის სახელმწიფო სუბსიდია სამუშაოთა დასაწყებად.

[illegible] ბერი მთელ დღეებს ბესტრუპში ატარებდა და ინტერიც დღითი დღე უფრო და უფრო ნაკლებად ცდილობდა თავისი გრძნობების შეკავებას. [illegible] ხოლმე. [illegible] ბრლობდენ [illegible] ბრლობდენ [illegible] ბრლობდენ

ერთხელ ბლომბერგებთან რომ მიგბრძანა, პერმა შენიშნა, რომ ყველანი
რალაცეთ შეშფოთებულნი იყვნენ. ხიმაშრი თავის კაბინეტში იჯდა ინგერი
და დედა სასტუმროოთახში ხელსაქმეს უსხდნენ და მოზეიმე სა-
ხეები ჰქონდათ. უმცროსი ბავშვები წუნარაზე და გაუბედავად ფუსფუ-
სებდნენ სასადილოოთახში. რაც ეერი და იწგერი მარტო დარჩნენ,
ქალმა უამბო პერს, რომ ურბერრი ჩემი შვა, "ბორმეტი" წლის ნილსი
ტაუილში დაეტირეთ და თუმცა მამის ხელს ჰქონდა აშკარა სანუთი
იმაზე, რომ ნილსმა იცრუა ბიჭი მიანც ჯიუტად უარს ეუბნებოდა შავის და-
ნაშაულზე. მაინც მამამ მიიწვია ყველა ბავშვი და წარმოთქვა მცირე-
ოებედი. ქალაგვა, რის შემდეგაც პატარა ცრდერმა ყველაფერი აღმა-
ო. ახლა ბიჭი სასტუმროოთახში ჩაკეტილი და საშობაო ორდალეგე-
ბის დამთავრებამდე ეკრძალული აქვს ეზოდან გასვლა.

პერმა ცოტა ან ეყოს, დაიარცხეინა ეს ამბავი. რომ მოსმინა შან
აქამდე ბრ. დავიწყებიდა მხგავსი სცენა მშობლიურ ოჯახში, სანილად,
რომ გაიგეს ბავშვებმა ამ ამბავი, სცენის მოგონებებმა
მთელი ბავშვობა ჩაუშალა და ახლაც ზის გაზხენებაზე. მწარე ფიქრებმ
აუფუთფუთდა თავში. ეს მაშინ განცდილი ტრიტესტის გრძნობის და
შურისძიების წყურვილის ემოციანი. ეყო. ამიტომაც პერი. ბაშინვე
შეეცადა. ლაპარაკი სხვა საგანზე გადაეტანა და ძალიან გაუხარდა, რომ
ინგერის დედა დაბრუნდა და საუბარმაც სხვა მიმართულება მიიღო.

სიდიდრთან ურთიერთობაც თანდათანობით მოგვარდა. ინგერის
ხათრით პერი ყოველ ღამეს ცდილობდა მასთან ერთად მოეგო. და ყიდეეაც
მოახერხა. პერმა შენიშნა, რომ ამ ქალს ძალიან უყვარდა, თუ ბერვის
დროს ერთობდნენ, მიგალითად, ხმამაღლა უკითხავდნენ ჯაიმე ფიგნს.
ამიტომაც ყოველ დილა ნასადილევს ხმამაღლა კითხულობდა ამ საღამოში
მეტად ბოდიალარულ განმანათლებელი რომანებს. მთელ თავებს და
თუმცა ბევრი კითხვა ერავეიარ ალამოვნებას. ან ბევრი და ნელ-ნელა შე-
ეჩვევა ლა ეზიზეეაც სიამოვნებდა-ს. წუნარი ქალები, რიცა ხან მსე ხმა
გაისმოდა, ხან ძაფის შრიალი და ხან შეშის დამამშვიდებელი ტკაცუნი.

ნათლისღების მეოთხე დღეს პერი კოპენჰაგენში წავიდა. ესედაც
დიდხანს ჰქონდა შეტოვებული ხიმუშაო. თანაც ჰოფეეერმეისტერის
ავადმყოფობა გაჭირვებით ეფერო. სერიოზული ეკლოჩნდა. ვიდრე ვა-
ლაუდიბდნენ და მოფლოდნელად ძალიანაც გართულდა. უკანასკნელი
დღე პერმა მთლიანად ბლომბერგებთან გაატარა. ქთელი ათი ურთიერ-
თობის განმავლობაში პირველად მოხდა, რომ გამოთხოვებისას ინგერი

ძალიან აღელდა, თვალებზე ცრემლები მოადგა და დიდხანს უჭერდა პერის ხელს ხელს, თითქოს ეშინოდა თავის ხელიდან მისი გაშვება. პერის წასვლისას სიმამრი, სიდედრი და ინგერის ყველა პატარა და-ძმა პარმაღზე გამოცვივდა და მანამ უქნევდნენ ცხვირსახოცს, სანამ თვალს არ მიეფარა. ინგერი კი ბაღში გადავიდა, აძვრა ღობის ქვედა კადონზე და იქიდან კიდევ დიდხანს უქნევდა ცხვირსახოცს.

და მაინც პერს, ცოტა არ იყოს, გული გაუტყდა. სულ ბოლო წუთამდე იმედი ჰქონდა, ინგერი მშობლებს სთხოვს ნებართვას, სადგურამდე გამაცილოსო, რათა ცოტა ხანს მაინც ყოფილიყვნენ მარტო. თუმცა ცივი და ქარიანი ამინდი იყო, პარს მაინც გაუკვირდა, რომ ინგერს ეს ფიქრადაც არ მოსვლია. ეტლის კუთხეში რომ მიიყუჟა და თავის გვერდით, ცარიელ ადგილს გახედა, პერს უნებლიედ იაკობა გაახსენდა, გაახსენდა, როგორ ამცნო ქალმა თავისი სევდა ერთერთ წერილში. „მოხარული ვიქნებოდი სამჯერ შემომევლო მთელი ქვეყნისთვის, რათა ერთადერთი წუთი გამეტარებინა შენთან“, — სწერდა ის. მაშინ ეს სიტყვები პერს მაღალფარდოვანი და ისტერიული ეჩვენა ახლა კი, როცა თავად იყო შეყვარებული, კარგად ესმოდა.

ნახევარი საათის შემდეგ სადგურის შენობები გამოჩნდა, მერე გაიელვა პატარა სახლმა, რომელშიც ჰოფჰერმეისტერის მეუღლე მათი სიყვარულის ბუდის აშენებას აპირებდა. ეს სახლი გზის მიღმა ბორცვის ძირში იდგა, აგარაკის სტილში იყო აგებული და კარგი ბაღი ერტყა გარს. ახლაც კი, შუა ზამთარში, შიშველი ხეები ძალიან მყუდრო და მიმზიდველ შესახედაობას აძლევდა. პერი გამხიარულდა. ნუთუ შესაძლოა, რომ ეს სახლი მისთვის მშობლიური გახდეს, რომ ეს მყუდრო საყანე მისი ბედნიერების მოწმე შეიქნეს? ნუთუ შესაძლოა, რომ ის, კისაც ყველა კეთილი სული განერიდა, ამ უფარდო ფანჯრებთან იჯდეს, გვერდით ინგერი ჰყავდეს, ხოლო სიკეთის ძალები, ვისდამიც პერი ასე არაგონივრულად სცოდავდა ხოლმე, მის სიმშვიდეს იცავდნენ? ნუთუ შესაძლოა, რომ ერთხელაც ამჟამად უდაბურ და მიტოვებულ ბაღში მისი ბავშვების სიცილი ან ტირილი გაისმას? ბორცვზე კი, სახლს უკან — დიახ, სწორედ ბორცვზე — პერი ააშენებს საცდელ წისქვილს და ერთ მშვენიერ დღეს იქნებ ქვეყანას დიდი გამარჯვებაც აუწყოს.

გულაჩვილებულმა პერმა გაუღიმა თავის აზრებს და გაიფიქრა, ღმერთი არა მარტო მრისხანე მოსამართლეა, მკაცრად, დაუნდობლა-

დაც კი რომ სჯის განდგომილებს, არამედ მოწყალე მამაც. მეფურად რომ აჯილდოვებს ალალმართლებსო.

მატარებელი სადგურიდან გავიდა, პერმა თავის კუპეში ვიღაც ჭაღარა მოხუცი შენიშნა. მან მაშინვე იცნო პასტორი, საშობაო ვიზიტით რომ მოვიდა ბლომბერგებთან სწორედ მისი ნიშნობის წინ. პასტორი მხნე და ენაწყლიანი ბატონი გახლდათ, მანაც იცნო პერი და მშვენივრად იმასლაათეს.

— თქვენ ხომ, მგონი განსვენებული იოჰან სიდენიუსის ვაჟი ხართ, ასე არ არის? მამათქვენს მე კარგად არ ვიცნობდი, მაინცდამაინც არ სწყალობდა თავის კოლეგებს და განმარტოება ყველაფერს ერჩია, სამაგიეროდ, დედათქვენს ახალგაზრდობაში ძალიან კარგად ვიცნობდი. მე და ის ერთ ქალაქში დავიბადეთ და გავიზარდეთ, ორივენი ვაილედან ვართ და თითქმის ერთი ხნისანი ვიყავით. თქვენ, სხვათა შორის, ძალიან წააგავხართ. ჯერ კიდევ ძვირფას ბლომბერგებთან რომ გნახეთ, მაშინაც სულ იმას ვფიქრობდი, ნეტა ვის მაგონებს-მეთქი. მაგრამ დედათქვენი ქალიშვილობის გვარი აღარ მახსოვდა. მერე კი მივხვდი, რომ ტორსენებს გავხართ სახით. როცა გიყურებთ, ბაბუათქვენი მიდგას თვალწინ თქვენ, ალბათ, მას არც იცნობდით. შესანიშნავი ადამიანი იყო, მთელი სიცოცხლე გაჰყვა მხიარული და ხალისიანი ხასიათი. მუდამ დიდი ინტერესით აღევნებდა თვალს, თუ რა ხდებოდა ქვეყნად. მისი სტუმართმოყვარე სახლი ჩვენი პატარა ქალაქისთვის ნამდვილი მადლი იყო, ხოლო დედათქვენი კი ადგილობრივი ახალგაზრდობის მეამიტ გართობათა სული და გული გახლდათ. ახ, რა ბედნიერი დრო იყო, რა ბედნიერი დრო, მახსოვს, ერთხელ საშობაო არდადეგებზე ერთმა მიწათმფლობელმა, ჩვენი ქალაქიდან კარგა მოშორებით რომ ცხოვრობდა, მასკარადი გამართა. მთელი ახალგაზრდობა მიიწვიეს. აუწერელი სიხარული იყო. და სწორედ ისე მოხდა, რომ სალამოს საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. ისეთი ქარბუქი იდგა, სახლიდან ცხვირის გამოყოფას ვერავინ ბედავდა. ყველას საშინლად ეწყინა. ვსხედვართ და ვწუხვართ. უეცრად ქუჩიდან ზარების წკარუნი, კავების ჭრიალი და მათრახის ტლაშუნი მოგვესმა.

მივვარდით ფანჯრებს — და იცით ვინ დავინახეთ? აბა, ვინ იქნებოდა თუ არა ქრისტინა ტორსენი? ძალზე მშვიდად მიემგზავრებოდა შეჯლისზე და ყურიც არ ათხოვა რჩევას, ამ ამინდში შინ დარჩენა სჯობსო. ბოლოს განაცხადა, თუ არავინ წამიყვანს, პირდაპირ ფეხით წავალ ჩემი

ატლასის ტუფლებითო. მაშინ ყველა გაგულავდა და ეს საინტერესო საქმე დიდი წარმატებით დაბოლოვდა. [illegible]

— მაპატიეთ, — დარცხვენილი შეაწყვეტინა პერსონაჟ მაგრამ თქვენ ალბათ, ცდებით. [illegible] ქალიშვილი [illegible] ყოფილიყო.

— მაშასადამე, თქვენ განსვენებული იოჰან სიდენიუსის შვილი ხართ?

— შვილი ვარ.

— დედათქვენს ქრისტინა ერქვა და საშინელ ექიმის ვიოლენტებერ ხარდ ტორსენგს ქალიშვილი იყო?

— დიახ.

— მაშინ მე მაგრამ [illegible]

— ეჭვებ ეს ქალიშვილი დედაჩემის [illegible]

— ეს თქვენ საკოდაგ ეიგნეზეზ ამბობთ? [illegible] ის ძალიან ლუსტი ეყო და ადრე გარდაცვალა. [illegible] ნი სიკვანსალის. განსახვრგზეა [illegible] ერთ [illegible] ერთხელ ზეფხულში, ჩვენ, [illegible] მაშინ ვეძახდით, [illegible] ტყეში, [illegible] ბრონს [illegible] ბოლოს [illegible] ბილიკების [illegible] ბილი [illegible] ბილი [illegible] ბილ [illegible] ბილ [illegible] ბილ

იდგა: ბარონი და ტყის მცველი. ბარონზე ხმები დადიოდა, საშინელი უხეში კაცია და გარეგნობითაც საფრთხობელაო. ეს გახლდათ დიდი, ზორბა ხევსური კაცი, ინდიანურ-ჩიჩიანგოვით მუქი წითელი სახე ჰქონდა. არავინ იცოდა, რა გვქონდა საშინელად შეშინებული. უეცრად წამოიდგა დედათქვენი, ფანჯარაში ყავი-ფაფუხი, ხელში ავიღო ლანდა ბარონმა, ეკენწავედა. ახლა ოთახში დიდგა ხევსურის ფერი, ზანზარებულის ტანი, ეცმა დაბალ-ბალ ფეხებიანი დიდი ტყლეპები, ქუდი ეხურა. ისეთი მშვენიერი ყოფილა, ეცვა. მხუბუქად მოეფიფქა ეს ექერით ეერ გაძლებოდა კაცი. მან კნიქსენი გააკეთა და ეშმაკური ღიმილით სთხოვა ბარონს, პატივი დაგვდეთ, დეჩვენ ტრიბუნაზე. ბარონი ეერ გაუმაგრეთ ეაძლებინა, საერთოდ ძალიან ეგვიანელ ადამიანი ყოფილა. ამ სიშიმეზ, დამიგრდა ეროვ, ეან ლამარენებისა ყველანი დაგვიბეტნენ თავის ეოლეკ მიეძალნენ. შეშინებულ-ეგვემ გაგვესინა. ეს დღე ეარ ეერ ეერ ჩვენგანს არ დავიწყებია. დედათქვენს არასოდეს არ უამბნია თქვენთვის? ოდესაც ... ეგეთ ... ეროვ ... ეან ... ეროვ ... ეან ... ეროვ ... ეან

თავი XXV

სილეზიის პატარა ქალაქ ხირშბერგში, ბრესლავლის მახლობლად, სადაც იაკობა სიჩუმესა და განმარტოებაში ატარებდა ორსულობის ბოლო თვეებს, ცხრა იანვარს ღამით, ვიდრე ათი იანვარი გათენდებოდა, მძიმე განსაცდელი დაუდგა. ეს ამბავი დილაადრიან ტელეგრამით აცნობეს მის ბრესლაველ მეგობარ ქალს — ერთადერთ ადამიანს, ვისაც იაკობამ თავისი საიდუმლო გაანდო. დღისით ასევე ტელეგრამით გამოიძახეს ექიმი.

გაიარა იმ მტანჯველმა დღე-ღამემ, რასაც შემდეგში იაკობა ძრწოლით იხსენებდა, განა ისე კი აკლდა განცდები? ბავშვი ცოცხალი დაიბადა, მაგრამ მაშინვე მოკვდა. იაკობასათვის არც უჩვენებიათ: დედის სიცოცხლის გადასარჩენად იძულებული იყვნენ ბავშვი დაესახიჩრებინათ.

მთელი თვე იწვა იაკობა ლოგინში. როცა წამოდგა, დაიწყო სახლის წინ პატარა ბაღში გამოსვლა, სადაც ბლედმოხვეულს შეეძლო დამტკბარიყო თოვლიან მწვერვალთა მთაგრეხილის ცქერით, გარს რომ შემორტყმოდა მინდვრის ქორფა ბალახს. უკვე შუა გაზაფხული იდგა. მაგრამ ეს სილამაზე იაკობას გულს არ უხარებდა. ისე გლოვობდა ბავშვის სიკვდილს, ისე განადგურებულად გრძნობდა თავს, ისეთ უსარგებლო და ზედმეტ ადამიანად ამჭვეყნად და თანაც ისე უმწეოდ, როგორ მის თვალზე ცრემლი არ შრებოდა. ბოლო თვეებში მშობიარობის წინ ბავშვზე ფიქრით აივსო მისი გონება, თვით მის განუყოფელ ნაწილად იქცა და ახლა ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს თავად დაღუპულიყოს. არც კი უფიქრია იმაზე, რომ ბავშვის სიკვდილმა მას ააშორა მძიმე ჯვარცმა, სახელის გატეხა, დამცირება, მშობლების დარდი, ნაცნობებისაგან შებრალება — ყველაფერი, რასაც წინათ შეეძლო დაეტანჯა. არად იყო ჩასაგდები იმ სიხარულის ხათრით, იაკობა რომ თავისი ბავშვისაგან ელოდა, იმ იმედების გულისთვის, ამ ბავშვზე რომ ამყარებდა, — ახალი ცხოვრების დაწყების იმედებისთვის.

დედა და მამა დარწმუნებულნი იყვნენ, იაკობა კვლავ ბრესლავლში ცხოვრობსო და რეგულარულად სწერდნენ ყოველ შინაურ ამბავს. მათგან გაიგო იაკობამ, რომ ეიბერტმა ჩვიდმეტი წლის გოგონა შეირთო, რომ მისი სიძე დიურინგი რიკსდაგში გავიდა, რომ ნანი სამეფო კარის

მეჯლისზე ერთ-ერთ პრინცთაგანს წარუდგინეს. მაგრამ ყოველივე ეს სულაც არ აინტერესებდა. იჯდა თავის პატარა ბაღში, თავქვეშ ბალიშ-ძოლედო, ფეხქვეშ პატარა სკამი შეედგა და თვალს აყოლებდა ბავშვებს, მის მახლობლად ბილიკზე რომ დარბოდნენ.

უმთავრესად ეს ბავშვები ღარიბი ოჯახის შვილები იყვნენ, ფერმკრთალნი, გამხდარნი, საცოდავნი, ბუზებივით რომ ირევიან საფაბრიკო დაბებში, სოფლური ტიპის ყველაზე პატარა დაბებშიც კი, სადაც გაზაფხულობით გზის გაყოლებით კვლავ მწვანე ბალახი ამოწვერილა. დღეში ორჯერ ჩაივლიდნენ ხოლმე ისინი ხმაურითა და ღრიანცელით იაკობას სახლის წინ — სკოლაში წასვლისას და უკან დაბრუნებისას. იაკობას განსაკუთრებით მოეწონა ერთი ათი წლის ავადმყოფური, ფერმკრთალსახიანი ბიჭუნა, ლოყებზე და ცხვირქვეშ მუწუკები რომ ჰქონდა გამოყრილი. ის ყოველთვის ბოლოს მიჩანჩალებდა, იღლიის ქვეშ ასპიდის დაფა ჰქონდა ამოდებული და მოხუცებულივით მიაფრატუნებდა ხის ფეხსაცმელებს. როცა იაკობა საკმაოდ მომაგრდა და შეეძლო ბაღიდან მარტო გამოსვლა, ერთხელ შეაჩერა ეს ბიჭი და ალერსიანად გამოელაპარაკა. შეცბუნებულმა ბიჭუნამ შიშით შეხედა სევდიანი ლურჯი თვალებით, არაფერი უპასუხა და გზა განაგრძო. ორმოცდაათიოდე ნაბიჯის შემდეგ შიშით უკან მოიხედა და, როცა დაინახა, იაკობა უწინდელ ადგილზე იდგა და მას გასცქეროდა, თავი მხრებში ჩაიძვრინა, თითქოს ეშინოდა, უკნიდან არავინ დასხმოდა თავს. „საცოდავი ბუთხუზა“ — ხმამაღლა გაიფიქრა იაკობამ და გზა განაგრძო; დაშინებულმა ბიჭმა, პატარაობიდანვე ასე რომ უფრთხოდა უცხო ადამიანებს, იაკობას დედობრივი სინაზე გაუღვიძა.

რამდენიმე დღის შემდეგ იაკობა უკან გაჰყვა ამ ბიჭს, უნდოდა ენახა სად ცხოვრობდა. მან შორიდან მოჰკრა თვალი, რომ ბიჭი გრძელ, დაბალ ბარაკში შიიმალა, უამრავი კარი რომ ჰქონდა — ყოველი ორისამი ფანჯრის შემდეგ მისი კარი პირდაპირ ქუჩაზე გამოდიოდა. მან მეზობლებს გამოჰკითხა და გაიგო, ვინ იყვნენ ამ ბიჭის მშობლები და რა პირობებში ცხოვრობდა მისი ოჯახი. იაკობას თვალწინ გადაეშალა „ფაბრიკელთა“ უცვლელი ტრაგედია. დედ-მამა მუშაობს, ბავშვები კი ბედის ანაბარა არიან. შინ მათ შიმშილი ელოდება, სკოლაში — ცემა, ქუჩაში — პოლიციის ფხიზელი თვალი. ასეთ პირობებში ბავშვები ან ეულქვანი ხდებოდნენ ან — გონებაჩლუნგნი; ან ბოროტმოქმედებად იქცეოდნენ, ან — არარაობად.

[illegible]

[illegible]

[illegible]

ნი, მაინც) არსებობის პირობები. ამ ცარიელი ოთახიდან, მშობლიური სახლი რომ ეწოდება, სადაც იშვიათად არიან დედა და მამა, საბრალო ბავშვებს სკოლისაკენ ერეკებიან, მათი უმეტესობისთვის გამოსაწყალებელ-დაწესებულებას რომ წარმოადგენს და უმთავრესად პირფერით განსხვავდება მისგან. ისინი ნდობით უნდა უყურებდნენ საზოგადოებას, როგორც თავიანთ ძალზე საიმედო ხაყრდენს და დამცველს. მაგრამ საზოგადოება მათ წინაშე ჩვეულებრივ უბადრუკი სახით დგას: უგულო მასწავლებლის, მკაცრი პოლიციმენის, ღარიბებისადმი მზრუნველობის კომიტეტის მოამბეზრებელ მოღვაწეთა და მღვდელმსახურთა სახით, ვინც უმარტავს მას, რა არის სიკეთილი, ხაშინელი: სამსჯავრო და ჯოჯოხეთის წამება. საიდან უნდა ჰქონდეთ მათ ხაზოგადოებრივი გრძნობები, ზომელთაგანაც დრეტა განმავლობაში შეიძლებოდა ძმური ურთიერთ-მოქალაქეობის გრძნობები განვითარებულიყო? გათიშულ-უკახის გაწმტკიცებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია: მშობლიური სახლი, ოდესღაც რომ საზოგადოების საფუძველს შეადგენდა, ახლა ქრება, ეს ორი გაწვითარების განგლილი ეტაპია. მაგრამ-ია უნდა შევთავაზოთ. მათ სამაგიეროდ? ეს საკითხი ამ ბოლო დროს ისე მაინტერესებს, ძილშიაც კი მახსოვს. უფროსებზე საზოგადოებამ უკვე იზრუნა: მისცა მათ უკლესიები, ვარიეტე, საკრებულო-დარბაზები და ლუდხანები, თეატრები და სამლოცველო-სახლები. მაგრამ ბავშვებმა რა ქნან? ბოთხარი, გეთაყვა. საიდან ეძებონ დახმარება ამ საბრალოებმა. მე -მხოლოდ ერთადერთ გამოსავალს ვხედავ: სკოლამ მათ თანდათანობით უნდა შეუცვალოს მშობლიური სახლი. მაგრამ თავისთავად ცხადია, ამისთვის საჭიროა სკოლის ხანგრძლივი და შეუპოვარი გარდაქმნა, ის უნდა დაუბრუნდეს პირვანდელ მდგომარეობას, გახდეს ის, რაც ოდესღაც ყო მონასტრები, — თავშესაფარი, ყოველთვის და ყველასათვის — ყარლია, საიმედო ბინა. გარდა ამისა, სკოლაში უნდა იყოს რადაც თვისებრივად ახალი რამ. თვით მასწავლებლობა, ბავშვების მოვალეობა, სწავლების მეთოდები უნდა უქმნიდნენ ბავშვებს ოჯახური სიმყუდროვის და საზეიმო გაწყობას. სწორედ აქ უნდა ვუნერგავდეთ ბავშვებს ცხოვრების სასიხარულო და ნათელი აღქმის საფუძველს, რაც მათ მომავალში დაეხმარება, არსებობისთვის ბრძოლაში უფრო გამძლეს გახდის, ვიდრე წინანდელი (ბოგჯერ კი თანამედროვეც), მონასტრების მიერ აღზრდილი სახლგაზრდობა იყო; ის სახლგაზრდობა, ვინც პირველ გულგატეხილობისთანავე კარგავდა სიცოცხლის რწმენასაც, ზედნიერების იმედსაც

და როგორც პატარა ბავშვი, ძველი, კეთილი ძიძის --- ეკლესიის კალთის ქვეშ აფარებდა თავს.

მაგრამ მე შენს სახეზე დაუფარავ გაოცებას ვხედავ. „რისთვის მიყვება ნეტავ ყოველივე ამას?“ — იკითხავ შენ. რას იზამ, ეს მართებული კითხვაა და მეც მთელ სიმართლეს გადაგიშლი. აქ, მარტოობაში, თითქოს ჩემს წინაშე ახალი სამყარო გადაიშალა და თავადაც ჯერ კიდევ გაბრუებული ვარ ამ აღმოჩენით. იცოდე, სერიოზულად ვაპირებ ზემოთ გადმოცემული აზრების ცხოვრებაში განხორციელებას. მე დამებადა შმაგი იდეა, კოპენჰაგენში ღარიბების შვილებთათვის ისეთი ნიმუშის სკოლა გავხსნა, როგორიც შენ დაგიხატე. ამას შევალევ მთელ ჩემს სამემკვიდრეო წილს. მაგრამ, აბა, ამაზე უკეთესად რაში გამოვიყენებ მას, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებ, რომ არავინ მყავს. ვისაც დავუტოვებდი ჩემს წილს. ცხადია, ასეთ საქმეს ორ დღეში ვერ გააკეთებ. კარგად უნდა გადავხედო ყველა ცდას, რაც კი ამ მხრივ მომხდარა და, საერთოდ ძირფესვიანად შევისწავლო სასკოლო საკითხი. მახსოვს, სადღაც ყური მომიკრავს თუ წამიკითხავს, რომ ამერიკაში უკვე იყო ამ სახის მოძრაობა, ამიტომაც ნუ გაგიკვირდება, თუ ერთ ნშვენიერ დღეს მიიღებ ცნობას, რომ მე ვაპირებ ატლანტიის ოკეანის გადასერვას. მანამ კი ვრჩები ჩემს მეურვეობაში მყოფებთან. თანაც აქაურ სასაფლაოზე ერთი პატარა საფლავის მიტოვება არ შემიძლია, ისე რომ, მგონი მალე ვერ მიხილავ“.

* * *

ამავე გაზაფხულზე პერმა ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდები, მაგრამ მისი სიხარული ხანგრძლივი არ გამოდგა: იძულებული იყო თითქმის საგამოცდო მაგიდიდანვე ყაზარმაში წასულიყო და ჯარისკაცის მუნდირი ჩაეცვა. ახლაც — უკვე მერამდენედ — სამაგიერო უნდა მიეზღო ძველი ცოდვებისათვის. აგერ ზედიზედ რამდენიმე წელი იყო, ყველა ღონისძიებით ცდილობდა, როგორმე გადაევადებინა სამხედრო სამსახური, სულდგმულობდა იმ იმედით, იქნებ ფილიპ სალამონის დახმარებით შესძლებოდა მთლად აერიდებინა თავი გაწვევისთვის. და აი. ახლა წაიყვანეს არმიაში და აიძულეს მთელი ზაფხული მოედანზე ფეხები ებაკუნებინა, სანგრები ეთხარა და ფიჩხკონები ეწნა-რამდენიმე

ასეულ ახალგაზრდასთან ერთად, პერი რომ ცინგლიან ბიჭებად თვლიდა. იმდენად ფიზიკური დაღლილობა არ აწუხებდა, თუმცა სულ არ იყო მიჩვეული გადაღლას, რამდენადაც ის რაღაცნაირი სულიერი ძილი, გამოტვინება, საითაც უეჭველად მიიყვანს კაცს ყაზარმაში ცხოვრება. მან თან მოიტანა რამდენიმე წიგნი, იმედოვნებდა, მოცლილობისას წაკითხავო, მაგრამ სამწყობრო სიარულის შემდეგ მხოლოდ ყველაზე აუცილებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის ჰყოფნიდა დრო. დასვენებისა და გამოძინების მეტი არა სურდა რა. გარდა ამისა, ისე მიეჩვია ბრძანებაზე ყველაფრის გაკეთებას, რომ ძალზე უცნაურად ეჩვენებოდა თავისი ნებით გაეკეთებინა რაიმე.

მაგრამ სულიერ ძილად მივარდნა მხოლოდ შემოდგომამდე გრძელდებოდა. მერე პერს კვლავ წარმატება არგუნა ბედმა: პირველი ვადის სამსახურს რომ მორჩა, პერმა კენჭის ყრის დროს ისეთი იშვიათი ნომერი ამოიღო, მთლად განთავისუფლდა არა მარტო ზამთრის გაწვევისაგან, არამედ საერთოდ არმიაში სამსახურისგან. სექტემბრის ბოლოს სულიერად და ხორციელად დასვენებული პერი იუტლანდიაში გაემგზავრა და იქ საზეიმოდ გამოცხადდა მისი ნიშნობა. ჰოფეჰერმეისტერი მისი იქ არყოფნის დროს გარდაცვლილიყო, მაგრამ ამან არამც თუ არ შეაჩერა მოლაპარაკების მსვლელობა, პირიქით, კიდევაც დააჩქარა და მზადება ისე შორს წავიდა, რომ პერს, თავისდა ხასიხარულოდ, შეეძლო დაუყოვნებლივ ხელი მოეკიდა სამუშაოსთვის.

უპირველეს ყოვლისა, პერი დასახლდა სადგურის დაბის განაპირა პატარა ვილაში, სწორედ იმაში, ჰოფეჰერმეისტერის მეუღლემ რომ შეარჩია მისთვის ჯერ კიდევ შობამდე და რომელიც აქამდე არავის დაეკავებინა. სახლში ხუთი ოთახი იყო სამზარეულოს გარდა და ორი ოთახიც მეზონინზე. ჯერჯერობით პერმა მხოლოდ ორი ოთახი მოაწყო ქვემოთ და ისიც ფრიად ღარიბულად. პერს რომ სიმყუდროვის შექმნის უნარი სულ არ გააჩნდა, ეს თვალში მოგხვდებოდათ ყველგან, სადაც არ უნდა ეცხოვრა მას, დანიაში იქნებოდა თუ საზღვარგარეთ, და აქაც გამოჩნდა მისი ეს თვისება. აუქციონზე, სადაც გაკოტრებული მედუქნის ქონება იყიდებოდა, მან შეიძინა ორი შეღებილი მაგიდა, მუშაობაგადაკრული დივანი, რამდენიმე სკამი და სხვა ასეთივე ქონება. თუ პერი ხალისით კმაყოფილდებოდა ამ ხარახურით, ეს მხოლოდ წმინდა ფინანსიური მოსაზრებით კი არ ხდებოდა, როგორც მას ეგონა, არა

მარტო იმის გამო, რომ სურდა რაც შეიძლება მალე გადაეხადა შინაურებისა და ფილიპ სალამონის ვალი, ორამდე იმიტომაც, რომ მას, როგორც ჭეშმარიტ სიდენიუსს, - შუა საუკუნეების მორჩილებ თვისებები გააჩნდა და ალტმალად იზიდავდა ცხოვრების ესკეტური ნირი და მეცხრამეტე საუკუნეების სიდეალმა უშოვა მოხუცი მნექალი, ოდესღაც ზათბარ რომ ცხოვრობდა ბესტრუპში დ... ოქტომბერში, როგორც ეს შემოდგომამ ზაფხულის მემკვიდრეობის უკანასკნელი ნარჩენები ქარს გაატანა, ბოლოსდაბოლოს დადგა დღე, როცა პირველად მიუდგა საკუთარ საწერ-მაგიდას.

თვით პატარა ქალაქი — მას რიმალტი ერქვა — წყლის ორი წვეთივით ჰგავდა ყველა ახალ დაბას, რომლებიც თვალის-დახამხამებაზე და ამიტომაც ყოველგვარი გეგმის გარეშე, ზეიდროდ დასახლებულ ადგილებში, რკინიგზის სადგურების გარშემო შენდებიან, როგორც წესია, აქ იყო სამეკიტნო, ერალური სასწავლებელი, აფთიაქი, ორამდენიმე დუქანი, რამდენიმე სახელოსნო, სამაგიეროდ არც ეკლესია ჰქონდათ, არც პასტორი ჰყავდათ, სადგურის უკან მდინარეზე აგებული იყო საკმაოდ საიმედო ხიდი და ვაგონების მოგუგუნე კაკუნი ხიდზე აქედან თვით კერსხოლმამდე ისმოდა, ერთ დროს პერმაც მოისმინა ეს კაკუნი, ოცი კილომეტრის დაშორებით ხალხი საათს მატარებლების მიხედვით ასწორებდა.

ხიდის ორივე მხარეს მდებარეობდა მისი შემოქმედების არენა — მდინარის გასწვრივ — ერთი ნაპირიდან ამ კილომეტრზე, ხოლო მეორედან ხუთზე — რიმალტის, ბესტრუპის და ბორუპის მრეველებში, სალაპარაკო მინდვრების ჩათვლით. ყოველ დილით გადიოდა პერა თავისი საკუთარი მსუბუქი ორთვალათი, რათა ადგილის გეგმა აეღო, ჩამოდინების ტრასა დაენიშნა, დაედგინა გზები და ა. შ. ამ მუშაობის დროს ის ეთანდათან გაეცნო ადგილობრივ მცხოვრებლებს და მაინცდამაინც არ მოსწონებია, ცალ-ცალკე ისინი სულ სხვანაირები ეყენენ და იმდენად კარგ შთაბეჭდილებას არ ახდენდნენ, როგორსაც მაშინ, ზაფხულში, ტყეში, სასალხო ზეიმზე გარდა ამისა, რაკი არ ჰქონდა შესაძლებლობა შეეფასებინა თვითეული მათგანი, პერს ყველანი ერთნაირები ეჩვენებოდა, ყველგან მხოლოდ საერთო წოდებრივ თვისებებს ამჩნევდა: ანგარების-მოყვარეობას, წვრილმანობას, სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფის მოურიდებელ ზეეშლებას, — ერთი სიტყვით, იმ ნაკლებ სასიამოვნო თვისებებს, მუდმივი გაჭირების ზეგავლენით რომ იფურჩქნებიან ხოლმე ჩა-

ქეტილ და შეზღუდულ პროვინციულ სამყაროში. აქ ბევრი [illegible] ადგილობრივ
დარწმუნდა, თავის დაკეთილების საამტრილანობაში, სამხედრო ბეგარის
მოხდა ადგილობრივ [illegible] ერთ-ერთ [illegible] ბელგიელებიც
და ბელგიელებიც ძირითადად დასავლეთ ფლანდრიელები და ზეშ-ეშ-
დაბეგ განცვიფრებული იყო, [illegible] ბრალდებულ [illegible]
[illegible] ბელგიელ [illegible] ბელგიელ

საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, როგორც აქ, იუტლანდიის პროვინციულ სამეკიტნოში. სასწავლებლის დირექტორი ითვლებოდა, ასე ვთქვათ, კლუბის სულიერ ბელადად. ეს იყო ორმოცდაათი წლის კაცი, საკმაოდ ჭკვიანი, ფრიად ფართო, თუმცა ფრაგმენტული განათლება გააჩნდა მეცნიერების სხვადასხვა დარგში და გონივრულად იყენებდა ამ ცოდნას ნებისმიერ საუბარში. ოდესღაც სტუდენტი ყოფილიყო. უნივერსიტეტიდან ფილოსოფიის კანდიდატად გამოსულიყო, პოლიტიკურ არენაზე გასვლის წარუმატებელი ცდის შემდეგ პროვინციაში დასახლებულიყო და ორმოც მოსწავლიან ვაჟთა სასწავლებლის ხელმძღვანელობა ეტვირთა. სიამეს ეს კაცი მხოლოდ იმაში ხედავდა, რომ კალავდა და სახელს უტეხდა ყოველიეს, რაც ქვეყნად რიმალტს იქით ხდებოდა; სამხედრო პერიპეტიებზე, ჩრდილო პოლუსის ექსპედიციაზე, მნიშვნელოვან მეცნიერულ აღმოჩენებზე, ხელოვნების გამოჩენილ მოვლენებზე, პროფკავშირების ზრდაზე, მუშათა მოძრაობის გაქანებაზე — ყოველიეე ამაზე შემწყნარებლური ათვალწუნებით ბჭობდა. ტექნიკური პროგრესის სასწაულებისაც კი, გლეხებში რომ ბავშვურ აღტაცებას იწვევდნენ, ბატონ დირექტორს მაინცდამაინც არაფერი სწამდა.

— მერე რა დიდი ამბავი ეგ არის, — თქვა მან ერთ საღამოს, მას შემდეგ, რაც გაზეთში წაიკითხა, ტელეფონი გამოიგონესო, ხოლო პერმა მოკლედ აუხსნა შეკრებილთ ტელეფონის მოწყობილობა და მისი გამოყენების ხერხი, — დიდი ამბავი, გასაკვირი მხოლოდ ის გახლავთ, რომ ტელეფონი მრავალი წლის წინ არ გამოიგონეს. მხოლოდ სასაცილოა, რომ არ შემიძლია აქ მჯდომმა საუბარი გავუბა ჩემს მეგობარს ჩინეთში, თანაც არა მარტო ველაპარაკო, არამედ დავინახო კიდეც, შევეხო, მოვეხვიო. და ასეა ყველაფერში. ევროპიდან რომ ამერიკაში ჩახვიდე შვიდი დღე-ღამეა საჭირო. თავის მოჭრაა, მხოლოდ თავის მოჭრა! ასეთ სასაცილო მანძილს სულ ბევრი შვიდი საათი უნდა სჭირდებოდეს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამდენი დრო უნდა მოვანდომოთ იმას, კოპენჰაგენში საუზმობა რომ შევძლოთ და ნიუ-იორკში სადილობა. როცა კაცობრიობა ამას შესძლებს, მხოლოდ მაშინ და მანამდე არც ერთი სეკუნდით არაადრე, მზად ვარ მოვიხადო ქუდი მეცნიერების მიღწევების წინაშე.

შეაფთიაქესაც უყვარდა საკუთარი ხმის ელერით დატკბობა, თუმცა ზოგჯერ სიტყვა გაუწყდებოდა ხოლმე და აღარ იცოდა როგორ დაებო-

ლოვებინა ლაპარაკი. სადგურის უფროსი, გადამდგარი ოფიცერი, უფრო მეტად თავის ჭიქას ესაუბრებოდა, ხოლო ორი ნეგოციანტი მოწიწებით უსმენდა განათლებულ ბატონთა სიტყვებს.

პერს ეს ყრილობები მაინცდამაინც არ იზიდავდა და ამიტომ მხოლოდ ზოგჯერ თუ შეიხედავდა ხოლმე სამიკიტნოში. ყოველ საღამოს ბესტრუპში ყოფნაც არ შეეძლო — ბესტრუპი ძალიან შორს იყო რიმალტთან, ცხენს კი დასვენება სჭირდებოდა; მაგრამ თუ მას სურდა ცუდ ამინდში და ტალახში გაეევლო ფეხით რვა კილომეტრი იქით და რვა უკან დამქანცველი სამუშაო დღის შემდეგ, ამას, ცხადია არავინ აუკრძალავდა. შინ მარტოხელა იყო და მოწყენილი. თუმცა შეეძლო წიგნები ეკითხა; სწორედ წიგნები შეადგენდა მის ერთადერთ გართობას დღეებზე გაცილებით გრძელი ზამთრის საღამოებში. გამოგონებაზე მუშაობის გაგრძელებაც არ შეეძლო პერს: აზრებისათვის თავი ვერ მოეყარა, უამისოდ კი აბა რა გამოვიდოდა. მისი აზრები საგნიდან საგანზე გადახტოდნენ და წამდაუწუმ ბესტრუპში გადაჰყავდათ. მხოლოდ მაშინ, როცა ნამდვილი სახლი ექნება, ხოლო ინგერი ღიღინით ივლის ოთახებში, მხოლოდ მაშინ შესძლებს ნამდვილ, რეგულარულ მუშაობას შინ.

პერმა ჯერ კიდევ შობის შემდეგ ისროლა ანკესი ქორწილის თაობაზე. სიმამრს და სიდედრს ამის გაგონებაც არ უნდოდათ. ინგერი ჯერ ძალიან ახალგაზრდაა და პერის მომავალიც არასაკმაოდ უზრუნველყოფილია. თვით ინგერიც წინააღმდეგი იყო ასეთი აჩქარებისა, მაგრამ მთელი რიგი ხანგრძლივი, ზოგჯერ ფრიად დამამცირებელი მოლაპარაკებების შემდეგ პერმა მაინც თავისი გაიტანა. გადაწყვიტეს ქორწილი მაისში გადაეხადათ.

გარდა იმისა, რომ მარტოხელა გახლდათ და ნამდვილი საოჯახო კერაც ენატრებოდა, იყო კიდევ მესამე მიზეზიც, რაც პერს აიძულებდა ასე დაეჩქარებინა ქორწილი, თუმცა ამ მიზეზს პერი არ ახსენებდა. საქმე ის გახლდათ, რომ ვერაფრით ვერ ურიგდებოდა თავის სიმამრს. განუხრელმა სულიერმა განვითარებამ პერი ისე შორს წაიყვანა სამყაროს ბლომბერგისეული აღქმიდან, რომ პასტორი უკვე ზიზღს ჰგვრიდა. წარმოდგენა ღმერთზე, როგორც წესიერ ბურჟუაზე, ვინც ყველას თანხმობით მართავს სამყაროს უმრავლესობის მიერ აღიარებულ პრინციპების საფუძველზე, ახლა პერში მხოლოდ სიცილს იწვევდა. განწყობი-

ლებათა მშფოთვარე ცვლაში, ბოლო წლებში პერის გონებას რომ აძრწუნებდა, პერი უფრო ძლიერ ნებას და უფრო გრანდიოზულ მიზანს შეიცნობდა ხოლმე. აქ, მრევლში ახალ ადამიანებთან ურთიერთობასაც, ამის გამო ცხოვრების უფრო ღრმა გაგებასაც სულ უფრო და უფრო შორს მიჰყავდა კეთილ ღმერთში ბლომბერგისეულ რწმენისაგან. ღარიბთა ქოხების საშინელი გაჭირვება, უვიცობითა და ავადმყოფობებით გამოწვეული საზარელი გაპარტახება, მთელი მღაღადებელი — თუ ადამიანურად ვიმსჯელებდით — უსამართლობა ამქვეყნიურ სიკეთეთა განაწილებისას აიძულებდნენ რელიგიაში ახალი გზები ეძებნა, ცდილიყო უფრო ღრმად ჩაწვდომოდა ყოფიერების მიუწვდომელ, იდუმალ ლოგიკას და რაკი ეს აზრთა მერყეობა სიმამრის შორსმჭვრეტელ თვალს არ ეპარებოდა, ხშირად ჰქონდათ ხოლმე უთანხმოებანი. შემწყნარებლობის მიუხედავად, როცა საქმე ეხებოდა მრევლის დამოკიდებულებას ღმერთისა და არსებული სამყაროს წესრიგისადმი, პასტორ ბლომბერგს ფრიად ახლოს მიჰქონდა გულთან ის ამბავი, თუ რას ფიქრობდნენ და ამბობდნენ ადამიანები თვით მასზე; რადგან დაჩვეული იყო თავისი მიმდევრებისაგან მხოლოდ საკუთარი აზრების გამოძახილის მოსმენას, ყოველგვარი წინააღმდეგობის ცდას ისე ღებულობდა, როგორც მუხანათურ ურჩობას. ეს ადამიანი, ვინც არასოდეს არ უწევდა ანგარიშს სხვის შეხედულებებს და თავს ნებასაც კი აძლევდა დაეცინა სხვისი რელიგიური რწმენისათვის, როგორც კი მას ვინმე პირადად შეეხებოდა, ეკლესიის მთელ ავტორიტეტს მოუწოდებდა დახმარებისთვის, ხოლო სიდენიუსს სხვაზე ნაკლები არ ხვდებოდა მისგან. პერს უფრო და უფრო ხშირად ახსენდებოდა იაკობას სიტყვები, წერილში რომ მოსწერა თუ საუბარში წამოსცდა იმის თაობაზე, რომ თავის მოტყუებით აღსავსე გულმოდგინეობის შემწეობით ღვთის მოშიშობის დროშით დაფარული ეკლესია უხსოვარი დროიდან მიისწრაფოდა, დაეცხრო ძალაუფლების უზომო წყურვილი.

ასეთი წყაროებიდან და ასეთი ადამიანებისაგან არ ეძებდა პერი ზამთრის მარტოობის დროს თავისი გონების საზრდოს, აქ არ სწავლობდა ის ცხოვრების საიდუმლო ენის ღრმა გაგებას.

წლების განმავლობაში პერი მგზნებარე წიგნისმოყვარული გახდა. რომელიმე დიდტანიანი წიგნის დანახვა სასიამოვნოდ ელამუნებოდა მის თვალს. როგორც კი გლეხის სახლის ზღურბლს გადააბიჯებდა, მა-

შინვე თვალებით წიგნის თაროს ეძებდა და თითქმის ყოველთვის პოულობდა. მან წესად შემოიღო მუდამ გადაეთვალიერებინა ყველაფერი, რაც იქ იყო და ყოველთვის თითქმის ერთი და იგივეს პოულობდა: ბიბლიას, ინგემანის რამდენიმე ისტორიულ რომანს, ხოლბერგის პიესებს, რაღაც-რაღაც მეცნიერულ-პოპულარულ ბროშურებს, გლეხ ავტორთა წიგნებს, სასკოლო კომედიებს, რელიგიურ ლექსებს, საერო ლირიკას და კიდევ ზნეობრივი მოძღვრების ლიტერატურას ეს უკანასკნელი უმთავრესად ბლომბერგის ქადაგებების სახით იყო წარმოდგენილი. ზოგჯერ შეხვდებოდით უძველეს დროთა საეკლესიო ლიტერატურის შემთხვევით შენახულ ნიმუშებს — პატარა ფორმის სქელ წიგნაკებს, მეტად უცნაური სათაურები რომ ჰქონდა. ერთს, მაგალითად, ეწოდებოდა „ღვთის მირონცხება“, მეორეს — „ოქროს ყუთი“, მესამეს — „ოთხი წიგნი ქრისტეს მიმდევრებზე“, ხოლო მეოთხეს სულაც: „იესოს სისხლიანი ჭრილობები და და წყლულები, როგორც ძალზე საიმედო თავშესაფარი გასაჭირში ჩავარდნილ ცოდვილთათვის“. წიგნთა მფლობელები, ცოტა არ იყოს, იბნეოდნენ, როცა მათთან გაუნათლებელ საუკუნეში შექმნილ ღვთისმეტყველურ ტრაქტატებს პოულობდნენ და, რაკი ამ წიგნებშიც მართლაც დიდი ხანია აღარავინ იყურებოდა, პერისთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, ეთხოვა თავისი ბიბლიოთეკისთვის ზოგიერთი უფრო მეტად საინტერესო ეგზემპლარი. ასე, უფრო მეტად, თავშესაქცევად იქცეოდა, მაგრამ როცა ერთ საღამოს უსაქმურობის დროს ერთი წიგნი გადაფურცლა და გულმოდგინედ მოძებნა ის ადგილები, რომლებსაც უფრო მეტად ედო სიძველის დაღი, აღმოაჩინა, რომ უძველეს ხალხურ პოეტთა გულუბრყვილო, ხან უხეში, ხან მაღალფარდოვანი ჰანგები, ესე იგი იმ თვისებებისანი, მას რომ მუდამ ზიზღს ჰგვრიდა, რაღაც მიუწვდომელი სახით უფორიაქებდა სულს.

რაც შორს მიდიოდა, მით მეტად ხვდებოდა ამგვარი ადგილები. საკუთარ თავში საბოლოოდ ჩაწვდომის, ის კი არა და თვით თავის სწრაფწარმავალ გრძნობებში გარკვევის დაუღალავი მისწრაფებით აღგზნებულმა პერმა გადაწყვიტა ძირფესვიანად შეესწავლა იმ პერიოდის რელიგია, რომელსაც იმ წიგნების უმრავლესობა ეკუთვნოდა. მინსულ თავიდან, კრისტიან VI მართვიდან დაიწყო, შემდეგ განათლების დროს ჰერნგუტერების გავლით მიაღწია საუკუნის დასაწყისამდე, ერის-

გაცხოველებულ მოძიებამდე, საიდანაც, თუმცა არა მაშინვე აღმოცენდა ჩვენი დღეების რელიგიური აღორძინება. ფიუნელ და იუტლანდიელ გლეხთა და სოფლის ხელოსანთა სახეებმა, წარსულ წელთა გონივრული ორთოდოქსალურობის წინააღმდეგ მათი შეუპოვარი, გააფთრებული ბრძოლის სურათმა დაატყვევა მისი გული. ესენი თითოთითოდ, მოციქულებივით დაეხეტებოდნენ მხარედან . მხარეში. ბრბო დასცინოდა მათ; წინასწარმეტყველების უნარისათვის ეკლესია სდევნიდა, მთავრობა ციხეებში ამწყვდევდა. გარეშე სამყაროს მოწყვეტილი პაშაწინა ევანგელიკური თემები, — ეს განა თვით საღმრთო ისტორია არ არის, მშობლიურ ნიადაგზე გადატანილი?

წაკითხულის ცოცხალ მტკიცებას პერი თავის საკუთარი სიმამრის მრეველში შეხვდა. ბესტრუპის განაპირას, ფაქიზ, სუფთად შეთეთრებულ პატარა სახლში სახლობდა ხარაზი თავისი ოჯახით. კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდნენ და დაბის სხვა მცხოვრებლებთან ურთიერთობას არ ეძებდნენ. თვით ხარაზი წელიწადში ერთხელ ან ორჯერ მიდიოდა ქალაქში თავისი ნაკეთობით დატვირთული ურმით და იქ ყიდდა ფეხსაცმლის დუქანში. დანარჩენ დროს საკუთარი სახლის სახურავს ქვეშ ატარებდა, რომლის კარზეც ეწერა: „სახლი ჩემია და მე თვით ღმერთის მსახური ვარ“.

ერთხელ, როცა პერი ზაფხულისთვის ფიჩხკონების გამოცდილ დამწნელებს აგროვებდა და მთელ ოლქს უვლიდა, მოულოდნელად წააწყდა ხარაზის სახლს და მასთან შეიხედა. პირველ ოთახში აკვანთან ახალგაზრდა ქალი იჯდა, ორი ბავშვი თავისთვის იატაკზე თამაშობდა. სახელოსნოს კარი ღია იყო, იქ, დაზგაზე შემომჯდარიყო თვით პატრონი და ტყავს ჭრიდა. პერი რომ დაინახა, დარცხვენილი შემოეგება. ეს იყო შუახნის მაღალი, ოდნავ წელში მოხრილი კაცი. პერს არ მოეწონა მისი ფერმკრთალი უწვერული სახე და ქვეშ-ქვეშა გამოხედვა. არც დიასახლისი მოუვიდა თვალში, თითქმის მტრულად, ალმაცერად რომ გამოსცქეროდა თავისი კუთხიდან. მასპინძელმა თუმცა კი შესთავაზა დაჯდომა, მაგრამ საკმაოდ ცივად. მან დაუფიქრებლად და გადაჭრით უარი თქვა ზაფხულში დამწნელად მუშაობაზე. მეტი თხოვნა უსარგებლო იყო. მაგრამ პერი მაშინვე არ წავიდა. მასპინძელთა გულცივი მიღების მიუხედავად ამ მყუდრო ოჯახურმა სურათმა ააღელვა. ოთახი სისუფთავით კრიალებდა, ამას კი ხშირად ვერ შეხვდები გლეხთა სახლებში, და საერთოდ აქაურობას ისეთი იერი ედო, თითქოს ოჯახის პატრონე-

ბი წუთი-წუთზე მოელოდნენ საპატიო სტუმრების მოსვლას. აქ ჭეშმარიტად ღვთის მოშიში ხალხი ცხოვრობდა — ისეთი კი არა, დღესასწაულის ხათრით რომ ხდებიან ღვთისმოშიში, არამედ ისეთები, ვისაც ღვთის შიში დაეხმარა, ძირფესვიანად გარდაექმნათ საკუთარი ბუნება. ისიც კი, თუ როგორ დაისვა მუხლებზე მამამ ბავშვი ლაპარაკის დროს და მას ხელით მოხოცა ცხვირი, იყო უჩვეულო, ცოტა. არ იყოს, სიხარულით სავსე სინაზე, რაც სრულიადაც არ მოგეჩვენებოდათ სასაცილოდ.

ბლომბერგებთან პერს უამბეს, რომ ხარაზის ოჯახი შედიოდა რელიგიურ სექტაში, მისი წევრები თავიანთ თავს „წმიდანებს" უწოდებდნენ. ამ ბოლო დროს მეტისმეტად გაიზარდა ეს სექტა. სიმამრმა მოურიდებლად უწოდა მათ პირმოთნეები და განაცხადა, მათი აქ ყოფნა მთელი თემისთვის თავის მოჭრაა.

ამიერიდან, ყოველთვის, როცა პერი კითხულობდა ხარაზის ქალგალ ოლე ხენრიკ სვანის ან ფიუნის კუნძულელ კრისტენ მასენის შესახებ, ან რელიგიური აღორძინების ეპოქის სხვა ერისკაც მქადაგებელზე, თვალწინ წარმოუდგებოდა პატარა, წყნარი, თითქოს სტუმართა მისაღებად გამზადებული სახლი ბესტრუპის განაპირას. იმ ღვთისმსახურთა უმრავლესობას, ვისი სახელებიც უფრო ხშირად ხვდებოდა წიგნების ფურცლებზე, პერი იცნობდა ჯერ კიდევ მამის ნაამბობით, ორი მათგანი შორეულ ნათესავებადაც შოხვდებოდა. ამის გამო წიგნის ფურცლები თითქოს ცოცხლდებოდნენ მის თვალწინ, ხოლო ლიტერატურულ სახეებს სისხლ-ხორცი ესხმოდა.

ამავე დროს პერი სამწუხარო დასკვნამდე მივიდა. როცა ამ ადამიანების ურყევ რწმენას უზენაესის სათნო ნებისადმი ადარებდა თავის რწმენას თავი არანამდვილ ქრისტიანად ეჩვენებოდა! უფრო მეტიც ახლა მას აღარ უნდოდა ჭეშმარიტი ქრისტიანი ყოფილიყო.

მას საერო სიკეთეთაგან ასკეტური ხელის აღება სრულიადაც არ აშინებდა. შესანიშნავად ესმოდა, რა სიხარულის მოგვრა შეეძლო კარჩაკეტილ, ყოველივე მიწიერისაგან განრიდებით ცხოვრებას. მაგრამ მათ ლოცვათა გაშმაგებული აღგზნებულობა, მათი ფიქრები და სასოება მისთვის უცხო იყო. ბოლო წლებში თავადაც შეეჩვია ლოცვას. და თუმცა ლოცვა სულის გასაწმენდად და განსამტკიცებლად სჭირდებოდა, საყოფაცხოვრებო სისაძაგლის ჩამოსაბანად, კარგად ესმოდა მათიც, ვისაც ეგონა, თითქოს ლოცვას სასწაულებრივი ძალა, უბედურების თა-

ვიდან აცილების და სახიფათო წუთში დახმარების უნარი ჰქონდა. მაგრამ ისინი, ვის შესახებაც პერი კითხულობდა, ჩუმად ოხრავდნენ მოწამეობრივ გვირგვინზე. ისინი ისე გაურბოდნენ საერო ფუსფუსს, ისე ეშინოდათ ცთუნებისა და ისე მტკიცედ სჯეროდათ, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანის ცხოვრება არის მუდმივი, დაუღალავი მომლოცაობა, თვითონ ადგამდნენ თავიანთ თავს ყბას.

„გამაძღე მე ცრემლიანი პურით, მასვი ცრემლები საკმარისად. ხელთ გაძლევ ჩემს თავს და ყოველივეს, რაც ჩემია, რათა გამკიცხო და დამარიგო. დეე მეწიოს შენი სასჯელი, შენი შოლტი დაე ჩემთვის ჭკუის სასწავლი იყოს. რადგან არ არსებობს იმაზე დიდი სიხარული შენი მონისთვის, ვიდრე მძიმე ტანჯვის ატანა შენდამი სიყვარულის გამო. დაილოცოს ღმერთო შენი სახელი, რომ ჩემი ცოდვანი არ მაპატიე და მთლიანად მაზღვევინე თვითეულისათვის“.

როცა პერმა ეს სიტყვები წაიკითხა, ტანი აებურძგლა; სწორედ ისე, როცა დედის უკანასკნელ წერილს კითხულობდა. ეს მგზნებარე რწმენა, რომელიც თრგუნავდა ყველაზე ოდინდელ ხორციელ მოთხოვნებს, უნებლიედ აღელვებდა.

„ჭეშმარიტად უდიდესი ლანძღვაა ადამიანისათვის დედამიწაზე ცხოვრება, — წერდა თომას კემპისი თავის წიგნში ქრისტეს მიმდევართა შესახებ. — ჭამა, სმა, მღვიძარება, ძილი, დასვენება, შრომა — ერთი სიტყვით, სხეულის სრული მონობა — ეს უდიდესი ლანძღვა და ტანჯვაა ჭეშმარიტი მორწმუნისთვის. ო, ადამიანო, რომ შეგეძლოს შენ ღმერთის დიდება და არ იცოდე სხვა საზრუნავი, რამდენად ბედნიერი იქნებოდი მაშინ, ვიდრე ახლა, როცა თვითეული შენი მოთხოვნილებათაგანი საკუთარი სხეულის მონად გხდის“.

მაგრამ ყველაზე მეტად ამ გამოკვლევათა მსვლელობაში პერი შეაკრთო იმ აზრმა, ერთი წლის წინ რომ დაებადა პლატონის „ფედონთან“ შემთხვევით გაცნობისას. პერს უფრო და უფრო ცხადად ესმოდა, რომ ქრისტიანობა მოევლინა ქვეყანას გაცილებით ადრე, ვიდრე თვით ქრისტე. ხოლო ქრისტე კი უბრალოდ ყველაზე მეტად სრულად გამოხატავდა მის იდეებს, ისიც განსაზღვრულ ისტორიულ პერიოდში. ვერ დაამშვიდებდა ის ფაქტიც, რომ თუ არა სახელმწიფოს მხრივ და ამა ქვეყნის ძლიერთაგან დახმარება, რომელთაც სურდათ საკუთარი გაშორჩენის მიზნით ქრისტე თავისი დროის სულიერ ბელადად ექციათ, ის დარჩებოდა შემთხვევით, წარმავალ მოვლენად რელიგიის ისტორია-

ში. სამაგიეროდ ქრისტიანობა, ალბათ, წარმოშვა ადამიანის თვით პირველბუნებამ, გამოზარდა ინსტინქტმა, რასაც არაფერი ჰქონდა საერთო ხორციელ ხმასთან და ყველგან სჯაბნიდა მას, სადაც კი შეხვდებოდა.

„ვინაიდან სხეული გვიჩენს ათას საზრუნავს, წარმოშობს მოუსვენრობას და ძრწოლას, გვაღელვებს და მისი მიზეზით არ გვძალუძს განვეჭვრიტოთ ჭეშმარიტება. ჩვენს ცხოვრებაში შემეცნებას მხოლოდ მაშინ ვუახლოვდებით, როცა არ ვფიქრობთ ჩვენს სხეულზე და იმაზე მეტ დროს არ ვუთმობთ მას, რაც საჭიროა ყველაზე აუცილებელ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, — ესე იგი, როცა არ ვაძლევთ საშუალებას დაეუფლოს ჩვენს გულის ზრახვებს“.

ასევე ამბობდა თვით სოკრატე. ან ავიღოთ ბუდა! პერს გონებაში სამუდამოდ ჩაებეჭდა ბუდისტური გამონათქვამი, და როცა სული დაუწყვდიადდებოდა, ეს სიტყვები ცეცხლოვანი ასოებით ენთებოდა მის წინაშე:

„ვისაც არაფერი უყვარს. არაფერი არ სძულს, არაფერი არ სურს ამქვეყნად, მან და მხოლოდ მან არ იცის არც ბორკილები, არც შიში.“

საითაც გაიხედავ, პასუხი ერთია! ყველა დროში მოთხოვნა ერთია: დაივიწყე შენი თავი, დათრგუნე შენი „მე“, რადგან ბედნიერება მხოლოდ გმობაშია. ცხოვრება კი ეპასუხება: დაამკვიდრე შენი თავი, შეიყვარე შენი თავი, შენი სხეულის ძალა, შენი გონების სიძლიერე, რადგან ბედნიერება მხოლოდ ფლობაშია. ამ უფსკრულზე ჯერჯერობით ხიდი არავის გაუდვია. უნდა იზეიმოს ან სულმა, ან სხეულმა, მესამე გზა არ არსებობს. თვითეული ვალდებულია არჩევანი გააკეთოს, თუკი არა ფლობს პასტორ ბლომბერგის და მის მსგავსთა თავის მოტყუებ ს და ლირიული ნისლის ღრუბლით ჰორიზონტის დაფარვის საშურველ უნარს. უნდა განამტკიცო საკუთარი თვალსაზრისი, გადაწყვიტო ვის მხარეზე ხარ, ან ჯვარს შეჰფიცო ერთგულება, ან შამპანურის ჭიქას — დაუყოვნებლივ, შიშით კი არა, თავდადებული სიმტკიცით, აღტაცებით.

ამგვარად პერი მეორედ მივიდა რელიგიასთან, როგორც ერთადერთ ძალასთან, ჩვენს არსებობას რომ ამაგრებდა და ამართლებდა. ოღონდ მას უკვე აღარ გააჩნდა უწინდელი სასიხარულო ნდობა არც მიწისა და არც ცისადმი. მას არ სურდა დამსგავსებოდა ეპიკურელებს, ხოლო ქრისტიანთა შორისაც უცხოდ რჩებოდა. მაგრამ ყველაზე აუტანელი იყო პასტორ ბლომბერგის წმიდა უბრალოებისადმი დაბრუნება; პერს

უკვე აღარ შეეძლო ბავშვივით მშვიდად მოეკრიფა ყვავილები უფსკრულის პირას ისე, რომ არ შეეგნო იმ დემონიური მიზიდულების ძალა, უფსკრულში რომ იმალება.

* * *

ერთ ავდრიან გაზაფხულის დილას, მარტის დასაწყისში, პერს კარზე ორთვალა მოადგა. პერს თავისი ფარდული არ ჰქონდა, ამიტომაც ეტლი სამეკიტნოსთან ეყენა და დღეს იქაურმა მსახურმა მოართვა. მსახური ორთვალასთან იდგა და იწყევლებოდა, მხრებზე ხელები შემოეხვია, რომ ცოტათი მაინც გამთბარიყო. საბრალო თხუთმეტ წუთს მაინც იცდიდა. ბოლოს, როგორც იქნა, გამოვიდა განიერლაბადმოსხმული ნამძინარევი პერი, უსიტყვოდ ავიდა კოფოზე, მსახურს სადავეები გამოართვა და ცხენი დასძრა. მან, ჩვეულებისამებრ, ნახევარი ღამე კითხვაში გაატარა, ხოლო რომ დაწვა, ფიქრები მოეძალა და მხოლოდ გათენებისას ჩაიძინა. მაგრამ განთიადის სიგრილემ მაშინვე გამოაფხიზლა, ეტლიც ისეთი იყო, არ დაეძინებოდა: ძველი, ბევრის მნახველი, იმდენად დანჯღრეული, რომ მგზავრს ყოველ ხრამზე და ღრანტებზე ისვრიდა. სამაგიეროდ, ცხენი იყო კარგი — მაგარი ნორვეგიული ცხენი. მხოლოდ ერთი ცუდი თვისება ჰქონდა — ყოველთვის, როცა გზა მთის ძირში მიდიოდა, ფრთხილობდა და ფეხარეული მიჩაქჩაქებდა გზის ერთი პირიდან მეორემდე. საოცარი თვალები ჰქონდა ამ ცხენს, ნამდვილი ხუროს თარაზო: უმნიშვნელო დალმართიც კი არ გამოეპარებოდა. პერს მეეტლური თავმოყვარეობა შეელახა, ჯერ მათრახით უნდოდა მისი ჭკუაზე მოყვანა, მაგრამ მერე შეეჩვია ამ საიმედო მუშა ცხოველს, ყოველ დღე, ყოველგვარ ამინდში რომ დაატარებდა მთელ ოლქში და ნება მისცა ისე ეტარებინა, როგორც მას მოესურვებოდა.

შეძლებისდაგვარად პერი ისეთ მარშრუტს ირჩევდა, რომ ბელტრუპისათვის ჩაევლო და ინგერს გამოლაპარაკებოდა. იცოდა, რომ ინგერი დილით ბაღში გამოდიოდა ხოლმე და მას უცდიდა. ამიტომაც დილის გამგზავრების დროს განსაკუთრებით კარგ გუნებაზე იყო. თვით სიგრილეში მგზავრობაც დილაადრიან, როცა გაჯირჯვებული ღრუბლები დაბლა დაცურავენ ედემიწაზე და ყვავების გროვა ყვირილით მიფრინავს ქარში — მას დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა. მისი სული ბუნებით ტკბებოდა. პერს უკვე აღარ ეჩვენებოდა, რომ ბუნება აღსავსეა

საიდუმლო ზეშთაგონებით, როგორც წინათ, როცა კერსხოლმში ცხოვრობდა და მთელი დღეები მდინარის პირას იჯდა ანკესით ხელში.

პერს კვლავ დაუბრუნდა კმაყოფილების რაღაცნაირი ფიზიკური შეგრძნება, რასაც ბავშვობაში განიცდიდა, როცა ცაზე ღრუბლების რევას და ქარისაგან ხის კენწეროების ღუნვას უცქეროდა. ამის ყურებისას კუნთები იძაბებიან, სასხლი სწრაფად მოძრაობს ძარღვებში და გეჩვენება, თითქოს თვით ბუნების ძალა გერწყმის.

პერი შეეცადა გაეხსენებინა, რატომ იყო, კაცმა რომ თქვას, მთელი ღამის განმავლობაში რომ ვერ მოხუჭა თვალი და რატომ იქცევა საერთოდ ასე, თითქოს უფლება არა ჰქონდეს დამშვიდებული იყოს, ვიდრე არსობის საკუთარ გამოცანას არ ამოხსნის; ამაზე გაეცინა კიდეც. ამ წუთს, როცა დღიურ საზრუნავში ჩაფლული მისი აზრი თვლემდა, პერი თავის სულს კვლავ ანდობდა ცხოვრების ზღვასა და მის საცდუნებლებს. ცხოვრების ყველა ბნელი და გაურკვეველი მხარე გათენებასთან ერთად არარაობად მოჩანდა და ქრებოდა იმ უდაო ფაქტის წინაშე. რომ ის ახალგაზრდა, ჯანმრთელი და ძალ-ღონით სავსე იყო და საკუთარი ეტლით თავის შეყვარებულთან მიდიოდა, რათა დღის დადგომა ნაზი კოცნით ეკურთხებინა. მან მადლი შესწირა უფალს, რომელიც თითქმის აღარ სწამდა, ქება უძღვნა სიხარულით, ზრუნვითა და შრომით სავსე ცხოვრებას. რა საჭიროა თავის ტეხვა? ყველა მოგონილი ტანჯვა მხოლოდ ეშმაკის მზაკვრობაა. ხომ წმინდა წყლის ფარისევლობაა — არ დაგაკმაყოფილოს იმ ჭეშმარიტმა საზრუნავმა, ცხოვრება რომ საჭიროებს. ორთვენახევრის შემდეგ მისი ქორწილია. ოც მაისს — ინგერის დაბადების დღეს, ყვავილებით მორთული ახლადდაქორწინებული ქალი გადააბიჯებს მისი სახლის ზღურბლს. სევდიან მარტოობას ბოლო მოეღება.

დღეს პერი ბოლოს და ბოლოს აპირებდა ვიზიტს, რომელსაც აქამდე ყოველ დღე სდებდა. იმ ნაკვეთების ორი ნაჭერი მიწა, რომლებზედაც მდინარის ახალ კალაპოტს უნდა გაევლო, ბორუპის პასტორს ეკუთვნოდა. სწორედ მასთან აპირებდა მისვლას პერი. იმ ჭექა-ქუხილის დროს მინდორში შემთხვევით შეხვედრის შემდეგ უკვე წელიწადნახევარი გავიდა. პერმა რამდენჯერმე ჩაუარა პასტორს, როცა ის მარტო დასეირნობდა ბინდში უკაცრიელ ბილიკებზე და ყოველთვის ესალმებოდა მას, მაგრამ პასტორი, როგორც ჩანდა, ვერ ცნობდა. პერის ყურამდე კი აღწევდა ჭორები პასტორზე და მის ბედუკუღმართ ოჯახურ

ცხოვრებაზე. მეტად დაუჯერებელ ხმას ავრცელებდნენ პასტორის ცოლზე: მთლად გალოთდაო, უფრო მეტიც, ახალგაზრდობაში მეტისმეტად გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდაო. ამას მიუმატეთ მისი დაუდევრობა და სიზარმაცე და ყველასთვის ნათელი გახდება, რატომ განიცდიდა პასტორი ხშირად მეტად სერიოზულ ფულად გაჭირვებას. ყოველივე ამის გამო პერს შეებრალა საცოდავი პასტორი. თუკი ის, მიუხედავად ამისა, დღითი დღე სდებდა თავის ვიზიტს, მხოლოდ იმიტომ, რომ შიშობდა, ცუდად არ მიეღოთ, რაკი ბლომბერგის ნათესავი იყო, რადგან ბლომბერგმა არა მარტო თავის ეკლესიაში მიიზიდა ფიალტრინგის მრევლის უმრავლესობა, არამედ წაართვა ფრიად მნიშვნელოვანი ნაწილი მისთვის მეტად — ღმერთიც ხედავდა, თუ რამდენად — საჭირო შემოსავალსა.

ბესტრუპისაკენ დაღმართზე გზა რკალს ხაზავდა. ამ დროს სიხარულმა გაუნათა პერს სახე. ბაღში, მწვანე ფოთლებს შორის ინგერი დაინახა. მხარზე შალმოხურული ქალი უთვალთვალებდა, პერი ხომ არ მოდისო.

— ახ, შე ძილისგუდა! — შორიდანვე მიაძახა ქალმა, — სად დაიკარგე აქამდე?

— მე მელოდი?

— ოი, პირდაპირ გავითოშე.

— ჩემო საბრალო!

პერი ისე მიეკრო მესერს, რომ მათი ტუჩები ერთმანეთს შეეხო, ხოლო ასკილის ბუჩქმა ისინი დაფარა.

— დილა მშვიდობისა, გენაცვალე!

— დილა მშვიდობისა. სად მიხვალ?

— ისე, საქმეებზე. ძალიან მეჩქარება.

— პირდაპირ აუტანელი ხარ. სულ რაღაცა საქმეები გაქვს. კარგი, წადი, რახან ასეა. საღამოს მოხვალ?

— მოვალ.

კიდევ ერთი კოცნა, და კიდევ ერთი, და კიდევ ერთი, სულ უკანასკნელი, „სართად", როგორც პერმა თქვა.

— ახ, შე საძაგელო ბიჭო! ნახვამდის.

— ნახვამდის.

— ნახვამდის, მხოლოდ ადრე მოდი.

— კარგი, მოვალ!

— ნახვამდის, ძვირფასო!

— ნახვამდის.

მერანი მოუთმენლად აჩაქჩაქდა, ისინი კი კვლავ ჩახვეულები იდგნენ და ერთმანეთს არ უშვებდნენ, ასე რომ ცხენმა პირდაპირ ერთმანეთს მოგლიჯა. კიდევ ერთი „ნახვამდის“, „ნახვამდის“! ორივეს ხელსახოცი დაიქნია და ორთვალა კუთხეს მიეფარა.

პერმა რამდენიმე საათს წაიმუშავა მიწის საზომი ინსტრუმენტებით. შუადღისას კი უკვე ბორუპის პასტორის კარმიდამოში იყო.

პასტორი ფიალტრინგი შინ დახვდა. მან პერი თავის კაბინეტში მიიღო. ეს იყო დიდი, ნახევრადბნელი ოთახი, უფრო სწორად, ოთახი კი არა, დარბაზი. ორი ბრუტიანი ფანჯარა ჰქონდა. რაღაც ავეჯი კი ელაგა აქ, მაგრამ ოთახი ისეთი დიდი იყო, თითქმის ცარიელი ჩანდა. ფანჯრებს შორის იაქთაღში მაღალი საწერი მაგიდა იდგა, ზედ გადაშლილი წიგნი იდო; როგორც კი სტუმარი დაინახა, იდუმალი განდეგილი წამოდგა და მის შესაგებებლად გაემართა.

ჯერ კიდევ მაშინ, ეკლესიაში რომ ნახა პასტორი, პერი გააცა ამ კაცის გამომეტყველებამ: ცნობისმოყვარეობა, დამორცხვება და ღიმილება ერთდროულად ეხატებოდა პასტორს სახეზე. ახლაც ეს ეცა თვალში პირველად. პასტორი მისგან მოშორებით შეჩერდა და მეტად თავაზიანად დაუკრა თავი, თუმცა ზურგიდან ხელები არ ჩამოუღია. იცნო პერი თუ არა, ძნელი სათქმელი იყო. როცა პერმა თავისი სახელი უთხრა, პასტორმა ხელით მიუთითა დივანზე, თავად ცოტა მოშორებით სავარძელში ჩაჯდა და ჰკითხა, რით შემიძლია გემსახუროთო.

პერმა მოკლედ აუხსნა თავისი მოსვლის მიზეზი. საქმე პასტორის მიწის ნაკვეთზე მდებარე რამდენიმე თხრილის გაფართოებას ეხებოდა. პასტორმა უთხრა, საერთოდ მე რა უფლება მაქვს სახაზინო მიწებზე. მაგრამ რაკი ასეთ წვრილმან რამეს მთხოვთ, კი ბატონო, მზად ვარ ამაზე პასუხისმგებლობა ვითავოო. ერთს კი გთხოვთ მხოლოდ: იქნებ ოდესმე გასამართლებელი საბუთები შეიქნეს საჭირო და აუცილებელ სამუშაოთა წერილობითი სია შემიდგინეთო. ამაზე პერი სიამოვნებით დათანხმდა.

საქმე რამდენიმე წუთში მოგვარდა, მერე ამას ხანგრძლივი დუმილი მოჰყვა. პასტორი თავის ხელებს დაშტერებოდა და აშკარად ელოდა. როდის ადგებოდა სტუმარი და წავიდოდა. მაგრამ, როგორც კი პერმა ნამდვილად დააპირა წასვლა, პასტორს, ალბათ, შეეშინდა, ვინ იცის, იქ-

ნებ უზრდელად მოვიქეცი ამ კაცთანო და ჰკითხა პერს, როგორ მოგწონთ აქაური ადგილები, ან სად ცხოვრობთო, ხოლო როცა გაიგო პერი სადგურის მახლობლად დასახლებულიყო, უთხრა, მაშასადამე არ მოგეწყინებათო. სადგურ რიმალტის მახლობლად ხომ თანდათანობით პატარა ქალაქი გაშენდა. იქ ცხოვრობენ სასწავლებლის დირექტორიც, ძეინფთიაქეც და სხვებიც. ბლომბერგები და საერთოდ ბესტრუპი არც უხსენებიათ.

პერს პასტორზე ფრიად ნათელი მოგონებანი შემორჩა ჭექა-ქუხილის დროს სამახსოვრო შეხვედრიდან, ამ გაცვეთილმა ფრაზებმა კი გული გაუტეხა. ამას გარდა, ისიც ეწყინა, რომ ასე უბრალოდ აიღეს და ამ ყბადაღებული კლუბის წევრების გროვაში მოაქციეს. მით უფრო, რომ თვით პასტორი, თუ მისი ტონის მიხედვით ვიმსჯელებდით, ძალიან დიდად არ აფასებდა მათ. ამიტომაც პერმა თავის პასუხში ხაზი გაუსვა იმას, რომ ქალაქში არავითარი ნაცნობობა არ ჰქონდა, ფრიად კარჩაკეტილად ცხოვრობდა და თავისი წიგნების საზოგადოებით კმაყოფილდებოდა.

პასტორმა ოდნავ ასწია თავი. არც ახლა უცქეროდა პერს, მაგრამ სულ რაღაც ერთი წამის განმავლობაში მისმა მოყვითალო-ფერმკრთალმა სახემ გამომცდელი და დაინტერესებული გამომეტყველებაც მიიღო.

— ცხადია, — თქვა მან, — იდეათა სამყაროში განმარტოებულ ცხოვრებასაც შეუძლია ადამიანს კმაყოფილება მოჰგვაროს. ის კი არა და სიხარულიც, და მგონი, ბედნიერებაც.

მერე ჩაიღიმა და დაუმატა, რომ მარტოობა ზოგჯერ ძალიან საინტერესოა, რადგან, თუ დაკვირვებით ჩაიხედავ საკუთარ „მე"-ში, ზოგჯერ დაგებადება მატყუარა გრძნობა, თითქოს შენში ვიღაც გარეშე ადამიანი ზისო.

ამ შედარების სიზუსტით განცვიფრებულმა პერმა დაუმატა, რომ ასეთი უცხო კაცი ჩვეულებრივად აუტანელი ადამიანია, შეუგუებელი და ის ჩვენ ხშირად გვაწუხებს და ბევრ უსიამოვნებას გვაყენებსო.

ამჯერადაც გაოცებულ-გამომცდელმა გამომეტყველებამ გაიელვა პასტორის სახეზე. თუმცა მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი არ დაუწყია და ყოველივე ნათქვამი დაასრულა სიტყვებით, რომ ადამიანები სხვების აზრებს რომ ეფარებიან, ხშირად ამით თავიანთ საკუთარ აზრებს გაურბიანო და არაფერი ისე არ ართობს, კაცს, როგორც წიგნების

კითხვა. წიგნებში გამოთქმული დაკვირვებანი უფრო ხშირად დამამშვიდებლად მოქმედებენ ხოლმეო.

ხელახლა ჩამოვარდა დუმილი. ალბათ, პასტორი უნებლიედ შეეხო თემას, რომლის დაწვრილებით გარჩევაც მას არ უნდოდა ადამიანთან, ვისაც კარგად არ იცნობდა. პერმა იგრძნო, რომ ის სულ დაძაბული იყო და მათ გულახდილი საუბარი, სულ ერთია, არ გამოუვიდოდათ. ამიტომაც წამოდგა. პასტორსაც აღარ დაუკავებია. მაგრამ ეს სულაც არ მოსვლია არათავაზიანობის გამო. გამომშვიდობებისას ფიალტრინგმა ცხელი ხელი გაუწოდა და ფრიად ზრდილობიანად მოიბოდიშა, გამჭოლი ქარების შიშით წინაკარამდე ვერ გაცილებთ სტუმარსო.

თუმცა ეს შეხვედრა წუთიერი იყო, მაგრამ პერზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. საღამოს, ბლომბერგებთან ვახშმად რომ იჯდა, სიტყვა ფიალტრინგზე ისეთი ტონით ჩამოაგდო, მასპინძლებს ჭკუაში არ დაუჯდათ. პერი მიხვდა, რომ წინდაუხედავად მოიქცა და დადუმდა, ხოლო სიმამრმა საქმის გამოსასწორებლად იგივე თქვა, რასაც ყოველთვის ამბობდა, თუ საუბარი მის კოლეგაზე ჩამოვარდებოდა ხოლმე.

— ახ, საცოდავი, აბა, რა მეთქმის! ისე ძალიან მებრალება, ძალიან მებრალება. რა ძალა ადგა, რად უნდოდა პასტორობა!

მეორე დღეს პერი დილიდანვე ჩაუჯდა იმ გასამართლებელი საბუთის შედგენას, რაც პასტორმა ფიალტრინგმა სთხოვა. დიდხანს იწვალა, მერე აიღო ქაღალდის დიდი ფურცელი, ყველაფერი გადაათეთრა და, ამას გარდა, პასტორის კარმიდამოს გეგმაც დახაზა.

ერთი კვირის შემდეგ, კვლავ ბორუპთან ჩავლისას, პერმა შეიარა პასტორთან, რათა თავისი ნაშრომი ჩაებარებინა. პასტორი იმდენად ნაკლებად იყო ყურადღებას მიჩვეული, ძალიან შეაკრთო ამან და გულითადი მადლობა გადაუხადა პერს. ხოლო რაკი პერმა მაშინვე დააპირა წასვლა, მასპინძელი ნამდვილად სასოწარკვეთილებაში ჩავარდა და ბოდიში მოიხადა, ამას წინათ ჩვენი შეხვედრისას ალბათ საკმაოდ თავაზიანად ვერ მოგექეცითო. მან ძალით დასვა პერი დივანზე და ამჯერად მათ შორის ძალიან მალე გაიმართა გულითადი საუბარი.

ამომავალ პუნქტად პერის მიერ შედგენილი საბუთი იქცა. პერმა აცნობა, რომ პასტორის ნაკვეთზე იყო ტორფის ფრიად მნიშვნელოვანი ბუდობი. თუმცა ერთობ ღრმადაა და მისი ამოღება სულაც არ არის ადვილი, მაგრამ სწორედ ამიტომ ეს ტორფი საუკეთესო ხარისხით გამოირჩევა. ის, პერი, დარწმუნებულია, რომ კარგი იქნება პატარა ტუმ-

ბოს დადგმა, რათა სისტემატურად ამოშრეს კარიერი და დაყალიბდეს ბრიკეტი.

პასტორი ფიალტრინგი მის წინ ვიწრო ფეხსაფენზე შეჩერდა, ოთახის შუაგულში რომ ეგო და ავადმყოფური ღიმილით თავი გადააქნია.

— დაე, ამას ჩემმა მემკვიდრემ მოკიდოს ხელი, — თქვა მან. — მე ისეთი ჯანისა არა ვარ, რომ მომავლის გეგმები ავაგო. გარდა ამისა, — დაასრულა მან, — თუ კიდევაც სიკვდილი პატარა განვადებას მომცემს, მე არ ვიცი, დიდხანს დამრთავენ თუ არა ნებას საეკლესიო მმართველობა და ჩემი მუყაითი კოლეგები, ცარიელ სკამებს ვუკითხო ქადაგებანი.

პერი წამოწითლდა და უნდოდა თავაზიანობის გამო რაიმეს შეპასუხებოდა, მაგრამ პასტორმა პირის გაღებაც არ აცალა.

— არა, მე არავითარ ილუზიებს არ ვაგებ. ჩვენმა დრომ რელიგია საბაზრო საქონლად აქცია; არ არის გასაკვრი, თუ ადამიანები უფრო ხალისით მიდიან იქ, სადაც მისი ყიდვა იაფად შეუძლიათ.

პერმა თავი დახარა. ამის საწინააღმდეგოდ ძნელი იყო რაიმე პასუხის მოძებნა. მაგრამ ინგერის ხათრით ის თავის მოვალეობად თვლიდა სიმამრი დაეცვა. მან თქვა, რომ უახლესი რელიგიური მიმდინარეობანი, მიუხედავად მათი ზერელეობისა, ხალხში სულიერ მოთხოვნებს აღვიძებენ და ამით ამზადებენ ახალი პერიოდის დადგომას კულტურის ისტორიაში. ოლქში თავისი მიმოსვლის დროს მას ბევრჯერ შეუმჩნევია, რომ დანიელი გლეხები იქ, სადაც საქმე სულიერ ცხოვრებას და აღქმის სიმწვავეს ეხება, რამდენიმე თავით მაღლა დგანან თავიანთ საზღვარგარეთელ თანამოძმეებზე, განსაკუთრებით — კათოლიკურ ქვეყნებში. ამაზე პასტორმა ფიალტრინგმა უპასუხა, რომ ასეთი კეთილი, ნახევრადმფარველური ან უბრალოდ ცნობისმოყვარე განწყობილება ყოფიერების უდიდესი საკითხებისადმი, მისი შეხედულებით, უარესია, ვიდრე რაიმე დამოკიდებულების სრული არქონა. რწმენა — ეს გატაცებაა, იქ კი, სადაც ეს გატაცება აღარ არის, ჩვენ მხოლოდ ვეთამაშებით უფალ ღმერთს და მეტი არაფერი. ხელოვნური გზით სულიერი ცხოვრების მოჩვენებითობის შექმნა ხალხში სრულიადაც არ ნიშნავს გულწრფელ და სერიოზული რწმენისთვის ნიადაგის შემზადებას, ან, უკიდურეს შემთხვევაში, უბრალოდ სერიოზული ეჭვისთვის, — უფრო პირიქით, ეს კლავს ყველა და ყველანაირ აღმონაცენს ღმერთი-

სადმი ნამდვილი დამოკიდებულებისა, რაც ყოველ ადამიანშია მოცემული.

პასტორმა რამდენჯერმე გაიარა ვიწრო ფეხსაგებზე და ოთახის ბოლოში შეჩერდა. ის თითქოს არიგებდა საკუთარ თავს, რომ არაფერი წამოცდენოდა. მაგრამ სამწუხაროდ, ძალზე გვიან იყო უკვე — დაუძლეველი სურვილი თავისი აზრის გამოთქმის, მარტოობის ხანგრძლივ საათებში ნაფიქრი ყველა აზრი მოაწვა და თავი ვეღარ შეიკავა.

მან პირდაპირ უთხრა პერს, ტექნიკის ძალადური გავლენა ნაწილობრივ დამნაშავეა იმაში, რომ თანამედროვე ადამიანი განწირულია იყოს ზერელე და გამოცარიელებული არსება. მრეწველობის თავბრუდამხვევმა განვითარებამ რელიგია გზიდან ჩამოიცილა. ცხოვრების ყველა დარგში ადამიანები მიეჩვივნენ ენერგიის რაც შეიძლება ნაკლები დახარჯვით თავიანთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ამასვე მოითხოვენ ისინი რწმენისგანაც. მან უნდა შეიწყნაროს ისინი ისე, რომ არც დრო წაართვას, არც ენერგია. მათ კი, ვისაც ხალხში ღვთის სიტყვა მიაქვს — იქნებიან ისინი სასულიერო ღირსების მქონე პირნი, თუ უბრალოდ ერისკაცნი, — ხშირად არ ჰყოფნით ნებისყოფა, წინ აღუდგნენ ამ მოთხოვნას. ჩვენ სიამაყით ვუჩვენებთ მთელ ქვეყანას ჩვენს უმაღლეს სახალხო სკოლებს, დროთა განმავლობაში ისეთ ოფიციალურ დაწესებულებად რომ იქცნენ, სადაც თქვენ — სამ-ოთხ თვეში შეგითხზავენ გამზადებულ მსოფლმხედველობას თავმდებობით. შესახედავად ეს სასწაულია, საქმით კი — მხოლოდ მოტყუება. აუცილებელი სისადავისა და სიიაფის მისაღწევად რელიგიას ცვლიან პოეზიით, ყოფიერებას პოეტურ ნისლში ხვევენ, მოტყუებითი ლაქით ფარავენ. მისი, ფიალტრინგის შეხედულებით, უკანასკნელი წლების ეგრეთ წოდებულ რელიგიურ-სახალხო აღორძინების შედეგად დანიაში გამოცხადდა სწორედ ასეთი გალაქული მატერიალიზმი.

პასტორის ცხარე ტონმა პერი დაანაღვლიანა, მით უფრო, რომ ეს კაცი მის საკუთარ აზრებს გამოთქვამდა. მაგრამ მერე უკვე აღარავითარი შესაძლებლობა აღარ იყო პასტორის დამშვიდებისა.

— ადამიანის სულის, მისი გაფურჩქვნისთვის აუცილებელი პირობების შესახებ ჩვენს სამარცხვინოდ მცირე რამ ვიცით; მაგრამ მთელი ისტორია, ისევე როგორც ცალკეულ ადამიანთა დამოწმებანი, უცილობლად ამტკიცებენ, რომ სულის განვითარებისთვის, თუმცა ისევე, როგორც ყველანაირი განვითარებისთვის, — საჭიროა დრო და წინააღ-

მდეგობის გაწევა. შემდგომ ცნობილია, რომ ბედნიერება ამ სიტყვის მიწიერი გაგებით, ადამიანს სულიერად უნაყოფოს ხდის. ადამიანის სულის მშობლიური სტიქია დარდია, ტკივილი და გმობა. სიხარული — ეს მხეცის ხმაა, რომელიც ჩვენში ცხოვრობს. ამიტომ ხომ არ არის, რომ წარმატებით აღტაცებულობისას ადამიანები ასე ხარბნი არიან ყოველგვარი მანჭვისა და ღორობისადმი, მაშინ, როცა უბედურების ჟამს, საკუთარ „მე"-ს სიღრმეში რომ ჩაიხედავენ, იქ, სადაც ღვთაებრივის წმინდა წყაროები მოედინებიან, ღმერთმა რომ ყოველ ცოცხალ არსებაში ჩანერგა, ჩვენ ვხედავთ ადამიანის აუმღვრეველ სახეს? დაე ქრისტიანობა სამყაროს კეთილცნობასავათი მოევლინა, მაგრამ თუ ამ გამოთქმას სიტყვა-სიტყვით გავიგებთ, კაცობრიობა დაიბნევა გადაუწყვეტელ წინააღმდეგობებში. რელიგიამ, რომელმაც გამოაცხადა მშვიდობა, მოსვენება და მწყალობლობა, ამოავსო სულის მკვებავი წყაროები, ჩაახშო სულიერი ცხოვრების გულისთქმა, თავიდან აიცილა ავადმყოფობა ავადმყოფის მოკვდინების გზით. თვით სამოთხის იდეა, როგორც ყოველგვარი სრულყოფილების ერთგვარი იმქვეყნიური სათავესისა, ძალიან ძნელი შესათანხმებელია რელიგიის ახლანდელ გაგებასთან. სიტყვები: „აქ შემომავალს ნუღა გექნება რაიმეს იმედი", დანტემ რომ ჯოჯოხეთის კარზე წააწერა, უფრო მეტი საფუძვლით და უფრო საშიში გაგებით უნდა წაგვეწერა ცათა სასუფეველის კარზეც, სადაც ადამიანს შემდგომი განვითარების შესაძლებლობა წართმეული აქვს. დიახ, ადამიანის დახშულ გონებას აუცილებლობად წარმოუდგენია ხანგრძლივი წლების განმავლობაში მსჯავრდადებულთა შორის ყოფნა, ან სამუდამოდ, ან რაიმე ვადით, რათა სულის სიწმინდეს, უბიწოებას და ჭეშმარიტ ნეტარებას მიაღწიოს, თუ ამას რელიგიურ ზეშთაგონებად აღვიქვამთ.

მაგრამ, შესაძლოა, ჩვენ უბრალოდ ვერ ჩავწვდით ფარულ აზრს, რომელიც ღმერთმა გამოგვიცხადა სახარებაში. და თუ ასეა, მაშინ გასაგებია, ქრისტიანობამ მთელი ორი საუკუნის განმავლობაში მაღალფარდოვანი სიტყვებისა და საზეიმო ფიცის მიუხედავად რატომ მეტი ვერაფრის გაკეთება ვერ შესძლო ადამიანის სულიერი განვითარებისათვის. ზოგიერთი ღვთისმეტყველი პირწმინდად უარყოფს ქრისტეს ღვთიურ წარმოშობას. და მართლაც, ნათესაურ კავშირს ქრისტესა და ძველი აღთქმის ღმერთს შორის უცბად ვერ მიხვდები. დიდი გადაჭარბება არ იქნება თუ ვიტყვით, რომ პირველი წარმოადგენს მეორის სრულ წინააღმდეგობას, მე ვიტყოდი, მის პაროდიას. მაგალითად, ებ-

რაელებს ქრისტე ზიზღს ჰგვრიდა. მაგრამ თუ ის ღმერთის შვილი არ არის, ვინ იქნება თავდები, რომ ღმერთმა განგებ არ გააჩინა, გადაატანინა ტანჯვა და მოკლა საშინელი სიკვდილით, ოღონდაც კარგად დავეშინებინეთ?

ამ გაცხარებულ ლაპარაკში პასტორი ფიალტრინგი უეცრად გაშეშებულივით შეჩერდა, თითქოს საკუთარი სიტყვებისა შეეშინდა. შუბლზე წითელი ლაქები დააჩნდა. მხრები და სახე ნერვიულად აუცახცახდა.

— თქვენთვის, იმედია, გასაგებია, რომ მე ამას ხუმრობით არ ვამბობ. ვფიქრობ, თუ ქრისტეს სახეს და მის ისტორიულ მისიას გულმოდგინედ გავაანალიზებთ, — ხოლო ამის დრო კი უთუოდ დადგა, — ეს უნდა გაკეთდეს საფუძვლიანად და წინასწარ შექმნილი აზრის გარეშე. დაე თუნდაც ამის გამო იძულებული გავხდეთ, სულის ხსნა საალალბედოდ ვაქციოთ.

პერმა არ იცოდა რა ეპასუხა, ხოლო თვით პასტორი, ალბათ ვერც კი გრძნობდა, რა შორს გადაუხვია პირველდაწყებული თემიდან. ვერც ის შენიშნა, რომ მის ზურგს უკან კარი გაიღო და ოთახში მისი ცოლი შემოვიდა. მხოლოდ როცა პერი ადგა და გამოემშვიდობა, პასტორმა მაშინ დაინახა ქალი და სიტყვა პირში გაუწყდა.

პერმა გუნებაში გაიფიქრა, ხალხი სულაც არ სცოდავს და არ ტყუის, პასტორის მეუღლის გარეგნობაზე ასეთი მითქმა-მოთქმა რომ არისო. ეს გახლდათ უფორმო, გასუქებული ქალი, ლოთის შეშუპებული სახე და უძრავი, გადმოკარკლული, თითქმის უფერული თვალები ჰქონდა, სახეზე მეწამული ფერი ედო. ქალი ეტყობოდა ცდილიყო, კარგად გამოწყობილიყო, მაგრამ ამით უფრო აშკარად გეცემოდათ თვალში მისი ფეთხუმობა. სიჩქარეში თმაც კი დაესველებინა, რომ უკეთესად დაევარცხნა და საკმაოდ კარგი კაბა ჩაეცვა, მაგრამ ყურზე ჩამოჩაჩულ თავსაბურიდან დაკვირტებული თმა უჩანდა, ხოლო საგარეო კაბის ქვემოდან — მოღრეცილი და დიდი ხნის გაუწმენდავი ფეხსაცმელი.

როცა ფიალტრინგმა პერი თავის ცოლს წარუდგინა, ქალმა თავაზიანად გაუღიმა.

— იქნებ ბატონმა სიდენიუსმა უარი არა თქვას ჩვენთან ერთად საუზმობაზე? საჭმელი უკვე მორთმეულია.

პერმა არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ისე შეებრალა ეს ხალხი, გული ეტკინა.

ხალისით უპასუხებდა „არას“, მაგრამ ეშინოდა, ვაითუ ვაწყენინოო და ამიტომ სტუმრად დარჩა მათთან.

პერს ეუცნაურა, რომ პასტორი ფიალტრინგი ცოლს ისე ექცეოდა, სულაც არ ეტყობოდა, თუ რაიმეთი უკმაყოფილო იყო. თუმცა პასტორს ეტყობოდა, თავს უხერხულად გრძნობდა და სახეზედაც ისეთი გამომეტყველება აღბეჭდვოდა, თითქოს ფიქრებით სხვაგან იყო, თავი მაინც ისე ეჭირა, როგორც მზრუნველ მეუღლეს შეეფერება. ყურადღებიანი იყო მის მიმართ და შეიძლება ითქვას, თავაზიანიც, მისი ცოლი კი, როგორც ჩანდა, სულ ვერ გრძნობდა თავის შერცხვენას. მაგიდასთან უმთავრესად მხოლოდ ის ლაპარაკობდა — კოპენჰაგენის შესახებ არეულ-დარეულ მოგონებებს ჩრდილო ზელანდიურ მოგონებებში ურევდა, იქ ბამამისი პასტორად იყო. გარდა ამისა, ამ ქალს საერთოდ არ ჰქონდა ჩვევად მოესმინა, რას პასუხობდნენ თანამოსაუბრენი, ამიტომ ბოლოს მაგიდასთან მხოლოდ მისი ხმა გაისმოდა. ნასადილევს კაბინეტში რომ დაბრუნდნენ, პერმა მაშინვე იგრძნო, რომ შეწყვეტილი საუბარი აღარ განახლდებოდა. თუმცა არც მასპინძელი აკავებდა. სამაგიეროდ გამომშვიდობებისას პერი პარმაღამდე მიაცილა, კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა მზრუნველობისთვის და უთხრა, თუ აქეთ გამოვლა მოგიხდებათ, მუდამ მოხარული ვიქნები თქვენი სტუმრობისო.

პერმა სიამოვნებით ისარგებლა ამ დაპატიჟებით და შემდეგ დღეებში განგებ იჩენდა ისეთ საქმეებს, რომ თითქოს შემთხვევით შეევლო პასტორთან. მერე უკვე ყოველგვარი საბაბის გარეშე დაიწყო მასთან სიარული და ყოველთვის გულთბილადაც ღებულობდნენ. მაგრამ ბორუპის ეკლესიაში წირვას პერი არასოდეს არ ესწრებოდა და ამასაც მხოლოდ სიმამრის ხათრით აკეთებდა. პერი ერთხელ უკვე დაესწრო ფიალტრინგის ქადაგებას და ეს საკმაო იყო, რომ მეორედ აღარ მისულიყო. კათედრაზე პასტორი ფიალტრინგი ძალზე წააგავდა ჯამბაზს. ბუნებით სიმართლის მძებნელი კაცი იყო, ადამიანის სულის სიმებზე ვერ ითამაშებდა, ხოლო ჭეშმარიტების საქვეყნოდ გამოცხადება სულ არ შეეძლო. ვისაც უნდოდა ფიალტრინგს ჩასწვდომოდა, მის განმარტოებაში უნდა შეეღწია. მაგრამ თუ უეცრად თავს წააგდებოდნენ ამ განმარტოებაში, დაბნეულობისგან სიბნელიდან უეცრად სინათლეში გამოფრენილ პეპელასავით აქეთ-იქით მიასკდებოდა. იქნებ თავისი ჩაც-

მულობის გამო ღელავდა, ასე გარეშე პირთ ვერ მიიღებდა, თუ ის აწუხებდა, რომ აკვიატებული ჰქონდა; ავად ვარო, — ღმერთმა უწყის, მაგრამ მაშინვე სკამიდან სკამზე გადაჯდომას იწყებდა, ანდა მიიყუჟებოდა კუთხეში, შეხვეულ თავს ხელებზე დაინდობდა და იჯდა იქ მოკრუნჩხული. თუმცა პერს მალე შეეჩვია და მისი გამოჩენისას ჩვეულებრივ მორიდებული აღარ იყო, ხოლო როცა თავის მოკრძალებას დასძლევდა ხოლმე, შეეძლო მთელი საათობით დაუღალავად ელაპარაკა.

ბლომბერგებს პერი არაფერს უყვებოდა, რომ ამ ერეტიკოსთან ნაცნობობა გაება. არც მოხუცებს და არც ინგერს. მან იცოდა, რომ ინგერი უთუოდ შეურაცხყოფილად ჩათვლიდა თავს თავისი მამის ხათრით, ვინაიდან მას, როგორც შვილს, სჯეროდა, რომ მამამისი უცოდველი იყო. პერს უნდა დაეცადა იმ დრომდე, ვიდრე ისინი ერთად იქნებოდნენ, სულ მთლად ერთად. ზოგჯერ, როცა პერი მომავალ სიმამრს მაინც შეეკამათებოდა ხოლმე რწმენის საკითხებზე, ინგერი ძალიან ბრაზობდა პერზე და აგებინებდა, ჩვენს სახლში ასეთ კამათს ჩვეულებრივ ყმაწვილური ამპარტავნობით თუ ახსნიანო, — მაშ აბა რომელი დარბაისელი ადამიანი ჩათვლის თავს სერიოზულად თვით პასტორ ბლომბერგზე უფრო ჭკვიანად.

რაკი პერი იძულებული იყო დაემალა, ფიალტრინგთან დავდივარო. მასთან შეხვედრის შთაბეჭდილებებმაც საიდუმლო ელფერი მიიღო. ფიალტრინგის განსაკუთრებული და მრავალმხრივი შემეცნებაც მისტიციზმით იყო შეფერადებული. ფიალტრინგის დახმარებით გაეცნო პერი შუასაუკუნეების ღვთისმეტყველებას. ის საზეიმოდ შეიყვანეს სქოლასტიკური აზრის ბიზანტიურ ტაძარში, აზიარეს რეფორმამდელი პერიოდის ფანტასტ-მეოცნებეთა გოთიკურ ოცნებებს, გააცნეს ისეთი ადამიანები, როგორიცაა მესტერ ეკარტი, იოჰან ჰაულერი, რაისბროკი და ჰერხარდ გროტი, ამ ადამიანებით დაინტერესებულმა პასტორმა ფიალტრინგმა ძირფესვიანად შეისწავლა ისინი. ფიალტრინგისთვის უცხო არ იყო არც ერთი რელიგიური სკოლა, წარსულის თუ აწმყოს არც ერთი მიმდინარეობა. ის ერთნაირად იგებდა და ღებულობდა კიდევაც შერყვნილი რელიგიურობის ისეთ ავბედით გამოვლინებებს, როგორიცაა სატანის თაყვანისცემა, როზენკრეიცერთა ორდენი, შავი მესია, ზეპირად კითხულობდა გრძელ ნაწყვეტებს ამ საიდუმლო სექტათა ყოველგვარ თეორეტიკოსთა ნაშრომებიდან.

მაგრამ ყველაზე მეტად პერს აინტერესებდა თვით პასტორ ფიალტრინგის პიროვნება და ღრმად შეგრძნობილი დამოკიდებულება ყოველივეს შიმართ, რაზეც ის ლაპარაკობდა. ეს კაცი ისე სრულყოფილად სწვდებოდა ადამიანის აზრის თვითეულ მისახვევს, თითქოს საკუთარ თავზე გამოეცადა ყველა ადამიანური სურვილი, ყველა გულისტკივილი. მაშინაც კი, ჯოჯოხეთზე რომ ლაპარაკობდა, გეჩვენებოდათ, თითქოს თავად იყო იქ ნამყოფი და ახლა მეხსიერება თვალწინ უშლიდა განცდილ ტანჯვებს. ხოლო ბედნიერების წუთებში მის ცოცხალ, დახვეწილ და მოძრავ ნაკვთებში აირეკლებოდა ხოლმე მოგონებანი სამოთხის ნეტარებაზე. ზოგჯერ ფერმკრთალ სახეზე ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ეს-ესაა სფეროთა შორეულ მუსიკას მოჰკრა ყურიო.

ასეთი შეხვედრების შემდეგ პერი თავისი ჩასუქებული სიმამრის ლაქლაქს რომ უსმენდა, უჩვეულო ძალით შეიგრძნობდა ხოლმე, რა იაფად ფასობდა ეს მდარეხარისხიანი გულმხიარულება, ჭეშმარიტ რწმენასთან ან თუნდაც ეჭვთან შედარებით, მაგრამ განცდილთან და მძიმე ბრძოლით მოპოვებულ ეჭვთან. განსაკუთრებით მკვეთრად ეცა პერს თვალში ეს განსხვავება, როცა დაესწრო ერთერთ ეგრეთ წოდებულ არაოფიციალურ ყრილობას, წელიწადში ორჯერ რომ აწყობდა ხოლმე თავისთან ბლომბერგი. აქ მისი ხელმძღვანელობით იკრიბებოდა ეგრეთ წოდებული ოლქის თავისუფლად მოაზროვნე სამღვდელოება, რათა განეხილათ პრობლემები, რაც თანამედროვე ეკლესიას აღელვებდა. პასტორ ფიალტრინგის თვით კადნიერ და უპატიო სიტყვებშიც კი გაცილებით მეტი ჭეშმარიტი ღვთისმოშიშობა იყო, ვიდრე ღმერთთან ლაწირაკულ ძმაბიჭობაში და დაუსრულებელ ლაყბობაში, რითაც თავს იტკბობდნენ წმინდა მამები. სავარძლებში მოხერხებულად გადაშხლართულებს ვითომც დაბნეული ან მთლად თავდავიწყებული გამომეტყველება ედოთ სახეზე — ყველა მქადაგებლის ეს პროფესიონალური თვისება და კბილებში ყალიონ გარჭობილები მსჯელობდნენ ცოდვათა მონანიებაზე, ან იმაზე, თუ რამდენად გულჩამწვდომია ჩვენი ლოცვანი. როცა პერი ხედავდა მათ, როცა ესმოდა, როგორ ცდილობდნენ ისინი, ერთმანეთისთვის ეჯობნათ სამართლიანობისადმი სიყვარულში და დროთა მოთხოვნებისათვის ხელშეწყობის მზადყოფნაში და უნდოდათ ხალხისთვის რელიგია ძალიან დაბალ ფასებში მიეწოდებინათ, ესმოდა, რატომ დადაღა ფიალტრინგმა ისინი „მეწვრილმანეთა“ სახელით და რად უწოდა მთელ იმ პოეტურ მგრძნობიარობას „გალაქული მატერიალიზმი“.

სიმამრის ხასიათიც პერს უფრო და უფრო ნაკლებად მოსწონდა. ეს სიძულვილი განსაკუთრებით მას შემდეგ გაუძლიერდა, რაც დაწვრილებით გაიგო, თუ რა ულირსი დამოკიდებულება ჰქონდა ბლომბერგს მოხუცი მამისადმი, რაზეც ჯერ კიდევ კერსხოლმის მმართველმა გადაუკრა სიტყვა. თურმე ბლომბერგის მამა მართლაც საშინელ გაჭირვებაში ცხოვრობდა სადღაც კუნძულ ფიუნზე, შვილმა კი სამუდამოდ გამოუკეტა თავისი სახლის კარი, რაკი მან, უკვე მოხუცებულმა, შელახა მეექვსე მცნება და თავის მოახლესთან იყოლია ბავშვი. პასტორი ბლომბერგი, დიდი შემწყნარებლური კაცი რელიგიურ საკითხებში, კლდესავით ურყევი იყო მორალის საკითხში. მთელი რიგი თავისი კოლეგების მსგავსად, ის მიისწრაფოდა იქ, სადაც საქმე ზნეობას ეხებოდა, რათა ამით სამაგიერო მიეზღო იმისთვის, რომ ეკლესია ამ ბოლო წლებში იძულებული იყო გონებისთვის დაეთმო. თანაც პერს გულში ეჭვად ჰქონდა, რომ მისი სიმამრი ალბათ სიხარულით ჩაებღაუჭა ამ მიზეზს, რათა მხრიდან მოეხსნა საზრუნავი უმწეო და თითქმის ბრმა მოხუცზე. მამა და შვილი არასოდეს არ იყვნენ ძალიან ახლო ურთიერთობაში, ხოლო ბლომბერგი ისეთი არ გახლდათ, რომ თავი მსხვერპლად მოეტანა. თუმცა თავად მდიდრულად ცხოვრობდა და დროდადრო ფრიად მოურიდებლად მოითხოვდა, მრევლს თავისი მისდამი სიყვარული ლითონის ფულით დაემტკიცებინა, მაგრამ სულაც არ გამოირჩეოდა გულუხვობით, თუ სხვებისთვის დახმარების აღმოჩენა იყო საჭირო. არა ერთხელ და ორჯერ სმენია პერს, როგორ ამთავრებდა საუბარს ღატაკებთან, დახმარების სათხოვნელად რომ მიდიოდნენ მასთან, მუდამ იმას პირდებოდა, რომ „მთელი გულით ელოცა მათთვის“.

მაგრამ პერი წუთით არ შეეჭვებულა, რომ ბლომბერგის რწმენა გულწრფელი იყო. და ეს გახლდათ ყველაზე საშინელი, ამან შემდგომში განარიდა ის რელიგიას, ვინაიდან, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა რელიგია გამოაძევებდა ბუნების მიერ ადამიანში ჩანერგილ ყველა ჭვენა თვისებას, როგორც მაგალითად, „წმინდანებთან“, ამ სიტყვის სრული გაგებით, ის სრულიად არ ფლობდა უნარს, აემაღლებინა სული და გაეკეთილშობილებინა გონება. ეჭვს უფრო ჰქონდა ასეთი სასწაულმოქმედი ძალა. როცა პერი თავის თავს ეკითხებოდა, რა მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის პასტორ ფიალტრინგთან მეგობრობას, პასუხი ამბობდა, რომ ფიალტრინგმა გაანთავისუფლა ის მტანჯველი გაორების შეგნებისაგან, თავისი უუნარობის შეგნებისაგან იმ საკითხში, რომ შეექმნა

მკაფიოდ გამოხატული მსოფლმხედველობა, რის გამოც პერი ასე იტანჯებოდა წინათ. რაზეც არ უნდა ელაპარაკა პასტორ ფიალტრინგს, ის გარდუვალად უბრუნდებოდა ეჭვს, ვინაიდან ის არის უპირველესი საწინდარი ყოველგვარი რწმენისა, მისი, ასე ვთქვათ, „მარადნაყოფმომცემი დედობრივი კალთა". როგორც დღე იბადება ღამისაგან და თავადაც ბადებს მას, როგორც მთელი ცხოვრება დედამიწაზე ბნელისა და ნათელის ამ ცვლიდან წარმოიშვა, ისევე რელიგიაც გარდუვალად აღმოცენდება წინაალმდეგობის სულიდან, რომელიც თავისი სიფიცხით მოუსვენრობის ცეცხლს ანთებს ადამიანის სულში. რწმენა, რომელიც მუდმივი ეჭვით არ განახლდება, მკვდარია, — ეს არის ცოცხის ტარი, ეს ყავარჯენია, რისი შემწეობითაც შეგიძლია ცოტა ხნით დაივიწყო რომ კოჭლი ხარ, მაგრამ ასეთი რწმენა არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტ სასიცოცხლო ძალა.

ერთხელ ფიალტრინგი ხუმრობის გუნებაზე იყო და თქვა:

— თუ დავიჯერებთ, რომ ჯოჯოხეთის გზა კეთილი ზრახვებითაა მოფენილი, მაშინ სამოთხის გზა ავი ზრახვებით უნდა იყოს მოკირწყლული. — და თავისი აზრის განსავითარებლად დაამტკიცა, რომ ის უფრო ახლოს იყო ჭეშმარიტებასთან, ვიდრე შეიძლება მოგჩვენებოდათ პირველ შეხედვისთანავე. — ავიღოთ, მაგალითისთვის, ადამიანის სიარული. როგორც ცნობილია, ადამიანის თითოეული ნაბიჯი არის დროზე შეჩერებული დავარდნა, სწორედ ასევე ჩვენი სულის აღმავლობაც სრულყოფის სიმაღლეებამდე არის განუწყვეტელ დავარდნათა ჯაჭვი, რომელთაგანაც გვაკავებს თავდაცვის სასიკეთო ინსტინქტი, ღმერთმა რომ მოგვანიჭა.

როცა პერმა თვალი გადაავლო მის მიერ განვლილ გზას, მოეჩვენა, რომ ეს გზა ფიალტრინგის სიტყვების უთვალსაჩინოესი მტკიცება იყო. და მაშინ პირველად შესძლო იმედითა და ნდობით შეეხედა სახეში მომავლისათვის.

* * *

ამასობაში ბესტრუპში გაჩქარებული სამზადისი იყო ქორწილისთვის. დილიდან დაღამებამდე ჭრიჭინებდა საკერავი მანქანა, ხოლო ორშაბათობით პასტორის მეუღლე დილაადრიან მიემგზავრებოდა ქალაქ-

ში, სადაც მზითვის უმეტესი ნაწილი იყო შეკვეთილი. პერს, კარებში ვამოჩნდებოდა თუ არა, ყურებში უდგა სიტყვები: კაკლის ხე, ტიკი, სატინა, დაჩითვა, რეპსი, მუთაქა, ბალიში, ცხენის ძუა, ლეჩაქის ფარდები, ზეწრის ტილო. ინგერის ფიქრებიც უფრო მეტად იყო დაკავებული სირაჯთან და დურგალთან საუბრით, ვიდრე სიყვარულის მომავალი ზეიმით. პერი ბესტრუპში უფრო და უფრო ზედმეტად გრძნობდა თავს.

თუმცა თვითონაც ნელ-ნელა ამზადებდა თავის ბინას ინგერის მისაღებად. ახლა მას უკვე საკმაოდ კარგი გასამრჯელო ჰქონდა. თავისი ძირითადი საქმის გარდა (ესე იგი მდინარის კალაპოტის გადაგებგნისა), უფრო წვრილ საქმეებსაც იღებდა, ეს კი რიგიან შემოსავალს აძლევდა. მან უკვე მთლიანად გაისტუმრა შინაურების ვალი და დაიწყო ფულის გადანახვა ფილიპ სალამონის და ივენის ვალის გასასტუმრებლად.

ახლა პერი შეუდგა თავისი მოუვლელი სახლის მოწესრიგებას შიგნიდანაც და გარედანაც. იყიდა ახალი შპალერი, უბრძანა სამზარეულოში ძველმოდური აგურის იატაკი აეყარათ და ფიცრები დაეგოთ. ბუნებრივი საზრიანობა აქაც დაეხმარა და მთელ რიგ ერთი შეხედვით უმნიშვნელო პრაქტიკულ საქმეებში ძალიან გამოადგა — პერმა ადგილი მოუნაცვლა ღუმელს, გადააკეთა წყალგაყვანილობა და სხვა.

პერმა იცოდა, რომ ინგერისთვის არ არსებობდა იმაზე უკეთესი საჩუქარი, ვიდრე გახლავთ კარგად მოწყობილი სამზარეულო, გრილი საკუჭნაო, ახლად შეთეთრებული სარდაფი და შეშით სავსე ფარდული მოხერხებული მისადგომით. დედისაგან მან მემკვიდრეობით მიიღო სისუფთავისა და წესრიგის სიყვარული. აკოკოლავებული დარეცხილი თეფშების ან გაპრიალებული სპილენძის ქვაბის დანახვა ისეთივე აღტაცებას ჰგვრიდა, როგორსაც სხვა ადამიანებში ხელოვნების ნაწარმოებები იწვევს.

ბუნებრივია, მეურნეობის რომელიმე ერთ დარგში რომ მოაწესრიგებდა საქმეს, ამით პერს თვალი ეხილებოდა და აშკარად ხედავდა მეორე დარგის ნაკლს. ვერ მოასწრო სამზარეულოს მოთავება, რომ თავში მოუვიდა აზრი, ცოდვა არ იქნება სასტუმრო ოთახშიც ხელახლა დავაგო იატაკი. თავისდა შეუმჩნევლად ჩაეფლო სამეურნეო ფუსფუსში, ბესტრუპში რომ სუფევდა. პასტორ ფიალტრინგთან მისასვლელად ახლა აღარ ეცალა. რაკი ეშინოდა, ყველაფრის გაკეთებას ვერ მოასწ-

წრებო, მანაც ინგერის მსგავსად დაიწყო ფიქრი იმაზე, როგორ გადაედო ქორწილი ერთი-ორი კვირით.

ამ დროს ქალაქიდან შეკვეთილი ავეჯი ჩამოუვიდა და ამან ახალი საზრუნავი გაუჩინა. კარადა ძალიან დიდი გააკეთეს და სადაც უნდოდა დაედგა იქ ვერ თავსდებოდა; სამაგიეროდ თაროები გააკეთეს იმაზე მოკლე, ვიდრე საჭირო იყო. და რაც მთავარია, ინგერი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო იმან, რომ ახალი შპალერის მოხატულობა მაინდამაინც არ ეხამებოდა ხალიჩის შეფერადებას და ავეჯის გადასაკრავს. როგორც კი პერი ბესტრუპში გამოჩნდებოდა, ინგერი, შეფიქრიანებული გამომეტყველება რომ ედო სახეზე, მის შესაგებებლად გამორბოდა და კითხვებს აყრიდა იატაკის სიგრძე-სიგანის თაობაზე, ხოლო როცა პერი მიდიოდა, იმდენ დავალებებს აძლევდა, ზოგჯერ გამოთხოვებისას კოცნაც კი ავიწყდებოდა.

ეს ფუსფუსი თვით დიდ მოვლენამდე გრძელდებოდა, უფრო მეტიც, — ქორწილზე ორი დღით ადრე საერთო პანიკადაც კი იქცა. ყველა შეკვეთა მოტანილი იყო. მხოლოდ საწოლები აკლდათ და მათ მიღებას დღე-დღეზე ელოდნენ. მეავეჯესთან კაცს კაცზე აგზავნიდნენ და ისიც პირდებოდა, საწოლებს ვადაზე გამოგიგზავნითო. საწოლები მაინც არა და არ ჩანდა და ბესტრუპში ერთადერთ სალაპარაკო თემად გადაიქცა. პერს ვერ გაეგო, როგორ შეეძლო ასეთ მორცხვსა და უმანკო ინგერს თავისი განცდები გაეზიარებინა არა მარტო მისთვის, არამედ ყველასთვის, ვინც კი ბესტრუპში შეივლიდა. ქარიშხლის ექომ ქალაქამდეც მიაღწია, ყველგან მხოლოდ ამ საწოლებზე ლაპარაკობდნენ; ამიტომაც, როცა ქორწილამდე ერთი დღით ადრე ისინი თავის ადგილას დადეს, ყველამ შვებით ამოისუნთქა.

დადგა ფრიად მნიშვნელოვანი დღე. დილიდანვე კაშკაშა მზემ გაანათა დროშებით მორთული ქალაქი. მოხუცი და ახალგაზრდა ქუჩაზე გამოეფინა, როცა საქორწინო კორტეჟი ეკლესიისკენ გაემართა. ინგერი ღია ეტლში იჯდა, წარმოსადეგ ხანშიშესულ ბატონთან — თავის ბიძასთან ერთად. ბიძას გაურკვეველი ფერის წვეტიანი წვერი ჰქონდა, ხოლო მისი ფრაკის ღილის კილო ვარდს დაემშვენებინა. ინგერი ლამაზი იყო, მაგრამ სამწუხაროდ, კარგად იცოდა ეს. დეიდები, მას რომ რთავდნენ, მეგობარი ქალები, ფატა და მურტის გვირგვინი რომ დაახურეს, მოსამსახურეები და მსახურნი, მათ კარმიდამოზე რომ ირე-

ოდნენ, — ყველა ერთხმად აცხადებდა, რომ პესტრუპის ეკლესიას არასოდეს არ ენახა ამაზე უფრო მეტად მომხიბლავი პატარძალი.

სტუმრებს შორის პერის ორი ნათესავიც ერია — ებერხარდი და სიგნე. ქორწილზე მთელი აქაური „უმაღლესი საზოგადოებაც“ გამოცხადდა:იუსტიციის მრჩეველი კლაუსენი, ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე, უმაღლესი სახალხო სკოლის გამგე, რამდენიმე მღვდელი, სოფლის თემის საქმეთა რწმუნებული, რიმალტის ინტელიგენციის ნაღები — ერთი სიტყვით, ორმოცდაათ კაცამდე.

შუადღისთვის პასტორის ბაღი ხალხით იყო გაჭედილი. ცნობისმოყვარენი სადღეგრძელოების მოსასმენად ფანჯრების მახლობლად მიჭყლეტილიყვნენ. მერე მათთვის ხეების ქვეშ გაშალეს სუფრა, რათა არავინ წასულიყო გაუმასპინძლებლად, ხოლო ბრბო თანდათან იზრდებოდა და ბოლოს ბაღში ნამდვილი სახალხო სეირნობა გაჩაღდა.

მეორე დილით შორიდან ჩამოსული სტუმრების გამგზავრებას შეუდგნენ — პირველად ებერხარდი და სიგნე წავიდნენ, მერე მათ მიჰყვა პასტორის მეუღლის ძმა, ინგერის ბიძა. ძალიან მიმზიდველი კაცი აღმოჩნდა, აშკარად ეტყობოდა, თავგადასავლები დიდად იტაცებდა. თავის დროზე მან საკმაოდ იხეტიალა ქვეყანაზე, მერე კი ერთ ადგილზე დაბინავდა და კომერციული დირექტორიც კი გახდა ფიქმის ერთერთი სოლიდური ნავსაშენისა, და იქვე მოეკიდა ოჯახს. ის სიხარულით ჩაეგლაუჭა სამშობლოში ყოფნის საბაბს, სადაც მრავალი წლის განმავლობაში არ ეცხოვრა და ბესტრუპში ქორწილამდე მთელი კვირა გაატარა მისი უჩვეულო გარეგნობა და უცხოური მანერები აფრთხობდა პასტორის ოჯახს და უჭირდათ ამ კაცთან დაახლოება. განსაკუთრებით თვით ბლომბერგს, რომელიც ცოლის ძმას „ძველ ქარაფშუტას“ ეძახდა. სამაგიეროდ პერს ინგერის ბიძა ხელად შეეწყო. რამდენჯერმე გაჰყვა. როცა ის საქმეებზე დადიოდა. თუმცა მას ტექნიკაში ბევრი არა გაეგებოდა რა, სამაგიეროდ შეეძლო სამუშაოს ხარისხი შეეფასებინა და სრულიად აშკარად, თუმცა საკმაოდ თავშეკავებით გადაუკრა სიტყვა თავის დას და მის ქმარს, თქვენი სიძე ცოდვაა ამ ჯურღმულში იყოს და რუები უთხაროს გლეხებსო.

ფრუ ბლომბერგი, დილიდანვე ძალიან აღელვებული რომ იყო, სტუმრების გამგზავრების მერეც არ დამშვიდებულა. მან ძმა სადგურამდე გააცილა, რომ ბარემ ახალნაქორწინევნიც მოენახულებინა.

უკვე ისე ადრეც აღარ იყო, მაგრამ ინგერი და პერი მხოლოდ ახლა

საუზმობდნენ, თანაც სუფრაზე სულაც არ სუფევდა მხნე განწყობილება. პერი შეცბუნებული იყო, ხოლო ინგერი ფერმკრთალი, მდუმარე და გაბუტული იჯდა. ფრუ ბლომბერგმა თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ვერაფერი შენიშნა. ის მაშინვე მიხვდა, რაც მომხდარიყო და ღიმილი ძლივს შეიკავა. ოცდაორი წლის წინათ თავადაც განიცადა ასეთივე ღილა ქორწინების პირველი ღამის შემდეგ. ამიტომ წყნარად დალია თავისი ყავა და ნეფე-დედოფალს ქორწილსა და სტუმრების გამგზავრებაზე ემასლაათა. მერე ინგერს სამზარეულოში და საკუჭნაოში წაჰყვა რაღაც შინაური საქმეების მოსაგვარებლად, ხოლო პერი თავის კაბინეტში შეძვრა და სიდედრის წასვლამდე არ გამოსულა იქიდან.

პერი ფანჯარას მიუჯდა და ხელებზე თავდაყრდნობილი ღობის იქით ვადაჭიმულ მინდვრებს ათვალიერებდა. მას მშვენივრად ესმოდა, რომ არაფერი საშინელი, კაცმა რომ თქვას, არ მომხდარა და ინგერიც დროთა განმავლობაში აღარ იქნება ასეთი უკარება. მაგრამ წყენამ არ გაუარა და გული მაინც სტკიოდა.

იმ ნათელი წუთების მაგიერ, მისთვის რომ ალბათ ყველაზე ძვირფასი მოსაგონარი იქნებოდა, ისეთი მძიმე და არასასიამოვნო სცენა გამოვიდა, მუდამ სირცხვილით და ზიზღით მოიგონებს.

პერს გაახსენდა სხვა ქორწინების ღამე — იაკობასთან გატარებული პირველი ღამე და უნებლიეთ ერთმანეთს შეადარა ეს ორი ღამე. მაგრამ უეცრად რაღაცა ავის მომასწავებელი გრძნობა შეერხა შეგრძნების სიღრმეში და შხამიანი გველივით შიგ გულში უკბინა. იქნებ პერი თავად არის ყველაფერში დამნაშავე? იქნებ მან კვლავ უნდა ზღოს წარსულის სამაგიერო?

თავი XXVI

ქორწინებამ პერს სრული ბედნიერება არ მოუტანა. ყოველგვარი ბედი, იმის მიღწევას შეეძლებ, რომ ინგერმა დამოუკიდებელი სულიერი ცხოვრებით იცხოვროსო, გაუნაცარმტვერდა. რაკი ფხიზელი, პრაქტიკული და ანგარიშიანი ბუნებისა იყო და თანაც ირწმუნა, მამაზემი ქრისტიანობის უკანასკნელ ბურჯს წარმოადგენსო, ინგერს აშკარად ვერ გაეგო, რას მოითხოვდა მისგან პერი. თავისი პატივცემული

მშობელის მსგავსად მას მიაჩნდა, რომ პერი დაუახლოვდა პასტორ ფიალტრინგს მხოლოდ წინაალმდეგობის ეფექტისა და ორიგინალურობის სურვილის გამო.

ამ გაორებულმა ცხოვრებამ, რომლითაც იძულებული იყო ეცხოვრა და სხვადასხვაგვარმა გავლენებმა პერს ისე აურიეს გონება, ხანდახან თითქმის შეშლილს ჰგავდა. ბოლოს თვითონაც შენიშნა, რომ საქმე ვერ იყო კარგად, ძალიან შეშფოთდა და შეეცადა მოეძებნა რაიმე გამოსავალი.

ეს გამოსავალი პერმა იქ იპოვა, სადაც ბევრჯერ უპოვია წინათაც: ყოფიერების ბუნებრივ მხარეში და ამაში თვით ინგერი დაეხმარა. ის უკვე თვეში იდგა და როგორც თითქმის ყველა ქალს, ვინც პირველად ემზადება დედობისათვის, სხვა არაფერზე შეეძლო ფიქრი, მოსალოდნელ მშობიარობისა და ამისთვის მომზადების გარდა. მაგრამ ამავე დროს საოცრად იკავებდა თავს. სწორედ ამ სიმშვიდემ, ამ სულიერმა შეუდრეკელობამ, რომლითაც ინგერი, მთელი თავისი გამოუცდელობის მიუხედავად, მოელოდა მშობიარობას, პერი დიდად აღაფრთოვანა და მის გონებასაც მდიდარი საზრდო მისცა.

მერე მოვიდნენ გარდაუვალი მღელვარებანი, ინგერის ტანჯვა, შიში ინგერისა და ბავშვის გამო, მამობის სიხარული, უეცრად გაზრდილი პასუხისმგებლობის გრძნობა — და ყოველივე ამან ერთად აღებულმა მაგრად მიაჯაჭვა პერი დედამიწას.

მაგრამ ბორუპში სიარულზე მთლიანად უარის თქმა არ შეეძლო. დიდი, ბნელი კაბინეტი, სადაც ვიწრო ფეხსაფენები ეფინა და იატაკში დაბალ ფანჯრებს შორის მაღალი საწერი მაგიდა იდგა, ძველებურად გაურკვეველი ძალით იზიდავდა მას, მაგრამ ახლა პერი იქ რომ მიდიოდა, სინდისი ქენჯნიდა. ასე იდუმალად ლოთი ეპარება სამეკიტნოში. ეს ვიზიტები უფრო და უფრო იშვიათი და იშვიათი ხდებოდა, ვიდრე ბოლოს ტრაგიკულმა მოვლენამ, რის შესახებაც ოლქში დიდხანს იყო დაუსრულებელი მითქმა-მოთქმა, სულ არ შეწყვიტა.

ერთხელ ავდრიან შემოდგომის დღეს ხმა გავრცელდა, პასტორი ფიალტრინგი სახლიდან გაქრაო. ნახევარი წლით ადრე მან მეუღლე დაკარგა, მაგრამ იმის მაგიერ, რომ შვებით ამოესუნთქა, ახლა უფრო ძალიან ეშინოდა ხალხისა და დღის სინათლისა. პასტორი რომ გაქრა, ყველამ იეჭვა, საქმე ცუდად არისო. პერმა დაუყოვნებლივ გააჩაღა ძებნა. მან ყოველ მხარეს დაგზავნა ხალხი — ზოგი ტყის დასათვალი-

ერებლად, ზოგი მდინარის ფსკერისა და ყველა ხევის თუ გამოქვაბულის მოსაჩხრეკად. თურმე პასტორს სხვენზე, ტანსაცმლის ცარიელ კარადაში ჩამოეხრჩო თავი.

ბოლო წლებში პასტორ ფიალტრინგს მხოლოდ პერის ნახვა უხაროდა და მას ელაპარაკებოდა გულახდილად. პასტორის გაქრობამდე ცოტა ხნით ადრე პერი რამდენიმე საათი იჯდა მასთან და პირდაპირ გაოცებას იყო, რა თავდაჭერით და მშვიდად ლაპარაკობდა ის თავის თავზე და თავის მარტოხელობაზე. პირდაპირ დასცინოდა თავის ხორციელ უძლურებას.

— ჩვენ მადლობელი უნდა ვიყოთ ყოველი ტკივილისა, რომელსაც კი განგება გვიგზავნის, — თქვა მან, — რადგან მხოლოდ ის განაახლებს და ამტკიცებს ჩვენს სულს.

თავისი სიტყვების დასამტკიცებლად ფიალტრინგი მოჰყვა სასეირო ისტორიას, ერთხელ იმდენად ღრმად ჩავეფლე პირველშობილ შეცოდებაზე ფიქრში, კინაღამ შევიშალეო.

— მაგრამ ამ დროს კეთილისმყოფი გამჭოლი ქარის მეოხებით, როგორც ტანჯულს შეეფერებოდა, კარგი კბილის ტკივილი ავიკიდე და ყველა პირველჩენილი შეცოდებანი ეშმაკებისკენ გაფრინდნენ! ვიღას ახსოვდა შეცოდებანი, მგონი ჩემი ნათლობის მოწმობასაც მივცემდი კბილის ტკივილის დასაამებელ ცხელ საფენში.

ახლა, როცა ფიალტრინგი უკვე ცოცხალი აღარ იყო, როცა თავისი საშინელი სიკვდილით მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი ფილოსოფიის უნაყოფობა, პერმა თავი იგრძნო ადამიანად, ვინც ბედნიერად აიცდინა სიკვდილის საშიშროება. ზუსტად ასეთი შეგრძნება დაებადა მაშინაც, გაზეთებიდან ხანლენ ივერსენის მკვლელობის ამბავი რომ გაიგო. აგზნებულმა ხელმა შეიყვანა ის პირქუშ, უდაბურ და ავისმომასწავებელ იწროებში, თვით სულის სამეფოში, საითაც უკვე დიდი ხანია იზიდავდა მაცდუნებელი მირაჟები. დაე, ასე იყოს! სულერთია, პერი მარად სიყვარულით და მადლიერებით გაიხსენებს ამ მარტოხელა და უბედურ ადამიანს. თვით სიკვდილითაც ფიალტრინგი მისი დამრიგებელი და მხსნელი იქნება.

ამიტომაც პერს დიდად აშფოთებდა მფარველური თანაგრძნობა მაძღარი და ბედნიერი ადამიანებისა, მშვიდად რომ იფურჩქნებოდნენ საკუთარი გულგრილობის მტკიცე მესერს მიღმა და ცხოვრებაში არც ერთხელ არ განუცდიათ ღმერთის გამოწვევის ტიტანური მისწრაფება.

ყველაზე აუტანელი მისი სიმამრი იყო, მოწყალებით რომ იქნევდა თავს.

— დიახ, დიახ, ეს მოსალოდნელი იყო. მე ამას ვითვალისწინებდი. მაშ, როგორ შეუძლია, ერთი მითხარით, გეთაყვა, დაასრულოს სიცოცხლე ადამიანმა, ვინც საკუთარ თავთანაც ვერ ცხოვრობს შეხმატკბილებულად? როგორც გინდათ თქვით და, მე კი მეცოდება. ახ, საბრალო, საბრალო!

პერს პირდაპირ ენა ექავებოდა, ისე უნდოდა სიმამრისთვის ერთი მკვახე სიტყვა მიეხალა, მაგრამ თავი შეიკავა და კრინტიც არ დაუძრავს. უკვე ბევრჯერ აკეთებდა ამას ინგერის ხათრით.

* * *

შეუმჩნეველად განვლო ერთმა წელმა, მას მეორე მიჰყვა, მერე კიდევ სამმა გაიარა. განსაკუთრებული, შეუმჩნეველი სიჩქარით გაირბინეს ამ წლებმა. სოფელში ასე გადის ხოლმე დრო, — დღეები აქ ნელ-ნელა მიიზლაზნებიან, ხოლო წლები კი მიჰქრიან.

იდილიური კარ-მიდამოს ბაღში, რიმალტის მწვანე ბორცვებს შორის უკვე სამი ბავშვი დარბოდა — ხუთი წლის ბიჭი და ორი გოგონა: სამივე ზედგამოჭრილი მამა იყო — ცისფერთვალება და წაბლისფერკულულებიანები. მდინარის კალაპოტის გრანდიოზული გადაგეგმვა კარგა ხანია წარმატებით დასრულდა და პერი ხშირად ლაპარაკობდა იმაზე, რომ სადმე სხვა ადგილზე გადასულიყვნენ, მაგრამ ინგერს გაგონებაც არ უნდოდა მშობლიურ ადგილებთან გაშორებისა. ის აღმერთებდა თავის ახალ სახლს, როგორც წინათ აღმერთებდა ძველს, და თავისი ღირსების საქმედ თვლიდა სისუფთავის და წესრიგის ნიმუშად მის გადაქცევას.

თუმცა, არც თვით პერს ჰყოფნიდა გამბედაობა, შეჩვეული ადგილი მიეტოვებინა. დღეები მშვიდობიანად გადიოდა, ბავშვები იზრდებოდნენ, ხოლო ინგერი ასე ამაღელვებლად ბედნიერი იყო, ასე მადლიერი იმისა, რომ შეეძლო მშობლებთან ახლოს და ძველ მეგობრებს შორის ცხოვრება. პერი კი, თუ არ ჩავთვლით საკუთარ სახლს, ისევ უცხოდ თვლიდა თავს ოლქში. სამაგიეროდ სახლი, მიწის ნაკერი და ბაღი მტკიცედ შეეზარდნენ მის გულს და ძნელი არ იყო მისი დაყოლიება, რომ არსად წასულიყო. ამასთან, ბოლო დრომდე ყელამდე ჰქონდა ყვე-

ლანაირი საქმე აქაც, ოლქში, მიწისმზომელისა და საგზაო სამუშაოები თუ ხიდების აგება. გასამრჯელო კარგად ყოფნიდა საცხოვრებლად. ოანდათან პერმა ყველა ვალი გაისტუმრა.

სამაგიეროდ, გამოგონებაზე მუშაობას კვლავ არ შესდგომოდა. უფრო და უფრო იშვიათად ჰქონდა სერიოზული მეცადინეობის სურვილი. ხოლო სურვილთან ერთად, თითქოს უნარმაც უმტყუნა. ოდესღაც ესოდენ ბრწყინვალე მისი გონება უნაყოფო გახდა. გამოგონებაზე ხელი ჩაიქნია და აღარც დაბრუნებია მეტად. სახლის უკან პორცვზე, იქ, სადაც პერი ოდესღაც ახალი ტიპის ძრავიანი საცდელი წისქვილის აგებაზე ოცნებობდა, ახლა სკამი დადგეს, რომ მიდამოთი დაეტკბარიყვნენ. აქ ხშირად იჯდა საღამოობით ინგერთან ერთად და ოაზე აღარ საუბრობდნენ, ხოლო ბავშვები მხიარულად ცელქობდნენ იქვე ბალახში.

უმთავრესად ინგერი ლაპარაკობდა. პერი, წინათ ასეთი ლაპარაკის მოყვარული რომ იყო, დროთა განმავლობაში სიტყვაძვირი გახდა. მხოლოდ იშვიათად, განსაკუთრებით ბავშვებთან თამაშის დროს, ისიც გაცელქდებოდა ხოლმე ბავშვივით. ჩვეულებრივად კი პერს ძალიან ხშირად ეცვლებოდა განწყობილება და თანაც ყოველგვარი აშკარა მიზეზის გარეშე, ეს კი დროდადრო ძალიან აღელვებდა ინგერს. ზოგჯერ სრულიად წყნარი და ყოველდღიური საუბრის დროს პერი უეცრად დადუმდებოდა ხოლმე, მიაშტერდებოდა ერთ წერიტილს, თითქოს აზრები უეცრად რომელიღაც სხვა საგანს მიაპყროო, რის შესახებაც ერჩია არაეისთან არ ელაპარაკა. ეს უეცარი განრიდებულობა საათობით გრძელდებოდა, ხოლო ხანდახან დღეობითაც და ამ დროს ვერაფერს გააწყობდი, თუ არა თავის ისე დაჭერა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს და არ ჩააცივდებოდი შეკითხვებით.

ოჯახური ცხოვრების პირველ წლებში ინგერს, თავისი მშობლების მიბაძვით მიაჩნდა, რომ მსგავსი მერყეობა პერისა პასტორ ფიალტრინგთან მისი ნაცნობობის შედეგი იყო. ბოგვიანებით გადაწყვიტა, რომ მის მეუღლეს ბედუკუღმართ გამოგონებაზე ფიქრი სტანჯავდა. სანამ მასზე მუშაობა არ შეწყვიტა, ზოგჯერ ვერაფრით ვერ აამებდი ხოლმე პერს, ეჩვენებოდა, რომ სახლში არასაკმარისი სიჩუმე იყო, ოდნავი ხმაურიც კი აღიზიანებდა და გამუდმებით წუხდა, რომ საკმარისია იგრძნოს შემოქმედებითი ენერგიის მოზღვავება, მაშინვე ინგერი სახ-

ლის დალაგებას წამოიწყებს და კაბინეტში მუშაობის საშუალება აღარა აქვს ხოლმე. ამიტომ ქალმაც თავის დროზე გადაწყვიტა, ქმრის თავიდან ამოეგდო გამოგონებაზე ფიქრი. ახლა კი ინგერი მზად იყო პერის განწყობილების უეცარი და გაუმართლებელი ცვალებადობა მისი ფიზიკური დასნეულებისათვის მიეწერა, ზოგჯერ რომ შეუტევდა ხოლმე და გაღიზიანებულსა და ენინიანს ხდიდა. თუმცა, პერი თავადაც არ ხსნიდა ამას სხვანაირად.

ისევ შემოდგომა დადგა, ბაღში ხილი მწიფდა, ინგერი მთელი დღე მურაბების ხარშვაში და წნილების კეთებაში იყო.

ერთხელ, შუა სექტემბერში, ინგერი ტოტებგაშლილი კაკლის ქვეშ სკამზე იჯდა. ის დაჩვეული იყო ნასადილევს აქ დასვენებას, ამ დროს ბავშვებს მინდორში ძიძის მეთვალყურეობით სასეირნოდ უშვებდა ხოლმე. სიზუსტისადმი სიყვარულის გამო ცდილობდა რამდენადაც შეიძლებოდა დაეცვა დღის მტკიცე განრიგი და ნასადილევს ერთი საათი ყოველგვარ საშეურნეო და საოჯახო საქმეებზე ფიქრისთვის დაეთმო. მან გაიკეთა ლამაზი წინსაფარი და კალთაზე მწიფეალუბლიანი თიხის ჯამი დაიდგა; გვერდით სკამზე ცარიელი ტაშტი იდო, ინგერი იმაში აგდებდა მარცვალს მარცვალზე, რომელთაც წინასწარ თმისსარჭით კურკებს აცლიდა. ინგერი ისეთივე მოხდენილად მოძრაობდა, ისე სწრაფად და მტკიცედ, როგორც ყოველთვის, როცა კი საქმიანობდა ხოლმე. მისი თეთრი თითებიდან წვეთ-წვეთად ჩამოდიოდა თვალისმომჭრელი წითელი წვენი. კაკლის დიდებულ გვირგვინს უკვე ეტყობოდა შემოდგომის პირველი ნიშნები — მწვანე ფოთლებს შორის აქა-იქ მკვდარი, გახუნებული ფოთოლი მოჩანდა. მაგრამ თვით ინგერი გაფურჩქვნის ხანაში იყო — მომწიფებული, რომელი მატრონასავით დიდებული, თუმცა მხოლოდ ოცდაშვიდი წელი შეუსრულდა. ფიზიკური სიუსტე, მის განვითარებას სიყმაწვილეში რომ აფერხებდა, გათხოვების შემდეგ უკვალოდ გაქრა. ინგერი სავსებით ჯანმრთელად გრძნობდა თავს და, თავისდა სასიხარულოდ და საამაყოდ, სამივე შვილს თავად აწოვა ძუძუ.

ინგერი ბედნიერად გრძნობდა თავს ქმართან, თუმცა სულ სხვანაირად, ვიდრე მოელოდა. მერყევი ხასიათის მიუხედავად, პერი მუდამ მოსიყვარულე და მზრუნველი ქმარი და მამა იყო, მაგრამ ისეთ თავაზიან რაინდად, ვისზედაც ინგერი ქორწინებამდე ოცნებობდა, მაინც ვერ იქცა. ზოგჯერ ინგერს ძალიან უკვირდა, რატომ უყვარდა ასე პერი.

თუ მის ჟინიანობაზე ხმას არ იღებდა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ეს დედობრივ გრძნობას უღვიძებდა. როცა პერს სევდა და სასოწარკვეთილება ეუფლებოდა, — ხოლო რაც დრო გადიოდა ეს უფრო ხშირად ხდებოდა, — ინგერი მას ავადმყოფივით ექცეოდა, ვისზედაც არ უნდა განაწყენდე. თანაც მშვენივრად ხედავდა, რომ ამ შეტევებისგან პერი უფრო მეტად იტანჯებოდა, ვიდრე თვითონ.

იმ პერიოდში, რომელზედაც ლაპარაკია, პერს სწორედ მელანქოლიის მორიგი შეტევა დაეწყო. წინადღით პატარა ხაგბარტის დაბადების დღე აღნიშნეს და პერი დილიდანვე მშვენიერ გუნებაზე იყო. ალიონს აჰყვა, რომ მინდვრის ყვავილები დაეკრიფა და სახლი მოერთო, ხოლო როცა ბავშვები ადგნენ, დიდხანს ეთამაშებოდა მათ ბაღში. ბავშვები ძალზე აღფრთოვანებულნი იყვნენ, თვითონ ინგერიც იცინოდა, საწოლი ოთახის ფანჯრიდან რომ ხედავდა, როგორ დახოხავდა ოთხზე დამდგარი პერი ბუჩქებში. მერე ფოსტა მოიტანეს და თამაში შეწყდა. ერთი საათის შემდეგ ინგერი ქმართან კაბინეტში შევიდა და მაშინვე დაინახა, რომ პერი ისეთი აღარ იყო, როგორიც დილით. ის იჯდა ფანჯარასთან. ხელში გაზეთი ეჭირა და თვალები ამოღამებოდა. ინგერმა კარგად იცოდა, რასაც ნიშნავდა ეს. საზეიმო სუფრაზე პერს, ბავშვების გასაკვირად, კრინტი არ დაუძრავს, ხოლო როცა სადილად მოვიდნენ მშობლები, რათა ბავშვის დაბადება მიელოცათ, გადაუდებელი საქმეები მოიმიზეზა, შინიდან წავიდა და საღამომდე არ დაბრუნებულა.

განწყობილებათა ამ მშფოთვარე და უეცარ ცვალებადობაში, შავი მელანქოლიის შეტევებში, პერს რომ ემართებოდა, იყო რაღაცა ავის მომასწავებლად ნაცნობი, განსვენებულ ჰოფეჰერმეისტერს რომ მოგაგონებდათ. იმისი სულის ავადმყოფური ცვალებადობაც ფიზიკურ სნეულებაზე იყო დამოკიდებული, იქნებ კიბოზე, რამაც საფლავში ჩაიყვანა. ინგერმა პირობა დადო, პირველივე შესაძლებლობისთანავე მოლაპარაკებოდა ამის თაობაზე ექიმს.

ინგერი ფიქრიდან გამოარკვია აღფრთოვანებულმა წივილმა, ბორცვიდან რომ მოისმა. ეს ხაგბარტი და მისი უფროსი და ინგებორგი ასულიყვნენ ბორცვზე რათა დაენახათ, ხომ არ მოდიოდა მამა და, შორიდან მისი პეგასი რომ დაინახეს, სიხარულით აკივლდნენ.

ინგერი წამოდგა, ტაშტი აიღო და წავიდა, რათა მოსამსახურისთვის განკარგულება მიეცა, პერს სადილი გაუმზადეო. დღის მტკიცედ დადგენილი რეჟიმი რომ არ დაერღვია, პერმა თითონ ითხოვა, არასო-

დეს არ დამიცადოთ, თუ სადილად დამაგვიანდესო. ინგერმა თავისი ხელით დაუდო პერს ულუფა — დღეს სადილად ტკბილი ფაფა, შინაურული ლუდი და შებოლილი გველთევზა ჰქონდათ ჩაშუშული კარტოფილით. ბლომად მოუტანა საჭმელი. პერი დილიდანვე წასული იყო, ჯიბით რამდენიმე ბუტერბროდი ჰქონდა წაღებული და ინგერმა იცოდა, რომ სუფთა ჰაერზე გატარებული დღის შემდეგ შინ მგელივით დამშეული დაბრუნდებოდა. ამაშიც ჰოფეჰერმეისტერს ჰგავდა პერი: კუშტი განწყობილება არასოდეს არ უფუჭებდა მადას, არამედ პირიქით. მას შესანიშნავად ახსოვდა, ნაღველი რომ ძალიან მოერეოდა ხოლმე, ჰოფეჰერმეისტერი საერთოდ ვეღარ გრძნობდა გაძღომას.

და აი, პერი თავისი პეგასით სახლთან მივიდა. ბავშვები, ძიძა და ქათმები გარს შემოეხვივნენ. მერე მათ მსახური შემოუერთდათ. „ნაბოლარამ“, ძიძას რომ ხელში ეჭირა, მამას ლოყა მიუშვირა საკოცნელად, უფროსები უკვე ახოხდნენ ორთვალაზე, თვითეული „საკუთარ“ ბორბალზე. მამის გვერდით მოიკალათეს და მათრახი აატკაცუნეს. ინგერი სამზარეულოში ფანჯარასთან იდგა და დედობრივი სიამაყით ტკბებოდა ამ სცენით.

ბოლოს პერი არც თუ ალერსიანად დაუსხლტა ბავშვების ჩაბღაუჭებულ ხელებს, მსახურს განკარგულება მისცა ცხენის თაობაზე და მიწაზე ჩამოხტა.

პერიც გასულა ამ უკანასკნელ წლებში, მხოლოდ სახის ფერი აო ჰქონდა ინგერივით ჯანსაღი და ფართო, ხშირი, ოდნავ გაწეწილი წვერი ძალიან აბერებდა.

— იყო ვინმე ჩვენთან? — იკითხა მან, როცა მაგიდას მიუჯდა, და მაშინვე, არც კი დაუნახავს რა დაუდეს წინ, პირში მოზრდილი ლუკმა ჩაიდო.

— არა, მთელი დღე მარტონი ვართ, — მიუგო ინგერმა. ის იქვე ჩამოჯდა საქსოვით ხელში, რომ პერს უფრო ხალისიანად ესადილა — შენ დღეს წერილები არ მიგიღია?

— არა, მხოლოდ გაზეთები მივიღე.

— რა წერია ახალი?

— არ ვიცი, არ გადამითვალიერებია.

ორივე გაჩუმდა.

— მითხარი, გეთაყვა, გუშინ არ წაგიკითხავს გაზეთები? — გაუბედავად ჰკითხა პერმა უეცრად.

— გუშინ? არა, არ მაგონდება. რაიმე საინტერესო ეწერა?

— როგორ გითხრა, იქ იყო ორხუსის ყრილობაზე ინჟინერთა გამოსვლის ანგარიში.

— უნდა წახვიდე. ეს ხომ საინტერესოა შენთვის.

— მერე რა დამრჩენია იქ? არავის არ ვიცნობ. თანაც მე ხომ ინჟინერი არა ვარ.

— განა ასეთ ყრილობებში მიწისმზომელები არ ეონაწილეობენ?

— მე მგონია, არა.

— მაგრამ შენ ხომ გაინტერესებს, რაზე ლაპარაკობენ ისინი.

— ოდესღაც მაინტერესებდა.

— რაზეა ლაპარაკი იმ ანგარიშში?

— ისე, მოლაპარაკებაა ღია პორტის და დასავლეთ იუტლანდიის არხის შექმნაზე ერტინგის ყურეში. ყველა გაზეთებში ეს პროექტი სტეინერის პროექტად არის მოხსენიებული. თუ გახსოვს, ოდესღაც მეც ვაყენებდი ასეთ იდეას.

— და წიგნიც დაწერე ამაზე?

— ჰო, წიგნიც დავწერე.

— მაშასადამე, ახლა პროექტი საბოლოოდ განხორციელდება?

— არა მგონია. კოპენჰაგენის პროექტი — უკვე გადაწყვეტილი საქმეა. ხოლო ერთი გამორიცხავს მეორეს.

— მაშ რისთვის ხმაურობენ ისინი აქამდე ამაზე?

— ეს სულ მათი იუტლანდური პატრიოტიზმის წყალობითაა. მეტი არაფერი. ისე კი, ბატონი სტეინერისთვის ხელსაყრელია, თუ მოლაპარაკება რაც შეიძლება მეტ ხანს გაგრძელდება, მთელი ძალ-ღონით ცდილობს, რომ ძალიან მალე არ დამთავრდეს. ამბობენ, თითქოს შეკრებილებმა მას ნამდვილი ოვაცია გაუმართეს. საზეიმო სადილზე შამპანური მდინარესავით იღვრებოდა, ვიღაცამ სიტყვა წარმოთქვა და სტეინერი დანიელ ლესეპსს შეადარა. ფაფა აღარ დარჩა?

— არა. უჰ, როგორ ვწუხვარ. კიდევ შეჭამდი? სამაგიეროდ მეორე თავი საჭმელი უფრო მეტი შეგინახე.

— მაშ კარგი, გმადლობ.

— იცოდე, ძალიან ნუ გაძღები. საღამოთი მეაფთიაქესთან ვართ დაპატიჟებულნი.

პერმა შუბლი შეიკრა.

— მართლაც დაპატიჟებულები ვართ. სულ დამავიწყდა. მითხარი,

გეთაყვა, როდის შევწყვეტთ ყოველგვარ დაპატიჟებებზე სიარულს. მაინცდამაინც დიდად არ გვეამება ხოლმე ეს.

— კი, განსაკუთრებული მხიარულება იქ, ცხადია, არ იქნება. ჩემი აზრით, შინ დარჩენა სჯობს, მაგრამ ხომ არ შეიძლება ტყუილუბრალოდ ვაწყენინოთ ხალხს. თუნდაც მამაჩემს უნდა გავუწიოთ ხათრი. მას ეს არ მოეწონება. ხალხი ისედაც ლაპარაკობს ჩვენზე, თავი შორს უჭირავთო.

პერმა არაფერი უპასუხა და სადილის დანარჩენმა დრომ მკაცრ სიჩუმეში ჩაიარა. მერე კაბინეტში ყავა მოართვეს და პერი და ინგერი იქ გადავიდნენ.

კაბინეტი დერეფნის მეორე მხარეზე მდებარეობდა. ეს იყო ვიწრო, ბნელი ოთახი, რომლის ფანჯარაც უსასრულო მინდვრებზე გადიოდა, ხოლო ფარული კარი — საწოლ ოთახში. თავისი ძველი — დიდი და მზიანი კაბინეტი — პერმა ოჯახის გაზრდასთან დაკავშირებით ბავშვებს დაუთმო. უნდა ითქვას, რომ ამ სადა, წყნარ, განცალკევებულ ოთახში ის სულაც არ გრძნობდა თავს უფრო ცუდად, რადგან ეს აგონებდა ახალგაზრდობისდროინდელ კარჩაკეტილ ცხოვრებას ნიუბოდერში ან ფრედერიკსბერგში. სულაც არ იყო ხოლმე აღფრთოვანებული, როცა ინგერი ცდილობდა როგორმე მოერთო მისი ოთახი და ყვავილებიან ქოთნებს ან ცოცხალი ყვავილების თაიგულებს დგამდა იქ. მათი სუნისაგან თავბრუ ესხმოდა, თანაც ბუნების კაშკაშა ფერები სრულიად არ ეხამებოდა იმ განწყობილებას, უფრო და უფრო ხშირად რომ ერეოდა ხოლმე.

მთელ ოთახში ერთადერთი მორთულობა იდგა — დიდი მარმარილოს ბიუსტი. ის წიგნების თაროზე იდო და თითქმის ებჯინებოდა დაბალ ჭერს. ბიუსტი გამოსახავდა ლამაზ, ახალგაზრდა მამაკაცს, ხვეული თმა, ფართო შუბლი და ვნებიანი ტუჩები რომ ჰქონდა, პირი კი, — ანტიკური ბიუსტების მსგავსად — ოდნავ გაღებული, რათა უფრო მეტად ჰქონოდა ცოცხლის ელფერი. თავი გვერდზე ისე მიებრუნებინა, მოკრივესნაირი მშვენიერი კისრის მუსკულატურა აშკარად უჩანდა. ნებისყოფის გამომხატველი ღრმა ნაოჭი შუბლს თითქმის გადაბმულ წარბებს შორის სერავდა. გამოხედვა მბრძანებლური ჰქონდა. ღიმილი ახალგაზრდობის, ძალის და გაბედულობის სიჭარბეს ამჟღავნებდა.

ეს ყოველივე ერთად აღებული წარმოადგენდა ახალგაზრდა პერის ძლიერ გაიდეალებულ პორტრეტს, ბარონესამ რომ შეუკვეთა მათი

რომში ერთად ყოფნის დროს. ჰოფეჰერმეისტერის შეუღლემ საჭიროდ ჩათვლა მისი გამოსყიდვა დის ხათრით და ინგერს საქორწინო საჩუქრად მიართვა. მაგრამ ინგერს ამ ბიუსტმა მაშინვე ისეთი ზიზღი მოჰგვარა, რომ გადაწყვიტა დაუყოვნებლივ დაემალა სხვენზე. მერე რისხვა მოწყალებით შეცვალა და ნება დართო მოეთავსებინათ სასადილოში, სადმე კუთხეში, მაღლა, რომ თვალში არავის მოხვედროდა. სწორედ იქ იდგა, სანამ ერთ შშვენიერ დღეს პერმა მისი თავის ოთახში გატანა არ მოინდომა. თუმცა ინგერი უმტკიცებდა, არ შეგშვენის ოთახში საკუთარი გამოსახულება იქონიოო, მაგრამ პერმა არ მოისურვა ბიუსტთან განშორება.

სიბნელემ იმატა. ინგერი და პერი ოთახის მოპირდაპირე კუთხეებში ისხდნენ და ბავშვებზე და ოჯახურ საქმეებზე საუბრობდნენ. პერმა სიგარა გააბოლა, ყავის ფინჯანი აიღო და ფანჯარასთან მივიდა. როგორც ყოველთვის, მხოლოდ ინგერი ლაპარაკობდა, თან შეუწყვეტლივ ითვლიდა თავის საქსოვში თვლებს. რაღას არ ამბობდა და ისიც ახსენა. როგორ აუგო ძველი ხის ფეხსაცმლიდან პატარა ხაგბარტმა სხვის დაუხმარებლად თოჯინის ეტლი თავის დას. ბიჭუნას მუდამ საინტერესო აზრი ებადება ხოლმე. ყველაფერი გამოუდის ხელიდან.

პერმა უფრო ინტერესით დაუგდო ყური.

— დიახ, ამ ბიჭისგან რამე გამოვა, — თითქოს თავის თავს უთხრა მან და ხელახლა ჩაეფლო საკუთარ ფიქრებში.

ინგერმა ჩხირი გორგალში გაურჭო და საწოლ ოთახში გავიდა, რათა საღამოსთვის ტანსაცმელი გამოეცვალა. გასვლაც ვერ მოასწრო, რომ პერი ადგილიდან აუდგომლად თავისი მაგიდისკენ გადაიხარა და ის იყო წიგნებისა და ნახაზების გროვიდან ოთხად დაკეცილი გაზეთის გამოღებას აპირებდა, რომ ინგერის ფეხის ხმა მოესმა, საჩქაროდ უკან წაიღო ხელი და ყურადღებით დაუწყო თვალიერება ჩამავალი მზის წითელ ღრუბლებს.

* * *

მეაფთიაქე მელერი უმსხვილესი გადასახადის გადამხდელი იყო რიმალტში და უყვარდა, თუ შემთხვევა მიეცემოდა, გაეხსენებინა ეს ამბავი, ხოლო როცა სტუმრებს პატიჟებდა, მაშინ პატივის საქმედ

თვლიდა ყოველნაირად დაემტკიცებინა, რომ შესანიშნავად იცოდა თავისი მოვალეობა — მდიდარი ადამიანების მოვალეობა მათთან ურთიერთობაში, ვის მიმართაც ბედი ესოდენ მწყალობელი არ აღმოჩნდა. შვიდი საათისთვის ყველა სტუმარმა თავი მოიყარა და მასპინძელმა ისინი პირდაპირ გაშლილ სუფრასთან მიიწვია, სადაც თვითეულ ჭურჭელთან სამი სირჩა იდგა და სელის ხელსაწმენდში გახვეული ახლად გამომცხვარი პური იდო. კმაყოფილებით მიუგდო ყური მასპინძელმა აღფრთოვანებულ ხმაურს, რომლიდანაც ცხადად ჩანდა, რომ უკეთესი სუფრა მთელ ოლქში არ მოიძებნებოდა.

ის ნაკლებადმნიშვნელოვანი ამბავი, რომ საჭმელებს კულინარიის მაგისტრი არ ამზადებდა და ბოთლებშიაც ყოველთვის არ ესხა ისეთი სასმელი, მისი ეტიკეტის დამამშვენებელ ჟღერად სახელწოდებებს რომ შეესაბამებოდა, არავის მადას არ უფუჭებდა. შეკრებილთ შორის არავის არ ჰქონდა დახვეწილი გემოვნება. საჭმელებზე ძირითადად მისი მოცულობით მსჯელობდნენ, სავსე ლანგარის დანახვა საამოდ ატკბობდა მათ თვალს და მთელი ძალღონით ცდილობდნენ ჩაესანსლათ იმდენი, რამდენსაც შესძლებდნენ და ერთი ნამცეცითაც ნაკლები არა.

თავისი ქცევითაც მეაფთიაქე მთლიანად ამართლებდა პურმარილიანი მასპინძლის სახელს — განუწყვეტლივ სთავაზობდა სტუმრებს, გადაეღოთ რაც შეიძლება მეტი საჭმელი. ჩანგლების ჟღარუნს და დანების კაკუნს მისი რიხიანი ხმა ფარავდა:

— ძვირფასო სტუმრებო! ცოტა ყურადღება მაინც მიაქციეთ ამ დაფარშულ მტრედებს. ისინი ნამდვილად იმსახურებენ ამას... ბატონო სადგურის უფროსო, იმედია, მოგეწონათ ეს შატო ბელვილი? რას ბრძანებთ, ჩემო ძვირფასო! სოტერნი — ეს საგანგებოდ ქალების ღვინოა! თქვენ ოღონდ გასინჯეთ!.. ბატონო სიდენიუს! რატომ გაუწყვერით თქვენს სირჩას? არაფერს არ სვამთ! ნება მიბოძეთ... ბატონებო, ბატონებო, ერთი წუთით მომაქციეთ ყურადღება ეს ლონდონ კლაბი ათას რვაას სამოცდაცხრამეტი წლის ჩამოსხმისაა, ეს-ეს არის დაგისხით და უნდა დალიოთ მოწიწებით, გამიგეთ: მო-წი-წე-ბით. აბა, როგორია, ჰა?

მამაკაცებმა გამოცალეს თავიანთი სირჩები, ჩაიტლოშნეს და ერთხმად აქეს ძალზე გულწრფელად.

— საუკეთესოა! — წარმოთქვა ვეტერინარმა.

— პირდაპირ თავისთავად გადადის ყელში! — საქმის მცოდნის გამომეტყველებით თქვა სადგურის უფროსმა.

— ღმერთების სასმელია! — დაუმატა რეალური სასწავლებლის ახალმა დირექტორმა, კანდიდატმა ბალინგმა, რის შემდეგ ადგა და მასპინძლის სადღეგრძელო წარმოთქვა.

ეს სწორედ ის აყლაყუდა ლომისფაფარიანი ბალინგი გახლდათ, ვისაც პერი მრავალი წლის წინათ სალამონების სახლში ხვდებოდა. ბოლო დროს ბალინგს თავბრუდამხვევად სწყალობდა ბედი. მას შემდეგ, რაც ვეგმები დაემსხვრა დედაქალაქში, გადაწყვიტა პროვინციაში მოესინჯა ბედი და მალე მიაღწია აღიარებას, დიდი ხანია ასე მგზნებარედ რომ სწყუროდა. აქ მას მეტად მნიშვნელოვან პიროვნებად თვლიდნენ არა მარტო რიმალტში, რომლის მცხოვრებლებიც ამაყობდნენ, რაკი თავის წრეში ნამდვილი მწერალი გადაიბირეს, არამედ განაპირა სოფლებშიც, სადაც ის მოხსენებებით გამოდიოდა, როგორც მოციქული ახალი ლიტერატურული მიმდინარეობისა, უმაღლესი სახალხო სკოლის ყაიდაზე ხალხურობისკენ რომ მიისწრაფოდა. ინგერის მეგობარს, მამულების მმართველის, იუსტიციის მრჩეველ კლაუსენის უფროს ქალიშვილს, მკვირცხლ ჰერდას, აფუებული მკერდი და მწველი თვალები რომ ჰქონდა, ბალინგი ერთი შეხედვით შეუყვარდა. ორი კვირის წინ ქორწილი გადაიხადეს. და კიდევ ერთმა პირმა შეავსო რიმალტის ინტელიგენციის მეგობრული ოჯახი. სადგურიდან დაახლოებით ათ კილომეტრზე, გზის გასწვრივ, რიმალტის გავლით ბესტრუპში, ბორუპში და კერსხოლმში რომ მიემართებოდა, მდებარეობდა მამული ბუდერუპლუნდი. მამული სამოქალაქო მრჩეველ ბრუკს ეკუთვნოდა — ფრიად საპატიო ასაკის კაცს, გოლშტინგის მემამულეთა ძველი მოდგმის ჩამომავალს. ის ძალზე მდიდარი გახლდათ და ერთადერთი ვაჟი ჰყავდა, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა საზღვარგარეთ და განათლება მიიღო იქ, ხოლო ახლა კი დაბრუნდა, რათა გამგებლობის სადავეები ხელში აეღო.

შვილი უკვე ოცდაათ წელს იყო მიტანებული. ეს გახლდათ ლამაზი, ძლიერი მამაკაცი, მაგრამ წუნარი და ცოტათი მოკრძალებული, რაც იქნებ მისი ბუნებრივი ნაკლითაც აიხსნებოდა: ცოტა ენას უკიდებდა. პერს ერთი ნახვითვე მოეწონა. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ინტერესები ჰქონდათ — ბატონი ბრუკი ნადირობის ტრფიალი გახლდათ და მემამულეთა შორის ბევრი მეგობარი ჰყავდა — პერი იმედოვნებდა უფრო დაახლოებოდა მას და ძალიან ეწყინა, როცა შენიშნა, რომ

მის სიყვარულს არ თანაუგრძნეს. პერი მალე მიხვდა, რომ ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ბრუკი უცხო, მისთვის არასიმპათიურ ხალხის გარემოში შეეჩხირა, ინგერით გატაცება იყო. ის და ინგერი ბავშვობიდანვე იცნობდნენ ერთმანეთს, მაგრამ ინგერი მას ვერ იტანდა და თავის სიძულვილს დროდადრო პირდაპირ უხეშად ავლენდა. თუმცა ვერ გეტყოდათ, რად ექცეოდა ასე. პერმა ბევრჯერ ჰკითხა რა მოხდაო. ინგერი კი სულ ერთსა და იმავეს პასუხობდა, სახელდობრ იმას, რომ ბრუკი მას არც პატარაობის დროს მოსწონდა და არც ახლა მოსწონს. დღეს პერმა შენიშნა, რომ ბრუკმა, ინგერის პირდაპირ ირიბად რომ იჯდა, რამდენჯერმე სცადა მასთან საუბარი გაება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ინგერი მისკენ არ იცქირებოდა და ყოველთვის რაიმე უმნიშვნელო სიტყვებით იცილებდა თავიდან.

ნავახშმევს, როგორც ეს ძველთაგანვეა მიღებული პროვინციაში, საზოგადოება გაიყო: მანდილოსნები სასტუმრო ოთახში დარჩნენ, ხოლო მამაკაცები მასპინძლის კაბინეტში გადავიდნენ, რათა თამბაქო მოეწიათ და თამამი ლაპარაკით ეჯერებინათ გული. აქ, თავისუფლად რომ იყვნენ, ზრდილობიანობას არას დაგიდევდნენ — ყვებოდნენ უწმაწურ ანეგდოტებს, წრუპავდნენ ლიქიორს, გემოზე აბოყინებდნენ და შეეძლოთ კუთხეში მიყუჟულებს ეხვრინათ კიდეც.

პერს ისეთი ადგილი ერგო, საიდანაც შეეძლო დაენახა, რა ხდებოდა სასტუმრო ოთახში. იქ დივანის ახლოს მდგარ მაგიდის თავზე მუქ-წითელ აბაჟურიანი ლამპა ეკიდა. მაგიდის გარშემო, ხანძარივით შუქი რომ სცემდა, მანდილოსნები ისხდნენ, ზოგი საქსოვით ხელში, ზოგი საქარგით. წუთითაც კი არ კუმავდნენ პირს. ერთი შეხედვით შეიძლებოდა იმის მიხვედრა, თუ რაზე ჰქონდათ საუბარი. მხოლოდ ისეთ თემებს შეუძლია მანდილოსანთა შორის ამდაგვარი გამოცოცხლების გამოწვევა, როგორიცაა ახლანდელი მოსამსახურეები და საოჯახო მეურნეობა. ინგერიც კი, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად მშვიდად ეჭირა თავი, მთლად გაწითლებულიყო, ისე იყო აღგზნებული.

პერი თავიდანვე ვერ იყო გუნებაზე და ამ სურათის დანახვისას ბრაზით ტუჩზე იკბინა. აქამდე მას შეეძლო ეამაყა თავისი ცოლით არა მარტო იმიტომ, რომ მისი ცოლი ყველას სჯობდა სილამაზით, არამედ იმიტომაც, რომ თანდაყოლილი ტაქტის და გემოვნების წყალობით მთელი თავით მაღლა იდგა თავის მეზობელ ქალებზე, მაგრამ, როცა პერი ამჩნევდა, რა ლაღად გრძნობდა თავს ინგერი ამ ჭორიკანებს შო-

რის, მაშინვე ცუდ გუნებაზე დგებოდა. პერი კარგად ხედავდა, რომ ქალი ამ წრეში თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ სტიქიაში. თუმცა ინგერი ყოველნაირად ცდილობდა, ასე არ ეფიქრათ. მხოლოდ მაშინ, თუ საუბარი ისეთ თემას შეეხებოდა, წესიერების საზღვარს რომ სცდებოდა, ინგერი მაშინვე ჩუმდებოდა და აღარ ღებულობდა მასში მონაწილეობას. არ აყვებოდა ხოლმე, ცოტა არ იყოს, ლაზღანდარულ ტონს, რიმალტელ მანდილოსნებში ასე მიღებული რომ იყო. თავშეკავებულობით, თავის დაჭერის მანერით, და შეხედულებებით, რითაც ბავშვობიდანვე ასე გამოირჩეოდა, ინგერი გათხოვების შემდეგ თვალებს ხუჭავდა და ყურს არიდებდა ყველაფერს, რასაც შეეძლო შეურაცხეყო მისი ქალური კდემამოსილება. ამაში იყო რაღაცნაირი, წმიდა ბლომბერგული ფარისეველობა; რის ცოდნაც ინგერს არ სურდა, უბრალოდ, არც კი ესმოდა. რის დაჯერებაც არ უნდოდა, არც სჯეროდა. სწორედ ამიტომ შეეძლო შესანიშნავი ურთიერთობა შეენარჩუნებინა მეაფთიაქის და სადგურის უფროსის მეუღლეებთან, თუმცა ყველასთვის ცნობილი იყო, რომ პირველი მეორის ქმართან ცხოვრობდა და ორივეს თავდავიწყებით უყვარდათ კანდიდატი ბალინგი. სწორედ ამიტომ ინგერს შეეძლო მამის სიტყვების განმეორება და სინდისის ქენჯნის გარეშე ლაპარაკი „შეცოდებებზე და ურწმუნოებაზე, კოპენჰაგენელები რომ ჩაეფლნენ“, თუმცა ის ცხოვრება, მის ირგვლივ რომ იყო, სასაცილო, ძნელად საცნობად დამახინჯებული მსგავსება გახლდათ იმ დედაქალაქური ცხოვრების და ყველგან — მდიდარი გლეხის იდილიურ კარმიდამოში თუ მოიჯარადრის ღარიბულ ქოხში — ფრიად აშკარად ხდებოდა ძალზე ბილწი საქმეები.

ასე ჯახირით მიაღწიეს ათ საათამდე. ათზე ჩაროზი მოიტანეს. პატივცემულ მატრონებს, მაგიდის ირგვლივ რომ ისხდნენ, ამ დროისთვის სახეები გაუფითრდათ და ქუთუთოები დაუწითლდათ, ისინი უკვე აღარ იწუხებდნენ თავს, რომ რიგიანად მოქცეულიყვნენ. ზოგიერთები აშკარად ამთქნარებდნენ და პირზე ხელს იფარებდნენ. ინგერსაც ეხუჭებოდა თვალები. მხოლოდ დიასახლისსა და სადგურის უფროსის ცოლსღა ეტყობოდა მოუსვენრობა. საქმე ის გახლდათ, რომ კანდიდატი ბალინგი და მისი ახალგაზრდა მეუღლე ცარიელ კაბინეტში განცალკევდნენ, სადაც მხოლოდ ერთი ღამის ნათურა ენთო. ისინი თითქმის ორჯერ მოიპატიჟეს მაგიდასთან, მაგრამ მაინც არ გამოდიოდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, გამოვიდნენ. ჰერდას სახე და თმის ვარცხნილობა ყოველგვარ

სიტყვებზე უფრო მკვეთრმეტყველურად ლაპარაკობდა, რაც მომხდარიყო. თუმცა ჰერდას სულაც არ რცხვენოდა.

მალე სტუმრები დაიშალნენ. პატარა ჯგუფებად მიიზლაზნებოდნენ ისინი მთვარით განათებულ გზაზე, ხან ერთ ჭიშკართან შეჩერდებოდნენ, ხან მეორესთან და აქ კი ნამდვილად ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს.

ინგერი აქაურ ექიმთან ერთად მიდიოდა, საკმაოდ ჭკვიან შუახნის კაცთან. ეს კაცი ბავშვობიდან იცნობდა ინგერს. ოდნავ ჩამორჩენ დანარჩენებს და სერიოზულად ლაპარაკობდნენ პერზე.

— მითხარით, ექიმო, ხომ არ შეგინიშნავთ, რომ ჩემი ქმარი დღეს არაჩვეულებრივად მდუმარე იყო?

— ცხადია, შევნიშნე, რახან მეკითხებით. რაიმე ხომ არ შეემთხვა?

— არა, ჩემის აზრით, არაფერი. მაგრამ თუ გულახდილად ვიტყვით — თქვენ, ალბათ იცით, რომ ჩემი ქმარი საკმაოდ გულჩათხრობილი ბუნებისაა. ეს ამბავი მე უკვე მაწუხებს. როგორ ფიქრობთ. ხომ არ შეიძლება რაიმე ფარული დაავადება სჭირდეს?

ექიმმა ცოტა ხანს იფიქრა და მერე უთხრა:

— ძალიან მოხარული ვარ, რომ თქვენ თვითონ წამოიწყეთ ამახე ლაპარაკი. სწორედ იმას ვფიქრობდი, საჭიროა მოველაპარაკო-მეთქი.

შეშინებული ინგერი შეჩერდა და ექიმს ხელი ჩაავლო.

— რა მოსდის? — კინაღამ წამოიყვირა მან.

— განსაკუთრებული არაფერი. ღვთის გულისთვის, ნუ შეშინდებით. სულაც არ მინდოდა თქვენი შეშინება. უბრალოდ, ძალიან ნერვიული კაცია, ხოლო თავბრუსხვევა და გვერდში ჩხვლეტა, ზოგჯერ რომ უჩივის ხოლმე, — შეიძლება, საკმაოდ უსიამოვნო სიმპტომი იყოს. მაინც, მღელვარების სერიოზული საფუძველი თქვენ ჯერ არა გაქვთ.

— კი, მაგრამ, რა სჭირს? რაღაც გაუგებრად მელაპარაკებით.

— იცით რა... საქმე ის გახლავთ... ჩემთვის ცოტა უხერხულია ამას რომ გეუბნებით... მაგრამ, მითხარით: ხომ არ მიგაჩნიათ, რომ თქვენს ქმარს ძალიან ცოტა სამუშაო აქვს?

— ცოტა? დილიდან საღამომდე მუშაობს. თქვენც ხომ იცით...

— ცოდნით კი ვიცი, მაგრამ განა აქვს ისეთი საქმე, რომელშიც მთლიანად ჩაფლული იყოს? რატომღაც მგონია, რომ მისთვის უფრო მეტი მუშაობაა საჭირო, ასე ვთქვათ, მეტი გასაქანი. ერთი სიტყვით.

ისეთი საქმე, რომ წუთიც კი არ რჩებოდეს თავისუფალი საკუთარ თავში საქეიფად.

— ზეგჯერ მეც ასე მგონია, — უთხრა ინგერმა მცირე ხნის დუმილის შემდეგ, — მაგრამ სად მიბრძანებთ ასეთი საქმის მოძებნას ჩვენს ოლქში?

— სამწუხაროდ, არსად, თქვენ მართალი ხართ.

— უნდა გადავსახლდეთ აქედან რომელიმე დიდ ქალაქში, იქნებ კოპენჰაგენშიაც...

— დიახ, საჭიროა. თუმცა ჩვენ ყველას მოგვენატრებით. მაგრამ სულ ერთია, მე არ მინდა ამ მიზეზით არაგულწრფელი რჩევა მოგცეთ.

— გიმეორებთ, მე უკვე ვიფიქრე ამაზე, — უთხრა ინგერმა. — მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ქმრისთვის უკეთესია და უფრო დამამშვიდებელიც სწორედ სოფელში ცხოვრება. თავადაც ასე ფიქრობს. თუ მის ჯანმრთელობას გავუწევთ ანგარიშს, მძიმე, დაძაბული შრომა არც შეუძლია.

— მე ძალიან მინდა, რომ შეგეძლოთ თქვენს ქმარზე საღად მსჯელობა. ავადმყოფია. ის, თუ არა, ძლიერი ბუნების კაცი კია და უნარიც შესწევს დიდი ტვირთის ზიდვისა. ახლა, რაკი ამაზე ლაპარაკი ჩამოვაგდეთ, მინდა ბოლომდე ვთქვა სათქმელი. ბიძათქვენმა, თუ არ ვცდები, რამდენჯერმე უხმო თქვენს ქმარს ფიუმიდან თავისთან და თავის ნავსაშენში შესთავაზა ადგილი, რატომ არ შეიძლება გადასახლდეთ ადრიატიკის ზღვის კურთხეულ ნაპირებზე?

— რომ ბანდიტებმა ამოგვბუგონ იქ?

— ჰო, იქ მთლად კარგი პირობები არ არის. სამაგიეროდ, თქვენი ქმრისთვის უკეთეს კლიმატს ვერ იპოვით. მას ძალიან სჭირდება მზე და სითბო. დარწმუნებული ვარ, რომ უცხო მხარეში ორ-სამ წელიწადს ცხოვრება სასწაულს მოახდენს.

ინგერი დუმდა. მან უნებლიედ განზე გაიწია თავისი მოსაუბრისაგან და თავი აღარ აუწევია. მალე ექიმის სახლს მიუახლოვდნენ, სადაც მათ დიდი ხანია ელოდნენ დანარჩენები.

პერი და ინგერი ყველაზე შორს ცხოვრობდნენ და ამიტომაც იძულებულნი იყვნენ ოცჯერ მაინც ჩაეტარებიათ გამოთხოვების ცერემონია. ინგერმა წყნარად გაუყარა პერს ხელი და როცა ბოლოს მარტონი დარჩნენ, მგზნებარედ მიეკრა. უცხოთა შორის გატარებული საღამოს

შემდეგ მონატრებოდათ ერთმანეთი. ინგერმა ნაზად მიაყრდნო თავი პერს მხარზე. ასე მიდიოდნენ ისინი ნელ-ნელა მთვარის შუქზე და მხოლოდ ერთხელ შეჩერდნენ შუა გზაზე, რათა სიყვარულის საწინდრად ერთმანეთისთვის ეკოცნათ.

მაგრამ, როგორც კი საკუთარი სახლის ზღურბლს გადააბიჯეს, ინგერი მაშინვე საოჯახო საქმეებზე გაიქცა: წასვლის წინ მზარეულ ქალს დაუბარა ცოტაოდენი კიტრი დაემარილებინა და მოვალეობის გრძნობამ საშუალება არ მისცა ლოგინში ისე ჩაწოლილიყო, თუ წინასწარ არ დარწმუნდებოდა, რომ დავალება შესრულებული იყო. ბარემ ბავშვთა ოთახშიც შეიხედა, რათა გაეგო ძიძისგან, როგორ გაიარა საღამომ.

— შენ წარმოიდგინე, ინგერბორგს ისევე ფაღარათი აქვს, — ამ სიტყვებით შევიდა ინგერი კაბინეტში.

პერმა ამასობაში ლამპა აანთო, მაგიდას მიუჯდა, გადაშალა ხელში მოხვედრილი პირველივე წიგნი და თავი ისე დაიჭირა, თითქოს კითხულობდა.

— რას ამბობ? — გაეპასუხა ის და ფურცელი გადაშალა.

ინგერი ძალიან კარგად იცნობდა ამ ტონს. თანაც პერმა ახალ სიგარას მოუკიდა.

— შენ კიდევ იჯდები ცოტა ხანს? — ჰკითხა ინგერმა.

— კი, რაღაც არ მეძინება.

ინგერი არც შეცდილა მის დაყოლიებას — ასეთ წუთებში — უკვე მიჩვეულიყო ამას — ყველანაირი ხვეწნა ამაო იქნებოდა. და რაკი ქალური სიამაყისა და მორცხვობის გამო წყენის გამოხატვას ერიდებოდა, მივიდა პერთან, შუბლიდან თმა გადაუწია და ტუჩებით საფეთქელზე შეეხო.

— ღამე მშვიდობისა, ძვირფასო.

— ღამე მშვიდობისა, — მიუგო პერმა თავის აუწევლად.

გავიდა თუ არა ინგერი, პერმა წიგნი გვერდზე გადადო და ხელებზე თავდაყრდნობილი ლამპას მიაშტერდა. როცა გაიგონა, რომ ინგერი უკვე დაწვა, წიგნების გროვიდან იქ დამალული გაზეთი ამოიღო და ფრთხილად გაშალა. ეს ისევ ის გუშინდელი გაზეთი იყო — იუტლანდიის ერთი უმსხვილეს გაზეთთაგანი — რომელშიც ორხუსში ჩატარებულ ინჟინერთა ყრილობის ანგარიში ეწერა. პერის თვალმა მაშინვე მოძებნა საჭირო სვეტი და სტრიქონები:

„ძირითადი საკითხი, რომელიც დღის სხდომის დღისწესრიგში იდგა, იყო ინჟინერ სტეინერის ფართოდ ცნობილი პროექტი. ჩვენ მთელი რიგი სტატიებით უკვე გავაცანით მკითხველს ამ პროექტის ძირითადი დებულებები. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია დღის სხდომამ იმიტომაც, რომ ის გახსნა თვით პროექტის გენიალურმა შემქმნელმა, რომლის ტრიბუნაზე გამოჩენესაც ხანგრძლივი აპლოდისმენტებით შეხვდნენ. მოხსენების დასკვნითი სიტყვები ოვაციის ქუხილმა შთანთქა“.

პერს საფეთქლებზე ძარღვები დაებერა.

— არამზადა! — ჩურჩულით გამოსცრა კბილებში.

ბოლო წლების განმავლობაში საერთოდ ვერ გაშლიდით ვერც ერთ პროვინციალურ გაზეთს, სტეინერის სახელს რომ არ წასწყდომოდით. ანტონ სტეინერი პირდაპირ იუტლანდიის ეროვნულ გმირად იქცა. ის ყველგან იყო, ყველგან მოხსენებებს აკეთებდა, ყველა შემთხვევაში ინტერვიუს აძლევდა და თანდათან არწმუნებდა თავის თაყვანისმცემლებს თავისი „მისიის“ სიწმინდეში.

მძიმე, დანამული ტოტი ფანჯრის მინას მოეხეთქა. სასტუმრო ოთახში, დერეფნის მეორე მხარეზე საათმა თორმეტი დარეკა.

პერმა თვალებზე ხელი აიფარა და დიდხანს, დიდხანს იჯდა უძრავად. სიდენიუსური მემკვიდრეობა, მთელი მისი ცხოვრების კრულვა! რა სჯობია? უძლურად გაიყინო მეტ-ნაკლებად ასატან პირობებში და მშვიდად ადევნო თვალ-ყური, როგორ ანადგურებს შენს სულს ცხოვრების დაუცხრომელი წყურვილი, თუ ერთი დაკვრით გაუსწორდე უძლურებასაც და უბედურებებსაც და შუბლში ტყვია იხალო, როგორც ეს ხანსენ ივერსენმა ქნა, როგორც ნირგორმა ჩაიდინა? სულ ერთია, ცხოვრება დაიმსხვრა, ძალა დაიხარჯა. პერი ახლა ჰგავს საათს, რომლიდანაც საათითაოდ ამოალაგეს მთელი მექანიზმი.

ნელა, შიშითაც კი აიხედა მან წიგნების თაროზე, იქ, სადაც ჭერისქვეშ ბინდში ბუნდოვნად ბრწყინავდა მარმარილოს ბიუსტი. ახლა ეს ბიუსტი მასში თითქმის მოკრძალების გრძნობას იწვევდა, თუმცა იყო დრო, როცა პერს მისი განადგურება უნდოდა. დღითიდღე პერს უფრო და უფრო უყვარდებოდა თავისი სიჭაბუკე. კარგა ხანია, თავს აღარ აბეზრებდნენ იმის მოგონებები, თუ რა უტვინო, შეუპოვარი და თავის მოიმედე ყმაწვილი იყო მაშინ, ზოგ რამეში პირდაპირ სულელი, ზოგში — უხეში და ყოყოჩი და მუდამ — გულცივი კუნძი. დაე, ასე

იყოს, მაგრამ სწორედ ეს გახლდათ თვით ცხოვრება, სისხლში რომ ჰქონდა, მის სიზმრებში რომ იყო. ახლა კი მასში ყველაფერი მღუმარე უდაბნოსავით არის. მხოლოდ ეული სალამური უსტვენს საცოდავად იქ, სადაც ოდესღაც მთელი ორკესტრი გრიალებდა, — ზოგჯერ შეუხმატკბილებლადაც კი, მაგრამ რა ძლიერი მუსიკა იყო!

მისთვის, ვინც მარტოხელა და ყველასგან მიტოვებულია, მისთვის, ვინც მხოლოდ ცხოვრების ჩრდილოვან მხარეებს იცნობს, ცხადია, ძნელია ცხოვრება, მაგრამ სწორედ იმის შეგნება, რომ უსამართლოდ ექცევიან, სჩაგრავენ, უბედურების დროს უდიდეს ნუგეშად შეიძლება იქცეს. ასეთ ადამიანს მუდამ რჩება იმედი, დაბოლოს, რჩება ბრაზი, რისი ცეცხლიც ათბობს. ის არასოდეს არ იქნება ისეთი საბრალო, როგორც ის, ვისაც მზის გულზე საფლავისებური სიცივე აიტანს, როგორც ის, ვინც მეფური მასპინძლობისას შიმშილით კვდება, როგორც ის, ვინც ხედავს, როგორ ხორციელდება ცხოვრებაში მთელი მისი ოცნებები, თვითონ კი ყველაფერს უნდა გაექცეს. მაგრამ სწორედ ასეთი ხვედრი ერგო მას, პერს!

ოჯახური კერა, სიმშვიდე, მყუდროება — აი ყველაფერი, რაც შერჩა. მთელი სამყაროდან, რომლის დაპყრობაზეც ოცნებობდა ჭაბუკური ნეტარი ქედმაღლობით, ნამცეცა მიწის ნაჭერი ერგო. ინგერის სიყვარული, სიცოცხლით სავსე ბავშვები, ოჯახური ბუდე — ეს მიიღო ყოველივე დაკარგულის და აღუსრულებელის ნაცვლად.

არ შეიძლება ითქვას, რომ ცხოვრება უსამართლო იყო მისდამი, და ამიტომაც ინგერმა არაფერი არ უნდა იცოდეს იმ ნაღველზე, მას რომ გულს უღრღნიდა, რადგან ქალი არაფერში არ იყო დამნაშავე და ვერ გაუგებდა პერს სწორად. თუმცა, რა არის აქ გასაკვირი, როცა პერს თვითონაც არ ესმის თავის უძლურებისა. კარგი, ვთქვათ მას უყვარს თავისი სახლი, ვთქვათ ინგერს არ უნდა განშორება იმ ადგილებთან, სადაც დაიბადა და გაიზარდა, ვთქვათ პერიც დროთა განმავლობაში თავადაც უფრო მუყაითი გახდა — დაე ასე იყოს, მაინც ამითაც ვერ ახსნის იმ მიზიდულების ძალას, იმ იდუმალ მეუფებას, რაც მასზე მოიპოვა მიწის ამ ნაჭერმა, თუმცა აქაც მარტოობას გრძნობს.

იმის შიში ხომ არ აჩერებს, რომ ახალ ადგილზე ოჯახს ვერ გამოკვებავს. ინგერის ბიძის მიწვევის გარდა, რაც მართალი რომ თქვას, არასოდეს არ ეჩვენებოდა მიმზიდველად, პერმა მთელი რიგი სხვა, ფრიად მაცთუნებელი წინადადებები უარყო. გარდა ამისა, პერი ისე

მოეწონა ოლქის უფროსს, რომ ყოველგვარი თხოვნისა და გადაკრული სიტყვის გარეშე რამდენჯერმე შეპირდა, შენს შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრს და მორწყვითი სისტემის გენერალურ დირექტორს მოველაპარაკებიო (ორივენი მისი ახლო მეგობრები იყვნენ).

ავადმყოფობა პერს სულაც არ აწუხებს. თუკი ოდესმე ღელავდა თავის ჯანმრთელობაზე, მხოლოდ ინგერის და ბავშვების გამო. სიკვდილის შიში, ასე რომ სტანჯავდა ახალგაზრდობისას, როგორც კი ოდნავ ავად გახდებოდა, დიდი ხანია, გაუქრა. როცა ვისიმე დასაფლავებას ესწრებოდა, თითქმის შურით უცქერდა, როგორ ქრებოდა შავ ორმოში კუბო ნეშტით. ზოგჯერ მიწის გოროხების ყრუ გრუხუნი, კუბოს სახურავს რომ ეცემოდა, პერს ყველაზე მომხიბლავად ეჩვენებოდა ყველა ბგერათაგან, თითქოს ეს ექო იყო სიკვდილის სამეფოდან, თითქოს პასუხი იყო და საიმედო ნუგეში არარსობიდან.

ზოგჯერ პერი თავის თავს ეკითხებოდა: განა ინგერისთვის უკეთესი არ იქნება თუ მოვკვდებიო? ის ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა და ლამაზია. უნდა ვიფიქროთ, რომ მეორედ გათხოვდება და კვლავ ასეთი გაფურჩქვნილი და ბედნიერი იქნება. პერს ბევრჯერ უფიქრია, რომ ახალგაზრდა ბრუკისადმი ინგერის სიძულვილს უკან შესაძლოა იმალება ინსტინქტური, შეუგნებელი შიში, შიში ბრუკის ვაჟკაცური სილამაზისა და ძალის წინაშეო. ინგერის არსების ბევრი მხარე ჯერ კიდევ თვლემს, გაუშლელია, მას კი არ ჰყოფნის მოთმინება, ან იქნებ უნარიც არა აქვს, რომ ის გააღვიძოს.

* * *

რამდენიმე დღის შემდეგ ინგერი და პერი ნასადილევს კაბინეტში ისხდნენ, ინგერს საკერავი ეპირა ხელში და დივანზე იჯდა, ხოლო პერი ფანჯარასთან სიგარას აბოლებდა. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ინგერმა ჰკითხა:

— ხომ არ სჯობს წავიდე?

— არა, რატომ?

— ისეთი გამომეტყველება გაქვს, თითქოს მარტო დარჩენა გირჩევნია.

— სულაც არა, მოხარულიც ვარ, რომ აქა ხარ.

— მაშინ მე მინდა სერიოზულად მოველაპარაკო ზოგიერთ რამეზე-

— რაზე?

— იცი რა, მე ვფიქრობდი, რომ ჩვენთვის უმჯობესი იყო აქედან წასვლა, წასვლა, სანამ ეს აუცილებელი გახდება. თავად ამბობდი, შემოსავალი შემცირდაო. თანაც არა მგონია, აქ ყოველთვის იშოვო შესაფერი სამუშაო.

პერმა გაკვირვებით შეხედა.

— საიდან მოგვიდა ეს აზრი?

— განა ამაზე ცოტა გვილაპარაკია?

— სწორი ხარ, მაგრამ ამაზე ლაპარაკი სწორედ ახლა რატომ წამოიწყე?

პერი კვლავ გაკვირვებით და უნდობლად უცქერდა მას. მაგრამ ინგერი საკერავზე დახრილიყო და თავს არ იღებდა. რა მოხდა? ამ ბოლო დროს ინგერი რაღაც უცნაურად იქცევა, სწორედ იმ საღამოს შემდეგ, მეაფთიაქესთან რომ იყვნენ სტუმრად. იქნებ ბოლოს და ბოლოს მიხვდა, როგორ შიშს ჰგვრის ახალგაზრდა ბრუკი?

— სად უნდა წავიდეთ, შენის აზრით?

— არ ვიცი სად მაგრამ ოლქის უფროსი ხომ შეგპირდა დახმარებას მოწყობაში?

— ვფიქრობ, მხედველობაში ჰქონდა რომელიმე ადგილი კოპენჰაგენის სამმართველოში. ის ხომ შინაგან საქმეთა მინისტრს იცნობს. მაგრამ კოპენჰაგენში შენ არ გსურს.

— მე? მე მხოლოდ ის მინდა, რაც შენ მიგაჩნია საჭიროდ. იმასაც ვნანობ, რომ ასე დიდხანს გაკავებდი ერთ ადგილზე , მაგრამ მე ამას უფრო ბავშვებისთვის ვაკეთებდი. როგორც კი გავიფიქრებ, რომ შეიძლება მათ სადმე მეხუთე სართულზე ცხოვრებამ მოუწიოთ და თავი გალიაში ჩასმული ფრინველივით იგრძნონ, მეცოდებიან. მეორეს მხრივ, საშიში აქ არაფერია. ზაფხული შეუძლიათ ჩემს მშობლებთან გაატარიან, დაე, იქ მაგრად გაირუჯონ მზეზე და მაშინ, ღმერთის წყალობით, ქალაქის ჰაერი დანარჩენ დროს ვეღარაფერს დააკლებს.

— მაგრამ, შენ თვითონ?

— მე? — ინგერმა ისე ალალად, გულმართლად შეხედა, პერს გულს მოეშვა. — მე? ჩემზე ნურც იფიქრებ. მე სრულიად ჯანმრთელი ვარ და თუ ჩვენ, განსაკუთრებით პირველ ხანებში, ვიწროდ ვიქნებით — ოთხ ოთახზე მეტს პირველად ხომ ვერ ვიქირავებთ, — ამას მშვენივრად შევეგუები. ვფიქრობ, ლაურა უნდა დავითხოვოთ. ქალაქში არ გამოდ-

გება, რადგან ძალიან მოუქნელია. უფრო სწორი იქნება, თუ დროებით მაინც ერთ მოსამსახურეს ვიკმარებთ. მე მშვენივრად შემიძლია, ბავშვებთან თვითონ ვისეირნო.

მაგრამ პერი თითქმის აღარ უსმენდა. მან გადადო სიგარა, სისხლი მოაწვა საფეთქლებზე. ახლახან გამოვლილმა შიშმა მთლად გამოაცალა ძალა.

— ერთი რამ მაწუხებს, — მშვიდად განაგრძო ინგერმა.

— რა?

მან მაშინვე ვერ უპასუხა.

— დიდი ხანია მინდა, ამაზე მოგელაპარაკო. მაგრამ ამ ბოლო დროს პირდაპირ ვერ მოგიდექი.

— მე? ალბათ, ერთმანეთში თუ ეგერია ჩემი და შენი სამყოფელი,— გაიხუმრა პერმა. — შენ თვითონ იქცეოდი ასე საეჭვოდ ამ ბოლო დროს. აბა, ამოალაგე რა გაქვს გულში?

— მე მინდოდა მეკითხა, ხომ არ შეგიძლია უფრო მეტი ყურადღებით იყო ბავშვებთან. შესანიშნავად მესმის, რომ შენ გიყვარს ისინი, მაგრამ მაშინვე დაეტყობათ ხოლმე — განსკუთრებით ხაგბარტს, რომ ძალიან დარდობენ,როცა უგულისყუროდ ხარ მათთან.

— რას ამბობ, ინგერ? როდის იყო, რომ უგულისყურობას ვიჩენდი მათ მიმართ!

— მე ვიცი, რასაც მიპასუხებ. თუ კარგ გუნებაზე ხარ, გსიამოვნებს მათთან თამაში. მათაც ძალიან უხარიათ, მაგრამ დანარჩენ დროს შენ მათ პირდაპირ თავიდან იცილებ ხოლმე. მათ კი არ ესმით რა დააშავეს და არ იციან როგორ მოიქცნენ შენთან. თუ კოპენჰაგენში გადავალთ და უფრო იშვიათად იქნები ხოლმე შინ, ბავშვები სულ გადაგეჩვევიან და შენც გადაეჩვევი მათ.

— არაფერი არ მესმის. ჩემის აზრით, მე ყოველთვის...

— არა, პერ, შენ თვითონაც ვერა გრძნობ, როგორ ხარ დაკავებული საკუთარი თავით, — შეაწყვეტინა ინგერმა და უნებლიე ოხვრა შეიკავა. — ცხადია ვერ ამჩნევ, რა აშკარად აგრძნობინებ ბავშვებს, რომ გიჭირს მათი ატანა. მაგრამ, დამიჯერე, ბავშვები ამ მხრივ მეტისმეტად მგრძნობიარენი არიან. შენ საკუთარი თავის გამოც უნდა იფიქრო ამაზე. და რაკი სიტყვა ჩამოვარდა, გეტყვი, რა მითხრა ხაგბარტმა საღამოს, თავის დაბადების დღეზე, როცა დიდი ხნით დაიგვიანე და ძილის წინ ვერ გამოგემშვიდობა. თვალებზე ცრემლები მოადგა და საკმაოდ მოუ-

რიდებლად განაცხადა: „ვიცი, რომ მამას მე სულაც არ ვეკითხებიო". არ გეწყინოს, ეს რომ გითხარი. მე ისე. მინდა, თუ კოპენჰაგენში ან სხვაგან სადმე გადავსახლდებით, მეტი ყურადღება მიაქციო ხოლმე ხაგბარტს. ხანდახან სასეირნოდ წაიყვანო, ელაპარაკო რაღაც-რაღაცეებზე. ის ხომ საზრიანი ბიჭია და ყველაფერი აინტერესებს. შენ, რა თქმა უნდა, გაღიზიანებს ეს ბავშვური „როგორ" და „რატომ", მაგრამ ასეთი რამეების შეგუება უნდა შეგეძლოს.

პერმა მაშინვე ვერ უპასუხა. ცოტა ხანს მდუმარედ იჯდა, მერე ადგა და ოთახში დაიწყო სიარული, ასე იქცეოდა ყოველთვის, როცა საუბრის საგანი ძალიან აინტერესებდა. ინგერის სიტყვებმა შეაშინა. მისმა უწყინარმა საჩივარმა უფრო მეტად იმოქმედა, ვიდრე ინგერი ვარაუდობდა, რადგან ბავშვობის მოგონებები გაულვიძა. რის შესახებაც ახლა პერი აღარავის ელაპარაკებოდა.

— ხვალვე წავალ კოპენჰაგენში, — თქვა მან ბოლოს. — ამ საღამოს ოლქის უფროსს წერილს მიკწერ და თავის დაპირებას შევახსენებ. ტანსაცმელი წესრიგში მაქვს. ლაურამ ღილით მზეზე გაკიდოს ჩემი საგარეო კოსტუმი და კარგად გაბერტყოს. ფრაკიც გამატანე — იქნებ მინისტრთან მიღებაზე მოუხვდე. მართლა, ფეხსაცმელის საქმე როგორ მაქვს?

ინგერი სახტად დარჩა. ასეთ ნაჩქარევ გადაწყვეტილებისა არაფერი სწამდა და ურჩია პერს. კარგად მოიფიქრეო. მაინცდამაინც საჩქარო არაფერია, გარდა ამისა, საჭიროა მშობლებსაც გავაგებინოთო. მაგრამ პერს ამისი მოსმენაც არ უნდოდა. სწორედ ახლა რამდენიმე დღე თავისუფალი ჰქონდა, ხოლო რაც შეეხება მოლაპარაკებას, უკვე ასჯერ ჰქონდათ მოლაპარაკებული მშობლებთანაც და უიმათოდაც.

— მოდი, შევთანხმდეთ. თუ დაუსრულებლად ვნაყავთ წყალს, ვერასოდეს ვერაფერს გადაწყვეტთ. ახ, ინგერ, ინგერ! დროა ფრთები გავშალოთ. იცოდე, რომ მეც თითქმის ამაზე ვფიქრობდი ამ ბოლო დროს. ახლა აზრი არა აქვს ამის დამალვას. გახსოვს ინჟინერი სტეინერი, დიდი თაღლითი სტეინერი? ხომ გიამბე მის შესახებ. აბა, როგორი გადასატანია ჩემთვის, რომ ამ არამზადამ ისესხა, უფრო სწორად, აიღო და მოიპარა ჩემი ძველი იდეები და ამითი წინ წავიდა? წარმოიდგინე, ამბობენ, თითქოს სტეინერმა ორხუსში მოხსენების დროს განაცხადა, პროვინციის დაპყრობის შემდეგ განზრახული მაქვს დედაქალაქის დაპყრობას შევუდგეო. გუშინდელ გაზეთში წავიკითხე ეს. მართლაც.

ის უკვე მიიწვიეს კოპენჰაგენში, რომელიღაც ყრილობაზე, არ ვიცი, ამ კვირას, თუ მომავალ კვირას. მე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ჭკუა ვასწავლო ამ თავხედს: მივიდე ყრილობაზე და მშვიდად გადავუშალო შეკრებილთ ამ საკითხის წინაისტორია. მე მაქვს ზოგიერთი საფუძველი ვიფიქრო, რომ კოპენჰაგენის საზოგადოების წინაშე ჩემი სიმართლის დამტკიცება არც ისე ძნელი იქნება. ყველამ იცის, რა არამზადაც არის ის, ამას გარდა, ინჟინრებსა და ჟურნალისტებს შორის ნამდვილად მოიძებნებიან ადამიანები, ვისაც კიდევ ახსოვს ჩემი წიგნი.

— ღირს კი ძველი საქმეების ქექვა? აბა, რად გინდა?

— რად მინდა? აი, ნახავ, — თქვა პერმა , თითები გაატკაცუნა და ხელახლა დაიწყო ოთახში სიარული.

— ყური მიგდე, პერ, დაივიწყე წარსული, არ ვიცი, აბა, რა შედეგი ექნება ასე დაგვიანებით გაპროტესტებას? შენ არც გააკეთებ ამას, ჩემო მგობარო.

— რა შედეგი? ძვირფასო, მე მხოლოდ მინდა დავიცვა ჩემი უფლებები, რომ ეს იდეა პირველად მე დამებადა, მეტი არაფერი. არავინ იცის, როგორ შეიძლება გამოგვადგეს ეს მომავალში.

— მე კი დარწმუნებული ვარ, უსიამოვნების მეტს არაფერს მოგიტანს. ხომ თავად ამბობდი, რომ ის შენი სტეინერი მეტად მიდეგა კაცია და არაფერს არ ითაკილებს, ოლონდაც მოწინააღმდეგე გზიდან ჩამოიშოროსო. თანაც, შენ შეჩვეული არა ხარ საჯაროდ გამოსვლებს, მაშასადამე...

— პატარავ! შენ პირდაპირ დაჰკანკალებ შენს ძვირფას ქმარს! — მხიარულად უთხრა პერმა და ღიმილით შეჩერდა მის წინ — მაგრამ ჩვენ კიდევ ვნახავთ! ჰო, სად არიან ბავშვები? ხაგბარტი სად არის?

— ყველანი ბაღში არიან.

— დღეს ჩვენ ერთი კარგად უნდა ვითამაშოთ დახუჭობანა.

— ისა სჯობს, ხაგბარტთან ერთად გაისეირნო. მთელი დღე უსაქმოდ დაყიალებს. იქნებ მასენებთან წაიყვანო? მათ ორთქლის ახალი სალეწი მანქანა აქვთ. ბიჭს დააინტერესებს. მოსწონს ამგვარი რამეები.

— კრისტენ მასენთან? იქ უჩვენოდაც ბევრი ხალხია.

— მით უფრო. მაშასადამე, ბიჭს ბევრი სანახავი ექნება. ბარემ მანქანის მოწყობილობაც აუხსენი. თვალი ვერ მოაცილა სალეწ მანქანას, როცა ჩაატარეს. მე კი, ცხადია, ვერაფერი ავუხსენი.

— კარგი ავუხსნი.

პერი საათზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ შინ დაბრუნდა და მაშინვე შეუდგა სამგზავროდ მზადებას. მაგრამ სხვენიდან ჩემოდანი რომ ჩამოჰქონდა, თითქოს უხილავმა ხელმა შეაჩერა. თუმცა, ეს გრძნობა ისევე უეცრად გაქრა, როგორც გამოჩნდა. ის შეიცვალა სხვა, უფრო საშინელი გრძნობით: პერს მოეჩვენა, თითქოს ამ წუთს თავისი ცხოვრების უკანასკნელ გზაჯვარედინთან იდგა. თუ ახლაც ვერ შესძლებს სწორი გზის პოვნას და თავის თავს და თავის დარდს ვერ გაექცევა, რიმალტი მის საფლავად იქცევა.

* * *

უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში, იმ დროიდან, სოფელში რომ საბოლოოდ გადასახლდა, პერი მხოლოდ ერთხელ იყო კოპენჰაგენში. ქორწინებიდან ნახევარი წლის შემდეგ მან და ინგერმა გადაწყვიტეს იქ წასვლა და ორი კვირა გაატარეს, მაგრამ პერს ჯერ კიდევ მაშინ მოეჩვენა ქალაქი უცხოდ: ქუჩის ზედახოცვა, ხმაური, სასტუმროთა ვიწრო ნომრები, რესტორნის საჭმელები, ფეხისქირა, ყველაფერი ძალიან მოშორებით, მთელი დღე კეთილი ინებე და საგარეო ფორმას ნუ გაიხდი, ათრიე თან ხელთათმანები, დაივარცხნე პარიკმახერთან, რასაც განსაკუთრებით მოითხოვდა ინგერი, — მოკლედ, რამდენიმე დღის შემდეგ საშინლად მოუნდა დაბრუნებოდა თავის პატარა, წყნარ სახლს, უბრალო სოფლურ ცხოვრებას.

ამჯერად იგივე ისტორია განმეორდა. თუმცა პირველად აინტერესებდა დათვალიერება, როგორ გაზრდილიყო ქალაქი ბოლო წლებში. პირველ დღესვე განთიადზე წამოხტა, რათა დაენახა, როგორ აგებდნენ ახალ პორტს. მერე დაიარა ყველა ახლადწარმოშობილი რაიონი, მერე წავიდა ცენტრში, ძველ ქალაქში და მოძებნა ნაწილობრივ ან მთლიანად გარდაქმნილი კვარტალები, რის შესახებაც ბევრი წაეკითხა გაზეთებში. მაგრამ როგორც კი დაიკმაყოფილა თავისი ცნობისმოყვარეობა, მაშინვე აიტანა იმავე, ყოველი პროვინციელისთვის ნაცნობმა, დაკარგულობის და სიმარტოვის გრძნობამ, როგორც ჩვიდმეტი წლის წინათ, როცა პირველად დატოვა მშობლიური სახლი და დედაქალაქში ჩამოვიდა.

ახლა კი, თითქოს განგებ, კოპენჰაგენში ყველაზე უფრო ხმაურიანი სეზონი იყო — ზაფხული გადიოდა და ყველგან, საითაც გაიხედავდი, მხიარული გამოცოცხლება სუფევდა. საღამოობით ისევ ფრინავდნენ

რაკეტები ტიეოლის თავზე, ისევ გრიალებდნენ ყველა ბაღებში და პარკებში სასულე ორკესტრები, მაგრამ უკვე ერთმანეთის მიყოლებით სტუმარმოყვარედ იღებოდა ყველა თეატრის კარი; ჯერ კიდევ ირეოდ-ნენ ყველა კაფეებში ზაფხულის ჩიტუნიები — შვეციიდან და გერმანიიდან ჩამოსული სტუმრები, მაგრამ უკვე დაიწყეს აგარაკებიდან დაბრუნება კაფეების ჰეშმარიტმა მუდმივმა სტუმრებმა და დიდად უკმაყოფილონი დარჩნენ, როცა ნახეს, მათი საყვარელი კუთხეები თავხედ უცხოელებს დაეკავებინათ. ყოველი მატარებელი, ყოველი გემი ამოიტყორცნიდა ხოლმე შინ დაბრუნებულ ხალხის ბრბოს, და თუმცა ხმაღლა ყველანი მწარედ ჩიოდნენ, რა მალე გადის ზაფხული, პირდაპირ გამოხედვას ვერ მოასწრებ კაცო, — მაგრამ მათი სიხარული მშობლიური ადგილების დანახვისას ყველა სიტყვებზე უფრო დამაჯერებლად ამტკიცებდა, როგორ მობეზრდათ რომანტიკული ტყისპირებიც და იდილური მდინარის ყურეებიც. კომერსანტებს და ჩინოვნიკებს, კანტორის მოსამსახურეებს და მოლარეებს, სტუდენტებს და მხატვრებს — ყველას მონატრებოდა ქალაქი და წაღმა-უკუღმა ცხოვრება: გაზის მზეზე და ელექტრონის მთვარეზე.

მაგრამ ეს მხიარულება პერს გვერდს უვლიდა, მას არ ეხებოდა, მას ყველგან მომქანცავი ხმაური ესმოდა, მხოლოდ საცოდავ მანჭვას ხედავდა. როცა ამ შეფიქრიანებულ ადამიანებს უყურებდა, აჩქარებით რომ დარბოდნენ ქუჩებში, ტრამვაებიდან სვლის დროს ხტებოდნენ და მასშიც სვლის დროს სხდებოდნენ, ღია ეტლებით დასეირნობდნენ ქალაქში, რესტორნებში თავს ისე გრძნობდნენ, როგორც შინ, გაზეთიდან თვალმოუწყვეტლივ აჩქარებით ყლაპავდნენ საუზმეს, ლუდის ტოლჩასთან საქმეებს ატრიალებდნენ და ძნელად თუ დაუთმობდნენ ერთ-ორ საათს წყნარ ფიქრებს, პერი მიხვდა, რომ შეცდა საკუთარ თავში და რომ ამ ხალხის ცხოვრება აღარასოდეს არ გახდება მის ცხოვრებად. უფრო მეტიც. ამ გამოცოცხლებულ ბრბოში ზოგჯერ მისიონერული ცეცხლით აენთებოდა და უნდოდა გაეფრთხილებინა ისინი, დაეყვირა: „შეჩერდით, უგუნურებო!“

გავიდა ხუთი დღე, მას კი ჯერაც ვერ მოეხერხებინა მიღებაზე მისვლა ვერც შინაგან საქმეთა მინისტრთან, ვერც წყალსარწყავი სისტემის გენერალურ დირექტორთან. როგორც კი წასასვლელად მოემზადებოდა, ყველთვის ფარული, გამაფრთხილებელი ხმა აჩერებდა, ეუბნებოდა, თუ ამ გზაზე დადგები, შენში ყველაფერს კარგს მოკლავო.

„ძვირფასო მეგობარო! — სწერდა ცოლს. — მე ვ-ნდა. აქედანვე მოგამზადო იმისათვის, რომ იქნებ შინ ხელცარიელი დაბრუნდე. წერილში მიზეზს ვერ აგიხსნი, ერთს გეტყვი: ყოველდღიურად უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ ცხოვრების აქაური პირობები ისევე შეუფერებელია ჩემთვის, როგორც შვიდი წლის წინათ და უფრო ნაკლებადაც. მაგრამ ნუ დანაღვლიანდები. ხომ არსებობს ქვეყანაზე ისეთი ადგილი, რომელიც ჩემთვის არის შექმნილი და მეც არასოდეს არ დავიღლები მისი ძებნით. ისე არ იფიქრო, თითქოს ამ გამომგზავრების დროს სულ ვერაფერი გავაკეთე. მე ახლა ბოლომდე შევიგენი, რომ გრძნობა, რომლის გამოც მე ოდესაღაც — და, თანაც, ფრიად განუსჯელად — დედაქალაქის ხმაურს გავექეცი, ღრმად ჩანერგილია ჩემს ბუნებაში. ასეთი აღმოჩენის შემდეგ ჩემი ცხოვრება უფრო აზრიანი მეჩვენა. — და განა ეს ცოტაა? ახლა მე უკვე აღარ ვიფიქრებ მძიმე წუთებში, როგორც წინათ ვფიქრობდი, რომ ჩემს ბედს ბრმა შემთხვევა წარმართავდა. არა, არა შემთხვევამ, არამედ შინაგანმა ძალამ, საიდანაც არ უნდა ყოფილიყო მოსული ის, წარმართა ჩემი ბედის ეტლი საჭირო მხარეს, თუმცა ერთი შეხედვით შეიძლებოდა მოგჩვენებოდათ — და ხშირად მგონებია, რომ ის მხოლოდ სტიქიის საცოდავი სათამაშო იყო. ვიქონიოთ იმედი, რომ თუ მე ამ ძალას შემდგომშიც მივანდობ ჩემი ბედის წარმართვას, იქით მიმიყვანს, საითაც საჭიროა... მალე ისევ ერთად ვიქნებით. იქნებ მკითხო, რატომ არ მოვდივარ დაუყოვნებლივ, თუკი არ ვანხორციელებ წამოსვლის მთავარ მიზანს. ვაღიარებ: მე პირდაპირ მრცხვენია, იმდენ რამეს შეგპირდი წამოსვლის წინ და პირში ჩალაგამოვლებული კი დავბრუნდები. მაგრამ მჯერა, რომ არ გამკიცხავ“.

თავისი უმიზნო ხეტიალის დროს პერი ხშირად ხვდებოდა ძველ ნაცნობებს სალამონთა ოჯახიდან. გულაძგერებული მიდიოდა ერთხელ ტრამვაის გაჩერებიდან თავისი ყოფილი მეგობრის და ცოლისძმის — ივენის უკან. იღლიაში პორტფელამოჩრილი ივენი წინანდელივით, აჩქარებით მიცუხცუხებდა თავისი მოკლე ფეხებით. შეხვდა კიდევ არონ იზრაელს, მაქს ბერნარდს, ხასელაგერს და ნათანს. მეტისმეტად გაოცდა პერი. სრულიად არ გამოცვლილიყვნენ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის ყოფილი თანაკურსელებიც ხვდებოდნენ (ისინი პერს ვერ სცნობდნენ). ახლა ყველანი გავლენიანები გამხდარიყვნენ და საკმაოდ მაღალი პოსტები ეკავათ. შინ გაზეთების მიხედვით თვალყურს ადევ-

ნებდა მათ კარიერას. მაგრამ ახლა, როცა საკუთარი თვალით ნახა, არავითარ შურს არ გრძნობდა.

ყველაზე მეტად იაკობას ნახვა უნდოდა, თუმცა ეშინოდა ამ შეხვედრის. მან იცოდა, რომ იაკობა აქ იყო, ქალაქში, რომ მან ღარიბთა შვილებისათვის დააარსა მონასტრის სკოლის მსგავსი სკოლა. პრესა ბევრს ხმაურობდა ამის თაობაზე. პერი ყველანაირად ცდილობდა უფრო დაწვრილებით გაეგო, რა სკოლა იყო ეს და რად დასჭირდა ეს იაკობას, მაგრამ იუტლანდიის გაზეთები მხოლოდ იმას წერდნენ, რომ ეს გახლდათ „ცოტა არ იყოს გამომწვევი ჟინიანობა ებრაელი ჯიბესქელის ქალიშვილისა“, წესიერად კი არაფერს არ უხსნიდნენ მკითხველს.

ერთხელ დღისით, როცა ესტერჰადეს და კუნჰენს ნიუტორვის კუთხეში მდებარე კაფეში ფანჯარასთან იჯდა, პერმა დაინახა დიურინგი. დიურინგიც — საოცარი იყო — სრულიად არ გამოცვლილიყო. ის შუა ტროტუარზე იდგა, და ვიღაც ქალს ელეპარაკბოდა, ეტყობოდა, ეს ახალგაზრდა, ლამაზი და ძალიან ელეგანტური ქალი მსახიობი უნდა ყოფილიყო. ქალი განუწყვეტლივ იცინოდა, თითქოს დიურინგის უტიფარი მზერა უღიტინებდა. მათ მისჩერებოდნენ. ყველა, ცოტათ თუ ბევრად კარგად ჩაცმული კაცი, დიურინგს თავს უკრავდა, ქალები კი ერთმანეთს მუჯლუგუნებს ჰკრავდნენ.

მერე დიურინგმა ნაზად ჩამოართვა ხელი მსახიობ ქალს და ღია ეტლში ჩაჯდა, ქვაფენილის პირას რომ უცდიდა. ასეული თვალი აცილებდა მას, სანამ მზით გაბრწყინებულ მოედანზე მიდიოდა, ხოლო პრიალა ცილინდრი ქერათმიან თავზე ხან აიწეოდა, ხან დაიწეოდა — დიურინგი ნაცნობებს ესალმებოდა.

პერს გაახსენდა, რომ გაზეთები ახლახან იტყობინებოდნენ დიურინგის პარიზიდან დაბრუნებას, სადაც საზღვარგარეთის პრესის საგანგებო წარმომადგენლის სახით ესწრებოდა რომელიღაც ოფიციალური დაწესებულების გახსნას, მერე წარდგენილ იქნა რესპუბლიკის პრეზიდენტთან და მისი ხელიდან მიიღო ფრანგული ორდენი. ის საზოგადოებრიობის თვალში იქცა უცვლელ და აუცილებელ წარმომადგენლად ყველა ამგვარ შემთხვევაში. ყველგან, სადაც რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა ხდებოდა, დიურინგიც ესწრებოდა, ან, უკეთ რომ ვთქვათ, მხოლოდ ის მოვლენა ითვლებოდა მნიშვნელოვნად, რომელზეც დიურინგი ესწრებოდა. მის წინაშე ყველა კარი ღია იყო, ცხოვრების ყველანაირი სიხარული, ყველა ფაქიზი თუ უხეში სიამოვნებანი უფასოდ

მოერთმეოდა. კაცები და ქალები მას ემლიქვნელებოდნენ. სამეფო კარიც კი, როგორც ამბობდნენ, დროდადრო მიმართავდა მას დახმარებისათვის, როცა რომელიმე საჩოთირო დიპლომატური დავალების შესრულება იყო საჭირო.

აი, ვის გააჩნდა მართლაც სამყაროს დაუდევარი დამპყრობის თვისებები, მას მთელი ცხოვრება სულელურ ფარსად ეჩვენებოდა. ღვთაებრივად უზრუნველმა, თავისი დღეები სიამოვნებათა უწყვეტ ჯაჭვად გადააქცია, დაუსრულებელ ტრიუმფალურ სვლად.

დაე, ასე იყოს! პერს ამ ახალი ნიმუშის ალექსანდრე მაკედონელისაც კი აღარაფერი შურდა.

მაგრამ რა უნდა პერს? საით მიისწრაფვის? და სად არის, ბოლოს და ბოლოს მისი ნამდვილი ადგილი? ახლა მაინც უნდა გაიგოს ეს.

გუშინ, გაზეთების გადათვალიერებისას, პერმა შემთხვევით წაიკითხა, რომ იუტლანდიის ერთ-ერთ ყველაზე დასავლეთ ოლქში აგერის ნახევარკუნძულზე გაიხსნა გზის ზედამხედველის ვაკანსია. ეს განცხადება თავიდან არ ამოსდიოდა. აი, ახლაც ისევ გაახსენდა. თვითონ სამუშაო კი არ იზიდავს, სრულიადაც არა. თუ აღარას ვიტყვით იმაზე, რომ უმნიშვნელო ხელფასია, ინგერიც, ასე რომ უყვარს მოსვენება, სიჩუმე, სიმყუდროვე — ვერ შეეგუება ამ შიშველ კლდეებს, სადაც მძვინვარედ ღრიალებს ჩრდილოეთის ზღვა და მარილიანი ყინულოვანი ზვინები გააფთრებით იმსხვრევა ხოლმე ნაპირზე. რატომ ჩაუვარდა პერს მაინც გულში ეს განცხადება? ამიტომ, რომ თვითონ მას დაუძლეველად იზიდავს ეს მხარე, და — როგორც ახლა გაიგო — სწორედ იმითი, რომ ასეთი უდაბურია, პირქუში, ღმერთისა და ხალხის მიერ დავიწყებული.

პერს არასოდეს ასე გულისყურით არ ჩაუხედავს საკუთარ სულში. მან თითქოს თავისი არსების თვით სიღრმეები დაინახა — და, დანახვისთანავე შეაძრწოლა. თუ ყველა ხილვადი წარმატებების მიუხედავად ვერ მოიპოვა ბედნიერება, მაშასადამე, ბედნიერება არ უწერია ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით. აი ახლაც, შინისაკენ ინგერის, ბავშვების ან ოჯახური სიმყუდროვის ხათრით კი არ მიისწრაფის. იმ უხილავი ხელის როლმა, რომელსაც პერის აქეთ წამოსვლა არ უნდოდა, და მუდამ ყველაზე გადამწყვეტ წუთებში საიდუმლოდ წარმართავდა მის ნაბიჯებს, ქვეცნობიერად დაარწმუნა, რომ მხოლოდ მარტოობაში მოიპოვებს მისი სული შვებას და მხოლოდ ტანჯვისთვის და დარდის-

თვის არის განწირული მისი სიცოცხლე. „მაპამე მე პური ცრემლიანი, მასვი მე ცრემლები“.

მხოლოდ ახლა, თითქოს ელვამ გაუნათაო, ჩასწვდა პერი ამ საკვირველი სიტყვების მიმზიდველ და საშინელ ძალას. დიდი ბედნიერება, რასაც ხელის ცეცებით ეძებდა, აღმოჩნდა ის დიდი უბედურება, ის დაუბრუნებელი დანაკარგი, ფიალტრინგმა რომ ხოტბა შეასხა და რჩეულთა ღვთიური ჯილდო უწოდა.

პერმა თავი ასწია, თითქოს მძიმე ძილიდან იღვიძებდა, ხელახლა დაინახა თავის წინაშე მზით განათებული მოედანი და კარეტებითა და ფეხით მოსიარულეთა მხიარული აურზაური. ცოტა ხნის მერე ადგა და კაფედან გავიდა. ქუჩებში უმიზნოდ ხეტიალის შემდეგ ერსტედოვის პარკში შეუხვია, სადაც ჩამოსვლის დღიდან დილაობით დასეირნობდა, როცა იქ ცოტა ხალხი გახლდათ. ახლა, შუადღისასაც, არ იყო აქ ხალხმრავლობა. ბავშვებიანი ძიძები შინ წავიდნენ. სკამზე არავინ იჯდა. ფართო ჩრდილებს დაეხაზათ ხეივნები და ბილიკები. ჩამუქებულ ფოთლებს, დროთა განმავლობაში გამწვანებულ ქანდაკებებს შუადღის მზე აკოცნებდა.

პერი ერთ-ერთ მთავარ ხეივანში სკამზე დაეშვა. აქ არავინ უშლიდა. მშვიდად იჯდა და ჯოხით ხაზავდა ქვიშას. უეცრად ისევ გაიფიქრა, რომ თუ მოკვდება, ან როგორმე წავა თავის ოჯახის ცხოვრებიდან, ეს მათთვის დიდი შეღავათი იქნება. განსაკუთრებით ბავშვებისთვის. მას გაახსენდა, როგორ ელაპარაკა ინგერი ხაგბარტზე. ბიჭი მართლაც ძალიან გულჩათხრობილი და ეჭვიანი გახდა. ერთხელ პერმა მიუსწრო ბაღში. როცა ჩიტს მისდევდა, — ერთი სიტყვით, ცუდს არაფერს აკეთებდა, უცებ ბიჭმა მამას მოჰკრა თვალი და პერი გაშეშდა, როცა ბავშვის თვალებში გაელვებული გამომეტყველება შენიშნა. მან თითქოს შორიდან დაინახა თავისი თავი მრავალი წლის წინ, როცა თავისი მამის წინაშე იდგა და ნახევრად თავხედურად, ნახევრად შეშინებული იგონებდა უაზრო მიზეზებს, ოღონდ დაეფარა რომელიმე დანაშაული! არა! ხაგბარტის ნათელი შუბლი არ უნდა დადაღოს კაენის ბეჭედმა! მამის წყევლამ, შავ ჩრდილად რომ დააწვა მთელ მის ცხოვრებას და დევნილად და მოხეტიალედ აქცია, არ უნდა უწიოს მის შვილებს. არ უნდა უწიოს ინგერს! ახლა, როცა იგრძნო, რა ღრმად დაეუფლა გარდულახავი ზიზღი ცხოვრები-

სადმი, პერს უფლება აღარა აქვს აიძულოს ინგერი, გაიზიაროს მისი ხვედრი. საბრალო გოგონა! მან ჯერ კიდევ არ იცის თავისი ეგოიზმი. ჯერ ვერ მიხვედრილა, რომ თავისი ბედი შაქციას დაუკავშირა, მიწისქვეშეთის სულს, მზის სინათლე რომ აბრმავებს, ბედნიერება რომ კლავს. და თუ კიდევაც როდისმე სიყვარული სხვისადმი ინგერს თვალებს აუხელს, თავის საიდუმლოს თავისთვის სასოკვდილო ცოდვასაკით შეინახავს, ისე დაჭკნება და მოკვდება, ვერ გაბედავს საკუთარ თავსაც კი გაუმხილოს თავის აღმოჩენა.

პერს უნდოდა სკამიდან ამდგარიყო, მაგრამ ამ დროს მისი მზერა ხეივნის მეორე მხარეს მდგარ ქანდაკებას მოხვდა. ეს იყო სილენი, ყრმა დიონისო ეპირა ხელში. ხის ტოტზე მიყრდნობილი უცქერდა ცელქს მოხუცი სატირი და ძლივს შესამჩნევად იღიმებოდა, მამობრივი სიამაყე უცისკროვნებდა წვეროსან სახეს.

პერი ხელახლა დაჯდა, მზერა ვერ მოაშორა ამ ქანდაკებას, სანამ ცრემლები არ მოადგა თვალთ. რა კარგად შეიძლებოდა მოწყობილიყო ყოველივე, მისთვის რომ მრავალი წლის წინათ, როცა ბავშვი იყო, ასეთი სინაზით, ასეთი მზიანი ღიმილით ეცქირათ. ფეხის ადგმისთანავე რომ არ ყოფილიყო მისთვის სიცოცხლე მოწამლული სკოლაშიც და შინაც — და ყველაზე უფრო მეტად მათ გამო, ვისითაც დავალებული იყო თავისი ამქვეყნად მოვლენით. მაგრამ თვით სიკვდილმა სიცოცხლის ზღურბლზე აღბეჭდა ის თავისი კოცნით. ჯვარის ნიშანი, საფლავის ჯვარისა მას შუბლზე და მკერდზე ჰქონდა დაჭდეული სწორედ იმ დღეს, როცა ეს ქვეყანა დაინახა.

თავი XXVII

ერთი დღის შემდეგ პერი შინ დაბრუნდა. ინგერთან ლაპარაკისას მან გაკვრით ახსენა გზის ზედამხედველის ადგილი — მხოლოდ იმიტომ რომ ქალს დაენახა, პერი სამუშაოს ეძებსო, თანაც არა მხოლოდ თვით კოპენჰაგენში, მაგრამ ვერაფერი შესაფერისი ვერ იპოვა, რამდენადაც „ასეთ ადგილზე ლაპარაკიც ზედმეტია“.

კვლავ დღე დღეს მისდევდა ჩვეულებრივი ბედის ტრიალით და ყოველი მათგანი წინა დღეს ჰგავდა. აი, დადგა შემოდგომა, ამინდიც შეიცვალა, როგორც შემოდგომამ იცის ხოლმე. ხან აქ, ხან იქ შოულობდა

პერი მიწისმზომელის სამუშაოს, რაიმე უფრო სერიოზული საქმე ჯერ არ ჩანდა.

ინგერი ამჩნევდა, რომ პერი ძალიან გამოიცვალა. მას მეტისმეტად გაუხარდა შინ დაბრუნება, პირდაპირ გული აუჩვილდებოდა კაცს. ჩამოსვლის დღეს ბავშვებს ვერ იშორებდა, ყველას საჩუქრები ჩამოუტანა. მაგრამ უცნაურად მოუსვენრად იყო და თანაც საოცრად თავშეკავებულად, გაუბედავადაც კი ექცეოდა ინგერს, ეს კი პერს სულაც არ ჰგავდა. წინათ საათობით შეეძლო ყალიონით ან სიგარით ფანჯარასთან ჯდომა და ღრუბლების ცქერა, ახლა ვერსად პოულობდა ადგილს. ინგერს ესმოდა, როგორ დადიოდა დიდხნობით პერი თავის ოთახში წინ და უკან, თითქოს ჯერ არ დასცხრომოდა აგზნება, გამგზავრებით გამოწვეული. გარდა ამისა, პერი უძილობას უჩიოდა და ყოველ ღამე თხოულობდა მისთვის კაბინეტში დივანზე გაეშალათ ლოგინი, რადგან საწოლ ოთახში პატარა ინგებორგი უშლიდა ხელს: ბავშვი გაცივდა და ღამით ძალიან ახველებდა.

ინგერი ბევრ რამეს მიხვდა. საერთოდ პერის გამგზავრებამ ძალიან შეაშფოთა. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც არ უნდოდა კოპენჰაგენში გადასვლა, იყო იმის ფიქრი, რომ იქ პერის ყოფილი საცოლე ცხოვრობდა. შიშობდა, ვაითუ პერი და ის ქალი შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთსო. ახლა კი იმისი ეშინოდა, რომ ეს ასეც მოხდა და პერი თავად დარწმუნდა, რა ძნელი იქნება მისთვის კოპენჰაგენში ცხოვრება. თუ ინგერი მართალია, მაშინ ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რატომ არ ჩათვალა პერმა საჭიროდ, აეხსნა მისთვის, რად შეცვალა თავისი განზრახვები ასე უეცრად და რად არის ასეთი დარცხვენილი.

მაგრამ რაიმე გამოსავლის პოვნა აუცილებელია. ეს ინგერისთვის დღითი-დღე უფრო და უფრო ნათელი ხდებოდა. რიმალტში მათი დარჩენა არ შეიძლება, თორემ ყელამდე აივსებიან ვალებით. ინგერს უკვე ჰქონდა რამდენიმე წვრილი ვალი და ეს ძალიან აწუხებდა, მაგრამ არ უნდოდა ჯერ პერისთვის მიემართა. მას, საბრალოს, ისეც ბევრი საზრუნავი ჰქონდა! პერის ნაღვლიანობის მეორე მიზეზად ის თვლიდა მათი შომავლისათვის წუხილს; ყველაზე არასასიამოვნო ის იყო, რომ ინგერს კარგი რჩევითაც კი არ შეეძლო შველა.

ერთხელ დღისით მათ სახლს მხედარი მოადგა და პერთან საუბრის ნებართვა ითხოვა. ინგერი სწორედ სარდაფში ჩადიოდა და არ დაუნახავს სტუმარი, მაგრამ ხმა მაშინვე იცნო. ეს იყო ახალგაზრდა მემამუ-

ლე ბრუკი. „ნეტა რა უნდა აქ?“ — გაოცებით, ცოტა არ იყოს, აღელვებითაც გაიფიქრა ინგერმა.

ბრუკსაც თავის მხრივ, ძალიან გაუკვირდა, როცა გაიგო, პერი შინ არ იყო. როცა ინგერი გამოვიდა სტუმართან და სახლში მიიწვია, ბრუკმა აუხსნა, პერი შემითანხმდა, სამიწათმზომელო სამუშაოებზე მოსალაპარაკებლად შემხვედროდაო; ეს სამუშაო მათ თავისთან ბუდერუპლუნდეში უნდა ჩაეტარებინათ. პერმა მოისურვა შეედარებინა თავისი გამოთვლები ძველ გამოანგარიშებებთან და ბატონმა ბრუკმაც მოუტანა ქაღალდები. ინგერმა ბოდიში იხადა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა: იძულებული იყო სასტუმრო ოთახში მჯდარიყო და სტუმარი გაერთო, ამისთვის კი სულაც არ ეცალა, უმთავრესად იმიტომ, რომ ბავშვების ტანსაცმლის დაუთოვებას აპირებდა და ის-ის იყო უთო ფილაქურაზე დადგა.

ინგერს წარმოდგენა არ ჰქონდა, სად უნდა ყოფილიყო პერი. — ნასადილევს ყავა მასთან ერთად დალია, ორთვალა ჩარდახის ქვეშ იდგა — მაშასადამე, შორს ვერსად წავიდოდა. ყველაზე მეტად ინგერს ის აკრთობდა, რომ ბრუკი ძალიან უკიდებდა ენას და მეტისმეტად განიცდიდა თავის ნაკლს. ინგერს კიდევაც შეეცოდა, და ისეთი თვალები რომ არ ჰქონოდა, ალბათ აღარ ეძულებოდა. თვალები კი ბრუკს პატარა, ფოლადისფერი ჰქონდა, მაგრამ გამოხედვა იცოდა. ბავშვობაშივე ისეთი მწველი და მბრძანებლური, რომ ინგერს პირდაპირ ეშინოდა.

გავიდა თითქმის ნახევარი საათი, ბოლოს პერი დაბრუნდა. ისიც მოჰყვა მობოდიშებას—ეს ბოდიშები ინგერს ძალზე არეულ-დარეული და არადამაჯერებელი ეჩვენა. მერე მამაკაცები კაბინეტში გავიდნენ.

საუბარი რამდენიმე საათს გაგრძელდა და პერმა ბატონ ბრუკს სთხოვა, საღამომდე დარჩენილიყო მათთან. გარდა ამისა, ისინი შეთანხმდნენ, რომ პერი ბუდერუპლუნდში ჩავიდოდა პირველ შესაძლებლობისთანავე, რათა ხელახლა გაეზომათ ზოგიერთი ნაკვეთი. შემდეგ კი გადაწყვიტეს არ გადაედოთ წასვლა და მეორე დღისთვის დანიშნეს, თუკი ამინდი ხელს შეუწყობდათ. პერს, როგორც მან თქვა, ძალიან ეჩქარებოდა ამ სამუშაოს მოთავება.

— ბარემ მინდა თქვენი განთქმული ქათმებიც დავათვალიერო. ცოლმა ყურები გამომიყრუა მათზე ლაპარაკით. ძალიან უყვარს ქათმები.

თავისთავად ისე მოხდა, რომ პერთან ლაპარაკის შემდეგ ბატონმა ბრუკმა ვახშმის დროს ინგერი დაპატიჟა, ქმართან ერთად ჩამოდით ჩვენსაო.

— მე ვფიქრობ, — გაიხუმრა მან, — ჩემი კოხინხინურების დანახვაზე შურით გული გავისკდებათ.

ინგერმა ისეთი ტონით გადაუხადა მადლობა, როგორითაც მადლობას უხდიან მიწვევაზე, როცა მის მიღებას არ აპირებენ.

მაგრამ, როცა მეორე დღეს მან საწოლი ოთახის ფანჯრიდან დაინახა როგორ მოაგორებდნენ ეზოში ორთვალას, უნებლიედ ინანა უარის თქმა. მშვენიერი დილა იყო, ოქტომბრის მზე არემარეს ათბობდა. ბუდერუპლუნდის გზა კი ოლქში ორ ყველაზე ლამაზ პატარა ტყეზე გადიოდა. გარდა ამისა, მან გადაწყვიტა, პერი უფრო გამხიარულდება, თუკი მეც წავყვებიო, — და ბოლოს, ინგერს უბრალოდ მოუნდა კიდევ ერთხელ ენახა ძველი მდიდრული სახლი, სადაც ბავშვობაში რამდენჯერმე იყო მშობლებთან ერთად. და თუკი იმასაც მოახერხებს, რომ თავის პლიმუთროკებს ერთ წყვილ ნამდვილ კოხინხინურზე გადაცვლის, ამით კარგადაც მოიგებს.

ამიტომაც ინგერმა ფანჯარა გააღო და გასძახა პერს, უკვე ორთვალაში რომ ჯდებოდა:

— არ გინდა მეც თან წამიყვანო?

ჯერ იყო და პერი, ეტყობოდა, ვერც კი მიხვდა, რას ეკითხებოდა ინგერი. მის ამოხედვაში ისეთი გაუგებრობა გამოიხატა, რომ ინგერმა მხიარულად გადაიხარხარა.

— აბა, რა არის აქ გაუგებარი, სულელო! მეც მინდა წამოგყვე.

პერმა უსიტყვოდ დაუქნია თავი.

ბეგასი გამოხსნეს და ორთვალა წითელხავერდისსაჯდომიანი მსუბუქი ეტლით შეცვალეს, მერე საგარეო აკაზმულობა გამოიტანეს და ნახევარი საათის შემდეგ, როგორც იქნა, გზას გაუდგნენ.

გზა რკინიგზის ხაზს კვეთავდა, შემდეგ ბორცვზე ადიოდა, საიდანაც მოჩანდა მდინარე და სალეკი მდელოები. ბორცვის მეორე მხარეს გზა ცერად ეშვებოდა ტყით დაფარულ ხევში. ფერადი ფოთლების აჩუხჩუხებული ზღვა მზეზე ბრწყინავდა. მალე ხეები გარსშემოერტყნენ მათ, თვლები გადარეცხილ ნაკვალევში იფლობოდა და პერმა ცხენი ნაბიჯით წაიყვანა.

ის მთელი გზა დუმდა. სამაგიეროდ, ინგერი შესანიშნავ გუნებაზე

იყო და განუწყვეტლივ ღიღინებდა.თავისთვის. ის ხომ ასე დიდხანს იჯდა ოთხ კედელს შუა, ასე გადაიღალა საოჯახო საქმით, ასე გაიტანჯა ნაღვლიანი ფიქრებით! საკვირველი არ იყო, რომ გამხიარულდა. რა სილამაზეა ირგვლივ! რა ხეებია! რამდენი ფერია! თავს ზემოთ რომელიღაც ფრინველი სულ ჭიკჭიკებს. თითქოს მათ მოსდევს. მისი დანახვა შეუძლებელია, მაგრამ ხმა ხან აქეთ ისმის, ხან — იქით, ჩიტი ეშმაკურად იმეორებს თავის დაუსრულებელ „ტია-ტიას". ინგერი ღრმად სუნთქავდა და თავს საოცრად მსუბუქად გრძნობდა, თითქოს ყოველივე, რაც სტანჯავდა და აწვალებდა ამ ბოლო დროს, უკვალოდ გაქრა. უნდოდა ხმამაღლა ემღერა, მაგრამ ამ დროს გაახსენდა, რა ნაღვლიანი იყო დღეს პერი და ამიტომ წყნარად ჩაიღიღინა მხოლოდ.

უეცრად ხელი ჩაჰკიდა პერს და უჩურჩულა:

— ოჰ, ერთი იქით გაიხედე!

მისმა მახვილმა თვალმა ხშირ ბალახნარში შეელი დაინახა — ცხოველს ყურები დაეცქვიტა, თვალები დაეჭყიტა და ისე გაშეშებულიყო, თითქოს ნახტომისთვის ემზადებოდა. პერმა ცხენი შეაჩერა. არც შეელ იძვროდა და ისე უცქეროდა მათ, თითქოს იწვევდა. მან ოდნავ შეარხია ყურები და კისერი წაიგრძელა, მაგრამ უეცრად საკუთარი მოძრაობით შეშინებულმა ზურგი აქცია მათ და დიდი ნახტომებით მიიმალა ტევრში.

— ეი, დაიჭირე! — უნებურად დაიყვირა ინგერმა და ხელები აიქნია.—ეი, ე-ჰე-ჰეი!—ყვიროდა ის, სანამ ტყეში რტოების ტკაცანი და ფოთლების შრიალი არ მიყუჩდა.

ნელ-ნელა პერზეც იმოქმედა ბუნების სილამაზემ. მას თითქოს გულზე მოეშვა, ხოლო როცა ინგერი სახელოზე შეეხო, ტანში მსუბუქმა ჟრუანტელმა დაუარა. ძველებურად გაეღვიძა იმედი. მაგრამ მხოლოდ ერთი წამით, როგორც წმინდა ელმას ცეცხლი ენთება. ინგერის ერთმა ფრაზამ ხელახლა გააფუჭა ყველაფერი.

— ოხ, რა დასანანია, რომ მონადირე არა ხარ, ალბათ ეს ძალიან სასიამოვნო საქმეა. ერთი გესინჯა, ჰა? აი ასე, უზრუნველად მინდვრებსა და ტყეებში ხეტიალი... თან ეს ჯანმრთელობისთვისაც სასარგებლოა. როგორ ფიქრობ?

— ზოგისთვის სასარგებლოა, ხოლო ზოგისთვის — არა. ასეთ ამბებს ბავშვობიდან უნდა მიეჩვიო, მე კი განსაკუთრებული მეგობრობა ბუ-

ნებასთან არასოდეს არ მქონია. ალბათ, ამიტომაცაა, რომ ვგრძნობ — მისთვის უცხო ვარ.

— ხომ არ იცი ვისი ტყეა ეს?

— ეს ტყე ბრუკებს ეკუთვნით.

— ერთი უყურე, რა მიწები ჰქონიათ!

— მშვენიერი მამულია. სამოქალაქო მრჩეველი ძალიან მდიდარი ყოფილა.

— კი, მდიდარი კაცია.

მალე ისინი ტყიდან გავიდნენ და თვალწინ თვალუწვდენელი ველი გადაეშალათ, მის იქით კი — მინდვრები. მაგრამ მერე ისევ ტყე დაიწყო, ტყის იქით კი — მეორე ბორცვი, პირველთან შედარებით უფრო მაღალი, ხოლო ბორცვიდან მშვენიერი სივრცე იშლებოდა, დიდებული ნაყოფიერი ყანა! ქვემოთ, ბორცვის სამხრეთ ფერდობზე, გამოჩნდა დიდი თეთრი შენობა, ორი დაბალი კოშკი რომ ჰქონდა და დიდი პარკიც ერტყა. სწორედ ეს იყო ბუდერუპლუნდი, ბრუკების მამული.

ინგერი გაშტერდა, ამ მამულს რომ ათვალიერებდა.

— შეხედე ერთი, რა ვეებერთელა ბაღი აქვთ! მე ბევრად უფრო პატარა მეგონა.

— ჰო, აი სად უნდა თამაშობდეს ხაგბარტი — უკეთეს ადგილს ვერც მოიფიქრებ კაცი, — შენიშნა პერმა და მოულოდნელად ხმა ჩაუწყდა, თითქოს ძლივს შეიკავა სიცილი. — ჩვენთან ლაღად ვერ არის.

— ის მაღალი შენობა რაღაა, აი იქ, უკან... მაღალი სახურავი რომ აქვს?

— ეს ბეღელია, ხოლო უფრო შორს — საჯინიბოები და ზეთსახდელი. ყველაფერი პირველხარისხოვანია და ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით მოწყობილი. რაც გინდა თქვი, მაგრამ მეურნეობის გაძღოლა გერმანელებმა იციან.

— როგორ ფიქრობ, ხომ არ გაუკვირდებათ, რომ მეც წამოვედი?

პერმა სადავეები მოზიდა. ის მზად იყო დაუყოვნებლივ შეეჩერებინა ცხენი.

— შეგვიძლია დავბრუნდეთ, თუ გეუხერხულება.

— არა, მე მგონია, უკვე შეგვნიშნეს. ხედავ, იქ ხეივანში კაცი მოდის? ალბათ ტორვალდი თუა.

— კი, ნამდვილად, ეს მართლაც ბატონი ბრუკი-უმცროსია.

— მაშასადამე, უკან დაბრუნება არაფრით აღარ შეიძლება, თანაც,

პერ, მე ძალიან მინდა წყვილი კოხინხინურის შოვნა. პირობა მომეცი, რომ საქათმესაც ვინახულებთ. შენ მხოლოდ შიგ შემიყვანე და დანარჩენი მე ვიცი.

ინგერი მართალს ამბობდა: ძველ ცაცხვის ხეივანში, შარაგზიდან ბაღისკენ რომ გადიოდა, ტორვალდ ბრუკი დასეირნობდა. შორიდანვე დაინახა მათი ეტლი და იცნო ცხენი, ისე. რომ, როცა ისინი ეზოში შეავიდნენ, ტორვალდი უკვე პარმაღზე იდგა და სტუმრებს შეეგება.

ლივრეიანმა ლაქიამ პერს სადავეები ჩამოართვა, ხოლო ბრუკმა ამასობაში ინგერს ეტლიდან ჩამოხდომა უშველა და თითქმის მოწიწებით გადაუხადა მადლობა ჩამოსვლისათვის.

სამოქალაქო მრჩეველი მათ მინებჩასმულ აივანზე შეეგება. ეს იყო მაღალი, შავგრემანი, წარმოსადეგი მოხუცი, სუფთად გაპარსული, მთლად ჭაღარა, მოკლედ შეკრილი თმა ჰქონდა, გაფანჩული წარბები და არწივისებური ცხვირი. სამოცდაცამეტი წლის კაცი ისევე წელგამართული იდგა, როგორც მისი შვილი. მაშინვე იგრძნობოდა, რომ მის ძარღვებში მეომართა უძველესი სისხლი ჩქეფდა. შესამჩნევი გერმანული აქცენტით ინგერს რამდენიმე მაღალფარდოვანი ქათინაური უთხრა მისი აყვავებული გარეგნობის თაობაზე, მერე კი მისი მშობლების ჯანმრთელობის ამბავი იკითხა. პერს ის, პირიქით, ოდნავ ქედმაღლურად ელაპარაკებოდა.

მოართვეს ღვინო და ხილი, საუბარი გაჩაღდა.

პერი მალე ადგა.

— ახ, თქვენ ხომ მინდვრების შემოვლა გსურთ. ჩემმა ვაჟმა მიამბო. არაუშავს, ჩვენ ვეცდებით გავართოთ თქვენი მეუღლე.

— თქვენ, მგონი, ქათმები გაინტერესებთ, ფრუ სიდენიუს? — ენის ბორძიკით ჰკითხა ტორვალდმა — ნება მომეცით გაგყვეთ. ბარემ ბუდერუპლუნდიც გაიხსენეთ, იმედი მაქვს, ამით გაერთობით.

პერი კარისკენ გაემართა. ინგერმა მას მუდარით გახედა და აპირებდა შეპასუხებოდა მასპინძლებს, რომ მარტო არ დარჩენილიყო მათთან, მაგრამ სამოქალაქო მრჩეველმა უკვე უბრძანა მსახურებს, საქათმიდან გამოეშვათ ყველა ქათამი.

პერი ორი მსახურის თანხლებით დიდხანს დადიოდა მიწაყრილის გასწვრივ. ისინი მიათრევდნენ ჭოკებს და წყლისსაზომ ჯაჭვს. პერს თავი ვერ მოეყარა აზრებისთვის და ვერ აეძულებინა თავი, რომ საქმეზე ეფიქრა. ისე უცნაურად იქცეოდა, მსახურები აშკარა გაოცე-

ბით მისჩერებოდნენ. ახლა პერი მწარედ ნანობდა ნამოქმედარს — ჭეშმარიტად გადაჭარბებით შეაფასა მან თავისი ძალები. ფიქრობდა, ცხოვრებასთან კარგა ხანია ყოველნაირი ანგარიში გაეასწორებინა, თურმე ძველებურად კი ებღაუჭებოდა მას.

ამასობაში ინგერი სამოქალაქო მრჩეველთან და მის ვაჟთან ერთად მამულს ათვალიერებდა. მათ მოიარეს საჯინიბოები და გომურები, შეიხედეს საძაღლეში, მერე მასპინძელმა სამზარეულოები და საკუჭნაოები უჩვენა და ისტორიული ღირსშესანიშნაობაც — მიწისქვეშეთი, შუასაუკუნეების სასახლისგან რომ დარჩენილიყო მის ადგილზე კი ახალი სახლი იყო აშენებული.

პერი რომ დაბრუნდა, სამივენი უკვე აივანზე ისხდნენ.

სამოქალაქო მრჩეველმა, რომელიც აშკარად კეთილად იყო განწყობილი ინგერისადმი, ისინი სადილზე მიიწვია. ინგერი თვალებით შეეკითხა პერს, მაგრამ მან გადაჭრით უარი თქვა და მაშინვე — ძალზე არათავაზიანად, როგორც ინგერს მოეჩვენა, — მოითხოვა ეტლი.

ტორვალდ ბრუკი ცხენით გაჰყვა მათ გასაცილებლად. მას ლამაზი წვივმაღალი ჭაკი ჰყავდა, ქურანა, გრძელკუდიანი; აშკარად ინგერის პატივისცემად ცხენს შენკელი მოუჭირა და ისიც ისეთნაირად აცეკვდა, რომ ლაშებზე ქაფი მოადგა. თავად უნაგირზე ჩამოსხმულივით იჯდა, ხოლო მჭიდროდ შემოსალტული ფრანგული საცხენოსნო კოსტუმი ძალზე რელიეფურად — მეტისმეტად რელიეფურადაც კი — ნაკვთავდა მის კუნთებს. ამიტომაც ინგერი მის მხარეს არ იყურებოდა და დაჟინებით ცდილობდა ჩაება პერი ლაპარაკში, თუმცა მაინც არაფერი გამოდიოდა.

— რაღაც ვერ მაღლევებენ ცხენები და ძაღლები, — ასე ახსნა მან შემდეგ თავისი საქციელი.

ტყის პირას ბრუკი გამოემშვიდობა მათ და გვერდით ბილიკზე გადაუხვია, რათა გზის შემოვლით დაბრუნებულიყო ბუდერუპლუნდში. მან მაშინვე ოთხამოღებით გააჭენა ცხენი, ხოლო როცა კარგა მანძილზე გაშორდა მათ, ინგერმა თვალი გააყოლა.

— ცხენზე ჯდომა უხდება! — თქვა მან.

— აბა, რა! მაგათი მოდგმა სულ სამხედროები არიან. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მასაც ოფიცრობა უნდოდა, და კიდევაც გახდებოდა, ასე საშინლად რომ არ უკიდებდეს ენას. ზოგჯერ პირდაპირ ვიტანჯები, მას რომ ვუსმენ.

ინგერმა მაშინვე არ უპასუხა.

— ჰო, საწყალი, თუმცა, დღეს კი საკმაოდ გამართულად ლაპარაკობდა.

— რაო, იშოვნე დაპირებული კოხინხინურები?

ინგერი წამოჭარხლდა. ქათმები სულ არ გახსენებია.

— წარმოიდგინე, რა საწყენია. საკმარისი იყო მეხსენებინა ღა უსათუოდ მომცემდნენ ერთს, ან იქნებ, ორ წყვილსაც კი, სამოქალაქო მრჩეველი თავაზიანობით დნებოდა.

— დიახ, თავაზიანობით დნებოდა. — ბუზღუნით დაემოწმა პერი.

შინ რომ დაბრუნდნენ, ჯერ კიდევ დღე იყო. პერმა თქვა თავი მტკივაო და მაშინვე თავის ოთახში გავიდა. ჩიბუხი გააბოლა და ფანჯარას მიუჯდა, მაგრამ წამსვე ადგა, ჩიბუხი თავის ადგილას დადო და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. მას თავისი თავი ყველაზე უმაქნის არსებად ეჩვენებოდა დედამიწაზე, საბრალო და არასრულფასოვან ადამიანად, მხდალად, ვისაც გატაცებით უყვარს ცხოვრება, მაგრამ ვერ ბედავს მის მორევში გადაეშვას, ვისაც ეზიზღება სიცოცხლე, მაგრამ ვერ ბედავს მასთან განშორებას.

კარზე გაუბედავად მიუკაკუნეს. ინგერს ხაგბარტი გამოეგზავნა, რათა მამასთვის ღამე მშვიდობისა ესურვებინა.

ხაგბარტს ისეთი გაუბედავი შესახედაობა ჰქონდა, პერს თვალებზე ცრემლი მოადგა, მაგრამ თავი შეიკავა, სახეზე რაღაც ღიმილის მსგავსიც კი აესახა, უეცრად აიტაცა ბიჭი ხელში და მაღლა, თავის ზემოთ ასწია. ასე იდგნენ ისინი ერთ ხანს სწორედ ისეთ პოზაში, ერსტედოვის პარკში რომ დგას — დამცინავი სილენი ჩვილი დიონისოთი ხელში.

— მითხარი, ხაგბარტ, ხომ არ გეშინია ჩემი?

— ა-არა, — ყოყმანით ჩაილულღლუღა ხაგბარტმა.

— ჩვენ მეგობრები ვიქნებით. შენ როგორ გგონია?

— უხ! — მიუგო ბიჭმა, ამაოდ რომ ცდილობდა მამას ხელიდან დასხლტომოდა; კარგ გუნებაზე მყოფი მამა ზოგჯერ უფრო საშიშად ეჩვენებოდა, ვიდრე განრისხებული.

ფეხებით იატაკს შეეხო თუ არა, ხაგბარტი ოთახიდან გავარდა. პერი კი სავარძელში სასოწარკვეთილი მიეგდო და სახეზე ხელები აიფარა.

* * *

ერთი კვირის შემდეგ ინგერი და პერი ნასადილევს ბესტრუპში წასასვლელად მოემზადნენ. რაც პერი კოპენჰაგენიდან დაბრუნდა, ჯერ არ ყოფილიყვნენ იქ.

ამ ბოლო წელს პერსა და ცოლ-ქმარ ბლომბერგებს შორის ჩუმი მტრობა დამკვიდრდა და მხოლოდ ინგერის ხათრით იყო, რომ ორივე მხარე ჯერ კიდევ თავს იკავებდა. მაგრამ ამჯერად საქმე ძალიან ცუდად დამთავრდა.

პასტორს ყველაზე მეტად ის აშფოთებდა, რომ პერი გულგრილად ეკიდებოდა მის მშვენიერ ქადაგებებს. დაჩვეული იყო თავის ირგვლივ აღფრთოვანებული მსმენელების დანახვას, მოწიწებით რომ უსმენდნენ თვითეულ მის სიტყვას და პერის გულგრილობა განზრახული, ვერაგული გამოწვევა ეგონა. რაც შეეხება სიდედრს, მას ვერ ეპატიებინა პერისთვის, რომ მისი ქალიშვილი ამ ბოლო დროს ხელვიწროდ ცხოვრობდა, ხოლო ამასთანავე კოპენჰაგენიდან ხელცარიელი რომ დაბრუნდა, ამის გამო კიდევ უფრო შესძულდა სიძე.

ჯერ ვახშმობის დროს წაკინკლავდნენ რამდენჯერმე, ხოლო სასტუმრო ოთახში ნამდვილი სკანდალი მოხდა.

თავისმა დაბეჩავებულმა მდგომარეობამ ამ ბოლო დროს, პერი ფხუკიანი და ეპვიანი გახადა. როცა სიმამრმა მოურიდებლად უსაყვედურა, შენი ოჯახის მატერიალურ კეთილდღეობაზე არ ზრუნავო, პერი განრისხდა და უხეშად უპასუხა, ძალიან გთხოვთ გარეშეები ნუ ჩაერევით ჩემს პირად საქმეებშიო. სიმამრმა დატუქსა ამ კადნიერი პასუხისა და უხეში ტონის გამო, მაგრამ მაშინ კი პერმა იფეთქა, მაგიდას მუშტი დაარტყა და თქვა, აღარ მსურს თქვენს მეურვეობაში ყოფნაო.

ბესტრუპში ასეთი სიტყვები არასოდეს არ სმენოდათ. წუთით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მერე პასტორი ადგა, შეურაცხყოფილი დიდებულების გამოთაყვანებული სახე ჰქონდა, გასწია თავისი სკამი და წარმოთქვა:

— გთხოვთ, მომავალში გაგვათავისუფლოთ მსგავსი სცენებისგან. — მერე ოთახიდან გავიდა და თავის კაბინეტში განმარტოვდა.

მისმა ცოლმა ტუჩი აიბზუა და მას გაჰყვა.

პერმა უბრძანა ცხენი შეებათ და მალე ის და ინგერი შინ წავი-

დნენ. არც სიმამრი, არც სიდედრი მათ გასაცილებლად არ გამოსულა. თითქოს ნისლში გაიელვა პერის წინაშე ინგერის მკვდარივით ფერმკრთალმა სახემ მაგიდასთან, სასტუმრო ოთახში, და ამან აიძულა, გონს მოსულიყო. იმ წუთიდან ერთხელაც ვერ გაბედა მისთვის შეეხედა. მთელი გზა კრინტი არ დაუძრავთ. პერი ხედავდა, რომ მიუხედავად იმისა, თბილი ტანსაცმელი ეცვა, ინგერს ნერვიულად აცახცახებდა, ისე, რომ ეტლის საჯდომი ინძრეოდა.

შინ ინგერი უფრო დამშვიდდა, ნება მისცა პერს, მისთვის სამგზავრო წამოსასხამი მოეხადა და სთხოვა კიდეც, თავის ადგილას დაკიდეო; შეიხედა ბავშვთა ოთახში, რათა გაეგო ხომ არ უცვლიათ ბავშვებს, მერე კი ჩვეულებრივად შემოიარა თავისი სამფლობელო, როგორც ყოველდღე აკეთებდა ამას.

პერი აჩქარებით გავიდა თავის ოთახში და ლამპა აანთო, მაგრამ შუშა ვერასგზით ვერ დაახურა: ხელები უკანკალებდა. მაგიდას მიუჯდა, აიღო გაზეთი და შიშით სულგანაბული დაელოდა, რა მოხდებოდა ახლა.

ათიოდე წუთის შემდეგ ინგერი შევიდა საწოლ ოთახში, ხოლო ცოტა ხნის მერე შეიხედა მასთან, თანაც, პერისდა გასაოცრად, ნახევრადშიშველი იყო — ქვედა საცვლებზე პენუარი წამოესხა.

— შენ ისევ აქ გაგიშალეს, — უთხრა მან და ბალიშები გააბუა — ხომ გინდოდა?

— კი, კი, გმადლობ, — გამოსცრა პერმა ისე, რომ თავი არ აუღია გაზეთიდან.

— იცი რა, ინგეორგი თითქმის აღარ ახველებს.

პასუხი არ იყო.

მაშინ ინგერი ღუმელთან ახლოს სარწეველაში ჩაჯდა. ორივე დუმდა.

— აბა, პერ, დროა სერიოზულად ვიფიქროთ გამგზავრებაზე! — ხელახლა წამოიწყო ინგერმა.

— რატომ არის დრო?

— განა თავად არ იცი? ის, რაც დღეს საღამოს მოხდა, შემთხვევითი არ არის. მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ ჩვენი საქმე დიდი ხანია აქეთ მიემართებოდა.

— იმაზე, რაც მოხდა, მე ყველაზე მეტად შენი და ბავშვების გამო ვნანობ. მე უფლება არ მქონდა ასე მოვქცეულიყავი თუნდაც თქვე-

ნი ხათრით, მაგრამ, ვთქვათ, ახლა არ შემიძლია და, უნდა გამოეტყდე, არ მსურს ბესტრუპში მეტად გამოჩენა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს აკრძალვა შენზე და ბავშვებზეც ვრცელდება. შენ თუ ჩემს გამო საკუთარ მშობლებს დავმდურები — ეს სისულელე იქნება.

ინგერი ოდნავ წინ წახრილი იჯდა და თავი ხელზე დაეყრდნო. ატაკს ჩაშტერებოდა.

— როგორ შეგიძლია ზოგჯერ ასე აწყენინო ადამიანს და ვერც კი შენიშნო ეს. აბა, რამ გაგაბედვინა იმის ფიქრი, რომ მე შემიძლია ვიყო იქ, სადაც შენთვის არ შეიძლება ყოფნა? თანაც ბავშვებით!

— ის შენი მშობლიური სახლია, ინგერ.

— მით უფრო, მაგრამ საერთოდ რომ ვთქვათ, ჩვენ ორივე აქ ახლა ველარ ვიქნებით ტკბილად. ცხოვრება ძალიან გაგვიძნელდება.

— მერე, სად წახვიდოდი?

— შენ ხომ ამბობდი რაღაცას — გზის ზედამხედველის ადგილიაო დასავლეთ სანაპიროზე. სცადე ბედი იქ. და ნუ გადადებ, პირდაპირ დღეს ან ხვალ მისწერე.

— მერე, წარმოდგენილი გაქვს კი, რა ადგილია ეს? ჯერ ერთი, სრულიად უმნიშვნელო ხელფასს იძლევიან, ორ ათასზე ნაკლებს, ხოლო იმ მხარეებში დამატებითი სამუშაო თითქმის არსად არის. მეორეც, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეს არის დანიის ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად დასახლებული ადგილი. იქ მხოლოდ კლდებია, მანანით მოფენილი ტიალი ადგილები, გარშემო რამდენიმე მილის დაშორებით ერთი სულიერი არ ჭაჭანებს, მეთევზეებისა და ღარიბი გლეხების გარდა.

— სამაგიეროდ ჩვენ იქ ერთად ვიქნებით, ერთმანეთის ახლოს, იქნებ უფრო ახლოსაც კი, ვიდრე აქ.

— ინგერ, გენაცვალე, შენ ისე გიყვარს შენი მშობლები, შენი სახლი, ძველი ნაცნობები, მოსვენება და მყუდროება... არა, ეს მეტად დიდი მსხვერპლია. მე არ მივიღებ მას შენგან. მერე მწარედ მისაყვედურებ, თუ ახლა გაგიგონებ და ნამდვილად საფუძველიც გექნებ ამისა!

ინგერი იჯდა, სახეზე ხელები აეფარებინა და არაფერს პასუხობდა

— ნეტავი ღმერთი დამეხმარებოდეს გავიგო, რა გსურს შენ ნამდ-

ვილდ, — უთხრა მან და ცრემლები წასკდა. უეცრად თავი ველარ დაიმორჩილა, წამოხტა და დაიყვირა:

— ოჰ, როგორ გამაწამე!

მერე არც გამომშვიდობებია, თავის ოთახში წავიდა და კარი მიჯახუნა.

პერი კვლავ იჯდა და დანისლული თვალებით მიშტერებოდა კარს. ვილაცა ხელს ჰკრავდა: „ადექი, მიდი, მასთან", — მაგრამ იგივე უხილავი ხელი იქერდა. არა, არ ღირს წასვლა. დადგა დიდი გადაწყვეტილების საათი. მათ უბედურება ეწვიათ. ინგერის სული გამოღვიძებას იწყებს. ის ხომ მიწისქვეშა სული არ არის, ჩვეულებრივი ადამიანია. დაე, დაუბრუნდნენ სიცოცხლეს და სინათლეს ის და ბავშვები. პერი, აბა, რა საფიქრალია. რაც იქნება — იქნება.

* * *

დადგა მეორე დღის საღამო. ბავშვები უკვე დაწვნენ, ორივე მოსამსახურე სამზარეულოში ტრიალებდა. ინგერმა ლამპა აანთო სასტუმრო ოთახში, დივანზე დაჯდა და შეუდგა ბავშვების წინდების კემსვას. ამ დროს კაბინეტიდან პერი გამოვიდა. თუმცა მთელი დღე შინ იჯდა პერი, გუშინდელი საღამოს შემდეგ სიტყვაც არ უთქვამთ ერთმანეთისთვის. ინგერმა შენიშნა, რომ პერი რაღაც უცნაურად უტრიალებდა მას და ბავშვებს, მაგრამ არავის ელაპარაკებოდა. ნასადილევს, ბავშვები დასაძინებლად რომ დაწვნენ, ინგერმა ბავშვთა ოთახში წაასწრო: ხაგბარტის ლოგინზე დახრილიყო და მძინარე ბიჭს რაღაცნაირი სასოწარკვეთილი, გაურკვეველი გამომეტყველებით დასცქეროდა.

ინგერი მარტო მათ მომავალზე სევდიანმა ფიქრებმა კი არ აიძულა, მთელი დღე ჩუმად ყოფილიყო, უფრო მეტად გუშინდელი უსიამოვნება აწუხებდა. ცოტა ხნის მერე უკვე თავადაც ველარ გაეგო, რატომ? მოუნდა სცენის მოწყობა, მაგრამ ამის გახსენებაზე მაინც სირცხვილით იტანჯებოდა.

პერმა რამდენჯერმე გაიარა სასტუმრო ოთახში, მერე მაგიდასთან დაჯდა, ინგერის პირდაპირ.

არც ერთს არ უნდოდა პირველს დაერღვია დუმილი.

— აბა, იფიქრე იმაზე, რაზეც ჩვენ გუშინ ვლაპარაკობდით? — ჰკითხა ბოლოს ინგერმა.

— ჰო. უკეთ რომ ვთქვა, მე სხვაზე არაფერზე არ მიფიქრია. მაგრამ სანამ ამ საკითხს დავუბრუნდებოდეთ, ყველა წერტილს ერთ ადგილას უნდა მოვუყაროთ თავი. მე მხედველობაში მაქვს უსიამოვნება შენს მშობლებთან. შენ თვითონ აღიარებ, რომ ის არ იყო შემთხვევითი, მართალი ხარ. შესაძლებელია, მე ზედმეტი წამომცდა და არც ისე მილაპარაკია, როგორც დამშვიდებულ წუთში ვილაპარაკებდი, მაგრამ მიუხედავად ამისა, უბრალო ახირებულობის გამო არ მითქვამს ის სიტყვები.

— მე ეს დიდი ხანია შევნიშნე.

— ჰო, გუშინ ამბობდი, მაგრამ, ჩემო ძვირფასო, თუ შენ ეჭვობდი მე და მამაშენს ის გვაშორებდა, რომ ჩვენი მსოფლმხედველობა დიდად განსხვავდებოდა, ეს კი მის შინაურებსა და ჩემს შორის განხეთქილებას იწვევდა და ცოტათი მე და შენს შორისაც კი, მაშ როგორ მოხდა, რომ მე და შენ ერთხელაც ვერ მოვიცალეთ ამაზე სერიოზულად მოსალაპარაკებლად? ეს უბრალოდ უცნაური ამბავი კი არ არის, ამას ჭეშმარიტად არა აქვს გამართლება. კარგად მესმის: მთელი დანაშაული მე მაწევს. რალაცნაირი გაურკვეველი შიშის გამო სიმართლეს გიმალავდი. თუმცა, თვითონაც მხოლოდ ახლახან ჩავწვდი მას მთლიანად.

— არა, პერ, შენ ცდები. მე შესანიშნავად ვიცოდი შენი თვალსაზრისი. ჩემთვის არასდროს დაგიმალია. ძალიან კარგად მესმის, რომ შენ ისე არა გწამს, როგორც გვწამს ჩვენ, ყველას, და ეს ხშირად მწყინდა. მაგრამ მამა ყოველთვის ამბობდა, რომ მასაც, ვინც ქრისტეში უბრალოდ ღირსეულ და უძრახველ ადამიანს ხედავს, უფლება აქვს თავის თავს ქრისტიანი უწოდოს და ხსნის იმედი იქონიოს, ოღონდ გულწრფელი იყოს ღმერთისადმი დამოკიდებულებაში, ოღონდ პატიოსანი და ღვთისმოშიში იყოს ყოველდღიურ ცხოვრებაშიო.

— ინგერ, გაიგე, მე არ მწამს ღმერთი.

— ღმერთი არ გწამს?

ინგერს მუხლებზე დაუვარდა დაუკემსავი წინდა და სახე მკვდარივით გაუფითრდა, როგორც გუშინ ბესტრუპში.

— დიახ, არ მწამს. და უკვე დიდი ხანია არ მწამს. ყველგან სადაც ღმერთს ვეძებდი, მხოლოდ საკუთარ თავს ვპოულობდი. ხოლო მას, ვინც თავისი თავი შეიცნო, ღმერთი არ სჭირდება. არაფერი სანუგეშო, არც ჭკუისსასწავლელი არ არის იმაში, რომ გამოიგონო შენი საჭიროებისთვის ასეთი ზებუნებრივი არსება, სულ ერთია რა სახით — მამა იქნება ეს თუ მოსამართლე.

— ჰერ, გონს მოდი, რას ამბობ! ეს ტყუილა არ ჩაგიელის, შენ ძალიან გაუბედურდები.

— შეიძლება, მაგრამ იცი, რომ არსებობენ ადამიანები, ვისთვისაც უბედურებას მომზიდველობის ძალა აქვს? აი, როგორც ზოგიერთს იზიდავს ჭაობი ან ტყის შავი ტბა?

— ალბათ, ეს ის ადამიანები არიან, ვინც დამეყუდა ცოდვებში და მხოლოდ მაშინ არიან ბედნიერნი, როცა სცოდავენ. ბიბლიაშიც ასეა ნათქვამი.

— მაშ, ასეა ნათქვამი? მაგრამ ეს ყოველთვის არ არის სწორი. არიან ადამიანები, ვისაც უბედურებისაკენ მხოლოდ მათი რელიგიური ინსტინქტი იზიდავს. ისინი ამტკიცებენ, რომ მხოლოდ უბედურებას, გმობას და უიმედობას შეუძლია იხსნას ადამიანის სული. ხომ არსებობენ მცენარეები, ჩრდილში რომ აღმოცენდებიან და სიცივეში, მაგრამ მაინც ყვავიან.

— არა, ასეთი ადამიანები მე არ შემხვედრია.

— ისინი არც თუ ისე იშვიათად გვხვდებიან სწორედ ჩვენში. ამას ამტკიცებს მთელი ჩვენი ისტორია. კეთილდღეობის პერიოდში ჩვენ ღარიბნი ვართ ძლიერი პიროვნებებით, სამაგიეროდ უბედურების დროს „ბეღურის კვერცხებიდანაც კი არწივები იჩეკებიან“, ასე ამბობდა პასტორი ფიალტრინგი.

— ფიალტრინგი? მაშ შენ მასზე ფიქრობ?

— ჰო, მასზე, უმთავრესად მასზე.

— მე შენი არ მესმის. მან ხომ თავი ჩამოიხრჩო.

— დიახ, ჩამოიხრჩო. და ეს ძალიან საწყენია. მე ისე მენატრებოდა ეს კაცი გასული წლების განმავლობაში. აქამდე სწორად ვერ ამიხსნია ჩემი თავისთვის ფიალტრინგის სამწუხარო გარდაცვალების ამბავი, მაგრამ ახლა მგონია, რომ მე მას ამაშიც გავუგე. თვითმკვლელობის მიზეზი უნდა ვეძებოთ, ჩემის აზრით, ფიალტრინგის დამოკიდებულებაში თავისი ცოლისადმი. იქნებ გახსოვს, მოგიყევი, როგორ ექცეოდა ის ამ მთლად დაცემულ და ადამიანის შესახედაობა დაკარგულ ქალს. ახლა ვფიქრობ, რომ თავიდან ალბათ ამ ქალს ჰქონდა ისეთი ხასიათი, რომელიც ქმრის ხასიათისაგან მკვეთრად განსხვავდებოდა,—ეს იყო ჯანიანი, სისხლსავსე ბუნების ქალი, შექმნილი სინათლისა და სიხარულისთვის; ქმარმა კი ის გადაათრია ცხოვრების ჩრდილიან მხარეზე, რაც მისთვის სასარგებლო იყო, მაგრამ ქალი კი მთლად ჩაკლა ამან და ამის

გამო ქენჯნიდა ფიალტრინგს სინდისი. ამავე დროს — თუმცა ეს ცოტა უცნაურად ეღერს — ცოლის დაცემით გამოწვეული სირცხვილი და დარდი როგორღაც ამათრახებდა ამ კაცს... დროდადრო ტანჯვას რაღაცნაირად არაჯანსაღად განიცდიდა და, როცა ცოლი მოუკვდა, სინდისის ქენჯნა მოერია. მის სინდისს დააწვა ადამიანის სულის თანდათანობითი მოკვლა და ეს ვერ აიტანა. სულ ცოტა დრომ გაიარა მისი ცოლის სიკვდილის შემდეგ და თვითონაც თავი მოიკლა.

— მაგრამ რატომ მიყვები ყოველივე ამას? — ჰკითხა ინგერმა და ეპვით შეხედა. — ჩვენ ხომ ამაზე სრულიადაც არ ვლაპარაკობდით.

პერი ჩაფიქრდა და ნელა, სვენებ-სვენებით უპასუხა:

— იმიტომ, ინგერ, რომ ეს ოჯახური ტრაგედია შეიძლება ჩვენი ჭკუის სასწავლებელ მაგალითად იქცეს და არა მარტო მაგალითად, არამედ გაფრთხილებადაც.

— ჩვენთვის?! — წინდა ხელახლა გაუვარდა ინგერს ხელიდან — ჩვენთვის? რა გინდა ამითი თქვა?

მაგრამ პერმა თვალები დახარა და არაფერი უპასუხა. ის უეცრად ისე გაფითრდა, რომ ინგერმა შიშისაგან დაიკივლა.

— პერ, ღვთის გულისათვის, თქვი, რა გემართება? მე გაწყენინე რითიმე? ან ბავშვებმა? მითხარი, რა მოგდის?

მაგრამ პერს არ შეეძლო ეთქვა საბედისწერო სიტყვები.

ინგერმა ხელი გაუწოდა, თითქოს უნდოდა მოფერებოდა.

— შენ ავად ხარ, ჰო ჰო! თავადაც არ გესმის, რას ამბობ. ამ ბოლო დღეებში შენ ყველაფერს ძალიან სევდიანად უყურებ. მე კი სწორედ ახლა მინდა გავხდე ბედნიერი და დავივიწყო ყველა უბედურება. რა გტანჯავს? იქნებ ფულადი გაჭირვება?

— არა!

— მაშ რა?

— საქმე გაცილებით უფრო უარესად არის.

— თქვი, ბოლოს და ბოლოს რა მოხდა?

— მე არ შემიძლია... არ შემიძლია... არ ვიცი, როგორა ვთქვა.

— შენ ავად ხარ?

— არა.

უეცრად ინგერს სახეზე დაეტყო, რომ მიუხვდა.

— მომისმინე, პერ, პირობას მაძლევ პატიოსნურად მიპასუხო ჩემს შეკითხვაზე?

ჰო.

— როცა კოპენჰაგენში იყავი, შენ შეხვდი შენს ყოფილ საცოლეს - იმას... ფრიოკენ სალამონს?

პერმა გაკვირვებით შეხედა ცოლს.

— არა.

ინგერმა არ დაიჯერა.

— ტყუი! — წამოიძახა მან და დივანიდან წამოვარდა. დაუკემსავი წინდა მაგიდაზე დავარდა. — ახლა ჩემთვის ყველაფერი ნათელია. - ინგერმა რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა ოთახში. — შენ შეხვდი ყოფილ საცოლეს და ხელახლა შეგიყვარდა.

— ხომ გეუბნები, რომ ცდები.

— მაშ თუ მას არა, სხვას. სხვანირად არ შეიძლება. ყველაფერი გასაგებია. ახლა კი შენ ჩემს წინაშე საძაგელი კომედია გათამაშე, რათა ნელ-ნელა მომამზადო. გინდა მე მიმატოვო და სხვა შეირთო. განა მართალს არ ვამბობ? მიპასუხე პატიოსნად.

პერი დაფიქრდა.

მას აზრად მოუვიდა, რომ ინგერისთვის ყველაფერზე უკეთესი იქნებოდა, თუ პერი დაუმოწმებდა ეჭვს და თავს დამნაშავედ ჩათვლიდა. ასეთი სერიოზული მიზეზის გარეშე ის არ დაეთანხმებოდა ოფიციალურ გაყრაზე. პერისთვის ხელსაყრელი იყო, რომ ინგერს შეეძულებინა ის: მით უფრო ჩქარა დაივიწყებდა. მან უკვე ძალიან ბევრ რამეზე თქვა უარი, მაშ ღირს კი, რომ პატიოსნება დაენანოს?

— ჰო, შენ მართალი ხარ, — მიუგო მან და მორჩილად დახარა თავი.

ინგერი გაქვავდა. სახე როგორღაც ერთბაშად ჩამოუჭკნა და მხოლოდ ვეებერთელა შავი თვალის გუგები მოუჩანდა. ქალმა გულხელი დაიკრიფა.

— მერე შენ შესძელი, რომ სულმდაბლურად დაგემალა ეს ჩემგან მთელი სამი კვირა! მაშასადამე, მამაჩემი მართალი იყო! მე კი, სულელი, ყოველთვის შენ გიცავდი... აი, თურმე რატომ გაქვს უძილობა, და გამუდმებული თავის ტკივილები! სასაცილოა, რომ მე მხოლოდ იმაზე ვზრუნავდი, როგორმე გამეხარებინე და გამემხიარულებინე! შენ კი ამასობაში სხვაზე ნაღვლობდი და იმაზე ფიქრობდი, როგორ უფრო უკეთესად მოგვიშორებდი თავიდან! რა საძაგელი კომედიაა! რა სიმდაბლეა, რა სიმხდალე!

საბავშვო ოთახის ღია კარიდან პატარას სლუკუნი ისმოდა. ინგერს

არ ეყურებოდა. მან ხელახლა დაიწყო წინ და უკან სიარული და რაღაცას ამბობდა, მაგრამ უფრო თავის თავს ელაპარაკებოდა. როცა გოგონა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, აღრიალდა, მხოლოდ მაშინ წავიდა მასთან.

პერი წელში გასწორდა, ხელისგულები თავზე მიიჭირა და აკვნესდა. ამგვარად, საქმე გაკეთებულია! მსხვერპლი მიტანილია საკურთხეველზე! პერმა თავის თავს სიტყვა მისცა, ბოლომდე გაეძლო.

ინგერი დაბრუნდა და ხელახლა დაუწყო ოთახს ზომვა აჩქარებული ნაბიჯებით. მერე პერს მიუახლოვდა.

— ნუთუ მეტი არაფერი გაქვს სათქმელი? თქვი, რომ ეს ტყუილია!

მან თავი გადააქნია.

— არა, ინგერ, რა საჭიროა სიტყვები?

ინგერი ცოტა ხანს კიდევ იდგა, მერე ატირდა და საწოლ ოთახში გავიდა.

პერს კიდევ მოესმა: „რა სიმხდალეა! რა სიმდაბლე!“ — მერე კარი მიჯახუნდა. ცოტა ხნის შემდეგ სახლში ალიაქოთი დადგა. კარებს აჯახუნებდნენ, ინგერი ხმამაღლა აძლევდა მოსამსახურეებს განკარგულებებს. ეზოში მსახურთა ხის ფეხსაცმელები არახრახდა. გააღეს საკარეტოს კარი და იქიდან ეტლი გამოაგორეს.

„დღესვე სურს გამგზავრება“, — გაიფიქრა თავზარდაცემულმა პერმა.

ბავშვები ლოგინიდან ააყენეს, ინგებორგი ტიროდა. ხაგბარტმა იკითხა, სახლი ხომ არ იწვისო. ყველა ოთახებში ისმოდა ინგერის მბრძანებლური ხმა. სასტუმრო ოთახში შემოვარდა ფეხშიშველი ერთ-ერთი მოსამსახურე, მაგრამ პერის დანახვისას შეშინებული უკანვე გავარდა. შეიხედა იქ თვითონ ინგერმაც, უკვე მთლად მოწყობილი იყო სამგზავროდ — პალტო ეცვა და შლიაპა ეხურა.

— ყური მიგდე, ინგერ, თუ უამისოდ არაფრით არ შეიძლება. უმჯობესია მე წავიდე. ან დილამდე მაინც დაიცადე.

ინგერმა არ უპასუხა. სეკრეტერთან მივიდა და იქედან ფული და რაღაც ნივთები გამოიღო.

—ნებას მომცემ, ბავშვები ვინახულო ხოლმე?

— მხოლოდ დღეს არა. შენ მაფი ნახვა ჩემი მშობლების სახლში შეგეძლება.

ნახევარი საათიც არ გასულა, რომ ეტლი ალაყაფის კარიდან გაკიდა. პერი არ განძრეულა. როცა ბორბლების კაკუნი მიწყდა, მან სახიდან ხელები მოიცილა და უნებლიედ ცას ახედა.

— აბა, ახლა კმაყოფილი ხარ?

თავი XXVIII

თუ ოდესუნ-დან ტისტედში მიმავალი გზიდან ჭაობიან და ჭანჭრობიან დაბა იდბიუს მახლობლად დასავლეთით სუფთა და წარმტაც ქალაქ ვესტერვიგისკენ გადაუხვევთ, სადაც ლიდენ კირსტენის ნეშტი განისვენებს, ხოლო ვესტერვიგიდან ჩრდილოეთისკენ გაემართებით, თვალწინ გადაგეშლებათ თვალუწვდენი, უნაყოფო ვაკე, სადაც მთელი წლის განმავლობაში მძაფრი ქარი დათარეშობს, ხოლო ცხვარი შუა ზაფხულშიც კი იხოცება საძოვარის უქონლობის გამო. საითაც გინდა გაიხედო, რიყის ქვა და ჭაობებია და არასდროს — არც ზამთარში, არც ზაფხულში — ბარი არ იცვლება; ის შავმოიისფრო მწვანეა იქ, სადაც მექვიშია იზრდება, ხოლო წაბლისფერი იქ, — სადაც მანანა ყვავის. მექვიშია და მანანა გახლავთ საფარი მლაშე. ნიადაგის ამომქმელი ტალღებისაგან. გზა სულ იხლართება: სადაც გაუვალი ჭანჭრობია ის გვერდზე უხვევს, ხოლო ზოგჯერ რომ მიწყნარდება, ხანძარივით ბურავს სქელი ნისლი.

აქა-იქ შეგხვდებათ პატარა ფერმა, ან უბრალოდ მანანით გადახურული ქოხი. მაგრამ ზოგჯერ მათ რამდენიმე კილომეტრი ყოფს, ხოლო ნამდვილი ქალაქებისა აქ სახსენებელიც არ არის. მხოლოდ ერთ ადგილას, სადაც ჭაობიდან. სადენია გათხრილი, არის რაღაც დაბისმაგვარი. სადენის ორივე მხარეს ოთხ სახლს შეუფარებია თავი, რომელთაგანაც ერთი სკოლას უკავია. მეორეში საზოგადოებრივი მდელოების ზედამხედველი ცხოვრობს. მესამეში — მეჩექმე, მეოთხეში ახლა აღარავინ არ ცხოვრობს.

სულ რამდენიმე დღის წინ ამ სახლიდან გამოიტანეს კუბო ხნიერი კაცის ცხედრით. განსვენებულმა მრავალი წლის განმავლობაში იცხოვრა აქ და მთელ ამ ხანში ირგვლივ მცხოვრებთა ცნობისმოყვარეობას იწვევდა. საიდან იყო არავინ იცოდა, რადგან თავის წარსულს. არავის უყვებოდა. არ ითქმის, რომ სიტყვაწუნი იყო, ცოტათი

მკვახე კაცი გახლდათ მხოლოდ. მეგობრებიც ბლომად ჰყავდა, ხოლო მტერი ერთადერთი—აქაური პასტორი. ამ კაცს ოჯახი არ ჰქონდა და თავის დიდ სახლში მარტოხელად ცხოვრობდა, მხოლოდ მოხუცი დიასახლისი ჰყავდა, ბებერი ცხენი და ათიოდე ქათამი. უბრალო კაცი გახლდათ, მაგრამ წიგნები კი ბევრი ჰქონდა. თუმცა დღის უმეტეს ნაწილს წიგნების კითხვაში კი არ ატარებდა, არამედ მუშაობაში — დადიოდა სამსახურის საქმეებზე თავისი ბანჯგვლიანი ცხენით, სიბერისაგან თითქმის რომ ვეღარაფერს ხედავდა, და თავის საფიქრებელს ფიქრობდა. ის გზის ზედამხედველი გახლდათ და არასოდეს აქ გზები ისე კეთილმოწყობილი არ ყოფილა, როგორც მის ხელში.

სრული მარტოობის და სუსტი ჯანმრთელობის მიუხედავად, რის გამოც იძულებული იყო ძალიან ზომიერად ეცხოვრა და უარი ეთქვა ყველა იმ სიამოვნებაზე, რის მეოხებითაც ადგილობრივი მცხოვრებნი ცდილობენ როგორმე შეალამაზონ თავიანთი მოწყენილი ყოფაცხოვრება პირქუშ ბუნებაში, მუდამ მშვიდი და ყველაფრით კმაყოფილი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ეს აკვირვებდა ხალხს და სიმართლე რომ ითქვას, აწუხებდა კიდეც. მით უფრო, რომ ეს უცხო კაცი სულაც არ ეძებდა შვებას რელიგიაში: არამც თუ არ დადიოდა საზიარებლად, საერთოდ არ შეიხედავდა ხოლმე ეკლესიაში და ამიტომაც ადგილობრივმა მღვდელმა ურჯულოთა ჯგუფს მიაკუთვნა, ვისი ხვედრიც მარადიული კრულვაა.

განსაკუთრებით შეუყვარდა ეს კაცი თავის მეზობელს, მასწავლებელს, ახალგაზრდა და მოაზროვნე ადამიანს. მას უყვარდა საღამოობით, თუმცა სინდისი კი ქენჯნიდა, მასთან გასათბობად შევლა და ბჭობა ყოველგვარ სერიოზულ თემაზე. მასწავლებელი ჯერ ძალიან ახალგაზრდა იყო და აქამდე შერჩენოდა ბავშვური რწმენა სიკეთის საბოლოო გამარჯვებისა და რაკი ამასთან წესიერი და პატიოსანი ადამიანიც გახლდათ, ეგონა, სხვა რომ არაფერი, სასუფეველი ცათა მისთვის უზრუნველყოფილი იყო. მაგრამ თუმცა მას ძალიან კარგი ოჯახი ჰქონდა და შესანიშნავი მომავლის იმედი, ზოგჯერ — საკმაოდ ხშირადაც — გამოერეოდა ხოლმე სევდიანი და ავი წუთები და მაშინ თავის თავს ვეღარ უმალავდა, რომ მისი მეზობელი — უღმერთო და ბოგანო, ეულად მცხოვრები კაცი — ბევრად უფრო ბედნიერი იყო, ვიდრე თვითონ. ერთხელ გამბედაობა მოიკრიფა და თავისი დაკვირ-

ვებები ზედამხედველს გაუზიარა. მან წყნარად და მოკლედ აუხსნა, რომ, მაშასადამე, მას, მასწავლებელს, ჯერ ვერ ეპოვნა ცხოვრებაში მისთვის განკუთვნილი ადგილი, ხოლო უმაღლესი ადამიანური ბედნიერების განცდა „იყო რაც ხარ და შეიცნო საკუთარი თავი“ შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ამ ადგილს იპოვი. მაგრამ, როცა შემდეგ მასწავლებელმა ჰკითხა, სად და როგორ უნდა მოეძებნა ეს, ზედამხედველმა მიუგო, რომ ამაში ვერაკითარი რჩევა ვერ დაეხმარება და მთლიანად უნდა დაემორჩილოს თვითდაოსტატების ინსტინქტის ნებას, ბუნებამ რომ ჩაუნერგა ყოველ ცოცხალ არსებას.

მეორედ მასწავლებელი შეეცადა ეთქმევინებინა, რა ნიშნით შეუძლია ადამიანს გაიგოს, რომ მან მიაღწია „უმაღლეს ბედნიერებასო“. მაგრამ ზედამხედველმა არც ამაზე მოინდომა ლაპარაკი. „სჯობს, თქვენს პასტორს ჰკითხოთ!“ — დაცინვით მოუჭრა მან. თუმცა მერე კი დაუმატა, რომ თვითეული ცალკეული ადამიანი თავის მხრივ უხდა შეეცადოს დაამყაროს უშუალო და რაც შეიძლება მჭიდრო კავშირი საგნებსა და მოვლენებთან, იმის მაგიერ რომ აღიქვას ისინი სხვისი გრძნობის ორგანოების მეოხებით (ასე, სხვათა შორის, იქცევა ყველა, ვინც ნასესხები წარმოდგენებით ცხოვრობს და თავისი საკუთარი არ გააჩნია). ასეთი ჭეშმარიტად ცოცხალი მიდგომა ცხოვრებისადმი აუცილებელია ადამიანისთვის, ვისაც სურს დატკბეს შემეცნების სუფთა სიხარულით, ნებისმიერი მოვლენა რომ გვაჩუქებს ხოლმე — დიდი, თუ პატარა, ბედნიერი თუ უბედური. და მან, ვისაც არ გამოუცდია, რა ბედნიერებაა, როცა შენს წინაშე იხსნება კიდევ ერთი, — თუნდაც პატარა, თუნდაც უმნიშვნელო — კუთხე აზრის ან ნამდვილი ცხოვრების ნაკრძალი სამეფოსი, მან საერთოდ არ იცის, რას ნიშნავს სიცოცხლე.

ამ სიტყვებს მასწავლებელი მიქელსენი ბევრჯერ იგონებდა ზედამხედველის ცხოვრების ბოლო წელს, რადგან ის, საშინელი ფიზიკური ტანჯვის მიუხედავად — კიბოთი კვდებოდა, — არასოდეს სულით არ ეცემოდა და არ ეძებდა მხარდაჭერას ირგვლივმყოფთაგან. ის ცოცხალი ინტერესით სწავლობდა თავის დაავადებას და ეძებდა მის გამანადგურებელ კვალს თავის ორგანიზმში. თუმცა ტკივილის მტანჯველი შეტევის დროს ისეთი კვნესა აღმოხდებოდა ხოლმე, მეზობლები ყურებს ბამბით იცობდნენ, მაგრამ, მერე, როცა მასთან შეივლიდნენ, ხედავდნენ ადამიანს, ვისაც თითქოს ღრმა

სიტკბოება განეცადა და არასოდეს, წუთითაც კი, ცხოვრება აუტანელი არ ეჩვენებოდა: ადამიანები დარწმუნდნენ ამაში მისი სიკვდილის შემდეგ, როცა მის უჯრაში დატენილი რევოლვერი იპოვეს.

ბოლო დღეებში ის იწვა წყნარად და არავის ნახვა არ სურდა. მაგრამ უკანასკნელ წუთამდე ადამიანის ორგანიზმის დაშლის პროცესზე ფიქრობდა. როცა იგრძნო, რომ უკვე ფეხები უცივდებოდა, მოითხოვა სარკე მომიტანეთო, რათა თავისი სახის გამომეტყველება დაენახა.

— მალე ყველაფერი დამთავრდება, — ნაღვლიანად უთხრა მან მნე ქალს, სარკე რომ დაუბრუნა. ის უკვე თითქმის ვეღარაფერს ხედავდა.

მერე აგონია დაეწყო. ეს საღამოთი მოხდა, ავდრის დროს. საბჭრეთ-დასავლეთის ქარი უსახლკარო ქოფაკივით ღმუოდა და დამსკდარი კარის ჭურჭუტანებში იკრებოდა. ფანჯრებში წვიმა უშხაპუნებდა... ავადმყოფის თავთით მაგიდაზე სუსტი სინათლე ბჟუტავდა და შიშველ კედლებზე ვერცხლის საათი წიკწიკებდა — მამის მეძკვიდრეობა.

მოხუცმა მნე ქალმა მასწავლებელს უხმო: ეშინოდა მომაკვდავთან მარტო დარჩენა. თუმცა არავითარი დახმარება არ იყო საჭირო, ზედამხედველი უძრავად იწვა, გონმიხდილი და ხმამაღლა ხრიალებდა. შუაღამეს ცოტა რომ გადასცდა, უცბად თავი მხრისკენ გადაეხარა. კიდევ ერთი უკანასკნელი, მოკლე ამოსუნთქვა და ყველაფერი გათავდა.

დარიან, უქარო ოქტომბრის დღეს, ცა რომ ლურჯი იყო და მზეც კაშკაშებდა, კუბო სასაფლაოს ფხვიერ ქვიშაში ჩამარხეს. ოციოდე კაცმა მიაცილა საფლავამდე. ერთი ფსალმუნი იგალობეს, საფლავზე სიტყვა არავის წარმოუთქვამს და გაფისულ ბოძებს შორის ჩამოკიდებულ ზარსაც ერთი ბგერაც არ გამოუცია. ასეთი იყო მიცვალებულის ნება. თუმცა ისიც მოითხოვა, რომ მის საფლავზე ნაღარა დაეკრათ, მაგრამ პასტორმა არ მისცა ამის ნება.

დასაფლავებაზე განსვენებულის ორი ძმა გამოცხადდა: დეპარტამენტის დირექტორი ებერხარდ სიდენიუსი და დეკანოზი თომას სიდენიუსი — ორივეს სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა. სასაფლაოდან დაბრუნებისას ანდერძი გახსნეს და აქ კი ძმებმა თავისდა გასაოცრად და, აგრეთვე, სამწუხაროდ, გაიგეს, რომ მთელი თავისი ფული განსვენებულმა დაუტოვა „იაკობა სალამონისგან დაარსებულ და ეკლესიისგან

დამოუკიდებელ სკოლას“ ქალაქ კოპენჰაგენში, რასაც, ცხადია, ვერც ერთი მოიწონებდა და ვერც მეორე. ყველაზე საწყენი ის იყო, რომ სახლის ავეჯეულობის და ნაღდი ფულის მნიშვნელოვანი თანხის გარდა განსვენებულს შემნახველი სალაროს ორი წიგნაკი აღმოაჩნდა. მოკლედ, მთლიანად ათი ათას კრონამდე მოგროვდა. სუსტი ჯანმრთელობისა და ბუნებრივი მიდრეკილების გამო ზედამხედველი ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდა, რამაც საშუალება მისცა წლიური შემოსავლის თითქმის ნახევარი გადაენახა, თუ არ ჩავთვლით შემთხვევით გამომუშავებულს და, კერძოდ, რამდენიმე პატარა გამოგონების ჰონორარებს.

ძმებმა თვალები დაჭყიტეს.

— მაგრამ თანხა გვარიანია, — ვერ მოითმინა დეპარტამენტის დირექტორმა და კვლავ გაიმეორა: — გვარიანი თანხაა-მეთქი.

პირველად ეს პატივისცემით ჟღერდა, მეორედ კი ეჭვიც ერია ნათქვამში.

— დიახ, მნიშვნელოვანი კაპიტალია,— აღიარა დეკანოზმაც იმავე ტონით.

ძმებმა ერთმანეთს შეხედეს.

— იმედია, ეს ფული პატიოსანი გზით ექნება ნაშოვნი.

— არავითარი უფლება არა გვაქვს ამაში ეჭვი შეგვეპაროს.

* * *

კოპენჰაგენში დაბრუნებისას ბატონმა დეპარტამენტის დირექტორმა გადაწყვიტა სავსებით გასაგები ცნობისმოყვარეობის გამო პირადად ეცნობებინა ფრიოკენ სალამონისთვის მემკვიდრეობის თაობაზე, მის სკოლას რომ დაუტოვეს.

ამიტომაც ერთ მშვენიერ დღეს მან გასწია ნერებრუზე, სადაც ღარიბებით დასახლებულ კვარტალში ცნობილი „ბავშვთა სახლი“ მდებარეობდა, ამდენი მითქმა-მოთქმა რომ გამოიწვია. მეკარე ქალმა ხეებით შემორაგულ ბავშვთა დიდ სათამაშო მოედანზე გაატარა. ხეებქვეშ სკამები ელაგა. გამგე ქალი გაკვეთილზე იყო და ბატონმა დეპარტამენტის დირექტორმა, დრო რომ უქმად არ დაეკარგა, — სურვილი გამოთქვა „სასწავლებელი“ დაეთვალიერებინა.

მაშინ მასთან მასწავლებელი ქალი გამოვიდა და შესთავაზა, თუ გნებავთ გიდობას გაგიწევთო.

ვრცელი შენობის ერთ ბოლოში მოთავსებული იყო მაღალი, მორთული, ნათელი სასადილო. იქ ახლა ერთი წყება საუზმობდა, მეორეს კი ამ დროს მეცადინეობა ჰქონდა. გვერდით სამკერვალო სახელოსნოები იყო განლაგებული, სადაც ყველა მოსწავლე — ბიჭებიც და გოგონებიც — სწავლობდნენ თავიანთ ტანსაცმლის შეკეთებას, წინდების კემსვას, ფეხსაცმლის დაკერებას. შემდეგ მოდიოდა საბაზანოები და ყოველ სამ დღეში ერთხელ მოსწავლეები აბაზანას ღებულობდნენ. მზე, ჰაერი, წყალი და რაციონალური კვება — აი, ის საშუალებები, რომელთა დახმარებითაც სკოლა მიისწრაფოდა ჩამოეყალიბებინა თავისი მოსწავლეების მორალური სახე და აენაზღაურებინა საღვთო სჯულის გაკვეთილების დანაკლისი.

— ახ, მაშ ასეა, — თქვა დირექტორმა და მრავალმნიშვნელოვნად ჩაახველა.

ბავშვები სკოლაში არ ცხოვრობენ და ეს არ არის შემთხვევითი. იგულისხმება, რომ სისუფთავის სიყვარული, ჩაცმაში სიფაქიზე და თავდაჭერის უნარი მათ თავისებურ მისიონერებად აქცევს, რომელთაც მოსახლეობას უნდა ჩაუნერგონ სიფაქიზე, წესრიგი და ქცევის კულტურა. მაგრამ სკოლის კარი დილაადრიანვე ღიაა, როცა ფაბრიკაში მუშაობა იწყება. ყოველ ამ სიკეთეს ბავშვები იღებენ განსაზღვრულ ფასად. ფასი არც თუ ისე დაბალია, მაგრამ დამოკიდებულია თვითეული ბავშვის მშობელთა ხელფასზე.

„დიახ, — გაიფიქრა თავისთვის დირექტორმა, — ყოველივე ეს მშვენიერი იქნებოდა, რომ...“

მაგრამ ამ დროს მას აცნობეს, გამგე ქალი მზად არის მიგიღოთო.

იაკობა სალამონი უკვე ორმოცს მიღწეული ქალი იყო და თუმცა უწინდელი ამაყი მიხვრა-მოხვრა შეენარჩუნებინა, თავის ხნოვანებაზე უფროსად გამოიყურებოდა. იაკობას შესახედაობა ყველა სიტყვებზე უფრო მკვერმეტყველურად ლაპარაკობდა, რომ თავისი ნამოქმედარი, რის გამოც ამდენი ენერგიის დახარჯვა, ასეთი წინააღმდეგობის გადალახვა, ამდენი ცრუ აზრის გაფანტვა დასჭირდა, მარტო ქონების ფასად არ დასჯდომოდა. მებრძოლის მძიმე ხვედრი, ახალგაზრდობიდანვე რომ იტაცებდა, მთლიანად ხვდა მას წილად. მისი სახე, პატივისმცემელნი რომ არწივს ამგვანებდნენ, ხოლო მტრები და მოშურნენი—თუთიყუშის მაშხალას, ახლა უდაოდ, გარეული ფრინველის სახედ ქცეულიყო. თითქმის მთლად ჭალარა თმა, მოყვითალო კანი, ვეებერთელა გადმო-

კარკლული შავი თვალები, გრძელი კისერი და სადა ყავისფერი კაბაც კი, მხოლოდ თეთრი საყელოთი, რომ იყო მორთული, მას კონდორს ამსგავსებდნენ, როცა ეს ფრინველი კლდეზე ზის და დაბლობს მიშტერებია.

როგორც კი ოთახში დირექტორი შემოვიდა, იაკობა საჩქაროდ წამოდგა თავისი მაგიდიდან.

— ალბათ თავაზიანობა გამოიჩინეთ ჩემს მიმართ და გადაწყვიტეთ პირადად გეცნობებინათ ჩემთვის თქვენი ძმის სიკვდილის ამბავი. მაგრამ მე უკვე გავიგე ეს ნაცნობებისგან, გაზეთში წაიკითხეს ცნობა.

— ეს რომ ჩემი ვიზიტის ერთადერთი მიზეზი იყოს, ალბათ, არ მოგახვევდით თავს ჩემს აქ ყოფნას. მით უფრო, რომ არც ჩემი ძმა, არც მისი ბედ-იღბალი თითქოს თქვენ არ უნდა გაინტერესებდეთ.

— ამაში კი სცდებით. მე უფრო მეტით ვარ თქვენი ძმისგან დავალებული, ვიდრე თავად ფიქრობდა. მისგან მოშორებით მყოფი, რამდენადაც შემეძლო, თვალს ვადევნებდი მის ცხოვრებას. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ბევრ რამეში დავშორდით ერთმანეთს. მისი სიცოცხლის უკანასკნელი წლების შესახებ სულ არაფერი ვიცი. გთხოვთ, მიამბოთ. დაბრძანდით, გეთაყვა, და მომიყევით როგორ იავადმყოფა და როგორ გარდაიცვალა. უცნაურიც კია, რომ მე არაფერი ვიცი.

მაგრამ ბატონმა დირექტორმა დაჯდომა არ ისურვა. ამ, ცოტა არ იყოს, საეჭვო რეპუტაციის მქონე ქალის გულახდილობამ აიძულა ტუჩები მოეკუმა, რის გამოც არაპროპორციულად დიდი ქვედა ყბა უფრო მეტად წამოეწია წინ.

— ვიმეორებ, არ შეგაწუხებდით, თუ არა ერთი მეტად საჩოთირო ხასიათის საქმე, თუმცა, მოკლედ გეტყვით. თქვენი აზრი იმის შესახებ, რომ ჩემი განსვენებული ძმა არამარტო სავსებით დაგშორდათ თქვენ, არამედ, შეხედულებებით და აზრებითაც—ამგვარად, ეს თქვენი მოსაზრება, ჩემდა სამწუხაროდ, (იმედია გამიგებთ, რომ მე, როგორც ძმას არ შემიძლია არ ვწუხდე ამაზე), — არ არის მთლად სამართლიანი. სხვა სიტყვებით რომ ზითხრათ, თავის ანდერძში, რომელიც კიდევ შეიძლება სადაო და სადაო იქნეს, მან დაგიტოვათ თქვენ, უფრო სწორად სასწავლებელს, თუ არ ვიცი, მას რას უწოდებენ, მთელი თავისი ქონება. რამდენადაც განსვენებულს ჰყავდა კანონიერ ქორწინებაში დაბადებული შვილები, ანდერძი ფაქტიურად ბათილია, მაგრამ მე შევძელი იმის

გამორკვევა, რომ არც თვითონ მემკვიდრენი, არც მათი მეუღლენი არ იდგებენ გამოცდილებულის ფეანასკენელი ნიების ზუსტი შესრულების წინააღმდეგ. საგნე ეხება ათი ათას ოქრონა. რომელთა წარმოშობა, საშუალოდ, ჩემოვის ეცნობა. მე ჩემ მოვალეობად ჩავთვალე პირადად მეცნობინებინა ეს თქვენთვის ღა, ამასთან, თქვენი საკუთარი პირით გამეგო, ავირჩევთ თუ არა ამ საჩუქრის მიღებას.

იაკობა კელავ სკამის ზურგზე დაყრდნობილი იდგა. ეტყობოდა, ბალიან იყო აღელვებული. ახალგაზრდობის მოგონებები შეეოეკარა და, თუმცა აქამდე თითქმის არავის ენახა ატირებული, ცრემლები ვერ შეიკავა.

— რატომაც არ მივიღებ? — წყნარად იკითხა მან. — ჩვენ ძალიან განსხვავებულნი ვიყავით, თქვენი ძმა და მე, ზოგჯერ კიდევაც მეჩვენებოდა, რომ არ შემწევდა უნარი მის ბუნებას ჩავწვდომოდი. მაგრამ მით უფრო მადლობას ვწირავ მას ამ უკანასკნელი სალმისთვის.

— თუ ნებას მომცემდით, ფრიოკენ სალამონ, მე მინდოდა ამასთან დაკავშირებით თქვენთვის გამეხსენებინა ერთი ჩვენი საუბარი ამ თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლის წინათ. მე დავახასიათე თქვენი და ჩემი ძმის ურთიერთობა სწორედ იმ სიტყვებით, ახლა თქვენი პირიდან რომ მესმის. მასაც უჯობდა და თქვენც. რომ მაშინ თქვენ ჩემთვის დაგეჯერებინათ. ადამიანებს კარგად ვცნობ.

იაკობამ თავი აიღო და ებერხარდი თავიდან ფეხამდე ჩაათვალიერა.

— არა, ბატონო დირექტორო! ამაში ღრმად ცდებით. მე არაფერს არ ვნანობ, პირიქით, ჩემს უდიდეს ბედნიერებად მიმაჩნია, რომ გავიცანი თქვენი ძმა. მან შესძლო ჩემი ცხოვრების ნამდვილი შინაარსით ავსება—სულ ერთია, უბედურება იყო ეს, თუ ბედნიერება. და ის, რასაც თქვენს ირგვლივ ხედავთ, არსებითად არანაკლებად არის მისი ხელით ნამოქმედარი, ვიდრე ჩემით. მთელი ჩემი სიცოცხლე სულითა და გულით მადლობელი ვიქნები მისი.

— ამ საკითხში მე და თქვენ ძნელად თუ შევთანხმდებით. ამიტომაც ჩემი აქ ყოფნით მეტს არ შეგაწუხებთ. ყოველივე კარგს გისურვებთ!

* * *

დასაფლავებიდან ერთი კვირის შემდეგ, ერთ საღამოს, მასწავლებელმა მიქელსენმა და საზოგადოებრივი მდელოების ზედამხედველმა ხილსენმა, შეთავსებით ოლქის მოსამართლის მოვალეობასაც რომ ასრულ-

ლებდა, გააღეს განსვენებულის დალუქული სახლი, რათა ძმების მოთხოვნით, იქ რომ იყვნენ, საოჯახო ქონების რეესტრი შეედგინათ. ფასიანი ქაღალდები, წერილები და მსგავსი ნივთები ძმებმა ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ წაიღეს. მაგრამ ერთ-ერთ პატარა მაგიდაში, შემთხვევით უჯრით კედლისკენ რომ იყო მიბრუნებული, ჩარჩენილიყო სქელი რვეული, სადაც გაურკვეველი ხელით რაღაც ჩანაწერები იყო გაკეთებული.

მასწავლებელმა ვერ მოითმინა და შიგ ჩაიხედა. სანამ მოსამართლე წყნარად დადიოდა სახლში ლამპით ხელში და თავის სიაში აქ დარჩენილ ნივთებს წერდა, ის არ გამოსულა საწოლი ოთახიდან და ბოთლის ყელში ჩარჭობილი სანთლის ნამწვის შუქზე ფურცლავდა რვეულს.

ეს იყო რაღაც დღიურის მსგავსი; ზედამხედველი მას ჩამოსელის დღიდანვე რეგულარულად წერდა. შეჰქონდა შიგ თავისი აზრები და თითქოს საკუთარ თავს ესაუბრებოდა ყოველივე ნახულის და მოსმენილის თაობაზე.

პირველივე გვერდზე მასწავლებელმა გაჭირვებით გაარჩია შემდეგი:

„სანამ ახალგაზრდანი ვართ, უზომო მოთხოვნილებებს ვუყენებთ სიცოცხლის მმართველ ძალებს. ჩვენ გვინდა, რომ ერთბაშად მოგვენიჭოს ისინი. იდუმალების საფარი, რომლის ქვეშაც ეს ძალები მოქმედებენ, შეურაცხყოფს ჩვენს გრძნობებს და ჩვენ გვსურს ჩავერიოთ სამყაროს გრანდიოზული მანქანის მუშაობაში და ჩვენი შეხედულებისამებრ წარვმართოთ იგი. ასაკში რომ შევალთ, მოუთმენლად ვიმზირებით კაცობრიობის და ადამიანის ისტორიის მხრისკენ, რათა აქ მაინც გამოვავლინოთ კანონზომიერებანი, შინაგანი კანონები, განვითარების გზები — ერთი სიტყვით, აქ მაინც ვიპოვოთ ცხოვრების აზრი და მიზანი, რისთვისაც ღირს ბრძოლა და ტანჯვა. მაგრამ მერე დგება ისეთი დღე, როცა ჩვენი არსების სიღრმიდან ამოსული ხმა გვაჩერებს, იდუმალი ხმა, რომელიც გვეკითხება: „შეიცანი კი საკუთარი თავი?“ და ამ დღიდან ჩვენ გვაინტერესებს ერთადერთი საკითხი, ამ დღიდან სფინქსის დიად ამოცანად იქცევა ჩვენი საკუთარი, ჩვენი ჭეშმარიტი „მე“, და ჩვენ ამაოდ ვცდილობთ მის გადაწყვეტას. მაგრამ რა არის „ჩემი ჭეშმარიტი მე?“ ის ადამიანი ხომ არა, დღეს დილით რომ კოკისპირულ წვიმაში გავიდა შინიდან, გაჯავრებული, პირქუში, ცხოვრებისაგან და მისი სიძნელეებისგან უსასრულოდ დაღლილი? ანდა იქნებ ჩემი „მე“ ეს ის არ არის, ვინც ბინდში ღუმელთან იჯდა და ბედ-

ნიერ შოგრნებებში იყო ჩაფლული სახლზე, ოჯახზე, მოთამაშე ბავშვებზე? იქნებ ეს ის არის, ვინც ახლა მარტოდმარტო ზის ლამპის შუქთან, არც სევდიანი, არც მხიარული, არც მოხუცი, არც ახალგაზრდა, და ვის სულშიც გამეფებულია სიმშვიდე და მოსვენება — უმაღლესი მოსვენება, რომელსაც მხოლოდ ღამე, მხოლოდ მარტობა გამოგვივლენს. რას იზამ, ალბათ, სწორედ ეს არის ჩემი ჭეშმარიტი „მე“, ისეთივე, როგორიც გამოვიდა დედა-ბუნების ხელიდან, უმწიკვლო და დაუმახინჯებელი! იქნებ თვითეულ ამ სახეში არის რაღაც ჩემი „მე“-დან? შესაძლოა ის, რასაც ჩვენ ჩვენს სულს ვუწოდებთ, არის მხოლოდ წარმავალი განწყობილება, სიზმრის გამოძახილი, ღამით რომ ვნახეთ ან იმ სტატიისა, დილის გაზეთში რომ წავიკითხეთ? იქნებ ის დამოკიდებულია ბარომეტრის ისარზე ან ტორფის ფასზე? იქნებ ჩვენში იმდენი სული ცხოვრობს, რამდენი ფიგურაც არის ბირიულკობანას თამაშში? რამდენიც არ უნდა შეანჯღრიო, ზემოდან ყოველთვის ახალი ფიგურა აღმოჩნდება: ხან სულელი, ხან ჩხუბისთავი, ხან ბუ.

მე ვეკითხები! ვეკითხები!“.

მასწავლებელი გონს ვერ მოსულიყო. ამ უიმედო სიტყვებში ის ვერ ცნობდა თავის ძველ ნაცნობს, უფრო გვიანი წლების ჩანაწერების ძებნაში, მოულოდნელად ფურცლებს შორის ჩადებულ წერილს წააწყდა. წერილს ეწერა „ბ-ნ გზის ზედამხედველს პ. სიდენიუსს“ და როგორც ფოსტის შტემპელიდან ჩანდა, ორი თვის წინ მოსულიყო:

სინდისის ქენჯნასთან მცირე ხნის ბრძოლის შემდეგ მიქელსენმა წერილი კონვერტიდან ამოიღო. ქალის ხელი იყო. გამომგზავნის მისამართი ზემოთ ეწერა, პირველ გვერდზე: „ბუდერუპლუნდი“.

აი რა წაიკითხა მიქელსენმა:

„ჩემამდე მოაღწია ხმებმა, რომ შენ ავად ხარ, მძიმედ ავად. ამიტომაც მე პირველმა დავარღვიე დუმილის აღთქმა, შენ რომ მაიძულე,რადგან ვერ მოვისვენებ, სანამ არ გეტყვი, რა უსაზღვრო მადლობელი ვარ შენი ყველა იმ მსხვერპლისთვის, ჩემი ბედნიერებისთვის რომ გაიღე. ახლა მე შენ სავსებით გაგიგე, გავიგე, რომ ჩვენთვის სიკეთე გინდოდა და სიტყვები არ მყოფნის, რათა შენდამი ჩემი მადლობა გამოვხატო. მოკითხვა ჩვენი სამი შვილისგან, ყველანი ჯანმრთელად არიან და კარგად ცხოვრობენ ისევე, როგორც ჩემი უმცროსები. ისინი მე ორნი მყავს. ხაგბარტი

უკვე სტუდენტია, სურს ინჟინერი გახდეს, ყველა ამბობს არაჩვეულებრივი ნიჭის პატრონიაო. თანაც მტკიცე და გამბედავი ბიჭია, ისე რომ, შესძლებს ცხოვრებაში თავის გატანას. ინგერბორგი შარშან შემოდგომაზე გახდა მირონცხებული. ის და პატარა ლიზა ჯერჯერობით ჩემთან ცხოვრობენ. ისინი სრულიად არ გიცნობენ — შენ ასე გსურდა და იქნებ მართალიც იყავი. კიდევ ერთხელ უდიდეს მადლობას გიხდი ყველაფრისთვის, ყველაფრისთვის. დაე ჩამოგივლინოს ღმერთმა ძალები, რათა გადაიტანო ის, რაც მოგელის!

ი ნ გ ' ე რ ი"

ჩაფიქრებულმა მიქელსენმა თავი გაიქნია და ფურცელი ისევ კონვერტში ჩადო.

„რა შეუცნობელი ადამიანი იყო!" — გაიფიქრა მან.

დღიურის ბოლო ფურცლებზე უმთავრესად ნაწყვეტ-ნაწყვეტი ჩანაწერები იყო და ბევრი მათგანი ერთნაირი სიტყვებით ბოლოვდებოდა, რომლებიც აქა-იქ ხაზგასმული იყო: „ბუნება მდიდარია, ბუნება სიბრძნით და სიკეთით აღსავსეა." აქ მიქელსენი ადვილად სცნობდა თავისი განსვენებული მეგობრის გამოთქმის ხერხსაც და აზრთა წყობასაც.

აი მაგალითად:

„მუდმივი, ბუნების მიერ ჩანერგილი განუწყვეტელი გაბვითარებისადმი მისწრაფების გარეშე, შემოქმედებითი, ცხოველმყოფელი ძალის გარეშე, ადამიანურ ვნებებში რომ ვლინდება, იმისდა მიუხედავად, გარეთ არიან მიმართულნი — სინამდვილის სამყაროში, შიგნით — აზრის სფეროში თუ ზემოთ — ოცნებათა სამეფოში, უდიდესი და კაცნიერი გამბედაობის გარეშე — დაინახო საკუთარი თავი ღვთიურ სიშიშვლეში, ვერავინ ვერ მიაღწევს ნამდვილ თავისუფლებას. იმიტომ ვთვლი თავს ბედნიერად, რომ შემთხვევა მომეცა ისეთ დროს მეცხოვრა, მსგავს მისწრაფებას რომ წარმოშობს და ასეთ გამბედაობას რომ აძლიერებს. სხვაგვარად მე სიცოცხლის დასასრულამდე არასრულფასოვან ადამიანად დავრჩებოდი."

აი ალალბედზე სხვა ნაწყვეტი:

„ქრისტეს ცხოვრება და ისტორია მხოლოდ ერთს გვასწავლის (სწორედ ამაში მდგომარეობს ძველთაძველი სიბრძნე), ის გვასწავლის, რომ მხოლოდ ვნება დასძლევს ტანჯვას".

მესამე გვერდზე:

„ჩემი სიჭაბუკის უდიდესი ოცნება იყო — ოცნება დიდებაზე! ბოლოს და ბოლოს მე შევძელი მსოფლიოს დაპყრობა. თითოეული ადამიანის სული დამოუკიდებელი სამყაროა; მისი სიკვდილი არის სამყაროს დაღუპვა მინიატურულად.“

უფრო იქით მიქელსენმა შემდეგი სტრიქონები ამოიკითხა:

„გაზეთები დღეს იტყობინებიან იმის შესახებ, რომ ბატონ სტეინერს სამოქალაქო მრჩევლის ჩინი უბოძეს. როგორ მოგწონთ? მთელი ცხოვრება მოტყუებასა და თვალის ახვევას მოანდომა და ყოველივე ამაში მხოლოდ სამოქალაქო მრჩევლის ტიტული? ასე უმადურია ქვეყანა. ახ, ბატონო სტეინერ, საბრალო ბატონო სტეინერ! რომ იცოდეთ, რა მეფურად თავისუფლად ვგრძნობ თავს, ასე შეუმჩნეველი რომ ვარ, რა მიუღწეველი რამ არის, ვინმემ წვრილმანით მაწყენინოს. ეს რომ იცოდეთ, უეჭველად დაჩაგრულად იგრძნობდით თავს. მაგრამ თქვენ არაფერი არ იცით და ამიტომ ბედნიერი ხართ. თქვენ ულოცავთ საკუთარ თავს, ამაყად ცლით შამპანურის ჭიქას საკუთარი თავის ჯანმრთელობისა და დიდების სადღეგრძელოდ. რადგან ბუნება მდიდარია, ბუნება სიბრძნითა და სიკეთით არის აღსავსე.“

შემდეგ — მოკლე სათაურით: „ღმერთის შესახებ“.

„ვოლტერს მიაწერენ ნათქვამს: „ღმერთი რომ არ ყოფილიყო, საჭირო იყო მისი გამოგონებაო.“ ჩემი ფიქრით ეს აზრი უფრო სამართლიანი იქნება შებრუნებული სახით: „ღმერთი ნამდვილად რომ არსებობდეს, უნდა შევცდილიყავით დაგვეკიწყებინა.“ ეს ცუდი ქცევის და მათ გამო გარდაუვალი ანგარიშის გასწორების შიშით კი არა, სულაც არა, არამედ მხოლოდ იმისი სურვილით, რომ აღიზარდოს ადამიანი, ვინც სიკეთეს გააკეთებს თვით სიკეთისა და არა ღმერთის გულისთვის. ვინ შესძლებს, სულით და გულით გაუწოდოს მოწყალება მათხოვარს და ამ დროს ფიქრობს ან სურს იფიქროს, რომ ღმერთი ყველაფერს ხედავს, ყველაფერს მკაცრად აღრიცხავს და ამ სურათის დანახვისას მოწონებით თავს იქნევს?“

იქვე, ამ სიტყვებს ქვემოთ ეწერა სათაური: „ისევ რწმენის შესახებ.“

„ცხოვრებაში ჩვენს ირგვლივ ვიკრებთ მრავალ საგანს, შემთხვევის ძალით ჩვენი საკუთრებანი რომ ხდებიან. ასე, ერთ მშვენიერ დღეს აღმოვაჩენთ, რომ სიცოცხლედ გვიღირს კომოდი და ვყიდულობთ პირველსავე კომოდს, რომელიც მეავეჯეს აღმოაჩნდება. პირველად გულგრილად ვუცქერით მას, იქნებ სულაც არ მოგვდის თვალში, მაგრამ მაინც, როგორც კი გადავწყვიტეთ მისი ყიდვა, როგორც კი ის ჩვენი საკუთრება გახდა, ჩვენშიაც და კომოდშიაც საიდუმლო ცვლილებები ხდება. ჩვენ ფრთხილად ვუსვამთ ხელს მის გაპრიალებულ ზედაპირს, სიყვარულით და შიშით ვაცილებთ მას თვალებით, როცა მტვირთავებს ააქვთ კიბეზე და თუ როდესმე მასთან განშორება მოგვიწევს, გვეჩვენება, თითქოს ჩვენი გულის რაღაც ნაწილიც გავაყოლეთ. ასეთია საკუთრების ფლობის გამოცანა. ასეთივე ხომ არ არის რწმენის გამოცანაც?“

უკანასკნელი წლით დათარიღებულ გვერდებზე მიქელსენმა ასეთი სათაური იპოვა: „მრისხანე აჩრდილი.“

„არ მახსოვს ზუსტად სად, კუნძულ მორსზე მრავალი წლის წინათ ასეთი შემთხვევა მოხდა. ერთ მემამულეს ორი პატარა ვაჟი ჰყავდა. უმცროსი ჯიუტი და გაუგონარი ბიჭი იყო და მამას უნდოდა გადაეჩვია სიჯიუტისათვის. ერთხელ — პატარა მაშინ მეცხრე წელში იყო — მან ისევ რაღაცა დააშავა და უნდა დასჯილიყო. შეშინებული ბიჭი მაღალ ხეზე აძვრა. გულფიცხმა მამამ, ამავე დროს როგორც იტყვიან ხოლმე, კარგად გადაკრულშიც რომ გახლდათ (ახალი დაბრუნებული იყო მონადირეთა ქეიფიდან), მათრახს წამოავლო ხელი და უბრძანა შვილს, ჩამოდი ხიდანო. მაგრამ რაც უფრო ხმამაღლა ყვიროდა ის, რაც უფრო მეტად ილანძღებოდა, მით უფრო მაღლა ადიოდა შეშინებული ბიჭი. ბოლოს მთლად კენწეროში გავიდა. უეცრად გაისმა ყვირილი: ტოტი, რომელზედაც ბიჭს ფეხი უნდა დაედგა, მოტყდა და ვეებერთელა სიმაღლიდან

ჩამოვარდნილი ბავშვი მიწაზე დაეცა. ამის შემდეგ ის სამუდამოდ ხეიბარი დარჩა, ხოლო მამა სინდისის ქენჯნისაგან ჭკუაზე შეიშალა და სიკვდილამდე საგიჟეთში იჯდა.

ამასობაში ვაჟები დაიზარდნენ. უფროსი ჯანმრთელი, ლოყაწითელი ვაჟკაცი იყო, სწორედ რომ ღაჟღაჟებდა. მან შეირთო ლამაზი ქალიშვილი, მოამრავლა გამძლე და ჯანმრთელი ბავშვები, მაგ მული სანიმუშო-საჩვენებელ მეურნეობად აქცია, — მოკლედ მოიმოქმედა ამ ქვეყნად ყოველივე, რაც ვაჟკაცს შეეფერება. ძმა კი ამ დროს წყნარად და უძრავად მიწოლილიყო თავის სავარძელში ხეებს ქვეშ. ჩიტები გარს ეხვეოდნენ და მისი ხელიდან კენკავდნენ. თავს უბედურად არ გრძნობდა, მხოლოდ მის ირგვლივ მყოფთა უადგილო სიბრალული და მამის საშინელ ხვედრზე ფიქრი სტანჯავდა. მე ვნახე ის. მაშინ თვრამეტი-ცხრამეტი წლისა იქნებოდა. არასოდეს არ დამავიწყდება მისი გაბრწყინებული სახე. თითქოს შუქ აფრქვევდა. დაკარგული ჯანმრთელობის ნაცვლად ბუნებამ მას მეექვსე გრძნობა აჩუქა, რომელიც ერთადერთია, რაც უდიდესი სიამის განცდის უნარს გვანიჭებს. მოუხეშავი ბიჭი, კუშტი გამოხედვა რომ ჰქონდა, მხოლოდ საცოდავი ხეიბარი გახდა, საბრალო არც კაცი იყო, არც ქალი, არც ბავშვი, არც დიდი. მაგრამ სამაგიეროდ ის იქცა ადამიანად, ვის გამოხედვაშიც თვით უსასრულობა აისახა მთელი თავისი აუმღვრეველი სიწმინდით , სიღრმით და სიმშვიდით. და მე უნებლიედ გამახსენდა მამამისი, მრისხანე აჩრდილმა — სინდისმა — წყვდიადში რომ ჩააგდო, იმიტომ, რომ არ გააჩნდა ჭეშმარიტი რწმენა, რწმენა ბუნებისა, რომელიც სიბრძნით და სიკეთით არის მდიდარი და აღსავსე. ყველაფერი ქვეყნად ბუნების ხელთ არის და ის უხვად ანაზღაურებს ერთ რგოლში იმას, რაც გვაკლია მეორეში, და ის...“

მასწავლებელმა ვეღარ დაამთავრა: ოთახში მოსამართლე დაბრუნდა.

— აბა, მიქელსენ, წავიდეთ, ყველაფერი მზად არის. ეგ რა გიჭირავს?

— რვეულია, უჯრაში იდო. სხვათა შორის, სად წავიღოთ ეს რვეული? აქ ხომ მხოლოდ ჩანაწერებია, აუქციონით არ გავა, ხოლო დახევა — დასანანია. როგორ გგონიათ, ნილსენ, მაქვს თუ არა უფლება, დავიტოვო ეს რვეული? ამით რაიმე სახსოვარი მაინც დამრჩება ამ კაცისაგან. მართალი გითხრათ, ძალიან მომაკლდება ეს ადამიანი. აქ კი საკმაოდ ბევრი წერია სწორედ იმის თაობაზე, რაზეც ჩვენ ვმასლაათობდით ხოლმე. წავიკითხავ ზოგჯერ ამ ჩანაწერებს და მომეჩვენება, თითქოს კვლავ მას ვესაუბრე.

— აიღეთ, ღმერთმა მოგახმაროთ. ყოველგვარ ნაჯღაბნზე პასუხს ხომ არ ვაგებთ. ფულადი ღირებულება მას არ გააჩნია.

სანთელი და ლამპა ჩააქრეს. მოსამართლემ ფარანი აანთო. მერე ორივე გამოვიდა დაცარიელებული სახლიდან და ფრთხილად მიიხურეს კარი.

რედაქტორი ელენე გოგოლაშვილი
მხატვარი რომან მახარაძე
ტექნიკური რედაქტორი ნათელა ქავთარაძე
კორექტორი ლეილა არჩვაძე
გამომშვები გიული ბენიძე

გადაეცა წარმოებას 26/V-69 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/VIII-70
ქაღ. ზომა 60×84 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 23,09
სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 19,7
ტირაჟი 20.000 შეკვეთა № 6538

ფასი 1 მან. 00 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 5,
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი 11.
Типография № 5 Главполиграфпрома Государственного комитета
Совета Министров Грузинской ССР по печати,
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе,11.